

1937



1. 9. 7. 0.



საბჭოთა საქართველო

1 9 7 0 № 5

# ს ა რ ჩ ე ვ ი

ვლადიმერ მაჭავარიანი	
ლენინი — სწავლული, რევოლუციონერი . . . . .	3
მსოფლიო ლენინიანი . . . . .	9
მერბერტ უელსი	
რუსეთი წყვდიადში . . . . .	29
მაქს ფრიში	
Homo Faber (გაგრძელება) . . . . .	70
ჯეფრი ჩოსმრი	
კენტურბერიული მოთხრობები . . . . .	150
ალექსეი სეზრენსკი	
ტრაიზოს სიმართლე . . . . .	172
ანა ზეზერსი	
გრუშოვთელი გლეხები . . . . .	180
ჯორჯ ბორდონ ბაირონი	
სონეტი შილიონს . . . . .	190
შილიონის პატიმარი . . . . .	191
გერტლდ ბრეხტი	
დაჭრილი სოკრატე . . . . .	203
მოთხრობები ბატონ კოინურზე . . . . .	215
ვალდუნ თანერი	
აუქციონი . . . . .	224
თორმეტს აკლია ერთი წუთი . . . . .	237
ირვინ უოუ	
„ვენერას მკვიდრნი“ . . . . .	246
მარსელ მემე	
პოლდაგური ლეგენდა . . . . .	269
ჯოხი . . . . .	278
მზია ბაქრაძე	
ფრანგული „ახალი რომანი“ . . . . .	290
მთა რევიზვილი	
ლენინი და საზღვარგარეთელი მწერლები . . . . .	305
თამარ სანკევიჩი	
რალფ ელისონი და მისი „უზინარი ადამიანი“ . . . . .	318

რედაქტორი

ვახტანგ ჭელიძე

სარედაქციო კოლეგია

- ვახტანგ გიფუკელი
- მიალა თოფურიაძე
- მიხეილ კვესელავა
- ვახუშტი კოტეტიშვილი
- ვახტანგ ქორთრაძე
- ნიკო შიასაშვილი

ზარეპანი


დავით ღუნდუასი

განმცემლობა

„საბჭოთა საქართველო“

თბილისი







ქართველთა  
წიგნების კავშირი

ვლადიმერ გეგაუარიანი

## ლენინი — სწავლული, რევოლუციონერი

ვლადიმერ ილიას ძე ლენინი უნივერსალური ხასიათის გენიოსი იყო. არ არსებობს ადამიანის ჭეშმარიტად დიდი საქმისა და აზრის არც ერთი პრობლემა, რომელიც ლენინს ყურადღების გარეშე დარჩენოდა. ლენინის წინაშე არასოდეს დამდგარა საკითხი, რა იყო პირველი — სიტყვა თუ საქმე. მან, ისე როგორც არავინ, კარგად იცოდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სიტყვას, აზრს, განსჯას, გონს საქმის სათანადოდ წარმართვისათვის და რომ საქმის გარეშე სიტყვა ფუჭია და ბოლოს და ბოლოს არარაობა. სიტყვა ხომ გონის ატრიბუტია. ბუნებამ ადამიანს გონი იმითომ მიანიჭა, რომ მას ემოქმედა.

ტყუილად როდი ამბობენ, 1917 წლის 25 ოქტომბერს დამთავრდა მეცხრამეტე საუკუნეო. ისიც უთქვამთ და უეჭველად მართებულად, მეოცე საუკუნე ლენინის საუკუნე არისო. ჩვენ XX საუკუნის სამოცდაათიან წლებში ვცხოვრობთ. თუ ისტორიის განვლილ გზას მიმოვიხილავთ და პერსპექტივის განჭვრეტას შევეცდებით, ალბათ შევნიშნავთ, რომ მომავალი საუკუნე, და შეიძლება ითქვას საუკუნეებიც, ლენინის სახელთან იქნება დაკავშირებული. ეს ჰიპერბოლა როდია, მთელი კაცობრიობის ახალ ყაიდაზე მოწყობა, ახალი სოციალური სტრუქტურის საბოლოო და ყოველმხრივი გამარჯვება მთელს მსოფლიოში, დიდი დროის მომცველი პროცესია.

უმეცრებაა იმის მტკიცება, რომ ლენინი მარტოოდენ რუსეთის ცხოვრების ნაყოფია ან, დასავლეთში რომ გაისმის ხმები, ეს ბუმბერაში ადამიანი მხოლოდ სპეციფიკურმა რუსულმა პირობებმა წარმოქმნა, რასაკვირველია, XIX და XX საუკუნეთა მიჯნაზე მეფის რუსეთის იმპერია მრავალფეროვან წინააღმდეგობათა კვანძი გახდა. ისიც ცნობილია, რომ XIX საუკუნე რუსული ეროვნული ინტელექტუალური ენერჯის განსაკუთრებული გამოსხივების ხანა იყო. უკვე ყრმობაში ლენინი კითხულობდა, და ისიც მშობლიურ ენაზე, გენიოსებს — ტოლსტოის, დოსტოევსკის, უდიდესი პოლიტიკური მოაზროვნეების

ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის, ბელინსკის, გერცენის ღრმა აზრით აღვხილ სტრიქონებს. ამ სტრიქონებიდან მას ესმოდა უდიდესი ძაბვის პოლიტიკური ვნებებით აზვირთებული, ბობოქარი ქარიშხლის ძლიერი ხმები.

ლენინმა თავისი შეგნებული ცხოვრების ნახევარი ევროპაში გაატარა, სადაც დუღდა და გადმოდუღდა დაძაბული პოლიტიკური, მარქსისტულური ცხოვრება. ლენინი რომ ევროპაში ჩავიდა, მარქსი და ენგელსი ცოცხლები აღარ იყვნენ, მაგრამ მუშათა მოძრაობა სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა. მართალია, ბერნშტაინი უკვე რევოიზიონიზმს ქადაგებდა, მაგრამ იმავე ევროპაში გაისმოდა ჟან ჟორესის სასწაულებრივი ქვეყნადობის ხმა, მისი ანტიპოდის ჟიულ გელის მრისხანე დეკლარაციები, გერმანიაში ცოცხლები იყვნენ ავგუსტ ბებელი, ვილჰელმ ლიბკნეხტი, ახალგაზრდა როზა ლუქსემბურგი, ავსტრიაში მოხუცი ადლერი. ფაბიანელები — ბეატრიჩე და სიდნეი ვებები ბრიტანეთის კუნძულებზე ინგლისურ ყაიდაზე შეკავშულ სოციალიზმს ქადაგებდნენ, კარლ კაუცკი ჯერ კიდევ იფიცებოდა ორთოდოქსალური მარქსიზმის ერთგულებას. პატარა ბელგიიდანაც შორს ისმოდა ემილ ვანდერველდეს სპარლამენტო პათოსით აღვხილი, ცოტა არ იყოს პროვინციული შეძახილები. გერმანია უკვე გაერთიანებული იყო, იტალიაც. დამარცხებული, მაგრამ ცოცხალი პარიზის კომუნა ყველა ჭვეყნის პროლეტარებს ახალი ბრძოლებისაკენ მოუწოდებდა. მხილებული იყო ანარქიზმი, ბაკუნინელობა, ლასალის სპეციფიკური რადიკალიზმი, პრუდონიზმი ხომ ჯერ კიდევ მარქსმა დაანარცხა მიწაზე.

იწყებოდა იმპერიალიზმის ხანა. მასთან ერთად უკვე აშკარად მოჩანდა რალაც ახალი ეპოქის ნიშნები, რომელთა შეცნობა ლენინის ხვედრი გახდა. ვითარდებოდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი, მათ შორის ფიზიკა, მათემატიკა, პირველად გაისმა აქამდე ყველასათვის უცნობი გვარი — აინშტაინი, მათემატიკის ეურებოდა ადამიანის გენიის აღმაფრენას, რომელსაც ჩვენ ახლა მეცნიერულ, ტექნიკურ, ტექნოლოგიურ რევოლუციას ვუწოდებთ.

აი ასეთ ევროპაში ჩავიდა საცხოვრებლად საკუთარ, ნოყიერ სლავურ ნიადაგს ძალით მოწყვეტილი ახალგაზრდა ვლადიმერ ულიანოვი, და სულ მალე მან მრავალი ნაბიჯით წინ გაუსწრო იმდროინდელი ევროპის ყველაზე უფრო ნათელი გონების ადამიანებს.

ლენინმა, ისე როგორც არავინ მანამდე და მის შემდეგაც, გენიალურად შეაერთა პოლიტიკური აზროვნებისა და მოქმედების აღმოსავლური და დასავლური ნაკადის უდიდესი გამოცდილება.

აი ასეთი იყო ლენინი, მარქსის გენიალური მოწაფე და სრულიად ახალ ისტორიულ ვითარებაში მისი საქმის გამგრძელებელი. ლენინს მრავალგზის აღუნიშნავს, მარქსის უდიდესი დამსახურება ის არის, რომ მან აღმოაჩინა მუშათა კლასი როგორც ძველი სამყაროს მესაფლავე და ახალი ეპოქის შემო-

ქმედით. ლენინის ხელმძღვანელობით პრაქტიკულად დადასტურდა, რომ მუშათა კლასს შეუძლია კაპიტალისტური სამყაროს შტურმი, მისი დანგრევა და ახალი სოციალური წყობილების ძლევამოსილი მშენებლობა, ლენინმა სოციალიზმის მშენებლობის ოცნება სინამდვილედ აქცია.

ასეთი გრანდიოზული ამოცანის განხორციელება მოითხოვდა არა მარტო ეკონომიური თუ პოლიტიკური ფაქტორების გათვალისწინებას, არამედ საზოგადოებრივი შეგნების უველა ფორმის სფეროში ახალი სიტუაციის დამკვიდრებას, ახალი სიტუაცია, რომელიც წარსულსაც ეყრდნობოდა და ხალხების ეროვნულ ტრადიციებსაც ითვალისწინებდა. ლენინის გენიის პირველი დამახასიათებელი ნიშანი იყო სამყაროს შეცნობა მის მრავალფეროვნებაში, მის მრავალწახნაგოვნობაში. ლენინმა, ისე როგორც არავინ, შესანიშნავად იცოდა, რომ სამყაროს, ცხოვრების მრავალ პრობლემაზე არ არსებობს ერთმნიშვნელოვანი პასუხი და ადამიანის ბედნიერების ფორმულა გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე ეს ზოგიერთ მოაზროვნეს ეგონა და ჰგონია.

ლენინი საზოგადოებრივი ცხოვრების, მისი შეგნების მრავალფეროვნებას ერთ დიალექტიკურ მთლიანობაში იხილავდა. მცხთვის, როგორც უდიდესი მოაზროვნისა და ფართო მასების ბელადისათვის, არ არსებობდა, მაგალითად, დიქტერატურის პრობლემები საზოგადოებრივი ცხოვრების თუ საზოგადოებრივი შეგნების სხვა ფორმებთან ურთიერთკავშირის გარეშე. ამიტომ მეტისმეტად ვულგარულად ვდერს ზოგიერთი ცდა მიმართული იქითკენ, რომ ლენინის ცალკე გამონათქვამებიდან, არც თუ იშვიათად მისი თხზულებების კონტექსტიდან მექანიკურად ამოგლეჯილი ციტატებიდან შეადგინონ ლენინის ესთეტიკური მრწამსი და მის საფუძველზე გამოიყვანონ რეკომენდაციები, რომლებიც თითქოს ლენინის ნააზრევადან გამომდინარეობენ. ეს მცდარი გზაა. ლენინის ესთეტიკური კრედიტ უნდა განვიხილოთ როგორც ერთი განუყოფელი, ორგანული ნაწილი იმ ნააზრევისა, რომელსაც ლენინიში ეწოდება.

არის ლენინიზმის დამახინჯების კიდევ ერთი მეთოდი: საკუთარი ესთეტიკური თუ ლიტერატურულ-კრიტიკული პოზიციის განმტკიცების მიზნით ზოგიერთი გვთავაზობს ლენინის აზრის ნებისმიერ ინტერპრეტაციას.

ასეთ ხერხს პირველ რიგში მიმართავენ დასავლეთის ვაიმკვლევარები, რომელნიც მრავალ შემთხვევაში სრულიად შეგნებულად ამახინჯებენ ლენინის შეხედულებებს. მაგალითისათვის შეიძლება დავახსნელოთ ავსტრიელი რენეგატი ერნსტ ფიშერი და ფრანგი რევოლუციონისტი როჟე გაროდი.

დასავლეთში გავრცელებულია ლენინიზმის ფალსიფიკაციის კიდევ ერთი ხერხი—ლენინის ნააზრევის ხელაღებით უარყოფა, მისი მხოლოდ პოლიტიკურ ნოღვაწედ აღიარება. თუ ეს მართლა ასეა, თუ ლენინი არც ფილოსოფოსი იყო, არც ეკონომისტი, არც სოციოლოგი და იყო მხოლოდ პრაგმატისტი — რევოლუციონერი, რომელსაც ხუთ უბრალოდ ისტორიის ბედმა გაუღიმა და რუსეთ-

ში ხელისუფლება შემთხვევით ჩაუგდო ხელთ, მაშინ საკითხავია, რად არის საჭირო ასობით ინსტიტუტის, სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებების არსებობა, ათასობით ცრუმეცნიერთა ნაწერების მილიონიანი ტირაჟებით გამოცემა ლენინის აზრის, სიტყვის, საქმის უარსაყოფად? პიგმეების ეს ფუსფუსი, გენიოს ადამიანს რომ ფეხებში ებლანდებიან, მართლაც სუსტყოფილ ფიქარებას ქმნის.

ბიზუნიუსი

ასეთ ფანდსაც მიმართავენ დასავლეთის სოვეტოლოგები, — ამ ბოლო დროს ხულ იმას გაიძახიან, ლენინი დოგმატიკოსი იყო, ლენინიზმი დოგმათა კრებულთაა. არა გვგონია ამ ვაიმეცნიერებმა არ იცოდნენ ლენინის მიერ მრავალგზის გამოთქმული აზრი, რომ მარქსიზმი მუდამ განვითარებაში მყოფი მხოფლმხედველობაა, რომ მარქსის მოძღვრება მოქმედების სახელმძღვანელოა, რევოლუციური მოქმედება კი რევოლუციურ სიტუაციათან არის დაკავშირებული, რომელიც სწრაფად იცვლება საზოგადოებაში არსებული ეკონომიური, პოლიტიკური, ფსიქოლოგიური ფაქტორების ურთიერთდამოკიდებულების შესაბამისად, ხოლო ასეთ მობილურ სიტუაციაში დოგმებით მოაზროვნე პოლიტიკური მოღვაწე ვერაფერს გახდება.

„... ჩვენი მოძღვრება დოგმა კი არ არის, არამედ მოქმედების სახელმძღვანელოა.

ჩვენ არ ვაცხადებთ პრეტენზიას, რომ მარქსმა ან მარქსისტებმა იციან სოციალიზმისაკენ წამყვანი გზა მთელი მისი კონკრეტულობით. ეს უაზრობაა. ჩვენ ვიცით ამ გზის მიმართულება, ჩვენ ვიცით, თუ რა კლასობრივ ძალებს მივყავართ ამ გზით, ხოლო კონკრეტულად, პრაქტიკულად, ამას გვიჩვენებს მხოლოდ მილიონების გამოცდილება, როდესაც ისინი ხელს მოჰკიდებენ საქმეს“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 25, გვ. 340).

აღბათ საჭიროა შევჩერდეთ ლენინიზმის ფალსიფიკაციის კიდევ ერთ სახეობაზე. ამგვარ ფალსიფიკაციას მიმართავენ პირველ რიგში დასავლეთის ფილოსოფოსები, სოციოლოგები, აგრეთვე ლიტერატურათმცოდნეებიც. ისინი ხულ იმას გაიძახიან, ლენინი საზოგადოებრივი შეგნების ფაქტებს მხოლოდ სოციალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით განიხილავს, მისთვის უცხოა ამ რიგის მოვლენათა გნოსეოლოგიური საწყისების ძიება, არათუ გნოსეოლოგიური, არამედ ფსიქოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებაცო. ღირს განა ამ ინსინუაციების უარყოფა? დავასახელოთ ლენინის მხოლოდ ერთი ნაშრომი — „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“. ვისაც ეს ნაშრომი არამცთუ შეუსწავლია, მხოლოდ გადაუკითხავს, ისიც კი შეძლებს ამ მონაჭორის გაქარწყლებას. გავიხსენოთ, როგორი წესით ანალიზებს ლენინი ლიტერატურულ ფაქტს, სწორედ გნოსეოლოგიური საწყისების ძიების მეოხებით. მრავალი მაგალითიდან მხოლოდ ერთს შევახსენებთ მკითხველს, ლენინის ფართოდ ცნობილ გენიალურ სტატიებს ლევ ტოლსტოიზე. სწორედ ამ სტატიებში იგი

სწორუპოვარი დიდოსტატის ხელით ააშკარავებს გენიოსი ტოლსტოის შემოქმედების გნოსეოლოგიურ საფუძვლებს, გვიხსნის, თუ როგორ განაპირობა მწერლის მიერ სამყაროს მხატვრულმა ხილვამ რუსეთის რევოლუციის ასახვის შესაძლებლობა.

ბურჟუაზიული ფალსიფიკატორები ამერიკის შეერთებულ შტატებში, დასავლეთ გერმანიაში, სხვაგანაც დასავლეთში, მართლაც პარტიულ, გლობალურ ფარგლებში გამართულ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით სხვა რომ ვერაფერი მოუფიქრებიათ, აი, რას გაიძახიან: მართალია, ლენინი ღირსშესანიშნავი რევოლუციონერი იყო, მაგრამ ამ დიდი ადამიანის თეორეტიკოსად გამოცხადება გადაჭარბებია. ამ მოსაზრების უარსაყოფად მივმართოთ ფაქტებს. ვ. ი. ლენინი დაიბადა 1870 წლის 22 აპრილს, გარდაიცვალა 1924 წლის 21 იანვარს. უკანასკნელი ორი წელი—1922 წლის გარკვეული ნაწილი და 1923 წელი—ის მძიმე ავადმყოფი იყო. პირველი ნაშრომი მან 1893 წელს დაწერა, ე. ი. სრულყოფილი მუშაობა 29—30 წლის მანძილზე შეძლებია. რა დაუწერია ლენინს ამ სამი ათეული წლის მანძილზე? მისი ნაწარმოებების მეხუთე გამოცემა შედგება 56 ტომისაგან. თუ ერთი ტომის მოცულობა საშუალოდ 40 საავტორო თაბახს უდრის, გამოდის, რომ ლენინს სულ დაუწერია 2200 საავტორო თაბახი, ანუ საშუალოდ ერთი წლის მანძილზე—75-მდე საავტორო თაბახი. ოქტომბრის რევოლუციის შემდგომი ხუთი წლის მანძილზე, როდესაც ლენინი მთლიანად დაკავებული იყო გიგანტური მასშტაბის სახელმწიფოებრივ-პარტიული მუშაობით, როდესაც ის ხელმძღვანელობდა ახალ სახელმწიფოს, აშენებდა ახალ სოციალისტურ წყობას და ისიც იმ, კარგად ცნობილ, მეტად რთულ და მძიმე პირობებში, მას დაუწერია 917 ნაბეჭდი გვერდი — გამოკვლევები, შრომები, სტატიები, შენიშვნები. მარტოოდენ რიცხვში ხომ არ არის საქმე. ლენინის მიერ დაწერილ ყოველ სტრიქონს კითხულობს, სწავლობს ჩვენი პლანეტის ყოველი გათვითცნობიერებული ადამიანი, რომელსაც აინტერესებს საზოგადოების, ადამიანის ბედი და ხვედრი. იუნესკოს მონაცემებით, ავტორთა შორის, რომელთაც ყველაზე მეტს თარგმნიან, პირველ რიგში მოხსენებულია ლენინი. ლენინმა ამ მხრივ გაასწრო ტოლსტოის, შექსპირს, ბალზაკს, ბიბლიასაც კი. არასრული ცნობებით, ლენინის თხზულებები გამოსცეს (1967 წლის ჩათვლით): იაპონიაში—201-ჯერ, აშშ-ში — 198-ჯერ, საფრანგეთში — 164-ჯერ, ინგლისში — 162-ჯერ, იტალიაში — 142-ჯერ და ა. შ.

რამ გამოიწვია ლენინისადმი ასეთი, მართლაც რომ გლობალური, საერთო საკაცობრიო ინტერესი? ყური ვათხოვოთ რომენ როლანს. აი, რას წერდა ის: „ლენინის მიმართ მე განმსჭვალული ვარ აღტაცების გრძნობით. ჩვენი საუკუნის ევროპაში მე არ მეგულება მეორე ასეთი ბუმბერაზი ადამიანი, თონთლო კაცობრიობის ქაოტურ ოკეანეში მან ისე ღრმად, ისეთი ძლიერებით გაატარა



თავისი ნების საჭე, რომ მისი კვალი დიდხანს, დიდხანს არ წაიშლება ტალღებზე, მიუხედავად უძლიერესი ქარიშხლისა, გემი მთელი სიჩქარით მიისწრაფვის ახალი სამყაროსაკენ“. ამ საუკუნის გამოჩენილი ფილოსოფოსი, მოაზროვნე, ამას წინათ გარდაცვლილი ბერტრან რასელი წერდა ლენინის შესახებ: „მსოფლიო ბურჟუაზიას ლენინი წარმოედგინა როგორც დამანგრეველი, მაგრამ ნგრევამ როდი გახადა ის ცნობილი. დანგრევა სხვებსაც შეეძლოთ. მისი შექმნებდა სხვა ვინმე ხელახლა ასე კარგად აშენებას? მას ჰქონდა სწორუბოვარი შემოქმედებითი გონება. ის ფილოსოფოსი იყო, პრაქტიკის სფეროში სისტემის შემქმნელი... ლენინის მასშტაბის სახელმწიფო მოღვაწეები საუკუნეში ერთხელ თუ გამოჩნდებიან, და არა მგონია, რომელიმე ჩვენთაგანმა კვლავ იხილოს მისი საღარი ადამიანი“.

ჩვენ ქება-დიდებას ვასხამთ არა მარტო ლენინის სახელის ავტორიტეტს, არამედ იდეის ავტორიტეტს, მოწინავე საზოგადო მეცნიერებას, რომელმაც შეძლო შერწყმოდა მილიონების უძლეველ სრბოლას ნათელი მომავლისაკენ, შეძლო ჩაწვდომოდა საზოგადოებრივი და პირადი თავისუფლების, სიმართლის, სინათლისა და განათლებისაკენ—სოციალიზმისაკენ კაცობრიობის წინსვლის ყველაზე პროგრესულ ობიექტურ ტენდენციას.



ბავლე ნერუდა  
ტილი

თარგმნა  
მორის ფოცხიშვილმა

## ლენინი

1

ლენინ, მე სიტყვებს ვემშვიდობები,  
რამეთუ შენზე უნდა ვიმღერო.  
მე უნდა ვწერო მწვანე ხეებით,  
მჭრელი სახნისით, რკინის ბორბლებით.  
შენ ხარ ხმისი და ზუსტი, როგორც  
ფაქტი სამყაროს უკვდავებისა.

შენებრ მიწიერ კაცს არ იცნობს  
კაცობრიობა.

მრავლად არიან, რომელთა სიმაღლე  
ეკლესიების გუმბათებს სწვდება,  
ისინი ღრუბლებს ესიტყვებიან,  
მაგრამ ყოველთვის მარტო ცხოვრობენ.  
ლენინი ყველას უკავშირდება,  
შორს იხედება და დედამიწას  
კითხულობს ისე, ვით წიგნს გადამლილს.

კითხულობს იგი ყველაზე დიდხანს,  
ყველაზე უფრო მეტს და ყოველთვის.  
სიკეთის თვალთ არსებითს სწვდება, —  
ის იყურება ადამიანში.  
ისე ვით ჭაში,

რომლის მკრთალ ფსკერზე  
ჯერ შეუცნობი დევს მინერალი,  
რომელიც, როგორც დიდი საუნჯე,  
აღმოსაჩენად ძალზე ძნელია.



და ღგება უამი, დიადი უამი,  
ჭიდან ამოაქვთ ანკარა წყალი,  
დინამიური სინათლე, რაიც  
ხალხთა გულებში თუ იპოვება.

2.

არ შეადართო გულქვა ინჟინერს,  
არ შეადართო მისტიკოსის წვასა და თრთოლას,  
შისი გონებაც იწვოდა, მაგრამ  
ფერფლად არასდროს ქცეულა იგი.  
სიკვდილმაც კი ვერ გაანელა,  
თვითონ სიკვდილმაც —  
ლენინის გული — სულცეცხლოვანი.

3.

მიყვარს რაზლივის გახსენება,  
სადაც ოდესღაც  
შენ თევზს იჭერდი... ვით დროს გაფრენილს...  
ლაპლაპებს წყალი, როგორც სარკე,  
რომელიც თითქოს  
მოვერცხლისფერო ჩრდილოეთის  
მდელოს ჩარჩოში  
ჩაუსვამთ, როგორც უძველესი ქვეყნის  
ს უ რ ა თ ი...

უკაცრიელი სიმარტოვე...  
თოვლით და მწუხრით განაწამები  
საწყლად ირხევა ბალახის ღერო.  
არქტიკულ ქარებს გაუმართავთ  
შენს ქოხთან ომი.  
მე ვხედავ, როგორ უსმენს ლენინი  
წვიმას, თოლიებს, ტყეს და ჭალაკებს.  
ლენინი უსმენს ტყეს და ცხოვრებას,  
უსმენს ქარებს და  
ისტორიის ნაბიჯებს ითვლის.

4.

ქვეყნად მრავალი მკვლევარი იყო.  
ზოგს იტაცებდა აზრი მეტყველი,  
ზოგს მოძრაობა — განუსაზღვრელი...  
ლენინის ნებას ამაღლებდა  
ორი ფრთა მუდამ:  
მოძრაობა და სიბრძნე მარადი.



აზრით ის ქმნიდა,  
ზსნიდა იგავებს  
და ნიღაბს ხსნიდა სიმართლეს და  
ადამიანებს, —  
ის იყო ყველგან, ერთდროულად,  
ის იყო ყველგან.

5.

ლენინ, იღწვოდნენ შენი ხელები  
და არ იცოდა მოსვენება  
შენმა გონებამ,  
ვიდრე სისხლისფერ პორიზონტზე  
სისხლისფერ კიბით  
არ აღიმართა ის,  
სინათლით გარემოსილი,  
ბრწყინვალე ქალი —  
რ ე ვ ო ლ უ ც ი ა

მსოფლიოს ხალხი შეჰხაროდა  
მის შუქს, მის ღიმისს, —  
კაცობრიობის ბებერმა გულმა  
ახალგაზრდულად დაიწყო ძგერა.

6.

ლენინ, დიადო ადამიანო,  
გარსკვლავთა როკვას დირიჟორობ  
შიშველი ხელით.  
იგივე ხელით  
ერთიმეორეს  
შენ უკავშირებ პურს და მშვიდობას,  
იგივე ხელით შენ იფარავ მზესა და მთვარეს.

7.

დღეს ყველაფერი შეიცვალა, მაგრამ, ო, მაშინ  
მკაცრი დრო იყო...

სუსხიანი ზამთარი იდგა.  
და შენს საზღვრებზე მგლები ყმუოდნენ,  
სიცოცხლის მაღალ ქანდაკს ამსხვრევდნენ,  
თვალებს თხრიდნენ და ცეცხლს უკიდებდნენ,  
შიმშილით ჰკლავდნენ, რამეთუ სურდათ  
შენი ოცნების გაცამტვერება.

ვერ დაგამარცხეს, თუმც არ გეყო  
პური, ნახშირი,  
თვითონ სიცოცხლეც კი არ გეყო,  
როდესაც ციდან  
ცვივოდა ტყვიის ნამსხვრევები,  
თოელი და წვიმა,  
სისხლის წვეთებით ივსებოდა  
დანგრეულ სახლში  
ნაცრადქცეული ცივი კერია.

მაგრამ ხედავდა მთელი მსოფლიო,  
როგორ იბრძოდა სიცოცხლე ქვეყნად,  
როგორ იცავდა თავს ცეცხლში მყოფი,  
ვით იზრდებოდა და ივსებოდა  
სული მზისდარი სინათლის შუქით,  
ვიდრე მებრძოლი გული ცის თაღზე  
არ აბრიალდა ზღაპრულ მნათობად.

8.

ლენინ, დიდება შენს აზრს და სიბრძნეს,  
მსოფლიოს ხალხი მადლიერებით  
შენი გზით მიდის გამარჯვებისკენ.

ბედნიერების მოსაპოვებლად  
ერთიანდება დიდი და მცირე.  
ცოცხლობს სამშობლო უკიდევანო,  
მან აიტანა ომი მრავალი,  
გაუძლო შიმშილს, სიცივეს, წყურვილს  
და აღიმართა ციხე-სიმაგრედ  
კაცობრიობის უკვდავსაყოფად.

და აი, ხალხი იმედით ცხოვრობს,  
იმედით პურს ჭამს, რამეთუ ქვეყნად  
ლენინის პირმშო — გამარჯვების მზე  
შუქს აწვდენს ქვეყნად ყველა კონტინენტს.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

9.

ლენინ, მადლობა! დაღლილი სულის  
ახალგაზრდული ალტკინებისთვის,  
მადლობა შენი სიმტკიცისათვის,  
სინათლისათვის, სიმართლისათვის,  
ბრძოლებისათვის, მშვიდობისათვის,  
სახლებისათვის, სკოლებისათვის,  
ჯარისკაცების ღირსებისათვის,  
მადლობა, ლენინ, ჰაერისათვის,  
თავისუფლების ჰაერისათვის!  
ო, ეს ჰაერი სხვა ჰაერს არ ჰგავს,  
გული ივსება მზის მგზნებარებით, —  
მზის სურნელებით ივსება გული, —  
მადლობა, ლენინ, დღეს შენს ხელებში  
ცხვება მსოფლიოს იმედის პური!



ილიჩის ოთახში  
წუთით ვჩუმდებით...  
ოცნების ჩიტი  
ფრთებს შლის, —  
ყვავილობს აპრილის ნუში.  
ოთახში კი არა, კრძალვით და რიდით  
ჩვენ ვიხედებით  
ილიჩის სულში.

თუ რამ დარდი გაქვს,  
გულით მედგარო,  
გზა გაქვს მიმწუხრში  
მრუშე და იხელი,  
შენ მოიგონე, უკიდევანო  
რუსეთის სევდა, რუსეთი ძველი...

დევს მაგიდაზე ფურცელი თეთრი,  
წიგნს შუქი ასდის  
სიბრძნის ალუბად, —  
ის აქ ცხოვრობდა  
და როგორც ღმერთი  
ჩვენს დიდ პლანეტას ატრიალებდა.  
მერე მშიერი და ფიქრიანი  
დასტრიალებდა ყვითელ სამოვარს,  
კარს აწყდებოდა ქარი გრილით,  
თითქოსდა ახლაც ის საღამოა...  
დუმილი გვიპყრობს...  
ოცნების ჩიტი  
ფრთებს შლის, —  
ყვავილობს აპრილის  
ნუში...  
ოთახში კი არა  
კრძალვით და რიდით  
ჩვენ ვიხედებით ილიჩის სულში.

## დაქსიდან „ქალიშვილს“

თავი დაუკარ მაღალ მწვერვალებს,  
მზეს, სიყრმის ცაზე კვლავ რომ ეღვარებს  
და აღამიანს, მზის ტოლს, უბრალოს, —  
გახსოვდეს, შვილო, უბრალო ხალხი  
ყველაზე დიდი ხალხია მუდამ,  
აწ და მარადის გახსოვდეს უნდა!

გახსოვდეს ის, ვინც გაჰფანტა ბინდი,  
ახალ პოლონეთს მზით რომ აღადგენს, —  
მადლიერების ყვავილით მიდი  
იმ სახლში, სადაც ლენინი დიდი  
ხალხთა მერმისზე ფიქრობდა ერთ დროს,  
მიდი და მისი ხმით ილაღადე!



## ლენინი

ხარ ამხანაგი და ახლობელი,  
ექიმი ბრძენი, მკურნალთ-მკურნალი,  
წინასწარმჭვრეტი ყველა ტკივილის,  
ყველა იღუმალ ჭირთა მცნობელი.

შენ ერთადერთმა იგრძენ ინგლისურ  
დაავადების სიღრმე-მცდარობა,  
ასე ვფიქრობდით, რა საჭიროა  
სხვათა ტკივილის განცდა, როდესაც  
ჩვენ შეგვიძლია მშვიდად ცხოვრება.

შენ შენი შუქით ამხილე ყველა,  
ბოლო მოუღე ზღაპრებს, არაკებს, —  
დრო მოვა, როცა მთელი მსოფლიო  
შენს სიმართლეზე ილაპარაკებს.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

**სიგრიშ უბანი**

(რეზიდენტი)

## ღენიანი

მისი უნათლესი სახე დროშებში და გულშია,  
მისი უკვდავების შუქი დროს ვერ ამოუშლია.

მისი სიტყვა სიბნელეში ანთებული კვარია,  
მისი სული დიდებული ხალხის თანამგზავრია.

მისი ხელი სათნოების და სიკეთის ხელია,  
მის აზრს, როგორც ბიბლიურ მტრედს, უცდიან და ელიან.

მიფრენს იგი, ირგვლივ თითქოს კოსმიური ქარია,  
სიბრძნე მისი ჩუენი წინსვლის მყარი აღამდარია.

მისი უნათლესი სახე დროშებში და გულშია,  
მისი უკვდავების შუქი დროს ვერ ამოუშლია.

ჩვენთან იყო, ჩვენთან არის, მუდამ ჩვენთან იქნება,  
მეთმარო, წინ, წინ გასწი, გასწი, ნუ ვეფიქრება!

მისი სიტყვა სიბნელეში ანთებული კვარია,  
მისი სული დიდებული ხალხის თანამგზავრია!





ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ლენინის კიწი

(აზნ)

## კალა ლენინა

ლენინ, ამხანაგო ლენინ,  
კუბოში რომ წევხარ მზისებრ,  
მოდო, მე ჩავწვები შენს ნაცვლად,  
შენ ისევ იბრძოლე, ისევ!  
მე ერთი ივანე გლეხი,  
ვის რაში ვარგივარ, ვის?  
ჩექმები დამიცვდა, ამ ქვეყნად  
ძლივსლა დავწანწალებ, ძლივს...  
ლენინ, ამხანაგო ლენინ,  
შუქს, როგორც ვარსკვლავი გვეფხვ,  
მოდო მე ჩავწვები კუბოში,  
იშრომე, იცოცხლე შენ!  
მე — ჩიკო, საპარის მკვიდრი  
ყანაში დავბობლაე ძლივს, —  
ადექ, შენ გელიან ხალხები,  
ვით მწუხრში სინათლის სხივს.  
ლენინ, ამხანაგო ლენინ,  
სიკვდილს ნუ დაუთმობ თავს,  
მოდო, მე მოვკვდები შენს ნაცვლად,  
ბრძოლაში გაუძეხ ხალხს.  
მე — პიერს, პარიზელ მტვირთავს,  
სულ შენი სიცოცხლე მსურს, —  
შენს საქმეს, ვლადიმერ ლენინ,  
შევწირავ სიცოცხლეს, გულს.  
ლენინ, ამხანაგო ლენინ,  
კვლავ ვისმენთ შენს კეთილ ხმას:  
— მე მაინც თქვენთან ვარ, ძმებო,  
კვლავ ერთად მივყვებით გზას!

## მცდართი იანვრის გრიბაღა

კუზბასის ბალადა

სთქვა ბრიგადირმა ბარაკში ღამით:  
— ლენინის ხსოვნის დღე არის ხვალ.  
უქმეა, ვიძინოთ ბიჭებო,  
მოსვენება უნდა გულსა და თვალს!  
ბაზალტის ფერი ზამთარი იდგა,  
სუსხი გრანიტად ჰყინავდა გზებს, —  
ბარაკში ბიჭები  
ვახშმობდნენ მშვიდად,  
ყველაფერი ილონეს ბიჭებმა დღეს...  
თხარეს და ბურღეს,  
ჩეხეს და ჭრეს,  
ქვასავით მიწას რას უზამ, რას?! —  
ახლა მოსვენება სჭირდებათ მუხლებს,  
ახლა სიმშვილე სჭირდება მკლავს.  
— ლენინის ხსოვნის დღე არის ხვალ?  
— ვისაც როგორ უნდა, იძინოს, იწვეს!  
— აბა, ბრიგადირო,  
გვიამბე კვლავ,  
რა მოხდა მოსკოვში იმ წელს:  
— ჩვენ, პეტერბურღელი მუშები,  
მოსკოვში ჩავედით  
მიმწუხრის ეამს, —  
ვხედავ, საშინელი ყინვაა მოსკოვში,  
ზღავილი დაუწყია ჭარს.  
მაგრამ რას შეაერთობს ზამთარი, აბა,  
ჯარისკაცს? —

ზამთარი ძმა არის ჩვენი.  
უფრო საშინელი ის იყო, ძმებო,  
მოსკოვი მარხავდა ლენინს.

ჰე, რა დამავიწყებს ჭაღარა ბავშვებს,  
ბავშვივით მტირალა ქალს, —  
ქუჩებში ქვითინი ისმოდა

ყველგან,  
სიმი ასწყვეტოდა ქნარს...

ილიჩის კუბოსთან  
ტიროდა ყველა,  
ტიროდა თითქოსდა მზეც,  
ვიდექით უძრავად,

ბავშვების დარად  
ლენინზე მოვთქვამდით ჩვენც.

აყვირდა სირენა,  
აყვირდა მანქანა,  
დგას ორთქლმავალი და სტვენს, —  
ლენინი აზიდეს ხელებით მაღლა,  
ხელებით გვეჭირა მზე.

წითელ მოედანზე  
ზღვა იყო ხალხთა,  
არვინ არ მალავდა ცრემლს, —  
შეხედეთ პარტბილეთს...

ო, სწორედ იმ დღიდან  
პარტიას ვეკუთვნი მეც.  
მუშები გულდაგულ უსმენდნენ  
ბრიგადირს,  
იმ ღამით ბევრი რამ თქვეს, —  
ადგნენ და უთქმელად გავიდნენ  
დაზგებთან  
ბიჭები მეორე დღეს...

იწრომენ, თხარეს და დაბურღეს,  
აღარ იზოგავდნენ თავს, —  
თრმოცგრაღუსიან ყინვაში  
მშვიდად აგორებდნენ  
გიგანტურ ქვაბს.

ყვიროდა ბრიგადირი:  
აბა, ჰე, ბიჭებო,  
ავზიდოთ, ავწიოთ ძმურად! —  
წლისთავზე ახალი ფოლადი მოგვცა  
ილიჩის სახელობის  
ქუ რ ა მ.



## 1924 წელი

შავი ბაბთებით დაუხატავთ  
ყვავილებს სევდა  
და ძირს დახრილი დროშები სდუმან.  
უკვდავება და უმოძრაობა  
ვით შეეთვისა, ნეტავ, ერთმანეთს, —  
სიკვდილმა ცივი საჭრეთლის პირით  
ვით გამოკვეთა სიჩუმე ასე?!

ვით გამოჰგლიჯა ბოროტმა ქარმა  
თავისუფლების ბელადი მასებს?!

ღაზგების რიტმში, ბრძოლაში, ქარში,  
ღიადი სულის შორსმჭვრეტე თვალით  
მან მისცა ღიად სამყაროს გეზი.  
ეს მან აღანთო სიმართლის აღი  
კეთილი გულის ნაპერწკლით ხალხში.  
მან შეანიჭა ბრძოლის ბაირაღს  
ელვარე ფერი ავღარში, დარში  
და უბედობის ლიანდაგიდან  
ბედნიერების მატარებელი  
მზით გაიყვანა მშვიდობის გზაზე...  
ახლა ის — ავი სიკვდილის ისრით  
გულდაკოდილი — შორდება მასებს.

მაგრამ ხმა მისი

კვლავ ყველგან ისმის,  
მავთულებს მიაქვთ სიტყვა დიადი,  
თვითეულ გაზეთს, ვით განთიადი  
წინ უძღვის მუდამ მაღალი რწმენით  
და კვლავ ივსება ცხოვრება ჩვენი  
უკვდავების და სიკეთის შუქით.



უგრიგალქარო სევდაში ახლა  
დროშები სდუმან და არ იძვრიან, —  
მაგრამ ნათელი ხსოვნის გრივალი  
კვლავ აფრიალებს რწმენის ბაირაღს, —  
გამარჯვებისკენ კვლავ გვიხმობს ხალხებს  
მისი მარადეამს მეტყველი სახე.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

გენერალ-ლეიტენანტი  
პან დარ სხალპი

(ბოლანდია)

## ლ ე ნ ი ნ ი

ჯერ არ შექმნილა სიტყვა, რომელიც  
შენს სიღიადეს, დიადო ლენინ,  
სრულყოფილებით გამოხატავდეს.

ამ სიტყვას ალბათ ეპოქა იტყვის,  
ეპოქა, ხვალ რომ გაციისკარდება,  
ოდეს მსოფლიოს ადამიანებს  
ერთუერთს ერთობით დაუკავშირებ.

მოძავალ დღეთა შვილი ხარ,  
ლ ე ნ ი ნ ი! —  
ყველაზე ძლიერი, ყველაზე ქველი,  
ყველაზე გულადი,  
ყველაზე მართალი,  
და ყველა შვილზე ერთგული, ბრძენი, —  
მოძავალ დღეთა შვილი ხარ,  
ლ ე ნ ი ნ ი!

შენი სიცოცხლე ბრძოლაა მკაცრი,  
შეუპოვარი ბრძოლაა მტერთან,  
ხარ უშიშარი, როს შეტევაზე  
მიიწევ, როგორც ლავა მგზნებარე,  
ხარ უძლეველი, და შორსმჭვრეტელი,  
როს საჭიროა უკან დახევა.

დედაბუნებამ შეუდარებელ  
გმირთგმირის გული ჩაგიდგა მკერდში.



შენ ხარ მებრძოლი და იარაღად  
გაქვს მზენათელი გონება მუდამ.

გულით შეგეძლო სიცილი ყველგან,  
გწამდა, რომ ქვეყნად  
ბოლოს და ბოლოს  
გაიცინებდა აღამიანი.



ქართველების უღელტეხილზე  
ვერ შეგაშინეს,  
ვერ მოგატყუეს, —  
მტერს რისხვის შოლტით ერეკებოდი,  
მაგრამ უბედურს და უსასოოს  
ბავშვის ღიმილით ასაჩუქრებდი.

ბელადი იყავ,  
ბელადობდი ხალხს და მსოფლიოს,  
მომავლის კარებს აღებდი რწმენით, —  
წინ მიიწევდი ისტორიის  
უვალ ყამირზე  
და სხივებივით ნათელ ბილიკებს  
ხალხს უტოვებდი ხალხთა ქომაგი.

აღლონათელი მომავლის ამინდს  
საზღვრავდი ყველა სიზუსტით მარად.

იყავ რუსი და შენს დიდ ღიმილში,  
შენს დიდ საქმეში, როგორც სარკეში  
ისახებოდა ყველა სიკეთე, —  
უბრალო რუსი კაცის სიკეთე.

შენ შენი დიდი, ნათელი გულით  
კაცობრიობის უღელტეხილზე  
გადმოატარე რწმენა, რომ ქვეყნად  
ერთ დიდ ოჯახად  
შეერთდებოდა  
აღამიანთა დიადი მოდგმა.



ქართველნი  
ბიზლირთჳსჳს

**სუქანთა გხატანარი**

(ი ნ დ ო ე თ ი)

## ლენინ

ლენინ!  
ჩემს კალამს  
სინათლის ზღვაში  
ვაწებ, რომ  
მხოლოდ სხივებით შევქმნა  
დიდი ბელადის  
ნათელი სახე,  
რომლის ბადალი ამ ქვეყანაზე  
ჯერ არ შექმნილა,  
არა და არა!  
პირველთაგანმა  
რომ დაამსხვრია  
ტირანის ტახტი  
და ჩაგრულ ხალხებს  
თავისუფლების გზა გაუკვალა, —  
ლენინი იყო,  
დიახ, ლენინი!  
მისი ნათელი  
გონების ძალით  
და გულის ნებით  
ატყდა გრიგალი,  
გრიგალი ხალხთა მრისხანებისა, —  
მთები დავძარით,  
ბრძოლით საზარით,  
არცა ხვეწნით და  
არცა მუდარით...  
და სულს, ვით ზომალდს  
დაღლილს ეღირსა  
თავისუფლების ნავთსაყუდარი.

პირველთაგანმა  
რომ დაამსხვრია  
ტირანის ტახტი  
და ჩაგრულ ხალხებს  
თავისუფლების გზა დაულოცა,  
ლენინი იყო,  
მხოლოდ ლენინი!  
და აი, ახლაც, იმედი ხალხთა,  
მთებიდან მთებში,  
ბაღიდან ბაღში,  
ქალაქად, სოფლად,  
ავდარში, დარში,  
ისევ ხალხშია,  
მსოფლიო ხალხში, —  
ჩვენი ლენინი, მხოლოდ ლენინი!  
მილიონები ლენინის შუქით  
კვლავ ოცნებათა  
კერას ანთებენ  
და იმ სასურველ დღეს ითენებენ,  
რაიც ჯერ ყველას  
არ ღირსებია.  
დიდი მთებია  
გადასალახი,  
ჯერ ქვეყნად კიდევ  
დიდი გზებია...  
მზის ნაპერწკალი,  
ჩქარა, სულ ჩქარა,  
ბრძოლის დიდებულ ალად ქცეული,  
კვლავ მოედება  
ასებს, ათასებს  
და მაღალ ნებას,  
მსოფლიოს ნებას  
იმედის სხივი  
გაააღმასებს.  
დიდება ლენინს!  
ლენინს დიდება!  
რომ არ ქრება და  
არ იბინდება!  
დიდება ლენინს!  
იმედით, რწმენით  
რომ ავსებს ყველა  
ჩვენთაგანს ახლა,  
სულია ჩვენი,  
გულია ჩვენი,



აზრია, რაიც მიიწევს მაღლა, —  
მაღლა და მაღლა,  
ლაღად და ლაღად,  
თავისუფლების  
დიდებულ სახლად!  
დიდება შენდა,  
თავისუფლებაც,  
თავისუფლების დროშაც,  
დიაღო,  
აგაფრიალა ლენინმა ბედად,  
საიმედოდ და  
საგანთიადოდ!  
მზით მოკააფე  
ღულს ოკეანე  
და წინ მიიწევს ხომალდი ჩვენი,  
იმედის აფრებს  
სინათლეს აფრქვევს  
შენი ღიმილი,  
ბელადო ლენინ!  
პირველთაგანმა  
რომ დაამსხვრია  
ტირანის ტახტი  
და ჩაგრულ ხალხებს  
თავისუფლების გზა გაუკვალა,  
ლენინი იყო,  
ლენინი ჩვენი.  
ლენინი იყო,  
ლენინი არის,  
ჩვენ ერთსულოვნად  
გავყვებით ლენინს!  
ლენინის სიტყვა  
ზარივით რეკავს, —  
დე, ტირანებმა  
დაიწყონ დრეკა.  
მივიწვევთ წინ და,  
თუმც გზაა გრძელი, —  
სვლაა იმედით,  
მაღალი რწმენით. —  
თვითეულ ჩვენგანს ლენინი შველის,  
გულით ვატარებთ  
ვლადიმერ ლენინს,  
მხოლოდ და მხოლოდ  
ვლადიმერ ლენინს!





გამოჩენილი ინგლისელი მწერლის ჰერბერტ უელსის წიგნი: „რუსეთი წყვედიადში“, ამ ნახევარი საუკუნის წინათ დაიწერა.

თავის დროზე ამ წიგნმა ძალიან დასწყვიტა გული მსოფლიო რეაქციას, რომელიც იმედოვნებდა, რომ რუსეთიდან დაბრუნებული უელსი საბჭოთა წყობის დაგებას მოჰყვებოდა და მით ანტისაბჭოთა პროპაგანდას გაუწევდა სამსახურს. მაგრამ პ. უელსმა, როგორც ეს მისი რანგის მწერალს შეეფერებოდა, დაუფარავად, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე დაგვიხატა თავისი მახვილი, მწერლური თვალით დანახული მაშინდელი პეტერბურგი და მოსკოვი.

ვინც პ. უელსის შემოქმედებას კარგად იცნობს, უთუოდ შეამჩნევდა, რომ თავის მხატვრულ ნაწარმოებებში იგი შესანიშნავად ხედავს და აანალიზებს კაპიტალიზმის წინააღმდეგობებს, მაგრამ თეორიულ ტრაქტატებში ფაქტიურად იმავე კაპიტალიზმის დამცველად გვევლინება.

იგივე შეიძლება ითქვას ამ წიგნზედაც; უელსი — მხატვარი შესანიშნავი ოსტატობითა და ძალიან ზუსტად აღწერს იმდროინდელი რუსეთის მდგომარეობას, მაგრამ უელსი — თეორეტიკოსი, ამ სირთულეების მიღმა ვერ ხედავს უზარმაზარ ენერჯიას ხალხისას, რომელიც მზად არის თავისი ბელადის ხელმძღვანელობით სასწაულები მოიმოქმედოს. უელსისთვის გაუგებარია კლასობრივი ბრძოლის თეორია. მას არ ესმის პროლეტარიატის როლი, როგორც კაპიტალიზმის მესაფლავისა, არ ესმის მარქსიზმი.

ახალ თაობას შეიძლება, ცოტა არ იყოს, ეუცნაუროს კიდევ, რომ ფანტასტიური რონანების ავტორს, რომელმაც ათიან წლებში ატომური ენერჯიის მომავალი იწინასწარმეტყველა, გოელროს გეგმა განუხორციელებელ ოცნებად მოსჩვენებია...

დრომ თავისთავად უარყო უელსის ამ წიგნში, და სხვა წიგნებშიც, გამოთქმული პრინციპულად მცდარი დებულებები. „დიდი სიმართლე — როგორც აკად. გ. კრუიფანოვსკი წერს „რუსეთი წყვედიადში“ ერთ-ერთი რუსული გამოცემის წინასიტყვაობაში — ჩრდილავს მის მცდარ მტკიცებებსა და მრავალ გულუბრყვილო შეცდომას“.

ეს წიგნი, გარდა იმისა, რომ ჩვენი ეპოქის, კერძოდ ჩვენი სახელმწიფოს ისტორიის ლიტერატურულ დოკუმენტს წარმოადგენს, ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა იმიტომ, რომ მასში აღწერილია დიდი ინგლისელი მწერლის პ. უელსის შეხვედრა და საუბარი ვ. ი. ლენინთან.

რედაქციისაგან

რუსეთი ნეკლიაღუი



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ინგლისურიდან თარგმნა  
მანანა ანთაძემ

1. განაღმუკებული პეკერბურგი

1914 წლის იანვარში ორიოდ კვირით ვესტუმრე პეტერბურგსა და მოსკოვს. 1920 წლის სექტემბერში კი ლონდონში ჩამოსულმა რუსეთის სავაჭრო დელეგაციის წევრმა კამენევმა შემომთავაზა კვლავ ვწვეოდი მათ. ეს წინადადება ჭკუაში დამიჯდა და სექტემბრის მიწურულში რუსეთისაკენ ავიღე გეზი. ამჯერად თან მახლდა ჩემი ვაჟიშვილი, რომელმაც ცოტათი იცის რუსული ენა. ჩვენ თხუთმეტი დღე დავყავით რუსეთში, აქედან უმთავრესად პეტერბურგში გახლდით, სადაც საკმაოდ თავისუფლად დავსეირნობდით და თითქმის ყველაფერი ვნახეთ, რაც გვინტერესებდა. ვიყავით მოსკოვშიც. მე კარგა ხანს ვესაუბრე ბატონ ლენინს, მაგრამ ამაზე შემდეგ ვიამბობთ. პეტერბურგში ყოფნისას სასტუმრო „ინტერნაციონალში“ კი არ მივსულვართ, სადაც ჩვეულებრივ აბინავებენ უცხოელ სტუმრებს, არამედ ჩემს ძველ მეგობარს, მაქსიმ გორკის ვესტუმრეთ. მეგზურად და თარჯიმნად გვყავდა რუსეთის ყოფილი ლონდონელი ელჩის დისწული ქალი, რომელიც მე 1914 წელს გავიცანი მოსკოვში. მას განათლება ნიუნჰემში ჰქონდა მიღებული. ბოლშევიკურ მთავრობას ხუთჯერ დაუპატიმრებია ეს ქალი, ხოლო იმის გამო, რომ საზღვრის დარღვევა და ესტონეთში თავის შვილებთან გადასვლა უცდია, მისთვის საერთოდ აუკრძალავთ პეტერბურგიდან გასვლა. ასე რომ, არა მგონია იგი ცდილიყო ჩვენთვის თვალი აეხვია. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ჩვენთანაც და რუსეთშიც ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვეუბნებოდნენ, ისე საგულდაგულოდ აქვთ ცხოვრება შენიღბული, გაგაცურებენ და ჭეშმარიტება გვერდზე დაგრჩებათ. სინამდვილეში კი ისეთი მძიმე და აუტანელი მდგომარეობაა რუსეთში შექმნილი, რომ მისი შენიღბვა ყოვლად შეუძლებელია. როდესაც საქმე ცალკეულ დელეგაციას ეხება, რასაკვირველია, ძნელი არ არის ყურადღება რაიმე სხვაზე გადაუტანოთ, ხმაურიანი მიღებით იქნება ეს, კონცერტებითა თუ შეხვედრებით. მაგრამ, აბა წარმოიდგინეთ, ვინ მოახერხებს ორი უხარმაზარი ქალაქი ისე შენიღბოს, რომ ორი დამკვირვებლის თვალმა ვერაფერი შენიშნოს, მით უმეტეს, თუ ეს დამკვირვებლები ყველგან დადიან და ყველაფერს აკვირდებიან. თუკი ვინმე მოიწადინებს ნახოს სკოლა ან ციხე, ბუნებრივია, მას ყველაზე უარესს არ უჩვენებენ. ნებისმიერ ქვეყანაში, სადაც არ უნდა წახვიდეთ, გიჩვენებენ ყველაფერს საუკეთესოს, და საბჭოთა რუსეთი ხომ გამოჩაგლისი არ იქნება. ეს გასაგებობდა.

მთავარი, რაც მაშინვე თვალში გვეცა, ისაა, რომ რუსეთი მთლად გაპარტახებულია. ის დიდი მონარქია, თავისი ადმინისტრაციული, სოციალური, ფინანსური და კომერციული სისტემებით, რაც 1914 წელს იყო, ექვსი წლის განუწყვეტელმა

ბრძოლებმა სრულიად მოსპო და გაანადგურა. მსგავსი საყოველთაო გადაგვარება ისტორიას ჯერაც არ ახსოვს. ამ კრაზმა ჩვენს წარმოდგენაში სრულად დაჩრდილა თვით რევოლუციაც კი.

რუსეთის ძირგამომპალმა იმპერიამ, 1914 წლამდე ძველი ცივილიზაციის ნაწილს რომ წარმოადგენდა, ვერ გაუძლო აგრესიული იმპერიალიზმის დაძაბულობას და აღარაფერი დარჩა მისგან. გლახობა, რომელიც ადრე ქვეყნის ბუნებრივ ახლაც თავის მიწაზე დგას და ძველებურად ცხოვრობს. სხვა დანარჩენი კი აღგვილია პირისაგან მიწისა, ყოველ შემთხვევაში, თუ რამე დარჩა, ისიც აღიგვება. აი ამ ქაოსში შექმნილა საგანგებო მთავრობა, რომელსაც მხარს უჭერს ასორმოცდაათი ათასი კაცისაგან შემდგარი დისციპლინირებული პარტია — კომუნისტური პარტია — და ამ პარტიის ხელშია ქვეყნის მმართველობა. მან მოსპო ბანდიტიზმი, რასაც მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. დაღლილ-დაქანცულ ქალაქებში წესრიგი და უშიშროება დაამყარა და, ბოლოს, სურსათის განაწილების მკაცრი სისტემა შემოიღო.

შე ვიტყვოდი, რომ თანამედროვე პირობებში ეს ერთადერთი შესაძლებელი მთავრობაა რუსეთში. იგია იმ ერთადერთი იდეის მატარებელი, რაც ახლა რუსეთს შერჩენია და რაც მას აერთიანებს. მაგრამ ჩვენთვის ეს არ არის მთავარი. დასავლელ მკითხველს გაცვილებით უფრო მეტად აღელვებს და ამინებს ის ფაქტი, რომ დაინგრა და განადგურდა სოციალურ-ეკონომიური სისტემა, რომელიც ასე ძლიერ მიაგავდა ჩვენსას და რომელიც ორგანულად ერწყმოდა მას.

მთელ რუსეთში ეს კატასტროფა არსად ისე მკაცრად არ შეინიშნება, როგორც პეტერბურგში. პეტერბურგი ხომ პეტრე დიდის შეუდარებელი ქმნილება იყო. მისი ბრინჯაოს ქანდაკება ახლაც ხელუხლებლად დგას საადმირალოს გვერდით, პატარა ბაღში და გადმოსცქერის განადგურებულ ქალაქს. უკაცრიელ სასახლეებში სიჩუმე მეფობს. აქა-იქ ფიცრებით გადालობილ დარბაზებში მოუტანიათ მაგიდები და საბეჭდო მანქანები. ეს იმ ახალი მთავრობის დაწესებულებაა, რომელიც გააფთრებული ებრძვის შიმშილსა და ინტერვენტებს. ყოველ ფეხის ნაბიჯზე ადრე მაღაზია იყო, სადაც გაცხოველებული ვაჭრობა მიმდინარეობდა. მახსოვს, ცხრაას თოთხმეტში რადიდი სიამოვნებით დაეაბიჯებდი პეტერბურგის ხალხმრავალ ქუჩებში და ვყიდულობდი ათასგვარ წვრილმანს. ახლა ყველა მაღაზია გამოუკეტიათ. დღესდღეობით მთელ პეტერბურგში სულ რაღაც ექვსიოდე მაღაზია თუ იქნება ღია. ფაიფურის სახელმწიფო მაღაზიაში სუვენირად შევიძინე ერთი თეფში და შვიდასი თუ რვაასი მანეთი გადავიხადე. შემხვდა აგრეთვე რამდენიმე საყვავილე მაღაზიაც. საოცარი ისაა, რომ ქალაქში, სადაც მცხოვრებთა დარჩენილი ნაწილი თითქმის შიმშილობს და ძნელად მოიძებნება კაცი, რომელსაც მეორე ხელი ტანსაცმელი გააჩნდეს, ან არადა დაგლეჯილ-დაცრეცილი საცვლის გამოცვლა შეეძლოს, ხალხი მაინც ყიდის და ყიდულობს ყვავილებს. ქრიზანთემების ლამაზი თაიგული ხუთასი მანეთი ღირს, რაც ჩვენს ფულზე დაახლოებით ექვს შილინგსა და რვა პენსს უდრის.

არა მკონია, ჩემმა ნათქვამმა „ყველა მაღაზია გამოუკეტიათ“ სრული წარმოდგენა შეუქმნას დასავლეთის მკითხველს იმაზე, თუ როგორ გამოიყურება ქუჩები რუსეთში. ხომ არ ფიქრობთ რომ ისინი ბონდ სტრიტს ან პიკადილის მიაგვანან კვირა დღეს — მაღაზიებს ფარდები კოხტად ჩამოუშვიათ და მშვიდ ძილს მისცემიან, რათა ორშაბათს გამოლვიძებისთანავე საქმეს შეუდგნენ. გაძარცვული და მიტოვებულია აქაური მაღაზიები. საღებავები დამსკდარა, ვიტრინები ჩაუღწევიან. ზოგი აფიცრულია, ზოგს კი ისევ შერჩენია გამოფენილი საქონლის ბუზდანაჯდომი ნარჩენები. ზოგ ვიტრინაზე

წარწერები გაუკეთებიათ. ვიტრინის მინები დაბინდულა. ორწლიან მტვერს დაუფარავს ყველაფერი. ეს მკვდარი მაღაზიებია. ამიერიდან ველარასოდეს გაიღებიათ ისინი.

პეტერბურგის ყველა დიდი ბაზარიც დაუკეტიათ. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა გაჩაღებული, რომ სურსათი საზოგადოებრივი კონტროლით განაწილდეს და გასაქანი არ მისცენ ქორვაჭრებს, რომლებიც პროდუქტის უკანასკნელ ნარჩენებს სდარულ ფასებს ადებენ. ახლა, რაკი მაღაზიები გამოკეტილია, ქუჩებში ხეივანებზე თეთქოს აზრი აღარა აქვს. აღარც არავინ „დასუირნობს“. განა რა არის თანამედროვე ქალაქი, თუ არა მაღაზიების, რესტორნებისა და სხვა მისთანების გრძელი რიგები. აბა სცადეთ და დაკეტეთ ეს ყველაფერი, წამსვე დაკარგავს ქუჩა ყოველგვარ მნიშვნელობას. ხალხი გაჩქარებული მიაბიჯებს. სადღაა ძველებური ხალხმრავლობა, რაც 1914 წლიდან დამრჩა მუხსიერებაში. ტრამვაი კვლავინდებურად დადის და ექვს საათამდე მუდამ სავსეა ხალხით. ეს ტრანსპორტის ერთადერთი სახეა, რაც შემკვიდრებით დაუტოვა კაპიტალიზმმა ქალაქში დარჩენილ უბრალო ხალხს. ჩვენს იქ ყოფნაში მგზავრობა უფასო გახადეს. ადრე ორი თუ სამი მანეთი ღირდა ბილეთი, რაც კვერცხის ფასის მესამედს უდრიდა. უფასო მგზავრობამ ბევრი ვერაფერი უშველა იმათ, ვისაც სამსახურის შემდეგ ხალხით გაჭედნილ ტრამვაიში უხდება ტყულება. ასვლისას ყველანი ერთად მიაწყდებიან ხოლმე და შიგ რომ ველარ ეტევიან, გარედან ეკიდებიან ზედპიკის საათებში ისეა ტრამვაი დახუნძლული, ვინ სად პკიდია ვერ გაიგებ. ხალხი ხშირად ცვივა ძირს და ამიტომ უბედური შემთხვევებიც ხშირია. ჩვენ შევესწართ როგორ დახვეოდა ხალხი ტრამვაისაგან შუაზე გადაჭრილ ბავშვს. ჩვენ ნაცნობთაგან ორი ჩაუვარდა ტრამვაის ქვეშ და ფეხი დაიშავა.

ქუჩები, სადაც ტრამვაები დარახრახებენ, საშინელი სანახავია. სამი თუ ოთხი წელია მათი შეკეთება არავის მოჰკონებია. ყოველ ფეხის ნაბიჯზე იმხელა ორმოა, იფიქრებ, აქაურობა ყუმბარებს დაუთხრიაო. ზოგს ორი, ან სამი ფუტი აქვს სიღრმე. ძლიერი ყინვისაგან ტროტუარი ალაგ-ალაგ დახეთქილა, კანალიზაცია მოშლილია, ტორსფენილი კი ხალხს დაუგლეჯია და შინ წაუღია შემად. ჩვენს იქ ყოფნაში ერთად ერთხელ ვნახეთ, რომ ქუჩის შეკეთებაზე ზრუნავდნენ. პეტროგრადში რომელიდაც გაურკვეველ ორგანიზაციას ერთ შესახვევში მოუხიდა ტორსი და ორი კასრი კუპრი. ჩვენ ქალაქის დასათვალიერებლად ავტომობილი გამოგვიყვეს. ესეც აგრეთვე ნაშთი გახლავთ ძველი წყობისა. მგზავრობა ვერაფერი სახარბიელოა, რადგან მანქანა საშინლად ირყევა და ხან მარჯვნივ სხლტება, ხან მარცხნივ. საწვავად ნავთი აქვთ მხოლოდ. დაქოქვისას მოცისფერო ბოლს უშვებს, ხოლო ადგილიდან დაძვრისას ისე გრუხუნებს, გეგონება ტყვიამფრქვევიაო. ხის სახლები, თუკი სადმე იდგა ქალაქში, გასულ ზამთარს დაუშლიათ და შემად უხმარიათ. და ახლა, ქვის ნაგებობებს შორის დარჩენილ სიცარიელეში, საცოდავად მოჩანს მათი საძირკვლის ნარჩენები.

ყველანი ჩამოძონძილები დადიან. პეტერბურგსა და მოსკოვში კაცს ვერ ნახავ, რომ რაღაც ფუთა არ ჰქონდეს იღლიაში ამოჩრილი. საღამო ხანს ამ ჩამოძონძილი ხალხის შემხედვარეს, უცნაური ფუთები რომ დაუჭერიათ ხელში და გამალელებული მიაბიჯებენ, ისეთი გრძნობა გეუფლება, თითქოს მთელი ქალაქი აბარგებულა და გახიზუნას ლამობსო. თუმცა, არც უამისობაა. ბოლშევიკური სტატისტიკა, ვფიქრობ, საკმაოდ გულახდილად და პატიოსნად უდგება საკითხს. თუ ადრე პეტერბურგის მოსახლეობა მილიონ ორას ათასს უდრიდა, ახლა ეს ციფრი შვიდას ათასამდე დავიდა და სულ უფრო და უფრო მცირდება კვლავაც.

ხალხის ნაწილი სოფელს დაუბრუნდა, ზოგი საზღვარგარეთ გაიქცა, უმეტესობა კი



გაჭირვებამ იმსხვერპლა. პეტერბურგში სიკვდილიანობა ათას კაცზე ოთხმოცდაერთს უდრის. წინათ ოცდაორი იყო, მაგრამ მაინც მაღალი ჩანდა ევროპის ნებისმიერი ქალაქის მონაცემებთან შედარებით. შობადობა ორჯერ შემცირდა ამ ნაშთშილებ და ნავაგლახარ ხალხში და თხუთმეტამდე დავიდა.

იმ ფუთაში, ჩაბლუჯული რომ დააქვთ, თავისი წილი პროდუქტი უდევთ, ზოგს საბჭოთა დაწესებულებაში მიღებული, ზოგს კი შავ ბაზარზე ნაყიდი ან გასაყიდი. რუსებს მუდამ უყვარდათ ყიდვა-გაყიდვა. ჯერ კიდევ 1914 წელს, იშვიათად ნახავდით მაღაზიას, რომელიც მყარი ფასით ვაჭრობდა. ფასებს კი ნულარ იკითხავთ. მოსკოვში შეეტლეს ისე ვერ აიყვანდი, რომ ათ კაპიკზე ვაჭრობა არ დაეწყო.

ყველაფერი ძნელი საშოვარია. ეს გამოწვეულია ნაწილობრივ თმით — რუსეთი ხომ ექვსი წელია განუწყვეტლივ თმობს, — ნაწილობრივ სოციალური სტრუქტურის საერთო დაცემულობითა და ნაწილობრივ ბლოკადით. ქორვაჭრებისა და შიმშილისაგან ხალხის დასაცავად ერთადერთი გამოსავალია, მკაცრად ჩასჭიდონ ხელი პროდუქტის დარჩენილ ნაწილსა და პირველი მოხმარების საგნებს, დააწესონ მათზე ერთგვარი კოლექტიური კონტროლი, რათა თანაბრად გაუნაწილონ ყველას.

საბჭოთა მთავრობა თავის პრინციპებიდან გამომდინარე მივიდა ამ ზომამდე, მაგრამ სულ ერთია, რომელი მთავრობაც არ უნდა ყოფილიყო ახლა რუსეთში, ყველა იძულებული შეიქნებოდა იგივე გაეკეთებინა. თმი რომ აქამდე გაგრძელებულიყო ევროპაში, ახლა ინგლისიც ასევე გაანაწილებდა საკვებს, ტანსაცმელსა და საცხოვრებელ ფართობს. მაგრამ რუსეთში ეს იმან გამოიწვია, რომ ვერ იქნა და ვერ მოახერხეს კონტროლის დაწესება სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე, გლეხობა ბუნებით უდიცინპლინთა და ძნელია მისი მოთოკვა. ამგვარად, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა გაჩაღებული. დაჭერილ ქორვაჭარს, თუკი იციან რომ იგი სპეკულანტობს და ზედმეტ ფასად ყიდის საქონელს, ბევრს აღარ ელოლიავენებიან, მაშინვე ხვრეტენ. ჩვეულებრივი ვაჭრობაც კი სასტიკად ისჯება, რადგან ყოველგვარ ვაჭრობას „სპეკულაციას“ ეძახიან და სასტიკად კრძალავენ. თუმცა, პროდუქტის ფარულად გაყიდვაზე პეტერბურგში თვალს ხუჭავენ, ხოლო მოსკოვში ოფიციალურადაა ნებადართული. მხოლოდ ამით თუ აიძულებენ გლეხებს გამოაჩინონ პროდუქტი.

ფარულად მოვაჭრენი და მათი მუშტრები უკვე კარგად იცნობენ ერთმანეთს. ყველას, ვინც მოახერხებს, ამგვარად შეუძლია გაზარდოს თავისი ულუფა. სადგურები ნამდვილ ბაზრებადაა ქცეული. ყოველ გაჩერებაზე გლეხები გთავაზობენ რძეს, კვერცხს, ვაშლს, პურს და სხვას. მგზავრები ძირს ჩამოდიან და მალე ფუთებით ხელში ბრუნდებიან ვაგონში. ერთი ცალი კვერცხი ან ერთი ვაშლი სამასი მანეთი ღირს.

გლეხობას საკმაოდ მაძლარი იერი აქვს, ეჭვი მეპარება რომ ისინი უარეს პირობებში იყვნენ 1914 წელთან შედარებით. მე მგონი, უკეთესადაც კი გრძნობენ თავს. მიწები წინანდელზე მეტი აქვთ და მემამულეებიც აღარ აწუხებენ. ისინი არამც და არამც არ მოისურვებენ რაიმე ანტისაბჭოთა მოძრაობას დაუჭირონ მხარი, რადგან სჯერათ, ვიდრე საბჭოთა ხელისუფლება არსებობს, მათი მდგომარეობაც უცვლელად გასტანს. მიუხედავად ამისა, ყოველნაირად უძალიანდებიან წითელ გვარდიას, რომელიც ცდილობს მტკიცე ფასად ჩაიბაროს მათგან პროდუქტი. ხანდახან წითელი გვარდიის მეომრებს თავს ესხმიან კიდევ და იმართება ერთი ხოცვა-ჟლეტა. ლონდონის პრესა ამგვარ გამოხტომებს მეტისმეტად აზვიადებს და ბოლშევიკების წინააღმდეგ გლეხობის ამბოხებებს არქმევს. სინამდვილეში ასე არ არის. გლეხებს მხოლოდ ის სურთ, რაც შეიძლება უფრო მეტად მოითბონ ხელი არსებული რეჟიმით.

საზოგადოების ნებისმიერი სხვა ფენა, გლეხობის გარდა, მათ შორის თვით თანამდებობის პირნიც, უკიდურეს გაჭირვებას განიცდის. კრედიტისა და მოწვეულობის ის სისტემა, რომელიც მოხმარების საგნებს აწვდიდა ხალხს, განადგურებულია, ხოლო რომელიმე სხვა წარმოებით ამ დანაკლისის შევსება ვერ მოხერხდება. ამიტომ ახალს ვერაფერს ნახავთ აქ. შედარებით უკეთაა მომარაგებული ჩინეთი, თამბაქო და ასანთი. ასანთი გაცილებით მეტი აქვთ, ვიდრე 1917 წელს ჰქონდა ინგლისს, და რუსული ასანთი არც თუ ისე ურიგოა. ისეთი საგნები, როგორცაა საყულო, ყელსახვევი, ფეხსაცმლის ზონარი, ზუფარი, საბანი, კოვზი, ჩანგალი, ნებისმიერი საგალანტერიო საქონელი და ჭურჭელი, ფუფუნების საგნებს წარმოადგენს. გატეხილი ჭიქისა და ფინჯნის სანაცვლო მხოლოდ ხელზე შეიძლება იყიდო. ისიც ძნელად საშოვნელია. პეტერბურგიდან მოსკოვში პირველი კლასის კუპირებული ვაგონით ვიმგზავრეთ, მაგრამ კუპეში არც წყლის გრაფინი დაგვიხვდა და არც ჭიქა. სხვაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ყველაფერი მოეპარათ. მამაკაცების უმეტესობა წვერგაუპარსავი დადის. ჩვენ ვერ გაგვიგვირდა ეს ამბავი და საყოველთაო აჯანყებას დავაპირალეთ, მაგრამ მალე მივხვდით, რა იყო მიზეზი: ერთმა ჩვენმა ნაცნობმა ჩემს შეილთან საუბარში სხვათა შორის თქვა, მთელი წელია სამართებლის პირი ვერ გამომიცვლიათ.

წამლის მოვნა საერთოდ შეუძლებელია. სურდოს ან თავის ტკივილის საწინააღმდეგოდ ვერაფერს მიიღებ. სათბურასაც ვერსად იყიდი. ამიტომ სულ უბრალო ავადმყოფობა ხშირად სერიოზულ გართულებებს იწვევს. ყველა გამოფიტულია და ყველა რაღაცას უჩივის. არაქათგამოცლილ და გაჭირვებულ ხალხში სანთლით საძებარია სიცოცხლითა და ჯან-ღონით სავსე ადამიანი.

ვისაც სერიოზულად შეუტევს ავადმყოფობა, მისი საქმე წასულია. ჩემმა ვაჟმა ობუხოვის საავადმყოფო ნახა და მითხრა, სავალალო მდგომარეობა აქეთო. არ გააჩნიათ არც აუცილებელი მედიკამენტები და არც ინვენტარი; საწოლების ნახევარზე მეტი თავისუფალია, რადგან ავადმყოფის დაწვენას რა აზრი აქვს, თუ ვერ უმკურნალებენ. გაძლიერებულ კვებაზე და ნოყიერი საკვების მიცემაზე ლაპარაკიც ზედმეტია, თუ ავადმყოფის პატრონები რაღაც სასწაულით თვითონვე არ იშთენიან მას. საოპერაციოდ კვირაში მხოლოდ ერთი დღე გვაქვსო, მითხრა ექიმმა ფეოდოროვმა, მაშინ სათანადოდ ვახერხებთ მომზადებასო. სხვა დღეებში ოპერაცია შეუძლებელია და ავადმყოფი იძულებულია დაიცადოს.

მთელ პეტერბურგში ვერაფის ნახავ ტანსაცმლის გამოცვლა შეეძლოს. ამ ვეებერთელა ქალაქში, სადაც ტრანსპორტის ერთადერთი სახე<sup>1</sup> ხალხით გაჭედული რამდენიმე ტრამვაია, ყველას დახეული, ძირგავარდნილი და ღმერთმა უწყის რა ზომის ფეხსაცმელი აცვია. ხანდახან ისე უცნაურად ჩაცმულს დაინახავ ადამიანს, რომ პირდაპირ გაოცდები. სკოლის დირექტორმა, რომელსაც გაუფრთხილებლად მივადექით, განგვაცვიფრა თავისი მორთულ-მოკაზმულობით. მას ლურჯი სარჯის ჟილეტზე სმოკინგი ეცვია. რამდენიმე გამორჩენილ მეცნიერსა და მწერალს, რომელთაც მე შევხვდი, საყულო არ ჰქონდათ და შარფი შემთხვევით ყელზე. გორკის მხოლოდ ერთი ხელი კოსტუმი აქვს — ის, რაც ტანზე აცვია.

<sup>1</sup> მდინარე ნევაზე მხოლოდ ერთხელ დავინახე ხალხით სავსე თბომავალი. ისე, მდინარეზე მოძრაობა არ არის. ხანდახან თუ მოჰკრავ თვალს სახელმწიფო ბუქსირს ან ხის მორების დასაჭერად ნაღით შესულ კაცს.

ერთხელ პეტერბურგის მწერალთა შეხვედრაზე მოხვდი. ცნობილმა მწერალმა ამფითუატროვმა მეტად გრძელი და ღვარძლიანი სიტყვით მომმართა მე. მასაც, ისევე როგორც ბევრ სხვას, ეგონა, რომ მე ვერაფერს ვხედავ, არაფერი მეტყუები და მოტყუებულნი ვარ. იქ დამსწრე საზოგადოებას ისიც კი სთხოვა, განიხილონ ეს თქვენი საუცხოო კოსტუმები და დაანახეთ რა ძონები გაცვიფრებდათ საკმაოდ მტკივნეული გამოსვლა იყო და მე მგონია არც არაფის სჭირდებოდა იგი. მაგრამ ახლა იმისათვის გავიხსენე, რომ ნათლად შეჩვენებინა, რა სავალალო და საყოველთაო სილატაკვა იქ. დანგრეული და განადგურებული პეტერბურგის მკვიდრთა არც ტანზე ატვირთ და, მიუხედავად იმისა, რომ პროდუქტის ჩუმად შემოზიდვა წუთითაც არ წყდება, არც საჭმელი ჰყოფნით. საბჭოთა მთავრობას, მიუხედავად თავისი კეთილშობილური მისწრაფებებისა, არ ძალუძს ნორმალური არსებობისათვის საჭირო ულუფა მიაწოდოს ხალხს. ჩვენ რაიონულ სამხარეულში ვიყავით და ვნახეთ, როგორ ნაწილდება პროდუქტი: სამხარეულო იდეალურად სუფთა იყო, მუშაობის პროცესი კი კარგად ორგანიზებული, მაგრამ ეს ხომ ვერ შეავსებდა პროდუქტის უკმარისობას. მინიმალური ულუფა არის ერთი ჯამი წყნიანი შეჭამიანი და ამდენივე ვაშლის კომპოტი. ხალხს ბარათებით ეძლევა პური და მის მისაღებად საათობით უხდება რიგში დგომა.

ერთხელ პეტერბურგის საცხოვრებელი ფქვილი შემოაკლდა და სამი დღე გულხელდაკრეფილნი ისხდნენ. პური ხან კარგი ცხვება და ხან საშინელი. ზოგჯერ კარგად გამომშრალი შავი პური აქვთ, ზოგჯერ ნესტიანი, სველ თიხასავით გვერობა ხელზე და პირს ვერ დააკარებ.

არ ვიცი რამდენად საკმარისია ეს ცალკეული წერილმანები, რომ დასავლელმა მკითხველმა გაიგოს, რა პირობებში უხდება ცხოვრება პეტერბურგს დღეს. ამბობენ, მოსკოვში გაცილებით მეტი მცხოვრებია, ხოლო მომარაგება ბევრად ნაკლებია პეტერბურგთან შედარებით. რა მოგახსენოთ, გარეგნულად მოსკოვს თითქოს ნაკლებად ჩამოსტირის სახე. ჩვენ ოქტომბერში ვიყავით რუსეთში. ამ თვეში იქ საკმაოდ თბილა და ნათელი დღეები დგას. ერთ დღეს ცივმა ქარმა წამოუბერა, გაყვითლებული ფოთლები ახვეტა და თოვლის ფიფქებთან ერთად ჰაერში დაატრიალა. ქალაქმა მოახლოებული ზამთრის სუნთქვა იგრძნო. აბუზული ხალხი იმზირებოდა ორმაგი ფანჯრებიდან, რომლებშიც უკვე მოესწროთ მეორე ჩარჩოს ჩასმა და შარშანდელ ამბებს გვიყვებოდა ჩვენ. შემდეგ ისევ იძალა ოქტომბერმა და დათბა.

გამომგზავრებისას დიდებული მზიანი დარი იდგა მოსკოვში, მაგრამ ზამთარი რომ გამახსენდება, გული მეღვება. თუმცა, საბჭოთა მთავრობამ ჩრდილოეთის კომუნაში დაიჭირა თადარიგი და ყველა შესაძლებელი წინასწარი ზომა მიიღო. ყველგან, სადაც კი მოხერხდა, სანაპიროზე, მთავარ ქუჩებში, ეზოებში, შეშის უზარმაზარი გროვები დაახვავეს. წინა წელს ბევრ ოჯახში ტემპერატურა ნულს ქვემოთ ჩამოვიდა, წყლის მილები გაიყინა, კანალიზაცია მოიშალა. ძნელი მისახვედრი არ არის, თუ რა შედეგი მოჰყვებოდა ამას. ხალხი ნახევრად ჩაბნელებულ ოთახებში შეყუჟულიყო და ჩაითა და საუბრით გაპქონდათ სული. ოდესმე რომელიმე რუსი მწერალი შესძლებს აგვიწეროს ის მდგომარეობა, რამაც უზარმაზარი დალი დაასვა მათ გულსა და გონებას. წლევანდელი წელი ალბათ არ იქნება ისეთი აუტანელი. ამბობენ, პროდუქტის მხრივაც საქმე უკეთააო, მაგრამ რატომღაც ძალიან მეექვსება. რკინიგზა საგალალო დღეშია, ორთქლმაფლები, რომლებიც შემას ხმარობენ საწვავად, გაცვდა და წყობიდან გამოვიდა. ქანჩები მოშვებულია და რელსები ირყევა, როცა მატარებე-

ლი საათში ოცდახუთი მილის სიჩქარით გადაივლის ზედ. რკინიგზა თუნდაც წეს-  
რიგში ყოფილიყო, ეს არაფერს შეცვლიდა, რადგან საზარეთის პროლეტარატი  
ხანია ვრანგელი დაეპატრონა. ცოტა კიდევ და პეტერბურგის შვიდასი ათასი დარჩე-  
ნილი მოქალაქის თავზე ჯერ ცივი წვიმა წამოვა, შემდეგ კი თოვლი. გრძელი ღამეები  
კიდევ უფრო გრძელდება. დღეები კი თანდათან იცრიცება.

რა არის მიზეზი შიმშილისა და ამ საზარელი დაცემულობისა, თუ არა ბოლ-  
შევიკური ხელისუფლება, იტყვიან თქვენ. მე კი ვიტყვით, რომ არა! შევეცდები  
აგინხნათ, რას წარმოადგენს საბჭოთა ხელისუფლება, თუკი შევძლებ სრულყოფილად  
დაგინახათ მდგომარეობა. ნება მომეცით, აქვე მოვახსენოთ, რომ საბრალო რუსეთს  
არ წარმოადგენს იმ ორგანიზმს, რომელსაც ვერაგულად თავს დაესხნენ და ძირს  
დასცეს. იგი დაავადებული ორგანიზმია, რომელმაც თავისი დრო მოჭამა და დაემხო.  
არა კომუნიზმმა, არამედ კაპიტალიზმმა აავიწო ეს ვეფხურთელა, წარმოუდგენელი ქა-  
ლაქები. კომუნიზმს არ ჩაუთრევია რუსეთის უზარმაზარი, ძირგამომძალი და გა-  
კოტრებული იმპერია ექვსწლიან, დამაუძღურებელ ომში. ეს ევროპული იმპერიალიზ-  
მის დამსახურებაა. დაქანცულსა და შესაძლთა სიკვდილის პირასაც მისულ რუსეთს  
არ ასვენებდა სუბსიდირებული შემოტევები, უცხოთა შემოსევები, სულს უხუთავდა-  
ულმობელი ბლოკადები, მაგრამ კომუნიზმს არც ამაში მიუძღვის ბრალი. შურისძიე-  
ბის გრძნობით შეპყრობილ ფრანგ კრედიტორსა და ყვეენ ბრიტანელ ჟურნალისტს  
ბევრად უფრო მძიმე ცოდვად აწევს ეს მომაკვდინებელი ტანჯვანი, ვიდრე რომელიმე  
კომუნისტს. მე ამ საკითხებს კვლავაც დავუბრუნდები, ახლა კი მინდა ცოტა რამ კიდევ  
გიამბოთ იმის თაობაზე, თუ რა ვნახეთ ჩვენ რუსეთში. მხოლოდ მას შემდეგ, როცა  
შეგვექმნება ფიზიკური და იდეური კონცეპცია იმაზე, თუ სად იჩენს თავს რუსეთის  
განადგურება, შეიძლება დაინახო და სწორად შეაფასო, რას წარმოადგენს ბოლშევი-  
კური ხელისუფლება.

## 2. ნაჩვენა და მხსნელი

ბევრი რამ მაინტერესებდა რუსეთის სოციალური განადგურების საზარელი  
სანახაობიდან. მათ შორის ისიც, თუ როგორ ცხოვრობდა და მუშაობდა ჩემი ძველი  
მეგობარი მაქსიმ გორკი. ამის თაობაზე ბევრს აყვებოდნენ რუსეთიდან დაბრუნებული  
მუშათა დელეგაციის წევრები, და მე კიდევ უფრო მომიინდა საკუთარი თვალით გე-  
ნახა, რა ხდებოდა იქ. ბატონ ბერტრან რასელის ჩამოტანილმა ამბავმა, გორკი ავა-  
დააო, ცოტა არ იყოს ამადელვა. საბუნდოვროდ, დაგრწუნდი, რომ ყველაფერი რიგზე  
ყოფილა. გორკი ისევვე ჯანმრთელია, როგორც 1906 წელს იყო. მისი პიროვნება კი  
გიგანტურად გაზრდილა. ბატონი რასელი წერდა, გორკი სიკვდილის პირასაა მისუ-  
ლი და რუსეთის კულტურასაც ვკონებ დიდი ხნის სიცოცხლე არ უწერიან. ვფიქრობ.  
ბატონ რასელს ხელოვანის ცდუნებამ სძლია და თავისი ნაამბობი სევდიანი, მუჭი-  
ფერებით დაასურათა. ის რომ მივიდა, გორკი იწვა და ხველის შეტევა აქონდა, ამან  
კი ფრთები შეასხა მის ფანტაზიას.

გორკის საკმაოდ უჩვეულო და თავისებური ადგილი უჭირავს რუსეთში. იგი  
ისეთივე კომუნისტია, როგორიც მე და ერთხელ ისიც გავიგონე, როგორ დატუქსა მას-  
თან ბინაზე მისული პეტერბურგის საგანგებო კომისიის თავმჯდომარე ბაკაევი და  
კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი ახალგაზრდა ხელმძღვანელი ხალევიკი უილ-

რესი შეხედულებების გამო. ეს იყო საკმაოდ თამამი გამოსვლა, რადგან გორკი ფაქტიურად კი არ კამათობდა, არამედ ბრალს სდებდა — ისიც ორი ცნობისმოყვარე ინგლისელის თანდასწრებით.

მას ეტყობა დაუმსახურებია ბოლშევიკური პარტიის უმეტეს ხელმძღვანელთა ნდობა და პატივისცემა და ახლა ახალი რეჟიმის ნახევრად კოვიციაციურ მფარველად სთვლიან. გორკიმ მშვენივრად იცის, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი დასავლეთის მეცნიერება და კულტურა; აგრეთვე ისიც, რომ თუკი რუსეთს სურს ამ შიშნის, თმისა და სოციალური ძვრების შავბნელ დღეებში შეინარჩუნოს ცხოვრების ინტელექტუალური მხარე, მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდეს დასავლეთის კულტურასთან. მის აზრს უზენინმაც დაუჭირა მხარი. გორკის შემოქმედებაში თავმოყრილია და ნათლადაა გაშუქებული მთელი რიგი მნიშვნელოვანი მოვლენები, რამაც ცხადი გახადა რუსეთში შექმნილი კატასტროფული მდგომარეობა.

გადატრიალება, რომელიც 1917 წლის ბოლოს მოხდა რუსეთში, მართლაც რომ ყველაზე ძლიერი იყო, რაც თდესმე განუცდია ჩვენი დროის რომელიმე სოციალურ სისტემას. რაკი კერენსკის მთავრობამ ვერ მოახერხა ზავის დადება, ხოლო ბრიტანეთის სამხედრო ფლოტმა ვერ შეცვალა ბალტიისპირეთის საბრძოლო მდგომარეობა, არმია დაიშალა, იარაღით ხელში იხუვლა და რუსეთისაკენ იბრუნა პირი. იარაღსაშუკული გლეხობა უდისციპლინოდ ბრუნდებოდა შინ. თან არც რაიმე იმედი მოჰქონდა და არც სასმელ-საჭმელი. ამგვარი სტიქიური უკანდახვევა საზოგადოების აბსოლუტური განადგურების ნიშანი იყო. დადგა ჟამი სოციალური რღვევისა. რუსეთის ბევრ კუთხეში აჯანყდა გლეხობა. ისინი მამულებს სწვავენ და მხეცურად უსწორდებოდნენ მემამულეებს. ამოხეთქა სასოწარკვეთილი ადამიანის სულის ბნელმა მხარეებმა და ამ ბარბაროსობაში ბოლშევიკები ისევე იყვნენ დამნაშავენი, როგორც, ვთქვათ, ავსტრალიის ხელისუფალნი. პეტერბურგისა და მოსკოვის ქუჩებში ღლისით, მზისით ხალხს ისე დაესხმოდნენ თავს და გაძარცვავდნენ, კაცი არ ჩაერეოდა საშველად. მოკლულთა გვამები უპატრონოდ ეყარა გზისპირა წყალსადენ თხრილებში. მთელი ღღესე გავიდოდა, არავინ შეჩერდებოდა მათთან. შეიარაღებული ადამიანები წითელგვარდიელების სახელით ბინებში იჭრებოდნენ, ძარცვავდნენ და ჟლეტდნენ. 1918 წლის პირველ თვეებში ბოლშევიკურ მთავრობას ბრძოლა უხდებოდა არა მარტო კონტრრევოლუციონერებთან, არამედ ყველა ჯურის ქურდ-ბაცაცებსა და ავაზაკებთან.

მხოლოდ 1918 წლის ზაფხულში, მას შემდეგ, რაც ათასობით თავზე ხელაღებული მოთარეშე სიკვდილით დასაჯეს, როგორც იქნა სიმშვიდემ დაისადგურა რუსეთის დიდ ქალაქებში. დროის გარკვეულ მონაკვეთში რუსეთი ცივილიზებული ქვეყანა კი აღარ იყო, არამედ უკანონო ძალმომრეობის ერთგვარი სტიქიური ნაკადი, ხოლო გამოუცდელი მმართველებისაგან შემდგარი უსუსური მთავრობა ცალკე უცხოელ ინტერვენტებს უნდა გამკლავებოდა და ცალკე შიდა არეულობას. რუსეთი ჯერჯერობით მთლად არ გამოსულა ამ ქაოსური მდგომარეობიდან.

მეცნიერება, ლიტერატურა და ხელოვნება, ანუ ცხოვრების ის დახვეწილი და ნატიფი მხარე, რასაც ჩვენ ცივილიზაციას ვუწოდებთ, ახლა მთლიანად ჩაინთქა საყოველთაო კატასტროფაში. რუსული კულტურიდან მხოლოდ თეატრილა შემორჩა. ყველა თეატრი ხელუხლებლად დგას თავის ადგილზე, არც არავის გაუძარცვავს და არც არავის უცდია მისი დანგრევა. მსახიობებიც ძველებურად იყრიან თავს და მუშაობენ. სახელმწიფო სუბსიდიის ტრადიციები ძალაში დარჩა. საოცარია, რომ რუსეთის დრამატულმა და საოპერო ხელოვნებამ უვნებლად გამოიარა ყველა ქარ-

ცეცხლი და დღემდე უცვლელად შემორჩა. პეტერბურგში ყოველდღიურად ორმოცეუ-  
მეტი წარმოდგენა იმართებოდა. მოსკოვშიც ასევე. ჩვენ მოვისმინეთ უდიდესი მსა-  
ხიობისა და შემსრულებლის შალიაპინის გამოსვლა „სევილიელ დალაქში“ და  
„ხოვანშჩინაში“. ბრწყინვალე ორკესტრის მუსიკოსები ნაირფერად მორთულიყვნენ.  
ღირიქორს კი ჩვეულებისამებრ ფრაკი ეცვა და თეთრი ბაფთა ეკეთა. უნახვით „სადა-  
კო“, აგრეთვე „უფლისწული ალექსი“ და „ოტელო“ მონახოვის რეჟისორების  
(გორკის მეუღლე ქ-ნი ანდრეევა დაუდემონას როლს ასრულებდა). თუ კრემლში, კარ-  
მოდგენის მსვლელობისას სცენას რომ შესტყერი, ისეთი გრძნობა გეუფლება, თითქოს  
რუსეთში არაფერი შეცვლილა. მაგრამ, როგორც კი ფარდა დაეშვება და დარბაზის-  
კენ მიტრიალდები, მაშინვე იგრძნობ რევოლუციას. პარტერსა და ლოქებში სადღა  
ნახავთ ბრწყინვალე მუნდირებსა და ლამაზ კაბებში გამოწყობილ აუდიტორიას. ახ-  
ლანდელი მაყურებლები ის ადამიანები არიან, რომელთაც ყოველ ფენის ნაბიჯზე  
ხვდები — ყურადღებიანი, ვულკეთილნი, მხიარულნი და ცუდად ჩაღმულნი. ლონდონის  
თეატრების მსგავსად, ვისაც რა ადგილი შეხვდება, იქ უნდა დაჯდეს. ბილეთები ხში-  
რად უფასოა. ერთ რომელიმე წარმოდგენაზე ბილეთებს ურიგებენ ვთქვათ პროფკავ-  
შირებს, მეორეზე — წითელარმიელებს და მათ ოჯახებს, შემდეგზე — სკოლის მოსწავ-  
ლეებს და ასე შემდეგ. ხანდახან ბილეთები ფასიანია. თუმცა ეს ძალიან იშვიათად  
ხდება.

შალიაპინის გამოსვლა ლონდონშიც მოვისმინე, მაგრამ მაშინ პირადად არ გავ-  
ცნობივარ. ამჯერად პეტერბურგში გავიცანი ისიც, მისი შესანიშნავი ოჯახიც და  
ვისადილვთ კიდევ მათთან. შალიაპინს ორი უკვე მოზრდილი გერი და ორი პატარა  
ქალიშვილი ჰყავს, რომლებიც კარგა გამართულად, ამასთანავე გრამატიკულადაც  
სწორად ლაპარაკობენ ინგლისურად; უმცროსს ცეკვაც ლაზათიანი ეხერხება. შალია-  
პინი თანამედროვე რუსეთში ერთ-ერთი ყველაზე გასაოცარი მოვლენაა. იგი ხელო-  
ვანიცაა და, ამასთანავე, შეუდრეკელი და დიდებული პიროვნებაც. ცხოვრებაში ისე-  
თივე მხიარული და იუმორით აღსავსეა, როგორც ჩვენი ბირბომი. ამბობენ, შალია-  
პინი არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდება იმღეროს, თუკი თითოეულ წარმოდგე-  
ნაში ორას ათას მანეთს არ გადაუხდებინო. ეს ჩვენს ფულზე დაახლოებით თხუთმეტ  
გირვანქა სტერლინგს უდრის. როცა განსაკუთრებით სიძვირეა, მაშინ მოითხოვს ფუ-  
ლის მაგივრად ფქვილი, კვერცხი ან რაიმე ამგვარი მომეცითო. რასაც მოითხოვს,  
ულაპარაკოდ უხდებინ, რადგან მისი განდგომა პეტერბურგის თეატრს აუნაზღაურე-  
ბელ დანაკლისს განაცდევინებს, ასე რომ, მისი ოჯახი დღესდღეობით ყველაზე შეი-  
ლებული ოჯახია მთელ რუსეთში. ქ-ნ შალიაპინსაც არ დასტყობია რევოლუცია, რად-  
გან გვეკითხა, როგორია ტანსაცმლის თანამედროვე მოდა ინგლისშიო. მისი მოდების  
ეურნალი 1918 წლის დასაწყისისა იყო, რადგან ბლოკადის შემდეგ აღარ იშთვებოთა.

თეატრს შედარებით გაუდიმა ბედმა, ხელოვნების სხვა დარგებისათვის, სახელ-  
დობრ, მთელი ლიტერატურისათვის და მეცნიერებისათვის 1917-18 წლების კატას-  
ტროფა საბედისწერო აღმოჩნდა. ვიღას შეუძლია წიგნებისა და სურათების ყიდვა.  
მეცნიერი მუშაკები ხუთასჯერ ნაკლებ ხელფასს იღებენ წინანდელთან შედარებით.  
ახალი, ჯერ კიდევ თითქმის განუვითარებელი საზოგადოებრივი წყობა ქურდობის,  
ბარბაროსობისა და საშინელი არეულ-დარეულობის წინააღმდეგ ბრძოლას უნდებოდა  
და მეცნიერება აღარც ახსოვთ. საბჭოთა მთავრობა ისევე ყურადღებიანია მეცნიერთა  
მიმართ, როგორც საფრანგეთის სულ პირველი რევოლუცია, რომელსაც „არაფრად  
სჭირდებოდა ქიმიკოსები“. მეცნიერები, ნებისმიერი ცივილიზებული ქვეყნის აუცი-

ლებელი საარსებო ელემენტები, უკიდურესი სილატაკისა და გაჭირვების პირას არიან მისული. გორკი მთელი თავისი ძალ-ლოხით იბრძვის მათ საშველად და გადასარჩენად. პირითადად მისი დამსახურებაა ისიც, რომ ბოლშევიკურმა მთავრობამ ჩამოაყალიბა „მხსნელ“ დაწესებულებათა მთელი ჯგუფი. მათ შორის ყველაზე სრულყოფილი და საქმიანი პეტერბურგის მეცნიერთა სახლია, რომელიც იმპერატორის ასულის მარია პავლოვნას ძველთაძველ სასახლეშია მოწყობილი. აქ შედგენილია მანუილდებამ პროდუქტი ოთხი ათას მეცნიერსა და მათ ოჯახებზე, — სულ 111 დასახლებით ათი ათას კაცზე. ამას გარდა, აქვე არის აბანო, საპარიკმახერო, სამკერვალო, შემკეთებული სახელოსნო და სხვა მომსახურებანი. აქვეთ აგრეთვე ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის უმნიშვნელო მარაგი. საავადმყოფოს მსგავსი განყოფილებაჲ კი მოაწყვეს დაუძღურებულთა და ავადმყოფთათვის.

რუსეთში ყოფნისას უცნაური შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ერთი ასეთი საავადმყოფოს ნახვამ, სადაც იწვნენ რუსეთის მეცნიერული სამყაროს გადაქანცული და დაბეჩავებული წარმომადგენელნი. აქ ვნახე აღმოსავლეთმცოდნე ოლდენბურგი, გეოლოგი კარპინსკი, ნობელის პრემიის ლაურეატი პავლოვი, რადლოფი, ბელოპოლსკი და სხვა მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერები. მათ მომაყარეს უთვალავი კითხვები, თუ რა პროგრესს განიცდის თანამედროვე მსოფლიო მეცნიერება რუსეთის ფარგლებს გარეთ და, ჩემდა სამარცხვინოდ, საშინელი უვიცობა გამოვიჩინე. ეს რომ გამეგალოსწინებინა, აუცილებლად წამოიბოძბდი მასალაებს. ჩვენმა ბლოკადამ მათ გზა გადაუჭრა საზღვარგარეთული მეცნიერული ლიტერატურისაკენ. მათ არც ახალი ინსტრუმენტები გააჩნიათ, საწერი ქალაქი კი არა აქვეთ, ლაბორატორიებში საყინულესავით ცივა. საოცარია, როგორ ახერხებენ საერთოდ მუშაობას. მუშაობით კი ნამდვილად მუშაობენ. პავლოვი მაგალითად განსაცვიფრებელსა და მსოფლიო მნიშვნელობის ექსპერიმენტებს აწარმოებს ცხოველთა უმაღლესი ნერვული სისტემის მოქმედებაზე. მანუხინი ამტკიცებს, უებარი საშუალება გამოვიგონე ტუბერკულოზის საწინააღმდეგოდ, თუნდაც უკვე დაგვიანებულ სტადიაში იყოს, და სხვათაგან. მე წამოვიღე მანუხინის შრომების დასკვნები გამოქვეყნების მიზნით. მთარგმნელები უკვე მუშაობენ მათზე. მართლაც რომ საოცარი რამაა მეცნიერული სულისკვეთება. თუ პეტერბურგს შინშილი ელის ამ ზამთარს, მაშინ მეცნიერთა სახლსაც იგივე ემუქრება, თუკი ჩვენ რაიმე ხერხს არ მივმართეთ და არ დავეხმარეთ, თუმცა მათ ხეირიანად არც უკითხიათ შეგვიძლია თუ არა როგორმე მივაწოდოთ პროდუქტი. ლიტერატურისა და ხელოვნების სახლში ცოტას ბუზღუნებდნენ, ხელმოკლედ ვართ და გვიჭირსო. მეცნიერებს კი კრინტიც არ დაუძრავთ ამაზე. მათ მხოლოდ ის სურთ, რომ სათანადო ლიტერატურა ხელმისაწვდომი იყოს, რადგან მათთვის ცოდნა უფრო ძვირფასია, ვიდრე პური. რახან ასეა, ვეცდები როგორმე დავეხმარო მათ. ჩემი რჩევით ჩამოაყალიბეს კომიტეტი, რომელმაც შეადგინა ყველა საჭირო წიგნისა და ჟურნალის სია. ეს სია თან წამოვიღე და ლონდონის სამეფო საზოგადოების მდივანს გადავეცი. მან უკვე დღის წესრიგში დააყენა საკითხი. ამისათვის საჭირო იქნება გარკვეული რაოდენობის ხარჯები, დაახლოებით სამი ათასი გირვანქა სტერლინგი (ლონდონის სამეფო საზოგადოების მდივნის მისამართია: ბერლინგტონ ჰაუსი, უესტი). ბოლშევიკური მთავრობისა და ჩვენი მთავრობის ნებართვა რუსეთის სულიერ სფეროში ბოიკოტის თაობაზე უკვე მიღებულია და ახლო მომავალში წიგნების პირველი პარტია გაიგზავნება იმ ადამიანებთან, რომლებიც დიდი ხნის მანძილზე მოწყვეტილნი იყვნენ მსოფლიოს ინტელექტუალურ ცხოვრებას.

რუსეთში მოგზაურობისას მიღებულ სხვა სიამოვნებაზე რომ აღარაფერი ვთქვა, მარტო ის სიხარული და იმედი რად ღირს, რაც ჩვენმა დანახვამ მისცა მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების გამოჩენილ ადამიანებს. ბევრ მათგანს იმედის ნატა-მალიც კი აღარ ჰქონდა, რომ რაიმეს ნახავდა ან გაიგებდა საზღვარგარეთიდან. ისინი ხომ სამი უსასრულო და პირქუში წლის განმავლობაში გამოკეტილნი იყვნენ ამ სამ-ყაროში, რომელიც ნელ-ნელა იძირებოდა, უბედურების ერთი საფეხურიდან მეორეზე ეშვებოდა და შეუჩერებლად მიექანებოდა კონაპეტი წყვდიადისაკენ. ჩემამდე შეიძ-ლება უნახავთ კიდევ რუსეთში სტუმრად ჩამოსული რომელიმე პფუფტიკოვი-ფეფე-გაცია, ეს მე არ ვიცი, ის კი ვიცი, რომ არაფრით არ უგონათ, თუ ნახავდნენ ყვე-ლასაგან დამოუკიდებელ ადამიანს, რომელიც სრულიად თავისუფლად, ყოველგვარი სიძნელეების გარეშე მოვიდოდა მათთან ლონდონიდან და როგორც მოვიდოდა ასევე თავისუფლად უკანაჲ დაბრუნდებოდა მათთვის უკვე დაკარგულ დასავლეთის სამყა-როში. ეს ისევე მოულოდნელი იყო, როგორც ვთქვამთ, საპატიმროს საკანში ვინმე სასტიკრით გამოსულმა ადამიანმა რომ შემოიხედოს.

ნებისმიერი მუსიკის მოყვარული ინგლისელი კარგად იცნობს გლაზუნოვის შე-მოქმდიობას. იგი რამოენჯერმე ღირიჟორობდა ლონდონის ორკესტრს და ლონდონისა და კემბრიჯის უნივერსიტეტების საპატიო დოქტორის წოდებაც მიიღო. მისმა გაცნო-ბამ, ცოტა არ იყოს, ამბულევა. მე იგი საკმაოდ მოსული და ლოყებლაჲა ადამიანი მახსოვდა. ახლა კი გაფითრებულა და ისე გამხდარა, რომ ტანსაცმელი ნათხოვარივით ჰკიდია ტანზე. მოვიდა თუ არა, მაშინვე ის მკითხა, ჩემი შეგობრები, სერ ჰუბერტ პერი და სერ ჩარლზ ვილერს სტენფორდი როგორ არიანო. მერე მითხრა, მუსიკას ისევ ვთხზავ. მაგრამ სანოტო ფურცლები მითაფობათ. მექს ველარ ვიშოვიო. მე ვუთხა-რი, ჭალაღდი რამოენიც გნებავთ იმდენი იქნება და თანაც ძალიან მალე-მეთქი. მიპა-სუხა, ვჭვი მეპარებაო. შემდეგ გაიხსენა ლონდონი, ოქსფორდი. მელაპარაკებოდა და ვფიქრობდი, როგორ მოსწყურობოდა ხალხმრავალი, მჩქეფარი სიცოცხლით სავსე დიდი ქალაქი, სადაც ყველაფერია: ხალხი, რომელიც მიიღებს მას, აუდიტორია, რომელიც გაჩახჩახებულ დარბაზში გულთბილად შეხვდება. ჩემი იქ ყოფნა თითქოს ცო-ცხალი სიმბოლო იყო იმისა, რომ სადღაც ჯერ კიდევ არსებობს ამგვარი ქალაქები. მან ზურგი შეაქცია ფანჯარას, საიდანაც სალამოს ბინდში მიტოვებულივით მოჩანდა ცივი, ნაცრისფერი ნევა და პეტრე-პავლეს ციხე-სიმაგრის გაურკვეველი კონტურები. „ინგლისში ალბათ არ მოხდება რევოლუცია, არა? მე ბევრი მეგობარი მყავდა ინგ-ლისში — ბევრი გულითადი მეგობარი“... მიმძიმდა მასთან განშორება. ვატყობდი, მასაც უჭირდა ჩემი გაშვება.

შევყურებდი ყველა ამ გამოჩენილ ადამიანს, რომელიც თითქოსდა ლტოლვილი-ვით შეჰკედლებოდა განადგურებული იმპერიალისტური სისტემის უბადრუკ ნანგრე-ვებს და ვგრძნობდი, რა უმწეოა უბადლო ნიჭით დაჯილდოვებული ადამიანი, რა მჭიდროდაა იგი დაკავშირებული ცივილიზებული საზოგადოების სიმტკიცესთან. ჩვე-ულგებრივი ადამიანი თავისუფლად გადავა ერთი საქმიდან მეორეზე. იგი მეზღვაურიც გახდება, ფაბრიკის მუშაც, მიწის მთხრელიც და ყველაფერი, რაც გნებავთ. მისთვის მთავარი ისაა, რომ მუშაობდეს. მას არ აწუხებს ის შინაგანი დემონი, რომელიც აიძუ-ლებს, უნდა თუ არა, ერთი რაიმე გარკვეული საქმე აკეთოს და სხვა არაფერი. ან ეს აკვიატებული საქმე და ან სიკვდილი. შალიაპინი ან მხოლოდ შალიაპინი უნდა იყოს და ან სულ არაფერი. პავლოვი — პავლოვი, გლაზუნოვი — გლაზუნოვი. ვიდრე ამ ადა-მიანებს შეეძლებათ თავიანთი საქმით იცხოვრონ, ისინი იარსებებენ და სრულყოფილ-



და ნაწყვეტ-ნაწყვეტად მიმდინარეობს. ვერ გამიგია, როგორ მოახერხებენ რუს ხალხს ეს მსოფლიო ლიტერატურა მიაწოდონ. წიგნის მალაზიები დაკეტილია და წიგნის ყიდვა-გაყიდვა ნებადართული არ არის, რადგან ნებისმიერი ვაჭრობა სასტიკად აკრძალულია. წიგნებს ალბათ სკოლებსა და სხვადასხვა დაწესებულებებს დაუბრუნებენ.

წიგნების განაწილებამ აშკარად დააბნია ბოლშევიკური მთავრობა. ისინი ბევრ სხვა მსგავს სიძნელეებშიც ვერ გარკვეულან. ჩანს, მარქსისტულ კომუნისმის საზოგადოების ინტელექტუალური განვითარების თაობაზე არც რაიმე წარმოდგენა აქვს და არც არავითარი გეგმები გააჩნია. მარქსისტული კომუნისმი იყო და არის რევოლუციური თეორია, რომლისთვისაც არა მარტო უცხოა შემოქმედებითი აზროვნება, არამედ მტრადაც კი ეკიდება მას. კომუნისტები თავიანთ ავტორებს ასწავლიან სძულდეთ „უტოპიზმი“ და ამგვარად გონივრული დაგეგმარების წინააღმდეგ გამოდიან. ძველი ინგლისელი ბიზნესმენიც კი არ იყო ასე ღრმად დარწმუნებული, საქმე თავისით სოფარდება და „მიფუჩჩდებაო“, როგორც ეს მარქსისტები. რუსეთის კომუნისტური პარტიის წინაშე უამრავ სერიოზულ პრობლემებს შორის წამოიჭრა ისეთი საკითხებიც, როგორიცაა მეცნიერული მუშაობის, აზრთა გაზიარების და პოლემიკის შენარჩუნება, აგრეთვე მხატვრული შემოქმედების მხარდაჭერა. მარქსი წინასწარმეტყველი და მისი საღმრთო წერილი არაფერს გვეუბნება ამის თაობაზე. ბოლშევიკებს არავითარი პროგრამა არ გააჩნიათ, ამიტომ შემოქმედებითი ფანტაზია უნდა მოიშველიონ და რადაც არ უნდა დაუჯდეთ, შეინარჩუნონ ძველი წყობილების ინტელექტუალური ცხოვრება, რომელიც სულს ღაფავს და საცაა ხელში შემოაკვდებათ კიდევ.

მაქსიმ გორკი ცდილობს იხსნას არა მარტო რუსული მეცნიერება, მისი მუშაკები და მათი მოღვაწეობა, არამედ მჭიდრო კავშირი აქვს კიდევ ერთ საკმაოდ უცნაურ „მხსნელ“ ორგანიზაციასთან. ეს გახლავთ საექსპერტო კომისია, რომელსაც ბრიტანეთის საულჩოს ყოფილი შენობა უკავია. როდესაც ირღვევა კერძო საკუთრებაზე დაყრდნობილი საზოგადოება, მაშინვე უქმდება არსებული კერძო საკუთრება, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ უკვალოდ და უმისამართოდ ქრება და იკარგება ყველა ის ნივთი, რომელიც კერძო საკუთრებას წარმოადგენდა. სახლები, მთელი თავის მოწყობილობით ისევ ძველ ადგილზე დგას და შიგაც ყოფილი პატრონები ცხოვრობენ, იმ ხალხის გარდა, რომლებიც გაიქცნენ. ბოლშევიკური მთავრობა ახდებს რეკვიზიციას ან ეპატრონება მიტოვებულ სახლებს. აი აქ კი თავისთავად იბადება კითხვა, რა უყონ საკუთრებას. ვინც კი ადამიანის ბუნებას იცნობს, არ გაუჭირდება გაიგოს, რომ არსებობს გარკვეული სახის მიმზიდველი ნივთები, რომელთა გამო შესაძლოა სულმა წასძლიოს არა მარტო თანამედრობის პირთ, არამედ მათ ცოლებსაც, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ბოლშევიკური სული მეტისმეტად პატიოსანად ბუხებისაა და ელო უსიგდება ვერც ბარბაროსობასა და ვერც მითვისების მსგავს რაიმე გამოვლინებას. კატასტროფის იმ პირველი დღეების შემდგომ მნიშვნელოვნად შემცირდა ყოველგვარი ბარბაროსობა პეტერბურგსა და მოსკოვში. 1918 წლის გაზაფხულზე კი მოსკოვში წესი აუღეს ბანდიტიზმს.

იმ სახლებში, სადაც სტუმრებს აბინავებენ, და სხვა მსგავს ადგილებში ყველაფერი დანომრილია და დავთრებშია შეტანილი. ხანდახან წავაწყდებოდით ხოლმე თითო-ორთა ბროლის ჭიქას ან ვერცხლის დანა-ჩანგალს რაიმე საგვარეულო ღვინით, რომელიც მაშინვე თვალში გვეცემოდა და თითქოს გვეხამუშებოდა. ამგვარ ნივთებს უმთავრესად პროდუქტებზე ცვლიდნენ. იმ მეზღვაურს, რომელიც მოსკოვში გამოგვაყოლეს, რათა ჩვენს კეთილდღეობაზე ეზრუნა, არაჩვეულებრივი ვერცხლის ჩაიდან

ჰქონდა, რომელიც ალბათ ოდესღაც რომელიმე მომხიბვლელ სუფრას ამშვენებდა. ახლა კი სავსებით სამართლიანად სახალხო საკუთრებად ქცეულიყო.

საექსპერტო კომისია დაცვის მიზნით არჩევს და კატალოგში შეაქვს ხელოვნების ნებისმიერი ნაწარმოები. ბრიტანეთის ყოფილი საელჩოს სასახლე ახლა ბრომფტონ როუდზე მოთავსებულ ანტიკვარულ მაღაზიას დამსგავსებია. ჩვენ ვნახეთ უამრავი ოთახები, რომლებიც პირთამდე აუვსიათ ძველი რუსეთის ლამაზი ნაწარმებით. დიდი დარბაზები ქანდაკებებისთვის დაუთმიათ. არსად, თვით ნუახლოვან მიწებშიც კი არ შინახავს ერთად თეთრი მარმარილოს ამდენი ვენერა და სილფიდა. რა ჟანრის სურათი გინდა, აქ რომ არ ნახავ. დერეფნებში თითქმის ჭერამდე ერთიმეორეზე დაუწყვიათ ინკრუსტირებული კოლოფები. ერთ ოთახში ძველებური მაქმანებით სავსე ყუთები დგას, მეორეში შესანიშნავი ავეჯი დაუხვავებიათ. ყველაფერი ეს აღწერილია და სიაშია შეტანილი. ეს არის და ეს. ვერ იქნა და ვერ მოვასერხე იმ ადამიანის პოვნა, რომელსაც ეცოდინებოდა რას უპირებდნენ ამ საუცხოო ხარახურას. ახალ წყობილებას ისინი ამკარად არ შეეფერებოდნენ, თუკი ბოლშევიკები მართლაც ფიქრობენ ააშენონ ახალი წყობილება. ეს პრობლემა საკმაოდ მოულოდნელად წამოიჭრა მათ წინაშე. არც იმაზე უფიქრიათ წინასწარ, რა უყონ იმ მაღაზიებსა და ბაზრებს, რომლებსაც ვაჭრობა აუკრძალეს. არც ის მოუფიქრებიათ, რა გზით უნდა მოხდეს, რომ ქალაქი, სადაც ამდენი საკუთარი სასახლეებია, კომუნისტების ადგილსამყოფელად იქცეს. მარქსისტულმა თეორიამ მათ წარმოდგენაში დასახა „კლასობრივად შეგნებული პროლეტარიატის დიქტატურა“ და შემდეგ სიტყვა გადაუკრა, როგორც ჩანს, საკმაოდ გაურკვეველად, იმაზეც, რომ ახალი ზეცა და ახალი დედამიწა გელითო. ასე რომ მომხდარიყო, ეს მართლაც გადატრიალება იქნებოდა კაცობრიობის ისტორიაში. რუსეთში კი ისევ ძველი ზეცა და ძველი მიწა დაგვიხვდა, ოღონდ ახლა ნანგრევებით, მიგდებული რელიქვიებითა და ძველი წყობის ნარჩენებით სავსე. გლეხი კაცი ისევ ჯიუჭად ჩაფრენია თავის მიწას, ქალაქებში კომუნისში მოკალათებულა, და თუმცა გულმოდგინედ და საკმაოდ პატიოსნად მართავს მას, მაინც იმ ჯამბაზს მოგაგონებს, რომელსაც მტრედი და კურდღელი შინ დარჩენია და ახლა არ იცის რა ამოაცოცოს თავისი ქუდიდან.

განადგურება — აი რა იგრძნობა მთელ რუსეთში დღეს. რევოლუცია და კომუნისტური მთავრობა, რომელთაც მე მთელს შემდეგ თავს ვუთმობ, მეორეხარისხოვანი მოვლენა გახლავთ. ეს არის ის, რაც განადგურებამ შექმნა, ანუ შედეგი განადგურებისა. ეს სწორად უნდა გაიგოს დასავლელმა ხალხმა. მსოფლიო ომი თუნდაც ერთ წელს კიდევ რომ გაგრძელებულიყო, გერმანიაც და მისი მოკავშირენიც ალბათ რუსეთის დღეში აღმოჩნდებოდნენ, რასაკვირველია, თავისი, ნაციონალური თავისებურებებით. რაც რუსეთში მოხდა, სხვა არაფერია, თუ არა ის, რისკენაც 1918 წელს ჰქონდა ბრიტანეთს გეზი აღებული. რუსეთთან შედარებაც არ შეიძლება, მაგრამ ინგლისმაც საკმაოდ განიცადა სურსათის ნაკლებობა. სურსათს აქაც ბარათებით არიგებენ, მაგრამ ინგლისთან შედარებით ნაკლებს აძლევენ. ქორვაჭრებს რუსეთში არ აჯარიმებენ, პირდაპირ ხვრეტენ, ხოლო ინგლისური D. O. R. A. ნაცვლად (საზოგადოების დაცვის კანონი) საგანგებო კომისია მოქმედებს. ის, რაც ინგლისში სუსტადაა გამოხატული, რუსეთში სავალალო მდგომარეობამდე მიხულა. განსხვავება ეს არის, სხვა არაფერი. რამდენადაც ვიცი, დასავლეთ ევროპა დღესაც ამ საშიშროების მიჯნაზეა. სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ კრიზისი ჯერ არ ჩამცხრალა. ომი, გაფლანგვა, სპეკულაცია — გაცილებით მეტს შთანთქავს იმაზე, რასაც დასავლეთის წარმოება იძლევა.

როგორ გამოვლინდება კატასტროფა ჩვენთან — ფულის გაუფასურებით, მოხმარების საგნების უკმარისობით თუ სოციალ-პოლიტიკური კრიზისით — ამას დრო გვიჩვენებს. რიჟენტ სტრიტის მალაზიებს ნევის გამზირის ბუდი ელით, ხოლო ბატონი გოლზუ-ორთი და ბენეთი იძულებული გახდებიან შექმნან მხსნელი ორგანიზაციები მეიფერის საუნჯეთა გადასარჩენად. მტკიცება იმისა, რომ რუსეთის დღევანდელი სავალალო სიტუაცია მხოლოდ და მხოლოდ კომუნისტების ბრალია, იმ საზისტრუქტურულ ტენიანობის, რომლებმაც ამ დღეში ჩააგდეს რუსეთი და რომ კომუნისტების მთავარი და ყველაფრისა და ყველას გაბედნიერება ერთი იქნება რუსეთში, — ეს არის საერთაშორისო მდგომარეობის გაყალბება და პოლიტიკურ მოღვაწეთა წევდომაში შეყვანა. რუსეთი ამ გასაჭირში ჩააგდო მსოფლიო ომმა და მმართველობის სათავეში მოქცეული ადამიანების მორალურმა და გონებრივმა ჩამორჩენილობამ. (იგივე შეიძლება დაემართოს ჩვენს დიდ ბრიტანეთს და, შესაძლოა, შეერთებულ შტატებსაც). ვიდრე მეტისმეტად არ შეტოპეს, ვერ მიხვდნენ დროზე შეუწყვიტათ ომი, არ გაენიავებინათ ქონება, და სხვის უბედურებაზე, არ აეგოთ საკუთარი ბედნიერება, მართავენ, ღარიბდებოდნენ და ერთმანეთს ჭამდნენ, იმას კი ვერ ამჩნევდნენ, რომ უფსკრულის პირას იდგნენ და იღუპებოდნენ და აი, როგორც შემდეგ სტატიაში ვიამბობთ, მოვიდნენ კომუნისტები...

### 3. გოლზუორთის კვინგსენსია

წინა ორ სტატიაში მე შევიცადე მკითხველისათვის მეჩვენებინა, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე პეტერბურგისა და მოსკოვის ცხოვრებამ, რა სანახავია განადგურება, განადგურება იმ პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიური სისტემისა, რომელიც ძალიან მიაგავდა ჩვენსას, ოღონდ გაცილებით სუსტი და გახრწნილი იყო ჩვენსაზე. მან ვეღარ გაუძლო ექვსწლიანი ომის სიმძიმესა და უნიჭო ხელისუფალთ. გადატრიალება 1917 წელს მოხდა, როცა გონებაშეზღუდული ცარიზმი ყოვლად აუტანელი შეიქნა. მთელი ქვეყანა გაადარბია, ვეღარც არმია დაიჭირა ხელში და ხალხის ნდობაც დაკარგა. პოლიცია დაკნინდა და ძალმომრეობისა და ბარბაროსობის რეჟიმამდე დავიდა. განადგურება გარდუვალი გახდა.

უკეთესი მთავრობა არ არსებობდა. საუკუნეების მანძილზე ცარიზმის მთავარი მიზანი იყო ყოველნაირად ჩაეხშო სხვა რომელიმე მთავრობის არსებობის შესაძლებლობა. რაკი შემცვლელი არ ჰყავდა, კარგი იყო თუ ცუდი, დიდხანს გაიტანა თავი. პირველმა რევოლუციამ მთელი ქვეყანა პოლემიკის კერად აქცია. უმოქმედო და პასუხისმგებლობის გრძნობას მოკლებულმა ლიბერალურმა ძალებმა ერთი აურზაური ატეხეს. ბჭობდნენ, რა ბუდი ელის რუსეთს, გახდება იგი კონსტიტუციური მონარქია, ლიბერალური რესპუბლიკა, სოციალისტური ქვეყანა თუ რაიმე სხვათ. მათი მამამთავარი „კეთილშობილი ლიბერალი“ კერენსკი გახლდათ. გაჩნდნენ უამრავი საექვო ავანტურისტები და ვითომდა „ძლიერი პიროვნებები“, რუსი ბერები და რუსი ბონაპარტები. სოციალური წყობის ყოველგვარი ნარჩენი აღიგავა პირისაგან მიწისა. 1917 წლის მომდევნო თვეებში ქურდობა და კაცისკვლა ისეთივე ჩვეულებრივი მოვლენა გახდა პეტერბურგსა და მოსკოვში, როგორც ავტომობილის კატასტროფა ლონდონის ქობიბაი, ოოთნო იქ ამას აითევ უფრო ხალხი სორათლებას აქცევდნენ. რეველიდან მომავალ გემზე შევხვდი „ამერიკენ ჰარვესტენ კომპანის“ ყოფილ წარმომადგენელს რუსეთში. იგი მოსკოვში შეესწრო მომხდარ გადატრიალებას.

ნახა, როგორ ესხმოდნენ თავს დღისით, მზისით ხალხმრავალ ქუჩებში ადამიანები ერთმანეთს. როგორ უპატრონოდ ეყარა მოკლულთა გვამები გზისპირა თხრილებში, ხალხი კი ისე გულგრილად უვლიდა გვერდს, როგორც ჩვენთან მკვდარ კატას აუვლიან.

ამ ციებ-ცხელებით შეპყრობილსა და დაუძლურებულ ქვეყანაში მოდიოდნენ და მოდიოდნენ ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენელი. მათ არ ესმოდათ რაოდენ სავალალო მდგომარეობა ჰქონდა რუსეთს, რადგან ომის გარდა სხვა არაფერი აინტერესებდათ და დაბეჯითებით მოითხოვდნენ, ბრძოლას ნუ შეწყვეტთ, ხელახალი დარტყმები აგვემეთ გერმანიასო. ხოლო, როდესაც გერმანელებმა ბალტიისპირეთის ქვეყნებიდან და ზღვიდან შეუტიეს პეტერბურგს, ბრიტანეთის ფლოტმა ვერაფერი დახმარება გაუწია, არ ვიცო სიმხდალით მოუვიდა ეს თუ როიალისტების ხრიკების ბრალია. ამასვე ამბობდა აწ განსვენებული ლორდი ფიშერიც. აი ამგვარად მოხდა, რომ ამ ბედშაჟ, მომაკვდავსა და თითქმის გრძნობადაკარგულ ქვეყანას ნელ-ნელა უახლოვდებოდა ჟამი აღსასრულისა.

მთელ რუსეთში და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ, რუსულ ენაზე მეტყველ ხალხს შორის არსებობდა კატეგორია ადამიანებისა, რომელთაც საერთო იდეები, საერთო რწმენა და ნებისყოფა გააჩნდათ — ეს იყო კომუნისტური პარტია. იმ დროს, როდესაც რუსი ხალხის მეტი წილი ან პასიურობდა, როგორც მაგალითად გლეხობა, ან უსაქმოდ ლაყობდა, ან კიდევ ძალმომრეობდა თუ შიშისაგან ცანცახებდა, რწმენით აღსავსე კომუნისტები სამოქმედოდ ირაზმებოდნენ. რიცხოვრივად ბევრნი არ იყვნენ და არც ახლა არიან ბევრნი. დღესდღეობით ისინი რუსეთის მოსახლეობის მხოლოდ ერთ პროცენტს შეადგენენ. პარტია ექვსასი ათასი წევრისაგან შეესდგება, აქედან მხოლოდ ას ორმოცდაათი ათასი თუ იქნება აქტიური. და მაინც, იმ შავბნელ დღეებში, ეს იყო ერთადერთი ორგანიზაცია, რომელსაც ჰქონდა მოქმედების ერთიანი გეგმა, ერთიანი პროგრამა და გამსჭვალული იყო ურთიერთნდობით. იგი იყო და არის რუსი ხალხის სოლიდარობის ერთადერთი გამოხატულება. საექვო ავანტურისტები, როგორცაა დენიკინი, კოლჩაკი, ვრანგელი და სხვა მისთანები, დასავლეთის სახელმწიფოების დახმარებით ყოველნაირად აწიოკებენ რუსეთს. ამასთან არავითარი საერთო მამოძრავებელი პრინციპები არ გააჩნიათ, რომლებიც დაიცავდნენ ან გააერთიანებდნენ ხალხს. აი ვინ არიან მთავარი ბარბაროსები. კომუნისტური პარტია კი რამდენიც არ უნდა აკრიტიკოთ, თავის გარკვეული იდეების მატარებელია და დარწმუნებული იყავით, ბოლომდე იწამებს ამ იდეებს. ასე რომ, მას ვერაფერი დათრგუნავს, რადგან მორალურად სხვა არაფერია მასავით ძლიერი. კომუნისტებმა შემამულეთა მიწები დაურიგეს გლეხებს და სასწრაფოდ ზავი დადეს გერმანიასთან, რითაც გლეხების პასიური მხარდაჭერა გაინაღდეს. დიდ ქალაქებში წესრიგი დაამყარეს, თუმცა უამრავი ადამიანის დახვრეტა მოუხდათ. ხვრეტდნენ ყველას, ვისაც ნებართვის გარეშე უპოვნდნენ იარაღს. ეს იყო პრიმიტიული და სისხლიანი მეთოდი, მაგრამ საკმაოდ ეფექტური გამოდგა. ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით შექმნეს საგანგებო კომისიები; მათ თითქმის შეუზღუდავი უფლებები ჰქონდათ და წითელი ტერორით მოსპეს და გაანადგურეს ყოველგვარი ოპოზიცია. წითელი ტერორი სასტიკად და დაუზოგავად მოქმედებდა. მას ძირითადად გონებაშეზღუდული ადამიანები ატარებდნენ, გამსჭვალულნი კლასობრივი სიძულვილითა და კონტრრევოლუციის შიშით. თუმცა, მათი ფანატიზმი პატიოსნებას როდი იყო მოკლებული. გარდა ცალკეული შემთხვევებისა, ხალხის მასობრივ დახვრეტას თავისი მიზეზი და

საბოლოო მიზანიც ჰქონდა. ეს სისხლისღვრა არაფრით ჰგავდა დენიკინის უაზრო  
ხოცვა-ჟლეტას. ამბობენ, დენიკინს ბოლშევიკების წითელი ჯვარიც კი არა სწამსო.  
დღეს ბოლშევიკური მთავრობა ისევე მყარად ზის მოსკოვში, როგორც რომელიმე  
სხვა ქვეყნის მთავრობა და რუსეთის ნებისმიერი ქალაქის ქუჩებშიც ისევე უშიშრად  
შევიძლია იარო, როგორც ევროპის ქალაქების ქუჩებში. ბიზლნიუსი

საბჭოთა მთავრობამ არა მარტო მყარად მოიკიდა ფეხი და შეძლო წესრიგის  
აღდგენა, არამედ განაახლა რუსეთის ჯარი და საომარ ძალად აქცია, რაც ჭეშმარი-  
ტიტად სანაქებო მიღწევაა. რუსეთის არმია მე პირადად თითქმის არც მინახავს, რად-  
გან, რაღა დაგიმალოთ, სრულიად არ მაინტერესებდა. მოსკოვში გავიცანი ერთი წარ-  
ჩინებული ფინანსისტი, ვინმე ვანდერლიპი, რომელიც რაღაც ფინანსურ მოლაპარა-  
კებას აწარმოებდა საბჭოთა მთავრობასთან. იგი საბჭოთა ჯარების დემონსტრაციას  
დასწრებოდა და აღფრთოვანებული იყო მათი სულისკვეთებითა და აღჭურვილობით.  
მე და ჩემმა ვაჟიშვილმა ვნასეთ ფრონტზე მიმავალი რამდენიმე ნაწილი, აგრეთვე  
წვევამდელთა რაზმები და ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, რომ მათი საბრძოლო  
სულისკვეთება არაფრით ჩანოუვარდება 1917-18 წლების ინგლისელ წვევამდელთა  
სულისკვეთებას.

რანი არიან ეს ბოლშევიკები, ასე რომ მძლავრობენ რუსეთში? ბრიტანეთის პრე-  
სის უგუნურ ვერსიას თუ ვერწმუნებით, რომელიღაც იდუმალებით მოცული რასის-  
ტული ორგანიზაციის აგენტები უნდა იყვნენ. მათი ფარული საზოგადოება, ამბობენ,  
ებრაელთა, იეზუიტთა, ფრანკმასონთა და გერმანელთა გასაოცარ ნაზავს წარმოად-  
გენსო. სინამდვილეში კი ბოლშევიკების იდეებში, მიზნებსა და მეთოდებში დაფარული  
არა არის რა, ხოლო მათი ორგანიზაცია სრულიადაც არ მიაგავს რაიმე საიდუმლო  
საზოგადოებას. ჩვენ, ინგლისელები, რაღაც განსაკუთრებულად ვაზროვნებთ და იმდუ-  
ნად შორს ვართ ჭეშმარიტებისაგან, რომ ყოველი ჩვეულებრივი ადამიანური საქცი-  
ელი შეთქმულთა ხრიკებად გვეჩვენება. ვთქვათ, რომელიმე ესექსელი მუშა ალაშფოთა  
იმან, რომ ბავშვის ფეხსაცმლის ღირებულებამ იმატა და მისი მთელი კვირის ხელ-  
ფასს გადააჭარბა. მუშამ განაცხადა, ეს თაღლითობა და მუშების გაცურებააო. გაზეთი  
„ტაიმსი“ და „მორნინგ პოსტი“ ამას აუცილებლად კენიგსბერგის ან პეკინის რომე-  
ლიმე საიდუმლო საზოგადოების ვერაგულ პროპაგანდას მიაწერს. ვერ წარმოიდ-  
გენთ, სხვანაირად როგორ შეიძლება ამგვარი აზრი მოუვიდეს ადამიანს  
თავში. შეთქმულების მანია მეტისმეტად პოპულარული გახდა და ალბათ ბოდი-  
შის მოხდა დამჭირდება იმის გამო, რომ არ მივევკუთვნები მათ კატეგორიას. ბოლ-  
შევიკები, ჩემის აზრით, ზუსტად ისეთები არიან, როგორადაც მოაქვთ თავი. მეც ისღა  
დამრჩენოდა, ისე მოვპყრობოდი მათ, ვით რიგიანსა და პირდაპირ ადამიანებს  
ეკადრებათ. ისე, არც მათი შეხედულებების მომხრე ვარ და არც მათ მეთოდებს ვე-  
თანხმები, თუმცა ეს უკვე ცალკე საკითხია.

ბოლშევიკები მარქსისტი სოციალისტები არიან. მარქსი დაახლოებით ორმოცი  
წლის წინათ გარდაიცვალა ლონდონში. მისი იდეები კი ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც  
ვრცელდება და ვრცელდება. ახლა უკვე მთელ მსოფლიოს მოსდებია და ქვეყანას ვერ  
ნახავთ, სადაც თუნდ ერთი მუჭა, მაგრამ მაინც საკმაოდ მგზნებარე მიმდევრები არ  
ჰყავდეს. აბა სხვა რა შედეგი შეიძლებოდა მოპყოლოდა მსოფლიო ეკონომიკის  
დღევანდელ მდგომარეობას. ყველგან ერთი და იგივე შეზღუდული იდეები, მარქსიზ-  
მის მოკლე, ლაკონიური ფორმულირებანი. იგი კულტად იქცა, ინტერნაციონალური  
ძმობისა და ერთობის სიმბოლოდ. ბოლშევიკების იდეები გაინტერესებთ? ამისათვის

რუსული ენის შესწავლა რა საჭიროა. ლონდონის „პლებსში“, და ნიუ-იორკის „ლიბერტიონში“ სიტყვასიტყვით სწერია ის, რაც რუსულ „პრავდაში“ იხინი ყველაფერს პირდაპირ ამბობენ. ხოლო რასაც ეს მარქსისტები წერენ, ყველაფერს ცხოვრებაშიც ცდილობენ იგივე გააკეთონ.

ბიზნისისი

მე შევეცდები ყოველგვარი პირმოთნეობის გარეშე გადმოგცეთ, რა აზრისა ვარ მარქსზე. მას საშინლად მოსაწყენ ადამიანად ვთვლიდი მუდამ, ხოლო მისი ვეებურთელა, დაუსრულებელი შრომა „კაპიტალი“, რომლის მომაბეზრებელ ფოლიანტებში იგი გაუთავებლად მსჯელობს ისეთ აბსტრაქტულ ცნებებზე, როგორცაა „ბურჟუაზია“ და „პროლეტარიატი“, ამასთან ყოველ სიტყვაზე ძირითად თემას უხვევს და რალაც უინტერესო წერილმანებს იხილავს, პრეტენზიული პედანტიზმის აპოთეოზად მიმჩნია. რუსეთში ამასწინანდელ მოგზაურობამდე მაინცდამაინც არ ვმტრობდი მარქსს. ეს იყო, რომ თავს არ ვიწუხებდი მისი შრომების კითხვით და თუ სადმე რომელიმე მარქსისტს ვნახავდი, მაშინვე იმას ვკითხავდი, ერთი რიგიანად გამაგებინეთ, რა ჯურის ხალხისაგან შესდგებიან პროლეტარები-მეთქი. პასუხს ვერაფერს მაძლევდა. არც ერთმა მარქსისტმა არ იცის ეს. მახსოვს, რა ინტერესით ვუსმენდი გორკისთან ბაკაევისა და შალიაპინის გაცხარებულ დავას იმაზე, არსებობს თუ არა რუსეთში პროლეტარიატი და რითი განსხვავდება იგი გლეხობისაგან. ბაკაევი პროლეტარიატის დიქტატურის საგანგებო კომისიის თავმჯდომარე გახლდათ და ჩემთვის ყოველი წერილმანი საინტერესო იყო. მარქსისტების „პროლეტარი“ იგივეა, რაც „მწარმოებელი“, ნებისმიერი პოლიტიკური ეკონომისტის ენით რომ ვთქვათ, ანუ, ეს ის ადამიანია, რომელიც დიამეტრულად განსხვავდება „მომხმარებლისაგან“. გამოდის რომ, პროლეტარი და კაპიტალი ურთიერთსაწინააღმდეგო ცნებები ყოფილა. „პლებსის“ ბოლო ნომრის გარეგანზე სრულიად გარკვევით აწერია: „მუშათა კლასს არაფერი აქვს საერთო დამქირავებულთა კლასთან“. ვთქვათ, რომელიმე სამუშაოს მწარმოებელი მუშა ჯდება მატარებელში (მატარებელი მიჰყავს მემანქანეს) და მიემგზავრება იმის სანახავად, თუ როგორ მიდის იმ სახლის მშენებლობის საქმე, რომელსაც ფირმა უშენებს მას. აბა გაარკვეეთ, რომელ კლასს მიეკუთვნება ეს ადამიანი, დამქირავებულთა თუ დამქირავებულთა? სისულელეა და მეტი არაფერი.

მარქსისტებისათვის მარქსი ხატია და სიმბოლო, ჩვენ კი მხოლოდ მარქსისტები გვაინტერესებს და არა მარქსი. ამათგან კაპიტალი ძალიან ცოტას თუ ექნება გადაკითხული. მარქსისტი — ეს ის პიროვნებაა, რომელსაც ნახავ ნებისმიერ თანამედროვე საზოგადოებაში. გამოგიტყდებით, ჩემი ტემპერამენტისა და მდგომარეობის წყალობით მეტისმეტი კეთილგანწყობილებითაც კი ვეკიდები მათ. ისინი მარქსს წინასწარმეტყველად სთვლიან, სწამთ, რომ მარქსი წერდა კლასობრივ ბრძოლაზე, ექსპლოატირებულთა შეურიგებელ ომზე ექსპლოატატორთა წინააღმდეგ, ამასთან, ექსპლოატირებულთა გამარჯვება და მუშათა კლასის ლიდერთა დიქტატურა (პროლეტარიატის დიქტატურა) იწინასწარმეტყველა. დიქტატურა, რომელიც კომუნისტების ოქროს ხანას მოიყოლებდა თან. ამ წინასწარმეტყველებამ და ამ მოძღვრებამ მძლავრი

გამოხმაურება პოვა ყველა ქვეყნის ახალგაზრდობაში, განსაკუთრებით იმ ენერგიულსა და მეოცნებე ახალგაზრდებში, რომელთაც საკმაოდ განათლება ვერ მიიღეს და ხელმოკლეობას განიცდიან, რის გამოც არსებულ ეკონომიურ სისტემას უფროდ დაუმონებია დაქირავებული შრომისათვის. მათ იწვნიეს სოციალური უსაბარლოობა, დაინახეს, რაოდენ გულქვა და უმეცარია ჩვენი წყობილება. იმასაც უნდა ვთქვათ, რომ უცხოელი მსხვერპლად რომ ეწირებიან მას, ამიტომაც თავს არ იზოგავენ, ოღონდაც გაანადგურონ და ხსნას ეწიონ. მათ ამბობენ არ სჭირდება აგიტაცია. ნებისმიერი ინდუსტრიული წყობილება, რომელიც ცოდნით ვერ აკმაყოფილებს და თანაც დამონებას უქადის ადამიანს, თვითონვე შობს კომუნისტურ მოძრაობას. მარქსი რომ არ ყოფილიყო, მარქსისტები მაინც იარსებებდნენ. თოთხმეტი წლის ასაკში მე უკვე ჩამოყალიბებული მარქსისტი ვიყავი, მარქსის სახელი კი გაგონილიც არ მქონდა. იძულებული შევიქენი სწავლისთვის თავი დამენებებინა და მუშაობა დამეწყო ყოფლად საზიზღარ მაღაზიაში, რომ ჭაპანწყვეტით დავდგომოდი ცხორების მომქანცველ გზას. იმდენ საათს ვმუშაობდი და ისე მასავათებდა ჩემი მუშაობა, რომ თვითგანვითარებაზე ფიქრიც არ ღირდა. იქაურობას ცეცხლს მივცემდი, რომ არ მცოდნოდა რა საიმედოდ იყო დაზღვეული მაღაზია. ის მწარე დღეები ჩრდილოეთის კომუნის ერთ-ერთ ხელმძღვანელთან — ზორინთან საუბარმა მომაგონა. ზორინი ადრე ამერიკაში ყოფილა მუშად; იგი საკმაოდ მხიარული და გონებამახვილი ახალგაზრდაა. პეტერბურგის საბჭოში მაგისტანა პოპულარული ორატორი მეორე არ არის. ჩვენ საკუთარი გამოცდილებები გავუზიარეთ ერთმანეთს. მითხრა, ამერიკის გულცივობა ჯერაც არ დამვიწყებიაო და მიაჩნო, როგორ მოეწყო ნიუ-იორკის ერთ-ერთ უნივერსიტეტში შემფუთავად. ვილაპარაკეთ იმაზეც, თუ რაოდენ ღლის, წელში წყვეტს და თითქმის აგიჟებს კიდევ წესიერსა და პატიოსან კაცს ჩვენი სოციალური წყობილება. საერთო უკმაყოფილებამ სულიერად დაგვაახლოვა.

ძალ-ღონით აღსავსე, მაგრამ უარყოფილი და გამოუყენებელი ახალგაზრდობის უკმაყოფილება და არა რაღაც ეკონომიური თეორიები ასულდგმულებენ და ასაზრდოებენ საერთაშორისო მარქსისტულ მოძრაობას. მარქსი კი არ იყო გადასარევი ბრძენი, არამედ ჩვენი ეკონომიური წყობილებაა ასეთი ბედოვლათი, ამისთანა თავკერძა, უვარგისი და ანარქისტული. კომუნისტებმა თავისი შეურიგებლობა გარკვეული ლოზუნგებით გამოხატეს, როგორცაა, ვთქვათ „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ და სხვა მისთანები. ეს ფრაზები შთამავონებლად დაღაღებდნენ, რომ საკაცობრიო ბედნიერებას განადგურებას უქადის ღვთისპირიდან გადავარდნილი ადამიანების იდუმალი ჯგუფი, ვგრეთწოდებული კაპიტალისტები. ჩვენს გონებარლუნგ სამყაროში, სადაც ყოველგვარი შეთქმულების მანია თავისებურ გამოძახილს პპოვებს, ძნელია დააჯერო მარქსისტი, რომ, ბოლოს და ბოლოს, კაპიტალისტი სხვა არაფერია, თუ არა სულმდაბალი და გონებაშეზღუდული ადამიანი. კომუნისტურმა პროპაგანდამ თავი მოუყარა ყველა ამ განრისხებულთ და დაბეჩავებულთ, საერთაშორისო ორგანიზაციად გააერთიანა და იმედის, ჯერ კიდევ გამოუცნობი იმედის საძებრად დარაზნა. მათი

გამოხმაურება პოვა ყველა ქვეყნის ახალგაზრდობაში, განსაკუთრებით იმ ენერგიულსა და მეოცნებე ახალგაზრდებში, რომელთაც საკმაო განათლება ვერ მიიღეს და ხელმოკლეობას განიცდიან, რის გამოც არსებულ ეკონომიურ სისტემას უღვთოდ დაუმონებია დაქირავებული შრომისათვის. მათ იწვნიეს სოციალური უსამართლობა, დაინახეს, რაოდენ გულჭევა და უმეცარია ჩვენი წყობილება. იმასაც უნდა ვთქვათ — მკურანეცყოფილნი მახვერპლად რომ ეწირებოან მას, ანტიომაც თავს არ იზოგავენ, ოღონდაც გაანადგურონ და ხსნას ეწიონ. მათ ამბობენ არ სჭირდება ავიტაცია. ნებისმიერი ინდუსტრიული წყობილება, რომელიც ცოდნით ვერ აკმაყოფილებს და თანაც დამონებს უქადის ადამიანს, თვითონვე მოძს კომუნისტურ მოძრაობას. მარქსი რომ არ ყოფილიყო, მარქსისტები მაინც იარსებებდნენ. თოთხმეტი წლის ასაკში მე უკვე ჩამოყალიბებული მარქსისტი ვიყავი, მარქსის სახელი კი გაგონილიც არ მქონდა. იძულებული შევიქენი სწავლისთვის თავი დამენებებინა და მუშაობა დამეწყო ყოველად საზიზღარ მაღაზიაში, რომ ჭაბანწყვეტით დავდგომოდი ცხოვრების მომქანცველ გზას. იმდენ საათს ვმუშაობდი და ისე მასავათებდა ჩემი მუშაობა, რომ თვითგანვითარებაზე ფიქრიც არ ღირდა. იქაურობას ცეცხლს მივცემდი, რომ არ მცოდნოდა რა საიმედოდ იყო დაზღვეული მაღაზია. ის მწარე დღეები ჩრდილოეთის კომუნის ერთ-ერთ ხელმძღვანელთან — ზორინთან საუბარმა მომაგონა. ზორინი ადრე ამერიკაში ყოფილა მუშად; იგი საკმაოდ მხიარული და გონებამახვილი ახალგაზრდაა. პეტერბურგის საბჭოში მაგისტანა პოპულარული ორატორი მეორე არ არის. ჩვენ საკუთარი გამოცდილებები გავუზიარეთ ერთმანეთს. მითხრა, ამერიკის გულცივობა ჯერაც არ დამვიწყებიაო და მიაჩნო, როგორ მოეწყო ნიუ-იორკის ერთ-ერთ უნივერსიტეტში შემფუთავად. ვილაპარაკეთ იმაზეც, თუ რაოდენ ღლის, წელში წყვეტს და თითქმის ავიფებს კიდევ წესიერსა და პატიოსან კაცს ჩვენი სოციალური წყობილება. საერთო უკმაყოფილებამ სულიერად დაგვაახლოვა.

ძალ-ღონით აღსავსე, მაგრამ უარყოფილი და გამოუყენებელი ახალგაზრდობის უკმაყოფილება და არა რაღაც ეკონომიური თეორიები ასულდგმულებენ და ასაზრდოებენ საერთაშორისო მარქსისტულ მოძრაობას. მარქსი კი არ იყო გადასარევი ბრძენი, არამედ ჩვენი ეკონომიური წყობილებაა ასეთი ბედოვლათი, ამისთანა თავკერძა, უვარგისი და ანარქისტული. კომუნისტებმა თავისი შეურიგებლობა გარკვეული ლოზუნგებით გამოხატეს, როგორცაა, ვთქვათ „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ და სხვა მისთანები. ეს ფრაზები შთამაგონებლად ღაღადებდნენ, რომ საკაცობრიო ბედნიერებას განადგურებას უქადის ღვთისპირიდან გადავარდნილი ადამიანების იდუმალი ჯგუფი, ეგრეთწოდებული კაპიტალისტები. ჩვენს გონებარღუნგ სამყაროში, სადაც ყოველგვარი შეთქმულების მანია თავისებურ გამოძახილს ჰპოვებს, ძნელია დააჯერო მარქსისტი, რომ, ბოლოს და ბოლოს, კაპიტალისტი სხვა არაფერია, თუ არა სულმდაბალი და გონებაშეზღუდული ადამიანი. კომუნისტურმა პროპაგანდამ თავი მოუყარა ყველა ამ განრისხებულთ და დაბეჩავებულთ, საერთაშორისო ორგანიზაციად გააერთიანა და იმედის, ჯერ კიდევ გამოუცნობი იმედის საძებრად დარაზმა. მათი



წინასწარმეტყველი მარქსია, ხოლო სიმბოლო — წითელი ფერი... და აი, როცა რუსეთში გადატრიალება მოხდა, და არავითარი ორგანიზაცია არ არსებობდა, რომელიც საერთო ინტერესებისათვის იბრძოლებდა, მეგობრების დასახმარებლად იხველა ამერიკასა და დასავლეთში წასულმა ნიჭიერმა, მოხალისე ახალგაზრდობამ, რომელნიც ძლიერმა დასავლეთმა სრულიად განკურნა რუსებისათვის დამახასიათებელი არაპრაქტიკულობისაგან და ასწავლა, როგორ მიიყვანოს დაწყებული მსაქმე მსხრბომდე. ისინი ყველანი ერთნაირად აზროვნებდნენ იმ რევოლუციაზე, კაცობრიობას სამართლიანობას და ბუნდნიერებას რომ დაუმკვიდრებდა. სწორედ ეს ახალგაზრდობა წარმოადგენს ბოლშევიზმის მამოძრავებელ ძალას. მეტი წილი ებრაელები არიან, რადგან ამერიკაში რუსეთის ემიგრანტების უმრავლესობა ებრაელები იყვნენ. თუმცა ამათგან ბევრს არავის ამოძრავებს ებრაული სულისკვთება. ისინი ებრაელთა ინტერესებისათვის კი არ იბრძვიან, არამედ ახალი სამყაროსათვის. ებრაული ტრადიციების თავიდან ასაცილებლად ბოლშევიკებმა სიონისტური ორგანიზაციის ბევრი ხელმძღვანელი დააპატიმრეს, ხოლო „რეაქციულობის“ საბაბით ებრაული ენის სწავლებაც კი აკრძალეს. იმ ბოლშევიკებიდან, რომლებიც მე გავიცანი, ერთიც არ იყო ებრაელი, ყველანი ქერათმიანი ჩრდილოელები იყვნენ. რუსი ხალხის საყვარელი ბელადი — ლენინი სახით თათარს მიაგავს და ებრაული ნამდვილად არა სცხია რა.

ბოლშევიკური მთავრობა ყველაზე შეუპოვარი და ამასთანავე ყველაზე გამოუცდელი ხელისუფლებაა მთელ მსოფლიოში. იგი ხან გასაოცარ უუნარობას იჩენს, ხან კი წარმოუდგენელ უვიცობას ამჟღავნებს. ეჭვებიც ყოვლად სულელური ებადებათ, მეტადრე „კაპიტალიზმის“ წერაგულ ხრიკებსა და რეაქციის მზაკვრულ ოინებზე. შიში თუ მიეძალა, დანდობა აღარ იცის. ისე კი პატიოსნებას ვერ წაართმევ. მასავით გულუბრყვილო ხელისუფლებას მთელ დღევანდელ მსოფლიოში ვერ იპოვნი.

ამ გულუბრყვილობას ისიც ამტკიცებს, რომ სადაც არ წავედი, ყველგან ერთი და იგივე კითხვა მომცეს: „როდის უნდა მოხდეს სოციალური რევოლუცია ინგლისში?“ ლენინმაც ეს მკითხა, ჩრდილოეთის კომუნის ხელმძღვანელმა ზინოვიევიმაც, ზორინმაც და ბევრმა სხვამაც.

მარქსისტული თეორიის მიხედვით სოციალური რევოლუცია პირველ რიგში რუსეთში არ უნდა მომხდარიყო. ეს შეცდომა ყველა შეგნებულ წევრს აწუხებს. მარქსისტული თეორია ამბობს, რომ სოციალური რევოლუცია თავდაპირველად იმ ქვეყანაში მოხდება, სადაც ყველაზე ძველი და ყველაზე განვითარებული მრეწველობააო. სადაც არის უზარმაზარი, კარგად ჩამოყალიბებული, არაფრის მქონე და დაქირავებით მომუშავე მუშათა კლასი — პროლეტარიატი. რევოლუცია ინგლისში უნდა დაწყებულიყო, მერე გადავიდოდა საფრანგეთში, გერმანიაში, შემდეგ ალბათ ამერიკაში და ა. შ. ამის მაგივრად კომუნისტებმა უცებ რუსეთში აიღეს ძალაუფლება, სადაც ფაქტიურად მუშათა კლასი ხეირიანად არც ჩამოყალიბებულა. ფაბრიკა-ქარხნებში უმთავრესად სოფლიდან ჩამოსული გლეხობა მუშაობს. ეს სადაური პროლეტარიატია და როგორ შეუერთდება იგი პროლეტარებს ყველა ქვეყნისას. ბოლშევიკებს ლაპარაკში შევატყვევ, ქვეცნობიერად უკვე გრძნობენ, რომ რაც რუსეთში მოხდა, სულაც არ არის მარქსის დანაპირები რევოლუცია. სინამდვილეში მათ ხელისუფლების ხელში აღება კი არ გამოუვიდათ, არამედ მიტოვებულ გემზე აღმოჩნდნენ. მე პირდაპირ ცეცხლზე ნავთი გადავასხი და პატარა ლექციაც კი წავეკითხე იმის თაობაზე, რომ დასავლეთის

სახელმწიფოებში არ არსებობს „კლასობრივად შეგნებული პროლეტარიატის“ ფართო მასები. ისიც განვუმარტე, რომ ინგლისში ორასზე მეტი სხვადასხვა კლასია და, რამდენადაც ვიცი, ამათგან „კლასობრივად შეგნებული პროლეტარიატი“ შოტლანდიელი მუშების მხოლოდ ერთი ციციქნა ჯგუფი თუ გამოვა, რომელსაც საკმაოდ ენერგიული ჟენტლმენი, ვინმე მაკ მანუსი ხელმძღვანელობს. ჩემი გულწრფელი გამოსვლა/ნამდვილი იერიში იყო მათი რწმენის წინააღმდეგ. ისინი სასოწარკვეთილად მასწავნიან იმედს, რომ ბრიტანეთში მილიონობით მგზნებარე კომუნისტრად და მარქსის იდეოლოგიის მებოტბენი, პროლეტარული სოლიდარობის მადიდებელნი, საცაა ხელში აიღებენ ძალაუფლებას და ბრიტანეთს საბჭოთა რესპუბლიკად გამოაცხადებენ. აგერ უკვე სამი წელია ჯიუტად სჯერათ ეს ამბავი, მაგრამ ვაი, რომ რწმენა დღითიდღე კლებულობს.

ამ მეტად თავისებური მსჯელობიდან ყველაზე სასაცილო ისაა, რომ მოსკოვის რადიო განუწყვეტლივ ტუქსავს დასავლეთის მუშათა მოძრაობას, ისე არ იქცევით, როგორც მარქსმა გიანდერძათო. ახლა უკვე წითელი ფერისა უნდა იყოთო, თქვენ კი მხოლოდ ყვითელისა ხართო.

მე და ზინოვიევი მეტად საინტერესო საუბარი გვქონდა. მას მაყვალვით შავი, ხუჭუჭა თმა აქვს. ხმა საოცრად მიუგავს პილერ ბელოვს და მასავით ცოცხალი კაცია. „თქვენთან, ირლანდიაში, ახლა სამოქალაქო ომია“, მითხრა მან. „ასე გამოდის“, ვუთხარი მე. „თქვენის აზრით, ვინ არიან პროლეტარები, შინფეინერები თუ ულსტერმენები?“. ზინოვიევი თავს იტყუებდა რომ ირლანდიის მდგომარეობა როგორმე კლასობრივი ბრძოლის ჩარჩოებში მოექცია. მისი თავსატეხი ბოლოს მაინც ამოუხსნელი დაგვრჩა და ახლა აზიას მივაპყარით მთელი ყურადღება. რაკი დასავლეთის ზოზინა პროლეტარიატის განძრევის ლოდინში მოთმინება დაეღია, ზინოვიევი, ბელა კუნის, ჩვენი მისტერ ჯუკ კველჩისა და რამდენიმე მოწინავე კომუნისტის თანხლებით აზიის პროლეტარიატის გამოსაფხიზლებლად ბაქოსაკენ გაემურა. გეგმაში ჰქონდათ სპარსეთისა და თურქესტანის კლასობრივად შეგნებული მუშათა კლასის შეგულიანება. სტეპის კარვებში ფაბრიკის მუშებსა და ჯურღმულების მკვიდრთ დაუწყვეს ძებნა. შემდეგ ბაქოში ყრილობაც ჩაატარეს, თავი მოუყარეს ოთხივე რასის წარმომადგენელთ, აზიურ ტანსაცმელში გამოწყობილებსა და საკვირველი იარაღებით აღჭურვილებს. ამ უზარმაზარმა თავყრილობამ შეჰფიცა, არ დაინდონ კაპიტალიზმი და ბრიტანეთის იმპერიალიზმი. როცა პროცესია ქუჩებში დაიძრა, სამწუხაროდ უნდა მოგახსენოთ, რომ მასში ინგლისურმა ქვემეხებმაც მიიღეს მონაწილეობა, რომლებიც გაქცეულმა „ბრიტანეთის იმპერიის მშენებლებმა“ უპატრონოდ დაჰყარეს ქუჩებში. მოთხარეს და შერე კვლავ მიწას მიაბარეს იმ ცამეტი ადამიანის გვამი, რომლებიც, თუ არ ვცდები, სწორედ ამ „ბრიტანეთის იმპერიის მშენებლებმა“ გაუსამართლებლად დახვრიტეს; შემდეგ დასწვეს ლოიდ ჯორჯის, მილერანისა და პრეზიდენტ ვილსონის ფიტულები. ეს დიდებული ფესტივალი ხუთნაწილიან ფილმადაა გადაღებული. იგი მე არა მარტო ვნახე პეტერბურგში ყოფნისას, არამედ თან ჩამოვიტანე კიდევაც, რისთვისაც დიდად უნდა ვუმაღლოდე ზორინს. ფილმი დიდი სიფრთხილით უნდა გავუშვათ და მხოლოდ სრულწლოვანებს ვუჩვენოთ. იქ არის რამდენიმე კადრი, რომელთა ხილვა ბატონ გუინს, „მორნინგ პოსტიდან“ და ბატონ რედიარდ კიპლინგს კომმარებს მოჰგვრის ძილში, თუკი საერთოდ არ გაუტყდებია ძილი ამ ფილმის ნახვით.

ზინოვიევსა და ზორინს ჩავაცვივდი, მითხარით, ვითომ რისი გაკეთება გინდოდათ ბაქოს ყრილობით-მეთქი. მგონი თვითონაც არ იციან. მეგჭვება, რაიმე გარკვეული

აზრი ამოძრავებდეთ, გარდა რაღაც გაურკვეველი სურვილისა, მესოპოტამიიდან და ინდოეთიდან ისეთივე დარტყმა მიაყენონ ბრიტანეთს, როგორც ბრიტანეთმა აგემა მათ კოლჩაკის, დენიკინის, ვრანგელისა და პოლონელების შეწვევებით. კონტრშეტევა ისევე უაზრო და სულელურია, როგორც თვით ინგლისელების შეტევა. ყოველად დაუჯერებელია, რომ კომუნისტებს რაიმე კლასობრივი სოლიდარობა დააკავშირებს ბაქოს ყრილობაზე შეკრებილ უკმაყოფილო და მეტისმეტად მწიკტნი მსხვერპლნი. ბაქოზე გადაღებულ ფილმში „მხატვრობის“ ერთი თვალსაჩინო ნაწილია ცეკვა, რომელსაც ბაქოს რომელიღაც გარეუბანში მცხოვრები ჯენტლმენი ასრულებს. იგი ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირია ამ შესანიშნავ ფილმში. მას ბეწვშემოვლებული კურტაკი და მალაყელიანი ჩექმები აცვია. თავზე ფაფანი ახურავს. იგი თავბრუდამხვევად ცეკვავს რომელიღაც ტემპერამენტულ ცეკვას. მოულოდნელად იძრობს ორ დანას და კბილებით იჭერს. შემდეგ მათზე აწყობს კიდევ ორ დანას, რომელთა ბასრი პირი აქეთ-იქიდან ემუქრება მის ცხვირს; ბოლოს მესუთე დანას შუბლზე იმაგრებს და ტიპიურ აღმოსავლურ მელოდიაზე ციბრუტივით ტრიალებს. დონჟუშემოყრილი ბუქნავს და რუსი კახაკივით ფეხებს ხან წინ ისვრის და ხან უკან. ზანტად უვლის წრეს და თან გაუთავებლად უკრავს ტამს. ის ახლა დახვეული იცდის ფილმის გრაგნილში და მზადაა მაშინვე დატრიალდეს, როგორც კი ხელსაყრელი შემთხვევა მიეცემა. როგორ არ გეცადე გამერკვია ვინ არის ეს ახალგაზრდა, აზიელი პროლეტარის ტიპია, თუ რაიმე სიმბოლური აზრია მასში გატარებული, მაგრამ ვერ იქნა და მის პიროვნებას ნათელი ვერ მოვყინე. ისე კი ფილმში ბლომად კადრები აქვს დათმობილი. სიამოვნებით წამოვაყენებდი ახლა კარლ მარქსს, რათა დამენახა მისი გაკვირვებული თვალები წვერებს ზემოდან. იმაზე, თუ რა ურთიერთობა არსებობს ჯექ კვენჩსა და იმ მოცეკვავეს შორის, ფილმი არაფერს გვეუბნება.

იმედი მაქვს, ამხანაგი ზორინი, რომელთანაც მე მართლაც მაკავშირებს ნამდვილი მეგობრობა, არ მიწყენს, თუ ვაღიარებ, რომ არ შემიძლია სერიოზულად მივიღო მისი ბაქოს ყრილობა. ეს იყო მხოლოდ გართობა, მასკარადი, კარნავალის მსგავსი ზეიმი. როგორ შეიძლება ამას აზრის პროლეტარიატის ყრილობა უწოდო. და თუმცა მან მოლოდინი არ გაამართლა, მაინც დიდი როლი ითამაშა აღებული გეზის შეცვლის თვალსაზრისით. მე ვფიქრობ, რომ მისი მთავარი დამსახურება ისაა, რომ ბოლშევიკური აზროვნების იმ ახალ მიმართულებას გვიჩვენებს, რომლის წარმომადგენელსაც ზინოვიევი წარმოადგენს. ვიდრე ბოლშევიკები მარქსის იდეოლოგიის მხარდამხარ მიდიოდნენ, გაოცებულნი შესცქეროდნენ დასავლეთს და უკვირდნენ, როგორ მოხდა რომ „სოციალურმა რევოლუციამ“ მითითებული ცენტრის მაგიერ სადღაც აღმოსავლეთში იჩინა თავი. ახლა, რაკი მიხვდნენ, რომ მათი ხელისუფლების სათავეში მოქცევის მიზეზი ნაწინასწარმეტყველები სოციალური რევოლუცია კი არ არის, არამედ რაღაც სხვა, ბუნებრივია, ურთიერთობის ახალ ფორმებს დაუწყეს ძებნა. რუსეთის რესპუბლიკის სიმბოლოდ კვლავაც რჩება დასავლელი „მუშის“ უზარმაზარი ფიგურა ნამგლითა და უროთი ხელში. ვინ იცის, თუკი ჩვენ ისევ გავაგრძელებთ ვეროპის მკაცრი ბლოკადა და საშუალება მოვუხპეთ რუსეთს აღადგინოს თავისი მრეწველობა, შესაძლოა ეს სიმბოლო ახალმა შესცვალოს, და უამრავი დანებით შეიარაღებულ თურქესტანელ მოცეკვავედ აქციოს. ჩვენ რომ ბარონ ვრანგელს მივეშველოთ და რუსეთის არც თუ ისე წელმაგარი მთავრობა დავამხობინოთ, რასაც შემდეგ „წარმომადგენლობითი“ და „შეზღუდული მონარქია“ მოჰყვება, ეს ძვირად დაგვიჯდება. მოსკოვში არსებული კანონებისა და წყობილების მოსპობა ნიშნავს გაანადგურო ის, რაც

დარჩა რუსული კანონიერებიდან და წყობილებიდან. მონარქისტების ავანაგური მთავრობა სისხლიან კვალს დაამჩნევს რუსეთს. ყველა დაინახავს, თუ რა შეუძლია გააფთრებულ ჟენტლმენსა და თეთრ ტერორს, რომელიც დიდხანს ვერ იბორონებს და განადგურდება. მაშინ კი დაიძვრება აზია. და როგორც ძველ დროში, ზემანისა და დნესტრის ნაპირებამდე გაჭიმულ თვალუწვდენელ ველებზე კვლავ დაიწყებენ მხედრები გლეხების აწიოკებას, გლეხები კი მათგან თავის დაცვას. ქალაქების უმეტესად გაყვანილებული ნაქალაქარი დარჩება. რკინიგზას ჟანგი შეჭამს, აღარც გემები ივლიან მდინარეებში...

ბაქოს ყრილობამ მეტისმეტად იმოქმედა გორკიზე. მას შემდეგ საშინელი კომზარები დასჩემდა, — რუსეთი, რომელიც აღმოსავლეთისაკენ მიიწევს. მისი განწყობა მგონი, მეც გადმოხედო.

#### 4. რუსეთის შემოქმედებითი მუშაობა

წინა სამ სტატიაში მე შევეცადე გადმომეცა თუ რა სანახავია თანამედროვე ხულთმობრძავი ცივილიზაცია რუსეთში, რომელიც მეფის უნიჭო ხელისუფლებამ, უნეტრებამ და ექვსი წლის განუწყვეტელმა ომმა ჩააგდო ამ დღეში. მეცნიერება და ხელოვნება, როგორც გითხარით, სულს ღაფავს; უკვალოდ გაჰქრა უდარდელი ცხოვრება და ნეტარებანი ამა ქვეყნისა. ვენაშიც ანალოგიური მდგომარეობაა. იქაც, განსვენებულ პროფესორ მარგულისის მსგავსად, მიმშვილს სიკვდილის პირამდე მიჰყავს მეცნიერები. ინგლისი ოთხ წელს კიდევ რომ ყოფილიყო ომში ჩაბმული, ლონდონშიც იგივე ამბავი დატრიალდებოდა. აღარც ნახშირი გვექნებოდა ჩვენი ბუხრისთვის და არც იმდენი სურსათი, რომ თუნდაც ბარათებით გაგვენაწილებინა, ბონდ სტრიტის მაღაზიები ისევე გამოიფხიკებოდა, როგორც ნევის გამზირისა. რუსეთის ბოლშევიკური მთავრობა არც იმაშია დაშინაშავე, რომ ასე მოხდა და არც იმაში, რომ ბოლო ვერ მოელო სილატაკეს.

მე შევეცადე ზუსტად მეჩვენებინა, თუ რა საქმიანობას ეწევიან ბოლშევიკები, არც მეტი და არც ნაკლები. ისინი ადგილობრივი მოსახლეობის მხოლოდ ხუთ პროცენტს შეადგენენ; მიუხედავად ამისა, მაინც მოახერხეს ხელში აეღოთ და შეენარჩუნებინათ ძალაუფლება, რადგან რუსეთის საყოველთაო გახადგურების ჟამს მხოლოდ მათ აღმოაჩნდათ საერთო რწმენა და საერთო სულისკვეთება. მე არ ვუთანაგრძნობ მათ რწმენას, მაგრამ მესმის და პატივსაც ვცემ მათ სულისკვეთებას. მიუხედავად უამრავი ნაკლისა, ეს არის ერთადერთი შესაძლებელი საძირკველი, რომელზედაც აიგება აღორძინებული რუსეთი. საბჭოთა მთავრობა ცივილიზაციისაკენ უბიძგებს რუსეთს. მოსახლეობის დიდ ნაწილს გაუნათლებელი, ხარბი და პოლიტიკისადმი საკმაოდ გულგრილი გლეხობა შეადგენს. ისინი ცრუმორწმუნენი არიან, წამდაუწუმ პირჯვარს იწერენ და ხატს ჰკოცნიან, რაც, მოსკოვში მაინც, მაშინვე გეცემა თვალში, მაგრამ ჭეშმარიტ რელიგიურობასთან მათ ბევრი არაფერი აქვთ საერთო. სოციალური და პოლიტიკური პრობლემები იმდენად აწუხებთ, რამდენადაც თავიანთი პირადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად სჭირდებათ. ბოლშევიკებით ძირითადად კმაყოფილნი არიან. მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელი არაფრით ჩამოჰგავს

დასავლეთ ვეროპის კათოლიკე მღვდელს. ეს არის ჭუჭყიანი, ხეპრე გლეხი, რომელიც ვერაფრითარ ზეგავლენას ვერ ახდენს თავისი მრევლის ნებისყოფასა და შეგნებაზე. არც გლეხობას და არც სამღვდლოებას არ გააჩნია შემოქმედებითი საწყისები. ხალხის დანარჩენი ნაწილი, რუსეთში იქნება ეს თუ მის ფარგლებს გარეთ, მეტ-ნაკლებად კულტურული ადამიანების ჭრელი მასაა. მათ არ აერთიანებთ კლასური პოლიტიკური იდეები, და არც საერთო სულიკვეთება ამოძრავებთ. ამიტომაც კომუნისტურისა და ლაყბობის უნარი შესწევთ მხოლოდ.

ინგლისში მყოფი რუსი ემიგრანტები პოლიტიკური თვალსაზრისით ნამდვილი არარაობანი არიან. მათ მონაყოლს „ბოლშევიკების მხეცურ გამოხტომებზე“ ბოლო არ უჩანს: გლეხები ცეცხლს უკიდებენ მამულებს, დაფანტული სალდათობა ქალაქის გარეუბნებში ბარბაროსულად ესხმის თავს და ჟლეტს მშვიდობიან მოსახლეობას — და ეს ყველაფერი, მათი თქმით, ბოლშევიკური ხელისუფლების ბრალია. აბა მათ ჰკითხეთ ერთი, რომელ ხელისუფლებას ისურვებენ სანაცვლოდ, მაშინვე რალაც აბდაუბდას მოჩმახავენ და იმ პოლიტიკურ მოღვაწეს დაგისახლებენ, რომელიც თქვენ მოგწონთ. ან არადა მოჰყვებიან მორიგი შეადამიანის გაუთავებელ ქება-დიდებას, დენიკინის, მაგალითად, ან ვრანგელის, რომელიც თითქოსდა ყველაფერს მოაგვარებს, თუმცა ერთმა ღმერთმა იცის, როგორ. მათ მეფე უნდათ, ეს ემიგრანტები მეტის ღირსნი მაინც არ არიან, მაგრამ ისიც რომ ვერ გაუგიათ, რომელი მეფე უნდათ?! რუსეთის ინტელიგენციის ნაწილი — ისევ და ისევ რუსეთის კეთილდღეობისათვის — გაუბუდავად, მაგრამ კეთილსინდისიერად უდგება მხარში ბოლშევიკებს.

ბოლშევიკები იგივე მარქსისტები და კომუნისტები არიან. როგორც უკვე მოგახსენეთ, ის ამბავი, რომ მათ ხელში აიღეს ძალაუფლება, სრულიად ეწინააღმდეგება კარლ მარქსის ვარაუდს. მათი ძალ-ღონე თითქმის სრულად ხმარდება თავდასხმების, ბლოკადების და ყველა იმ უბედურებების წინააღმდეგ ბრძოლას, რასაც დასავლეთის ხელისუფალნი ცდილობენ თავს მოახვიონ ისედაც განადგურებულ ქვეყანას. თუკი მათი ენერგიიდან რაიმე რჩება, ისიც რუსეთის მოსულიერებას სჭირდება, რათა ნანგრევებზე ახალი სოციალური წყობა აავონ. როგორც გითხარით, ბოლშევიკებს არაფრითარი გამოცდილება არა აქვთ — ისინი ჯანათლების მისაღებად შენევასა და ჰემპსტედში ნამყოფი ამ ნამუშევარი ადამიანები არიან. ძველი მაჰმადიანების მერე, რომელთაც ხელთ იგდეს ძალაუფლება კაირთში, დამასკოსა და მესოპოტამიაში, არავის შეუქმნია ამგვარი დილექტანტური მთავრობა.

ბოლშევიკების უმეტესობას, ვგონებ, შინაგანად აფორიაქებს მათ წინაშე წამოჭრილი პრობლემების გიგანტურობა. მაგრამ ბოლშევიკები კომუნისტური იდეებით აღზრდილი ადამიანები არიან, სწორედ ეს შევლით მათ და მთელ მათ რუსეთსაც. წყალქვეშა ომმა ნათლად დაანახვა ბრიტანეთს, რომ შიმშილობის მძიმე დროს ქალაქებმა ორიდან ერთი უნდა ირჩიონ, ან განადგურდნენ, ან არადა, საზოგადოებრივი კონტროლი შემოიღონ. ჩვენ, ინგლისელებმა კონტროლი ვირჩიეთ და პროდუქტს თანაბრად ვანაწილებდით. ქორვაჭრების წინააღმდეგ კი დაუნდობელი კანონები მოქმედებდა. კომუნისტებმა, ჩადგნენ თუ არა რუსეთის ხელისუფლების სათავეში, წამსვე მტკიცედ გადადგეს პირველი ნაბიჯები სოციალური რღვევის ქაოსის დასათრგუნავად. შემოიღეს მკაცრი კონტროლისა და განაწილების სისტემა, რაც უცხო იყო რუსეთის ჩვეულებებისა და ტრადიციებისათვის. განაწილების სისტემა ისეთი აქვთ, რომ ქალაქებში ვერაფერში გამოედავები, საქმით კი მაქსიმალურად იყენებენ ყველა შესაძლებლობას, რის საშუალებასაც რუსეთის წარმოება და მოხმარება იძლევა. ნაკლისა

და მარცხის შემჩნევა ადვილია, ძნელი ის არის, მიუთითო როგორ დასძლიოს ისინი ილაჯგაწყვეტილმა და არეულ-დარეულმა რუსეთმა. რუსეთში ისეთი მდგომარეობა შექმნილი, რომ ბოლშევიკების ნაცვლად სხვა რომელიმე მთავრობასაც რომ აეღო ხელში ძალაუფლება, იძულებული შეიქმნებოდა გაეკეთებინა ის, რასაც ბოლშევიკები აკეთებენ. დაეწესებინა მკაცრი კონტროლი პროდუქტზე, ებრძოლა იდუმალ პოლიტიკურ ავანტიურისტებთან და სიკვდილით დაესაჯა ქორვაჭრები, ამ ქიშკილობისა და გაჭირვების დღეებში ბოლშევიკები თავიანთი პრინციპებიდან გამომდინარე მოქმედებენ, სხვა ხელისუფლება კი აუცილებლობის გამო გააკეთებდა იგივეს.

მიუხედავად უდიდესი სიძნელეებისა, კომუნისტები ყოველნაირად ცდილობენ ახალი რუსეთი ააგონ ძველის ნანგრევებზე. არაფერს გვაძლებს მივიღოთ მათი პრინციპები და მეთოდები, შეგვიძლია „უტოპიური“ დავარქვათ მათ გეგმებს, ისიც შეგვიძლია სიცილი დავაყაროთ ან შევშინდეთ მათი საქმიანობით, მაგრამ იმას ვი ვერაფერს იტყვის, ახლა არაფითარი აღმშენებლობითი მუშაობა არ მიმდინარეობს რუსეთში. ბოლშევიკების გარკვეული ნაწილი მართლაც საკმაოდ ჯიუტი და თავდაჯერებული ფანატიკოსები არიან: სწამთ, რომ საკმარისია განადგურდეს კაპიტალიზმი, გაუქმდეს ფული და ვაჭრობა, მოისპოს ყოველგვარი სოციალური განსხვავება და მაშინვე დადგება ერთფეროვანი „ოქროს ხანა“. არიან ისეთი შეუგნებელი ბოლშევიკებიც, რომლებიც სკოლაში ქიმიის სწავლებას აკრძალავენ, ვიდრე არ დარწმუნდებიან, ეს „პროლეტარული“ ქიმია ყოფილაო, ხოლო ნებისმიერ ჩუქურთმას რეაქციულობას დასწამებენ, თუკი მასში რსფსრ-ს (რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა) კომბინაცია არ იქნება ჩართული. აკი გითხარით, ძველი ებრაული ენის სწავლება აკრძალეს, „რეაქციულიაო“. გორკისთან ბევრჯერ შევესწარი უკიდურესი შეხედულებების მქონე თანამედრობის პირთა ცხარე კამათს, ძველი ლიტერატურიდან მხოლოდ ისეთი ნაწარმოებები ვარგა, რომელშიც რევოლუციური იდეებია გატარებულით. ახალ რუსეთში საღად მოაზროვნე ადამიანებიც არიან. საშუალება რომ მისცე, ისინი ბევრ ახალს შექმნიან, ახალს, არც თუ ისე ურიგოს ასეთი შემოქმედებითი ძალის მქონე ადამიანად შე შემიძლია დაგისახელოთ თვითონ ლენინი, რომელიც გასაოცრად გაიზარდა საზღვარგარეთ ყოფნის შემდგომ. ამასწინანდელ ნაშრომში მან მიწახთან გაასწორა თავისივე პარტიის ექსტრემისტული გადახრების მქონე წევრები: ტროცკი, განათლების სახალხო კომისარი ლუნაჩარსკი, სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე რიკოვი, სახალხო განათლების პეტერბურგის განყოფილების ხელმძღვანელი მაღამ ლილინა და ლონდონის სავაჭრო დელეგაციის ხელმძღვანელი კრასინი. ამათი გვარები გამახსენდა და იმიტომ მოგახსენეთ. არ გვგონოთ, რომ სულ ეს არის მთელი ბოლშევიკური მთავრობა. მიუხედავად ბლოკადისა, სამოქალაქო ომისა და შემოტევებისა, ამ ადამიანებმა მაინც მიაღწიეს წარმატებებს თავიანთ საქმიანობაში. ისინი ცდილობენ ფეხზე წამოაყენონ ქვეყანა, რომელიც უკიდურესად გაღარიბებულია, იმდენად, რომ ინგლისელი და ამერიკელი მკითხველი ამას ვერაფრით ვერ შესძლებს წარმოიდგინოს, თანაც მმართველობის აპარატი საკმაოდ სუსტი აქვთ. რუსეთს ახლა გაცილებით უფრო მეტად სჭირდება ადმინისტრაციული და ტექნიკური კადრები, ვიდრე მედიკამენტები ან პროდუქტი. რუსეთის სახელმწიფო დაწესებულებებში საქმის წარმოება ცუდადაა დაყენებული. ყველანი საშინლად მოდუნებული და უპასუხისმგებლონი არიან. ოთახები სავსეა გაუხსნელი საქმეებითა და პაპიროსის ნამწვავებით. არც ამის გამოსწორება ძალუძს რომელიმე კონტრრევოლუციას: ეს თანამედროვე რუსეთის ყოფა-ცხოვ-

რების დამახასიათებელი ნიშანია. დავუშვათ, მოხდეს საშინელება და რომელიმე სამხედრო ავანტიურისტმა, როგორცაა მაგალითად იუდენიჩი ან დენიკინი, ხელში ჩაიგდოს ხელისუფლება. ამას ის მოჰყვება, რომ ყველაფერ უბედურებასთან ერთად დაიწყება ლოთობა, დარჩენილი სახელმწიფო ქონების მიტაცება და საყოველთაო კარყვნილება. ბოლშევიკური ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც გენებოთ ლანძღვთ და აგინებთ, იმას კი ვერ წაართმევთ, რომ მათი მტერი იქნება მატროსნად შრომობს და ნამდვილ ასკეტურ ცხოვრებას ეწევა.

რუსეთის უწესრიგობაზე იმიტომ ვწერ ასეთი სიმძაფრით, რომ სწორედ ამის მიზეზით ვერ მოვახერხე ლუნაჩარსკის ნახვა. ოთხმოცი საათი მოვუნდი აქეთ-იქით სიარულს, რეკვასა და ლოდინს, რათა დაახლოებით საათნახევარი შელაპარაკა ლენინთან და ჩიჩერინთან. ცხადია, ლუნაჩარსკის სანახავად კიდევ ერთი კვირით მაინც უნდა დავრჩენილიყავი რუსეთში, მაშინ კი გემსაც ვეღარ მივუსწრებდი, რომელიც არც თუ ისე რეგულარულად დადის რეველსა და სტოკჰოლმს შორის. მოსკოვში ყოფნა სულ ჩამაშხამა ამდენმა გაუგებრობამ. ის ვერცხლის ჩაიდნიანი მეზღვაური, ჩვენ რომ გვახლდა, სრულიად არ იცნობდა ქალაქს. ჩემი შეხვედრების ტელეფონით მოგვარება დაავალეს ერთ ამერიკელს, რომელსაც საკმაოდ გაუჭირდა ჩვენი დახმარება, რადგან თავისუფლად ვერ ფლობდა რუსულ ენას. გორკიმ რამდენიმე დღის წინ პეტერბურგიდან დარეკა მოსკოვში და მე თვით შესმოდა, როგორ სთხოვა ჩემი ლენინთან შეხვედრის ამბავი მოგვარებინათ. მოსკოვში კი გამოგვიცხადეს, არაფერი გვსმენია თქვენი ჩამოსვლის თაობაზე. ბოლოს, როდესაც პეტერბურგში მივემგზავრებოდი, ჩამსვეს ყოვლად უბადრუკ მატარებელში, რომელიც თოთხმეტი საათის მაგივრად ოცდაორ საათს მოუნდა გზას. ეს ყველაფერი თითქოს სრულიად უმნიშვნელო წვრილმანია, მაგრამ ახლა რომ მახსენდება, როგორ ცდილობდნენ რუსები საქმიანი და მოწესრიგებულნი მომჩვენებოდნენ, ამ წვრილმანებს უკვე სხვა თვალთ უყურებ. ჩვენი მატარებელი კუს ნაბიჯით მილოლადა, ხოლო ჩქარი მატარებელი თურმე სამი საათის წინ გასულიყო, როცა ჩვენ სასტუმროს ვესტიბიულში ბარგშეკრულები ბოლთას ვცემდით და ველოდით, აბა ახლა მოგვაკითხავენ და აბა ახლათ. ბოლოს მოთმინების ფიალა ამეკსო და თავი ვეღარ შევიკავე. ჩემს მეგზურს პირდაპირ ვუთხარი, რასაც ვფიქრობდი ნათ რუსეთზე. იგი უღრმესი პატივისცემით ისმენდა ჩემს გესლიან ფრაზებს და ბოლოს ისეთი რამ მითხრა, რამაც კიდევ უფრო აშკარად დამანახვა როგორია თანამედროვე რუსული გუნებგანწყობა. „იცით რა“, მომიბოდიშა, „ბლოკადაა და...“

ლუნაჩარსკის ნახვა პირადად თუშცა ვერ შევძელი, მაგრამ მისი გაკეთებული საქმე ბევრი ვნახე. სახალხო განათლების მუშაკთათვის სამუშაო მასალას ცოცხალი ადამიანები წარმოადგენენ, ამის ნაკლებობა კი ჯერ არ განუცდია რუსეთს; ასე რომ, ლუნაჩარსკის თავის კოლეგებთან შედარებით უკეთესი მდგომარეობა აქვს. განათლების სფეროში ბოლშევიკების მოღვაწეობას თავდაპირველად ეჭვის თვალთა და უნდოდ შევხედე, ახლა იძულებული ვარ ვაღიარო, რომ მიუხედავად უამრავი სიძნელებებისა, გასაოცრად ნაყოფიერად მუშაობენ.

თავიდან ყველაფერი საკმაოდ უსიამოვნოდ დაიწყო. პეტერბურგში ჩამოსვლისთანავე სურვილი გამოვთქვი, სკოლა მიჩვენეთ-მეთქი. სანახავად მეორე დღესვე წამიყვანეს, მაგრამ შინ უკმაყოფილო დავბრუნდი. სკოლა შესანიშნავად მოეწყოთ, გაცილებით უკეთ, ვიდრე ინგლისის რომელიმე დაწყებითი სკოლა, ბავშვებიც ნათელი

გონების და საკმაოდ განვითარებულები ჩანდნენ. ჩვენ რომ მივედით, მეცადინეობა დამთავრებული იყო, და გაკვეთილს ვეღარ დავესწარით. მოსწავლეთა ქცევას ეტყობოდა, დისციპლინა მოიკოჭლებდა. ვფიქრობდი, ეს სკოლა ალბათ საგანგებოდ შეარჩიეს, მოამზადეს და ისე მაჩვენებენ, ამაზე უკეთესით პეტერბურგს არაფრით შეუძლია დაიკვეხოს-მეთქი. ჩემმა მეგზურმა ბავშვებს ჰკითხა, აბა რა იცით ინგლისური ლიტერატურის შესახებ და ვინ არის თქვენი საყვარელი მწერალი? მათზე მათხუ იტყვი, ერთი მწერალი ყველაზე მეტად ჰყვარებიათ და ეს მე ვიყავი. ისეთი უმნიშვნელო პიროვნებები, როგორცაა მილტონი, დიკენსი და შექსპირი, ჩემს ფეხის ფრჩხილადაც არ ღირებულან. ბავშვებს კიდევ მისცეს შეკითხვები და მათ თორმეტამდე ჩემი ნაწარმოები დაასახელეს. მეც გამოვაცხადე, დიდად კმაყოფილი ვარ იმით, რაც ვნახე და მოვისმინე და მეტი არაფერი მაინტერესებს-მეთქი. აბა, ამაზე მეტი რაღა უნდა ყოფილიყო? სკოლიდან ნაძალადევი ღიმილით გამოვედი, გულში კი ბრაზი მომივიდა ამ შეხვედრის მომწყობებზე.

სამი დღის შემდეგ, დილით მოულოდნელად უარყვავი იმ დღის გეგმა და ვთქვი, დაუყოვნებლივ წამიყვანეთ რომელიმე სხვა სკოლაში, რომელიც აქვე ახლოს არის-მეთქი. დარწმუნებული ვიყავი, რომ ის სკოლა თვალის ასახვევად მიჩვენეს და ახლა პირდაპირ საშინელება შემრჩებოდა ხელში. ჩემდა გასაოცრად, ეს სკოლა გაცილებით სჯობდა წინანდელს. შენობაც უკეთესი ჰქონდათ, მოწყობილობაც, დისციპლინაც სხვა იყო. გაკვეთილი ისე მომეწონა, რომ აღტაცებული დავრჩი. მასწავლებლები უმეტესად შუახნის, დარბაისული ქალები არიან. დასასწრებად გეომეტრიის გაკვეთილი ვამჯობინე, რადგან მისი ნახაზები და ფორმულები საერთაშორისო ენას წარმოადგენს. მიჩვენეს მოსწავლეთა მიერ დახაზული პროექტები, მათი ხელით აგებული მოდელები, რაც ძალიან მომეწონა. სკოლას უხვად აქვს თვალსაჩინოების საშუალებები. გულმოდგინედ შეურჩევიათ პეიზაჟების მთელი სერია გეოგრაფიის სასწავლებლად. ფიზიკისა და ქიმიის შესანიშნავად მოწყობილი კაბინეტები ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან. ისიც ვნახე, თუ როგორ მზადდება მოსწავლეთა სადილი — საბჭოთა რუსეთში ბავშვებს სკოლა კვებავს. პროდუქტის ხარისხი და მომზადება გაცილებით უკეთესია სახალხო სასადილოებთან შედარებით. ნანახით მეტისმეტად კმაყოფილი დავრჩი. წასვლისას რამდენიმე კითხვა მივეცი მოსწავლეებს, რათა გამომერკვია რამდენად პოპულარულია ჰერბერტ უელსი რუს ახალგაზრდობაში. არც ერთ ბავშვს არ გაეგონა მისი სახელი. არც სკოლის ბიბლიოთეკას აღმოაჩნდა მისი რომელიმე ნაწარმოები. ამან კიდევ უფრო დამარწმუნა, რომ სრულიად ჩვეულებრივ სკოლაში ვიმყოფებოდი. ახლა ვხვდები, რომ იმ სკოლაში სულაც არ უცდიათ ჩემი შეცდომაში შეყვანა, აქაოდა, კარგად გვაქვს სწავლის საქმე დაყენებულიო, როგორც ეს გაბრაზებულმა დავასკვენი, არამედ ეს იყო ჩემი კოლეგის, კრიტიკოს ჩუკოვსკის უბოროტო ხუმრობა. მას მთელი სულითა და გულით უნდოდა ეჩვენებინა, როგორი საყვარელი მწერალი ვარ რუსეთისათვის, ის კი აღარ გაითვალისწინა, რაოდენ სერიოზული საქმე ჰქონდა დაკისრებული.

როდესაც ყველაფერი ვნახე და ბოლოს რუსეთში ნამყოფი სხვა ხალხისგანაც გავიგე (განსაკუთრებით საყურადღებოა ბატონ პეიდენ გესტის მონაყოლი, რომელიც ჩემსავით „მოულოდნელად ეწვია“ რამდენიმე სკოლას), დავრწმუნდი, რომ საბჭოთა რუსეთი მიუხედავად აურაცხელი სიძნელებებისა განათლების სფეროში, გიგანტური ნაბიჯებით მიიწევეს წინ. სკოლების რაოდენობა და სწავლების დონე ქალაქებში შესამჩნევად გაზრდილა მეფის რუსეთთან შედარებით. (გლახობას, ცალკეულ საჩვე-



ნებელ“ რაიონების გარდა, არ უხედავს ამბავი). რუსეთის სკოლები არაფრით ჩამოუვარდებიან ინგლისის საშუალო საუკეთესო სკოლებს. სკოლის კარები ყველასათვის ღიაა, უნდათ სწავლება სავალდებულო გახადონ, რასაკვირველია, თავისებური სიძნელებებიცაა აქვთ. ბევრი სკოლა პედაგოგების ნაკლებობას განიცდის. უჭირთ აიძულონ ზოგიერთი მოსწავლე გაკვეთილებს დაესწროს. არიან ისეთი ბავშვებიც, რომელთაც ქუჩაში ყოფნა და ვაჭრობა ურჩევნიათ. რუსეთის მარცხდამარცხი ვაჭრობას უმეტესად ბავშვები ეწევიან, რადგან ჯერ ერთი — ბავშვის დაჭერა უჭირს ძნელია, ვიდრე დიდი ადამიანის, და მეორეც იმიტომ, რომ კომუნისტები კატეგორიულად კრძალავენ ბავშვის დასჯას. რუსი ბავშვები კი ჩრდილოელის კვალობაზე სათვრად სწრაფად ვითარდებიან.

თხუთმეტ, თექვსმეტ წლამდე მოზარდთა გაერთიანებულმა სწავლენამ ისედაც არეულ-დარეულ რუსეთში ზედმიწევნით ცუდი შედეგი გამოიღო. ეს მაშინ გაიფიქროცა პეტერბურგის საგანგებო კომისიის ყოფილი ხელმძღვანელი ბაკაევი და მისი კოლეგა ზალუცკი რჩევის საკითხავად მოვიდნენ გორკისთან. ჩემი თანდასწრებით, სრულიად გულახდილად ლაპარაკობდნენ, მათ საუბარს იქვე მითარგმნიდნენ ინგლისურად. მიჩვენეს აგრეთვე ბოლშევიკების შეკრებილი და გამოქვეყნებული თავზარდამცემი მონაცემები პეტერბურგის ახალგაზრდობის ამორალური ქცევის შესახებ. არ ვიცი, რა შესაბამისობა არსებობს მათსა და ბრიტანეთის სტატისტიკურ მონაცემებს შორის — თუკი ინგლისურ სტატისტიკას საერთოდ გააჩნია ისინი — განსაკუთრებით ისეთ რაიონებში, როგორცაა ლონდონის აღმოსავლეთი ნაწილი და გარყვნილების ნამდვილი ბუდე, ქალაქი რიდინგი (ამ საკითხით დაინტერესებულ მკითხველს ვურჩევთ წაიკითხოს ფაბიანური საზოგადოების მოხსენება პროსტიტუციის თაობაზე, სათაურით „დაცემის გზები“). არ ვიცი რა მდგომარეობა იყო მეფის რუსეთში, არც ის შემძლია, ეს მოვლენა სიღარიბითა და უსახლკარობით გამოწვეულ სასოწარკვეთას მივაწერო. ის კი ფაქტია, რომ რუსეთის ქალაქებში სახალხო განათლებისა და ახალგაზრდობის ინტელექტუალური განვითარების გაზრდასთან ერთად მატულობს ამ ახალგაზრდობის თავაშვებულობა, სქესობრივ სფეროში განსაკუთრებით; მაშინ, როდესაც უფროსი თაობა უმაგალითო თავშეკავებულობასა და პურიტანულ ზნეობას აცლენს. გარყვნილების ციებ-ცხლებით შეპყრობილი ახალგაზრდობა სამარცხვინო დაღად აზის რუსეთის კულტურის განვითარებას. მე ვფიქრობ, ეს ერთ-ერთი იმ გამოვლინებათაგანია, რაშიც საერთო სოციალურმა განადგურებამ იჩინა თავი. ომმა ევროპის ყველა ქვეყანაში მისცა დასაბამი მოზარდთა თავაშვებულობას. რევოლუციამ ძველი გამოცდილი პედაგოგები გამოაცალა სკოლებს და ზნეობის ყოველგვარი ნორმები საკამათო გახადა. ამით მან ნამდვილად შეუწყო ხელი, ხოლო რამდენად, ეს კიდევ საკითხავია, დღევანდელი რუსეთის მდგომარეობის კიდევ უფრო არეულ-დარევას.

ბოლშევიკებმა, რომლებიც იძულებულნი არიან გაუმკლავდნენ შიმშილს, ოჯახების დარღვევასა და სოციალურ ქაოსს, ხელი მოჰკიდეს რუსი ბავშვების მეურვეობას. შექმნილია სკოლა-ინტერნატები, სადაც, ინგლისის შეძლებული ოჯახების ბავშვთა მსგავსად, სწავლობენ ქალაქში მცხოვრები რუსი ბავშვებიც. იმ მეორე სკოლის გვერდით, პეტერბურგში რომ ვნახე, იდგა ორი მოზარდილი შენობა — საერთო საცხოვრებელი, ერთი გოგონებისათვის, მეორე კი ბიჭებისათვის. ბავშვებს უნერგავენ ელემენტარული ჰიგიენისა და ზნეობის ნორმებს. ეს გამოწვეულია არა მხოლოდ კომუნისტური პრინციპებით, არამედ რუსეთში არსებული მდგომარეობითაც. რაკი რუსე-

თის ზოგიერთი ქალაქის ცხოვრება ჯურღმულების ყოფამდე ეშვება, ბოლშევიკური ხელისუფლება იძულებულია ბუმბერაზ ექიმ ბერნარდოს როლი ითამაშოს.

დაგათვალისწინებთ ბავშვთა თავშესაფარის მსგავსი დაწესებულება, სადაც მშობლებს თვითონ მოჰყავთ შვილები, როცა საშუალება არა აქვთ მთარიღონ ქურჩის გაყვანას, მოუარონ მათ, გამოკვებონ და სუფთად ჰყავდეთ. ამ თავშესაფარს ეწოდება „Hôtel de l'Europe“-ის შენობა. მეფის დროს აქაურობა ქეიფის ბუნებისადმი ადგილს წარმოადგენდა. სასტუმროს სახურავზე ჯერ კიდევ შემორჩენილია საზაფხულო ბაღი, სადაც სიმებიანი კვარტეტი უკრავდა უწინ. კიბეზე ასვლისას ჩავუარეთ მჭრქალი მინის ფანჯარას, რომელზეც ოქროსფერი ასოებით ეწერა „Coiffeur des Dames“.

მოოქვრილი, კობტა ისრები რესტორნის ადგილსამყოფელზე მიგვითითებდნენ, თუმცა პეტერბურგის შავბნელ დღეებში მცნება რესტორანი წარსულს ჩაბარდა. ახლა აქ ყველაფერი ბავშვებისთვისაა განკუთვნილი. ახალმოყვანილებმა თავდაპირველად კარანტინი უნდა გაიარონ, რაიმე გადამდები სნეულება არ სჭირდეთ (ათიდან ცხრა ბავშვს მკვებნარი ჰყავს). გასუფთაების შემდგომ მეორე კარანტინში ათავსებენ, რომ ნახონ, მანუ ჩვევები ან ცუდი მიდრეკილებები ხომ არა აქვთ. ზოგიერთებს დეფექტურ ბავშვთა სკოლებში გაგზავნა უწევთ, დანარჩენებს კი სახელმწიფო სკოლა-ინტერნატებში ანაწილებენ.

ჩვენ აქ საქმე გვაქვს „ოჯახის ნგრევასთან“, რაც ელვის სისწრაფით მიდის. ბოლშევიკების მეურვეობა თანაბრად ნაწილდება ყველა ბავშვზე, დამოუკიდებლად მისი წარმომობისა. მშობლებს შეუძლიათ დღის განმავლობაში ნებისმიერ დროს ინახულონ შვილები, თლონდ არ აქვთ უფლება, უფრო სწორად, თითქმის არ აქვთ უფლება, ჩაერიონ მისი აღზრდის, ჩაცმა-დახურვისა და სხვა საკითხებში. ჩვენ დაწვრილებით გავეცანით ბავშვების ყოფა-ცხოვრებას და დაფრწუნდით, რომ ისინი ჯანსაღნი, ბედნიერნი და კმაყოფილნი არიან. მომგელელებიც გულისხმიერი პედაგოგები ჰყავთ. არსებობს კატეგორია ადამიანებისა, რომლებიც თუმცა არ ფარავენ თავიანთ უკმაყოფილებას შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობისადმი, მაინც სურთ პატიოსნად ემსახურონ რუსეთს. ასეთი ხალხი დიდი სიამოვნებითა და მთელი გულისყურით ეკიდება ბავშვთა აღზრდის საქმეს. ჩემი მეგზური კარგად იცნობდა იმ ქალბატონს, რომელმაც დაგვათვალისწინებინა ბავშვთა თავშესაფარი. ხშირად უსადილნიათ და უვახშმნიათ ერთად „Hôtel de l'Europe“-ში წარსული დიდების დღეებში. ეს ქალბატონი ახლა სადაც ჩაცმული, თმაშეკრეპილი და მეტისმეტად თავშეკავებულია. მისი მუშაობა თეთრგვარდიული ყოფილა და პოლონეთის არმიაში მსახურობს თურმე. ორი შვილი ჰყავს, რომლებიც ინტერნატში იზრდებიან, თვითონაც ათობით სხვა ბავშვის აღზრდას ემსახურება. ეტყობა ეამაყება თავისი დაწესებულების მოღვაწეობა; ასე თქვა, ამ გაჭირვებისა და მოსალოდნელი შიმშილის მიუხედავად ჩემი ცხოვრება გაცილებით უფრო საინტერესოა წინანდელთან შედარებით.

შეუძლებელია ყველაფერი იმის ჩამოთვლა, რაც რუსეთის განათლების სფეროში ვნახე. მაგრამ მინდა ორიოდ სიტყვა გითხრათ მშრომელთა დასასვენებელი სახლის შესახებ კუნძულ კამენნიზე. ეს არც თუ ისე ურიგო, მაგრამ ცოტა არ იყოს, უცნაური წამოწყებაა. კულტურული დასვენების მიზნით მშრომელებს ორი ან სამი კვირით აგზავნიან აქ. ეს გახლავთ საკმაოდ ლამაზი აგარაკი უზარმაზარი ბაღით, ორანჟერეითა და დამხმარე ნაგებობებით. ყველა მაგიდაზე ქათქათა სუფრა აფარია და ყვავილებიანი ლარნაკი დგას. მუშები იძულებული არიან ამ კობტა დაწესებულების

განაწესით იცხოვრონ. ესეც აღზრდის თავისებური მეთოდია. თუკი წასცდება და თავისი ძველი, მამა-პაპური, გლეხური ჩვეულებისამებრ იატაკზე დააფურთხებს, ამ დაფურთხებულს ცარციტ გარშემო წრეს შემოუხაზავენ და მუშას აიძულებენ გაახუფთაოს მის მიერ გაბინძურებული იატაკი. დასასვენებელ სახლში მისასვლელი ხეივანი ფუტურის-ტულადაა გაფორმებული, ხოლო ალაყაფის კართან ჩაქურსებული დასრულებული მუშის უზარმაზარი ფიგურა დგას. იგი თაბაშირისაგან ჩამოუსწამთ, რაც პეტერბურგის სააჯადმყოფოების ქირურგიული განყოფილებიდან წამოუღიათ... რაც არ უნდა იყოს, ის, რომ შენი ქვეყნის მუშას, აღზრდის მიზნით სასიამოვნო ატმოსფეროს უქმნი, ურიგო აზრი არ არის...

მიჭირს ჯეროვნად შევაფასო ბოლშევიკების საქმიანობა. რუსეთში მიმდინარეობს წემოქმედებითი და საგანმანათლებლო მუშაობა. ზოგი რამ აღტაცებას იწვევს, ზოგი კი პირდაპირ სასაცილოა, მაგრამ ეს თავგანწირული შრომა იმედის ნაპერწკალს ბადებს უკიდურესი გაჭირვებისა და განადგურების პირქუშ წყვდიადში. შესწევს თუ არა მას ძალა და უნარი გადაარჩინოს დასახრჩობად განწირული ქვეყანა? ან გაამხნევეს და გაამაგრებს თუ არა რუსეთს, თუკი იგი ოდესმე სულს მოითქვამს სამოქალაქო ომისა და ინტერვენტებისაგან, შიმშილისა და გაჭირვებისაგან? სწორედ ამ განახლებულ რუსეთზე, მომავლის რუსეთზე ვაპირებდი მელაპარაკნა, როდესაც კრემლისაკენ გავეშურე ლენინის სანახავად. ჩვენ საუბარს სულ ბოლო სტატიაში მოგახსენებთ.

## 5. პეტერბურგის საბჭო.

### საკანონმდებლო სახალხო კრება

ხუთშაბათს, შვიდ ოქტომბერს ჩვენ დავესწარით პეტერბურგის საბჭოს სხდომას. გვითხრეს, ეს საკანონმდებლო ორგანო დიდად განსხვავდება ინგლისის თემთა პალატისაგანო. განსხვავება მართლაც იყო. რუსეთის უმეტესი ორგანიზაციების მსგავსად, იგი მოუფიქრებლად და ნაჩქარევად მუშაობს. ძნელია წარმოიდგინო ესოდენ დიდი პასუხისმგებლობისა და ფუნქციების მქონე დაწესებულების ამგვარი არაორგანიზებულიობა.

სხდომა თავრიდის სახალხეში ჩატარდა, რომელიც ოდესღაც ეკატერინე მეორის ფავორიტს — პოტიომკინს ეკუთვნოდა. მეფის დროს აქ სახელმწიფო სათათბირო იკრიბებოდა. 1914 წელს დავესწარი კიდევაც მისი მუშაობის მოსაწყენ პროცესს. მე, მისტერ მორის ბერინგი და რომელიღაც ბენკერდორფი დარბაზში შევედით და ნახევარწრედ შემოვლებულ, დამსწრეთათვის განკუთვნილ გალერეაში დავსხედით. დარბაზი ათასამდე კაცს დაიტევდა ალბათ, მაგრამ ადგილების ნახევარზე მეტი ცარიელი იყო. თავმჯდომარე, თავის ზარით, მომალლო კათედრასთან იჯდა, ხოლო მის უკან სტენოგრაფისტი ქალები ისხდნენ. არ მახსოვს რა საკითხს იხილავდნენ მაშინ; ყოველ შემთხვევაში საინტერესო არაფერი ყოფილა. მახსოვს, ბერინგმა მესამე სათათბიროს მიერ არჩეული წევრები დამანახა. ისინი უმთავრესად მღვდლები იყვნენ, რომელთა გრძელი წვერი და ანაფორა მაშინვე თვალში გეცემოდათ ამ მცირერიცხოვან ხალხში.

ამჯერად ჩვენ პასიური მაყურებლები კი აღარ ვიყავით, არამედ სხდომის მონა-  
წილენი გახლდით. ჩვენ დაგვსვეს თავმჯდომარის კათედრის უკან, მთავრობის წევრე-  
ბის, ოფიციალური სტუმრების და სხვა მისთანებისათვის განკუთვნილ ტრიბუნაზე.  
თავმჯდომარის კათედრა, ტრიბუნა და სტენოგრაფისტების მაგიდა უცვლელად დარ-  
ჩენილიყო, უსიცოცხლო პარლამენტარიზმის ატმოსფერო კი ხალხმრავალ-ქმავერიან  
და განსაკუთრებული მღვლვარებით აღსავსე კრებამ შესცვალა. ჩვენს უკან-  
შედის გარშემო, ნახევარწრედ ამალღებულ სკამებზე იჯდა ორასზე მეტი ადამიანი.  
ესენი იყვნენ ამხანაგები სამხედრო საზღვაო ფლოტიდან, ინტელიგენციისა და მუშათა  
კლასის წარმომადგენლები, უამრავი დარბაისლური გარეგნობის ქალი, ერთი თუ ორი  
აზიელი, და რამდენიმე გაურკვეველი პიროვნება. დარბაზიც გამოტენილი იყო.  
სკამების გარდა გასასვლელებიც დაეკავებინათ, გაღერვის ქვეშა ადგილებიც და გაღე-  
რეებიც. სულ ორი ან, შესაძლოა, სამი ათასი სული იქნებოდა. ყველა ესენი პეტერ-  
ბურგის საბჭოს წევრები იყვნენ. პეტერბურგის საბჭო კი რაიონული საბჭოების ერთ-  
გვარ გაერთიანებულ ანსამბლს წარმოადგენდა.

პრეზიდიუმში ჩვენკენ ზურგშექცევით ისხდნენ ზინოვიევი, მისი მარჯვენა ხელი  
ზორინი და სხდომის თავმჯდომარე. ირჩეოდა პოლონეთთან ზავის დადების პირო-  
ბები. ეტყობოდა, დამარცხებას ძალიან განიცდიდნენ და არამც და არამც არ სურდათ  
პოლონეთის მოთხოვნები დაეკმაყოფილებინათ. ჩვენი მოხვლის შემდეგ სულ ძალე  
ზინოვიევმა საკმაოდ დიდხანს, და რამდენადაც შევატყვე, დამაჯერებლადაც, ილაპა-  
რაკა, რათა დამსწრე საზოგადოება კაპიტულაციის აუცილებლობაში დაერწმუნებინა.  
პოლონეთის მოთხოვნები აღმაშფოთებელია, მაგრამ დღესდღეობით რუსეთი იძუ-  
ლებულია დაუთმოს მას. შემდეგ ილაპარაკა ვიღაც ხანდაზმულმა კაცმა. მან რუს  
ხალხსა და რუსეთის ხელისუფლებას უსაყვედურა, სულ დაკარგეთ ღმერთის რწმენაო.  
რუსეთი თავის ცოდვების გამო ისჯება, და ვიდრე არ მოინანიებს თავის ცოდვებს და  
არ დაიბრუნებს ღმერთის რწმენას, მანამდე ბოლო არ მოეღება მის ტანჯვა-წამებასო.  
შის ნათქვამს, ჩანდა, არაფინ იზიარებდა, მაგრამ ბოლომდე ალაპარაკეს. პოლონეთთან  
დაზავება ღია კენჭისყრით გადაწყდა. შემდეგ ჩემი რიგი მოვიდა. სხდომას მოახსენეს,  
რომ მე ინგლისიდან ჩამოვედი და მსურს გავეცნო ბოლშევიკების საქმიანობას. ჩემს  
პიროვნებას ხოტბა შეასხეს და მომიწოდეს სამართლიანად შემეფასებინა მათი საქ-  
მიანობა; არ მიმებაძა ზოგიერთებისათვის, როგორცაა, მაგალითად ქ-ნი სნოუდენი,  
გესტი და ბერთრან რასელი. საბჭოთა რესპუბლიკამ სტუმართმოყვარეობა გამოიჩინა  
მათ მიმართ, ისინი კი წავიდნენ და მადლობის მაგივრად რა არ ილაპარაკეს. ამ  
მოწოდებას ცივად შევხვდი. რუსეთში იმიტომ ჩამოვედი, რომ სამართლიანად შევაფასო  
ბოლშევიკური მთავრობა და არა მისი მეხოტბე გავხდე. შემდეგ სიტყვა მომიცეს და  
ტრიბუნაზე ავედი. ვიცოდდი, რა საბედისწერო ადგილად იქცა ეს ტრიბუნა იმ ადამიანე-  
ბისათვის, ჩემამდე რომ იყვნენ აქ, რადგან ვეღარ განმარტეს შემდგომ, რამ ათქმევინათ  
ის, რაც მათი თარჯიმნების საშუალებით მთელ მსოფლიოს აუწყა რადიომ. საბედნიე-  
როდ, მე თადარიგი დავიჭირე და ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად  
ინგლისურად დავწერე ჩემი მოხსენების ტექსტი. ზუსტი რუსული თარგმანიც წინას-  
წარ მოვამზადე. უპირველეს ყოვლისა, პირდაპირ გამოვაცხადე, რომ მე არც მარქ-  
სისტის ვარ და არც კომუნისტი, არამედ კოლექტივისტი და რომ რუსებმა თავიანთი  
ხსნა და იმედი დასავლეთის სოციალურ რევოლუციას კი არა, დასავლეთულ ზონიერ  
ლიბერალთა მხარდაჭერას უნდა დაუკავშირონ. ისიც ვთქვი, რომ დასავლეთის სახელ-  
მწიფოთა ხალხები მზად არიან მშვიდობიანი ურთიერთობა დაამყარონ რუსეთთან,

რომელსაც განვითარების თავისი გზა აქვს, ხოლო თვითონ კი შესაძლოა სრულიად სხვა მიმართულებით განვითარდნენ. დავასრულე თუ არა, მაშინვე ჩემს თარჯიმანს ზორინს გადავეცი რუსული ტექსტი. ამით მას საქმე გაუადვილდა, მე კი დაზღვეული ვიყავი ყოველგვარი გაუგებრობისაგან. ჩემი მოხსენება სიტყვა-სიტყვით დაიბეჭდა გაზეთ „პრავედაში“.

ეროვნული

ამის შემდეგ, ზორინმა შემოიტანა წინადადება ზინოვიევი-მუსკლინის გაგზავნოთ, რათა დამოუკიდებელ სოციალისტთა ყრილობას დაესწროს. ზორინი საკმაოდ მახვილგონიერი და მჭევრმეტყველი ორატორია. მისმა იუმორით სავსე გამოსვლამ გაამხიარულა აუდიტორია. მის წინადადებას ყველამ ერთხმად დაუჭირა მხარი. შემდეგ მოისმინეს მოხსენება პეტერბურგის გარეუბნებში ბოსტნეულის მოყვანის შესახებ. ზოგიერთმა თავისი აზრიც გამოთქვა. ამ პრაქტიკულ საკითხს დიდი გამოცოცხლება მოჰყვა დარბაზში. ხალხი ფეხზე დგებოდა, რაღაც ფრაზებს ისროდა და ისევ თავის ადგილას ჯდებოდა. ყვიროდნენ და ლაპარაკს არ აცლიდნენ ერთმანეთს. დასავლეთ ევროპიელის თვალში ეს ყველაფერი ქუინ ჰთლში გამართულ მუშათა თავყრილობას უფრო მიაგავდა, ვიდრე საკანონმდებლო ორგანოს მუშაობას.

ბოლოს, ეს საკითხი რომ მოაგვარეს, გასაოცარი რამ მოხდა. პრეზიდიუმში მჯდომი ხალხი ისედაც გაჭედულ დარბაზში გადაგვიყვანეს და იქ, სადაც ადრე თავმჯდომარე იჯდა, ეკრანი ჩამოუშვეს. გალერეის ხელმარცხნივ სასულე ორკესტრი მოთავსდა, და დაიწყო ხუთნაწილიანი ფილმის დემონსტრირება ბაქოს კონფერენციის შესახებ. სურათს ინტერესით უცქერდნენ, მაგრამ ტაშს არ უკრავდნენ. დასასრულს ორკესტრმა ინტერნაციონალი შეასრულა და მაყურებელი, — უკაცრავად! — პეტერბურგის საბჭო, ამ ცნობილი სიმღერის შესრულებით დაიშალა. ეს იყო უზარმაზარი სახალხო კრება, მოკლებული ყოველგვარ საკანონმდებლო მოქმედებას. მას შეეძლო მხოლოდ მოეწონებინა ან არ მოეწონებინა ხელისუფლების მიერ წამოყენებული საკითხი. ხოლო ინგლისის პარლამენტთან მისი ორგანიზაციის, სტრუქტურისა და საქმიანობის შედარება იგივეა, რაც ვროვად დახვავებული საათის მექანიზმის ნაწილები მოძველებულსა და არაზუსტ, მაგრამ მაინც მუშა საათს შეადარო.

6. ქრეპლის მეოცნება

ჩემი პეტერბურგიდან მოსკოვში წასვლის მთავარი მიზანი ლენინის ნახვა და მასთან საუბარი იყო. ნახვა მართლაც ძალიან მაინტერესებდა. რადგან, ცოტა არ იყოს, მტრულად ვიყავი მისდამი განწყობილი. სინამდვილეში კი ის პიროვნება, მე რომ გავიცანი, სრულიად არ მიაგავდა ჩემს წარმოდგენილს.

ლენინი კალმოსანი არ არის. მისი გამოქვეყნებული შრომები ვერ იძლევა სრულყოფილ წარმოდგენას მასზე. მძაფრი ტონით დაწერილი პამფლეტები და ბროშურები, რომლებიც მოსკოვში მისი სახელით გამოდის, სავსეა მცდარი კონცეპციით დასავლელი მუშის ფსიქოლოგიაზე და ჯიუტი მტკიცებით, რომ რუსეთში გინდა თუ არა, მარქსის ნაწინასწარმეტყველები სოციალური რევოლუცია მოხდაო, ამ ბროშურებს არაფერი აქვთ საერთო იმ სიბრძნესთან, რაც მე ლენინს შევატყვე-

ოქტომბრის კაშკაშა მზით გაბრწყინებული და ფოთლებგაყვითლებული ხეებითა და ბურქებით დამშვენებული მოსკოვი პეტერბურგთან შედარებით უფრო გამოცოცხლებული და ხალისიანი გვეჩვენა. ქუჩებში ხალხმრავლობა, ეტლებიც მეტიც, ვაჭრობაც შედარებით გაცხოველებულია, — ბაზრები გაუხსნიათ. არც ქუჩები და სახლებია პეტერბურგით მინგრეულ-მონგრეული. თუმცა, 1918 წლის თავისწირული ბრძოლების ბევრი კვალი წარუშლელად დატყობია. ვასილი ნეტარის უბანის უბანის ტაძრის ერთ-ერთი გუმბათი, კრემლის კარიბჭესთან, ყუმბარას დაუნგრევია და ჯერაც არ შეუკეთებიათ. ტრამვაის ჩვენს იქ ყოფნაში მგზავრები არ გადაჰყავდა. მას პროდუქტისა და საწვავის გადასაზიდად იყენებდნენ. ამბობენ, ამ საკითხში პეტერბურგი უკეთაა მომარაგებულიო.

მოსკოვის ეკლესიების ათი ათასი ჯვარი კვლავინდებურად ელგარებს მზეზე. კრემლის ერთ-ერთი კოშკის თავზე კი მეფის არწივს გაუშლია ფრთები. ბოლშევიკურ მთავრობას, ჩანს, არ სცალია მისთვის, ანდა, უბრალოდ, არავითარ ყურადღებას არ აქცევს. ეკლესიები დიაა. ხალხი შეუწყვეტლივ მიედინება ხატზე სამთხვევად. კართან ატუშულ მათხოვრებს იშვიათად თუ ვინმე გადაუგდებს მოწყალებას. ხალხი განსაკუთრებით იბერიის ღეთისმშობლის სამლოცველოს ეტანება, მაცხოვრის კარიბჭესთან. გლეხის ქალები, რომლებმაც შიგ ვერ მოახერხეს შესვლა, გარედან ჰკოცნიან მის ცივ ქვეს.

ქუჩის მეორე მხარეს, სახლის კიდევ რევოლუციური მოსკოვის ცნობილი ლოზუნგია ჩარჩოში ჩასმული: „რელიგია ოპიუმი ხალხისთვის“. მაგრამ მას ყურადღებას არავინ აქცევს, რადგან ხალხმა კითხვა არ იცის.

ეს წარწერა გახდა მიზეზი ჩემსა და ჩემს სასტუმროში მცხოვრები ამერიკელი ფინანსისტის, მისტერ ვანდერლიპის საინტერესო შეგამათებისა. იგი ამტკიცებდა, ეს წარწერა უნდა მოიხსნასო. მე კი ვუთხარი, რომ არა, უნდა შემორჩეს, როგორც ისტორიული რელიქვია, რადგან რჯულთშემწყნარებლობა ათეისტებზეც უნდა გავრცელდეს-მეთქი. მისტერ ვანდერლიპი ისე ძლიერ განიცდიდა ამ ამბავს, რომ ვერაფრით ვერ მივახვედრე რას ვეუბნებოდი.

მე, მისტერ ვანდერლიპი და ერთი ინგლისელი მოქანდაკე სტუმრებისათვის განკუთვნილ უზარმაზარ, მდიდრულად მორთულ შენობაში ეცხოვრობდით სოფის სანაპიროზე (№ 17). იგი კრემლის დიდ კედელსა და რუსეთის მეფეების ამ ციხესიმაგრის კოშკებსა და გუმბათებს გადაჰყურებდა. მოსკოვში გაცილებით უფრო თავისუფლად და დამოუკიდებლად ვგრძნობდით თავს, ვიდრე პეტერბურგში. ჩვენი სასტუმროს კართან მცველები იდგნენ და შემთხვევითი მნახველებისაგან გვიფარავდნენ, მაშინ როდესაც პეტერბურგში ვისაც მოგპრიანებოდა, ყველა შემოდისოდა ჩემთან სალაპარაკოდ. მისტერ ვანდერლიპი ვგონებ რამდენიმე კვირის წინათ ჩამოსულიყო მოსკოვში და ალბათ კიდევ ამდენსავე ხანს აპირებდა აქ დარჩენას. მას არც მსახური ახლდა, არც მდივანი და არც თარჯიმანი. თავის საქმიანობაზე არაფერს ამბობდა, მხოლოდ ერთი-ორჯერ ნეტისმეტი სიფრთხილითა და ხაზგასმით მითხრა, მე აქ ფინანსურ და ეკონომიურ საქმეებზე ვარ ჩამოსული და პოლიტიკასთან არავითარი კავშირი არა მაქვსო. მე მითხრეს, მას სენატორ ჰარინგისაგან სარეკომენდაციო წერილი აქვს

ლენინთან, მაგრამ გამოგიტყდებით, ცნობისმოყვარე კაცი არ გახლავართ, ამიტომ არც ის მიცდია გამერკვია რამდენად სწორი იყო ეს და არც ის, რომ მისტერ ვანდერლიპის საქმეებში ჩაგრულიყავი. ისიც კი არ მიკითხავს, როგორ შეიძლება კომუნისტურ ქვეყანაში ფინანსური საქმეები მთავრობის გარეშე მოაგვარო, ხოლო მთავრობასთან ყოველგვარი პოლიტიკის გარეშე დაიჭირო საქმე, ჩემთვის ერთდროულად მოცული საქმეები ჩემთვის სრულიად გაუგებარია. ჩვენს ბრძანებებს მივსაძილობდით, ერთად ვაბოლებდით, ერთად ვსვამდით ყავას, თუმცა ეს ყველაფერი მეტისმეტი თავწეკავებულობის ატმოსფეროში ხდებოდა. მაგრამ იმის გამო, რომ მისტერ ვანდერლიპის „მისიაზე“ არაფერს ვამბობდი, ჩვენს წარმოდგენაში იგი უსომოდ გაიზარდა და რაღაცნაირად აგვეკვიატა კიდევ.

ლენინთან შესახვედრად საჭირო ფორმალური მხარე მეტად თავმომაბეზრებელი და ნერვებმომშლელი იყო, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, კრემლისაკენ გავემურე. თან მახლდა ლონდონის კომუნისტური პარტიის ყოფილი წევრი მისტერ როტშტეინი და ერთი ამერიკელი ამხანაგი, ვეებერთელა ფოტოაპარატით მხარზე, რომელიც, მე ვფიქრობ, რუსეთის უცხოეთთან ურთიერთობის სახალხო კომიტეტის წარმომადგენელი იყო.

1914 წელს, მახსოვს, ისევე თავისუფლად შეიძლებოდა კრემლში შესვლა, როგორც უინძორის ციხე-კოშკში. მაშინ იქ ჯგუფ-ჯგუფად მიდიოდნენ სალოცავად თუ დასათვალიერებლად. ახლა კი დაუკეტიათ და შესვლა აკრძალულია. ჯერ მარტო კარიბჭეში გაღწევას უამრავი საშვი და საბუთი სჭირდება. ლენინთან შესვლამდე ოთხი თუ ხუთი ოთახი გავიარეთ და ყოველ მათგანში გვიმოწმებდნენ საბუთებს. ლენინის პირადი უშიშროებისათვის ეს ალბათ აუცილებელიცაა, მაგრამ ამის გამო ძალზე რთულდება რუსეთის უშუალო კავშირი მასთან და — რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ქვეყნის ეფექტურად მართვის თვალსაზრისით — თვით ლენინის უშუალო კავშირი რუსეთთან. თუკი ყოველივე ასე იფილტრება მასთან მისვლამდე, მაშინ უნდა ვიგულისხმოთ, რომ იფილტრება ისიც, რაც მისგან მომდინარეობს; ასეთ ვითარებაში კი სავარაუდოა სხვადასხვა შეცდომები.

ბოლოს და ბოლოს, ლენინის კაბინეტში მოუხვდი. ამ ნათელი ოთახის ფანჯრები მოედანს გადაჰყურებდა. უზარმაზარ საწერ მაგიდასთან ტანმორჩილი ადამიანი იჯდა, რომელიც უამრავ წიგნებსა და ქაღალდებს დაეფარა. მე ხელმარცხნივ, მაგიდის კუთხესთან ჩამოვჯექი. იგი ჩემსკენ შემობრუნდა და ხელით გაშლილ ქაღალდებს დაეყრდნო. ლენინი ბრწყინვალედ ლაპარაკობს ინგლისურად, მაგრამ მისტერ როტშტეინი, რომელიც თვალყურს ადევნებდა ჩვენს საუბარს, შიგადაშიგ ურთავდა თავის შენიშვნებსა და ახსნა-განმარტებებს. ამასობაში ამერიკელმა თავისი ფოტოაპარატი მოიმარჯვა და უამრავი სურათი გადაგვიღო, თან ცდილობდა ხელი არ შეეშალა ჩვენთვის. საუბარი იმდენად საინტერესო იყო, რომ ამერიკელის საქმიანობას სრულიად არ უნოქმედია ჩვენზე. არც ფოტოაპარატის ჩხაკუნი გვაწუხებდა და არც მისი აქეთ-იქით სიარული.

მე დოქტრინული მარქსისტის ნახვას ველოდი და საკამათოდ ვემზადებოდი, მაგრამ ასე არ მოხდა. ნითხრეს, ლენინს ჭკუა-დარიგების მიცემა უყვარსო. ჩემთან საუბარში მას არაფერი ამის მსგავსი არ გამოუმუღავნებია. ბევრჯერ მსმენია ისიც, ლენინმა უცნაური სიცილი იცისო, ჯერ სასიამოვნო გეჩვენება, ხოლო ბოლოს კი დამცინავიო. არც ეს სიცილი გამიგონია. მისმა შუბლმა კი ვიღაც მომაგონა. მაშინ

ვერ გავიხსენე, ვინ. რამდენიმე დღის შემდეგ, სალამოთი მისტერ არტურ ბალფურა ლამპის შუქზე დავინახე, და მივხვდი, რომ ლენინსაც მასავით მაღალი, ოდნავ ასომეტრიული შუბლი აქვს. ხორბლისფერ სახეზე ხიბრხშიოად ეცვლება გამომეტყველება. სასიამოვნოა მისი ღიმილი, როდესაც გელაპარაკება (შესაძლოა, ეს მხედველობის ბრალია), ცალ თვალს ჭკუტავს. იგი სულაც არ არის ისეთი, როგორც ხურათ-ზეა, რადგან მასში ამ მიმიკის ცვლა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ნიშნულები. ლაპარაკისას ხანდახან ხელებს შლის. ლაპარაკობს დინჯად, საფუძვლიანად, ყოველგვარი ზედმეტობისა და ორაზროვნების გარეშე, როგორც ეს ნამდვილ მეცნიერს შეეფერის.

ჩვენი საუბარი ორი ძირითადი — არც ვიცი რა ვუწოდო, — თემის გარშემო ტრიალებდა. პირველი ჩემი ინტერესების სფეროდან იყო: „როგორ წარმოგიდგენიათ თქვენ რუსეთის მომავალი? როგორი სახელმწიფო გინდათ შექმნათ?“ მეორე აინტერესებდა მას: „რატომ არ იწყება სოციალური რევოლუცია ინგლისში? რატომ არ ანაადგებთ ამ რევოლუციას? რატომ არ ანადგურებთ კაპიტალიზმს და არ ქმნით კომუნისტურ სახელმწიფოს?“ ეს თემები ერთნაირად იხლოვებოდა, ევახებოდნენ და აშუქებდნენ ერთიმეორეს. მეორე თემა პირველთან გვაბრუნებდა: „რა მოგცათ თქვენ სოციალურმა რევოლუციამ? არის თუ არა წარმატება?“ ამას კი თავის მხრივ ისევ მეორე თემამდე მიგყავდით: „წარმატებისათვის საჭიროა დასავლეთის ქვეყნები შემოგვიერთდნენ. ეს კი არ ხდება, რატომ?“

1918 წლამდე მარქსისტებს ეგონათ სოციალური რევოლუცია ჩვენი საბოლოო მიზანიათ. პროლეტარები ყველა ქვეყნისა გაერთიანდებოდნენ, გაანადგურებდნენ კაპიტალიზმს და დაიწყებოდა სამარადისო ნუტარება. მაგრამ აი, დადგა 1918 წელი. კომუნისტებმა, მათდა გასაოცრად, ხელში აიღეს ძალაუფლება და ახლა ისღა დარჩენიათ, დანაპირები თქროს ხანა დაამყარონ. მართალია თმმა, ბლოკადამ და მსგავსმა მოვლენებმა მეტისმეტად შეუშალა ხელი ახალი, უკეთესი წყობილების შექმნას, მაგრამ იმასაც გრძნობენ, რამდენი რამ დარჩა გაუთვალისწინებელი მოუშადაბელ მარქსისტულ იდეოლოგიას. უამრავი რამაა ისეთი — ამათგან მე მხოლოდ რამდენიმე დაგისახელეთ — რესთვისაც თავი ვერ მოუბამთ... მაგრამ აბა რომელიმე კომუნისტს უთხარით ეჭვი მეპარება, ყველაფერი რიგზე იყოს ახალ წყობილებაშიო, მაშინვე იფეთქებენ. ისინი იმ ფსუკიან დიასახლისს ჰგვანან, რომელიც მოითხოვს ახალ ბინაში გადასახარგებლად გამზადებულ ოჯახში წესრიგი მიქეთო; ანდა ძველ სუფრა-ჟისტებს<sup>1</sup>, რომლებიც ამქვეყნიურ სამოთხეს გვიპირდებოდნენ, როგორც კი „მამაკაცთა შემოღებული კანონები“ გაუქმდებოდა. ლენინმა მისთვის ჩვეული გულწრფელობით, რითაც ხშირად აოცებს ხოლმე თავის მიმდევრებს, სრულიად გაჭფანტა ილუზიები იმისა, რომ რუსეთის რევოლუცია არ არის განუწყვეტელი ძიების ხანა. ადამიანებს, რომლებმაც იკისრეს თავისი ნხრებით ზიდონ კაპიტალიზმის განადგურების მთელი სიმძიმე, მოუწევთ ხან ერთი ხერხი სცადონ, ხან მეორე, ვიდრე არ მიაგნებენ მათთვის ხელსაყრელს, — წერდა ამასწინათ ლენინი.

ჩვენი საუბარი იმით დაიწყო, რომ განვიხილეთ როგორი იქნება მომავალში კომუნისტების ქალაქი. მაინტერესებდა, მისი აზრით რამდენ ხანს გასტანდა რუსეთის

<sup>1</sup> XX საუკუნის დასაწყისში ქალთა ბურჟუაზიული მოძრაობის მონაწილენი, რომლებიც მოითხოვდნენ ქალებისათვის საარჩევნო უფლების მინიჭებას.



ქალაქების კვლევა. განადგურებული პეტერბურგის შემყურეს ერთი აზრი დამებადა, რაზეც არასოდეს მიფიქრია ადრე; ქალაქის სახე, მისი დაგეგმვა, დამოკიდებულია მაღაზიებისა და ბაზრების განლაგებაზე, ხოლო ვაჭრობის გაუქმება ნებისმიერ ქალაქში შენობათა ცხრა მეათედს არსებობის ყოველგვარ აზრს დაუკარგავს. „ქალაქები ძალიან დაპატარავდება“, მითხრა ლენინმაც. „მათ სხვა იერს ექნებათ: დიახ, სრულიად სხვა იერი“. ეს ძნელი საქმეა-მეთქი, ვუთხარი. ამისთვის საჭიროა დაინგრეს ძველი ქალაქები და მათ ნაცვლად ახალი აშენდეს. ტაძრები და პეტერბურგის ვეზირთელა ნაგებობანი ისეთივე ისტორიულ ძეგლებად იქცევა, როგორც ველიკი ნოვგოროდის ძეგლთაძველი შენობები და პესტუმის ტაძრები. ახლანდელი ქალაქების უდიდესი ნაწილი გაუქმდება-მეთქი, ლენინი მაშინვე დამეთანხმა. ვგონებ, გაეხარდა კიდევ ისეთი ადამიანის პოვნა, რომელსაც ესმის რა შედეგი მოჰყვება კოლექტივიზმს, რაც ბევრ მის მიმდევარს ვერ გაუგია. რუსეთი ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს, ახლებურად გარდაიქმნას...

მრეწველობას რა ბედი ელის? მოხდება თუ არა მისი ძირფესვიანი რეკონსტრუქცია?

ვიცი თუ არა მე, რა გაკეთდა რუსეთში? მაქვს თუ არა წარმოდგენა რუსეთის ელექტროფიკაციაზე?

ლენინი, ეს ჭეშმარიტი მარქსისტი, რომელიც ყველა „უტოპისტს“ უარყოფს, ბოლოს და ბოლოს თვითონვე ვარდება უტოპიაში, ელექტროფიციურ უტოპიაში. ყველა ღონეს ხმარობს იმისათვის, რომ აშენდეს უზარმაზარი ელექტროსადგურები, რომლებიც ელექტროენერგიას მიაწვდიან მთელ გუბერნიებს. ამ ელექტროენერგიას გამოიყენებენ მრეწველობასა და ტრანსპორტში. ორი საცდელი რაიონი უკვე მთლად ელექტროფიცირებულია. რაოდენ გაბედული პროექტია ამ უკიდევანო ტყიან ქვეყანაში, სადაც უვიცი გლეხები ცხოვრობენ, სადაც არც წყლის ენერგია მოიპოვება, არც ამ საქმის სპეციალისტები, ხოლო ვაჭრობისა და მრეწველობის მოსპობას ბევრი ალარაფერი უკლია! ელექტროფიკაციის მსგავსი პროექტი უკვე ხორციელდება პოლანდიაში, ინგლისში კი ეს ჯერჯერობით მსჯელობის საგანია. ამ მჭიდროდ დასახელებულ ქვეყანაში, სადაც მრეწველობა კარგადაა განვითარებული, ეს პროექტები დიახაც წარმატებით განხორციელდება და მეტად რენტაბელურიც იქნება, მაგრამ, ყოველივე ამის წარმოდგენა რუსეთში მხოლოდ ზებუნებრივი ფანტაზიის პატრონს თუ შეუძლია. როგორ ჯადოსნურ სარკეშიც არ უნდა ჩაიხედო, არ ძალგის ამ მომავლის რუსეთის დანახვა. კრემლში კი ის ტანდაბალი კაცი ნათლად ჭერებს მომავალს: ყოველგვარი ტრანსპორტი ელექტროენერგიით მუშაობს, მთელი ქვეყანა ახალი გზატკეცილებითაა დაქსაქსული და იწყება ბედნიერი, კომუნისტური ინდუსტრიის აღორძინება. იგი იმდენად დამაჯერებლად ლაპარაკობდა, რომ მე თითქმის დავრწმუნდი, ასეც მოხდება-მეთქი.

— ნუთუ ყოველივე ამას გლეხობა გააკეთებს, მათ ხომ მეტისმეტად ღრმად აქვთ ფესვები მიწაში გადგმული?

მარტო ქალაქები კი არ შეიცვლება, სოფლებიც ძირფესვიანად გარდაიქმნება.

— უკვე ახლა, — მითხრა ლენინმა, — სოფლის მეურნეობის მთელ პროდუქტს გლეხობა აღარ გვაძლევს. აქა-იქ ფართო მასშტაბით შევქმენით სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებანი. ყველგან, სადაც კი ხელსაყრელი პირობებია, სახელმწიფო მეურნეობებში გლეხების ნაცვლად მუშები მუშაობენ. მალე ამას მასობრივი ხასიათი მიეცემა.

ჯერ ერთ გუბერნიაში, შემდეგ მეორეში და ა. შ. სხვა გუბერნიების თავკერძა, უვიცი გლეხობა ვერ გაიგებს რა ხდება, ვიდრე მათი რიგიც არ მოვა...

მთელი გლეხობის გარდაქმნა ძნელია, მაგრამ მათი ცალკეული ჯგუფების დაყოფა კი ადვილია. გლეხობაზე რომ ლაპარაკობდა, ლენინი ჩემსკენ ~~გადმოიხარა~~ და ჩურჩულით მიხსნიდა, თითქოს ეშინოდა, გლეხობამ არ გაუგოსო. *ეროვნული*

მე შევეკამათე და ვუთხარი, რომ საზოგადოების მატერიალური ~~ორგანიზაცია~~ საკმარისი არ არის, ბოლშევიკებს მთელი ხალხის ფსიქიკის გარდაქმნა მოუხდებათ-მეთქი. ბუნებითა და ტრადიციებით რუსი ხალხი ვაჭრობის მოტრფიალე და ინდივიდუალისტია. ახალ სამყაროს კი მათი ფსიქოლოგია არ შეესაბამება. ლენინმა მკითხა, რა წარმატებები ნახეთ საგანმანათლებლო საქმიანობაშიო. მე ვუთხარი, რაც ვნახე და შევაქე კიდევ. თავი დამიკრა და ნასიამოვნებს ღიმილმა გაუბადრა სახე. მას უსაზღვროდ სჯერა თავისი საქმის წარმატებისა.

ეს მხოლოდ პირველი მონახაზები და პირველი ნაბიჯებია-მეთქი, ვუთხარი.

— ჩამობრძანდით ათი წლის შემდეგ რუსეთში და ნახეთ რას გააკეთებთ ამ ხნის განმავლობაში, — მიპასუხა მან.

მასთან საუბარმა დამარწმუნა, რომ კომუნიზმი, მიუხედავად მარქსისა, მაინც უზარმაზარი შემოქმედებითი ძალაა. კლასთა ბრძოლით შეპყრობილი იმ ფანატიკოსი მარქსისტების შერე, რომლებმაც არაფერი იციან, გარდა ცარიელი ფორმულებისა და უსაფუძვლოდ თვითდარწმუნებულნი არიან, ამ განსაცვიფრებელ კაცთან შეხვედრამ, რომელიც გულახდილად ამბობს, რომ კომუნიზმის აშენება ძალიან დიდ სიძნელებთანაა დაკავშირებული და თავს არ იზოგავს მისი განხორციელებისათვის, თითქოს რაღაცნაირად გამომაცოცხლა. რაც არ უნდა იყოს, მას ეს ქვეყანა სრულიად შეცვლილი და განახლებული წარმოუდგენია.

მას უნდოდა, რაც შეიძლება მეტი მელაპარაკა ჩემს შთაბეჭდილებებზე. მეც ვუთხარი, რომ ვგონებ ზოგიერთი მიმართულებით, ეს განსაკუთრებით პეტერბურგის კომუნას ეხება, კომუნისტები მეტიმეტად სწრაფად და ზედმეტი გულმოდგინებითაც კი მუშაობენ. ამიტომ ხშირად ანგრევენ მანამდე, ვიდრე ახლის აშენების საშუალება ექნებათ. კომუნისტებმა, ვაჭრობა აკრძალეს, როდესაც პროდუქტის განაწილებისათვის ჯერ მზად არ იყვნენ. კოოპერაციები სრულიად მოსპვს, სჯობდა კი გამოეყენებინათ და ა. შ. აქ ნათლად გამოჩნდა, რა განსხვავებაა ძირითადად ჩვენს შორის, კოლექტივისტსა და მარქსისტს შორის. საჭიროა თუ არა სოციალისტური რევოლუცია მთელი თავისი უკიდურესობებით, და რას გვადლევს ერთი სოციალ-ეკონომიური სისტემის აბსოლუტური განადგურება, ვიდრე ახლის შექმნის საშუალება არ გვექნება. მე მჯერა, რომ გულმოდგინე აღმზრდელობითი მუშაობის შედეგად შეიძლება კაპიტალისტური სისტემა „გაუმჯობესდეს“ და მსოფლიოს მასშტაბის კოლექტიურ სისტემაში გადაიზარდოს. ლენინი მარქსის დოგმებითაა შეზღუდული, იგი თვლის, რომ აუცილებელია კლასთა ბრძოლა, კაპიტალიზმის დამარცხება, პროლეტარიატის დიქტატურა და სხვა. ამასთან, ამტკიცებს, კაპიტალიზმი მეტიმეტად ანგარებიანი მფლანგველი და გამორუსწორებელიაო და ვიდრე არ განადგურდება, არ დაიშლის ყოვლად უაზროდ და უმიზნოდ გაუწიოს ექსპლოატაცია ყველაფერ იმას, რაც ადამიანის მარჯვენას შეუქმნია, არც იმის საშუალებას მოგვცემს ბუნებრივი რესურსები საერთო სარგებლობისათვის გამოვიყენოთ. ამას კი გარდუვალად ომები მოჰყვებაო, რადგან მოგებისათვის ბრძოლა კაპიტალიზმის ძირითადი საფუძველიაო.

მე აღარაფერი მეთქმოდა. უცებ ლენინმა კიოც მონეის ახალი წიგნი „ნაციონა-

ლიზაციის ტრიუმფი“ ამოიღო ჯიბიდან. ჩანდა, საკმაოდ გულმოდგინედ წაუკითხა იგი. „ნახეთ, როგორც კი თქვენი რომელიმე კარგად ორგანიზებული, კოლექტივისტური საზოგადოება ხალხის ინტერესებისათვის იწვევს ზრუნვას, კაპიტალისტები ელვის უსწრაფესად ანადგურებენ მას. გაგინადგურეს ნაციონალური ნაცისტები, საშუალებას არ გაძლევენ გონივრულად გამოიყენოთ ქვანახშირის მადარობები“ შემდეგ წიგნზე დააკაკუნა „ყველაფერი ეს აი აქ წერია“.

ეროვნული

მე ვუთხარი, ომებს ნაციონალისტური იმპერიალიზმიმ დაუწყია საზოგადოების კაპიტალისტური ფორმა-მეთქი. ამის პასუხად მოულოდნელად მკითხა: „რა აზრისა ხართ იმ რესპუბლიკურ იმპერიალიზმზე, ამერიკიდან რომ მოაბიჯებს ჩვენსკენ?“

მისტერ როტშტეინი ამ დროს საუბარში ჩაგვევრია და რაღაც უთხრა ლენინს რუსულად. ლენინმა ყურადღება არ მიაქცია.

მიუხედავად როტშტეინის რჩევისა, მეტი დიპლომატიური თავშეკავებაა საჭირო, ლენინმა მიანბო ერთი ამერიკელის უჩვეულო პროექტის შესახებ. ამ ამერიკელს თურმე მოსკოვის განცვიფრება სურდა. პროექტი ითვალისწინებდა ეკონომიურ დახმარებას, სცნობდა ბოლშევიკურ მთავრობას, კისრულობდა მის დახმარებას იაპონელების აგრესიის წინააღმდეგ ციმბირში, შორეულ აღმოსავლეთში სურდა შეექმნა ამერიკის სამხედრო საზღვაო ბაზა და მოითხოვდა კონცესიას დაახლოებით ორმოცდაათი-სამოცი წლის ვადით ბუნებრივი რესურსების დასამუშავებლად კამჩატკასა და ალბათ აზიის სხვა რაიონებშიც. განმტკიცდება ამგვარად მშეიდობა? გამოიწვევს თუ არა ეს ახალ მსოფლიო არეულობას? როგორი კმაყოფილები დარჩებიან ამით ბრიტანელი იმპერიალისტები?

„ისე ზომ არ შეიძლება, რომელიმე განვითარებული ქვეყანა არ დაეხმაროს რუსეთს. როგორ მოახერხებს რეკონსტრუქციის ჩატარებას დახმარების გარეშე...“

ამდენი კამათის შემდეგ მაინც ჩვენ-ჩვენი შეხედულებებით დავრჩით. ბოლოს გულთბილად გამოვემწვიდობეთ ერთმანეთს და წამოვედით. კრემლიდან გამოსვლა ისევე ძნელია, როგორც შიგ შეხვლა, რადგან ყოველ წუხის ნაბიჯზე საბუთებს სინჯავენ.

„დიდებული ადამიანია“, მითხრა მისტერ როტშტეინმა, „მაგრამ რა გაუფრთხილებლობა იყო...“

ფოთლებზეყვითლებული, უზარმაზარი ხეების ქვეშ მიგაბიჯებდით სასტუმროსაკენ, კრემლის ძველი თხრილების გასწვრივ. სულაც არ ვიყავი ლაპარაკის გუნებაზე. მინდოდა ლენინზე მეფიქრა, ვიდრე მესსიურებაში ცხადად წარმომიდგებოდა ყოველი წვრილმანი. არ მინდოდა ვინმე ჩამრეოდა. მისტერ როტშტეინი კი გაუთავებლად ლაპარაკობდა.

დაჟინებით მოხვდა, ნუ უხსენებთ მისტერ ვანდერლიძეს რუსეთ-ამერიკის ურთიერთობის ამ პროექტსო. მე კი ვარწმუნებდი, იმდენად დიდ პატივსა ვცემ მისტერ ვანდერლიძის თავშეკავებულობას, რომ არავითარ შემთხვევაში არ დავარღვევ მის სიმშვიდეს ჩემი გაუფრთხილებლობით-მეთქი.

აი ჩვენი სასტუმროც სოფლის სანაპიროზე; მისტერ ვანდერლიძეთან და ახალგაზრდა ინგლისელ მოქანდაკესთან ერთად ვსაუზმობთ. ჩვენი მოხუცი მსახური სევდიანად შლის ჩვენს არცთუ ისე მდიდრულ სუფრას და ალბათ ის გარდასული დღეები აგონდება, როდესაც კარუზო ესტუმრებოდათ ხოლმე და მეორე სართულის დარბაზში მოსკოვის წარჩინებულ საზოგადოებას უტკბობდა სმენას. მისტერ ვანდერ-

ლიპმა შემოთავაზა, ამ საღამოს ბაზარი დაფათვალეროთ, შემდეგ კი ბალეტი ვნახოთ, მაგრამ მე და ჩემმა ვაჟმა გადავწყვიტეთ იმ საღამოსვე დავბრუნებულებოდა პეტერბურგში, რათა დროზე ჩავსულიყავით რეველში, საიდანაც გვმით გავემგზავროდით სტოკჰოლმისაკენ.

ეროვნული  
ბიზნიუსი

## 7. ბოლოთქმა

შვიდივე სტატია პირველ პირში დაწვერე და ნარკვევის სახე მივეცი, რადგან მინდოდა მკითხველს ყურადღება მიექცია იმისათვის, თუ რა ხანმოკლე იყო ჩემი რუსეთში ყოფნა და რაოდენ შესაძლებლობები მქონდა. ახლა, თუკი მკითხველს ეყოფა მოთმინება რომ ცოტა კიდევ წაიკითხოს, შევეცდები ნაკლებ სუბიექტურად და უფრო ნათლად გადმოგცეთ ჩემი აზრი რუსეთში შექმნილ მდგომარეობაზე. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩემი მოსაზრებანი ეხება არა მარტო რუსეთს. არამედ მთელი ჩვენი ცივილიზაციის მომავალს. ეს ჩემი პირადი შეხედულებებია, მაგრამ იმდენად მალეღებენ, რომ მინდა შეულამაზებლად გადმოგცეთ.

დავიწყოთ იმით, რომ რუსეთი, ეს დასავლური ტიპის ცივილიზაცია, გაცილებით მოუწესრიგებელი და მერყევი, ვიდრე რომელიმე სხვა დიდი სახელმწიფო, ახლა უკანასკნელ წუთებში მყოფ ცივილიზაციად იქცა. მომხდარი განადგურების მთავარ მიზეზს ომი წარმოადგენს, რომელმაც ფიზიკურად დაახუსტა ქვეყანა. აი, რისი შემწეობით შესძლეს ბოლშევიკებმა ძალაუფლების ხელში აღება. რუსეთის განადგურებამ მსგავსი არა ახსოვს რა ისტორიას. ეს მდგომარეობა თუნდაც ერთი წელი კიდევ რომ გაგრძელდეს, მოხდება საბოლოო განადგურება. მთელ რუსეთში გლეხობის მუტი აღარაფერი დარჩება. ქალაქები დაცარიელდება და ნანგრევებად იქცევა, რკინიგზას უქმად ყოფნისგან ჟანგი შეჭამს. გლეხობა უცოდინარი და უვიცია. მათ თუ შევხვდებით წინააღმდეგობას გაგიწევინ, ისე კი მოკლებულნი არიან სოციალურ უფლებებსა და ორგანიზაციის ყოველგვარ უნარს. მიდა არეულობები და სამოქალაქო ომი მთელ ქვეყანას ადამიანების ჭაობად აქცევს, პოლიტიკურ წუშპედ, სადაც ყოველ წელს მიმშვილობა იქნება, თუკი საკმაოდ ჭირნახული ვერ მოიწია, იგი გახდება ეპიდემიის კერა ევროპაში და სულ უფრო და უფრო დაუახლოვდება აზიას.

რუსეთის ცივილიზაციის შეცვლა გლეხური ბარბაროსობით ევროპისათვის იმას მოასწავებს, რომ წლების განმავლობაში ვეღარ მივიღებთ რუსეთის მდიდარ წიაღისეულს, ნის ნედლეულს, პურს, სელსა და სხვა მისთანებს. დასავლეთის სახელმწიფოებს ვერაფერი შეუვსებს ამ დანაკლისს. ყველა ამ საქონლის არქონა კი დასავლეთ ევროპის საერთო გაღარიბებას ნიშნავს.

ერთადერთი შესაძლებელი ხელისუფლება, რომელსაც ძალუძს შეაჩეროს საბოლოო კრახი — არსებული ხელისუფლებაა, ოღონდ ამერიკამ და დასავლეთის სახელმწიფოებმა დახმარება უნდა გაუწიონ მას. ახლა იქ ყოველად წარმოუდგენელია რომელიმე სხვა მთავრობის არსებობა. კბილებს კი ბევრი ილესავს — ყველა ჯურის ავანტიურისტები და სხვა მისთანები, რომლებიც ევროპის შემწეობით იმედოვნებენ დაამარცხონ ბოლშევიკები, მაგრამ ეს არ მოხდება, რადგან მათ არც საერთო მიზანი აქვთ და არც მორალური ერთობა. ესეც რომ არა, დრო აღარ აყოფნის ახალი რევო-

ლუციის მომზადებას. კიდევ ერთი წელი სამოქალაქო ომისა და რუსეთი სამუდამოდ დაემშვიდობება ცივილიზაციას. ჩვენც ისღა დაგვრჩენია დავეხმაროთ ბოლშევიკურ მთავრობას, დამოუკიდებლად იმისა, მოგვწონს ჩვენ იგი თუ არა.

ბოლშევიკური ხელისუფლება სრულიად გამოუცდელი და მტუტურხებელია; ხანდახან სისასტიკეს იჩენს და ძალმომრეობამდე მიდის, მაგრამ მტუტურად მაინც პატიოსანია. მათ შორის არიან ცალკეული პიროვნებები, რომელთაც გააჩნიათ ჭეშმარიტად შემოქმედებითი ფანტაზიის უნარი. მათ რომ საშუალება მივცეთ და, ამასთან, დავეხმაროთ კიდევ, უდაოდ დიდ წარმატებებს მიაღწევენ ქვეყნის გარდაქმნის საქმეში. ბოლშევიკებს ძირითადად თავიანთი რწმენა ამოქმედებს, ეს რწმენა კი წმიდათაწმიდაა მათთვის. მხარში თუ ამოვუდექით, შესაძლოა მოახერხონ ბოლშევიკებმა ახალი ტიპის, ცივილიზებული სოციალური წყობილების შექმნა, რომელთანაც კავშირი ექნება მთელი მსოფლიოს ქვეყნებს. ეს იქნება ალბათ ზომიერი კომუნიზმი, კარგად ორგანიზებული ტრანსპორტით, მრეწველობითა და სოფლის მეურნეობით.

თუკი ჩვენ, დასავლეთის ხალხს მართლაც გვინდა, რომ დახმარება გავუწიოთ რუსეთს, ამისათვის საჭიროა გავიგოთ და პატივი ვცეთ ბოლშევიკურ რწმენას და პრინციპებს, რასაც დღემდე ყურადღების ღირსად არ თვლიან დასავლეთის ხელისუფალნი. ბოლშევიკური ხელისუფლება, როგორც თვითონვე აცხადებს, კომუნისტური ხელისუფლებაა, კომუნიზმის პრინციპებით ცხოვრობს და კომუნიზმის პრინციპებით აშენებს. მან მოსპო კერძო საკუთრება რუსეთში და, ბუნებრივია, გააუქმა კერძო პირთა ვაჭრობაც. ეს იმიტომ კი არ მოხდა, რომ მას ასე სურს, არამედ კანონიერად სთვლის ამას. ახლა მთელ რუსეთში ვერ ნახავთ ვერც ცალკეულ ადამიანს და ვერც ისეთ ორგანიზაციას, რომელთანაც დასავლეთის ქვეყნებმა შეიძლება რაიმე სავაჭრო ურთიერთობა დაამყარონ. ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ ბოლშევიკური მთავრობა თავისი ბუნებით მტრად ეკიდება ცალკეულ კომერსანტებს. იმიტომ ყველანაირად ელოდება წინ და უპატივცემლოდაც ეპყრობა; არც მათი ნდობა ექნება ოდესმე და რამდენადაც შესძლებს, ეცდება ხელი შეუშალოს მათ, რადგან მეკობრეებად თუ არა, ავაზაკებად მაინც მიაჩნია. ასე რომ, კერძო პირებმა და ფირმებმა დრო არ უნდა დაკარგონ რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის ძებნაში. და მაინც, რუსეთში არის ისეთი ვიღაც, ვისთანაც დასავლეთის სამყაროს შეუძლია კავშირი დაამყაროს, — ესაა თვითონ ბოლშევიკური ხელისუფლება. იგი საკმაოდ საიმედოდ და საქმიანად დაუკავშირდება ნაციონალურ, ან უფრო მეტიც, ინტერნაციონალურ ტრესტს. ამგვარი ტრესტი ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს სახელით იმოქმედებს, და, შეიძლება ერთა ლიგასაც კი ექვემდებარებოდეს. იგი თანაბარ საწყისებზე დაამყარებს კონტაქტს ბოლშევიკურ მთავრობასთან. ტრესტი იძულებული შეიქნება სცნოს ბოლშევიკები და მათთან ერთად იზრუნოს მატერიალური საფუძველის შექმნაზე რუსეთის ევროპული და აზიური ნაწილის კულტურული ცხოვრებისათვის. თავისი სტრუქტურით ეს იქნება დაახლოებით იმ უზარმაზარი, შემსყიდველ-გამნაწილებელი ტრესტების მსგავსი, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ევროპის ქვეყნების ცხოვრებაში მსოფლიო ომის დროს. ტრესტი დაკავშირებული იქნება კერძო მრეწველთან, ხოლო საბჭოთა მთავრობა, თავის მხრივ, დაუკავშირდება თავის ხალხს. ეს ტრესტები სრულიად აუცილებელი შეიქნება ბოლშევიკებისათვის. გარდა ამისა, ეს ერთადერთი გზაა, რითაც კაპიტალისტური სამყარო შესძლებს სავაჭრო ურთიერთობა აქონდეს კომუნისტურ სახელმწიფოსთან. შარშან და უფრო ადრეც, რამდენჯერმე სცადეს გამოენახათ კერძო ვაჭრობის რაიმე გზა რუსეთთან, ბოლშევიკების ჩარევის გარეშე, მაგრამ ეს ისევე ფუჭი შრომა იყო,

როგორც ინგლისიდან ჩრდილო-დასავლეთის გზით ინდოეთში წასვლის ცდა. ის გზა ხომ მთლად გაყინულია.

საკმაო სამრეწველო რესურსების მქონე ნებისმიერი ქვეყანა ან ქვეყნების ჯგუფი, რომელიც სცნობს ბოლშევიკურ რუსეთს და დახმარების ხელს გაუწვდის მას, გახდება აუცილებელი დასაყრდენი და მრჩველი ბოლშევიკური მთავრობისათვის. იგი შემოქმედებას მოახდენს საბჭოთა ქვეყანაზე და უმჯობელია თვითონაც გარკვეული ზეგავლენის ქვეშ აღმოჩნდება. მოკავშირე ქვეყნები კოლექტივიზმის ტენდენციით განვითარდებიან, ხოლო თავის მხრივ კი რუსეთის უკიდურეს კომუნისტურობას შეასუსტებენ.

ერთადერთი სახელმწიფო, რომელსაც შეუძლია უკანასკნელ წუთებში მხსნელად მოეკლინოს რუსეთს, ამერიკის შეერთებული შტატებია. ნებისმიერი სხვა ქვეყანა იძულებული იქნება ვინმეს დაუკავშირდეს, რათა რუსეთის დახმარება შეიძლოს. კომუნისტებს არ აშინებს ფართო მასშტაბის საქმიანობა, რადგან რაც უფრო მეტად ფართოვდება მათი საქმიანობა, მით უფრო დაუახლოვდებიან კოლექტივიზმს. ეს უმაღლესი გზაა კოლექტივიზმისკენ, რომლითაც მცირენი მიდიან, განსხვავებით უმაღლესი გზისა, რომელსაც მასები მიჰყვებიან.

ეჭვი არ მეპარება, რომ ამ დახმარების გარეშე სრულიად შოისპობა და განადგურდება რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე შემორჩენილი თანამედროვე ცივილიზაციის ნაშატი. ეს განადგურება კი მხოლოდ მისი ფარგლებით არ შემოიხაზღვრება. მესობელი სახელმწიფოები, აღმოსავლეთიდან თუ დასავლეთიდან, ერთიმეორის მიყოლებით ჩაცვიფდებიან რუსეთის უფსკრულში. შესაძლოა, მთელ თანამედროვე ცივილიზაციასაც ეშუქრებოდეს ეს საშიშროება.

ჩემი მოსაზრებანი პიპოთეზურ მონავალზე მსჯელობად არ მიიჩნით. მე შევეცადე გადმომეცა თუ რა ხდება (ეს ყველაფერი ელვისებურად ვითარდება) არა მარტო რუსეთში, არამედ მთელ მსოფლიოში — და როგორ აღიქვა იგი ჩემმა წარმოდგენამ. ასეთნაირად გავიგე რუსეთის მდგომარეობა, რომელიც შევეცადე ნარკვევების სახით მიმეწოდებინა მკითხველისათვის. აი, ამგვარად ამოვიკითხე მე წარწერები ევროპის აღმოსავლეთ კედელზე.

# Homo faber



ჩ ა ნ ა წ ე რ ე ბ ი

გერმანიიდან თარგმნა  
დალი კოკაია-ვანჯიკიძემ



ჩემი პირველი სიახლოვე ქალთან, ყველაზე პირველი, კაცმა რომ თქვას, აღარც კი მახსოვს, ესე იგი, როცა არ მინდა, არც ვიხსენებ ხოლმე. ეს იყო ჩემი მასწავლებლის ცოლი. იმ მასწავლებელს სიმწიფის ატესტატის მიღებამდე ცოტა ხნით ადრე ყოველ შაბათს შინ მივყავდი. სახელმძღვანელოს კორექტურაში ვეხმარებოდი, რომ რაღაც გროშები ამეღო. ველოსიპედის ყიდვა ოცნებად მქონდა გადაქცეული, არ ღავეძებდი, ძველი იქნებოდა თუ ახალი, ოღონდ კი ბორბლები ჰქონოდა. მასწავლებელი ტუშით მახაზვინებდა გეომეტრიულ ფიგურებს, პითაგორას თეორემას და სხვა მისთანებს, იმიტომ, რომ მათემატიკაში ყველას ვჯობდი. მისი მეუღლე, ჩემი მაშინდელი შეხედულებით, ხანში შესული ქალი იყო. ალბათ, ორმოციოდე წლის იქნებოდა. საცოდავს ფილტვების ტუბერკულოზი სჭირდა. ის რომ ჩემს ბიჭურ სხეულს ჰკოცნიდა, ხან გიჟი მეგონა, ხან ძუნა, თან კი ძველებურად „ფრაუ პროფესორს“ ვეძახდი... სისულელე იყო. ეს ამბავი იმწუთშივე მავიწყდებოდა. მხოლოდ მაშინ დამივლიდა შიშის ერუანტელი, როცა კლასში ჩემი მასწავლებელი შემოვიდოდა და რვეულებს უსიტყვოდ დააღაგებდა კათედრაზე. მეშინოდა, ვაითუ ყველაფერი გაიგო და ახლა მთელ ქვეყანას შემიყრის-მეთქი. საქმე რვეულების დარიგებაზე რომ მიდგებოდა, მასწავლებელი მეტწილად მე მიძახებდა ხოლმე. მე ვიყავი ერთადერთი მოწაფე, რომელსაც არც ერთი შეცდომა არ ჰქონდა.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხომლი“ № 4.

მასწავლებლის ცოლი იმავე ზაფხულს გარდაიცვალა და მეც ისე დამავიწყდა იგი, როგორც წყურვილის მოსაკლავად საღმე დაღეული წყალი გავიწყდება კაცს. რა თქმა უნდა, მისი დავიწყებისათვის სინდისი მქენჯნიდა და თავს ძალას ვატანდი, თვეში ერთხელ მის საფლავზე მივსულიყავი. ჩანთიდან მალულად ამოვადრენდი ორ ღერ ყვავილს და სწრაფად დავაწყობდი საფლავზე, საფლავს ჯერ ქვაც არ ედო, მხოლოდ ნომერი ჰქონდა), თან სირცხვილით ვიწოდდი, რომ მიხაროდა, ამ ამბავს თავი დავადწიე-მეთქი.

მხოლოდ პანასთან არ ყოფილა არასოდეს ეს ამბავი უაზრობა.

□ □

გაზაფხული იდგა, მაგრამ თოვდა, ჩვენ ტიულერის ბაღში ვიჯექით. თოვლი მოწმენდილი ციდან ცვიოდა. თითქმის ერთი კვირა იქნებოდა, ერთმანეთი არ გვენახა. ჩემთან შეხვედრა გაუხარდა. მე მგონი, სიგარეტები შემოეღია და იმიტომ. ჯიბეში გროში აღარ ედო.

— არც დამიჯერებია, რომ ამბობდით, ლუვრში არ დავდივარო, — მითხრა მან.

— ყოველ შემთხვევაში — იშვიათად.

— იაშვიათად! — გაეცინა მას. — გუშინწინაც დაგინახეთ ქვევით, ანტიკურ სალონში და გუშინაც.

ნამდვილი ბაეშვი იყო, თუმცა სიგარეტი მოუშორებლად ეკავა პირში. მართლა ეგონა, რომ პარიზში შემთხვევით შეიძლებოდა ერთმანეთს შეხვედროდით. ისევ თავისი შავი შარვალი და ესპადრილები ეცვა, ზედ კაპიშონიანი ქურთუკი წამოესხა და, რა თქმა უნდა, თავშიშველი იყო. მოწითალო „ცხენის კუდზე“ ათოვდა. როგორც ვთქვი, მოწმენდილი ციდან თოვდა.

— არ გცივათ?

— არა, თქვენ?

16.00 ისევ კონფერენცია იყო დანიშნული...

— დავლით ყავა? — ვუთხარი მე.

— ო, სიამოვნებით, — მიპასუხა მან.

თანხმობის მოედანზე რომ გადავდიოდით, პოლიციელმა დაგვისტვინა, მან ხელკავი გამომდო. ამას კი არ მოველოდი. იძულებული გავხდით, გავსტყუოთ ყავით, რადგან პოლიციელმა უკვე ასწია თავისი თეთრი კვერთხი და მანქანების ჯარი ჩვენსკენ დაიძრა.

გადარჩენილები, ხელიხელჩაკიდებული ტროტუარზე რომ აღმოვჩნდით, შევამჩნიე, რომ ქუდი აღარ მქონდა. ჩემი ქუდი შუა ქუჩაში ეგდო გაჭყლეტილი.

— Eh bien! — ვთქვი მე, გოგონას ხელი გამოვდე და ბიჭივით თავშიშველა დავადექი გზას ამ თოვლ-ჭყაპში.

ზაბეტს შიოდა.

არ მინდოდა გულში სიამაყის ჭია შემპარვოდა და თავს ჩავაგონე, ჩემი ნახვა იმიტომ გაუხარდა, რომ ჯიბე გამოცარიელებული ჰქონდა-მეთქი. ნამცხვრებს ისე ყლაპავდა, არც ზევით იხედებოდა და არც ლაპარაკისათვის ეცალა... ვერასგზით ვერ დავიყოლიე. რომში „ავტოსტოპით“ არ წასულიყო. პროგ-

<sup>1</sup> არა უშავს (ფრანგ.).



რამაც კი ჰქონდა ზუსტად შედგენილი: ავინიონი, ნიმი, მარსელი — სავალდებულო არ არის, მაგრამ სავალდებულოა პიზა, ფლორენცია, სიენა, ორვიეტო, ასიზი და ღმერთმა იცის, კიდევ რა, ამ დილით უცდია კიდევ თანამგზავრი ებოვა, მაგრამ ეტყობა, შესაფერ ქუჩაზე ვერ მოხვდა.

— მერე, დედათქვენმა იცის ეს?

მიმტკიცებდა, იცისო.

— მერე, არ დარდობს?

სკამზე ისღა მაჩერებდა, რომ დანახარჯი უნდა გადამეხადა, პორტოველი უკვე მუხლებზე მედო. სწორედ ახლა, როცა ვილიამსი ასეთი უცნაური გახდა, არ მინდოდა კონფერენციაზე დამეგვიანებინა.

— რა თქმა უნდა, დარდობს, — მიპასუხა მან, — უკანასკნელი ნამცვეცი კოვზით შეაგროვა, მხოლოდ ზრდილობის გამო შეიკავა თავი, რომ თუღმი ენითაც არ გაელოკა — და გაიცინა, — დედა ყოველთვის დარდობს.

შემდეგ მითხრა:

— მე დავპირდი, პირველ შემხვედრს არ გავყვები-მეთქი, ასეც ვიზამ, მტერი კი არა ვარ.

ამასობაში ოფიციალტს ანგარიში გავუსწორე.

— გმადლობთ, — მითხრა მან.

ვერ გავბედე შეეითბა, ამ საღამოს რას აკეთებ-მეთქი. ჯერ კიდევ არ ვიცოდი კარგად, ეს გოგონა რას წარმოადგენდა. უღარდელი კი იყო, მაგრამ რა თვალსაზრისით, არ ვიცოდი. ალბათ, ვინც არ უნდა დაპატივოს, გაპყვება-მეთქი. ეს აზრი ჩემში აღშფოთებას არ იწვევდა, მაგრამ მაეჭვიანებდა კი, უფრო მეტიც, სენტიმენტალურ გრძნობებს მიღვიძებდა.

— შევხვდებით კიდევ ერთმანეთს? — ვკითხე მე და მაშინვე დავუმატე. — თუ არადა, ბედნიერებას გისურვებთ.

მართლა შეჩქარებოდა.

— თქვენ აქ დარჩებით?

— დიახ, — თქვა მან, — მე ხომ დრო მაქვს.

მე უკვე ფეხზე ვიდექი.

— თუ დრო გაქვთ, მაშინ, პატივი მეცით და... — ჩემი დაკარგული ქული მოვათვალე. — ოპერაში მინდა წასვლა, — განვაგრძე, — მაგრამ ბილეთი არა მაქვს...

ჩემმა მოხერხებულობამ გამაკვირვა, ოპერაში, თავისთავად გასაგებია, არასოდეს არ ვყოფილვარ, მაგრამ ზაბეტის ისეთი გულუბრყვილო იყო, რომ ჩემს გულწრფელობაში ერთი წუთით ეჭვი არ შეჰპარვია — ოპერაში რა გადიოდა, ისიც კი არ ვიცოდი.

მან ფული გამომართვა, მზად იყო ჩემთვის ესამოვნებინა.

— თქვენც თუ გინდათ წამოსვლა, — ვუთხარი მე, — აიღეთ ორი ბილეთი და შვიდ საათზე ისევ აქ შევხვდეთ.

— ორი?..

— დიდებულიაო, ამბობენ!

ეს მისტერ ვილიამსისაგან მქონდა გაგონილი.

— მისტერ ფეიბერ, — მითხრა ზაბეტმა, — უხერხული ხომ არ იქნება? კონფერენციაზე დამაგვიანდა.



პროფესორი ო. მართლა ვერ ვიცანი. ის კი ჩემ წინ დგას და მეუბნება:  
— საით მიგეჩქარებათ, ფაბერ, საით?

მის სახეს თითქოს ფერი არ აკლია, მაგრამ რაღაც უცნაური კია. მხოლოდ  
ეს ვიცი, ამ სახეს ვიცნობ, ვიცნობ ამ ღიმილსაც, მაგრამ საიდან? მგონი შემატ-  
ყო, რომ ვერ ვიცანი.

— ველარ მიცანით? — იცინის ამაზრზენად და განაგრძობს. — დიახ, დიახ,  
დიდი გაჭირვება გადავიტანე!

მის სახეს სახე აღარ ჰქვია, ეს არის კანგადაკრული თავის ქალა; მიმიკა  
პროფესორ ო-ს მაგონებს, მაგრამ ეს ხომ მარტო მისი თავის ქალაა; მეტისმე-  
ტად ფართო ღიმილი სახეს უმახინჯებს, მეტისმეტად ფართოდ იღიმება თვა-  
ლებთან შედარებით, რომლებიც მთლად ფოსოებში აქვს ჩაცვენილი.

— ბატონო პროფესორო! — ვეუბნები მე და ენას კბილს ვაჭერ, მეშინია,  
არ წამომცდეს: „ვიცი, ვიცი, თქვენზე მოთბრეს, გარდაიცვალაო“.

ამის მაგივრად ვეუბნები:

— როგორ ბრძანდებით?

ასეთი ვულთბილი არასოდეს არ ყოფილა, ყოველთვის პატივს ვცემდი,  
მაგრამ არა, ასეთი ვულთბილობა მისგან არ მახსოვს. ტაქსის კარზე ხელი  
მიკიდია.

— გაზაფხულია პარიზში! — იცინის და ვერ ვაიგებ, რა აცინებს ასე გაუ-  
თავებლად. მას ვიცნობ, როგორც შვეიცარიის პოლიტექნიკური ინსტიტუტის  
პროფესორს და არა როგორც მასხარას. გააღებს თუ არა პირს, გეგონება  
იცინისო.

— დიახ, დიახ, — იცინის იგი, — ახლა არა მიშავს რა.

საქმე ისაა, რომ სინამდვილეში ის სულაც არ იცინის, განა მიცვალებულის  
თავის ქალას სიცილი შეუძლია? მხოლოდ ვეჩვენება, იცინისო. მე ბოდიშს  
ვუხდი, მაშინვე რომ ვერ ვიცანი. მუცელიც დასტყობია, რაც თავის დღეში არ  
ჰქონია, თუმცა მუცელი კი არა, ნეკნებს ქვემოდან გამობერილი ბუშტი, ტანზე  
კი გამხდარა, კანი პერგამენტისას თუ თიხისას მიუგავს, თვალები უციმციმებს,  
მაგრამ საღრაც შორსა აქვს ჩაკარგული. რაღაცას მივედ-მოვედებოდე. თვალში  
მომხვდა პროფესორის დიდი ყურები. საით მიგეჩქარებათ? — იცინის იგი და  
მეკითხება აპერიტივი ხომ არ დავლიოთო. როგორც ვთქვი, მეტისმეტ გული-  
თადლობას იჩენს. ჩემს ციურიპელ პროფესორს ყოველთვის პატივს ვცემდი,  
მაგრამ ახლა მართლა არ მქონდა დრო.

— ძვირფასო ბატონო პროფესორო! — ასე მასთვის არასოდეს არ მიმი-  
მართავს. — ძვირფასო ბატონო პროფესორო! — ვეუბნები, იმიტომ, რომ მკლავ-  
ში მჭიდებს ხელს. მე უკვე ვიცი ის, რაც აღარავისთვის არ წარმოადგენს საი-  
ღუმლოს, მაგრამ თვითონ, ეტყობა, არაფერი იცის. პროფესორი იცინის.

— მაშინ სხვა დროს იყოს! — მეუბნება იგი, მე კი ვიცი, რომ ეს კაცი უკვე  
მკვდარია.

— სიამოვნებით! — ვპასუხობ და ტაქსში ვჯდები.

კონფერენციაზე საჩემო არაფერი აღმოჩნდა.

პროფესორი ო. — მუდამ მისაბამ პიროვნებად მიმაჩნდა, იგი არც ნობელის  
პრემიის ლაურეატი ყოფილა და არც ციურიპის პოლიტექნიკური ინსტიტუტის  
ბევრი პროფესორივით ჰქუხდა მსოფლიოში, მაგრამ მაინც სერიოზული სპეცია-

ლისტი გახლდათ. არასოდეს არ დამავიწყდება, როგორ ვეხვიეთ გარშემო თეთრ-ხალათიანი სტუდენტები და მის „აღმოჩენებზე“ როგორ ვხარხარებდით.

— საქორწინო მოგზაურობა (ასე იცოდა თქმა) სავსებით სავარისია, შემდეგ ყველაფერს მნიშვნელოვანს პუბლიკაციებში იპოვნით, ისწავლეთ, ბატონებო, უცხო ენები, მაგრამ მოგზაურობას, ბატონებო, უფროსად უნდა შეაქვეყნოთ სუნი უდის. დღეს ჩვენ კომუნიკაციის ისეთი საშუალებანი გვაქვს, ოღონდ მოინდომე და მთელი მსოფლიოს ამბები შინ მოგივა. ერთი ადგილიდან მეორეგან წასვლა ატავიზმია და მეტი არაფერი. თქვენ გეცინებათ, ბატონებო, მაგრამ ეს ასეა, მოგზაურობა ატავიზმია, დადგება დღე, როცა მიმოსვლის საშუალებები სულ აღარ იქნება და მხოლოდ ახალგაზრდაწერილები ირიხინებენ დედამიწის ზურგზე „დროშკებით“, სხვა არავინ, გეცინებათ, ბატონებო, მაგრამ თქვენ ამას მოესწრებით!

ახლა კი უცებ პარიზში გადავეყარეთ ერთმანეთს.

იქნებ ამიტომ იცინოდა ასე გაუთავებლად. იქნებ არაა მართალი, კუჭის კიბო აქვსო, რომ ამბობენ. იქნებ იმაზე ეცინება, ორი წლის წინ ყველა რომ გაიძახოდა, ორი თვის სიცოცხლე და რჩენიაო. ის ჩვენ დაგვცინის; დარწმუნებულია, კიდევ შევხვდებით ერთმანეთს...

კონფერენცია ორ საათს გაგრძელდა.

— ვილიამს, — ვთქვი მე, — I changed my mind<sup>1</sup>.

— What's the matter?<sup>2</sup>

— Well, I changed my mind...

ვილიამსმა სასტუმრომდე მიმიყვანა. გზაში მოვეხსენე, ვფიქრობ, მართლა დავისვენო, პატარა შვებულება ავიღო გაზაფხულის ხათრი-მეთქი. ორი კვირა, მეტი არა. მოვივლი ავინიონს და პიზას, ფლორენციას, რომს. ვილიამსს სულ არ გაუოცებია, პირიქით, ჩვეულებრივზე მეტი გულისხმიერება გამოიჩინა, მაშინვე შემომთავაზა თავისი „სიტროენი“, თვითონ მეორე დღეს ნიუ-იორკში მიფრინავდა.

— Walter, — მითხრა მან, — have nice time!<sup>3</sup>

პირი გავიპარსე და ყოველი შემთხვევისათვის ტანსაცმელიც გამოვიცვალე. იქნებ ოპერაში მართლა წავსვლიყავით. დანიშნულ ადგილზე დიდი ხნით ადრე მივედი, თუმცა ელისეს მინდვრები ფეხით გადავიარე. იქვე მახლობელ კაფეში შევედი და ინტრაწითელი სხივებით გამთბარ შუშის ვერანდაზე დავჯექი. პერნო მომიტანეს თუ არა, ქუჩაზე „ცხენის კუდიანმა“ უცხო გოგონამაც გაიარა. მე არ დავუნახივარ. ისიც ძალიან ადრე მოვიდა. შემეძლო მისთვის დამეძახა კიდევც...

იგი კაფეში შევიდა და მაგიდასთან დაჯდა.

ბედნიერი ვიყავი. აუჩქარებლად ვსვამდი პერნოს და მინის ვერანდიდან ვუთვალთვალედი, როგორ შეუკვეთა რაღაც, როგორ იცდიდა, როგორ მოსწია სიგარეტი. ერთხელ საათზე დაიხედა. ისევ კაპიშონიანი შავი ქურთუკი ეცვა, მის ქვეშ კი ლურჯი კაბა. საოპეროდ გამოწყობილი ახალგაზრდა ქალი პომადას ფერს უსინჯავდა და თან ლინონის წვეს სვამდა. პარიზში ასე ბედნიერი ჩემს


<sup>1</sup> მე გადავიფიქრე (ინგლ.).

<sup>2</sup> რა მოხდა? (ინგლ.).

<sup>3</sup> კარგ დროსტარებას ვისურვებ (ინგლ.).

სიცოცხლეში არ ვყოფილვარ, ვუცდიდი ოფიციანტს. მინდოდა დანახარჯი გამესტუმრებინა და იმ გოგონასთან წავსულიყავი, მე რომ მელოდა, ~~თან მი-~~ ხაროდა კიდევ, ოფიციანტი რომ მაცდევინებდა; თუმცა მაინც ~~ავბუბუბობდი.~~ ამაზე ბედნიერი ვერასოდეს ველარ ვიქნებოდი.

ეროვნული  
ბიზნისი



ქალიშვილი, მე რომ ობერაში წავიყვანე, ის ბავშვი აღმოჩნდა, რომელიც ჩვენი პირადი მოსახრებების და არა პოლიტიკური ვითარების გამო არც ერთს (არც ჰანას და არც მე) არ გვინდოდა, ამქვეყნად გაჩენილიყო. მას შემდეგ რაც ჩემთვის ცნობილი გახდა ეს ამბავი, ბევრ სხვადასხვა ხალხს ვესაუბრე ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის საკითხზე. ძირითადად ისინიც ჩემს აზრს იზიარებენ, აბორტი დღეს ჩვეულებრივი ამბავია. აბა დავუკვირდეთ: რას ვიზამდით, აბორტი რომ არ ყოფილიყო? პასუხისმგებლობის გრძნობით აღსავსე ადამიანებს სწორედ მედიცინისა და ტექნიკის პროგრესი ავალდებულებს ახალ გზებს მიაკვლიონ. ერთ საუკუნეში შეიძლება კაცობრიობის რიცხვი გასამკვეცდეს. წინათ არავითარი პიგიენა არ არსებობდა. ბავშვების დაბადება და ბუნების ნება-სურვილით პირველ წელიწადსვე სიკვდილი კაცობრიობის უსისტემო ზრდის შეჩერების პრიმიტიული გზაა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ეთიკურად გამართლებული არ არის. მელოგინის გადარჩენისათვის ბრძოლა, საკეისრო გაკვეთა, ინკუბატორები უღლეურებისათვის... ჩვენ წინაპრებზე გაცილებით სერიოზულად ვეკიდებით სიცოცხლეს.

იოჰან სებასტიან ბახს ცამეტი (თუ დაახლოებით ამდენი) შვილი ჰყავდა და აქედან 50 პროცენტიც არ შერჩენია.

ადამიანები ბაჭიები კი არ არიან! პროგრესს თავისი ლოგიკა აქვს. ჩვენი საქმე ჩვენვე უნდა მოვაგვაროთ. დედამიწას ჭარბმოსახლიანობა ემუქრება. ჩემი პოლკის ექიმი, რომელიც ჩრდილოეთ აფრიკაში იყო ნამსახურევი, ასე ამბობდა: არაბები ერთ მშვენიერ დღეს თუ იმას მიხვდებიან, რომ ფიზიოლოგიური მოთხოვნილება საკუთარი სახლას ყურეში არ უნდა დაიკმაყოფილონ, მაშინ ოც წელიწადში არაბი მოსახლეობის გაორკეცებას უნდა მოველოდეთ.

ეს ბუნება მიმართავს ჭარბწარმოებას რომელიმე გვარის შესანარჩუნებლად. ჩვენ გვარის შესანარჩუნებლად სხვა საშუალებებიც გაგვაჩნია. სიცოცხლე წმიდათაწმიდა რამ არის. ბუნებრივი ჭარბწარმოება (თუ ცხოველებით შეიღების დაყრას არ მოვიშლით) კატასტროფამდე მიგვიყვანს. გვარს კი არ შევინარჩუნებთ, პირიქით, გადავაჯიშებთ. ბოლოს და ბოლოს, რამდენ ადამიანს გამოკვებავს დედამიწა? აი, ცხოვრების დონის ამალღება კი შესაძლებელია. იუნესკოს ამოცანაა სუსტად განვითარებული ქვეყნების ინდუსტრიალიზაცია, მაგრამ ინდუსტრიალიზაციასაც თავისი საზღვარი აქვს. დღეს პოლიტიკა სრულადაა ახალი პრობლემების წინაშე დგას.

გადავხედოთ სტატისტიკას: მაგალითად, ტუბერკულოზით ავადმყოფთა რიცხვის 30-დან 8 პროცენტამდე დაყვანა პროფილაქტიკის წყალობაა. მამა-ხეციერი პროფილაქტიკას შავი ჭირის შემწეობით აკეთებდა. შავი ჭირი ხელიდან გამოვტაცეთ. აქედან დასკვნა: გამრავლების ძალაც უნდა გამოვტაცოთ ხელიდან. საჩოთირო აქ არაფერია. პირიქით, ადამიანის ღირსება სწორედ ისაა, რომ გონივრულად იმოქმედოს და გადაწყვეტილებაც დამოუკიდებლად

მიიღოს, თუ არადა, მაშინ შავი ჭირის მაგიერ ომს მოვიშველიებთ. რომანტიკის დრო მოკვდა. ვინც აბორტს პრინციპულად უარყოფს, ის რომანტიკოსია და პასუხისმგებლობის გრძნობაც არ გააჩნია. რა თქმა უნდა, ეს აბორტი თავქარიანობის გამო კი არ უნდა მოხდეს, არამედ ვარკვეული პრინციპის კარნახით. ფაქტებს პირდაპირ უნდა შევხედოთ. თუნდაც იმ ფაქტს, რომ აბორტი არსებობდა ნედლეულზე დიდად არის დამყარებული. ამჟამად აბორტი ქვეყნებში და საფრანგეთში შობადობის წახალისება სისადაგლეა და მეტი არაფერი. ამას საცხოვრებელი ფართობის მოთხოვნილება მოჰყვება. ავტომატიკაც არ უნდა დაგვაფიწყდეს; ჩვენ ახლა იმდენი ხალხი აღარ გვჭირდება. უფრო ჰკვიანური იქნებოდა, ცხოვრების დონე აგვემაღლებინა. სხვა ყველაფერს ომისაკენ და ტოტალური განადგურებისაკენ მივყავართ. უმეცრება და საქმეში ჩაუხედლობა ჯერ კიდევ ფართოდ არის გავრცელებული. სწორედ მიორალისტები თესავენ ამქვეყნად ყველაზე მეტ ბოროტებას. აბორტი კულტურის ნაყოფია. მხოლოდ ჯუნგლებში იბადებიან და იხოცებიან ბუნების ნება-სურვილზე. ადამიანს დაგეგმვის უნარი გააჩნია. რომანტიკას ბევრი უბედურება მოაქვს. რამდენი უიღბლო ქორწინება ხდება მხოლოდ აბორტის შიშით დღესაც კი. რა განსხვავებაა ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებსა და სამედიცინო ჩარევას შორის? ორივე შემთხვევაში მჟღავნდება ადამიანის ნება, არ იყოლიოს ბავშვი. ნაინც რამდენი ბავშვია სასურველი? სულ სხვა ამბავია, რომ ქალს დაბადებამდეც უყვარს შვილი, — ეს ავტომატური ინსტინქტია. მას ავიწყდება, რომ თვითონაც არ უნდოდა ბავშვი. ამას ემატება მამაკაცზე გაბატონების სურვილი. დედობა ქალის ეკონომიური ბრძოლის ერთ-ერთი იარაღია. რას მიქვია ბედისწერა? სასაცილოა მექანიკურ-ფიზიოლოგიურ შემთხვევითობას ბედისწერა დაარქვა, ეს თანამედროვე ადამიანს არ შეეფერება. ბავშვები არის ის, რაც ჩვენ გვინდა ან, უფრო სწორად, რაც ჩვენ არ გვინდა. ქალისათვის მავნეა აბორტი? ყოველ შემთხვევაში ფიზიოლოგიურად არა, თუ ვინმე გამოუცდელ ექიმს არ ჩაუვარდა ხელში, ფსიქიკურად კი მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ესა თუ ის პიროვნება თვითონ არის შეპყრობილი მორალური და რელიგიური ცრურწმენებით. ჩვენ ან უნდა უარყოთ ბუნება, როგორც კერპი, ან არადა, თანამიმდევრულნი უნდა ვიყოთ: მაშინ არც პენიცილინი უნდა გვინდოდეს, არც მეხამრიდი, არც სათვალე, არც რადარი და არც სხვა რამ. ჩვენ ტექნიკის საუკუნეში ვცხოვრობთ, ადამიანი ბუნების დამპყრობელია, ადამიანი ინჟინერია და ვინც ამის წინააღმდეგ ილაშქრებს, მან არც იმ ხიდზე უნდა გაიაროს, რომელიც ბუნებას არ აუგია. კაცი თანამიმდევრული უნდა იყოს, თუ აბორტს უარყოფს, მაშინ ყოველგვარი სამედიცინო ჩარევა უნდა უარყოს; ეს ნიშნავს, რომ აპენდიციტს მოაკვლევინოს თავი. იმიტომ რომ ასეთია ბედისწერა! მაშინ ნურც ნათურები გვინდა, ნურც მოტორი, ნურც ატომური ენერჯია, ნურც გამომთვლელი მანქანა, ნურც ნარკოზი — მაშინ დავიძრათ ჯუნგლებისაკენ!



იტალიაში მოგზაურობაზე მხოლოდ ერთი რამ შემიძლია ვთქვა. ბედნიერი ვიყავი იმიტომ, რომ ჩემი ფიქრით, ჩვენს შორის ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად, გოგონაც ბედნიერად გრძნობდა თავს.

ის ახალგაზრდებს დასცინოდა:

— ბიჭბუჭები! — ამბობდა იგი. — შენ ვერც კი წარმოიდგენ რა საშინელებათაა იმათთან რომ ვარ, თავი მათი დედა მგონია.

ფანტასტიკური ამინდი იღვა.

საქმეს მხოლოდ მისი ხელოვნებისადმი გადაჭარბებული სიყვარული მიჰქირვებდა, ამოჩემებული ჰქონდა, უნახავი არაფერი დარჩენილ მსოფლიოში, მგონი, ადგილი არ დაგვიტოვებია, რომ არ შევჩერებულყავით: შინა, ფლორენცია, სიენა, პერუჯა, არეცო, ორვიეტო, ასიზი. ასე მოგზაურობას მიჩვეული არა ვარ. ფლორენციაში ვიფეთქე და მის ფრა ანჯელიკოზე გულახდილად ვთქვი, დიდი ვერაფერი შვილია-მეთქი, შემდეგ გამოვასწორე: გულუბრყვილოა-მეთქი. არ უკამათია, პირიქით, გაუხარდა კიდეც: მის თვალში გულუბრყვილოს გაცილებით მეტი ფასი ჰქონდა.

აი, კამპარით კი ნამდვილად ვტყბებოდი!

ჰო, მანდოლინებიანი მათხოვრებითაც...

მაინტერესებდა: გზებისა და ხიდების მშენებლობა, ახალი „ფიატი“, რომის ახალი ვაგზალი, ახალი მოტორიანი ვაგონი, ახალი საბეჭდი მანქანა „ოლივეტი“.

ქუდი რომ შემეგდო, მუხეუმში მაინც ვერ შემეყვან.

მე სან მარკოს მოედანზე ვიჯექი (სანამ ზაბეტი მე მგონი, მხოლოდ სიჯიუტის გამო, მთელ ტაძარს ათვალიერებდა) და ჩვეულებისამებრ, კამპარის ვწრუპავდი. ამ ბოლო დღეებში, რაც ავინიონს გამოვცდით, იმის ხატრით, რომ მის გვერდით ვყოფილყავი, რა აღარ ვნახე. საეჭვიანო არაფერი მქონდა, მაგრამ მაინც ვეჭვიანობდი. არ ვიცოდი, ასეთ ახალგაზრდა ქალიშვილს თავში რა უტრიალებდა. თავის შოფრად მთვლიდა? კეთილი, მაშინ მე უფლება მაქვს, სანამ ჩემი ქალბატონი მახლობელი ეკლესიიდან გამოვა, კამპარი დავლიო. ავინიონი რომ არა, არც მის შოფრობაზე ვიტყვოდი უარს. ხანდახან აღარ ვიცოდი, ამ გოგონაზე რა მეფიქოა. მისი იდეა იყო „ავტოსტოპით“ რომში წასვლა! მერე რა, რომ ეს იდეა ვერ განახორციელა, ამ იდეის არსებობაც კი მაეჭვიანებდა. რაც ავინიონში ჩვენს შორის მოხდა, ვითომ არ შეიძლებოდა სხვასთანაც მომხდარიყო?

ასე სერიოზულად კორწინებაზე არასოდეს არ მიფიქრია...

რაც უფრო მეტად მიყვარდა, მით უფრო არ მინდოდა ამ გოგონასათვის ჩემი სურვილი თავს მომეხვია. შემთხვევას ვეძებდი, ადრე თუ გვიან მოვლავარაკებოდი. გადაწყვეტილი მქონდა, ყველაფერი გულახდილად მეთქვა, მხოლოდ შეშინოდა, ვაითუ არ დაეჭვებინა, ან უფრო სწორად არ დაეცინა. ზაბეტი, მგონი, ჯერ კიდევ ცინიკოსად მთვლიდა, უტიფრადაც კი, (თავის მიმართ არა, საერთოდ, ცხოვრების მიმართ). ჩემს ირონიაზე გული მოსდიოდა და ხშირად აღარ ვიცოდი ხოლმე, რა მეთქვა. საერთოდ მისმენდა კი? უკვე ვჭვიშეპარებოდა, ახლანდელი ახალგაზრდობის არაფერი მესმის-მეთქი. ხშირად საკუთარ თავს ლამის პირფერობასაც ვწამებდი. კაცმა რომ თქვას, რატომ? არ მინდოდა გული გასტეხოდა და კამბობდი ტივოლიზე უკეთესი დედამიწის ზურგზე არაფერი მიწაზავს, ტივოლიში გატარებული საღამო კვადრატში აყვანილი ბედნიერებაა-მეთქი. მერე რა ვუყობ, რომ ჩემი ნათქვამი მე თვითონ არ მჯეროდა. ზაბეტის წუხილი, თითქოს მას სერიოზულად არ ვეკიდებოდი, უსაფუძვლო იყო. პირიქით, მე საკუთარ თავს არ ვეკიდებოდი სერიოზულად,

გამუდმებით ვექვიანობდი, თუმცა ტყავიდან ვძვრებოდი, რომ ახალგაზრდა ვყოფილიყავი. ჩემს თავს ვეკითხებოდი, ახლანდელი ახალგაზრდობა (1957) სულ სხვანაირია ჩვენი დროის ახალგაზრდობასთან შედარებით თუ არა-მეთქი და მხოლოდ ის დავასკვენი, რომ საერთოდ არ ვიცი, ახლანდელი ახალგაზრდობა როგორია. ზაბეტს ვაკვირდებოდი. ზოგჯერ მუხეუში მხოლოდ ერთხელ მივყვებოდი, რომ მის ახლოს ვყოფილიყავი და მისთვის ეტრუსკული ჭურჭლის ნამსვრევებით გამოტენილი ვიტრინის "შუშაში მაინც მეყურებინა, მეყურებინა მისი ახალგაზრდა სახისათვის, მისი სერიოზულობისათვის, მისი სიხარულისათვის. ზაბეტს არ სჯეროდა, რომ მე ხელოვნებისა არაფერი გამეგებოდა. ერთი მხრივ, უსაზღვრო, ბავშვური რწმენა ჰქონდა ჩემი, მხოლოდ იმიტომ, რომ მასზე ოცდაათი წლით უფროსი ვიყავი. მეორე მხრივ კი, საერთოდ არ მცემდა პატივს. ჩემს თავზე გული მომდიოდა, მისგან პატივისცემას რომ მოველოდი. როცა ჩემი გამოცდილების ამბავს ვუყვებოდი, ზაბეტი ისე მისმენდა, როგორც მოხუცს უგდებენ ხოლმე ყურს, ზრდილობიანად, სიტყვას არ მაწყვეტიებდა. მონაყოლი არ სჯეროდა, მაგრამ თავს არ იღებდა. ხანდახან ლაპარაკს ვითომ ალტაცებისგან თუ შემაწყვეტიებდა, და ამით მიმანიშნებდა, ეგ ერთხელ უკვე მონაყოლი ვაქვსო. მაშინ მე მრცხვენოდა. საერთოდ მისთვის მხოლოდ მოძავალი არსებობდა, ცოტა აწმყოც, მაგრამ როგორც ყველა ახალგაზრდა, გამოცდილებას არაფრად აგდებდა. იოტისოდენადაც არ აინტერესებდა აღრე რა იყო, ან ჩვენი ხნის ადამიანებმა რა გამოცდილება შეიძინეს, უფრო სწორად, რა გამოცდილება შეეძლოთ შეეძინათ. ძალიან მინდოდა განგვო, თვითონ ზაბეტი რას მოელოდა მომავლისაგან და დავადვინე კიდევ. მან თვითონაც არ იცის, რა მოელის, უბრალოდ, შეჰხარის მომავალს. ეს არის და ეს. განა მე ისეთ რამეს მოველი მომავლისაგან, რაც წინასწარ არ ვიცი? ზაბეტი ყველაფერს სხვა თვალთ უყურებდა. ის შეჰხაროდა ტივოლის, დედას, საუზმეს, მომავალს; იმას, რომ თდესმე შვილები ეყოლებოდა, შეჰხაროდა თავის დაბადების დღეს; თავის ფირფიტებს, შეჰხაროდა ყველაფერს — განსაზღვრულსაც და განუსაზღვრელსაც: ყველაფერს, რაც ჯერ კიდევ არ არსებობდა. ამ ამბავზე შეიძლება მართლა ვექვიანობდი, მაგრამ ვერ იტყოდით, რომ მე არაფერი მიხაროდა. მიხაროდა ყოველი წუთი, რომელიც საამისო საბაბს მაძლევდა. მე არც მალაყებს გადავდივარ, არც ვმღერი, მაგრამ გული მეც სიხარულით მაქვს სავსე და არა მარტო კარგი საჭმლის გამო! ალბათ, ყოველთვის ვერ გამოვხატავ სიხარულს. განა ბევრია ამქვეყნად ადამიანი, რომელსაც ჩენი ან სიხარული აინტერესებს, ან დარდი? ზაბეტის აზრით, მე ყოველთვის ვაჭარბებ, ან უფრო სწორად, თავს ვიკატუნებ. ყველაზე უფრო მისი სიხარული მიხარებდა. ხანდახან მიკვირდა, რა ცოტა კმაროდა მისთვის, რომ ამღერებულყო. უფრო სწორად, ამისთვის არაფერი არ სჭირდებოდა. გასწევდა ფარდებს, ნახაედა, არ წვიმსო და აღიღინდებოდა. საუბედუროდ, ერთხელ წამომიცდა, კუჭში სიმძიძეს ვგრძნობ-მეთქი. ამის შემდეგ სულ ეგონა, რომ კუჭი მტკიოდა. ისე დედაშვილურად მევლებოდა თავს, თითქოს არასრულწლოვანი ვყოფილიყავი. იმიტომ იმ დღეებს მთლად უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია, ის კი არა, ჩვენი მოგზაურობა ხშირად კომიკურიც კი ხდებოდა: მე ზაბეტს ჩემი გამოცდილებით შევაწყინე თავი, ის კი, როგორც მოხუცს, ისე მექცევოდა. დიდიდან საღამომდე ჩემგან აღფრთოვანების გამოხატვას მოელოდა...

ერთ დიდ გალერეაში (Museo Nazionale)<sup>1</sup> უარი ეთქვი მის „ბედ-  
კერს“<sup>2</sup> მივყოლოდი, მოაჯირზე ჩამოვჯექი და ხელში იტალიური გაზეთი გილე-  
ქის ნატეხების კოლექციები ყელში ამომივიდა. გავიფიციე, მაგრამ ზაბეტს  
ჯერ კიდევ ეგონა, ვეხუმრებოდი, ხელოვნებისა არაფერი გამოვგებ-მეთქი. —  
თავის მხრივ იგივე დედამისის გამონათქვამს იშველიებდა, მხოლოდ გონება-  
შეზღუდულ ადამიანს არ შეუძლია ხელოვნების ქმნილების აღქმაო.

— გულმოწყალე დედიკო! — ეთქვი მე.

გალერეაში მიმავალი იტალიური წვევით გაცალებით უფრო მაინტერესებ-  
და, ვიდრე აქ გამოფენილი ყველა ქანდაკება, პირველ რიგში მამა, მძინარე  
ბავშვი რომ მიპყავდა. აქ მათ გარდა, კაციშვილი არ ჭაჭანებდა.

ხანდახან ჩიტების ტაკტეკს თუ გაიგონებდი, თორემ ისე სამარისებური  
სიჩუმე იდგა.

როცა ზაბეტმა მარტო დამტოვა, გაზეთი ჯიბეში ჩავიდე, სულ ერთია  
მაინც ვერ ვკითხულობდი და რომელიღაც ქანდაკების წინ შევჩერდი, მინ-  
დოდა დედამისის გამონათქვამი შემემოწმებინა, მაოლოდ გონებაშეზღუდულ  
ადამიანს არ შეუძლია ხელოვნების ქმნილების აღქმაო!

მე მგონი, დედიკოს რაღაცა ეშლებოდა.

მხოლოდ მომეწყინა. ეს იყო და ეს.

ბატარა, შემინულ გალერეაში ბედმა გამიღიმა: გერმანელი ტურისტების  
ერთი ჯგუფი, კათოლიკე მღვდლის ხელმძღვანელობით, რომელიღაც ბარელიე-  
ფის წინ ისე შეჯგუფებულაო, როგორ უბედური შემთხვევის ადგილზე  
გროვდება ხოლმე ხალხი. მეც ცნობისმოყვარეობამ დამძლია და როცა ზაბეტმა  
წამაგნო („აი, სადა ხარ თურმე, ვალტერ, მე კი მეგონა, უკვე ჭიქა გეჭირა  
ხელში“), ცოტა ხნის წინ მღვდლისაგან მოსმენილი სიტყვები შევაგებე: „აი,  
ვენერას დაბადება!“ გულახდილად რომ ვთქვა, მე ფლექტიანი გოგონა უფრო  
მომწონდა, საუცხოო-მეთქი, ვთქვი. ზაბეტის აზრით, „საუცხოო“ შესაფერი  
სიტყვა ვერ იყო ამ ბარელიეფისათვის; ის გახლდათ გასაგიჟებელი, გადასარე-  
ვი, სრულქმნილი, გენიალური, გამაოგნებელი.

ბედზე ხალხი გამოჩნდა...

ვერ ვიტან, როცა მკარნახობენ, რა უნდა შევიგრძნო. მაშინ ასე მგონია,  
ბრმა ვარ-მეთქი, თუმცა მშვენივრად ვხედავ, რაზეა ლაპარაკი.

„მძინარე ერინიას თავი“.

ეს ჩემი აღმოჩენა გახლდათ (მარცხნივ, იმავე დარბაზში); ბევარიელი  
მღვდლის დახმარება არ დამჭირვებია. ნაწარმოებს რა ერქვა, არც კი ვიცოდი,  
მაგრამ ეს ამბავი ხელს სულ არ მიშლიდა. პირიქით, სახელის ცოდნა უფრო  
მიშლის ხოლმე ხელს, ანტიკურ სახელებში მაინც ვერ ვერკვევი. თან სახელს  
რომ ვეძებ, გამოცდაზე მგონია თავი... აი ეს კი ნამდვილად დიდებულია, შთა-  
მბეჭდავი, ჩინებულო ნამუშევარი, ღრმად შთანბეჭდავი. ეს იყო ქვისაგან გა-  
მოკვეთილი ქალწულის თავი. ქანდაკება ისე იდო, თითქოს შენს გვერდით წა-  
მოწოლილი მძინარე ქალის სახეს დასცქეროდი.

<sup>1</sup> ეროვნული მუზეუმი (იტალია).

<sup>2</sup> ცნობარი.



— ვინ იცის, რა ესიზმრება ქალწულს?

იქნებ ხელოვნების ნაწარმოებს ამ კუთხით არ უნდა მიუღვე. მაგრამ მე ეს უფრო მაინტერესებდა, ვიდრე ის ამბავი, ქანდაკება მეოთხე საუკუნისა იყო თუ მესამესი ქრისტეს დაბადებამდე... როცა კვლავ „ვენერას დაბადებისაკენ“ გადავინაცვლე, უცებ ზაბეტმა შემომქახა, არ გაინძრეთ. რა მოხდა-მეთქი, — ვკითხე.

— იდექი! მანდ რომ დგახარ, აქედან ერინია გაცილებით მსგავსი ჩანს, პირდაპირ დაუჯერებელია, ეს რამდენს ნიშნავს!

ზაბეტს უნდა მეც დავრწმუნდე მისი სიტყვების სიმართლეში და მაძიებლებს ადგილები გავცვალოთ. მართლაც არის სხვაობა, მაგრამ გასაოცარი არაფერია: განათების ამბავია. როცა ზაბეტი (ან სხვა ვინმე) „ვენერას დაბადებასთან“ დგას, ერინიას ჩრდილი ეცემა და მძინარე ერინიას სახე, ცალმხრივი განათების გამო, თითქოს ცოცხლდება, გვონია, ეს ესაა თვალს გაახელს, საწეზე თითქოს განრისხებაც კი ეხატება.

— პირდაპირ გასაგიჟებელია, — ამბობს ზაბეტი, — როგორ იცვლება! ერთი ორჯერ თუ სამჯერ შევცვალეთ ადგილები, შემდეგ მე დავიჟინე, გზა გაგვეგროძელებინა, წინ კიდევ მთელი დარბაზები იყო ქანდაკებებით გატენილი, ზაბეტს ისინიც ხომ უნდა ენახა...

შშიოდა.

რესტორანზე ფიქრი თავში მიტრიალებდა, მაგრამ ხმას როგორ ამოვიღებდი, ზაბეტი იმაზეც კი არ მაძლევდა პასუხს, ამდენი ჭკვიანური სიტყვები საიდან იცი-მეთქი, თუნდაც ასეთები: არქაული, სწორხაზოვანი, ელინური, დეკორატიული, საკრალური, ნატურალისტური, ექსპრესიული, კუბისტური, ალეგორიული, საკულტო, კომპოზიციური და ასე შემდეგ, მოკლედ, მთელი დახვეწილი ინტელექტუალური ლექსიკონი. ბოლოს გამოსასვლელში შევჩერდით, სადაც ანტიკური აგურით ნაშენი თაღის მეტი აღარაფერი იყო სანახავი, — კალატოზის უბრალო, მაგრამ სუფთა ნახელავმა დამაინტერესა, და მხოლოდ მაშინ მიპასუხა ზაბეტმა ჩემს კითხვაზე, მიპასუხა სხვათა შორის, როგორც იცოდა ხოლმე, როცა დედას ახსენებდა.

— დედაჩემისაგან.

როცა სადმე რესტორანში ვიჯექით, გოგონა სულ უფრო მეტად მომწონდა. მხიბლავდა მისი ყოველი მოწმედება; როგორ უხაროდა, სალათას რომ ჭამდა, როგორ ბავშვივით ილუკმებოდა, ფუნთუშას ფუნთუშაზე სანსლავდა და თან აქეთ-იქით ცნობისმოყვარეობით იცქირებოდა, როგორ დიდი აშბით გამოთქვამდა აღტაცებას საუზმის გამო; მომწონდა მისი სიცელქეც.

რაც შეეხება დედამისს...

არტიშოკის ფურცლებს მაიონეზში ვავლებდით და ფურცელს ფურცელზე ვწუწნიდით. ამასობაში იმ ჭკვიან ქალზე, რომელიც მისი დედა გახლდათ, რაღაც-რაღაცეები შევიტყვე. გულახდილად რომ ვთქვა, დიდი ცნობისმოყვარეობა არც გამომიჩენია, ინტელექტუალურ ქალებს საერთოდ ვერ ვიტან. გავიგე, რომ მას არქეოლოგიური ფაკულტეტი კი არ ჰქონია დამთავრებული, არამედ ფილოლოგიური, მაგრამ არქეოლოგიის ინსტიტუტში მუშაობს თურმე. ლუკმაპურის ფული ხომ უნდა, ის ხომ ბატონ პაიპერთან გაშორებულა — მე ვიქა მეჭირა ხელში, მიხლოდა ზაბეტისთვის მიმეჭახუნებინა.. ბატონი პაიპერი,

კაცი, რომელიც რწმენის გულისთვის აღმოსავლეთ გერმანიაში ცხოვრობს, სულ არ მაინტერესებდა... ჭიქა ავწიე და ზაბეტს სიტყვა გავაწყვეტინე:

— გაგვიმარჯოს  
ორივემ დავლიეთ.

შემდეგ შევიტყვე, რომ დედამისიც კომუნისტი ყოფილა ერთ დროს, მაგრამ ბატონ პაიპერს მაინც ვერ ეწყობოდა თურმე, ამიტომ გამორეზებულა, ეს ჩემთვის გასაგებია. ამჟამად დედა ათენში ცხოვრობს, რადგან ანდრეელი დასავლეთ გერმანია არ მოსწონს; ესეც გასაგებია ჩემთვის; ზაბეტს კი, თავის მხრივ, სულ არ ენაღვლებოდა დედამისი და მამამისი რომ გამორეზულნი იყვნენ, პირიქით, როცა ამას პყვებოდა, მადიანად ილუკმებოდა და ზედ თეთრ „ორვიეტოს“ აყოლებდა; ჩემთვის ზედმეტად ტკბილი იყო ეს ღვინო, ზაბეტს კი მოსწონდა: Orvieto Abbocato. მამა მაინცდამაინც არ პყვარებია თურმე, უფრო სწორად, ბატონი პაიპერი არცაა მისი მამა, რადგან დედა ადრე განათხოვარი ყოფილა, ესე იგი ზაბეტი პირველი ქმრის ხელში გასჩენია. ეტყობა, დედამისს მამაკაცებში ბედი არ სწყალობდა, ალბათ, მისი ინტელექტუალობის გამო. გულში ასე ვფიქრობდი, მაგრამ, რა თქმა უნდა, ხმა არ ამომიღია, მხოლოდ ნახევარი ბოთლი Orvieto Abbocato კადევ შევუკვეთე. შემდეგ კი რაზე არ ვსაუბრობდით: არტიზოკებზე, კათოლიციზმზე, ნაყინზე, შპინარე ერინიაზე, ტრანსპორტის გაცხოველებულ მოძრაობაზე — ჩვენი დროის ამ გაჭირვებაზე და ვია აპიამდე მისასვლელ გზაზე.

ზაბეტს თავისი „ბედეკერი“ უჭირავს ხელში:

„ვია აპია, გზათა დედოფალი, გაიყვანა ცენზორმა აპიუს კლაუდიუსმა 312 წელს ქრისტეს დაბადებამდე, ეს გზა მიდიოდა ტერაჩინას გავლით კაპუაში, საიდანაც იგი ბრინდიზიმდე გააგრძელეს“...

ვია აპიაზე პილიგრიმებივით ფეხით ვაფიარეთ სამი კილომეტრი და ახლა ქვა და ღორღათ დაფარული, სარეველამორეული სამარხის ბორცვზე ვიწეჩით. საბედნიეროდ, ეს ბორცვი „ბედეკერში“ ნახსენებიც არ იყო. ვიწეჩით ფიჭვის ჩრდილში და სიგარეტს ვეწეოდით.

— ვალტერ, გძინავს?

როგორ მიხაროდა, დასათვალიერებელი რომ არაფერი გვქონდა.

— იცი, — მითხრა მან, — აი იქ, გაღმა, ტივოლია.

ზაბეტს ისევ თავისი ვამოხუნებული კოვბოური შარვალი ეცვა, ფეხზე კი ასევე ფერგადასული ესპადრილები, თუმცა მე პიზაშივე ვუყიდე იტალიური ფეხსაცმელები.

— მართლა არ გაინტერესებს?

— მართლა არ მაინტერესებს, — ვუთხარი მე, — მაგრამ ყველაფერს დავათვალიერებ, ჩემო სიყვარულო. კაცი საჭორწინო მოგზაურობის დროს რას არ იზამ!

ზაბეტი ისევ შემომწყურა, ცინიკოსი ხარო.

ჩემთვის ისიც კმაროდა, რომ ბალახში ვიწეჩი, ტივოლი აქეთ იყო თუ იქეთ, რა თავში ეიხლიდი, მთავარია, რომ მისი თავი მედო მხარზე.

— დიდი მოუსვენარი კი ხარ, — ვუთხარი მე, — ერთ წუთს ვერ გაჩერდები ადგილზე.

მან წამოიჩოქა და მიიხედ-მოიხედა.

ქვევიდან ხმები ისმოდა...

— შეიძლება? — მკითხა მან და ტუჩები გადასაფურთხებლად მოამზადა. —  
ჰა, შეიძლება?

„ცხენის კუდზე“ დაეჭაჩე, მაგრამ გამიძალიანდა. მეც მწყურდა, რომ მარტონი აღარ ვიყავით, მაგრამ რას გავხდებოდი. მერე რა, რომ კაცი ვიყავი. ზაბეტს აკვიატებული ჰქონდა, შენ ხომ კაცი ხარო. ამჟამად მწყურდა, რომ ახლა წამოვხტებოდი, ქვების სროლას დავიწყებდი ბევრ-მეტი თხების ჭოგვივით გავრეკავდი აქედან. ზაბეტს სერიოზულად დასწყდა გული, გოგონას, რომელსაც ქალივით ვეჭვებოდი, თუ ქალს, რომელსაც გოგონასავით ვეჭვებოდი, მე თვითონ არ ვიცოდი.

— მე მგონი, ეს ჩვენი ადგილია, — თქვა მან.

ქვევით ნამდვილად ამერიკელები იყვნენ, მხოლოდ ხმები მესმოდა. ხმების მიხედვით თუ ვიმსჯელებდით, კლივლენდელი სტენოგრაფისტები უნდა ყოფილიყვნენ.

— Oh, isn't it lovely?<sup>1</sup>

— Oh, this is the Campagna?<sup>2</sup>

— Oh, how lovely here!<sup>3</sup>

— Oh!.. — და ა. შ.

წამოვიწიე და ბუჩქებში გავიჭვრიტე: დავინახე ქალების იისფერი თმები და მამაკაცების მელოტი თავები, რომლებსაც პანამები მოეხადათ. დავრდომილთა თავშესაფრიდან გამოქცეულებს არა გვანან-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ არაფერი მოთქვამს. ჩვენი ბორცვი, ეტყობა, კნობილი ადგილი იყო.

ზაბეტი მოთმინებიდან გამოვიდა:

— ნახე, კიდევ ემატება ხალხი!

ზაბეტი ფეხზე იდგა, მე ისევ ბალახში ვიწექი.

— ნახე, ნახე, მთელი ავტობუსია!

ზაბეტი თავზე მადგას, უფრო სწორად, ჩემს გვერდით დგას: ვხედავ, ჯერ მის ესპადრილებს, შემდეგ შიშველ კანჭებს, ბარძაყებს, თეძოები აქედანაც ვიშოლტივით უჩანს, ვიწრო კოვბოურ შარვალში გამოკვეთილი თეძოები. ხელები ჯიბეებში უწყვია. ქვემოდან მის წელს ვერ ვხედავ. შემდეგ მოჩანს მკერდი და მხრები, ნიკაპი, ტუჩები, მერე უკვე წამწამები, ქუთუთოები თეთრი მარმარილოსავით უელავს, იმიტომ რომ მზის ანარეკლი ქვემოდან სცემს, ხასხასა ლურჯი ცის ფონზე ვხედავ მის მოწითალო გაშლილ თმას, რომელიც გვეგონება, აი ახლა გაიხლართება ფიჭვის ტოტებშიო. ასე იდგა იგი, მე კი მიწაზე ვიწექი, იდგა ქარში, ტანაშოლტილი და წელგამართული, ქანდაკებასავით მღუმარე.

— ჰელო! — დაუძახა ვიღაცამ ქვემოდან.

ზაბეტმა უკმაყოფილოდ უპასუხა:

— ჰელო!

<sup>1</sup> ო, რა საუცხოოა (ინგლ.).

<sup>2</sup> მაშ, ეს არის კამპანია? (ინგლ.).

<sup>3</sup> ო, რა კარგია აქ (ინგლ.).

მათი მოსვლა ვერ მოენდებინა.

— ნახე, პიკნიკს აწყობენ!

შემდეგ, თითქოს იმ ამერიკელების ჯიბრზე დაიხარა და ძვერდზე დაძვრა. ვითომ დაძინებას აპირებდა, მაგრამ დიდხანს არ წოლილა ასე. წამოიწია და შემეკითხა, მძიმე ხომ არა ვარო.

— არა, მსუბუქი ხარ...

— მაგრამ?

— არავითარი „მაგრამ“!

— შენ მაინც რაღაცაზე ფიქრობ, — მითხრა მან.

წარმოდგენა არ მქონდა, რაზე ფიქრობდი. კაცი რაღაცას თითქმის ყოველთვის ფიქრობს, ოღონდ მე მართლა არ ვიცოდი, რას ფიქრობდი. ვკითხე, შენ რაზე ფიქრობ-მეთქი. პასუხი არ გაუცია, იაე მთხოვა სიგარეტი.

— ბევრს ეწევი, — ეუთხარი მე. — შენი ხნის რომ ვიყავი...

რაც უფრო დავუახლოვდით ერთმანეთს, მით უფრო იშვიათად მომდიოდა თავში აზრი, რომ ზაბეტი ჰანას ჩამოჰგავდა. ავინიონის შემდეგ კი საერთოდ არ გამიფიქრებია ეს! მიკვირდა კიდეც, საიდან მომივიდა მაშინ თავში, რომ იგი ჰანას ჰგავდა. დაყინებით ვუცქერდი სახეში. არავითარი მსგავსება! ბენზინის კვესი მივაწოდე, თუმცა ფიქრობდი, ოცი წლის გოგონა ამდენს არ უნდა ეწეოდეს-მეთქი.

შემდეგ მისებურად დამცინა:

— ნამდვილი ჩამიკოსავეთ იქცევი!

იქნებ მაშინ გავიფიქრე (ერთხელ კიდეც), რომ მე ზაბეტისათვის, აი ასე გულზე რომ მაწევს და ჩემს სახეს აკვირდება, მართლა ერთი ხნიერი კაცი ვარ და მეტი არაფერი-მეთქი.

— იცი, — მითხრა მან, — აი, დღეს რომ მოგვეწონა მე და შენ, ის ლუდოვიკოს საკურთხეველი ყოფილა, ძალიან ცნობილი ძეგლია!

ნებას ვაძლევდი, ჩემთვის ჭკუა დაერიგებინა.

ფეხსაცმელები გავიზადეთ, ფეხშიშველი ვიდექით თბილ მიწაზე, მსიამოვნებდა ასე დგომა, საერთოდ ყველაფერი სიამოვნებას მგვრიდა.

ფიქრობდი ჩვენს ავინიონზე (სასტუმრო „ანრი IV“).

ზაბეტმა, რომელსაც ხელში ახლა გადაშლილი „ბედეკერი“ ეჭირა, თავიდანვე იცოდა, რომ მე ინჟინერი ვარ და იტალიაში დასასვენებლად მივემგზავრები. მიუხედავად ამისა, მაინც მიკითხავდა:

— „ვია აპია, გზათა დედოფალი, გაიყვანა ცენზორმა აპიუს კლაუდიუსმა 312 წელს ქრისტეს დაბადებამდე...“

დღესაც ყურში მიდგას მისი ხმა!

— „გზის ყველაზე უფრო საინტერესო ადგილი იწყება იქ, სადაც შემონახულია ძველი ქვაფენილი, მარცხნივ აღმართულია აქვა მარკიას დიდებული თალები (იხ. გვ. 261)...“

ზაბეტმა „ბედეკერი“ გადაფურცლა.

— მაინც რა ჭკვია დედაშენს?

ზაბეტს კითხვა არ შეუწყვეტია.

— „აქედან რამდენიმე წუთის სავალზეა ცეცელია მეტელას სამარხი, კამპანიის სახელგანთქმული ნანგრევები, ოცი მეტრის რადიუსიანი წრიული

ნაგებობა, რომელიც ოთხკუთხა კვარცხლბეკს ეყრდნობა და ტრავერტინით არის მოპირკეთებული. მარმარილოს დაფაზე ამოკვეთილია წარწერა: „ცეცილია კრეტისი (filiae) 1 მეტელა კრასუსისა, ასული მეტელუს/კრეტისისა, რომელი ტრიუმვირ კრასუსისა, სამარხი შეიგნათ (არყფ) დაყოფილია ბკლდა-მეზად“.

ბიზანტიუმი

ზაბეტი შეჩერდა და დაფიქრდა.

— „არყფ“, რას ნიშნავს?

— არყის ფულს, — ვუთხარი. — მაგრამ მე სულ სხვა რამ გკითხე...

— მაპატიე.

მან თავისი „ბედეკერი“ დახურა.

— რა მკითხე?

„ბედეკერი“ ხელში ავიღე და გადავშალე.

— აი იქ რომ მოჩანს, — ვკითხე მე, — ის არის ტივოლი?

ტივოლის წინ გადაშლილ ველზე, ეტყობოდა, აეროდრომი უნდა ყოფილიყო, თუმცა ის „ბედეკერში“ ჩართულ რუკებზე არ იყო აღნიშნული. გამუდმებით ისმოდა მოტორის ხმა, ზუსტად ისეთივე გუგუნის, როგორც ჩემი ბაღის თავზე ისმოდა ხოლმე, ხანდახან მასებჩამოწევილი „DC-7“ ან „სუპერკონსტელეიშნი“ გადაიფრენდა. თვითმფრინავები სადღაც კამპანიისკენ მიეშურებოდნენ დასაფრენად.

— იქ აეროდრომი უნდა იყოს, — ვთქვი მე.

ეს ამბავი მართლა მაინტერესებდა.

— რა მკითხე? — შემეკითხა იგი.

— დედაშენს რა ჰქვია-მეთქი.

— პაიპერი! — მიპასუხა მან. — სხვა რა უნდა ერქვას?

მე, რა თქმა უნდა, სახელს ვგულისხმობდი და არა გვარს.

— პანა.

ზაბეტი ისევ წამოდგა, უნდოდა ბუჩქებში გაეჭვრიტა. ორივე ხელი ჯიბეებში ეწყო, მოწითალო „ცხენის კული“ მხარზე ჰქონდა ჩამოგდებული. ვერაფერი შემატყო.

— My goodness! 2 — თქვა მან, — რა ჭანა-თქველეთაში არიან, გაძლომას ვერც კი იგებენ, ახლა ხილს მისდგებიან!

ფეხები ბავშვივით დააბაკუნა.

— ღმერთო დიდებულო, ნე რომ მიმალვა მინდა?!

ჩემი შეკითხვა:

— დედა ოდესღაც ციურიპში ხომ არ სწავლობდა?

— რაა?

— როდის?

მე ვეკითხებოდი და ვეკითხებოდი, თუმცა, როგორც ვთქვი, ვოგონას მიმალვა უნდოდა. უხალისოდ მპასუხობდა, მაგრამ საკმაოდ დაწვრილებით.

— ვალტერ, აბა მე რა ვიცი!

1 ასული (ლათ.).

2 ღმერთო ჩემო (ინგლ.).

თავისთავად გასაგებია, როგორ მჭირდებოდა ზუსტი თარიღები.

— მაშინ მე არც ვიყავი გაჩენილი! — თქვა მან.

ჩემი ცნობისმოყვარეობა მას ართობდა. თვითონ აზრზეც ვერ მოდიოდა, ჩემთვის მისი პასუხები რას ნიშნავდა. ეს ამბავი ართობდა კიდევც, მაგრამ ვას-  
ვლა არ გადაუფიქრებია. ფიქვები და მისი მკლავი მეჭირა, მეშინოდა არ გაქცეულ-  
ლიყო.

— კარგი რა, — თქვა მან, — კარგი, რა.

ჩემი უკანასკნელი კითხვა:

— და მისი ქალიშვილობის გვარი ლანდსბერგია, არა?

მკლავზე ხელი ვუშვი. ერთბაშად მოვწყდი. თავს ძალა დავატანე, რომ ასე მაინც ვმჯდარიყავი. აღბათ, ვიღიმებოდი კიდევც. იმედი მქონდა, ზაბეტი ახლა გაიქცეოდა.

მაგრამ ზაბეტი ჩაცუცქდა და აქეთ დამაყარა კითხვები:

— იცნობდი დედას?

მე თავი დავუქნიე...

— კარგი ერთი, მართლა?

ხმის ამოღების თავი არ მქონდა.

— თქვენ იცნობდით ერთმანეთს, დედა რომ სტუდენტი იყო, მა-  
შინ?

ეს ამბავი საშინლად მოსწონდა, საშინლად.

— იცი, — მითხრა მან და წამოდგა, — უეჭველად მივწერ დედას, გაუხარო-  
დება...

დღეს, როცა ყველაფერი ვიცი, დაუჯერებლად მეჩვენება, მაშინვე, ვინა-  
აპიაზე საუბრის შემდეგ, ყველაფერს როგორ ვერ მივხვდი. რას ვფიქრობდი  
იმ ათ წუთს, სანამ გოგონა წასული იყო, არ ვიცი. რაღაცას ვანგარიშობდი, ეს კი  
მახსოვს. მხოლოდ ეს ვიცი: ყველაფერს აეროდრომზე წასვლა მერჩია. შეიძ-  
ლება, სულაც არაფერს ვფიქრობდი. მოულოდნელი აქ ხომ არაფერი ყოფილა,  
მხოლოდ დაღასტურდა ჩემი ვეჯვი. მიყვარს, რაიმეში საბოლოოდ რომ დავრწმუნ-  
დები, მაშინ თითქმის ვერთობი კიდევც. მაშ, ზაბეტი ჰანას ქალიშვილია! ესე იგი  
მის ცოლად შერთვაზე ლაპარაკი ზედმეტია. თან ერთი წუთითაც არ მიაზრია,  
რომ ზაბეტი შეიძლებოდა ჩემი შვილი ყოფილიყო. თეორიულად ეს შესაძლებე-  
ლი გახლდათ, მაგრამ ამაზე არ ვფიქრობდი. უფრო სწორად, ეს არ მჯეროდა.  
არა, რა თქმა უნდა, ვფიქრობდი ჩვენს ბავშვზე, რომელაც უნდა გაჩენილიყო  
მაშინ, მაგონდებოდა მთელი ეს ამბები, სანამ ჰანას მივატოვებდი, ჩვენი გადა-  
წყვეტილება, ჰანა ექიმთან რომ უნდა წასულიყო, იოახიმთან. რა თქმა უნდა,  
ამაზე ვფიქრობდი, მაგრამ უბრალოდ არ შემეძლო დამეჯერებინა, ნამდვილად  
წარმოუდგენლად მეჩვენებოდა, ეს გოგონა, ბორცვზე რომ მიცოცავდა, შეიძ-  
ლებოდა ჩემი დეიძლი შვილი ყოფილიყო.

— ვალტერ, — მკითხა მან, — რა მოხდა?

ზაბეტს სულ არ აუღია ეჭვა.

— იცი, — მითხრა მან, — შენც ძალიან ბევრს ვწევი!

შემდეგ აკვადუქზე დავიწყეთ ლაპარაკი...

მხოლოდ დუმილი ნუ ჩამოვარდება!

ზაბეტს ზიარ-ჭურჭლის კანონი ავუხსენი.

— ჰო, ჰო, ვიცი, ეგ გავიარეთ, — თქვა მან.

ზაბეტს ეცინება, როცა ვუმტკიცებ, ძველ რომაელებს ჩემს სიგარეტის კოლოფზე დახატული ესკიზი რომ ჩაყარდნოდათ ხელში, თავიანთი მრომის სულ ცოტა 90%-ს მაინც დახოვავდნენ-მეთქი.

ისევ ბალახში ვიწეჭით.

ჩვენს თავზე თვითმფრინავები დაფრინავდნენ...

— იცი რა, — მითხრა მან, — ვაცმა რომ თქვას, შენ უკან თვითმფრინავით არ უნდა დაბრუნდე.

ეს იყო ჩვენი უკანასკნელი დღის წინა საღამოს.

ერთ დღეს ხომ უნდა დაეცილდეთ ერთმანეთს, ჩემო საყვარელო ბავშვო, ასე დაეცილდებით თუ ისე, რა მნაშვნელობა აქვს...

ზაბეტს ვაკვირდებოდი.

— რა თქმა უნდა, — თქვა მან. დაიხარა, ბალახის ღერო მოგლიჯა და სივრცეში გაიხედა. მომეჩვენა, რომ ჩვენი დაშორება სულ არ აწუხებდა, სულ არა. ბალახის ღერო პირში არ ჩაუდვია, თითზე დაიხვია და გაიმეორა:

— რა თქმა უნდა.

ქორწინებაზე არც უფიქრია!

— ნეტავ თუ ახსოვხარ დედას?

ეს ამბავი ართობდა.

— დედა სტუდენტი ვერ წარმიმიდგენია. დედა — სტუდენტი. ცხოვრობს პატარა ოთახში, შენ ამბობ. სხვენზე ჰქონდა ოთახიო, დედას ეს ამბები არასოდეს არ მოუყოლია.

ჩემი ნაამბობი მას ართობდა.

— როგორი იყო დედა?

მისი თავი ორივე ხელით მეჭირა და განძრევის საშუალებას არ ვაძლევდი, ისე, როგორც ძაღლის თავს დაიჭერს კაცი. ვგრძნობდი მის ძალას, მისი კეფის ძალას, რომელიც ამ წუთში ვერაფერს შველოდა. ხელებს მარწუხებივით ვუჭერდი. მან თვალები დახუჭა. არ მიკოცნია. მხოლოდ მისი თავი მეჭირა, როგორც მსუბუქი. ნატიფი ვაზა, რომელსაც თანდათან ემატებოდა სიმძიმე.

— ვალტერ, ნუ მატკინე თავი!

მისი თავი მანამდე მეჭირა ხელებში, სანამ ჩემი სურვილის გამოსაცნობად თვალი არ გაახილა. მე თვითონ არ ვიცოდი, რა მინდოდა.

— სერიოზულად გეუბნები. — მითხრა მან, — ნუ მატკინე თავი!

ახლა ჩემი ჯერი იყო, რაღაცა უნდა მეთქვა. მან ისევ დახუჭა თვალები. როგორც ძაღლმა იცის ხოლმე, როცა ასე დაუჭერ თავს.

შემდეგ მე ვკითხე...

— თავი დამანებე! — მითხრა მან.

პასუხს ველოდი.

— არა, — თქვა მან, — შენ პირველი მამაკაცი არ ყოფილხარ ჩემს ცხოვრებაში, შენ ხომ იცოდი.

არაფერიც არ ვიცოდი.

— არა, — მითხრა მან, — მაგაზე ნუ დარდობ...

ისე გულმოდგინედ გადაისწორა საფეთქლებზე მიკრული თმა, თითქოს ეს იყო ამ წუთში ყველაზე მთავარი, შავი კოვბოური შარვლის ჯიბიდან სავარ-

ცხელი ამოიღო და თმის ვარცხნას შეუდგა, თან ჰყვებოდა. უფრო სწორად მიკიბულ-მოკიბულად მეუბნებოდა რაღაცას:

— He's teaching in Yale.<sup>1</sup>

კბილებში თმის სამაგრი ეჭირა.

— და კიდევ სხვაც, — თქვა ისე, რომ კბილებიდან თმის სემპერფორმალეზმოულია, თან თავის „ცხენის კუდს“ ივარცხნიდა, — იმას შენც იტყვი, ალბათ, პინგ-პონგის პარტნიორს გულისხმობდა.

— მას უნდოდა ცოლად შევეერთე, მაგრამ იცი, მე ვცდებოდი, თურმე სულ არ მყვარებია.

შემდეგ თმის სამაგრი დასჭირდა, პირიდან გამოიღო, პირი ისევ ღია დარჩა, თუმცა აღარ ლაპარაკობდა, და ასე მორჩა თმის ვარცხნას. შემდეგ სავარცხელს სული შეუბერა, ტივოლისაყენ გაიხედა და ფეხზე წამოდგა.

— მივდივართ? — მკითხა მან.

მეც აღარ მინდოდა ჯდომა, უნდა ავმდგარიყავი, ფეხსაცმელები მომეტანა, ჩამეცვა, ჯერ, რა თქმა უნდა, წინდები უნდა ჩამეცვა, მერე ფეხსაცმელები, რომ წავსულიყავით.

— ცუდი გგონივარ, არა?

მე არაფერი არ მეგონა.

— ვალტერ! — თქვა მან...

თავს მოვერიე.

— It's okay! — ვთქვი მე, — it's okay!<sup>2</sup>

შემდეგ ფეხით დავადექით ვია აპიას.

უკვე მანქანაში ვიჯექით, რომ ზაბეტმა ისევ წამოიწყო („ცუდი გგონივარ, არა?“) და ჩამაცვივდა, ამდენ ხანს რაზე ფიქრობო. მე ვასალები ამოვიღე და მოტორი ჩავრთე.

— მოდი, ნუღარ ვილაპარაკებთ, — ვთქვი მე.

მინდოდა მანქანა დამეძრა.

ზაბეტი ლაპარაკობდა. ჩვენ გაჩერებულ მანქანაში ვიჯექით. ზაბეტი ლაპარაკობდა მამამისზე, ვაყრაზე, ომზე, დედაზე, ემიგრაციაზე, პიტლერზე, რუსეთზე...

— არც კი ვიცით, მამა ცოცხალია თუ არა, — თქვა მან.

მოტორი გამოვრთე.

— „ბედეკერი“ შენა გაქვს? — მკითხა მან.

ის რუკას ათვალთვრებდა.

— აი ეს არის სან სებასტიანოს კარიბჭე, — თქვა მან, — ახლა მარჯვნივ უნდა წავიდეთ და სან ჯიოვანი ინლატერანოში მივალთ.

მოტორი ისევ ავამუშავე.

— ვიცნობდი მას, — ვთქვი მე...

— მამაჩემს?

— იოახიმს, ჰო, — ვთქვი მე...

შემდეგ საითაც ნაბრძანები იყო, იმ მიმართულებით დავიძარი: სან სება-

<sup>1</sup> ის იელის უნივერსიტეტში კითხულობს ლექციებს (ინგლ.).

<sup>2</sup> ჰო, კარგი, კარგი (ინგლ.).



სტიანოს კარიბჭისაკენ, შემდეგ მარჯვნივ გადავუბვიე, სანამ რომელიღაც ბაზილიკას არ მივაღწეით.

ბაზილიკა დავათვალიერეთ.

მე, ალბათ, ლაჩარა ვარ. იოახიმზე საუბრის გაგრძელება ვეღარ გავბედე: ვერც ზაბეტს ვკითხე რაიმე. გულში განუწყვეტლოვ ვანგარიში ვეძებდი (ან, მგონი, ჩვეულებრივზე ბევრს ვლაპარაკობდი), სანამ ანგარიში ვეძებდი (ანგარიში ვეძებდი), როგორც მე მიწოდდა: ის მხოლოდ იოახიმის შვილი შეიძლება იყო ყოფილიყო! როგორ ვიანგარიში, არ ვიცი; რიცხვები მანამ ვალაგე, სანამ ანგარიში სწორი არ გამომივიდა.

პიცერიაში, როცა ზაბეტი ცოტა ხნით გავიდა, ჩემი ანგარიში ერთხელ კიდევ შევამოწმე წერილობით. სწორი იყო. მე ხომ თარიღები (პანას ცნობა, ბავშვს ველოდებო, და ჩემი გამგზავრება ბაღდადში) ისე შევარჩიე, რომ ანგარიში სწორა გამომსვლოდა. დანამდვილებით მხოლოდ ზაბეტის დაბადების დღე ვიცოდი, დანარჩენი ალაღბეღზე ვიანგარიში, ვუღიღინე მძიმე ტვირთი მომეცა. ვიცი, რომ იმ საღამოს ზაბეტს ჩვეულებრივზე გაცილებით მზიარული და გონებაშიაზვილიც კი ვეჩვენებოდი. ჩვენ შუაღამემდე ვისხედით ამ ძვილებურ პიცერიაში, პანთეონსა და პიაცა კოლონიას შორის, სადაც ვიტარიანი მომღერლები, ტურისტების რესტორნის წინ ჩამონათხოვი ფულით „პიცას“ ჭამდნენ და ზედ თითო ჭიქა კიანტის აყოლებდნენ. მე აქეთ-იქით ვარბედი ფულს და ჩინებულ ხასიათზე ვიყავი.

— ვალტერ, — მითხრა მან, — რა ვადასარეგად ვატარებთ დროს, არა?!

სასტუმრო „ვია ვინეტოში“ ჩასაამოვნები ვბრუნდებოდით, მთვრალეები არ ვიყავით, მაგრამ საკმაოდ მზიარულ გუნებაზე კი გახლდით. სასტუმროში ფართოდ გაგვიღეს დიდი მინის კარი და ალებასტრავით თეთრ პოლში მაშინვე მოგვართვეს გასაღებები.

— მისტერ ფაბერ, მის ფაბერ, ღამე ნებისა!

არ ვიცი, რამდენ ხანს ვიდექი გაუნძრევლად ჩემს ოთახში, გრანდ-ოტელის ჩვეულებრივ უსაშველოდ მაღალჭერიან, უსაშველოდ დიდ ოთახში. ვიდექი გაუნძრევლად, ტანსაცმელიც არ გამიხდია. ვიდექი, როგორც აპარატი, რომელსაც ინფორმაცია გადასცეს: დაიბანე! — მაგრამ აპარატი არ მუშაობს.

— ზაბეტ, შენა ხარ? რა მოხდა? — ვკითხე მე.

ზღურბლთან იდგა, კარი დაუკაკუნებლად შენთალო.

— მითხარი!

ფეხშიშველს ყვითელ პეჯამოზე შავი კაპიშონიანი ქურთუკი ჰქონდა მოსხმული. შემოსვლას არ აპირებდა, მხოლოდ ერთხელ კიდევ უნდოდა ეთქვა „ღამე ნებისა“. ვხედავდი მის ნამტირალევ თვალებს...


— რატომ აღარ უნდა მიყვარდე? — ვკითხე მე. — იმ პარდის, თუ რაც ჰქვია, იმის ვულისათვის?

ზაბეტი აქვითინდა.

შემდეგ ჩაეძინა, საბანა დავახურე, რადგან ღია ფანჯარაში ღამის სიგრილე შემოდოდა; ეტყობოდა, სითბო ეამა, არც ქუჩაზე ატეხილი ხმაური უფრთხობდა ძილს და არც იმის შიში, არ გავპარვოდი. ეტყობოდა, აქ ახლომასლო შუქნიშანი უნდა ყოფილიყო და ამიტომ ისინოდა ასეთი ხმაური... ადგილზე გაჩერებული მოტოციკლეტები ღმუროდნენ, შემდეგ კვლავ დაიძვრებოდნენ. ყველაზე

საშინელი მაინც „ალფა რომეო“ იყო, ისევ და ისევ ბრუნდებოდა, თითქოს სტარტს აქედან იღებდა, მერე ქუჩებში ისმოდა მისი ღრიალი, სამი წუთით თუ ჩამოვარდებოდა სიჩუმე, ხანდახან რომელიღაც რომაული ექსპრესის ზარების რეკვა ისმოდა, შემდეგ ისევ სიგნალი, საბურავების კრიალი, მთელი ხალხით ანუშაფეებუი მოტორების ხმა. აღბათ ვინმე თუ ხელიდან მოგვდებდა, ისევ საშინელი ტკაცანი ისმოდა, მგონა მართლა იგივე „ალფა რომეო“ იყო, რომელიც მთელი ღამე ჩვენს ირგვლივ წრეს არტყამდა. ძილი საბოლოოდ გამატყდა. ვიწექი მის გვერდით, ისე რომ, არც დაწვერილი ფეხსაცმელები გამიხდია და არც პალსტუხი შემიხსნია. განძრევა არ შემეძლო, თავი ჩემს მხარზე ედო. ფარდებში ხანდახან გაივლევებდა სინათლე, გაკოჭილივით ვიწექი, რადგან განძრევა არ შემეძლო. მძინარე გოგონას ხელი ჩემს მკერდზე ედო, უფრო სწორად ჩემს პალსტუხზე და პალსტუხი ყელში მიჭერდა.

მესმოდა საათის რეკვა, საათი საათს მისდევდა, ზაბეტს ეძინა, მისი ცხელი თმა და სუნთქვა სახეზე შელამუნებოდა. მე კი ძალია აღარ მყოფნიდა, წინ გამეხედა. შემდეგ ისევ „ალფა რომეო“ მოგრიალდა, ვიწრო ქუჩებში ისმოდა მისი სიგნალის ხმა, მოტორის თახთახი, ჩართვა, ყურისწამლები ტკაცანი...



რაში მიმიძღვის ბრალი? მას გემზე შევხვდი, როცა ტალღებს ველოდებოდი, ჩემს წინ „ცხენის კულიანი“ გოგონა იდგა. თვალში მომხვდა. გამოველაპარაკე, როგორც ეს საერთოდ გემზე იციან-ხოლმე. გოგონასათვის კუდში არ მიღვენია, თავბრუ არ დამიხვევია. პირიქით, მასთან ჩემთვის უჩვეულო გულახდილობაც კი გამოვიჩინე. მაგალითად, მაშინ, ჩემი მარტოხელა ცხოვრების ამბავს რომ ვუყვებოდი. ხელი ვთხოვე ისე, რომ შეყვარებული არ ვცდილვარ, მაგრამ მაშინვე მივხვდი, რა უაზრო იყო ეს წინადადება და ერთმანეთს დავეშვიდობეთ კიდევ. რატომ მოვძებნე ის პარიზში? ჩვენ ერთად წავედით ოპერაში. ოპერის შემდეგ ნაყინი ვჭამეთ, მერე დიდხანს აღარ გამიჩერებია, თავის იაფუფასიან სასტუმრომდე ისე მივაცილე, ავტოსტოპით ჩემთან წამოსვლა იმიტომ შევთავაზე, რომ ვილიამსის „სიტროენი“ მყავდა, ავინიონში კი, სადაც პირველი ღამე გავათიეთ, ჩვენ, რა თქმა უნდა, ერთ სასტუმროში ვცხოვრობდით, მაგრამ სხვადასხვა სართულზე. (განა შეიძლებოდა გულში ავი ზრახვა მღებოდა?), ერთი წუთითაც არ მიფიქრია, რომ აქამდე მივიღოდა საქმე. კარგად მახსოვს, ეს იყო 13 მაისის ღამეს. იმ დღეს მთვარის დაბნელებას მოელოდნენ თურმე. ჩვენ გაზეთი არ წაგვიკითხავს და მთვარის დაბნელებაზე არაფერი ვიცოდით. მე ვთქვი:

— რა დაემართა მთვარეს?

გარეთ ვისხედით, ათი საათი სრულდებოდა, ძილის დრო იყო, დილით აღრე უნდა გაგვეგრძელებინა გზა. უბრალო ფაქტმა, რომ სამი ციური სხეული, მზე, დედამიწა და მთვარე შემთხვევით ერთ ხაზზე მოხვდა, რატომღაც ნერვები ამიშალა, თათქოს მშვენივრად არ მცოდნოდეს, როგორ ხდებოდა მთვარის დაბნელება. შევნიშნე თუ არა სავსე მთვარეზე დედამიწის მრგვალი ჩრდილი, მაშინვე გადავიხადე ყავის ფული და რომისაკენ პირშუქვეულ ტერასაზე ავედი. იქ მთელი საათი ღამეში ვიდევით ხელიხელჩაკიდებულნი და მთვარის დაბნელე-

ბას ვაკვირდებოდით. გოგონას ვუხსნიდი, როგორ იფარება მთვარე დედამიწის ჩრდილით მთლიანად და მაინც იმდენი შუქი გააჩნია, რომ ჩვენ მკაფიოდ ვხედავთ, უფრო ნათლად, ვიდრე სხვა დროს, როგორც მანათობელ დისკოს კი არა, ჩვეულებრივ რომ მოჩანს ხოლმე, არამედ, როგორც სფეროს, ბურთს, როგორც სხეულს, როგორც ცარიელ სამყაროში გამყვინდელ ნერინჯისფერ უზარმაზარ მასას. აღარ მახსოვს, იმ ერთ საათს კიდევ უნახვევად ველაპარაკე, მაშინ გოგონა პირველად მიხვდა (ეს მახსოვს), რომ მე ჩვენს დამოკიდებულებას სერიოზულად ვუყურებდი და ისე მაკოცა, როგორც აქამდე არც ერთხელ არ ეკოცნა.

დაბნელება საკმაოდ არასასიამოვნო სანახაობა იყო: უზარმაზარი მასა ცაზე ჰკიდია, უფრო სწორად, სივრცეში მიირწევა. ეს სურათი ხელშესახებ შეგრძნებას იწვევს, რომ ჩვენც, დედამიწაც ასევე ვკიდევართ წყვილიადში, და დედამიწაც ასევე მიირწევა. მგონი, სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემებზეც ვლაპარაკობდი. ორივენი აღელვებული ვიყავით, რადგან ასეთი აშკარა დაბნელება მთვარისა აქამდე არ გვენახა, არც მე მენახა. უცებ პირველად ვიგრძენი ბუნდოვნად, რომ ამ გოგონას, რომელსაც აქამდე ბავშვად ვთვლიდი, ვუყვარდი. ასე იყო თუ ისე, ეს გოგონა იმ ღამეს, მას შემდეგ, რაც გარეთ დიდხანს ვიძაგძაგეთ, ჩემს ოთახში მოვიდა...



შემდეგ პანასთან შეხვედრა... (3. VI. ათენში).

პანა მანამდე ვიცანი, სანამ თვალს გავახელდი. ის მოწყალების დას ელაპარაკებოდა. ვიცოდი, სადაც ვიყავი და მინდოდა მეკითხა, ოპერაცია ჩატარდა თუ არა-მეთქი. მაგრამ ძილად მივარდნილს, გასავათებულს წყურვილი მახრჩობდა და ხმას ვერ ვიღებდი. მესმოდა მისი ხმა, ბერძნულად ლაპარაკობდა. ჩაი მომიტანეს, მაგრამ ჭაქის ხელში აღება არ შემეძლო; ძილ-ბურანში მყოფს ყველაფერი მესმოდა, ვიცოდი, რომ მეძინა, ისიც ვიცოდი, გავიღვიძებდი თუ არა, პანას დავინახავდი.

უცებ სიწყნარე ჩამოვარდა...

შემეშინდა, ბავშვი ხომ არ მოკვდა-მეთქი.

თვალი უცებ გავახილე: ვწევარ თეთრ ოთახში, ლაბორატორიაში, ფანჯარასთან ქალი დგას, ჰგონია, რომ მძინავს და ვერ ვხედავ. მე კი ვხედავ მის ჭალარა თმას, პატარა ტანს. ის იცდის. ორივე ხელი ფაკეტის ჭიბეებში აქვს ჩაწყობილი და ფანჯარაში იღურება. ოთახში სხვა არავინაა. ქალი უცხოა. სახე არ უჩანს, ვხედავ მხოლოდ კეფას და მოკლედ შეკრეჭილ თმას. ხანდახან ცხვირსახოცს იღებს და ცხვირს იხოცავს. მაშინვე ჭიბეში იღებს, უფრო სწორად, ნერვიულად ჰმუჭნის ხელში. გაუნძრევლად დგას. სათვალე უკეთია, შავი რქის სათვალე. ის შეიძლება ექიმად მიგელო კაცს, ან ადვოკატად ან რაღაც ამდაგვარად. ქალი ტირის. ერთხელ ხელი სათვალის ქვეშ შეიცურა, თითქოს სახეს იფარავსო, კარგა ხანს ეჭირა ასე, მერე ორივე ხელით გაშალა სველი ცხვირსახოცი.

შემდეგ ხელებს კვლავ ჭიბეებში იწყობს და იცდის, ფანჯარაში იყურება. სადაც ქალუზების მეტი არაფერი ჩანს. ტანი სპორტული აქვს; ჭალარა თმა

რომ არა, ქალიშვილურიც კი. შემდეგ კიდევ ერთხელ იღებს ჯიბიდან ცხვირ-სახოცს და სათვალეს წმენდს. ამ დროს, როგორც იქნა, დავინახე მისი სახე — ბრინჯაოსფერი სახე, ლურჯი თვალები რომ არ ჰქონდეს, მთხუცე ინდიელის სახე ეგონება კაცს.

თავს ვიმძინარებ.

თმაგათეთრებული ჰანა!

როგორც ჩანს, მართლა დამძინებია ისევ — ნახევარი წუთით, თუ ნახევარი საათით, არ ვიცი. მეძინა, სანამ თავი კედელს ისე არ მივახეთქე, რომ შეეკრთი. და მან დაინახა, რომ გამეღვიძა. სიტყვა არ უთქვამს, მხოლოდ შემომხედა. ფეხი ფეხზე გადაედო და ისე იჯდა, თავი ხელებზე დაეყრდნო და სიგარეტს ეწეოდა.

— როგორაა საქმე? — ვკითხე მე.

ჰანა სიგარეტს ეწეოდა.

— იმედი უნდა ექონიოთ, — ამბობს იგი, — ოპერაცია გაუკეთეს, იმედი უნდა ექონიოთ.

— ცოცხალია?

— ჰო, — თქვა მან.

არც მომსალმებია.

— ექიმი ელოთერობულოსი ამ წუთში აქ იყო, ეს გველგესლა არ ყოფილაო.

ფინჯანი გამივსო.

— აჰა, დალიე ჩაი!

თავში აზრადაც არ მომსულია (გულწრფელად ვამბობ), რომ ოცი წელი იყო, ერთმანეთთან არ გვესაუბრა. ვლამპარაკობდით ერთი საათის წინ ჩატარებულ ოპერაციაზე, ან ვდუმდით, და ერთად ვუცდიდით ექიმის ცნობებს.

ფინჯანს ფინჯანზე ვცლიდი.

— იცი, რომ შენც გაგიკეთეს ნემსი? — შეუბნება იგი.

ნემსის გაკეთება ნამდვილად არ გამიგია.

— მხოლოდ ათი მილიგრამი, პროფილაქტიკის მიზნით, — შეუბნება იგი, — პირის ლორწოვანი გარსიდან რომ არ მოწამლულიყავი.

ჰანა საერთოდ ძალიან საქმიანია.

— როგორ მოხდა ეს ამბავი? — მეკითხება იგი, — დღეს თქვენ კორინთში იყავით?

მაყრუოლებდა.

— სადაა შენი პიჯაკი?

ჩემი პიჯაკი ზღვის ნაპირას ეგდო.

— რამდენი ხანია საბერძნეთში ხართ?

ჰანა მარცხდება. მამაკაცია, მეგობარი, ამაზე უფრო საქმიანად ვერ დაგკითხავდა. მეც შევეცადე ასევე საქმიანად შეპასუხა. რა საჭიროა ასჯერ დავიფიცო, ბრალი არაფერში მიმიძღვის-მეთქი. ჰანაც არ მსაყვედურობს, მხოლოდ მეკითხება და ფანჯარაში იყურება. ჩემთვის არ შემოუხედავს, ისე შემეკითხა:

— რა ურთიერთობა გქონდა გოგონასთან?

ვხედავდი, ძალიან ნერვიულობდა.

- მაშ, გველგესლა არ ყოფილა?
- ჩაი დალიე! — მეუბნება იგი.
- როდიდან ატარებ სათვალეს? — ვეკითხები მე.



გველი არ დამინახავს, მხოლოდ ზაბეტის ყვირილი გმზავნიდა მივირბინე, უგონოდ ეგდო. დავინახე, როგორ დაეცა და მისკენ გაფრთხილდა. იმ ქვიშაში იწვა, გავიფიქრე, გული დაცემის გამო წაუვიდოდა-მეთქი, მხოლოდ მერე დავინახე მკერდზე ნაკბენი, პატარა, ერთმანეთის ახლოს განლაგებული სამი ნაკბენი და ყველაფერს მივხვდი. ნაკბენიდან სისხლი თუნავ მოეონავდა. რა თქმა უნდა, ნაკბენი მაშინვე ამოვწოვე, როგორც მიღებულა, ისიც ვიცოდი, რომ გულის არედან ზევით ლახტი უნდა დამედო, მაგრამ როგორ? ნაკბენი მარცხენა ძუძუს ზემოთ იყო. ვიცოდი, იარა უნდა ამოგვეწვა ან ამოგვეშანთა. შშველელს ვეძახდი, მაგრამ სანამ გზატკეცილზე გავედი, უკვე სულს ვეღარ ვითქვამდი, დაშავებული მკლავებზე მეწვინა, ქვიშაში ფეხებს ძლივს მივათრევდი. სასო წარმეკვეთა, როცა გზატკეცილზე მიმავალ ფორდს რაც ძალი და ღონე მქონდა დავუყვირე და ვერ გავაგონე. ფორდმა ჩაიქროლა. სუნთქვა მეკვროდა, გულწასული ზაბეტი მკლავებზე მესვენა, გოგონა თანდათან ისე მძიმდებოდა, ძლივს ვიჭერდი, რადგან თვითონ სულ ვერ მეშველებოდა. გზაზე გავედი, მაგრამ იმ არემარეზე ტრანსპორტი არსად ჩანდა... სული მოვითქვი და ხრეშიანი ასფალტით მოგებულ გზას ფენით დავადექი, ჯერ სირბილით მივდიოდი, შემდეგ სულ უფრო ნელა და ნელა. შუადღე იყო, ვტიროდი და მივდიოდი ფეხშიშველა, სანამ ზღვიდან მომავალი ორთვალა არ შენახდა. ორთვალას პატრონი მხოლოდ ბერძნულად ლაპარაკობდა, მაგრამ იარის დანახვისთანავე ყველაფერს მიხვდა. სველი ხრეშით დატვირთულ ორთვალაზე დავქეცი, გოგონა მკლავებზე მეწვინა, როგორც იყო ისე, საბანაო კოსტუმის (ბიკინის) ამარა და ქვიშით მოსვრილი.

ორთვალა ისე მიჯაყყაყებდა, რომ გონწასული ისევ ხელში მეჭირა. მეც გვარიანად მანჯღრევდა. მუშას შევეხვეწე, უფრო სწრაფად ეგდო. ვირი ფეხით მოსიარულესზე ჩქარა ვერ მიდიოდა. ეს იყო ჭრიალა, ბორბლებმონჯღრეული ორთვალა, თითოეული კილომეტრი საუკუნედ გადაიქცა. ვირისაკენ ზურგმეტყეული ვიჭექი და გზას გაგუურებდი, მაგრამ მანქანა არსად ჩანდა. ვერ გავიგე, რას მეუბნებოდა ბერძენი, რატომ გაჩერდა ერთ ჭასთან და სახეღარი იქვე, პალოზე გამოაბა. თან მანიშნებდა, დამიცადეო. მე ვეხვეწებოდი წავსულიყავით, დრო არ დავგვეკარგა. არ ვიცოდი, რა მოიფიქრა, ხრეშით დატვირთულ ორთვალაზე მარტო რომ მიმატოვა, დაშავებულ გოგონასთან ერთად, რომელსაც აცრა სჭირდებოდა. ნაკბენი ისევ გამოვწოვე. ეტუობოდა, ქონძახებისაკენ მშველელის მოსახმობად წავიდა. რით აპირებდა შველას, რაიმე ბალახბულახით თუ შელოცვით, არ ვიცი. მან დაუსტვინა, შემდეგ წინ წავიდა, რადგან ქონძახებიდან არავინ არ გამოხმაურებია. ერთ-ორ წუთს დავიცადე, მერე კი ბევრი აღარ მიფიქრია, დაშავებული ხელში ავიყვანე და ისევ სირბილით წავედი, სანამ სუნთქვა არ შემეკრა. მეტი აღარ შემეძლო. ქალიშვილი გზის პირას დავაწვინე, რადგან ფეხით სიარულს მაინც არავითარი აზრი არ მქონდა. ათენამდე მაინც ხომ ვერ მივიყვანდი ხელით. მანქანა ან გამოჩნდებოდა ან არა. როცა ზაბეტს ისევ ამოვწოვე მკერდზე დამჩნეული იარა, დავინახე, რომ ნელ-ნელა გონს მოდიოდა:

თვალეები ფართოდ გაახილა, მაგრამ ვერაფერს ხედავდა, მხოლოდ წყალი მოითხოვა. ხმა მთლად ჩახლეჩილი ჰქონდა, პულსი ძალიან ნელა უცემდა, შემდეგ აღებინა და ოფლმაც დაასხა.

ჭრილობის ირგვლივ კანი შეუშუპდა და მოლურჯო-მოწითალო თერი გადაეკრა. წყლის მოსაძებნად გაეიქეცი. ირგვლივ ნარშავისა და გადახრუკულ მიწაზე ამოსული ზეთისხილის ხეების მეტი არაფერი ჩანდა. არაფერი არ ჰქანებდა, მხოლოდ ორიოდ თხა პოვდა ჩრდილში. გეძახდა და გეყვირა რამდენიც გინდოდა. შუადღე იყო, სამარისებური სიჩუმე იდგა. ზაბეტის გვერდით ჩავიჩოქე. გონზე იყო, მაგრამ დანბლადაცემულივით ძილს თავს ვერ ართმევდა. საბედნიეროდ, კიდევ დროზე შევასწარი თვალი საბარგო მანქანას და გზაზე გადავუდექი. გრძელი მიღებით დატვირთული საბარგო მანქანა გაჩერდა. ის ათენში კი არა, მეგარაში მიდიოდა, მაგრამ მიმართულება ერთი იყო. უკვე მძლოლის გვერდით ვიჯექი, დაშავებული ისევ მკლავებზე მეწვინა. გრძელი მიღების რახუნა და მომაკვდინებელი ტემპი ნერვებს მიშლიდა. სწორ გზაზე ოცდაათი კილომეტრის სიჩქარით მივლოდავდით! პიჯაკი ზღვაზე დამრჩა, ფული პიჯაკში მედო. მეგარაში მძლოლს ჩემი „ომეგა“ მივეცი, რომ მიღების ვად-მოტვირთვაზე დრო არ დაეკარგა, მაგრამ ელევსინში ბენზინის აღებაზე თხუთმეტი წუთი მაინც შევეყოვნდით. ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება ეს გზა. მძლოლს აღბათ ეშინოდა საათი უკან არ მომთხოვოსო, თუ რას ფიქრობდა, არ ვიცი. ეს კი იყო, ორჯერ შემეშალა ხელი, სხვა უფრო სწრაფ ტრანსპორტზე გადაემჯდარიყავი. ერთხელ ავტობუსი წამოგვეწია, მეორეჯერ ლიმუზინი. ლიმუზინი ხელის აქნევით გავაჩერე, მაგრამ ჩემმა მძლოლმა ბერძნულად გადაულაპარაკა რაღაც და მანქანამ გზა განაგრძო. უნდოდა ჩვენი მხსნელი მაინცდამაინც თვითონ ყოფილიყო, მაგრამ, საუბედუროდ, დიდი ვერაფერი შვილი მძლოლი გახლდათ. დაფნის აღმართზე ძლივს მივლოდავდით. როგორც იქნა გამოჩნდა ათენის გარეუბნები, მაგრამ ჩვენ სულ უფრო და უფრო ვუკლებდით სიჩქარეს. დაიწყო შუქნიშნები, გზა ყოველ წუთს აკეტებოდა. მიღებით დატვირთული საბარგო მანქანა ისედაც სხვა მანქანებზე ნელა მიდიოდა. თან იმ სხვებს შრატზე არ მიეჩქარებოდათ. ათენი საზიზღარი ქალაქია, ტრამვაები და სახედრიანი ორთვალეები ერთმანეთში ირევა. რა თქმა უნდა, ჩვენმა მძლოლმა არ იცოდა, სად იყო საავადმყოფო და გზას გამვლელებს ეკითხებოდა. ასე მეგონა, საავადმყოფოს ვერასდროს ვერ მიაგნებდა. მე თვალდახუჭული ვიჯექი ან ზაბეტს დავცქეროდი. ზაბეტი მძინველ სუნთქავდა (ყველა საავადმყოფო ათენის მეორე ბოლოში იყო გადაკარგული). ჩვენი მძლოლი სოფლელი იყო და იმ ქუჩების სახელებიც კი არ იცოდა, რომელსაც მიუთითებდნენ. მე მხოლოდ ერთი სიტყვა მესმოდა: ლეოფორეს, ლეოფორეს. ვცდილობდი მივშველებოდი, მაგრამ ბერძნული კითხვაც არ ვიცოდი. საავადმყოფოს მართლა ვერ მიაგნებდით, საფეხურზე ერთი ბიჭი რომ არ შემოგვდგომოდა და გზა არ ეჩვენებინა. შემდეგ ამ ოთახში მოვხვდით...

შეკითხვებს მხოლოდ ბერძნულ ენაზე მაძლევდნენ...

ბოლოს, როგორც იქნა, აღმოჩნდა ერთი მოწყალეების და, რომელსაც ინგლისური ესმოდა, სატანასავით აუღელვებელი არსება. მის მთავარ საზრუნავს ჩვენი ვინაობის დადგენა წარმოადგენდა.

ექიმმა, რომელმაც გოგონა გასინჯა, დაგვაშვიდა. მას ინგლისური ესმოდა, მაგრამ პასუხს ბერძნულად იძლეოდა. ჰანა მითარგმნიდა, რაც მნიშვნელოვანი იყო. მოვისმინე ექიმის ახსნა-განმარტება, ზაბუტი გველგესლას კი არა, ასპიტს დაუკბენია. მისი აზრით, მე ნამდვილად სწორად მოვქცეულვარ, გოგონა საავად-ბუჯოფოში რომ მომიყვანია. ხალხურ წამლობას (შელოცვა, ამოწვევანი ამოშანთვა, ნაკბენის ზემოთ ლახტის დადება) ის, როგორც სპეციალისტი, წინააღმდეგობას არ აფასებდა. საიმედოა მხოლოდ შრატის შეყვანა არა უგვიანეს სამი-ოთხი საათისა, ნაკბენ ადგილს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში თუ ამოჭრიან ხოლმე.

ექიმმა არ იცოდა, მე ვინ ვიყავი.

ან მე რას ვგავდი: ფეხშიშველა, უბიჯაკო, გაოფლილი და გაქუქყიანებული იმ ხრეშის მზიდავი მუშასავით, ფეხებიც მაზუთში მქონდა ამოთითხნილი. ჩემს ბერანგზეც რომ არაფერი ვოქვით, კაცს ერთი ვინმე მაწანწალა ვეგონებოდა. ექიმმა ფეხებზე დამხედა და ჩემი მოვლა ექთანს მიანდო. თვითონ მხოლოდ ჰანას ელაპარაკებოდა, სანამ ჰანამ არ უთხრა:

— Mister Faber is a friend of mine.<sup>1</sup>

აი, რა მამშვიდებდა: გველის კბენით გამოწვეული სიკვდილიანობა (გველ-გესლა, ყველა ჭიშის ასპიტის) სამიდან ათ პროცენტამდე აღწევს. კობრას ნაკ-ბენითაც კი სიკვდილიანობა ოცდახუთ პროცენტს არ აღემატება, რაც არავითარ შემთხვევაში არ შეესაბამება გველების მიმართ დღესაც ფართოდ გავრცელებულ შიშს. ჰანაც საკმაოდ დამშვიდდა.

ჰანამ შემომთავაზა, დამე ჩემთან ვაათიეო.

საავადმყოფოდან გოგონას უნახავად წასვლა არ მინდოდა. დავიფინე, ერთი წუთით მაინც მანახეთ-მეთქი (ექიმმა მაშინვე დამრთო ნება). ჰანა უცნაურად იქცეოდა: ერთი წუთით არ დავუტოვებდევარ პალატაში, ვითომ ქალიშვილს მოვტაცებდი.

— წამო, — მითხრა მან, — სძინავს.

შეიძლება, ბედნიერება იყო, ბავშვმა რომ ვეღარ გვიცნო. მას პარლია-ექიმმა (ჩვეულებრივ ასე არ იცოდა ხოლმე). სახე გაპფითრებოდა. ყური მარ-მარლილოსავით უფერული მქონდა, ჩქარა სუნთქავდა, მაგრამ თანაბრად, თით-ქოს საშიში არაფერი იყო, მხოლოდ ერთხელ მოაბრუნა ჩემსკენ თავი, მაგრამ არ გაუღვიძია.

— წამო, — მითხრა ჰანამ, — თავი დაანებე!

მერჩია, რომელიმე სასტუმროში წავსულიყავი. რატომ არა ვთქვი მერე? აღბათ, ჰანასთვისაც ასე აჯობებდა. ერთმანეთისთვის ხელიც კი არ ჩამოგვირ-თმევია. მხოლოდ ტაქსში მომაგონდა ეს და ვუთხარი:

— გამარჯობა!

მან გაიღიმა, როგორც ყოველთვის იცოდა ხოლმე, როცა უკბილოდ ვიხუმ-რებდი. ღიმილის დროს წარბებს შუა შუბლი დაუნაოჭდა.

ძალიან ჰგავდა თავის ქალიშვილს.

რა თქმა უნდა, არაფერი მითქვამს.

— სად გაიცანი ელზბეტი? — მეკითხება იგი. — ჯემზე?

<sup>1</sup> მისტერ ფაბერი ჩემი მეგობარია (ინგლ.).

ზაბეტს მოუწერია, ერთმა ხნიერმა კაცმა ჰავრში ჩასვლამდე ცოტა ხნით ადრე ხელი მოხვალა.

— მართალია ეს? — შეკითხვა იგი.

ჩვენი საუბარი ტაქსში: უბასუხოდ დატოვებული კითხვები.

რატომ ვეძახი მათ ზაბეტს? მესმის ჩემი შეკითხვის საპასუხოდ ვერცხვები-  
ლია ელზბეტი? ამ დროს ჰანამ დიონისოს თეატრი დამანახვეს და მანამდე ვერცხვები-  
ზაბეტს? იმიტომ, რომ ელზბეტი, ჩემი აზრით, საძაგელი სახელია. ამ დროს  
ისევ დამანახვეს დანგრეული სვეტები. რატომ მაინცდამაინც ელზბეტი?  
ბავშვს ასეთ სახელს მე არ დავარქმევდი. ამ დროს გზა ჩაიკეტა. ასეა თუ  
ისე, მას მამამისის სურვილით ელიზბეტი ჰქვია. ამ დროს ჰანა მილოლს დაე-  
ლაპარაკა ბერძნულად; მილოლი ეილაც გამვლელს ლანძღავდა. ასე მეგონა,  
სულ წრეებს ვარტყამდით და ნერვები მეწლებოდა, თუმცა მოულოდნელად  
ორივეს ამდენი თავისუფალი დრო გაგვიჩნდა.

შემდეგ იგი შემეკითხა:

— მას მერე თუ შეხვედრიხარ იოახიმს?

ათენი, ჩემი აზრით, საძაგელი ქალაქია, ვერ წარმომედვინა, აქ როგორ  
უნდა ეცხოვრა ადამიანს, პატარა ქალაქია, ზოგ ადგილებს სოფელიც კი ეთქმის,  
ზოგან შუა ქუჩაში ხალხის ტევა არ არის, შემდეგ ისევ უკაცრიელი მასივები  
შეგხვდება, ნანგრევები, მათ შორის დიდი ქალაქის იმიტაცია, საძაგლობაა  
პირდაპირ. მისი შეკითხვის შემდეგ მალე გავჩერდით.

— აქ? — ვიკითხე მე...

— არა, — თქვა მან, — ახლავე მოვალ.

ეს იყო ჰანას ინსტიტუტი. მე ტაქსში დავრჩი, სიგარეტიც კი არ მქონდა  
თან. შევეცადე წარწერები წამეკითხა, მაგრამ ამაოდ, თავი სავსებით უწიგნური  
მეგონა. სულ დავიბენი.

შემდეგ ისევ ქალაქისაკენ ვიბრუნეთ პირი...

როცა ჰანა ინსტიტუტიდან გამოვიდა, გულახდილად რომ ვთქვა, ველარ  
ვიცანი, თორემ რა თქმა უნდა, ტაქსის კარს მაინც გავუღებდი.

როგორც აქნა, მივედი.

— მე წინ წავალ, — ამბობს იგი.

ჰანა მიდის წინ, მოკლედ თმაშეკრეჭილი, ჭალარა, სათვალისანი ქალი, უცხო  
ქალი, მაგრამ ზაბეტის, უფრო სწორად, ელზბეტის დედა (ასე ვთქვათ, ჩემი  
სიდედრის). ხანდახან მიკვირს, ასე უბრალოდ, შენობით რომ ველაპარაკებოთ  
ერთმანეთს.

— შემოდი, — მეუბნება იგი, — დაისვენე.

შეხვედრა ოცი წლის შემდეგ. ამას არც მე მოველოდი, არც ჰანა. ჰო.  
თუმცა ის მართალია: ზუსტად თუ ვიანგარიშებთ, ოცდაერთი წელია ერთმა-  
ნეთი არ გვინახავს.

— მოდი, დაჯექი, — მეუბნება იგი.

ფეხები მტკიოდა.

რა თქმა უნდა, ვიცოდი, თავის შეკითხვას (რა ურთიერთობა გქონდა გო-  
გონასთან?) ადრე თუ გვიან გამიმეორებდა და მე უნდა დამეფიცა: „არავითა-  
რი!“ — არც ვიცრუებდი, რადგან ჰანას რომ ვუყურებდი, მე თვითონვე აღარ  
მჭეროდა ეს ყველაფერი.



— ვალტერ, — შეუბნება იგი, — რატომ არ ჯდები?

მე ჯიუტად ვდგავარ...

ჰანამ ეალუზები ასწია.

„მთავარია, ბავშვი გადარჩეს!“ — განუწყვეტლივ ვიბეორებ გულში, სულ ერთია ვლახარაკობ, ვდუმვარ, თუ ჰანას სიგარეტებს ~~ფიქრებს~~ სავარძლიდან წიგნები აკრიფა და ადგილი გამინთავისუფლა. ~~ბიზ...~~

— ვალტერ, არა გშია? — შეკითხება იგი.

ჰანა დედასავით მექცევა...

არ ვიცოდი, რა მეფიქრა.

— მშვენიერი ზედია, — ვამბობ მე, — მაშ, ეს არის სახელგანთქმული აკროპოლი?

— არა, — ამბობს იგი, — ეს ლიკაბეტოსია.

ყოველთვის ჰქონდა ეს ჩვევა, ჩვევა კი არა, მანია, უბრალო საგნებზეც კი ზედმიწევნით ზუსტად გამოეთქვა აზრი: არა, ეს ლიკაბეტოსია!

ასეც ვეუბნები:

— შენ არ გამოცვლილხარ!

— ასე გგონია? — შეკითხება იგი. — შენ კი გამოიცვალე?

მისი ბინა ტიპიური მეცნიერის ბინაა (ესეც გულახდილად ვუთხარი: შემდეგ რატომღაც მამაკაცებზე ჩამოვარდა სიტყვა და ჰანამ ოდესღაც ჩემი ნათქვამი გამახსენა, შენ მეცნიერებას და, საერთოდ, ყოველგვარ გონებრივ შრომასაც მამაკაცის მონოპოლიად თვლიო). ოთხივე კედელი წიგნების თაროებათაა გაჭედილი, საწერ მაგიდაზე ეთიკეტებიანი ქვის ნატეხების ხორა დგას, სხვა, თვალის ერთი გადავლებით ანტიკვარული არაფერი დამინახავს, პირიქით, ოთახში სავსებით თანამედროვე ავეჯი იდგა, რაც ჰანასგან გამიკვირდა კიდევ.

— ჰანა, — ვეუბნები, — შენ პროგრესული ქალი გამხდარხარ!

მან მხოლოდ გაიღიმა.

— სერიოზულად ვეუბნები!

— როგორც ყოველთვის, არა? — შეკითხება იგი.

ხანდაზან ჰანას ვერ ვუგებდი.

— შენ კი ძველებურად პროგრესული ხარ, არა? — შემეკითხა იგი და გამიხარდა, სხვა არა იყო, რა, გაიღიმა მაინც... უკვე ვგრძნობდი, სინდისის ქენჯნა, რასაც ჩვეულებრივ განიცდის კაცი, ქალიშვილს რომ მიატოვებს და ცოლად არ შეირთავს, ამ შემთხვევაში სრულიად ზედმეტი იყო. ჰანას მე არ ვჭირდებოდი. უმანქანოდაც იოლად გადიოდა. უტელეფონოროდაც მშვენიერად გრძნობდა თავს.

— მშვენიერი ბინა გქონია, — ვეუბნები მე.

შემდეგ მისი ქმარი ვახსენე.

— ჰო, პაიპერი, — ამბობს იგი.

ჰანას, ეტყობოდა, არც ის სჭირდებოდა, თუნდაც ეკონომიურად. წლებას განმავლობაში საკუთარი შრომით გაჰქონდა თავი. (ოუმცა რა სამუშაოს ასრულებს ჰანა, გულახდილად რომ ვთქვა, დღესაც ვერ გავრკვეულვარ), დიდებულად არა, მაგრამ მაინც რიგიანად ცხოვრობდა. ამას კარგად ვხედავდი. ჩაცმულობით აივისაც კი შეიძლებოდა გასჯიბრებოდა და, როგორც ვთქვი, სიძვე-

ლისაგან დახეტქილ ციფერბლატიან კედლის საათს თუ არ ჩავთვლით, მისი ბინა სავსებით თანამედროვედ იყო მოართული.

— შენ როგორა ხარ? — მკითხა მან.



ტანზე ვილაციის პიჯაკი მეცვა, საავადმყოფოში მათხოვეს. უფროსი უბედურ-  
ლად ვგრძნობდი ამ პიჯაკში — სრული მქონდა და მოკლე, ზინთის მსგავსი  
ბიჭის ქურთუკი მცმოდეს. გავიდა თუ არა ჰანა სამზარეულოში, მაშინვე  
გავიხადე, მაგრამ არც ჩემს პერანგში ივარგებდა ყოფნა, პერანგი დასისხლია-  
ნებული იყო.

— სანამ სადილს მოვამზადებდე, თუ გინდა იბანავე, — მითხრა ჰანამ.  
ის სუფრას წლიდა.

— ჰო, მინდა, გათფლილი ვარ. — ვუთხარი მე.

ჰანა გულისამაჩუყებელი იყო, თან ზედმიწევნით საქმიანი. წყლის გამაც-  
ხელებელი აანთო, ამიხსნა, შემდეგ როგორ უნდა განომეთიშა და სუფთა ხაოი-  
ანი პირსახოცი და საპონი მომიტანა.

— ფეხები როგორა გაქვს? — მეკითხება ჰანა და თან შეუსვენებლივ და-  
ფათურობს.

— სასტუმროში რა გინდა? — მეუბნება ჰანა. — შეგიძლია აქ იცხოვრო,  
ამას რა ლაპარაკი უნდა.

ვგრძნობდი, რა გაუპარსავი ვიყავი.

აბაზანა ძალიან ნელა ივსებოდა და ორთქლი ასდიოდა. ჰანამ ცივი წყლის  
ონკანი გახსნა, თითქოს წყალს მე თვითონ ვერ მოეუშვებდი. სტუმარივით გულ-  
ზე ხელდაკრეფილი ვიჯექი სკამზე, ფეხები მტკიოდა. ჰანამ სარკმელი გამოაღო.  
ორთქლის ბუღში ძლივს ვარჩევდი ჰანას. მიხრა-მოხრა სულ არ შესცვლოდა,  
სულ არა.

— ყოველთვის ვფიქრობდი, რომ შენ ჩემზე გაბრაზებული იყავი მაშინ-  
დელი ამბის გამო, — ვთქვი მე.

ჰანა მხოლოდ გაოცებულია.

— რას ჰქვია გაბრაზებული? მაშინ ხელი რომ არ მოვაწერეთ. იმიტომ? —  
ამბობს იგი. — კიდევ კარგი, რომ ასე მოხდა, ეს ხომ უბედურება იქნებოდა.  
პირდაპირ მასხრად მიგდებდა.

— არა, სერიოზულად, მართლა ფიქრობდი, ვალტერ, რომ მთელი ამ  
ოცდაერთი წლის მანძილზე გაბრაზებული ვიყავი შენზე?

აბაზანა გაივსო.

— რატომ იქნებოდა უბედურება? — ვეკითხები მე...

ამ საკითხზე მეორედ აღარ გვილაპარაკია. ჰანა მართალი იყო, ჩვენ სხვა  
სადარდებელი გვქონდა.

— იცოდი, რომ გველის კბენით გამოწვეული სიკვდილიანობა ათ პრო-  
ცენტს არ აღემატება?

პირადად მე გაოცებული ვიყავი.

ჰანა სტატისტიკას არაფრად აგდებს, ამას მაშინვე მიეხვდი. სააბაზანოში  
ბოლომდე გადმომაფრქვევინა ჩემი მოსაზრებები სტატისტიკის თაობაზე და  
შემდეგ მითხრა:

— წყალი გაგიცივდება!

არც ვიცი, აბაზანაში რამდენ ხანს ვიწექი. შეხვეული ფეხები აბაზანის კი-

დღზე მეწყო და ფიქრებში ვიყავი ჩაფლული: ვფიქრობდი სტატისტიკაზე, იოახიმზე, რომელმაც თავი ჩამოიხრჩო, ვფიქრობდი მონავეალზე, სანამ სიცვიისაგან არ ამაძაგდა, თვითონ არ ვიცოდი, რაზე ვფიქრობდი, უფრო სწორად, ვერ ვბედავდი, თავს ჩავეკითხოდი, რაზე ვფიქრობდი. ვხედავდი ფიქრებს და კოლოფებს, ქალის ტუალეტის ნივთებს, ჰანა ველარ წარმოვიდგინე, ვერც მაშინდელი, ვერც ახლანდელი, ვერც ერთი. მაძაგდა გეგმები, ჩემი გასისხლიანებული პერანგის ჩაცმა აღარ მინდოდა, ჰანას ძანილზე არ მიპასუხია.

რა დამემართა?

მე თვითონ არ ვიცოდი.

ჩაის დავლევ თუ ყავას?

ამ ერთმა დღემ ისე გამასავეათა, რომ აქეთ-იქით უილაჯოდ ვაწყდებოდი, რაც ჩვეულებრივ არ მჩვევია ხოლმე. უმიზნო ფიქრებიც ძალ-ღონის გამოცლის ბრალი იყო (აბაზანა ეტრუსკულ სარკოვავს ჰგავს-მეთქი), ნამდვილად ციებ-ცხელებიანივით მაბოდებდა.

— ჰო, მოვდივარ,— ვთქვი მე.

კაცმა რომ თქვას, აზრადაც არ მქონია ჰანა მენახა. ათენში ჩამოვიდოდი თუ არა, მაშინვე აეროდრომზე უნდა წავსულიყავი.

ჩემი შვებულება თავდებოდა.

ვილიამსის „სიტროენი“ ბარში დავტოვე და ახლა იმაზე ვიმტვრევდი თავს, მანქანა პარიზში როგორ დამებრუნებინა. იმ გარაჟის სახელიც კი არ ვიცოდი!

— ჰო, მოვდივარ,— გავძახე მე.

თან არც კი გავნძრეულვარ.

ვია აპია...

მუმია ვატიკანში...

ჩემი სხეული წყალში...

თვითმკვლელობა მე საქმედ არ მიმაჩნია, ეს ხომ არ ცვლის იმ ფაქტს, რომ ამქვეყნად არსებობდი. და ამ წუთში მხოლოდ ერთს ვნატრობდი: არასოდეს არ ვაეჩენილიყავი ამ ქვეყანაზე!

— ვალტერ, — შეკითხება ჰანა, — მოდიხარ?

აბაზანის კარი არ ჩამიკეტია. ჰანას შეეძლო (ვფიქრობდი მე) დაუბრკოლებლად შემოსულიყო და ქურდულად ნაჯახით მოვეკალი; თვალდახუჭული ვიწექი, არ მინდოდა ჩემი ბებერი სხეული დამენახა...

ჰანა ტელეფონზე რეკავდა.

შემდეგ კი, სალამოს, ისე ვლაპარაკობდი, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. ყოველგვარი თავის მოჩვენების გარეშე. მთავარია, შრატის წყალობით ზაბეტი გადარჩეს. ჰანას შევეკითხე, სტატისტიკის არაფერი გწამს, — ბედისწერა და სხვა მისთანები კი გჯერა-მეთქი?

— შენ და შენი სტატისტიკა! — თქვა ჰანამ. — მე რომ ასე ქალიშვილი მყოლოდა და ასევე გველს დაეკბინა, კიდევ ჰო! მაშინ სამიდან ათამდე ქალიშვილს დავკარგავდი. ნამდვილად საოცრად ცოტაა! შენ სავსებით მართალი ხარ, — მან გაიცინა, — მაგრამ მე ხომ ერთადერთი შვილი მყავს!

არ შეეკამათებივარ, მაგრამ მაინც კინალამ ვიჩხუბეთ, უცებ გვიღალატა ნერვებმა. ჩხუბი ჩემი შენიშვნით დაიწყო.

— ჰანა, შენ კრუხივით იქცევი! — ვეუბნები მე.

ეს სიტყვები უნებურად წამომცდა.

— მაპატიე, მაგრამ ასეა!

მხოლოდ გვიან მივხვდი, რა მწყინდა: აბაზანიდან რომ გამოვედი, ჰანა ტელეფონთან იდგა — სანამ მე სააბაზანოში ვიყავი, საავადმყოფოში მყოფი კაცი, — და ელზბეტს ელაპარაკებოდა.

უნებურად ყველაფერი მოვისმინე.

ჩემზე არც ერთი სიტყვა არ თქმულა.

ჰანა ისე ელაპარაკობდა, თითქოს ამ ქვეყანაზე არსებობდა მხოლოდ თვითონ, მისა ღედა, თითქოს მხოლოდ ის ღარდობდა გოგონაზე და მხოლოდ მას უხაროდა, რომ გოგონამ მოიხედა. სანამ ოთახში შევიდოდი, გერმანულად ელაპარაკობდნენ, შემდეგ ჰანა ბერძნულზე გადავიდა. სიტყვა არ მესმოდა. მერე ჰანამ ყურმილი დაკიდა.

— როგორაა საქმე? — ვეკითხები მე.

ჰანა აშკარად დამშვიდებულია...

— უთხარი, რომ აქა ვარ?

ჰანამ სიგარეტი ამოიღო.

— არა, — თქვა მან.

ჰანა უცნაურად იქცეოდა, ვერ დავიჯერებდი, რომ გოგონა ჩემზე არაფერს ჰკითხავდა. ყოველ შემთხვევაში, მე მგონი, იმის უფლება მაინც მქონდა, გამეგო, რა ელაპარაკეს.

— მოდი, ვჭამოთ რამე, — მეუბნება ჰანა.

მისი ღიმილი მაცოფებდა, თითქოს მე არავითარი უფლება არ მქონდა, რამე მცოდნოდა.

— მოდი, დაჯექი, — ამბობს ჰანა.

მაგრამ მე არ ვჯდები.

— რატომ გწყინს, რომ ჩემს შვილს ელაპარაკები? — ამბობს იგი. — რატომ?

ის მართლა კრუხივით იქცეოდა (ჩემი აზრით, ყველა ქალი ასე იქცევა: როგორი ინტელექტუალურიც არ უნდა იყოს), ასე კრუხმა იცის თავისი წიწილებზე ფრთებქვეშ შეფარება. ამიტომაც ვუთხარი, ნამდვილი კრუხი ხარ-მეთქი, სიტყვას სიტყვა მოჰყვა და ჰანა, არასოდეს რომ არ მინახავს, ისე გაანჩხლდა.

მისი მუდმივი არგუმენტი: — ის ჩემი შვილია, შენი კი არა.

ამიტომ ვეკითხები:

— მაშ მართალია, რომ იოახიმია მისი მამა?

ამაზე პასუხი არ მიმიღია.

— თავი დამანებე! — მეუბნება იგი. — რა გინდა საერთოდ ჩემგან? ელზბეტი ნახევარი წელია არ მინახავს, უცებ საავადმყოფოდან მირუკავენ, მოვლივარ და უგონოდ მწოლიარე შვილს ვხედავ — არ ვიცი, რა ამბავია ჩემს თავს.

ჩემი სიტყვები უკან მიმაქვს.

— შენ, შენ რა გაქვს სალაპარაკო ჩემს ქალიშვილთან? რა გინდა, რა ურთიერთობა გაქვს მასთან?

ვხედავდი, ჰანა როგორ ცახცახებდა.



საბჭოთავო

# ს ა რ ჩ ე ვ ი

1 9 7 0 № 5

ვლადიმერ მაჭავარიანი  
 ლენინი — სწავლული, რევოლუციონერი . . . . . 3

მსოფლიო ლენინიანი . . . . . 9

მერბერტ უელსი  
 რუსეთი წყვდიადში . . . . . 29

მაქს ფრიში  
 Homo Faber (გაგრძელება) . . . . . 70

ჯეფრი ჩოსმრი  
 კენტურბერიული მოთხრობები . . . . . 150

ალექსეი სეზრენსკი  
 ტრაიზოს სიმართლე . . . . . 172

ანა ზეზერსი  
 გრუშოვთელი გლეხები . . . . . 180

ჯორჯ ბორდონ ბაირონი  
 სონეტი შილიონს . . . . . 190  
 შილიონის პატიმარი . . . . . 191

გერტლდ ბრეხტი  
 დაჭრილი სოკრატე . . . . . 203  
 მოთხრობები ბატონ კოინურზე . . . . . 215

ვალდუნ თანერი  
 აუქციონი . . . . . 224  
 თორმეტს აკლია ერთი წუთი . . . . . 237

ირვინ უოუ  
 „ვენერას მკვიდრნი“ . . . . . 246

მარსელ მემე  
 პოლდაგური ლეგენდა . . . . . 269  
 ჯოხი . . . . . 278

მზია ბაქრაძე  
 ფრანგული „ახალი რომანი“ . . . . . 290

შოთა რევიშვილი  
 ლენინი და საზღვარგარეთელი მწერლები . . . . . 305

თამარ სანკევიჩი  
 რაღვ ელისონი და მისი „უზინარი ადამიანი“ . . . . . 318

რედაქტორი

ვახტანგ ჭელიძე

სარედაქციო კოლეგია

- ვახტანგ გიფუკელი
- ციალა თოფურიაძე
- მიხეილ კვესელავა
- ვახუშტი კოტეტიშვილი
- ვახტანგ ქორთრაძე
- ნიკო შიასაშვილი

ზარეპანი

დავით ღუნდუასი

გამომცემლობა

„საბჭოთა საქართველო“

თბილისი



ჰანას ხნიერ ქალს ვერ ეტყოდა, მაგრამ, რა თქმა უნდა, კარგად ვხედავდი მის მოშვებულ კანს, ამოღამებულ თვალებს, დანაოჭებულ საფეთქლებს, ჰანა უფრო გამხდარა, უფრო განაზრებულა. კაცმა რომ თქვას, თავისი ისევე მეტის-მეტად შეენოდა, განსაკუთრებით — სახეზე, თუმცა ნიკაპქვეშ კანი ხელიკის კანს მიუგავდა. მე უკან წავიღე ჩემი სიტყვები. მშვენივრად მესმოდა, ჰანას როგორ უჭირდა მარტობა, დღეებს თითებზე ითვლიდა, სანამ მშვენივრად დაბრუნდებოდა. დედისათვის ნამდვილად არ იქნებოდა იოლად, ერთადერთი შეილა პირველად რომ მოშორდებოდა მის კალთას.

— ის ხომ ბავშვი აღარაა, — ამბობს იგი, — მე თვითონ გავუშვი სამოგზაურად, ერთ დღეს ხომ მანაც უნდა დაიწყოს დამოუკიდებელი ცხოვრება, ისიც კარგად ვიცი, რომ ერთ მშვენიერ დღეს უკან აღარ დამიბრუნდება...

სიტყვას არ ვაწყვეტივინებდი.

— ასეა ეს ქვეყანა მოწყობილი, — ამბობს იგი, — ჩვენ არ ძალგვიძს ცხოვრება მკლავებში მოვიმწყვდიოთ, ვალტერ, არც შენ შეგიძლია ეს.

— ვიცი!

— მერე რატომ ცდილობ ამას?

ზოგჯერ მისი არაფერი მესმოდა.

— ცხოვრება შვილებთან ერთად მიღის, — ამბობს იგი...

სიტყვა მის სამსახურზე გადავიტანე.

— ასეა ეს ქვეყანა მოწყობილი, — ამბობს ჰანა, — ჩვენს საცუფარ შეილებზე ვერ დავქორწინდებით.

ჩემს კითხვაზე არავითარი პასუხი არ მიმიღია.

— ვალტერ, — მეკითხება იგი, — რამდენი წლისა ხარ ახლა?

სწორედ მაშინ თქვა ჰანამ: მას ისი ქალიშვილი კი არა ჰყავს, არამედ ერთადერთი. (ეს მეც ვიცოდი), და მის ქალიშვილს, როგორც ყოველ აღამიანს, ერთადერთი სიცოცხლე გააჩნია (ესეც ვიცოდი), მასაც, ჰანასაც, ერთადერთი სიცოცხლე აქვს, და ისიც სვეგამწარებული. და მეც (თუ ვიცი ეს?) მხოლოდ ერთი სიცოცხლე გამაჩნია.

— ჰანა, — ვეუბნები, — ჩვენ ხომ ვიცით ეს.

ხადილი გაცივდა.

— მაინც რატომაა შენი ცხოვრება სვეგამწარებული? — ვეკითხები მე. ჰანას ლუკმა არ აუღია, მხოლოდ სიგარეტს ეწეოდა.

— შენ მამაკაცი ხარ, — ვეუბნება იგი, — მე ქალი, აი, რით განვსხვავდებით ერთმანეთისაგან, ვალტერ!

— იმედი მაქვს! — ვიციანი მე

— მე აწი შვილი აღარ მეყოლება...

ამ საღამოს ეს უკვე მეორეჯერ თქვა ჰანამ.

— რაზე ვმუშაობ? — ამბობს იგი. — შენც ხომ ხედავ, ჭურჭლის ნატეხებს ვაწებებ ეს ნატეხები თავის დროზე ვაზი იწნებოდა... მე წარსულის ნამსხვრევებს ვაწებებ ერთმანეთს...

მე ვერ ვიტყოდი, ჰანას სიცოცხლე სვეგამწარებული ჰქონდეს. პირიქით. მის მეორე ქმარს, პაიპერს, არ ვიცნობ, ჰანას იგი ემიგრაციაში გაუცვნია; ჰანა მას თითქმის არც ახსენებს (რაც დღესაც კი მაკვირვებს), თუმცა მის გვარს კი ატარებს: დოქტორი ჰანა პაიპერი. ჰანა ყოველთვის ისე იქცეოდა, როგორც

თვითონ მიაჩნდა სწორად და, ჩემი აზრით, ქალისათვის ესეც დიდი ამბავია. იგი ყოველთვის თავის ნებაზე ცხოვრობდა.

რატომ ვერ შეეწყვნენ ის და იოახიმი ერთმანეთს, მაინც არ მოთბრა, იოახიმს ახსენებს, როგორც მეტად სიმპათიურ ადამიანს, საყვედურის ნიშანწყალი არ ეტყობა ხმაში, მხოლოდ ესაა, რომ მამაკაცები მის თვალში საკაცდელი ვერ ეტყობა, ჰანა ბევრს მოელოდა მამაკაცებისაგან, თან ისიც გვონია, რომ მამაკაცები უყვარს. თუ სასაყვედურო აქვს რაიმე, ისევ თავის თავს უნდა დააბრალოს. ჰანას რომ შესძლებოდა, ან იძულებული ყოფილიყო, ერთხელ კიდევ ეცხოვრა ამ ქვეყანაზე, მამაკაცებს სულ სხვანაირად შეიყვარებდა. მას ბუნებრივად მიაჩნდა, რომ მამაკაცები (ასე ამბობს იგი) გონებაშეზღუდულნი არიან, მხოლოდ თავის გულუბრყვილობაზე სწყდება გული, რომ ყოველ მათგანს (რამდენი იყვნენ, არ ვიცი) გამონაკლისად თვლიდა. თან ჰანა სულაც არ არის სულელი. მაგრამ მას სისულელედ მიაჩნია, ქალი ფიქრობდეს, აი, ეს კაცი ნამდვილად გამიგებსო. მამაკაცს (ამბობს ჰანა) ურჩევნია ქალი იყოს ნისტვის გამოცანა და თვითონ დატკბეს საკუთარი დაბნეულობით.

ჰანას რომ ყური ვუგდოთ, მამაკაცი მხოლოდ საკუთარ თავს უსმენს თურმე. ამიტომაცაა იმ ქალის ცხოვრება ბედუკუდმართი, რომელსაც იმედი აქვს, მამაკაცი გამიგებსო. ჰანას სიტყვით, მამაკაცი თავის თავს მეუფედ თვლის, ქალი კი მხოლოდ თავის სარკედ მიაჩნია. მეუფეს ძალას არაფერ ატანს, ჩაგრულის ენა ისწავლოს, ქალი კი იძულებულია ზედმიწევნით შეისწავლოს თავისი მეუფის ენა, თუმცა ესეც არაფერს შველის: ის სწავლობს ერთადერთ ენას, რომელიც მუდამ მასვე ამტყუნებს. ნამდვილად ნანობს, რომ ფილოლოგიის დოქტორი გახდა. სანამ ღმერთი მარტო მამაკაცია და არა წყვილი, ქალის ცხოვრება, ჰანას თქმით, ისეთივე საცოდავი დარჩება, როგორც დღეს არის. რაც არ უნდა ელევანტურად იყოს ჩაცმული ქალი, იგი ზენაარისაგან მაინც პროლეტარად არის გაჩენილი.

ჰანაზე მეცინებოდა: ოდნოცდაათი წლის ქალი პატარა გოგონასავით ფილოსოფოსობდა. ჰანასავით ჯერ კიდევ უზადო გარეგნობის ქალს, თანაც ურიად საპატივცემულო პიროვნებას, ასეთი ლაპარაკი არ შეშვენოდა. გამახსენდა, თუნდაც საავადმყოფოში როგორ მოწიწებით ექცეოდნენ ჰანას. ჰანა მათ თვალში იყო უცხოელი, რომელიც მხოლოდ სამი წელიწადია ათენში ცხოვრობს და უკვე ნამდვილი პროფესორია, ლამის ნობელის პრემიის ლაურეატიც.

მე იგი მეცოდებოდა.

— ვალტერ, შენ არაფერი გიჭამია.

ჰანას ხელზე მოვკიდე ხელი.

— ეხ, შე ზენაარია შექმნილი პროლეტარო!

ჰანა ღიმილის ხასიათზე არ იყო. მხოლოდ იმას უცდიდა, ხელს როდის გავუშვებდი.

— რომში სად და სად იყავით? — მეკითხება იგი.

მოვახსენე.

ჰანამ შემომხედა.

რომის ამბებს რომ ვუყვებოდი, ჰანა ისე მიყურებდა, თითქოს წინ მოჩვენება უზისო. თითქოს ბრწყალეზიანი ურჩხული ვიყავი, საფრთხობელა, რომელიც აქ იჯდა და ჩაის მიირთმევდა.

ის გამოხედვა არასდროს არ დამავიწყდება.

თვითონ სიტყვა არ უთქვამს...

მე ისევ წამოვიწყე ლაპარაკი, რადგან სიჩუმე აუტანელი იყო, ვლაპარაკობდი გველის ნაკბენით სიკვდილიანობის შემთხვევებზე. შესაბამისად, სტატისტიკაზე.

ჰანა ყრუსავით იჯდა.

თვალს ვერ ვუსწორებდი. თუ შევხედავდი, ისიც (მეტხანს გაძლება არ შემიძლო) და მაშინვე ზაბეტის ალერსი მაგონდებოდა, უფრო სწორად, ვფიქრობდი: ეს ქალი ზაბეტის დედაა, ჩემი სატრფოს დედა, და ისიც ღამით იმეორებდა ჩემი სატრფო იყო.

რას მივედ-მოვედებოდი, მე თვითონ არ ვიცი.

მისი ხელი (მე, ასე ვთქვათ, მის ხელს ვესაუბრებოდი) მათეობდა: ბავშვით პატარა ხელი ჰქონდა, უფრო მობერებული, ვიდრე თვითონ ჰანა იყო, ნერვიული, დამჭკნარი, ამაზრზენი, მართალი თუ გინდათ, ხელი კი არა, რაღაც უფორმო მასა, რბილი, თან ძვლიანი, თან მოდუნებული, დაქორფილი ცვილი, არა, ამაზრზენი კი არა, პირიქით, რაღაც საყვარელიც კი, მაგრამ რაღაც უცხო, შემადრწუნებელი, დამწუხრებელი, უჩინო. ვლაპარაკობდი, ვღუმდი, ვცდილობდი ზაბეტის ხელი წარმომედგინა, მაგრამ ამოდ, მხოლოდ იმ ხელს ვხედავდი, საფერფლის გვერდით რომ იდო მაგიდაზე, ადამიანის ხორცის ნაჭერს, ძარღვებდაბერილ ხელს, რომელიც დაჭმუჭნილ პრიილა ქალაქს ჰგავდა.

მეც სასტიკად ვიყავი დაღლილი.

— კაცმა რომ თქვას, ის ჯერ კიდევ ბავშვია, — ამბობს ჰანა, — იქნებ გგონია, მამაკაცთან უკვე ექნებოდა ურთიერთობა?

ჰანას თვალეში შევხედე...

— ნამდვილად ვუსურვებ ამას, — თქვა მან, — დიახ, ნამდვილად ვუსურვებ. უცებ სუფრის ალაგებას მიპყო ხელი.

მე ვეხმარებოდი.

რაც შეეხება სტატისტიკას: ჰანას სტატისტიკის გავონებაც არ უნდა, რადგან ბედისწერა სწამს. ეს მაშინვე შევნიშნე, თუმცა სიტყვით არასოდეს არ უთქვამს. ყველა ქალსა აქვს მიდრეკილება ცრუმორწმუნეობისადმი, მაგრამ ჰანა ხომ უადრესად განათლებული ქალია. ამიტომ მიკვირდა მისი. ჰანა ისეთი ბევრელებრივი ტონით ლაპარაკობს მითებზე, როგორც ჩვენ, ინჟინრები, თბოგამტარიანობაზე ვმსჯელობთ ხოლმე, ლაპარაკობს ისევე უბრალოდ, როგორც ფიზიკურ კანონებზე შეიძლება ილაპარაკოს კაცმა, ყოველდღე რომ დასტურდება ფაქტებით. დამსხვრეულ ვაზაზე გულუბრყვილოდ გამოსახული თიდიპოსი და სტინქსი, ათენა, ერინიები, ევმენიდები, თუ კიდევ რა ჰქვიათ, მისთვის ფაქტებს წარმოადგენენ. ეს ამბები სრულიად უბრალოდ შეუძლია ჩაურთოს თვით ყველაზე სერიოზულ საუბარშიც კი. მითოლოგიაში და საერთოდ, ბელეტრისტიკაში დიდად ვათვითცნობიერებული ისედაც არ გახლავართ, და მითუბეტეს კამათში ჩაბმა არ მინდოდა. პრაქტიკული საზრუნავი სხვაც ბევრი გვქონდა.

5. VI პარიზში უნდა ვყოფილიყავი...

7. VI — ნიუ-იორკში.

10. VI — (არა უკვიანეს) — ვენესუელაში...



ჰანა არქეოლოგიის ინსტიტუტში მუშაობს, ღმერთები, ასე ვთქვათ, მისი საუფლოა და ეს არ უნდა დამავიწყდეს. ალბათ, ჩვენც შეუცნობლად ხშირად ვიჭრებით ხოლმე პროფესიულ სფეროში.

— კარგი ერთი, საქმე ნუ გააჭირე შენი ღმერთებით!

ჰანა მაშინვე გაჩუმდა.

— შეგიძლია ეჭვი არ შეგეპაროს, აქედან ფეხს ვერ გავაღვამდი, სანამ დანამდვილებით არ მეცოდინებოდა, რომ გოგონა გადარჩენილია, ვთქვი მე.

ჰანა, ეტყობოდა, უკვე გონს იყო მოსული. ის ჭურჭელს რეცხავდა (თან ჩემს სამსახურზე ველაპარაკებოდი), მე კი ვამშრალვდი. როგორც ოცი წლის წინ-მეთქი. — ვთქვი მე, — არა, ოცდაერთი წლის წინათ.

— შენ აგრე გგონია?

— შენ არა? — ვეუბნები მე.

როგორ იანგარიშა ჰანამ, როგორ გამოიყვანა ოცდაერთი წელიწადი, არ ვიცი. მაგრამ მაინც ასე ვამბობდი. მხოლოდ იმიტომ, რომ მას ყოველ წუთში არ შეესწორებინა.

— რა მშვენიერი სამზარეულო გაქვს, — ვუთხარი ჰანას.

უცებ ისევ მეკითხება:

— მას შემდეგ ოდესმე შეხვედრიხარ იოახიმს?

ოდესმე, ცხადია, უნდა მეთქვა, რომ იოახიმი აღარ იყო ამქვეყნად, მაგრამ, ჩემი აზრით, დღეს არა, მაინცდამაინც ამ პირველ საღამოს არ ღირდა ამის თქმა.

სიტყვა ბანზე ავუგდე. გავიხსენე ჩვენი ვახშამი მაშინ, მის ოთახში!

— გახსოვს ფრაუ ოპიკოფერი? — ვეკითხები მე.

— რაზე მეკითხები?

— ისე, უბრალოდ! გახსოვს, როგორ დაგვიკაკუნებდა ცოცხის ტარით, ათი რომ შესრულდებოდა, და მე მაინც შენს ოთახში ვიყავი ხოლმე...

ჭურჭელი გარეცხილია და დამშრალებული.

— ვალტერ, — მეკითხება იგი, — დალევ ყავას თუ არა?

მოგონებანი სასაცილოა.

— ჰო, — ვამბობ მე, — ოცი წლის შემდეგ შეიძლება იცინო ასეთ ამბებზე.

ჰანამ წყალი დაადგა.

— ვალტერ, — მეკითხება ისევ, — დალევ თუ არა ყავას...

მოგონებების მოსმენა არ უნდოდა.

— ჰო, სიამოვნებით, — ვუპასუხე.

ნეტავ ჰანა რას უძახის სვეჯამწარებულ ცხოვრებას? მე რომ მკითხოთ, იმაზე კარგი არაფერია, როცა ადამიანი თავის ჭკლაზე ცხოვრობს. ჰანათი პირდაპირ აღტაცებული ვარ. გულახდილად ვამბობ: ვერასოდეს ვერ დავიჯერებდი, რომ ფილოლოგია და ხელოვნების ისტორია ამდენ შემოსავალს აძლევდა ადამიანს. თან ვერც იმას იტყვი კაცი, ჰანას ქალური სინაზე აკლდეს. მუშაობა შეენის კიდევ. ეტყობა, ჰანა იოახიმის ხელშიაც მუშაობდა, თარგმნიდა, თუ რაღაც ამდაგვარ საქმეებს აკეთებდა, ემიგრაციაშიც ასე იყო. იოახიმს რომ გაშორდა, მას შემდეგ პარიზის ერთ-ერთ გამომცემლობაში მსახურობდა. პარიზში გერმანელები რომ შემოვიდნენ, ინგლისში გაიქცა და იქ მარტოღმარტო ზრდიდა შვილს. იოახიმი ექიმად იყო რუსეთში და ვერაფრით ვერ დაეხმა-

რებოდა. ჰანამ ბი-ბი-სის გერმანელ დიქტორად დაიწყო მუშაობა. დღესაც ბრიტანეთის მოქალაქედ ითვლება. ეტყობა, ბატონი პაიპერი სიცოცხლეს მას უნდა უმაღლოდეს. ჰანას ბევრი არ უფიქრია, კომუნისტებისადმი თავისი ძველი სიმპათიის ხათრით ჰანაკიდან ახალგაზრდას კაცს ცოლად შეეგაძევა. ბატონმა პაიპერმა იმედი გაუცრუა, კომუნისტი კი არა, ოპორტუნისტი გამოდგა. როგორც ჰანამ თქვა, მისი ბრმა ერთგულება ღალატის მიჯნაში მდის თურმე, სულ ცოტა ხნის წინ მზად იყო, საკონცენტრაციო ბანაკში გაეყვანებინათ. ჰანას მხოლოდ ეცინება მამაკაცებზე: ოღონდ თავისი ფილმები გადაიღოს და ბატონი პაიპერი რომელ ლოზუნგსაც გინდათ, მხარს იმას დაუჭერსო. 1953 წლის ივნისში ჰანამ ქმარი ნიატოვა. ბატონი პაიპერი თურმე ვერც კი ამჩნევს, დღეს რომ იმას ქადაგებს, რასაც გუშინ ეწინააღმდეგებოდა, სინამდვილისადმი უშუალო დამოკიდებულება არ გააჩნიაო. ჰანა ქმარზე უხალისოდ ლაპარაკობს, მაგრამ მით უფრო დაწვრილებით, რაც უფრო ნაკლებ ინტერესს ვიჩენ მე. ჰანას აზრით, პაიპერისთანა მამაკაცებისათვის ცხოვრებისადმი ასეთი დამოკიდებულება ტიპიურია. ჰანას თქმით, იგი თვალდავსებულად ცხოვრობა ამ ქვეყანაზე, ცხოვრებასთან ყოველგვარი კონტაქტის გარეშე. ადრე იუმორის გრძნობა მაინც გააჩნდა, ახლა მხოლოდ დასავლეთს იგდებს მისხრად. ჰანა მას კი არ საყვედურობს, მხოლოდ საკუთარ თავს დასცინის, უფრო სწორად, მამაკაცების მიმართ თავის საყვარულს დასცინის.

— რას ეძახი სვეგამწარებულ ცხოვრებას? — ვეუბნები, — ამ აზრს შენ თვითონ იწერგავ საკუთარ თავს, ჰანა...

ჰანა მეუბნება, შენც კარგი თვალდავსებული ხარო.

— მე მხოლოდ იმას ვხედავ, რაც გაქვს: შენს ბინას, შენს სამეცნიერო მუშაობას, შენს ქალიშვილს. ღმერთს მადლობას უნდა სწირავდე!

— რა შუაშია აქ ღმერთი?

ჰანა სულ არ შეცვლილა: მშვენივრად იცის, რასაც ვგულისხმობ, მაგრამ სიტყვაზე გამოკიდება უყვარს. თითქოს სიტყვებზეა საქმე, რაც არ უნდა სერიოზულად ელაპარაკებოდე, სიტყვას რომ არ გამოეკიდოს, არ იქნება.

— ვალტერ, როდიდანა გწამს ღმერთი?

— კარგი, კარგი, ყავა გაამზადე! — ვუთხარი მე.

ჰანამ მშვენივრად იცოდა, ღმერთს რომ ვერ ვეწყობოდი. ღმერთზე ნუ მიდგება საქმე, თორემ არც თვითონ მყავს დიდი მორწმუნე.

— რატომ იფიქრე, რომ მორწმუნე გავხდებოდი? შენ გგონია, კლიმაქსის ხანაში მყოფ ქალს სხვა არაფერი დარჩენია, არა?

მე ყავას ვადულებდი.

ვერ წარმომედგინა, რა იქნებოდა, როცა ზაბეტი გამოვიდოდა საავადმყოფოდან. ზაბეტი, ჰანა და მე ერთ ბინაში, ვთქვით აი ამ სამზარეულოში: ჰანა ამჩნევს, როგორ ვიკავებ თავს, რომ მის ქალიშვილს არ ვაკოცო ან მხარზე მაინც არ გადავხვიო ხელი, ზაბეტი კი იგებს, რომ მე დედამისს უფრო ვეკუთვნი, თუმცა მისთვის მხარზე ხელი მაქვს გადახვეული. ასე ვთქვით თაღლითის როლში გამოვდივარ, რომელსაც თითქმის ქორწინების ბეჭედი წაუძვრია.

— მხოლოდ სტიუარდესა ნუ ვახდებ, — ვამბობ მე, — სულ იმას ვცდილობდი, როგორმე ეს აზრი გადამეთქმევიინებინა.



ეროვნული

საბავშვო ჟურნალი

— მაინც რატომ?

— იმიტომ, რომ სტიუარდესობა ზაბეტისთანა გოგონების საქმე არ არის. ბოლოს და ბოლოს, ზაბეტი ვიღაც ვიგინდარა ხომ არაა. ყავა მზად არის.

— ვითომ რატომ არ უნდა გახდეს სტიუარდესა? მშვენივრად ვიცოდი, არც ჰანას მოსწონდა ეს ბავშვური მსახურით იმიტომ ჩიუტობდა, რომ ჩემთვის ეჩვენებინა, ეგ შენი საქმე არ არისო.

— ვალტერ, ეს მისი საქმეა.

მეორეჯერ კი მითხრა:

— ვალტერ, შენ მისი მამა კი არა ხარ!

— ვიცი! — ვამბობ მე.

დავსხედით, რადგან გასაკეთებელი აღარაფერი დარჩა. ამ წუთს თავიდანვე გულისფანცქალით ველოდი. და აი, ეს წუთიც დადგა.

— აბა, მონიყევი, — მეუბნება იგი.

ლაპარაკი დაიწყო გაცილებით უბრალოდ, ვიდრე მოველოდი, თითქმის ჩვეულებრივად.

— მომიყევი, რა მოხდა, — მეუბნება ჰანა.

მისი სიმშვიდე მაოცებდა.

— წარმოიდგინე, როგორ შევშინდებოდი, — მეუბნება იგი, — საავადმყოფოში რომ ნოველი და შენ დაგინახე... იჯექი და ვეძინა... ხმა სულ არა აქვს შეცვლილი.

თითქოს ოც წელიწადს არც კი გაეელოს, უფრო ზუსტად: თითქოს ეს დრო, განშორების მიუხედავად, სულ ერთად გაგვეტარებინოს. თუ რაიმე არ ვიცოდით ერთმანეთისა, ეს მხოლოდ გარეგნული ამბები იყო, კარიერა და მისთანები, და სალაპარაკოდ არც კი ღირდა. რა უნდა მეთქვა? ჰანა იცდიდა.

— ყავას დაიშაქრავ? — მეკითხება იგი.

მე ჩემს პროფესიაზე დავიწყე ლაპარაკი.

— როგორ მოხდა, რომ ზაბეტთან ერთად იმოგზაურე?

ჰანა ქალია, მაგრამ სხვანაირი ქალი, არც აივის ჰგავს და არც სხეებს, შედარებაც არ შეიძლება; უფრო სხვანაირიც კი, ვიდრე ზაბეტია, თუმცა ის ბევრ რამეში ჰგავს დედას. ჰანა უფრო ახლობელია, განსაკუთრებით მაშინ, როცა რისხვით არ მიყურებს.

გაოცებული ვიყავი.

— შენ გიყვარს იგი? — მეკითხება ჰანა.

მე ყავას ვსვამდი.

— რამდენი ხანია იცი, რომ მე ვარ მისი დედა?

მე ყავას ვსვამდი.

— შენ ხომ არ იცი, რომ ითახიში მოკვდა... — ვთქვი უცებ.

ეს სიტყვები ნამდვილად წამომცდა.

— მოკვდა? როდის?

თავს ანგარიში ველარ გავუწიე, ახლა კი გვიან იყო, ყველაფერი უნდა მეთქვა — რაღა მაინცდამაინც პირველივე საღამოს! — გვატემალაში გადახდენილი თავგადასავალი ვუამბე, ჰანას უნდოდა ყველაფერი გაეგო, რაც ვიცოდი: ითახიმის დაბრუნება რუსეთიდან, მისი საქმიანობა პლანტაციისაში... გაყრის შემ-

დევ იოახიმზე აღარაფერი სმენოდა. ბოლოს ის მაინც დავუმაღლე, იოახიმმა რომ თავი ჩამოახრჩო, ვიცრუე, ანგინით მოკვდა-მეთქი. მიკვირდა, როგორ იკავებდა ჰანა თავს.

— ეს ამბავი გოგონას უთხარი? — მეკითხება იგი.

შემდეგ უსასრულო დუმილი ჩამოვარდა.

მან ხელი ისევ რქის სათვალის ქვეშ შეიკურა, თითქოს სახე-ყუნწა დაიფაროსო. ჩემი თავი ურჩხულად მეჩვენებოდა.

— რა შენი ბრალია! — ამბობს იგი.

ჰანას ცრემლი არ გადმოუვლია. ამიტომ იყო უფრო მძიმე ეს წუთები.

ჰანა ფეხზე წამოდგა.

— ჰო, — თქვა მან, — დავიძინოთ.

ჩემი ვარაუდით შუალამე უნდა ყოფილიყო. მართალია, საათი აღარ მქონდა, მაგრამ მაინც მეჩვენებოდა, რომ დრო შეჩერდა.

— შენ ელზბეტის ოთახში დაიძინებ.

ზაბეტის ოთახში ვიდექით.

— ჰანა, სიმართლე მითხარი: ის არის ზაბეტის მამა?

— ჰო! — ამბობს იგი. — ჰო!

გულზე მომეშვა. არაფითარი საბაბი არ მქონდა ჰანას გულწრფელობაში ეჭვი შემპარვოდა. და იმ წუთში (მომავალზე ფიქრი ასე თუ ისე მაინც შეუძლებელი გახლდათ) სხვას აღარაფერს დავეძებდი — მთავარი იყო, რომ გოგონას უკვე შრატის გაუკეთეს და საფრთხე აღარ ემუქრებოდა.

ჰანას ხელი ჩამოვართვი.

დალლილობისგან ფეხზე ძლივს ვიდექი, მე მგონი, ჰანაც ჩემსავით დალლილი იყო. ერთმანეთისათვის „ღამე ნებისა“ უკვე ნათქვამი გვქონდა, რომ ჰანამ ერთხელ კიდევ მკითხა:

— ვალტერ, რა მოხდა შენსა და ელზბეტს შორის?

თან ნამდვილად ყველაფერი იცოდა.

— მითხარი, — გამოიმეორა მან.

რა ვუპასუხე, არ ვიცი.

— ჰო თუ არა?

რაც ითქვა, ითქვა.

ჰანა ჯერ კიდევ იღიმებოდა, თითქოს ჩემი პასუხი ვერც გააგონა. მე კი შვება ვიგრძენი. ბოლოს და ბოლოს ყველაფერი ითქვა, მზნეობაც კი დამიბრუნდა, ყოველ შემთხვევაში, გულზე ნამდვილად მომეშვა.

— მიჯავრდები?

მერჩივნა იატაკზე დამეძინა, მაგრამ ჰანამ დაიყინა, დასვენება გჭირდებაო და ზაბეტის ლოგინი შემომითავაზა. ლოგინი სუფთა თეთრეულით გაეწყო, ყველაფერი მოემზადებინა ქალიშვილისათვის, რომელიც ნახევარი წლის შემდეგ შინ უნდა დაბრუნებულიყო. ზაბეტის ძხალი პიჯამო ჰანამ თან წაიღო, ყვავილები და შოკოლადი მაგიდაზე დარჩა.

— მიჯავრდები? — ისევ შევეკითხე.

— ხომ არაფერი გაკლია? — კითხვა შემომიბრუნა ჰანამ, — საპონი აქ არის...

— მე ხომ არ ვიცოდდი... — ვამბობ მე...

— ვალტერ, დროა დავიძინოთ!

მგონი არ მიჯავრდებოდა, ხელმეორედაც კი ჩამომართვა ხელი. მხოლოდ განერვიულებული ჩანდა, მეტი არაფერი. ეჩქარებოდა. გავიგონე, როგორ გავიდა სამზარეულოში, სადაც ყველაფერი უკვე მილაგებული იყო.

— ხომ არ მოგეხმარო?

— არა, დაიძინე!

ზაბეტის ოთახი ცოტა პატარაა, მაგრამ მოხდენილი. აქატი ~~აქატი~~ ფანჯრიდან ლიკაბეტოსი მოჩანს. ღია ფანჯარასთან კიდევ დიდხანს ვიდექი... პიჟამო არ მქონდა.

საერთოდ არ მიყვარს სხვის ოთახში ხელის ფათური, მაგრამ ის ფაქტობრივად წიგნის თაროზე იდგა, თანაც იოახიმს, მის მამას, მე თვითონ ვიცნობდი. სურათი ჩამოვიდე. იგი ციურბიში იყო გადაღებული 1936 წელს.

უკვე დაწოლას ვაპირებდი, აღარ მინდოდა კიდევ მეფიქრა, მაგრამ, როგორც ვთქვი, პიჟამო არ მქონდა, ჭუჭყიანი პერანგის ამარა ვიყავი...

ჰანა, როგორც იქნა, შევიდა თავის ოთახში.

ღამის ორი საათი იქნებოდა. სუფთა საწოლის კიდეზე საცოდავად ვიჯექი. ასე სძინავთ ხოლმე პარკში უსახლკაროებს (მათ დანახვაზე ხშირად მიფიქრია, ჩანასახივით მოკუნტულებს სძინავთ-მეთქი), მაგრამ მე არ მეძინა.

ხელ-პირი დავებანე.

ერთხელ კედელზე დავაკაკუნე.

ჰანამ თავი მოიმძინარა.

ჩემთან ლაპარაკი არ უნდოდა, ამ საღამოს ერთხელ უკვე მითხრა, გაჩუმდი, როცა ასეთ ამბებზე ლაპარაკობ, ყველაფერი ჟღასურდება და პატარავდებაო.

იქნებ ჰანას მართლა ეძინა.

ამერიკიდან გამოგზავნილი მისი წერილები (ზაბეტის წერილებზე ვამბობ) იელიდან, ჰაერიდან, შემდეგ იტალიიდან გამოგზავნილი ღია ბარათები მაგიდაზე ეწყო. მხოლოდ ერთი წავიკითხე, იმატომ რომ იატაკზე ეგდო: საღამო ასიზიდან (მე არ მახსენებს), ჰკოცნის ათასჯერ, მაგრად ეხვევა თავის დედისკოს...

სიგარეტს სიგარეტზე ვეწეოდი.

შემდეგ შევეცადე პერანგი გამერეცხა...

არ ვიცი, როგორ დავრწმუნდი ასე იოლად, ყველაფერი გადატანილია, ყოველ შემთხვევაში, ყველაზე ჟარესს გადავრჩი-მეთქი, ან როგორ ვიფიქრე, რომ ჰანას დაეძინებოდა.

რაც შემეძლო უხმაუროდ ვრეცხავდი.

ვალდებულ ვიყავი: ერთი თხუთმეტი წუთის განმავლობაში უბრალოდ მავიწყდებოდა, რაც მოხდა, უფრო სწორად, ყველაფერი სიზმარით მეჩვენებოდა: კაცს ესიზნარება. ვათომ სიკვდილი აქვს მისჯილი და თანაც იცის, რომ სიზმარშია, მხოლოდ გამოიღვიძოს და...

სველი პერანგი ფანჯარაში გადავკიდე.

ვაკვირდებოდი ოთახის სახეს, ვაფეცხურს. სიმპათიურს, მაგრამ ზაბეტთან მსგავსება, კაცმა რომ თქვას, ვერ აღმოვაჩინე.

— ჰანა! — დავუძახე, — გძინავს?

პასუხი არ მიმიღია.



ეროვნული

საბჭოთა

საბჭოთა

საბჭოთა

საბჭოთა

საბჭოთა

საბჭოთა

საბჭოთა

საბჭოთა

საბჭოთა

საბჭოთა

საბჭოთა

საბჭოთა

საბჭოთა

საბჭოთა

საბჭოთა

საბჭოთა

საბჭოთა

საბჭოთა

საბჭოთა

საბჭოთა

საბჭოთა

საბჭოთა

საბჭოთა

საბჭოთა

საბჭოთა

საბჭოთა

საბჭოთა

საბჭოთა

საბჭოთა

საბჭოთა

საბჭოთა

საბჭოთა

საბჭოთა

საბჭოთა

საბჭოთა

საბჭოთა

საბჭოთა

საბჭოთა

საბჭოთა

საბჭოთა

საბჭოთა

საბჭოთა

საბჭოთა

უბერანგოდ ვიყავი, სიცივისგან მამაცაგებდა, მაგრამ ვერ მოვისაზრე, ზაბეტის დილის ხალათი ჩამეცვა, ხალათი ჩემს ცხვირწინ, კარებზე ეკიდა... მისი ნივთები...

მისი ფლეიტა წიგნის თაროზე...

შუქი ჩავაქრე.



ეროვნული

ეტყობოდა, ჰანა უკვე დიდი ხანია ბალიშში თავსაჩუქნებდა... ქვითინის ხმა რომ გავიგონე, შევშინდი. თავში მასწინვე გამიელვა: „მომატყუა, მე ვარ მამა.“ ის უფრო და უფრო ხმამალლა ქვითინებდა, სანამ კარებთან არ მივედი და არ დავაკაკუნე.

— ჰანა, მე ვარ.

კარი ჩარახული ჰქონდა.

კართან ვიდექი, მესმოდა მისი ქვითინი და ჩემი ამო მუდარა, გამოსულიყო და ეთქვა, რა მოხდა, მაგრამ პასუხად ქვითინის მეტი არაფერი მესმოდა, ქვითინი არ წყდებოდა, მაგრამ როცა სიჩუმე ჩამოვარდებოდა, კიდევ უფრო ვიტანჯებოდი. ყურა კარზე მქონდა მიღებულს, სმენად ვიყავი ქცეული, ჰანას ხმა ხშირად უწყდებოდა და მხოლოდ სლუკუნებდა. ასე რომ, შვებას ვგრძნობდი, როცა ისევ მესმოდა ქვითინის ხმა.

ჭიბის დანაც არ მქონდა თან.

— ჰანა, გააღე! — ვეუბნებოდი მე.

როცა კარი შევვლიჯე, ჰანა კარს მოაწვა. ჩემს დანახვაზე იკვილა კიდევ. წელზევით შიშველი ვიყავი და ალბათ იმიტომ. ჰანა შემეცოდა და კარს მოვეშვი.

ამაოდ ვეუბნებოდი, მე ვარ-მეთქი.

მას მარტო ყოფნა უნდოდა.

ოცდაოთხი საათის წინ (მე კი გუშინდელი დღე სიყმაწვილის მოგონება-საკით მახსენდება!) ზაბეტი და მე ჩერ კიდევ აკროკორინთში ვისხედით და მზის ამოსვლას ვუცდიდით. ეს დღე ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება! ჩვენ პატრასიდან მოვდიოდით და კორინთში ჩამოვხტით, რომ იქაური ტაძრის სვეტები დაგვეთვალიერებინა. შემდეგ იქვე მახლობელ სასტუმროში ვივახშმეთ. ისე კორინთი ერთი საქათმის ოდენა სოფელია. მხოლოდ დაბინდებისას გამოირკვა, რომ სასტუმროში არც ერთი ოთახი არ იყო თავისუფალი. ზაბეტის აზრით, მე ბრწყინვალე იდეა მომივიდა თავში, გვიანობამდე გვეხეტიალა, მერე კი სადმე ლედვის ხის ქვეშ გაგვეთია ღამე.

მე ეს ხუმრობით ვთქვი, მაგრამ რადგან ზაბეტმა ბრწყინვალე იდეად მიიჩნია, მართლა წავედით მინდორ-მინდორ ლედვის ხის საპოვნელად. მოულოდნელად ნაგაზებს გადავაწყდით. ერთი ყეფა და ვაი-უშველებელი ატყდა. ყეფაზე ვატყობდით, ნაგაზები ბლომად უნდა ყოფილიყვნენ, ძაღლებმა ისე მალლა შეგვრეკეს, რომ იქ ლედვის ხეს სად იპოვიდა კაცი, მხოლოდ ჭირი უბერავდა ნარშავეებში. ძილზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო! როგორ ვიფიქრებდი, საბერძნეთში ივნისის ღამე ასეთი ცივი და თან ნესტიანი თუ იქნებოდა. არც ეს ვიცოდი, კლდეებს შორის მიმავალი საცალფეხო მტვრიანი ბილიკი სად მიგვიყვანდა. მთვარის შუქზე ბილიკი თაბაშირებით თეთრად კიაფობდა. ზაბეტის აზრით, თოვლივით საბოლოოდ კეფირზე შევთანხმდით! თავზე შავი კლდე-

ები გადმოგვყურებდა. კლდეები ნახშირივით შავია-მეთქი, ვამბობ, ზაბეტი ისევ სხვა შედარებას იგონებს და ასე ვერიობით, ბილიკს კი სულ ზევით და ზევით მივყავართ. ღამეში ვირის ყროყინი ისმის; „როგორც ჩელოზე გამოუცდელი ხელით აქლარუნებული სიმების ხმა!“—ამბობს ზაბეტი. „როგორც გარეშთავე მუხრუჭების ხმა!“ — ვამბობ მე, ირგვლივ სამარისებური სიჩუმეა. ძაღლებმაც ჩაიწყვიტეს ხმა. კორინთის თეთრი ქოხები ისე დგანან, თითქოს ვეღაცას ნატეხი შაქრით სავსე ყუთი დაუცლიაო, — ამბობს ზაბეტი. თუქმის, ცხველებლად მე სხვა შედარებას ვიგონებ. უკანასკნელი შავი კვიპაროსი ძახილის ნიშანს ჰგავსო, — ამბობს ზაბეტი. მე არ ვეთანხმები: ძახილის ნიშანს წვეტი ძირსა აქვს და არა ზემოთ-მეთქი. მთელი ღამე ვიხეტიალეთ. კაციშვილი არ შეგვხვებოდა. უცებ თხის კიკინმა შეგვაკრთო, შემდეგ პიტნის სურნელით გაყლენთილ შავ ქარაფებში ისევ სიჩუმე გამეფდა. გულებს ბაგაბუგი გაჰქონდა და წყურვილი გვახრჩობდა, მხოლოდ ქარი დათარეშობდა გამხმარ ბალახებში: თითქოს ვიღაც აბრეშუმს ფხრეწსო, ამბობს ზაბეტი. მე თავში უკეთესი არაფერი მომდის და თამაშის წესის თანახმად ზაბეტს ერთი ქულა ეწერება. ზაბეტი თითქმის ყოველთვის პოულობს შესაფერ შედარებას. შუა საუკუნეების ბასტიონის კოშკები და ქონგურები ობერის კულისებს ჰგავს! ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდება კარიბჭეები, არსად არ ისმის წყლის ჩუხჩუხი, თურქულ გალავნებს შორის გუგუნებს ჩვენი ნაბიჯების ექო. შევჩერდებით თუ არა, ირგვლივ სამარისებური სიჩუმე გამეფდება. მთვარის შუქზე ჩვენი ჩრდილები შავი ქალაქისგან გამოჭრილ სილუეტებს ჰგავსო, — ამბობს ზაბეტი. ოცდაერთ ქულამდე ვთამაშობთ, როგორც პინგ-პონგში იციან, შემდეგ ისევ თავიდან ვიწყებთ თამაშს. უცებ მთის მწვერვალზე აღმოვჩნდით. ჩვენს კომეტას ველარსად ეხედავთ. შორს თუთიის ფურცელივით მოჩანს ზღვა, — ვამბობ მე. ზაბეტი კი ამბობს, თუმცა ძალიან ცივა, მაგრამ მაინც ბრწყინვალე იდეაა, ღამეს ერთხელ მაინც ოტელის ვარეთ რომ ვათევთო. თვითონ პირველად ათევს ღამეს ვარეთ. მზის ამოსვლის წინ ზაბეტი ჩემს მკლავებში ძაგძაგებდა. გარიყრაყზე ხომ ყველაზე მეტად ცივა.

შემდეგ ერთად ვეწევით ჩვენს უკანასკნელ სიგარეტს. ზაბეტის შინ დაბრუნების დღეზე სიტყვა არ დაგვიძრავს. ხუთი საათისათვის ცა პორცელანივით მჭრქალად შეაფერადა აისმა. ზღვას და ცას ყოველ წუთს ემატებოდა სინათლე, დედამიწას კი არა. იქ, სადაც ათენი უნდა ყოფილიყო, ნაოელ ყურეებში შეჭრილი შავი კუნძულები, წყალი და ხმელეთი ერთმანეთს გამოეყო. ცაზე პატარა-პატარა ცისკრის ღრუბლებია აქა-იქ გაბნეული, როგორც გარდისფერ პულრშეფრქვეული ბამბის ქულეებიო, — ამბობს ზაბეტი. მე ვერაფერი მოვიგონე და ერთი ქულა კიდევ დავკარგე. 19:9 ზაბეტის სასარგებლოდ! ამ დროს ჰაერი ზაბეტის თქმით შემოდგომის ყვავილებს ჰგავს, ჩემი აზრით კი ცელოფანს. აი, უკვე მოჩანს, როგორ ეხეტქება ნაპირს ტალღები და როგორ ტოვებს ლუდის ქაფით კვალს. ზაბეტის აზრით, ტალღების კვალი არ შიებს ჰგავს. ჩემი „ლუდის ქაფი“ უკან მიმაქვს და ვამბობ, მინის ბამბას უფრო მაგონებს-მეთქი. მაგრამ ზაბეტმა არ იცის, მინის ბამბა როგორია. და, აი, ზღვაზე პირველი, შუბებივით წამახული სხივების კონა ვაიბნა, მინაზე გაჩენილი ბზარივით, ელვარე სანაწილესავით, ან შავ ფოტოზე აღბეჭდილი ელექტრონებივით. თუმცა ერთ საგანზე მაინც ერთი ქულა იწერება და რამდენამე შედარების პოვნა არა დირს.

მზე მალე ამოვიდა, ჩახჩახა, როგორც ბრძმედიდან გადმოღვრილი პირველი სინჯი-მეთქი, ვამბობ მე. ზაბეტი ჩუმად და ერთ ქულას ჰკარგავს... განა შეიძლება როდესმე დამავიწყდეს, როგორ ზას კლდეზე ეს თვალდახუჭული როგორ ეფიცება ნებივრად მზეს? რა ბედნიერი ვარო, ამბობს შემდეგ არასოდეს არ დამავიწყდება არც კორინთის და არც ადრიატიკის ზღვა, თვალდათვალ რომ მუქდებოდა, ჯერ ლურჯი გახდა, მერე იისფერი და დამავიწყდება ეს გადაწითლებული ხოდაბუნები, მომწვანო ზეთისხილის ხეები, წითელმიწაზე გაწოლილი მათი გრძელი ჩრდილები, პირველი სითბო და ზაბეტი, რომელიც ყელზე შემომესკვნა, თითქოს მისთვის მე მეჩუქებინოს ეს ყველაფერი! ზღვა, მზე და ეს არემარე, და არასოდეს არ დამავიწყდება, როგორ მღეროდა ზაბეტი!

მაგიდაზე გაწყობილი საუზმე და ბარათი დამხვდა: „მე მალე მოვალ. ჰანა.“ ვიცდიდა. ვგრძნობდი, როგორი გასაპარსი ვიყავი და სამართებლის ძებნაში მთელი სააბაზანო ოთახი გადავაქოთე. ფლავონების, პუდრის კოლოფების, პომადის, ფრჩხილის ლაქის და თმის სამაგრების მეტი ვერაფერი ვნახე. სარკეში ჩემი პერანგი შევათვალიერე: გუშინდელზე საზიზღარი ჩანდა. მართალია, სისხლის ლაქები ისე მუქად აღარ ეტყობოდა, მაგრამ სამაგიეროდ გადაბნედილი.

- ერთი საათი მაინც ვიცადე.
- ჰანა საავადმყოფოდან მოვიდა.
- როგორ არის? — ვეკითხები მე.
- ჰანა უცნაურად იქცევა.
- ვიფიქრე, რომ შენთვის აუცილებელი იყო გამოძინება — ამბობს იგი. შემდეგ პირდაპირ მეუბნება:
- მარტო მინდოდა ელზბეტთან დარჩენა. ნუ გეწყინება, ვალტერ, მე ხომ ოცი წელი მარტო ვიყავი ჩემს ბავშვთან.
- სიტყვა არ დამიძრავს.
- კი არ გესაყვედურები, — ამბობს იგი, — მაგრამ ხომ უნდა გაიგო. მხოლოდ მარტო მინდოდა დავლაპარაკებოდი.
- რა გითხრა ზაბეტმა?
- ისეთი არაფერი.
- ჩემზე? — ვეკითხები მე.
- შენზე არაფერი უთქვამს, მხოლოდ იელზე მელაპარაკებოდა და ვიღაც ახალგაზრდა კაცზე, ჰარდიზე, მაგრამ მხოლოდ უმნიშვნელო რაღაცეებს.
- ჰანას ნაამბობი არ მომეწონა: მაჯა უწესრიგოდ უცემსო. გუშინ სწრაფი ჰქონდა, დღეს შენელებული, მეტისმეტად შენელებული, სახე გასწითლებია, თვალის გუგები დავიწროებულია, სუნთქვაც უჭირსო.
- უნდა ვნახო! — ვამბობ მე.
- ჰანა მეუბნება. ჯერ პერანგი იყიდევო.
- ამაზე დავეთანხმე.
- ჰანა ტელეფონთან დგას...
- ყველაფერი რიგზეა! — ამბობს იგი. — კორინთში წასასვლელად მანქა-



ნას ინსტიტუტიდან მომცემენ, მისი ნივთები, შენი ფესსაცმელები და პიჯაკი წამოვიღოთ.

ჰანა თაოსნობას იჩენს.

— ყველაფერი რიგზეა, ტაქსი შეკვეთილია...

ჰანა აჭეთ-იჭით აწყდება, მასთან საუბარი შეუძლებელია, საფერფლე / დას-  
ცალა, შემდეგ ჟალუზები ჩამოუშვია.

— ჰანა, — ვეკითხები მე. — რატომ მარიდებ თვალს?



საფერფლე / დას-  
ცალა  
ბიზნისი

შეიძლება თვითონაც ვერ გრძნობდა, მაგრამ ამ დილით ერთხელაც არ შემოუხედავს ჩემთვის. რა ჩემი ბრალი იყო, ასე რომ მოხდა? თუმცა ჰანა არც მსაჯვედურობდა, არც ბრალს მდებდა, მხოლოდ თვალდახრილი ცლიდა წუხან-დელი ნამწვავებით სავსე საფერფლეს.

მეტის ატანა აღარ შემიძლო.

— ნუთუ არ შეიძლება ვისაუბროთ?

ჰანას მხრებში ჩავჭიდე ხელი.

— შემომხედე.

ხელი რომ ჩავჭიდე, შემეშინდა. ტანი თავის ქალიშვილზე უფრო ნაზი და სუსტი ჰქონია, გაცილებით ნაზი, არ ვიცი, იქნებ ჰანა დაპატარავდა. თვალები უწინდელზე მშვენიერი გახდომია. მინდოდა ამ თვალებს ჩემთვის შემოეხედათ.

— ვალტერ, — მეუბნება იგი, — მხრები ნუ მატკინე.

მე რაღაცას მივედ-მოვედებოდი. ამას მის სახეზე ვკითხულობდი. ვლპარაკობდი, რადგან დუმილი, ჩემი აზრით, უფრო აუტანელია. მისი თავი ორივე ხელით მეჭირა. რა მინდოდა? ჰანას კოცნა არც მიფიქრია. მაშ რატომ იცავდა თავს? არ ვიცი, რა ვთქვი. მხოლოდ მის თვალებში შეძრწუნება კი დავინახე. ვხედავდი მის ჭაღარა თმას, მის შუბლს, ცხვირს, ნატიფ, კეთილშობილურ, ქალურ ნაკვეთებს, უფრო კეთილშობილურს, ვიდრე მის ქალიშვილს ჰქონდა, ვხედავდი ნიკაპქვეშ ხვლიკის ტყავივით ქაცვიან კანს, დანაოჭებულ საფეთქლებს, მის თვალებს, დაღლილს კი არა, შეძრწუნებულს, უფრო მშვენიერს, ვიდრე ოდესმე.

— ვალტერ, — თქვა მან, — შენ საშინელი ხარ!

ეს მან ორჯერ გაიმეორა.

ვაკოცე.

ჰანამ მხოლოდ თვალში გამიყარა თვალი. ხელები ჩამოვიღე. ის დუმდა. თმაც კი არ შეუსწორებია, დუმდა და დუმილით მითვლიდა წყევლა-კრულვას. შემდეგ მოვიდა ტაქსი.

პერანგის საყიდლად ქალაქში გავედი. უფრო სწორად, პერანგს ჰანა ყიდულობდა, მე ხომ ფული არ მქონდა. ტაქსში ვიცდიდი, არ მინდოდა ჩემი ძველი პერანგით ხალხში გამოვჩენილიყავი. ჰანა გულისამაჩუყებლად იქცეოდა: ერთი წუთის შემდეგ უკან მობრუნდა და ჩემი ზომა მკითხა! შემდეგ ინსტიტუტში მივედი. დაპირების თანახმად, იქ ჰანას „ოპელი“ მისცეს და იმ წუთში ზღვისკენ გავემართეთ ელზბეტის ტანსაცმლისა და ჩემი საფულის, უფრო სწორად, ჩემი პიჯაკის (პირველ რიგში პასპორტის გულისთვის), და ჩემი კინო-აპარატის წამოსაღებად.

საჭესთან ჰანა იჯდა...

დაფნიში, ათენის ახლოს, პატარა ჭალა შეგვხვდა, სადაც შემეძლო პერანგი

გამომეცვალა, მაგრამ ჰანამ უარის ნიშნად თავი გააქნია და გზა განაგრძო. პაკეტი გავხსენი.

სალაპარაკო თემას ვეძებდი.

სიტყვა საბერძნეთის ეკონომიურ მდგომარეობაზე ჩამოვაგდე, ელევსინის შიდამოებთან დიდი საამშენებლო მოედანი დავინახე: „Greek Government Oil Refinery“<sup>1</sup>. აქ ყველაფერი გერმანულ ფორმებს ექვემდებარებოდა, რაც ჰანას ახლა (არც სხვა დროს) არ აინტერესებდა, მაგრამ ღუბილის აუტანელი იყო. მხოლოდ ერთხელ მკითხა:

— ხომ არ იცი, იმ ადგილს რა ჰქვია?

— არა.

— იქნებ თეოდორი.

მართლა არ ვიცოდი, იმ ადგილს რა ერქვა. კორინთიდან ავტობუსით წამოვედი და სადაც ზღვა მოგვეწონა, იქ ჩამოვხტით, ათენიდან სამოცდამეტექვსმეტე კილომეტრზე, ეს კი ვიცოდი. ვეკალიბტების ხეივანში დასმული ფარი დამამახსოვრდა.

ჰანა მღუპარედ იჯდა საჭესთან.

შემთხვევას ვუცდიდი, რომ ახალი პერანგი ჩამეცვა, მანქანაში პერანგის გამოცვლა არ მინდოდა...

გავიარეთ ელევსინი.

მეგარა...

მე ჩემს საათზე ვლაპარაკობდი, საბარგო მანქანის შოფერს რომ მივეცი და საერთოდ დროზე, საათებზე, რომელთაც შეეძლოთ დრო უკულმა დაეტრიანლებინათ...

— სდევ! — ვთქვი მე, — აი, აქ არის...

ჰანამ მანქანა გააჩერა.

— აქ? — მკითხა მან.

მე მხოლოდ ის ადგილი მინდოდა მეჩვენებინა, სადაც ზაბეტი დავასვენე, სანამ მიღებით დატვირთული საბარგო მანქანა გამოივლიდა. ჩვეულებრივი შვერილი იყო, ნარშავეებით დაფარულ კლდეზე აქა-იქ წითლად ღვიოდნენ ყაყაჩოები. შემდეგ ლარივით გაჭიმული გზა მიდიოდა, შავი, ხრეშიანი გულრონით მოგებული გზა, იმ გზაზე ფეხშიშველა გავრბოდი. შემდეგ ზეთისხილით მოჩირდილული ჭა, ქვიანი ყანები და თუნუქით გადახურული თეთრი ქოხები...

მოშუადღევედა.

— თუ შეიძლება, ნელა იარე! — ვთხოვე ჰანას.

ფეხშიშველას უსასრულო რომ მეჩვენებოდა, ის გზა, „თბელით“ ორი წუთის სავალიც არ გამოდგა. სხვა ყველაფერი ისე იყო, როგორც გუშინ. მხოლოდ ხრეშით დატვირთული სახედარშებმული ორთველა აღარ იდგა დისტურნასთან. ჰანა ისედაც დამიჯერებდა, არ ვიცი, რატომ მინდოდა, ყველაფერი მეჩვენებინა. იმ ადგილს, სადაც ორთველა ამოდიოდა, ადვილად მივაგენით, ხრეშს წურწურით გასდიოდა ჭუჭყიანი წყალი, გზაზე ბორბლების ნაკვალევით აშკარად ჩანდა და სახედრის ფეხის კვალიც.

<sup>1</sup> საბერძნეთის სახელმწიფო ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა (ინგლ.).

მეგონა, ჰანა მანქანაში დაიკლდა, მაგრამ იგი გადმოვიდა და ფეხით და-  
ადგა ვახურებულ, გუდრონიან გზას. ჰანა უკან მომყვებოდა, მე იტალიური  
ფიჭვი მოვინახე, შემდეგ ბუჩქნარი გადავიარეთ და ქვემოთ დავეშვი. არ მეს-  
მოდა, რატომ არ უნდოდა ჰანას, მანქანაში დაეცადა.

— ვალტერ — მითხრა მან, — აქ რაღაც კვალი ჩანს!

ეროვნული

განმანათლებელი

მე მგონი, აქ იმისთვის არ წამოვსულვართ, რომ რაღაც შემთხვევითი სის-  
ხლიანი კვალი გვენახა, ჩვენ ჩემი საფულის, პიჯაკის, პასპორტის და ჩემი სა-  
კუთარი ფეხსაცმელების მოსაძებნად ვიყავით წამოსული.

ყველაფერი ხელუხლებლად ეწყო.

ჰანამ სივარეტი მთხოვა....

ყველაფერი ისე იყო, როგორც გუშინ!

მხოლოდ ოცდაათნი საათი გავიდა მას შემდეგ: იგივე ქვიშა, ტალღების  
იგივე სუსტი ტყლაშუნი, იგივე პატარ-პატარა აქორჩილი ტალღები, ერთმანეთს  
რომ ძლივს ეწევიათ, იგივე მზე, ქარიც ისევე უბერავს ბუჩქებში. მხოლოდ  
ჩემს გვერდით ზაბეტის მაგიერ მისი დედაა.

— აქ იბანავეთ?

— ჰო, — ვამბობ მე...

— ლამაზია აქაურობა... — თქვა მან.

საშინელი იყო ამ სიტყვების მოსმენა.

. . . . .

რაც შეეხება უბედურ შემთხვევას, დასამალი არაფერი მქონდა. აქ ზღვა  
თავთხელია. ოცდაათ მეტრზე მაინც უნდა შეხვიდე, სანამ საცურაო სიღრმეს  
მიღწევდე. იმ წუთში, როცა მისი ყვირილი გავიგონე, ნაპირიდან ორმოცდაათ  
მეტრზე მაინც ვიქნებოდი. დავინახე, როგორ წამოხტა ზაბეტი. დავუყვირე,  
რა ამბავია-მეთქი. ზაბეტი მოჰქროდა...

აკროკორონტში უძილოდ გატარებული ღამის შემდეგ ქვიშაზე დავიძინეთ.  
მერე მე წყალში შესვლა და ცოტა ხანს მართო ყოფნა მომიწია. წყალში შეს-  
ვლამდე ზაბეტს მხრებზე თავისივე საცვლები ფრთხილად წავაფარე, რომ არ  
გამომეღვიძებია. მეშინოდა, მზეს არ დაეწვა. ნაპირზე ჩრდილი ცოტაა,  
ერთადერთი ფიჭვი დგას. ჩვენც მის ჩრდილქვეშ მოვიწყვეთ ლოგინს შემდეგ  
კი, როგორც მოსალოდნელი იყო, ჩრდილმა გადაინაცვლა. უფრო სწორად,  
მზემ გადაინაცვლა, და, ეტყობა, ამან გამომაღვიძა, რადგან უცებ ოფლიად გა-  
ვიღვარე. იქნებ შუადღის სიჩუმემ შემაკრთო, შეიძლება რაღაც მესიზმრა, ან  
მომეჩვენა, რომ ნაბიჯების ხმა გავიგონე. მაგრამ არა, ჩვენ მართოდმართონი  
ვიყავით. შეიძლება, ხრეშით დატვირთული ორთვალას ხმა ან ხრეშის ჩხრიალი  
შემომესმა, მაგრამ ვერაფერი დავინახე. ზაბეტს ეძინა, შესაშინებელი არაფერი  
იყო. ჩვეულებრივი შუადღე იდგა, ზღვა მშვიდად ლივლივებდა, მხოლოდ ტალ-  
ღების სუსტი ტყლაშუნი ისმოდა. ხანდახან ტალღები კენჭებს გადაეც-  
ლებოდნენ, აავორებდნენ და მაშინ კენჭებს ჩხრიალი გაჰქონდა. ირგვლივ  
სიჩუმე სუფევდა, მხოლოდ დროდადრო ფუტკარი თუ გაიჩუხუნებდა. გულ-  
ოღნავ აჩქარებით მიცემდა და ცოტა ხანს დავფიქრდი, ცურვა ხომ არ მაწყენს-  
მეთქი. ერთ წუთს ვყოყმანობდი. ზაბეტმა იგრძნო, რომ გვერდით აღარავინ ეწვა  
და გვერდი იბრუნა, მხოლოდ არ გაუღვიძია. კეფაზე ქვიშა დავაყარე, მაგრამ

თვალი არ გაუხელია. ბოლოს და ბოლოს, წყალში შევედი. იმ წუთში, როცა ზაბეტმა დაიყვირა, ორმოცდაათ მეტრზე მაინც ვიქნებოდი ზღვაში გასული.

ზაბეტს პასუხი არ მოუცია, ისე მორბოდა.

ჩემი ხმა გაიგონა თუ არა, არ ვიცი. შევეცადე წყალში ჩავეშენო და ვეღვაწე, დავეუძახე, გაჩერდი-მეთქი, მე კი წყლიდან მუხლმოკვეთილად „ესმის“ ტყუილად თეხებს ძლივს მოვათრევედი.

ზაბეტი კბოდეზე გაჩერდა, ხელი მარცხენა ძუძუსზე ეჭირა და უსიტყვოდ მელოდებოდა. კბოდეზე ამოვბობლდი (ანგარიშს ვერ ვაძლევდი ჩემს თავს, რომ დედიშობილა ვიყავი) და ზაბეტს თანდათან ეუახლოვდებოდი. შემდეგ მოხდა უაზრობა: მან ჩემს დანახვაზე უკან-უკან დაიხია (თუმცა მე მაშინვე შევჩერდი) და კბოდედან პირუკუღმა გადავარდა.

აი, როგორ მოხდა ეს უბედურება.

კბოდე სიმაღლით ორი მეტრი ძლივს იქნება, კაცის სიმაღლეზეა მიწიდან, მაგრამ როცა მივირბინე, ის ქვიშაზე უვონოდ იწვა. ეტყობა, კეფა და-არტყა. მხოლოდ მერე შევამჩნიე ნაკბენი, სამი პაწაწკინტელა სისხლის წვეთი. სისხლი იმ წუთშივე მოეუწმინდე, სასწრაფოდ ჩავიციე შარვალი და პერანგი, ფეხსაცმელები არ ჩამიცვამს, გოგონა ხელში ავიყვანე და გზისკენ გავაქანე, გზაზე კი ისე ჩაიარა „ფორდმა“, ჩემი ძაბილი არ გაუგონია.

სანამ მე ამბავს ვყვებოდი, ჰანა იმ დაწყევლილ ადგილზე იდგა და სიგარეტს ეწეოდა. რაც შემეძლო ზუსტად ავუწერე ყველაფერი, ის კბოდეც ვაჩვენე, თვალს არ ვუჭერებდი, ჰანა მეგობარივით მექცეოდა, თან კარგად მესმოდა, — როგორც დედა, გულში წყევლა-კრულვას მითვლიდა, თუმცა მეორე მხრივ, საღად თუ ვიმსჯელებდით, მე ბრალი არაფერში მიმიძღვოდა.

— წამო, — მითხრა მან, — აიღე შენი ნივთები.

ბავშვის გადარჩენის იმედი რომ არ გვქონოდა, რა თქმა უნდა, ასე ვერ ვილაპარაკებდით.

— იცი თუ არა, რომ ის შენი შვილია? — ამბობს იგი.

მე ეს ვიცოდი.

— წამო, — მეუბნება იგი, — აიღე შენი ნივთები...

ჩვენ ვიდექით, ნივთები ხელში გვეჭირა: მე ჩემი მტვრიანი ფეხსაცმელები მეკავა ხელში, ჰანას კი ჩვენი ქალიშვილის შავი კოვბთური შარვალი.

თვითონ არ ვიცოდი, რისი თქმა მინდოდა.

— წავიდეთ, დროა! — მითხრა მან.

მხოლოდ ერთი შევეკითხე:

— რატომ დამიმალე ეს ამბავი?

პასუხი არ მიმიღია.

ისევ ის ლურჯი ხვატი დგას ზღვაზე, როგორც გუშინ ამ დროს. შუადღეა. ტალღები ზანტად მოგთარავენ ერთიბოროტზე. ნაპირზე მხოლოდ ქაფს ტოვებენ, შემდეგ კენჭების ჩხრიალი ისმის. მერე ერთი წუთით ისადგურებს სიჩუმე და ყველაფერი ისევ თავიდან მეორდება.

ჰანამ ეს სიტყვები პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო.

— შენ გავიწყდება, რომ მე გათხოვილი ვარ..

და კიდევ:

— შენ გავიწყდება, რომ ელზბეტს უყვარხარ...

ძალა არ შემწევდა, ყველაფერი ჩემს თავზე ამელო, მაგრამ რატაც ხსნა, ჩემი აზრით, ყოველთვის შეიძლება იპოვოს კაცმა.

ჩვენ კიდევ დიდხანს ვიდევით.

— ვითომ რატომ არ შეიძლება აქ ვიშოვო სამსახური? — ვამბობ მე. — ინჟინრები ყველგან საჭიროა, ხომ ხედავ, საბერძნეთიც ინდუსტრიალიზაციის გზაზე დგას...

ჰანამ მშვენივრად გაიგო, რა აზრით ვამბობდი ამას, არც რომანტიკული აზრი მამოძრავებდა, არც მორალური, მხოლოდ პრაქტიკული თვალსაზრისით ვმსჯელობდი ასე. ერთად ცხოვრება, საერთო ხარჯები, ერთი ხნის ხალხისთვის არ იქნებოდა ურიგო. ჰანამ ეს იცოდა, სანამ მე მოვიფიქრებდი, მანამდე იცოდა, ოცი წელია ეს იცის; და მაინც ჩემზე მეტად გაოცებული დარჩა.

— ჰანა. — ვეკითხები მე. — რა გაციინებს?

ჩემი აზრით, რატაც მომავალი ყოველთვის არსებობს, ქვეყანა ხომ არ გიჩერდება, ცხოვრება წინ მადის შეუჩერებლად!

— ჰო. — ამბობს იგი, — მიდის, მაგრამ, ალბათ, უჩვენოდ.

მხრებში ჩავჭიდე ხელები.

— წამო! — მეუბნება იგი. — ჩვენ ხომ დაოჯახებული ვართ, ვალტერ, ჩვენ ხომ დაოჯახებული ვართ, არ მომეკაროს!

შემდეგ მანქანასთან მივბრუნდი.

ჰანა მართალი იყო, მე ყველა წვრილმანს ვერასოდეს ვერ ვითვალისწინებდი ხოლმე. ეს დროზე მომაგონა, მაგრამ მაინც მტკიცედ გადავწყვიტე, სამუშაოდ ათენში გადმოვსულიყავი, თუმცა იმ წუთში მეც ვერ წარმომედგინა, ჩვენი ერთად ცხოვრება როგორ მოხერხდებოდა. მიჩვეული ვარ, მანამდე ვეძებო გამოსავალი, სანამ არ ვიპოვი...

ჰანამ საჭესთან დამსვა, „ოპელ-ოლიმპია“ არასოდეს არ მიტარებია. ჰანასაც არ უძინია მთელი ღამე და აბლა თავს ისე მაჩვენებდა, თითქოს ეძინა.

ათენში ყვავილები კიყიდეო.

სამი საათი სრულდებოდა.

მისაღებში გვაცდევინეს, მაგრამ არაფერი გვიაზრია. ჰანამ ყვავილებს ქალღიღადი შემოხსნა...

შემდეგ მოწყალების დის უცნაური სახე შემოგვეფეთა! ჰანა გუშინდელივით ღანჯარასთან მივიდა, უბრაოდ ვდგავართ, არც კი ვიხედებით ერთმანეთისაკენ...

შემდეგ მოვიდა დოქტორი ელოითეროპულოსი.

ლაპარაკობენ ბერძნულად, მაგრამ ყველაფერი მესმის.

ის სამის წუთებზე გარდაიცვალა.

...შემდეგ მის საწოლთან ვდგავართ ჰანა და მე.

პირდაპირ დაუჭერებელია: ჩვენი შვილი თვალდახუჭული წევს, გეგონება სძინავსო, მაგრამ სახე თაბაშირივით თეთრი აქვს. ქათქათა ზეწარში ინაკვთება მისი გრძელი სხეული, ხელები თეძოების გასწვრივ უწყვია, ჩვენი ყვავილები მკერდზე აყრია, ამას ნუგეშისათვის არ ვამბობ, მართლა ასეა.

— სძინავს! — ვამბობ მე. — ჰანას გასაგონად არა, ისე...

ჰანამ უცებ დამიყვირა და მუშტებმოღერებული ჩემ წინ აღიმართა. მას ვეღარ ვცნობ, თავს არ ვიცავ, ვერც კი ვამჩნევ, როგორ გამეტებით მირტყამს მუშტებს სახეში. განა ამით გვეშველება რამე? იგი ყვირის და სანამ ძალა ჰყოფნის; სახეში მირტყამს. ნე თვალბზე ვიფარებ ხელეზს.

დღეს დანამდვილებით ვიცი, რომ ჩვენი ქალიშვილს სიკვდილი გველის უხამს არ გამოუწვევია. შრატმა დროულად და შედეგით დასრულებული სიკვდილის მიზეზი გახდა კეფის ძვლის დიაგნოზდაუსმელი ფრაქტურა — compressio cerebri, რაც იმ პატარა კბოდედან გადმოვარდნამ გამოიწვია. დაძვეებული ჰქონია arteria meningica media, ეგრეთ წოდებული ეპიდურალური ჰემატომა, რომელიც გირურგიული ჩარევის შედეგად (როგორც მოხერხეს) იოლად შეიძლებოდა მოჩენილიყო.

ჩაწერილია კარაკასში,  
21 ივნისიდან 8 ივლისამდე.

### მეორე მაგერება

ათენი. საავადმყოფო.  
ჩანაწერები იწყება 19 ივლისიდან.

ჩემი „ჰერმეს-ბები“ წამართვეს და თეთრ კარადაში ჩაკეტეს. რადგან შუადღეზე საავადმყოფოში მკვდარი საათია გამოცხადებული. იძულებული ვარ, ხელით ვწერო! ხელით წერას ვერ ვიტან, წელზევით გაშიშვლებული ვზივარ საწოლში. ჩემი პატარა ვენტელატორი (ჰანას საჩუქარი) დილიდან საღამომდე ზუზუნებს, ისე სამარისებური სიჩუმეა. დღესაც ორმოცი გრადუსია ჩრდილში! ეს მკვდარი საათი (13.00—17.00) ყველაზე უარესია. თან დღიურის ხაწერად დრო ისედაც ცოტა მაქვს. ჰანა ყოველდღე მნახულობს, ყოველთვის ეკრთები, თეთრ ორფა კარზე კაკუნის ხმას რომ გავიგონებ. შავებში ჩაცმული ჰანა ჩემს თეთრ ოთახში შემოდის. რატომ არ ჯდება არასდროს? ყოველდღე დადის საფლავზე და ინსტიტუტში, აი ეს არის სულ, რაც ჰანაზე ვიცი. ის ღია ფანჯარასთან დგას, მე კი იძულებული ვარ ვიწვე. მისი დუმილი ნიღვებს მიშლის. შეუძლია თუ არა მაპატიოს ყველაფერი? შემიძლია რამე გამოვასწორო?

არც ის ვიცი, ჰანა მას შემდეგ რას აკეთებს. სიტყვა არ თქმულა ამაზე. ვკითხვ, რატომ არ ჯდება-მეთქი. ჰანასი საერთოდ არ მესმის, მისი ღიმილი, როცა ვეკითხები რამეს, მისი მზერა ჩემს მიღმა, ხანდახან შიშს მგვრის. მეშინია, ჭკუაზე არ შეცდეს. ექვსი კვირა გავიდა იმ დღიდან.

#### S. VI. ნიუ-იორკი.

ჩვეულებრივი Saturday-party<sup>1</sup> ვილიამსთან.

წასვლა არ მინდოდა, მაგრამ იძულებული ვიყავი, თუმცა არა, კერავინ ვერ

<sup>1</sup> თავშეყრა შაბათ საღამოს (ინგლ.).

დამაძალებდა. მაგრამ მაინც წავედი. ადგილს ვერ ვპოულობდი. საბედნიეროდ, ცნობა მაინც დამიხვდა. ვენესუელასათვის განკუთვნილი ტურბინები ბოლოს და ბოლოს, მონტაჟისათვის მზად არისო, მაშასადამე, რაც შეიძლება სწრაფად უნდა ვავფრენილიყავი... ჩემს თავს ვეკითხებოდი, გავართმევდი კი თავს დავალებას? როცა ვილიამსმა, ამ ობტიმისტმა კაცმა, ხელი მხარზე დამადო, თავი დავუქნიე, მაგრამ ჩემს თავს მაინც იგივეს ვეკითხებოდი.

— Come on, Walter, have a drink!<sup>1</sup>

ხან ვისთან ვდგავარ და ხან ვისთან...

— Roman Holidays, oh, how marvellous!<sup>2</sup>

არავისთვის არ მითქვამს, რომ ქალიშვილი მომიკვდა, რადგან არავინ არ იცოდა ჩემი ქალიშვილის არსებობაც კი. არც სამგლოვიარო ბაათი მიკვთია ლილკილოში, არ მანდა ვინმემ მკითხოს რაიმე, ეს ამბავი არავის საქმე არ არის.

— Come on, Walter, another drink!<sup>3</sup>

უზომოდ ბევრს ვსვამ...

— Walter has trouble, — ყველას გასაცონად ამბობს ვილიამსა, — Walter can't find the key of his home!<sup>4</sup>

ვილიამსის აზრით, მე რაიმე რაღაც უნდა ვითამაშო. სჯობია კომიკური, ვიდრე არავეითარი. ხომ არ შეიძლება კაცი ასე იდგე კუთხეში და ნუშს აკნატუნებდე.

— Fra-Angelico, oh, I just love it!<sup>5</sup>

ყველას ჩემზე მეტი ესმის...

— How did you enjoy the masaccio fresco?<sup>6</sup>

არ ვიცი, რა ვუპასუხო...

— Semantics! You've never heard of semantics?<sup>7</sup>

თავი იდიოტა მგონია...

მე სასტუმროში ვცხოვრობდი ტაიმს-სკვერზე. ჩემი გვარი ჯერ კიდევ ეწე-რა ბინის კარზე, მაგრამ მეკარემ გასაღებზე არაფერა იცოდა. აივის იგი მისთვის უნდა ჩაეპარებინა.

ჩემს საკუთარ კარზე დავრეკე. თავს უმწეოდ ვგრძნობდი. ყველაფერი ღიაა: დაწესებულებებიც, კინოებიც და მიწისქვეშა რკინიგზაც, მხოლოდ ჩემი ბინაა დაკეტილი. დროის მოსაკლავად საექსკურსიო კატერით გავისეირნე. ცათამბჯენები საფლავის ქვეშ მაგონებდა (ეს აღრეც ასე იყო), რებროდუქტორს მივუგდე ყური: როკფელერის ცენტრი, ემპაირ სტეიტ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობა და ასე შემდეგ. ყურს ისე ვუგდებდი, თითქოს მანპეტენში თერთმეტი წელი არ მეცხოვროს. შემდეგ კინოში წავედი, მერე კი ჩვეულებისამებრ, მიწისქვეშა რკინიგზით წავედი შინ: ექსპრესი პირდაპირ კოლუმბიის მოედნამდე მიდის. სადგურ „ინდეპენდენტიდან“ ჩემს სახლთან უფრო

<sup>1</sup> მოდი, ვალტერ, დაკლიათ (ინგლ.)

<sup>2</sup> შეებულების რომში გატარება რა კარგია (ინგლ.)

<sup>3</sup> მოდი, ვალტერ, თითო-თითო კადეც დაკლიათ (ინგლ.)

<sup>4</sup> ვალტერს უსაანოვნება შეეძებვა, თავისი ბინის გასაღებს ვერ პოულობს (ინგლ.)

<sup>5</sup> ფრა-ანჯელიკო, — თ, მე მას ვაღმერთებ (ინგლ.)

<sup>6</sup> როგორ მოგეწონათ მასაციოს ფრესკები? (ინგლ.)

<sup>7</sup> სემანტიკა, რა, სემანტიკა ჯერ არ გავიცინიათ? (ინგლ.)

ახლოს ამოვიდოდი, მაგრამ თერთმეტი წელი ასე დავდიოდი და ჩვეულებას ახლაც არ ვუღალატე. კოლუმბიის მოედანზე ამოვედი და ჩვეულებისამებრ, ჩინურ სამრეცხაოში შევიარე, იქ ჯერ კიდევ ვახსოვდი ხალხს.

— ჰელო, მისტერ ფეიბერი! — ჩემი სამი პერანგი რამდენიმე თვეა მელოდა. პერანგები გამოვიტანე, ისევ სასტუმროში დავბრუნდი, ესეც არაფერი მესაქმებოდა და მრავალჯერ ავკრიფე ჩემი საკუთარი ნომერი, ყველა უნდა, უშედეგოდ. შემდეგ კი, სამწუხაროდ, აქ აღმოვჩნდი.

— Nice to see you<sup>1</sup>, — და ა. შ.

მანამდე გარაჟში გავიარე. მინდოდა გამეგო, ჩემი „სტუდენტური“ კიდევ არსებობდა თუ არა, მაგრამ კითხვაც არ დამჭირვებია, შორიდანვე მომხვდა თვალში შავ „ბრენდმაუერებში“ ჩამდგარი ჩემი პომადისფერი „სტუდენტური“.

შემდეგ, როგორც ვთქვი, აქეთ გამოვემართე.

— Walter, what's the matter with you?<sup>2</sup>

ეს შაბათის თავყრილობები, კაცმა რომ თქვას, ყოველთვის მეჯავრებოდა. ვონებაამახვილობის ნიჭი არა მაქვს მომადლებული, მაგრამ ამის გამო არავის ხელის ჩამოდება არ მეპრობანება ჩემს მხარზე...

— Walter, don't be silly!<sup>3</sup>

ვიცოდი, დავალებას თავს ვერ გავართმევდი. ისიც ვიცოდი, რომ მოვრალი ვიყავი. მათ ეგონათ, ამას ვერ ვამჩნევდი... ჩემი ხუთი თითივით ვიცნობ ამ ხალხს. წახვალ და არც მოჯისაკლისებენ. უკვე იქ აღარ ვიყავი. ტაიმს-სკვერზე მივდიოდი (იმედი მქონდა, რომ უკანასკნელად), მინდოდა რომელიმე ჯიხურში ჩემი ნომერი ამეკრიფა — დღესაც ვერ ვამიგია, როგორ აიღო ვიღაცამ ყურმილი.

— This is Walter<sup>4</sup>, — ვთქვი მე.

— Who?<sup>5</sup>

— ვალტერ ფაბერი, — ვეუბნები მე, — this is walter Faber.

ვერ მცნობენ.

— Sorry!<sup>6</sup> — ვეუბნები მე.

ალბათ, ნომერი შეშეშალა. ვიღებ მანქეტენის ჟუარმაზარ წიგნს, ჩემს ნომერს ვპოულობ და კიდევ ერთხელ ვრეკავ.

— Who's<sup>7</sup> calling?<sup>7</sup>

— Walter, — ვეუბნები მე, — Walter Faber.

იგივე ხმა მპასუხობს. ერთი წუთით ენა ჩამივარდა. არაფერი მესმის.

— Yes, what do you want?<sup>8</sup>

კაცმა რომ თქვას, რა მომივა, რომ ვუპასუხო. გამბედაობას ვიკრეფ, სანამ ის ყურმილს დაკიდებდეს და ლაპარაკის გაბმის მიზნით ნომერს ვეკითხები.

<sup>1</sup> მიხარია, რომ გხედავთ (ინგლ.).

<sup>2</sup> ვალტერ, რა დაგემართათ (ინგლ.).

<sup>3</sup> ვალტერ, ნუ სულელობთ (ინგლ.).

<sup>4</sup> მე ვალტერი ვარ (ინგლ.).

<sup>5</sup> ვინ? (ინგლ.).

<sup>6</sup> უკაცრავად (ინგლ.).

<sup>7</sup> ვინ ლაპარაკობა? (ინგლ.).

<sup>8</sup> რა გნებავთ? (ინგლ.).



— Yes, this is Trafalgar 4-55-71<sup>1</sup>.

მთვრალი ვარ.

— That's impossible!<sup>2</sup>—ვეუბნები მე...

შეიძლება ჩემი ბინა გაქირავებულია, შეიძლება ნომერი ~~შეიცვალა~~, ყვე-  
ლაფერი შესაძლებელია, ამას კარგად ვხვდები, მაგრამ საქმეს რას შეეღის.

— Trafalgar 4-55-71, — ვეუბნები მე — that's me!<sup>3</sup> ~~ერეკუნული~~

მესმის, როგორ აფარებს ყურმილს ხელს და ვილაცას ~~რუგბა~~ ~~ქეცხმარა~~ ~~აგება~~  
(აივის ხომ არა?), სიცილის ხმაც კარგად მესმის:

— Who are you?<sup>4</sup>

მე კითხვითვე ვპასუხობ:

— Are you Walter Faber?<sup>5</sup>

ბოლოს მან ყურმილი დაკიდა, მე ბარში დავჯექი, თავბრუ მეხვეოდა,  
ვისკის ველარ ვიტან. შემდეგ ბარქმენს ვთხოვე მისტერ ვალტერ ფაბერის ნო-  
მერი მოენახა და ამ ნომერზე დაერეკა. მან ნომერი აკრიფა და ყურმილი  
მომაწოდა. მესმოდა გრძელი 'ხუმერი, როგორც იქნა, ყურმილი აიღეს

— Trafalgar 4-55-71, ალო?

ისე დავკიდე, ხმა არ ამომიღია.

...  
ოპერაცია სატკივარს სამუდამოდ მომაცილებს. სტატისტიკის თანახმად,  
ამგვარი ოპერაცია 100-დან 94,6 შემთხვევაში კეთილად მთავრდება. მე მხო-  
ლოდ ეს უსასრულო ცდა მანერვიულებს. ავადმყოფობას მიჩვეული არა ვარ.  
მანერვიულებს ჰანას ნუგეშისცემაც, მას ხომ სტატისტიკისა არაფერი სჯერა.  
მე მართლა საესებით იმედიანად ვარ, თან გახარებულნიც, რომ ოპერაცია არც  
ნიუ-იორკში, არც დიუსელდორფში და არც ციურიჰში არ გავაკეთებინე. ჰანას  
უნდა ვხედავდე, მას უნდა ველაპარაკებოდე. წარმოდგენა არა მაქვს, ჰანა ამ  
ოთახის გარეთ რას აკეთებს. ჭამს? სძინავს? ის ყოველდღე დადის ინსტი-  
ტუტში (08.00—11.00 და 17.00—19.00) და ყოველდღე დადის ჩვენი ქალიშვი-  
ლის საფლავზე. ამას გარდა? ჰანას ვეხვეწები, დაჯდეს. რატომ არაფერს მეუბ-  
ნება? დაჯდება და, წუთიც არ გავა, რაღაც დავარდებ, ან საფერფლე ან კვესი,  
ნივთის ასაღებად წამოდგება ხოლმე და მერე კვლავ ფეხზე დგომას ამჯობი-  
ნებს. თუ ვსულვარ, მაშინ რატომ მოდის? ბალიშს მისწორებს. კიბო რომ  
მჭირდეს, მაშინვე გამჭრიდნენ, ეს ლოგიკური ამბავია, ჰანას ასეც ავუხსენი  
და ვგონებ, დავარწმუნე კიდეც.

დღეს ნემსს არ მიკეთებენ.

ჰანა ცოლად უნდა შევირთო.

### 9. VI. გაფრენა კარაკასში.

ამჯერად იუკატანში მიაბრძნა და მერიდას გავლით მივფრინავ, იქიდან თით-  
ქმის ყოველდღე ვადის რაიმე კარაკასის მიმართულებით, მაგრამ მერიდაში  
ვიჩხირები (კუჭი მტკივა)...

<sup>1</sup> დიას — ტრაფალგარ — 4-55-71 გახლავთ (ინგლ.).

<sup>2</sup> შეუძლებელია (ინგლ.).

<sup>3</sup> ეს ჩემი ნომერია (ინგლ.).

<sup>4</sup> ვინ ბრძანდებით (ინგლ.).

<sup>5</sup> თქვენ ვალტერ ფაბერი ხართ? (ინგლ.).

შემდეგ ისევ კამპეჩეში ვარ.

მერიდიდან კამპეჩემდე ექვსსაათნახევრის სავალია ავტობუსით. პატარა სადგურში ვიცდი.

ვიწრო ლიანდაგის შპალებს შორის კაქტუსებია ამოხსული. ვმჩუქნები თვის წინ აქ ჰერბერტ ჰენკესთან ერთად ველოდებოდი მატარებელს. ჩვენ ველოდებოდათ თავი კედელზე მაქვს მიყრდნობილი, ფეხებგაჩახული ვდგავარ და თითქოს პალუცინაცია მეწყება, თვალწინ მიდგას ყველაფერი, რაც იმ დღიდან გადამხდა თავს. აქ არაფერი შეცვლილა:

ლორწოვანი ჰაერი...

თევზისა და ანანასის სუნნი...

გაძვალტყავებული ძაღლები...

მკვდარი ძაღლები, რომლებსაც არავინ მარხავს. ბაზარში სახურავებზე აურები სხედან, პაპანაქება სიცხება, ზღვიდან შემორის სუნნი მოდის, გაბურული მზე ზღვაზე აცხუნებს, ხმელეთზე კი შავ ღრუბლებში კვარცის ნათურის შუქვით მოლურჯო-მოთეთრო ციაცო კაშკაშებს.

ისევ რკინიგზით ვმგზავრობ!

პალენკეს დანახვამ პირდაპირ გამახარა. ყველაფერი ძველებურად დამხედა: ჰამაკებიანი ვერანდა, ჩვენი ლუდი, ჩვენი თუთიყუშიანი პინტე. აქაურებმა მიცნეს, ბავშვებსაც კი არ დავვიწყებოვარ. ვყიდულობ და ვარიგებ მექსიკურ ტკბილეულს, ერთხელ ნანგრევებისკენაც კი გავისეირნე, იქაც უცვლელად დამიხვდა ყველაფერი, კაციშვილი არ ჭაჭანებდა, ჩიტებიც ძველებურად უიფვივებდნენ. ყველაფერა ზუსტად ისეა, როგორც ორი თვის წინათ იყო. პალენკეს დიზელ-მოტორი რომ ჩაჩუმდება, ღამეც კი ისეთივეა: ვერანდის წინ დაბმული ინდაურა ყოველ გაელვებაზე ისევ ისე ლოყლოყებს, შავი ნეზვიც ისევ ისე ღრუტუნებს. არემარეს ბამბის ქულასავით თეთრი მთვარე ანათებს და საღლაც ცხენი ბალახობს.

ყველგან თან მდევს უნაყოფო ფიქრი:

ნეტავ ის დღეები დააბრუნა! მხოლოდ ორი თვის წინანდელი დღეები, ორი თვისა, რომელსაც აქ არაფერი შეუცვლია. რატომ არ შეიძლება აპრილი იყოს ახლა, სხვა ყველაფერი კი ჩემი პალუცინაცია?

შემდეგ მარტო ვზივარ „ლენდროვერში“.

ველაპარაკები ჰერბერტს.

ველაპარაკები მარსელს.

ვბანაობ რიო უსუმანკინტაში, მხოლოდ ის მეჩვენა შეცვლილი. მდინარე ახლა უფრო წყალუხვია, ზედაპირზე ბუშტულებიც აღარ ჩანს, რადგან უფრო სწრაფად მიედინება. ახლა კი საეჭვოა, ამ მდინარეში „ლენდროვერით“ შევიდეს კაცი და არ ჩაიხრჩოს...

მანქანა გაღმა გავიდა.

ჰერბერტი შეცვლილა. ამას ერთი შეხედვითაც შეატყობდა კაცი. წვერი მოუშვია, გარდა ამისა, უნდოც გამხდარა.

— ადამიანო, აქ რა გინდა?

ჰერბერტს ჰგონია, მე მისი ოჯახის ან, უფრო სწორად, მისი ფირმის დავალებით ჩამოვედი, რომ დიუსელდორფში წავიყვანო. არაფრით არ დამი-

გერა, შენს სანახავად ჩამოვედი-მეთქი რომ ვუთხარი. მაგრამ ეს ასეა. მე არც ისე ბევრი მეგობარი მყავს.

სათვალე გაუტეხია.

— მერე რატომ არ შეაკეთებ?— ევკიოთხები მე.

სათვალე შეფუცეთე...

კოკისპირულად წვიმს. ბარაკში ისე ვზივართ, როგორც ნოემბერში ვზივართ უსინათლოდ, რადგან ბატარეა, რომელიც ერთ ღრმშია ჩაშენებული კვებავდა, დიდი ხანია გამთლეულა. ჰერბერტს ქვეყნის ამბები მაინც არ აინტერესებს, არც გერმანიის ამბავი აინტერესებს; არც გოტინგენის პროფესორების მოწოდებანი; პირად საქმეზე ხომ არაფერს ვამბობ.

მისი „ნეში“ მოვიკითხე.

ჰერბერტი მას შემდეგ აღარ ყოფილა პალენკეში.

ხუთი კასრი ბენზინი ჩამოვუტანე. წასვლა მაინც შესძლოს, როცა მოუნდება. მაგრამ ის თურმე არც კი ფიქრობს აქედან დაძვრაზე.

ჰერბერტი იჯლანება.

ჩვენს ერთმანეთს სულ ველარ ვუგებთ.

აქ დენი არ არის და ჰერბერტს ეცინება, მე რომ ძველი სამართებლით ვიპარსავ პირს, ეცინება, წვერი რომ მაწუხებს, ეცინება, წასვლა რომ მიწდა. თვითონ არაერთარი გეგმები არ გააჩნია!

მისი „ნეშ—55“ ისევ ისე იდგა ფოთლებით გადახურულ ჩარდახქვეშ, გასაღებიც კი ისევ ისე ეკეთა. ეტყობა, ამ ინდიელებმა არც კი იციან მოტორის ამუშავება, მანქანას გაფუჭებული არაფერი ჰქონდა, მაგრამ ისეთი გავერანგებული იყო, მაშინვე ხელები დავიკაპიწე.

— შენ თუ გეხალისება, გააკეთე! — მითხრა მან.

თვითონ გუანებზე სანადიროდ წავიდა.

მოტორი წვიმისგან მთლად შლამითაა ამოტენილი, ყველაფერი გასასუფთავებელია, ყველაფერი დანაგვიანებული და გათხუპნული; მანქანის ზეთში არეული ყვავილების მტვერი დამპალა და შმორის სუნს გამოსცემს, მაგრამ მე მიხარია, საქმე რომ გამომიჩნდა...

ირგვლივ მაიას ტომის ბავშვები მასეგია.

მთელი დღეები არ მცილდებიან, უყურებენ, როგორ ვშლი მოტორს, მიწაზე ბანანის ფოთლები მაქვს გაფენილი და ზედ მანქანის ნაწილები მიწყვია... ელაფს, მაგრამ არ წვიმს.

ინდიელი დედებიც მომშტერებიან, ეტყობა, ისინი განუწყვეტლივ შობენ ბავშვებს, ყავისფერ მკერდზე მიკრული ჩვილები გამობერალ მუცელზე უზით. ასე დგანან, სანამ მოტორს ვწმენდ და უსიტყვოდ მომშტერებიან, მე ხომ მათი ინჩიბინჩი არ გამეგება.

ჰერბერტს გუანების აცმა მოაქვს...

გუანები ცოცხლები არიან, მაგრამ სანამ ხელს არ შეაბებ, გატრუნული წვანან, მწარე კბენა იციან და ხვლიკისებური პირი ჩალითა აქვთ აკრული. მობარშულ გუანებს ქათმის ხორცის გემო აქვს.

სალამოს ჰამაკებში ვწევართ.

ლუდი არა გვაქვს. ესვამთ ქოჭოსის რძეს...

ციაგი ანათებს.



მეშინია, ისეთი რაიმე არ მოიპაროს ვინმემ, რასი შეცვლაც შეუძლებელია, ჰერბერტი სულ არ დელავს. დარწმუნებულია, ისინი მანქანის ნაწილებს ხელს არ ახლებენო, რის ჯანყი, რა ჯანყი, ბეჯითადაც კი მუშაობენო, ამბობს ჰერბერტი, თურმე უსიტყვოდ ემორჩილებიან თავიანთ ბატონს, თუმცა დარწმუნებული არიან, რომ მათი შრომა წყალშია გადაყრილი.

ჰერბერტი იჯლანება.

ვერმანული სიგარების მომავალი!

ჰერბერტს ვეკითხები, მაინც რას ფიქრობ, აქ დარჩენას აპირებ, თუ დიუსელდორფში დაბრუნებას, რა გეგმები გაქვს-მეთქი.

— Nada! <sup>1</sup>

ერთხელ ვუთხარი, ჰანას შევხვდი, მის ცოლად შერთვას ვაპირებ-მეთქი. მაგრამ არც კი ვიცო, გაიგონა თუ არა.

ჰერბერტი ინდიელს დამსგავსებია.

პაპანაქება სიცხეა...

ციცინათელები...

თითქოს ორთქლის აბანოში იჯდე, ისე მოგდის ოფლი.

მეორე დღეს წვიმდა. მოულოდნელად წამოვიდა თქეში, სულ თხუთმეტი წუთი იწვიმა. შემდეგ ისევ გამოანათა მზემ, მაგრამ ყავისფერი წყლის გუბეები დადგა. მე კი „ნეში“ ჩარდახიდან გარეთ გამოვიგორე, მანდოდა სუფთა ჰაერზე შემუშავა. რა ვიცოდი, თუ მაინცდამაინც იქ ვაჩნდებოდა დიდი გუბე.

ჰერბერტს ეცინებოდა, მე კი სასაცილოს ამაში ვერაფერს ვხედავდი. წყალი მანქანას ღერძამდე სწვდებოდა, მოტორის ნაწილებზე ხომ აღარ ღირდა ლაპარაკი. ისინი მიწაზე მქონდა გაშლილი. შეეძრწუნდი, ეს რომ დავინახე. ჰერბერტმა დასამშვიდებლად ოცი ინდიელი მომცა, თვითონ კი ისე იქცეოდა, თითქოს მთელი ეს ორომტრიალი მას არ ეხებოდა. მთელი დღე მხოლოდ მოტორის ნაწილებას ძებნაში დავკარგე. ტალახში დავაბოტებდი, თბილ ტლაპოში ვურევდი ხელს და ისე ვეძებდი ნაწილებს, მარტო მე, ჰერბერტი არავითარ ინტერესს არ იჩენდა.

— თავი დაანებე! — მითხრა მან მხოლოდ. — რა საჭიროა?

ოც ინდიელს თხრილები გავაყვანინე, ბოლოს და ბოლოს წყალი იქნებ დაწრეტილიყო. მხოლოდ ასე თუ ვიპოვიდი დანარჩენ ნაწილებს. ეს საკმაოდ ძნელი საქმე გამოდგა. ზოგი ნაწილი უკვე სამუდამოდ ჩაკარგულიყო შლამში.

ჰერბერტი ყოველ ორ სიტყვაზე იმეორებს: „Nada!“

ბეუტურში ხელს არ ვუშლიდი, პასუხს არ ვაძლევდი. უმანქანოდ ჰერბერტი დაიღუპებოდა. თავს ძალას ვატანდი, რომ მისი გუნება არ გადმომდებოდა და თავწაღუნული ვმუშაობდი.


— უმანქანოდ რა გეშველება? — ვუთხარი მე.

როგორც იქნა, ავაწყვე მოტორი და ავამუშავე კიდევ. ჰერბერტმა მხოლოდ ჩაიციხა, „ბრავოს“ მეტი არაფერი უთქვამს. მხარზე ხელი დამკრა და დაუმატა: ახლა ეს „ნეში“ შენთვის მიჩუქებია, მე რაში მჭირდებაო.

ჰერბერტის ჭკუაზე მოყვანა შეუძლებელი იყო: იგი მოძრაობის მომწესრიგებელი პოლიციელივით იდგა, სანამ მე საჭეს ვუჯექი და მორეებზე შეყენებულ აწყობილ მანქანას გამოწმებდი.

<sup>1</sup> არავითარი (ესპ.).

ირგვლივ მაიას ტომის ბავშვები გვეხვივნენ, თუთრპერანგიან დედებს ჩვილი ბავშვები მიეკრათ მკერდზე; მერე კაცებიც გამოჩნდნენ, მაგრამ ისინი ტევრს არ გამოსცილებიან. ყველას თამბაქოს საჭრელი მოღუნული დანები ეჭირა ხელში. აჭაურებს მოტორის ხმა დიდი ხანია არ გაეგონათ. მოტორი ჩავრთე. მანქანის ბორბლები ჰაერში დატრიალდა. პერბერტი მანიშნებს: „სადექ! ვამუხრუჭებ, ვაძლევ სიგნალს, პერბერტი ხელს სწევს: ვზა ვახმრუნქ“ (წვილი-ლები (ისინი თანდათან ბლომად შეგროვდნენ) თვალდაჭყეტს და სწევს) ჩვენს მაიმუნობას, არცკი იცინიან, უსიტყვოდ დგანან და მოწიწებითაც შემოგვეცქერიან, ჩვენ კა (კაცმა რომ თქვას, რასთვის?) დიუსელდორფში შოფრობანას და პოლიციელობანას ვთამაშობთ.



დისკუსია ჰანასთან! ჰანას თქმით, ტექნიკა არის ერთგვარი ხერხი, რომელიც საშუალებას იძლევა, ისე მოაწყო ეს ქვეყანა, რომ ადამიანმა განცდის უნარი დაკარგოს. ტექნიკოსს უნდა სამყარო მას ემსახურებოდეს, მაგრამ თვითონ, როგორც პარტნიორი, სუსტია; ტოლს ვერ უდებს მას. ტექნიკოსს უნდა სამყაროს დაძლევის გზით შექმნას ახალი სამყარო, მაგალითად, ცხოვრების ტემპის შეცვლით მიადწიოს იმას, რომ ადამიანი განცდას გადაეჩვიოს (რას გულისხმობს ჰანა ამაში, არ ვიცი). ტექნიკა სამყაროსაგან განკერძოებით დგას (რას გულისხმობს ჰანა ამაში, არ ვიცი). ჰანა არ მსაყვედურობს, მას წარმოუდგენლად არ მიაჩნია ჩემი ურთიერთობა ზაბეტთან. მე, ჰანას აზრით, ცხოვრებაში სხვა დროსაც მქონია ისეთი ურთიერთობა, რომელსაც ვერ ჩავწდომივარ, მცდარად შემოიფასებია იგი და თავისთვის ჩამიგონებია, შეყვარებული ვარ-შეთქი. ეს შემთხვევითი შეცდომა არ ყოფილა. ეს შეცდომა ჩემთვის ისეთივე ორგანულია, როგორც ჩემი პროფესია, როგორც მთელი ჩემი ცხოვრება. ჩემი შეცდომა ის არის, რომ ჩვენ, ტექნიკოსები, ვცდილობთ სიკვდილი უგულვებელყოთ. სიტყვა სიტყვით: შენ ცხოვრებას უყურებ არა როგორც ერთ მთლიან ფორმას, არამედ როგორც შეკრებას. ამიტომ არ გაგაჩნია დროისა და სიკვდილის გრძნობა. ცხოვრება არის დროის ფარგლებში მოქცეული ფორმა. ჰანა აღიარებს, ჩემი ნათქვამის ასსნა არ შემოიძლიათ. ცხოვრება მხოლოდ მატერია კი არაა, რომ ის ტექნიკამ დასძლიოს. ჩემი შეცდომა ზაბეტთან განმეორებაა, მე ისე ვიქცეოდი, თითქოს არავითარი ასაკი არ არსებობდეს ამქვეყნად. აქედან გამომდინარე, ვიქცეოდი ბუნების საწინააღმდეგოდ, ჩვენ არ ძალგვიძს ასაკის უგულვებელყოფა, თუნდაც ლეიძლი შვილები შევირთოთ ცოლად.

## 20. VI. ჩამოვედი კარაკასში.

ბოლოს და ბოლოს საქმე მოგვარდა. ტურბინებიც ჩამოიტანეს და საჭირო მუშახელიც გამოიძებნა. სანამ შემეძლო, თავს ძალას ვატანდი და ახლა, როცა მონტაჟი ბოლოს და ბოლოს დაიწყო, კუჭის ტკივილის გამო მწყობრიდან გამოვედი. ბედმა მიმუხთლა, მაგრამ რას ვიზამდი. რაც შეეხება ჩემს წინანდელ ჩამოსვლას (15 და 16. IV), მაშინ მე ღმერთივით ვიყავი, მაგრამ საქმეები იყო აწეწილ-დაწეწილი. ავადმყოფობის გამო მონტაჟს თავზე ვერ ვადექი. სასტუმროში ორ კვირაზე მეტხანს ვიწექი, ხუმრობა ხომ არაა. იმედი მქონდა, კარაკას-

ში ჰანასგან წერილს მივიღებდი. ათენში გაგზავნილ დებეშაზე პასუხი არ მი-  
მიღია. მინდოდა ჰანასთვის წერილი გამეგზავნა, ბევრჯერ წამოვიწყე წერა,  
მაგრამ არ ვიცოდი, ჰანა სად იყო გადაკარგული. სხვა აღარაფერი დავრჩენოდა  
(რაც ხომ უნდა შეკეთებინა ამ სასტუმროში) და უმისამართო პატაკის წერას  
შევუდექი.

ბ ი ზ ლ ი მ ი თ ე ჯ ა

მონტაჟი უჩემოდაც წესიერად მიმდინარეობდა.



მოწყალების დამ, როგორც იქნა, მომიტანა სარკე. მე ყოველთვის გამხდარი  
ვყავი, მაგრამ ასეთი გაღუული ჩემი თავი არ მახსოვს. ნესტიან აკლდამებს  
რომ გვიჩვენებდა, იმ ბებერი პალენკელი ინდიელივით ჩამომხმარი არასოდეს  
არ ვყოფილვარ. ცოტა მართლა შევშინდი. სარკეში, ჩვეულებრივ, პირის გაპარ-  
სვის დროს თუ ვიხედები. თმას უსარკოდ ვივარცხნი, მაგრამ ადამიანმა ყო-  
ველთვის იცის, როგორ გამოიყურება, უფრო სწორად, როგორ შეიძლება გა-  
მოიყურებოდეს. ცხვირი ყოველთვის გრძელი მქონდა, აი, ყურები კი არას-  
დროს არ მომხვედრია თვალში. მართალია, უსაყულო პიჟამო მაცვია, რაც  
თავისთავად გრძელ კისერს მიჩენს, მაგრამ წინათ თავს რომ მოვატრიალებდი,  
ეს ძარღვები და მათ შორის გაჩენილი ღრმულები თვალში არ მხვდებოდა.  
ყურები თავგადახოტრილი პატიმარივით დიდი მიჩანს. სეროიზულად ვერც კი  
წარმოვიდგენ, რომ თავი შეიძლება დამპატარავებოდა. ჩემს თავს ვეკითხები,  
ცხვირი უფრო სიმპათიური ხომ არ გამიხდა-მეთქი და იმ დასკვნამდე მივდივარ,  
რომ ცხვირი არასოდეს არ შეიძლება იყოს სიმპათიური. ცხვირი საერთოდ  
აბსურდული რამ არის, პირდაპირ უწინააღმდეგე კი. ალბათ, პარიზში (ორი თვის  
წინ) ასეთი შესახედავი ნამდვილად არ ვიყავი, თორემ ზაბეტი იპერაში არ  
გამომეყვებოდა. კანზე ახლაც საკმაოდ მატყვია მზის კვალი, მხოლოდ კისერი  
მაქვს უფრო ღია ფერის. კისერზე გაპუტული ქათამივით მაჩნია ფორები, ჩემი  
პირი რატომღაც სიმპათიური მეჩვენება, განსაკუთრებით პირი და თვალები.  
თვალები თაფლისფერი კი არ მქონია, როგორც აქამდე მეგონა (პასპორტში  
ასე მიწერია), არამედ მომწვანო-მოწაფრისფრო. სხვა ნაკვთები ისეთივე მაქვს,  
როგორც ყველას, ვინც მუშაობით არის გადაღლილი. აი, კბილებს კი მთელი  
სიცოცხლე წყევლა-კრულვას ვუთვლიდი. როგორც კი ფეხზე დავდგები, კბი-  
ლის ექიმთან წავალ, ქვების გამო, იქნებ გრანულემის გამოც. ტკივილი არ  
მაწუხებს, მაგრამ ყბაში პულსაციას კი ვგრძნობ. თმას მუდამ მოკლედ ვიკრი-  
ქავდი, ასე უფრო პრაქტიკულია, თმა არც საფეთქლებზე შემთხლებლია ჯერ და  
არც კეფაზე. ქალბა, კაცმა რომ თქვას, უკვე დიდი ხანია გამომერია, თმა-  
შევერცხლილი ქერა ვარ, მაგრამ ეს სულაც არ მაწუხებს. აი ასე, ვულაღმა რომ  
ვწევარ და სარკეში ვიხედები, ისეთივე ვარ, როგორიც ვიყავი, მხოლოდ ოდნავ  
უფრო გამხდარი, რაც ალბათ დიეტის ბრალია. იქნებ ჟალუზებიდან შემოსული  
მკრთალი სინათლის ბრალიცაა, ფერმკრთალი რომ ვჩანვარ, გარუჯული კანის  
ქვეშ სახე თეთრი კი არა, ყვითელია. მხოლოდ კბილების საქმე მაქვს ცუდად,  
კბილების ყოველთვის მეშინოდა. რა არ ვიღონე, მაგრამ კბილები მაინც მი-  
ფუჭდება. საერთოდ რას წარმოადგენს ადამიანი! კონსტრუქციას კიდევ არა

უშავს, მაგრამ მასალისა რა მოგახსენოთ: ხორცი მასალა კი არა, რაღაც ჯან-  
დაბაა.

P. S. მე მგონია, ამდენი სოცდლილიანობა, რაც საუკუნის ამ ბოლო მეო-  
თხედშია, არასოდეს არ ყოფილა. დღეს პროფესორი თ-ს მკვლელობა, ერთი  
კვირის წინ არ იყო, ციურისში პირადად რომ ვესაუბრე?

P. P. S. ეს-ესაა გავიპარსე პირი, შემდეგ მასაჟი ვეგეტარიანულია,  
რას არ გამოიგონებს კაცი უსაქმურობისაგან. სწშიში არაფერია, მხოლოდ მოძ-  
რობა და სუფთა ჰაერი მაკლია, ეს არის და ეს.



9—13. VII. კუბაში ვარ.

აი, როგორ მოვხვდი ჰავანაში: კარაკასში სხვა თვითმფრინავზე გადავჯექი,  
არაფრისღიდებით არ მინდოდა ნიუ-იორკის ვავლით გაფრენა. კარაკასიდან  
„კლმ“-ით გამოვფრინდი, „კუბანათი“ კი ლისაბონში ამოვყავი თავი.

ჰავანაში ოთხი დღე დავრჩი.

ოთხი დღე ქალაქში ხეტიალის მეტი არაფერი გამიკეთებია...

ელ პრადო:

ჭადრებიანი ძველი ქუჩაა, როგორც რამბლა ბარსელონაში. საღამოს კორ-  
სოზე დავდიოდი ლამაზი ადამიანების ხეივანში. პირდაპირ თვალს არ ვუჯე-  
რებდი... მივდიოდი და მივდიოდი... სხვა საქმე არაფერი მქონდა.

აქ დაბინდებისას ყვითელ-ყვითელი ჩიტები იწყებენ ეივქივს.

ყველა ჩემს ფეხსაცმელს ეტანება გასაწმენდად...

ზანგისა და ესპანელის ნაჯვარი გოგონა ენას მიყოფს, იმიტომ რომ აღ-  
ტაცებით ვუცქერი, ყავისფერ სახეზე ენა ვარდისფრად მოუჩანს. ვიცინი და  
ვესალმები, ისიც იცინის, ყაყაჩოსავით წითელი ტუჩებიდან ქათქათა კბილები  
მოუჩანს. მე მისგან არაფერი მიჩნდა.

— How do you like Habana?<sup>1</sup>

ბრაზი მერევა, რახან თეთრი ვარ, ყველას ამერიკელი ვგონივარ. ყოველ  
ფეხის ნაბიჯზე დგანან სუტენერები:

— Something very beautiful! D'you know what I mean? Something  
very young<sup>2</sup>.

ორგვლივ სვირნობენ, იცინიან...

თავი სიზმარში მგონია...

თეთრკანიანი პოლიციელები სიგარას აბოლებენ. მეზღვაურებიც სიგარას  
აბოლებენ. პატარა ბიჭებს თეძოები ვიწრო შარვლებში გამოუკვართავთ  
ფილიბე მეორის Castillo del Morro<sup>3</sup>.

ფეხსაცმელს ვაწმენდინებ...

გადავწყვიტე, დღეიდან სხვანაირად დავიწყო ცხოვრება.

გული სიხარულით მევსება.

<sup>1</sup> როგორ მოგწონთ ჰავანა (ინგლ.).

<sup>2</sup> ძალიან ლამაზია! გესმით, რაზე ვაზნობ? სულ ახალგაზრდაა (ინგლ.).

<sup>3</sup> მავრიტანული სასახლე (ესპ.).

ვყიდულობ ორ ყუთ სიგარას.

მზე ჩადის...

ზღვაში შიშველ ბიჭებს ვხედავ, თვალს მჭრის მათი ლაპლაპა / კანი და სველ კანზე აელვარებული მზე. პაპანაქება სიცხეა. ვზივარ და სტანაჩის ვეწევი. თეთრი ქალაქის თავზე საავდრო ღრუბლები ჩამოწვა, შავ-ბნელე ღრუბლები. ცათამბჯენებზე უკანასკნელი მზის სხივი ციალებს.

ელ პრადო:

მწვანე დაისი... ნაყინის გამყიდველები....

ქვის მოაჯირზე ფარნების ქვეშ ჯგუფ-ჯგუფად სხედან გოგონები და იცინიან.

ტამალესი.

ეს ბანანის ფოთლებში გახვეული სიმინდის ტარია. ქუჩაში ჰყიდიან და გზადაგზა ჭამენ, დროს არ ჰკარგავენ.

აფორიაქებული ვარ. მაინც რატომ?

ჰავანაში საქმე არაფერი მაქვს.

სასტუმროში ვისვენებ. ჩვეულებისამებრ ვბანაობ და საწოლზე შიშველი ვწევები, ვენტिलाტორის ნიავი მიქიქინებს. ვწევარ და სიგარას ვეწევი. ოთახის კარი არ ჩამიკეტია. გარეთ დამლაგებელი გოგო ღერეფანს წმენდს და ლილინებს. ესეც ზანგისა და ესპანელის ნაჯვარია. შეუსვენებლივ ვეწევი.

სურვილი მივლის...

რატომ არ ვაალებს კარს და არ შემოვა?..

ისე დავილაღე, საფერფლის მოტანის თავიც არა მაქვს. გულაღმა ვწევარ და სიგარა ისე მიჭირავს, რომ ფერფლი მკერდზე არ დამეყაროს.

„პარტავასი“<sup>1</sup>.

პრადოზე თითქოს ისეე ჰალუცინაცია მეწყება: მხოლოდ ლამაზი გოგონები მხედება, მამაკაცებიც ძალიან ლამაზები არიან. საოცარი ხალხია, ზანგებისა და ესპანელების ნაჯვარი, თვალს ვერ ვაცილებ მათ წელგამართულ ფიგურებს, როგორ მირონინებენ! ქალიშვილებს ლურჯი ქვედაკაბები აცვიათ, თავზე თეთრი ხილაბანდები აქვთ წაკრული. ხელზე ზანგის ქალებივით სამაჯურები უკეთიათ, მათი შიშველი ზურგები ჭადრების ქვეშ დაფენილი ჩრდილებივით მუქია და ამიტომ პირველად მხოლოდ მათ ლურჯს ან ლილისფერ ქვედაკაბებს, თეთრ თავსაფრებს, სიცილის დროს მოელვარე თეთრ კბილებს და თვალების თეთრონებს ვხედავ. ვხედავ, როგორ ელავენ მათი საყურეები...

„კარიბული ბარი“.

მე ისევ სიგარა მაქვს პირში გაჩრილი.

რომეო და ჯულიეტა.

ახალგაზრდა კაცი, რომელიც ჯერ სუტენერი მეგონა, დღეს მამა გამხდარა და ჩამაჯინდა, თქვენი ვისკის ფულს მე გადავიხდიო.

— For the first time!<sup>2</sup>

ის ყელზე მეხვევა და ჩამჩაჩინებს:

<sup>1</sup> სიგარის სახელწოდება.

<sup>2</sup> პირველად (ინგლ.).



— Isn't it a wonderful thing?<sup>1</sup>

თავს მაცნობს, მეც შეკითხება, რა გქვია და რამდენი შვილი გყავსო, პირველ რიგში ვაყიშვილები რამდენი გყავსო.

— Five<sup>2</sup>.

მაშინვე უკვეთავს ხუთ ვისკის.

— Walter. — მეუბნება იგი, — you're my brothen<sup>3</sup>.

ტიქები მივაჭახუნეთ და გამეცალა, რომ ახლა სხვა დაეპატიოთ ვისკიზე და ეკითხა, რამდენი შვილი გყავსო, პირველ რიგში ბიჭები...

თავი საგიჟეთში გეგონება.

როგორც იქნა, დაიგრგვინა: თალის ქვეშ მარტო ვხივარ ყვითელ სკამ-საქანელაში და მესმის წვიმის შხაპუნი. წვიმამ ერთბაშად დაუშვა, ქარიც ამოფარდა. ხეივანი უცვებ დაცარიელდა, თითქოს განგაშაო. ისმის დარბების რახუნი, ასფალტზე წვიმა შხაპუნობს, თითქოს თეთრი ნარგიზების ჯარი ამოსულაო (განსაკუთრებით ფარნების ქვეშ).

მე ექანაობ და წვიმას ვუყურებ.

ხანდახან წვიმის შხეფები თალის ქვეშაც აღწევს, წვიმას პაწაწკინტელა ყვავილები მოაქვს. ვგრძნობ ცხელი ფოთლების სუნს და უეცარ სიცივეს კანზე, ხანდახან ელავს, მაგრამ წვიმის შხაპუნი ფარავს გრუხუნს. მე ვირწევ და ვიცინი. ქარია, ზემს ვერდით ცარიელი საქანელა ირწევს, ფრიალებს კუბის დროშა.

მე ვუსტვენ.

ბრაზი მომდის ამერიკაზე!

ექანაობ და ვითოშები...

„The American“ Way of Life!<sup>4</sup>

გადავწყვიტე, სხვანაირად დავიწყო ცხოვრება...

ელვა თვალს მჭრის. მხოლოდ ერთი წამით ვხედავ გოგირდივით მომწვანო პალმას, მოლურჯო სხივგარეულ იისფერ ღრუბლებს, ზღვას, მესმის თუნუქის სახურავების ზრიალი, ბავშვივით რომ მახარებს და მატკობს... მე ვმღერძი.

„The American Way of Life!“

მარტო ის რომ ვთქვათ, რას სვამენ და რას ჭამენ ეს გამოხუნებული ტიპები, ლეინო რომ არ იციან, რა არის, ეს ვიტამინყლაპიები ესენი, ციე ჩაის რომ სვამენ, ბამბას ღეჭავენ და პურის გემო კი არ იციან. ეს კოკა-კოლათი გამოტყუპილი ბალხი... არა, მათი ატანა აღარ შემოძლია...

მათი ფულით კი ვცხოვრობ!

ფეხსაცმელს ვაწმენდინებ...

მათი ფულით!

შვიდი წლის ბიჭუნა, რომელმაც ერთხელ უკვე გამიწმინდა ფეხსაცმელი, ახლა დამხრჩვეალ ცინდალს ჰგავს. ხელს დაკვარჯნილ თმაში ვავლებ.

ბიჭი იკრიჭება...

<sup>1</sup> დიდებელია, არა (ინგლ.).

<sup>2</sup> ხუთი (ინგლ.).

<sup>3</sup> ვალტერ, შენ ჩემი ძმა ხარ (ინგლ.).

<sup>4</sup> ამერიკული ცხოვრების წესი (ინგლ.).

თმა შავი კი არა აქვს, უფრო ფერფლისფერი ეთქმის, ან მოწაბლისფრო-  
ნაცრისფერი, ცხენის ძუასავით გხვდება ხელში, მაგრამ დაჯდა ნილია და მოკ-  
ლე. თმის ქვეშ ბავშვური კეფა იგრძნობა, იმე თბილად ველისმუნება, როგორც  
გაკრეჭილ პუდელს რომ მოაგლებ ხელს.

ბიჭი იკრიჭება და წმენდას განაგრძობს... ეროვნული

მე მიყვარს ეს ბიჭი, მისი კბილები, მისი ნორჩი განსაკუთრებული

მისმა თვალებმა პიუსტონი და ის ზანვის ქალი მომაგონა, ტუალეტში  
თავბრუ რომ დამეხვა და ჩემს გვერდით ჩაიჩოქა, მომაგონა მისი დიდი თვა-  
ლების თეთრონები, უცნაური, ბირუტყვის მშვენიერი თვალები და მისი კანის  
მანქანების მარკებზე ელავობით.

ბიჭი მარდად ატრიალებს ხელებს.

ჩვენ ორს გარდა, ირგვლივ არავინ მოჩანს. წვიმს კოკისპირულად. ბიჭი  
ჩაცუცქულია და ფეხსაცმელებს ნაჭრით ისე მიპრილებს, რომ ნაჭერს ტყავა-  
ტაუცი გაუდის.

„The American Way of Life!“

ჯერ მარტო აქაურებს რომ შევაღაროთ მათი მახინჯი სიფათები, მათი ვარ-  
დისფერი, შემწვარი ძებვივით საზიზღარი ვარდისფერი კანი. მათ ხომ პენი-  
ცილინით უდგათ სული, ახლა თავი როგორ მოაქვთ, იმას აღარ იკითხავეთ?  
აქაოდა ბედნიერები ვართ, რახან ამერიკელები გვქვია და ცა ქუდად არ მი-  
გვაჩნიაო. თან ერთი უშნოდ აწოწილი, როხროხა ბიჭები კი არიან, აი, ისე-  
თი, როგორც დიკია, მუდამ ნიმუშად რომ მიმაჩნდა. ან როგორ დგანან!  
ფეხებგალაჯულებს მარცხენა ხელი შარვლის ჯიბეში ჩაუყვიათ, მხრებით კე-  
დელს ეყრდნობიან, მარჯვენაში ჭიჭა უჭირავთ, ძალდაუტანებლად დგანან. აბა  
როგორ! კაცობრიობის მფარველები არიან. მერე მხარზეც უყვართ ხელის ტყა-  
პუნი. ახლა მათი ოპტიმიზმი იკითხეთ, სანამ გამოილეშებიან, მერე კი აღრიალ-  
დებიან ეს თეთრი რასით მოვაჭრენი! თანაც მათი ვაკუუმი ბარძაყებს შორის?!  
ჩემს თავზე მომდის ბრაზი.

(ცხოვრების თავიდან დაწყება რომ შეიძლებოდეს...)

ლამე ჰანას ვწერ წერილს...

მეორე დღეს, შუადღისას ზღვის პირას გავიდი. უღრუბლო ამინდია. ცხე-  
ლა. ტალღები სუსტად ეტყლაშუნება ნაპირს, შემდეგ ისმის კენჭების ჩხრიალი.  
ყველა ზღვის პირი თეოდორს მაგონებს.

მე ვტირი.

წყალი ისეთი კამკამაა, ზღვის ფსკერი მოჩანს. წყალში სახეჩარგული მიე-  
ცურავ, რომ ზღვის ფსკერს ეუყურო. ზღვის ფსკერზე გართხმული ჩენი ჩრდი-  
ლი იისფერ ბაყაყს მაგონებს.

წერილს ვწერ დიეს.

აი, რა შეუძლია ამერიკას შემოგთავაზოს: კონფორტი, მსოფლიოში საუ-  
კეთესო მოწყობილობა, ready for use! ამერიკაშიზებულ ვაკუუმად ქცეუ-  
ლი მსოფლიო, სადაც ფეხს დაადგამინ. ყველგან გზატკეცილები ჩნდება, პლა-  
კატებით აჭრულებულ კედლებში მოქცეული სამყარო, მათი ქალაქები, რომ  
ლებსაც ქალაქები არც ეთქმის, ილუმინაცია, დილით კი მათი ცარიელი ჩონ-

1 მხად არის გემსახურის (ინგლ.).

ჩხები, გნიასი, ოპტიმიზმის რეკლამად ქცეული ინჟანტილიზმი, ნეონის შუქი ღამისა და სიკვდილისაგან თავდასაცავად...

ნავი დავიჭირავე.

მარტო მინდოდა ყოფნა.

საბანაო კოსტუმის ამარა რომ არიან, მაშინაც კი ეტყობათ, ვინც დღლა-რებით რომ აქვთ გამოტენილი. მათ ხმას (ვინა აპიაზეც რომ ვერსად ვერ ვაქცევდი, მათი რეზინივით ხმა ისმის ყველგან, გაქსუებული პლემბების ხმა!

წერილს ვწერ მარსელს.

მარსელი მართალია: საზიზღარია მათი ყალბი ჯანმრთელობა, მათი ყალბი სიჭაბუკე, მათი ქალები, რომლებსაც ძალა არ შესწევთ აღიარონ, რომ ბერდებიან, მათი კოსმეტისა გვამზეც კი, საერთოდ მათი პორნოგრაფიული დამოკიდებულება სიკვდილისადმი, მათი პრეზიდენტი, რომელიც ყველა ჟურნალის ყდაზე უნდა იკრიჭებოდეს ვარდისფერლოყება ჩვილივით, თორემ მეორეჯერ აღარ აირჩევენ, საზიზღარია მათი ასაკ-სათვის შეუფერებელი ახალგაზრდული თავდაჭერა...

ზღვაში შორს ვავედი.

პაპანაქება სიცხება...

თავს ეულად ვგრძნობ.

გადავიკითხე დიკის და მარსელის სახელზე დაწერილი ბარათები და დავხიე, რადგან საქმიანი არ მომიჩვენა. მერე ვხედავ ქალაქის თეთრ ნაკუწებს წყალზე და ჩემს მკერდზე უხვად ამოსულ თეთრ ბალანს...

თავს ეულად ვგრძნობ.

შემდეგ პატარა ბიჭივით ვიქცევი: ცხელ ქვიშაზე ვხატავ ქალს, ზედ ვაწვები და ხმამაღლა ველაპარაკები.

ველური ქალი!

აღარ ვიცოდი, როგორ დამელამებინა, ან ჩემი თავისთვის რა მომეხერხებინა. უაზრო დღე იყო, საკუთარ თავს ველარ ვცნობდი. არ ვიცი, როგორ გავიდა დრო. საღამო მარადისობას ჰგავდა, ლურჯი საღამო, აუტანელი, მაინც მშვენიერი, მაგრამ უსასრულო.

ყველა პრადოზე გაყოლებულ ქვის მოაჯირზე ვაჯექი თვალდახუჭული. შევეცადე წარმომედგინა, რომ ჰავანაში ვარ, რომ პრადოზე გაყოლებულ ქვის მოაჯირზე ვზივარ, ვერ წარმოვიდგინე და შევშინდი.

ყველა ჩემს ფეხსაცმელს ეპოტინება გასაწმენდად...

ირგვლივ მხოლოდ ლამაზ ხალხს ვხედავ, უცხო ცხოველებივით ლამაზ აღამიანებს. მათი თეთრი კბილები ბინდბუნდში ელავს. ახლა მათი ყავისფერი მხრები და მკლავები, მათი თვალები, მათი სიცილი — იმიტომ რომ სიციოცხლე უხარიათ, იმიტომ რომ ჟქმე დღეა. იმიტომ რომ ლამაზები არიან.

ვტკბები მათი ყურებით...

სურვილი მივლის...

ვაკუთუმი ბარძაყებს შორის...

მე ფეხსაცმლის მწმენდავებისთვის ვარსებობ!

სუტენერები...

ნაყინის გამყიდველები...

მათი საზიდარი საბავშვო ეტლის, ბუფეტისა და ველოსიპედის ნახევრის კომბინაციაა, ზედ კი დაუანგული ქალუშებისაგან გაკეთებული ბალდახინია წამოსკუპებული.

კარბიდის შუქი...

ზარისებური ლურჯი ქვედაკაბებით შემკული დაიცი.

სოსანისფერი მთვარე...



ეროვნული

შემდეგ ჩემი თავგადასავალი ტაქსში: ჯერ აღტყბწყმქმსტბამ ვეღარ ავიტანე ცოცხლებს შორის მიცვალებულივით ბორიალი და სასტუმროში დაბრუნება დავაპირე. ტაქსს ხელი დავუქნიე. ტაქსის კარი გამოვადე და დავინახე, რომ შიგ ორი ქალი იჯდა: ერთი შავგვრემანი, მეორე ქერა. ბოდიში მოვიხადე და კარი მივკეტე, მაგრამ მძლოლი გადმობტა და შეძახის, დაბრუნდითო.

— Yes, sir! — მეუბნება იგი და ტაქსის კარებს აღებს. — For you, sir! <sup>1</sup>

ამდენ პატივზე გამეცინა და ჩავჯექი...

ჩვენი ძვირფასი ვახშამი.

შემდეგ სამარცხვინო გაწბილება...

ვიცოდი, რომ ერთ მშვენიერ დღეს ამას ვერ ავცდებოდი: შემდეგ ვწევარ ჩემს ოთახში, ძალგატეხილი, მაგრამ დამცხრალი. ცხელი ღამეა, მალე-მალე შაბით ვისვლელ უილაჯო სხეულს, მაგრამ დასაძინებელ წამალს მაინც არ ვსვამ, ჩემი სხეული იმისთვისდა ვარგა, რომ ვენტილატორის მოჭიქინე ნიავს მიეუშვირო, რომელიც ხან მკერდზე მელამუნება, ხან ფეხებზე, ხან ისევ მკერდზე.

ტვინში იქსოვება აბლაბუდა: კუჭის კიბო მჭირს.

მაინც ბედნიერი ვარ...

გარიჯრაფზე ჩიტების ყვილ-ხივილი ისმის, ვაღებ ჩემს „პერმეს-ბეზის“ და ბოლოს და ბოლოს ვბეჭდავ იუნესკოსათვის გასაგზავნ პატაეს, ვენესუელაში მონტაეის დამთავრების თაობაზე.

შემდეგ შუადღემდე მძინავს.

უსაქმობისაგან არ ვიცი, საით მივაწყდე და ხამანწყებს ეჭამ. ჩემი საშუაოდ დასრულებულია. ვეწვევი უამრავ სიგარას.

(ამიტომ მტკივა კუჭი).

სალამოს სიურპრიზი მელის:

პრადოზე ერთ ჟღნობ გოგონას მივუჭექი გვერდით და საუბარი გავუბი. ჩემი აზრით, ეს ის უნდა იყოს, გუშინწინ რომ ვარდისფერი ენა გამომიყო. ქალიშვილი ამ ამბავს ვერ ისხენებს. ეცინება, რომ ვეუბნები, ამერიკელი არა ვარ-მეთქი.

ესპანურად მიჭირს ლაპარაკი...

— Say it in English! <sup>2</sup>

ქალიშვილს შხვართი მკლავები აქვს...

ჩემი ესპანური მბოლოდ საქმიანი საუბრებისათვის მყოფნის. სასაცილოა: იმას კი არ ვამბობ, რაც მე მინდა, არამედ იმას, რაც ჩემს ესპანურ ენას უნდა. ქალიშვილს ამიტომაც ეცინება. ჩემი მცირე სიტყვის მარაგის მსხვერპლი ვარ.

<sup>1</sup> დიას, თქვენთვის ვაგაჩერე, სერ (ინგლ.).

<sup>2</sup> ინგლისურად თქვით (ინგლ.).

მისი გაოცება, მისი საყვარელი თვალები სიამეს შევრის. მე კი ჩემი ცხოვრება  
მაოცებს, ცხოვრება, რომელიც, ასე ვთქვათ, ჩაღის თასადაც აღარ მიღირს.

ხუანა თვრამეტი წლისაა.  
(ჩვენს შვილზე აბალგაზრდაა).

— Suiza, — ამბობს იგი და შვეციას გულისხმობს.



ეროვნული

ქალიშვილს ყავისფერი მკლავები უკან დაუბჯენია, თავით მუცელს მიუკრავს,  
მყრდნობილი, შავ თმაზე თეთრი თავსაყარი წაუყრავს, საოცრად მშვენიერი  
ფეხები აქვს; ჩვენ ვეწვეით; მე ჩემი თრივე თეთრი ხელი მარჯვენა მუხლზე  
მაქვს შემოჭდობილი...

მხიბლავს მისი უშუალობა.

მას ჯერ კუბადან ფეხი არ გაუდგამს...

მხოლოდ მესამე საღამოა აქა ვარ და ჩემთვის ყველაფერი უკვე მასლობე-  
ლია და მშობლიური: ნეონის რეკლამებით გაპირადღნებული მწვანე დაისი, ნა-  
ყინის გამყიდველები, ჭადრების კრელი ქერქი, აეიფეივებული ჩიტები, მიწაზე  
მოქსოვილი ჩრდილი, ქალიშვილების ყაყაჩოსავეით წითელი ტუჩები.

მისი ცხოვრების მიზანია ხიუ-იორკი!

ზევიდან ჩიტების სკინტლი ცვივა...

მხიბლავს მისი უშუალობა:

ხუანა ხელობით შემეფუთავია, მხოლოდ კვირის დასასრულს თუ გაული-  
მებს ხელი და სამუშაოს იშოვნის. ჰყავს ბავშვი, მავანაში არ ცხოვრობს.

ისევ მოყილობენ მეზღვაურები.

ხუანას ჩემი გარდაცვლილი ქალიშვილის ამბავი მოეუყევი, არც ჩვენი  
საქორწინო მოგსაურობა გამომრჩენია, არც კორინთი და არც ასპიტი, რომელ-  
მაც მარცხენა ძუძუს ზემოთ უკბინა ჩემს ქალიშვილს, მერე მისი დაკრძალვის  
ამბავიც მოეუყევი და ჩემს მომავალ გეგმებზეც ველაპარაკე.

— I'm going to marry her<sup>1</sup>.

ის სწორად ვერ მიგებს:

— I think she's dead<sup>2</sup>.

მე ვუხსნი.

— Oh! — იცინის იგი, — You're going to marry the mother of the girl,  
I see!<sup>3</sup>

— As soon as possible<sup>4</sup>.

— Fine!<sup>5</sup> — ამბობს იგი.

— My wife is living in Athens...<sup>6</sup>

მისი საყურეები, მისი კანი...

ის აქ თავის ძმას ელოდება...

ვეკითხები, მომაკვდინებელი ცოდვა: უფრო სწორად, ღმერთები თუ გწამს-  
მეთქი; ხუანა თეთრ კბილებს აჩენს; მე ვეკითხები, გწამს თუ არა, რომ გველებს  
ღვთის ხელი მართავს, უფრო სწორად, დემონების ხელი-მეთქი.

<sup>1</sup> მე ის ცოლად უნდა შევირთო (ინგლ.).

<sup>2</sup> მე შეგონა, ის მოკვდა (ინგლ.).

<sup>3</sup> თქვენ ირთაუთ თქვენი ქალიშვილის ღვდას, გავივე (ინგლ.).

<sup>4</sup> რაც შეიძლება მალე (ინგლ.).

<sup>5</sup> ჩინებულია (ინგლ.).

<sup>6</sup> ჩემი ცოლი ათენში ცხოვრობს (ინგლ.).

— What's your opinion, Sir<sup>1</sup>.

შემდეგ მოდის ზოლებიან პოლიფუდურ ხალათში გამოწყობილი მისი ძმა, ყმაწვილი სუტენერი, ის გუშინაც გამოწვლავარაკა. ხელს მართმევს.

— Hello, camerad!

უჩვეულო არაფერია: გუნება არავის არ უფეჭდება, ხუანა სიგარეტს ქუს-  
ლით სრესს და თავის ყავისფერ ხელს მხარზე მადებს.

— He's going to marry his wife—he's a gentleman!<sup>2</sup>

ხუანა გაქრა...

— Wait here! — ამბობს ყმაწვილი და უკან იხედება, რომ ხელიდან არ  
დავუსხლტე, — Just a moment, Sir justa moment!<sup>3</sup>

ჩემი უკანასკნელი ღამე ჰავანაში.

რა დროს ძილია!

არავითარი განსაკუთრებული საბაბი არ მქონდა, ბედნიერად მეგრძნო თავი, მაგრამ მაინც ბედნიერი ვიყავი. ვიცოდი, რომ ყველაფერს, რასაც ვხედავდი, დავტოვებდი, მაგრამ არ დავივიწყებდი: არ დავივიწყებდი ღამეში წამომართულ თაღებს, სადაც სკამ-საქანელაში ვქანაობ და ვხედავ, უფრო სწორად, მესმის როგორ ჭიხვინებს ეტლში შებმული ცხენი, ვხედავ ესპანურ ფასადს. მის შავ ფანჯრებში აფრიალებულ ყვითელ ფარდებს, თუნუქის სახურავებს და მესმის მათი ჟრუანტელის მომგვრელი რახენი, არ დამავიწყდება, როგორ ხალისიანად მაქვს გული, არ დამავიწყდება ქარი, პალმებს რომ არხევს, უღრუბლო ქარი. მე ვქანაობ და ოფლად ვიღვრები, მწვანე პალმა წკებლასავით მოქნილია, მისი ფოთლები სალესი ქვასავით ზუზუნებს. ჰაერში მტვერი ტრიალებს, თუჯის ფარნები ფლეიტასავით მღერიან, მე ვქანაობ და ვიცინი, არ დამავიწყდება ფარნების ლიცლიცა შუქი, ეტყობა, ქარი მაგრად უბერავს. აჭიხვინებული ცხენი ეტლს ვეღარ იჭერს, ყველაფერი გაქცევას ღამობს, საპარიკმახეროს სპილენძის აბრას რაკუნი გაუდის, უხილავი ზღვა მხეფებს ისერიის ბასტიონებზე, მიწა გრუხუნებს და ქშინავს ორთქლმავალივით, მწყურია, ტუჩებზე მარილის გემოს ვგრძნობ, ქარიშხალი მძვინვარებს, ციდან კი წვიმის წვეთი არ ვარდება, ან საიდან ჩამოვარდება, ცაზე ღრუბელი არა ჩანს, მხოლოდ ვარსკვლავები კამკამებენ, ჰაერში ცხელი და მშრალი მტვერი ირევა, ჰაერი ღუმელივით არის გახურებული, მე ვქანაობ და მხოლოდ მოტლანდურ ვისკის ვსვამ, სხვას ვერაფერს ვიკარებ, ვქანაობ და ვმღერი, ვმღერი დიდხანს. მე ხომ სინღერა არ ვიცი, მაგრამ არავინ მისმენს, ცარიელ ქვაფენილზე მხოლოდ დროშკის ცხენი დგას, კაბაშრიალა ქალაშვილები უკვე კანტი-კუნტად ჩანან, აფრიალებულ კაბაში ყავისფერი ფეხები მოუჩანთ; მათი შავი თმაც ფრიალებს ქარში, ჩამოვლევჩილი ვალუზებიც, მათი თეთრი კბილები ელავს მტვერში, მწვანე ჟალუზი სისინით მიჰქრის ჰაერში, ზღვისაკენ, მტვერში გახვეულ თეთრ ქალაქს მეწამული შუქი ეფინება, პაპანაქება სიცხეა, ფრიალებს კუბის დროშა... მე ვქანაობ და ვმღერი, მეტი არაფერი, ჩემ გვერდით ცარიელი საქანელა ირწევა, თუჯი ფლეიტასავით მღერიან, ჰაერში ყვავილები ბზრიალებენ. ოდას ვუმღერი სიცოცხლეს!

<sup>1</sup> თქვენ როგორ გგონიათ, სერ (ინგლ.).

<sup>2</sup> მას უნდა თავისი ცოლია შერთვა, ის ჩქინტლმენია (ინგლ.).

<sup>3</sup> აქ მომიცადეთ ერთი წუთით, სერ, ერთი წუთით (ინგლ.).

შაბათი, 13. VII, ვაგრაჟღებ გზას.

დილით პრადოზე გამოვიარე — ბანკში ფული გადავახურდაც და იქიდან ვბრუნდებოდი. სეივანში კაციშვილი არ ჭაჭანებდა, ჩიტების სუნტლია და თეთრი ყვავილების ფურცლებით მოფენილ ქუჩაზე ფეხი მოსხლტებოდა... მზე აცხუნებს...

ეროვნული  
ბიზნიუსი

ჩიტები ყივყივებენ...

შემდეგ ერთი კაცი მსხოვს სიგარაზე მომიკიდეო. საქმიანი კაცი ჩანს, მაგრამ ცოტაზე მაინც მოწყვება და მეკითხება:

— How do you like Habana?<sup>1</sup>

— I love it!<sup>2</sup> — ვეუბნები მე.

ესეც სუტენერია, ყურში ჩამჭურჩულებს:

— You're happy, aren't you?<sup>3</sup>

აღტაცებით მოსჩერებია ჩემს კანთაპარატს.

— Something very beautiful! D'you know what I mean? Something very young<sup>4</sup>

როცა ვუთხარი, მივემგზავრები-მეთქი, აეროდრომზე რომელ საათზე უნდა ვახვიდეთო, მკითხა.

— Ten o'clock, my friend, ten o'clock<sup>5</sup>.

ის საათზე იხედება.

— Well — მეუბნება იგი, now it's nine o'clock, Sir that's plenty of time!<sup>6</sup>

მე ისევ ზღვისკენ მივხეტიალობ.

ზღვაზე მეთევზეთა ნაფები გაბნეულან...

ვეთხოვები ზღვას.

ერთხელ კიდევ ვჭდები ნაპირზე მიხერვილ ლოდებზე და ერთხელ კიდევ ვაბოლებ სიგარას. არაფერს აღარ ვიღებ, რა საჭიროა! ჰანა მართალია: შემდეგ შენს გადაღებულს ფილმივით უნდა უყურო, ყველაფერი ხომ წარმავალია... ვეთხოვები ზღვას.

ჰანა იყო აქ. მე ვუთხარი, პატარძალს ჰგავხარ-მეთქი. ძაძები გაუხდია და ერთთავად თეთრებში გამოწყობილა. თავი იმართლა, გარეთ ძალიან ცხელია. აურებზე იმდენი ველაპარაკე, აღარ უნდა, შავი ფრინველივით მეჭდეს საწოლთან. ჰგონია, მის მზრუნველობას და ყურადღებას ვერ ვამჩნევ, იმიტომ რომ აღრე (ჯერ კიდევ რამდენამე კვირის წინ) იმდენ რამეს ვერ ვამჩნევდი... ჰანა ნაირ-ნაირ ამბებს მოყვება.

P. S. ერთხელ, ბავშვობაში, თავის ძმას წაჰკიდებია და დაუფიცია, არასოდეს არ შეეყვარებინა მამაკაცი, რადგან უმცროსს ძმას ჰანა ბეჭებზე დაუნარცხებია. ჰანა აღშფოთებულა, მამაზეციერს ბიჭებისათვის მეტი ღონე რატომ

<sup>1</sup> მოგწონთ ჰავანა? (ინგლ.).

<sup>2</sup> მე მიყვარს იგი (ინგლ.).

<sup>3</sup> ბედნიერი ხართ, არა? (ინგლ.).

<sup>4</sup> იცით, რა მშვენიერია! გესმით რაზე ვეუბნებით? მართლა სულ ნორჩია! (ინგლ.).

<sup>5</sup> ათ საათზე, ჩემო მეგობარო, ათზე (ინგლ.).

<sup>6</sup> მერე რა, ჯერ ცხრა საათია, დრო ბევრი გვაქვს (ინგლ.).

მიუნიჭებიაო. ჰანას აზრით, მას უსამართლობა გამოუჩენია. ძმას კი არა, ღმერთს. ჰანას გადაუწყვეტია მთელ მიუნჰენ-შვაბინგის ბიჭებზე ჰკვიანი გამხდარიყო და იელოვას გასაუქმებლად გოგონების საიდუმლო უნდა დაუარსებია. ერთი სიტყვით, მხოლოდ ისეთი ზეციური სამყარო უნდა ეწამებინათ, სადაც ღმერთებთან ერთად ქალღმერთებიც იქნებოდნენ. მანამდე ჰანამ ღვთაშობელს სცა თაყვანი, ხატზე ჰქონდა ნანახი, შუაშიც ჰქონდა დასაძინებელი მარიაში. ჰანა თავისი კათოლიკე მეგობრებავით იყრიდა მუნღს და პირჯვარსაც იწერდა, მაგრამ მამას ეს არ უნდა გაეგო. ერთადერთი მამაკაცი, ვისაც ჰანა ენდობოდა, იყო მოხუცი არმინი. ამ კაცს მის ბავშვობაზე გარკვეული კვალი დაუმჩნევია. მე არ ვიცოდი, ჰანას თუ ძმა ჰყავდა. ჰანამ თქვა, ახლა ის კანადაში ცხოვრობს, გამრჯე კაცია და მე მგონი, ახლაც ბეჭებზე დებს ყველასო. ვეკითხები, როგორ ცხოვრობდა იოახინთან, როგორ, სად და რამდენ ხანს—ბევრჯერ ვკითხე, მაგრამ ჰანა ერთ პასუხს მაძლევს: ეგ შენც ხომ კარგად იციო. ურჩევნია არმინზე ილაპარაკოს. არმინი თურმე ბრმა ყოფილა. ჰანას იგი ახლაც უყვარს, თუმცა კარგა ხანია, რაც მოხუცს ჩვენი ჭირი წაუღია, თუ მგონი უგზო-უკვლოდ დაკარგულა. ჯერ კიდევ მოკლეკაბიანი გოგონა არმინს ინგლისურ პარკში ხვდებოდა სისტემატურად. მოხუცი ყოველთვის ერთსა და იმავე მერხზე იჯდა. ჰანა ხელს ჩაჰკიდებდა და მიუნჰენში დაატარებდა. არმინს უყვარდა მიუნჰენი. ჰანას თვალში მაშინ ის მოხუცი კი არა, მისრწნილი ბებერი ჩანდა: ასე ორმოცდაათიდან სამოც წლამდე. დრო ყოველთვის ცოტა ჰქონდათ, სამშაბათობით და პარასკევობით ხვდებოდნენ ერთმანეთს, როცა ჰანას ვიოლონოს გაკვეთილები ჰქონდა, ხვდებოდნენ ყოველგვარ ამინდში. ჰანა მოხუცს ვიტრინებს ჩამოატარებდა ხოლმე. არმინი სავსებით ბრმა ყოფილა, მაგრამ რასაც მოუყვებოდა, იმის წარმოდგენა თურმე კარგად შეეძლო. ჰანა ამბობს, საუცხოო იყო მასთან ერთად ამ ქვეყანაზე სიარულიო. მე ისიც ვკითხე, ჩვენი შვილი როგორ დაიბადა—მეთქი. მე ხომ მაშინ მასთან არ ვიყავი. აბა, როგორ უნდა წარმომედგინა? იოახინი, რა თქმა უნდა, ჰანას არ მოშორებია. მან კარგად იცოდა, რომ მამა თვითონ არ იყო, მაგრამ ბავშვს მაინც ნამდვილ მამობას უწევდა. იოლი მშობიარობა მქონდაო, თქვა ჰანამ. მხოლოდ ის ახსოვს, რომ დედობამ უდიდესი ბუნდიერება მიანიჭა. ერთი რამ კიდევ, რაც მე არ ვიცოდი: თურმე დედაჩემს სცოდნია, რომ ბავშვი ჩემი იყო, სხვას არავის, მამაჩემსაც კი არ სცოდნია, ჰანას ვკითხე, მერე დედაჩემმა რატომ არ მომწერა ეს ამბავი—მეთქი. ქალებმა ალბათ კავშირი შეჰკრეს. ქალები ხომ იმას არასდროს არ გვეტყვიან, რაც ჩვენ არ ვიცით. ისინი, უბრალოდ, ისე გვექცევიან, როგორც ბავშვებს. ჰანას თქმით, ჩემი მშობლები სულ სხვანაირი ყოფილან, ვიდრე მე მეგონა, ყოველ შემთხვევაში ჰანასთან სულ სხვანაირი დამოკიდებულება ჰქონიათ. ჰანა რომ დედაჩემზე ლაპარაკობს, იძულებული ვარ, მხოლოდ ყური დავუგდო. თურმე ბრმა ვყოფილვარ! დედაჩემსა და ჰანას დიდხანს ჰქონიათ ერთმანეთთან მიმოწერა. დედაჩემი მართლა ემბოლიით კი არ მომკვდარა, როგორც მე ვფიქრობდი. ჰანა გაოცებულია, რამდენი რამ არ გცოდნიაო. ჰანა დედედაჩემის დაკრძალვასაც დასწრებია 1937-ში.

ჰანას სიყვარული ძველი ბერძნებისადმი იმავე ინგლისურ პარკში დაწყებულია. არმინს ბერძნული სცოდნია და გოგონა ხმამაღლა უკითხავდა თავის სახელმძღვანელოდან ტექსტებს, რომ მოხუცს ზეპირად დაესწავლა ნაწყვეტები.



არმინს ჰანა შინ არასოდეს არ წაუყვანია. ჰანამ არც კი იცის, სად ცხოვრობდა მოხუცი, როგორ ცხოვრობდა. ჰანა მას ინგლისურ პარკში ხვდებოდა და რქვე შორლებოდა. ქვეყანაზე კაციშვილს არ სცოდნია მათი შეთანხმების ამბავი, რომ ჰანა და არმინი ერთად აპირებდნენ საბერძნეთში წასვლას. ჰანას მისთვის ბერძნული ტაძრები უნდა ეჩვენებინა. მოხუცი ამას სერიოზულად ფიქრობდა თუ არა, არავინ იცის. თვითონ კი მაშინ სერიოზულად ფიქრობდა თურმე. მოკლევადიანი ჰანა! მანსოვს, ერთხელ ციურხში. კაფე „ოდეონში“ ერთი მოხუცი კაცი იჯდა, რომელსაც ჰანა სისტემატურად ტრამვაის გაჩერებამდე მიაცილებდა ხოლმე, ის კაფე ჭირის დღესავით მძულდა: ემიგრანტები, ინტელექტუალები, ზოპემა! პროფესორები და სოფლიდან ჩამოსული საქმოსნების შესაფერი კოკოტები იყრიდნენ იქ თავს. ის მოხუცი სასტუმრო „ფონტანაში“ ცხოვრობდა. მე გლორიაშტრასეს ახლოს პატარა სკვერში ვიმალებოდი, ხანამ ჰანა თავის მოხუც ბიძას მიაცილებდა ხოლმე. მაშ ის ყოფილა არმინი! იმ მოხუცზე სერიოზულად არასოდეს არ მიფიქრია. ჰანას თქმით, ის თურმე საკმაოდ სერიოზულად მეკიდებოდა. ჰანა დღესაც ისე ლაპარაკობს არმინზე, თითქოს მოხუცი ახლაც ცოცხალი იყოს და ყველაფერს ხედავდეს. ჰანას ვკითხე, რატომ არ წახვედით საბერძნეთში-მეთქი. ჰანამ დამცინა, ეს ხომ ბავშვური ოცნება იყო.

პარიზში (1937—1940 წწ.) ჰანა ერთ საკმაოდ ცნობილ ფრანგ მწერალთან ცხოვრობდა თურმე. იმ მწერლის გვარი დამავიწყდა. არც ის ვიცოდი, რომ ჰანა მოსკოვშიც ყოფილა (1948 წელს) თავის მეორე ქმართან ერთად. ერთხელ ციურხში ჩასულა (1953 წელს) ჩვენი ქალიშვილი თან არ წაუყვანია. იქ ნანახი სიმწარის მიუხედავად, ჰანას მაინც უყვარს ციურხი. კაფე „ოდეონიც“ მოუნახულებია. მე ვკითხე, არმინი როგორ მოკვდა-მეთქი. ლონდონში (1942 წელს) ჰანა მას კვლავ შეხვედრია. არმინი ემიგრაციაში აპირებდა წასვლას, ჰანას იგი გემზეც გაუცილებია. ეტყობა, ის გემი გერმანულმა წყალქვეშა ნავმა ჩასბირა. ყოველ შემთხვევაში გემს ამერიკამდე არ ჩაულწევია.

## 15. VII. დიუსელდორფი.

რას იფიქრებდა ჩემზე ის ახალგაზრდა ტექნიკოსი, ფირმა „ჰენკე და ბოშის“ პატრონებმა რომ მომამაგრეს, არ ვიცი. მხოლოდ ერთი შემთხვევა: იმ დღეს თავს, რაც შემეძლო, ძალას ვატანდი.

ქრომით მოპირკეთებული ცათამბჯენი...

თავს ვალდებულად ვგრძნობდი, ფირმის პატრონებისათვის მათი პლანტაციის ამბავი მომეხსენებინა. ლისაბონიდან დიუსელდორფში ისე გავფრინდი, არც კი დავფიქრებულვარ, დიუსელდორფში რა მესაქმებოდა ან სათქმელი რა მჭონდა. ახლა კი ვიჯექი ფირმის შეფის კაბინეტში და არ ვიცოდი, რა მექნა. თავაზიანად მიმიღეს.

— თუ გნებავთ კინოფირს გაჩვენებთ, — ვთქვი მე.

ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ფირმის მესვეურები იმ პლანტაციას უკვე სათვალავში აღარ აგდებდნენ და ინტერესს მხოლოდ თავაზიანობის გამო იჩენდნენ.

— რამდენ წუთიანია თქვენი ფილმი?

ეტყობოდა, ხელს ვუშლიდი.

— რა უბედური შემთხვევა, ჩემმა მეგობარმა თავი ჩამოიხრჩო განა არ იცით?

რა თქმა უნდა, იცოდნენ.

ისეთი გრძნობა მქონდა, სერიოზულად არ მეკიდებინა-მეთქი, მაგრამ ახლა მეტი რა ჩარა იყო, გვატემალაში გადაღებული ფერადი ფოტო-უნდა გავკენწვა. ჩემი დამხმარე ტექნიკოსი, რომელსაც ფირმის სხდომასთან დაკავშირებული აპარატურა უკვე გაეწყობ, ნერვებს მიშლიდა. იგი ძალიან ახალგაზრდა იყო, სამბათიურიც, მაგრამ მე არ მჭირდებოდა. მე მხოლოდ აპარატურა, ეკრანი და კაბელი მჭირდებოდა, ტექნიკოსს რა თავში ვიხლიდი.

— მაღლობას მოგახსენებთ, — ვუთხარი იმ ყმაწვილს.

— ნუ სწუხდებით, ბატონო.

— აპარატურას ვიცნობ, — ვთქვი მე.

თავიდან მაინც ვერ მოვიცილე.

ფილმს მეც პირველად ვუყურებდი (დამონტაჟებულიც კი არ მქონდა). გამეორებები უეჭველად შეგვხვდებოდა. იმდენი მზის ჩასვლა მქონდა გადაღებული, მე თვითონ მიკვირდა. მარტო ტამაულიბასის უდაბნოში სამი მზის ჩასვლა გადამიღია. შეიძლებოდა კაცს ეფიქრა, მზის ჩასვლის აგენტად ხომ არ მუშაობსო. სასაცილოა. იმ ახალგაზრდა ტექნიკოსის მრცხვენოდა და ამიტომაც ვიჩენდი მოუთმენლობას.

— უფრო ნათლად არ გამოჩნდება, ბატონო.

ჩვენი „ლენდროვერი“ რიო უსუმანკინტასთან...

აურები თავიანთ სტიქიაში...

— განაგრძეთ, თუ შეიძლება, — ვამბობ მე.

შემდეგ გამოჩნდნენ პირველი ინდიელები, რომლებმაც გვაცნობეს, ჩვენი სენიორი მკვდარიაო. აქ გათავდა მასრა. მასრის გამოცვლას დრო დასჭირდა. ამასობაში ორიოდ სიტყვა ითქვა „ექტაქრომზე“.

ტყავის სავარძელში ვზივარ და ვაბოლებ, რადგან საქმე არაყერი მაქვს. ირგვლივ სხდომათა დარბაზის ცარიელი სავარძლები დგას. მხოლოდ ესენი ქარში არ ირწევიათ.

— გთხოვთ, განაგრძოთ, — ვთქვი მე.

იოახიმი მავთულზე.

— სდექ! — ვამბობ მე, — აი, ნახეთ!

სამწუხაროდ, კადრი ძალიან ბნელია, მაშინვე ვერც კი მიხვდები, რა არის. კადრს სინათლე არ ჰყოფნის; იმიტომ, რომ ბარაკში იგივე დიაფრაგმა მიხმარია, რომლითაც დილის მზეზე ვირის ლეშზე მისეულ აურებს ვიღებდი.

მე ვამბობ:

— ეს გახლავთ დოქტორი იოახიმ ჰენკე.

ტექნიკოსი ეკრანს შეჰყურებს.

— ძალიან ვწუხვარ, ბატონო, მაგრამ უფრო ნათლად ვერ გამოჩნდება. მას მეტი არაფერი მქონდა სათქმელი.

— გთხოვთ განაგრძოთ, — ვამბობ მე.

ისევ მავთულზე ჩამოკიდებული იოახიმი, მაგრამ ამჯერად გვერდიდან გადაღებული, ასე უკეთ ჩანს, რაც მომხდარა. საოცარია, რომ ეს სურათი ჩემს ახალგაზრდა ტექნიკოსზე კი არა, ჩემზეც აღარ ახდენს შთაბეჭდილებას. ისე-

თივე ფილმია, რომლის მაგავსიც ბევრი გვინახავს, სურათს აკლია მყრალი სუნი, სინამდვილე. მე და ახალგაზრდა კაცი განათებაზე ელაპარაკობთ, ამასობაში კი კადრში მლოცველი ინდიელებით გარშემორტყმული კუბო ჩანს, კადრები მეტისმეტად გაჭიანურებულია; შემდეგ კი უცებ პალენკეს ნახევრები, პალენკეს თუთიყუში... მასრა თავდება.

— იქნებ ფანჯარა გაგვეღო, — ვთქვი მე, — დარბაზში ნამდვილი ტროპიკული სიციხეა.

— სიამოვნებით, ბატონო.

საუბედუროდ, საბაჟოში ყველაფერი ისე აურ-დაურად, რომ უკანასკნელ მასრებს (გემზე ასვლის დღიდან) წარწერა აღარ შერჩა. მე კი „პენკე და ბოშის“ პატრონებისათვის, რომლებიც 11 საათსა და 30 წუთზე აქ უნდა მობრძანებულიყვნენ, მხოლოდ გვატემალაში გადაღებული კადრები უნდა მეჩვენებინა. მე სწორედ პერბერტთან ჩემი უკანასკნელი შეხვედრის კადრები მჭირდებოდა.

— სდექ, ეს საბერძნეთია! — ვთქვი მე.

— საბერძნეთი?

— სდექ! — ვიყვირე მე. — სდექ!

— ბატონი ბრძანდებით.

ყმაწვილი ნერვეზა მიშლიდა, მისი თავაზიანი „ბატონი ბრძანდებით“, მისი გულმოდგინადად „ბატონი ბრძანდებით“, მისი ყოყლოჩინობა, — თითქოს ის ყოფილიყო პირველი ადამიანი, ვინც კინოაპარატურაში ერკვეოდა. — მისი გაუთავებელი ტლიკინი ოპტიკაზე, რისაც არაფერი გაეგებოდა. პირველ რიგში კი მაინც ეს „ბატონი ბრძანდებით“, ბოლოს მიღებდა.

— სხვა გზა არ არის, ბატონო, უნდა გავუშვათ და ვნახოთ! აბა რა ექნათ, თუკი მასრებს წარწერები არა აქვს!

მასრებს რომ წარწერები არ ჰქონდა, ეს მისი ბრალი არ იყო, სიმართლეს ვერ დავუკარგავდი.

— როგორც მაქსოვს, მასრა ასეთი კადრით იწყება: წვერმოშვებული პერბერტ პენკე ჰამაკში ზის.

სინათლე ჩაქრა. ისმის ფირის ზუზუნი.

თითქოს აზარტში შევედი. საკმარისი იყო რამდენიმე მეტრის გაშვება: აიგი მანჰეტენში (ტელეობიექტივით გადაღებული კადრი). აიგი ხელს მიქნევს. დილის მზე პუძონის თავზე. შავი საბუქსირო კატარლები, Skyline<sup>1</sup>, თოლიები...

— სდექ, — ვთქვი მე, — გთხოვთ, გამოცვალოთ მასრა!

— თქვენ ნახევარი მსოფლიო მოგივლიათ, ბატონო, ჩემი ნატვრაც სწორედ ეგ არის...

11.00 შესრულდა.

ახები უნდა გადამეყლაპა. იქნებ ფირმის პატრონების მოსვლისათვის თავი მხნედ მეგრძნო. უწყლოდ გადავყლაპე, არ მიხდოდა, იმ ყმაწვილს შეემჩნია.

— არა, არც ეგ, — ვთქვი მე.

მასრა ისევ გამოცვალებო.

— ეს რომის სადგური იყო, არა?

<sup>1</sup> ქალაქის კონტურები (ინგლ.).

პასუხი არ გამიცია. შემდეგ მასრას გაფაციცებული ველოდი, რომ აპარატი მაშინვე განეჩერებინა. ვიცოდი, რაც იქნებოდა: ზაბეტი გემზე, ზაბეტი პინგ-პონგს თამაშობს თავის უღვაწებგაწყებულ მეგობართან. ზაბეტი საბანაო კოსტუმის ამარა. ზაბეტი ენას მიყოფს, (შემამჩნია, რომ ვუღებდი) ყველაფერი ეს იმ მასრაში უნდა ყოფილიყო, რომელიც აივის კადრები უწყობდა. ესეც გადავდევი, მაგრამ ექვსი თუ შვიდი მასრა კიდევ ეწვივებოდა და უცებ, თითქოს ასეც უნდა ყოფილიყო, ეკრანზე მთელი ტანით აისვეტა ფერად ფირზე გადაღებული ზაბეტი.

ფეხზე წამოვდექი.

ზაბეტი ავინიონში.

აპარატი არ გამიჩერებია, მთელი ფირი გავუშვი, თუშცა ტექნიკოსმა რამდენჯერმე შიბხრა, ეს გვატემალა არ იქნებაო.

ახლაც თვალწინ მიდგას ის კადრები.

მისი სახე, რომელიც აღარასოდეს აღარ გაცოცხლდება...

ზაბეტი მისტრალში, ქარის საწინააღმდეგო მიმართულებით მიდის, კადრში მოჩანს ტერასა, პაპის ბაღი, ზაბეტს თმა უფრიალებს, ქვედა კაბა ბუსტიგოთ ებერება, აი, ახლა მოაჯირთან დგას და ხელს მიქნევს.

მისი მიხრა-მოხრა...

ახლა მტრედებს საკენკს უყრის.

იცინის, მაგრამ უხმოდ...

ავინიონის ძველი ხიდისაგან დარჩენილი ნახევარი... ზაბეტი რალაცას მიჩვენებს. აი, ახლა შეამჩნია, რომ მე იქი, კი არ ვიხედები, მას ვიღებ და გაგულსებული მიყურებს. შუბლზე, წარბებშუა ნაოჭი უჩნდება, რალაცას მეუბნება.

პეიზაჟი...

რონის წყალი, ზაბეტი წყალში ფეხის ცერს ჰყოფს და თავს აქნევს. სალამოს მზე... ჩემი გრძელი ჩრდილი მზეზე...

მისი სხეული, რომელიც აღარ არსებობს...

ანტიკური თეატრი ნიში.

საუშმე ჭადრების ქვეშ, ოფიციანტი, რომელსაც ჩვენთვის ხელმეორედ მოაქვს ბრიოში. ზაბეტი ოფიციანტს ეტიტინება, მერე ჩემკენ იხედება და ფინჯანს შავი ყავით მივსებს.

მისი თვალები, რომლებიც აღარ არსებობს.

ზაბეტი ყიდულობს დედასთან გასაგზავნ ღია ბარათებს. შავი კოვბოური შარვალი აცვია, ვერ ამჩნევს, რომ ვუღებ. „ცხენის კუღს“ ზურგზე ისვრას.

სასტუმრო „ანრი IV“.

ზაბეტი ფანჯრის რაფაზე ზის, ფეხი ფეხზე გადაუდვია, ფეხშიშველად, ალუბალს ჭამს, ქვევით იყურება და კურკებს პარდაპირ პირიდან ყრის. წვიმს.

მისი ტუჩები...

აი ახლა ფრანგული ჯიშის ჯორს ეთამაშება, რომელიც, მისი აზრით, მეტიჰეტად ნძიმედ არის დატვირთული.

მისი ხელები...

ჩვენი „სიტროენი-57“.

მისი ხელები, რომლებიც აღარ არსებობს... იგი ჯორს ეფერება. მისი მკლავები... აღარც ეს მკლავები არსებობს სადმე...

ხარების ბრძოლა არღესში.

ზაბეტი თმას ივარცხნის, ჯანსაღი კბილებით თმის სამაგრი უჭირავს, ისევ ამჩნევს, რომ ვულვებ, თმის სამაგრს პირიდან იღებს და ზოგჯერ უჭირავს. ალბათ, ნუ მიღებო. უცებ იცინის.

მისი ჯანსაღი კბილები...

მისი სიცილი, რომელსაც ველარასოდეს გავიგონებ...

მისი ნორჩი შუბლი...

რაღაც პროცესია მიღის (მე მგონი, ეს ისევ არღესში უნდა იყოს), ზაბეტი კისერს იგრძელებს, სიგარეტს თვალემოჭურტული აბოლებს და კვამლს თავს არიდებს, ხელები ჯიბეებში ჩაუწყვია. აი, იგი ცოკოლზე დგას, რომ ბრბოს ზევიდან უყუროს. ბალდახინი... ეტყობა, ამ დროს ზარების ხმა ისმის, მაგრამ ფირი უხმოა. ღვთისმშობელი... მგალობელი ბიჭები...

მაგრამ ფირი უხმოა.

პროვანსის ხეივანი, ჭადრების ხეივანი.

ჩვენი პიკნიკი გზაში, ზაბეტი ღვინოს სვამს. ბოთლიდან დაღვევა უჭირს, თვალებს ხუჭავს და ღვინოს ხელახლა ეწაფება, შემდეგ პირს იწმენდს. არაფერი არ გამოუდის, ბოთლს უკან მიბრუნებს და მხრებს იჩეჩავს.

ფიჭვები მისტრალში!

ისევ ფიჭვები მისტრალში:

ზაბეტი მიაბიჯებს...

აი, მივიღა კიდევ კოოსკთან. სიგარეტს ყიდულობს, ჩვეულებრივ, თავისი შავი კოვბოური შარვალის აცვია. დგას ტროტუარზე და აქეთ-იქით იცქირება, კეფაზე აქეთ-იქით ეხლება „ცხენის კუდი“, შემდეგ ირბად ჭრის ქუჩას და ჩემკენ მოემართება.

ხტუნვა-ხტუნვით მოდის...

ისევ ფიჭვები მისტრალში.

ზაბეტს სძინავს, თმაგამლიღს პირი ნახევრად ღია აქვს. ვხედავ მის დახუჭულ თვალებს.

მისი სახე, მისი სახე...

მისი მფშვინავი სხეული...

მარსელი. ნავსადგურში გემიდან ხარებს ტვირთავენ. წაბლისფერი ხარები გაჭიმულ ბადეზე გაპყავთ, შემდეგ მალლა სწევენ, ჰაერში დაკიდულ შეშინებულ ხარებს ფეხები უწარმაზარი ბადის თვლებში ეხლართებათ, თვალები გადნოცვენაზე აქვთ.

ფიჭვები მისტრალში, L'unité d'Habitation (Corbusier) <sup>1</sup>.

მთლიანად ამ ფილმის განათება ცუდი არ არის, ყოველ შემთხვევაში უკეთესია, ვიდრე გვატემალაში გადაღებულ ფირებში იყო. ფერები დიდებული გამოსულა. პირდაპირ გაოცებული ვარ.

ზაბეტი ყვავილებს კრეფს...

<sup>1</sup> საცხოვრებლის ერთიანობა (კორბუზიე) (ფრანგ.).

ეტყობა, აპარატს აქეთ-იქით ნაკლებად ვატრიალებდი და ობიექტის მოძრაობა გაცილებით მკვეთრად ჩანს.

ზღვის მოქცევა...

მისი თითები...

ზაბეტმა პირველად ნახა კორპის ხე. ქერქს თითებით ამოცურებს და მე მესვრის!



საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

(დეფექტი).

მოქცევა შუადღისას. შეტი არაფერი.

ზაბეტი ისევ თმას ივარცხნის, თმა სველი აქვს, თავი გვერდზე გადაუგლია, ვერ ხედავს, რომ ფულებ და თმის ვარცხნაში რაღაცას მიყვება. სისველისაგან თმა ახლა ჩვეულებრივზე უფრო მუქი უჩანს, უფრო მოწითალო ფერი გადაჰკრავს. მისი მწვანე სავარცხელი, ეტყობა, ქვიშითაა სავსე. სავარცხელს წინედს, მარმარილოსავით კანზე წყლის წვეთები ასხია, ისევ მიყვება რაღაცას...

წყალქვეშა ნაგები ტულონთან.

ახალგაზრდა მაწანწალას ხელში ასთაკვა უჭირავს. ასთაკვა სხმარტალებს.

ზაბეტი კრთის ასთაკვის ყოველ განძრევასზე...

ჩვენი პატარა სასტუმრო ლე-ტრეიაში.

ზაბეტი ჯორზე ზის...

ისევ მოქცევა.

(ძალიან გაჭიანურებულია ეს კადრები.)

ისევ ზაბეტი. ჯორზე ზის. შემდეგ კადრში ჩვენი გარდაცვლილი ქალიშვილი ფეხზე დგას და მღერის, ხელები ისევ შარვლის ჯიბეებში აქვს ჩაწყობილი, ჰგონია, რომ მარტოა და მღერის, მაგრამ ხმა არ ისმის.

მასრა თავდება.

არ ვიცი იმ ახალგაზრდა ტექნიკოსმა ჩემზე რა იფიქრა, ან თავის პატრონებს რა უთხრა. მე უკვე ვაგონ-რესტორანში ვიჯექი („პელვეცია-ექსპრესში“ თუ „საექსკურსიო ექსპრესში“ ესეც აღარ ვიცი) და „შტაინპეგერს“ ვსვამდი. „ჰენკე და ბოშის“ კანტორიდან როგორ წამოვედი, არც ეს ვიცი. წამოვედი ყოველგვარი ახსნა-განმარტებისა და თავის მართლების გარეშე.

ნხოლოდ ფირები დავტოვე.

ახალგაზრდა ტექნიკოსს ვუთხარი, წასასვლელი ვარ-მეთქი და დახმარებისათვის მადლობა გადავუხადე. მოსაცდელში გავედი, ქუდი და პალტო ავიღე და მდივან ქალს ვთხოვე, ჩემი პორტფელი გამოეტანა, პორტფელი ჯერ ისევ ღირეაქციაში იღო. უკვე ლიფტთან ვიდექი. 11 საათი და 32 წუთი იყო. ყველანი მზად იყვნენ ფილმის საცქერლად, მე კი კუჭის ტკივილი მოვიმიზზე და ლიფტში შევედი. შემომთავაზეს, სასტუმროში, უფრო სწორად სავადმყოფოში მანქანით მიგიყვანთო, მაგრამ კუჭი მართლა კი არ მტკიოდა.

ყველას მადლობა მოვახსენე და გზას ფეხით დავადექი. არსად არ მიმეჩქარებოდა, არც ვიცოდი, საით უნდა წავსულიყავი. არცკი ვიცი დღევანდელი დიუსელდორფი როგორ გამოიყურება. ისე დავდიოდი ქალაქის ქუჩებში, მგონია, შუქნიშნებსაც არ ვაქცევდი ყურადღებას; ბრმასავით მივაბიჯებდი. სარკმელთან მივედი, ბილეთი ვიყიდე და პირველივე მატარებელში ჩავჯექი — ვხივარ ვაგონ-რესტორანში, ვსვამ „შტაინპეგერს“ და ფანჯარაში ვიყურები. არ

ვტერი, მხოლოდ ის მინდა, სულ აღარ ვიყო ამ ქვეყანაზე. ან ფანჯარაში რის-  
თვის ვიყურები? დასანახი აღარაფერი მაქვს. მისი ორი ხელი, რომელიც  
აღარსად აღარ არსებობს, მისი ხელის მოძრაობა, როცა თმას ვეფხვე იყრის  
ან ივარცხნის, მისი კბილები, მისი ტუჩები, მისი თვალები, რომლებიც აღარ-  
სად აღარ არსებობენ, მისი შუბლი: სად უნდა ვეძებო ისინი? ნეტავ სულ არ  
გავჩენილიყავი ამ ქვეყანაზე. რა მინდა ციურისში? რა მინდა ვინმესთან? უნდა  
ვაგონ-რესტორანში და ვფიქრობ: რატომ არ ავიღებ ამ ორ ჩახვალს, მუშტებში  
რატომ არ მოვიქცევ და ზედ თვალებს არ დავითხრი?

□ □

ჩემი რაპორტია ზევისთვის არის დანიშნული.

P. S. მთელი მოგზაურობის მანძილზე არაფერი ვიცოდი. რას აკეთებდა  
ჰანა ამ უბედურების შემდეგ. ჰანასაგან არც ერთი წერილი არ მიმიღია! დღესაც  
არ ვიცი, რას აკეთებს. როცა ვეკითხები, მპასუხობს, რა უნდა ვქნაო. ველარ  
გამიგია, როგორ მიტანს იმის შემდეგ, რაც მოხდა? მოდის აქ იმისათვის, რომ  
სადღაც წასასვლელი ჰქონდეს, მოდის ისევ, მოაქვს, რასაც ვისურვებ, ყურს  
მიგდებს. რას ფიქრობს ჰანა? თმაში მეტი ჭადარა გაერია. რატომ არ ამბობს,  
რომ ცხოვრება სამსაღად ვუქციე? იმის შემდეგ, რაც მოხდა, მისი სიცოცხლე  
ვერ წარმომიდგენია. მხოლოდ ერთადერთხელ გავუგე ჰანას, როცა ორივე  
მუშტი სახეში დამიშინა, მაშინ, მიცვალებულის სარეცელთან. მას შემდეგ მისი  
ველარაფერი გამიგია.

□ □

## 16. VII. ციურიხი.

დიუსელდორფიდან ციურიხში, ჩემი ფიქრით, მხოლოდ იმისათვის გავემ-  
გზავრე, რომ ოცი წელია მშობლიური ქალაქი არ მენახა.

ციურიხში საქმე არაფერი მქონდა.

ვილიამსი პარიზში მელოდია...

ციურიხში, პროფესორი ო. კიდევ ვერ ვიცანი. მანქანა ჩემს ახლოს დაა-  
მუხრუჭა, მანქანიდან გადმოვიდა და ხელი ჩამომართვა. ჩემი ჟვანასკნელი  
შეხვედრის შემდეგ სულ არ შეცვლილიყო: თავის ქალაზე გადაკრული კანი  
ისევ მოყვითალო პერგამენტს მიუგავდა, მუცელი ბუშტივით გამობერვოდა,  
ყურები უშველებელი მოუჩანდა. მის გულითალობას, მის სიცოცხლეს რომ უყუ-  
რებ, თითქოს მიცვალებულის თავი ვიცინის, თვალები ჭერ კიდევ ცოცხლად  
უბრწყინავს, მაგრამ სადღაც ფოსოებში აქვს ჩაკარგული, მხოლოდ ის ვიცოდი,  
რომ ამ კაცს ვიცნობდი, მაგრამ პირველ წუთებში მაინც ვერ მივხვდი, ვინ  
უნდა ყოფილიყო.

— სულ გეჩქარებათ, — გაიცინა მან, — სულ სადღაც მიგეჩქარებათ...

ციურიხში რას ვაკეთებ?

— კიდევ ვერ მიცანიი? — შემეკითხა იგი.

საშიშარი შესახედავი იყო. არ ვიცოდი, რა მეთქვა. რა თქმა უნდა, ვიცანი.

უბრალოდ დავიბენი. შემდეგ შიშმა შემიბყრო, რამე საშინელი არ წარმოვრო-  
შო-მეთქი და ვუთხარი:

— რას ბრძანებთ, არსად არ მიმეჩქარება.

შემდეგ კარგა ხანს ვისხედით ერთად კაფე „ოდეონში“

— ძალიან ვწუხვარ, იმ დღეს პარიზში რომ ვერ გიცანით..

ჩემზე ნაწყენი არ არის. იღინება. ყურს ვუვდებ, თან მისი მკობილი უბს  
ვუცქერი. კაცს მხოლოდ ერთი შეხედვით ეგონებოდა, რუსული კბილები მე-  
ტისნეტად დიდი მქონდა გალუულ სახესთან შედარებით და საბის კუნთები  
ლიმლიჩამქრალ სახეს ველარ სწვლებოდა. ეს იყო საუბარი მიცვალებულის თა-  
ვის ქალასთან. თავს ვიკავებდი, რომ არ მეკითხა, სიკვდილს როდის აპირებთ-  
მეთქი. იგი ისევ იცინოდა.

— რას ხატავთ მანდ, ფაბერ?

მარმარილოს მაგიდაზე სპირალს ვხატავდი, ყვითელ მარმარილოში გაქვა-  
ვებული ხვეული სპირალს მიაფავდა, ამიტომ ვხატავდი მეც სპირალს. ფანქარი  
ახევ ჯიბეში ჩავიდე. საუბარმა საერთაშორისო მდგომარეობაზე გადაინაცვლა.  
მისი გაქვავებული სიცილი ისე მაღიზიანებდა, რომ სიტყვებს ვერ ვპოულობდი.  
რატომ ვღუმვარ?

„ოდეონის“ ერთმა ოფიციალტმა, ვენის ძველმა მკვიდრმა, მიცნო, სულ  
არ შეცვლილხართო.

პროფესორი ო. იცინის.

ვული სწყდება, დისერტაცია (ე. წ. მაქსველის დემონზე) რატომ არ დაწე-  
რეო.

„ოდეონის“ კოკოტები ძველებურად განოიყურებიან.

— იცით, „ოდეონს“ ანგრევენ! — იცინის იგი.

მოულოდნელად მეკითხება:

— როგორ არის თქვენი მშვენიერი ქალიშვილი?

მან ზაბეტი მაშინ ნახა, კაფეში რომ დავემშვიდობეთ ერთმანეთს. ახლახან,  
პარიზში არ გნახეთო? — თქვა მან.

ეს იყო იმ საღამოს, მე და ზაბეტი ოპერაში რომ წავედით. ჩვენი  
საქორწინო მოგზაურობის წინა საღამო. არაფერი მითქვამს, მხოლოდ ეს  
ვკითხე:

— საიდან მიხვდით, რომ ჩემი ქალიშვილი იყო?

— ასე ვიფიქრე!

თან იღიმება.

ციურიხში საქმე არაფერი მქონდა, იმ დღესვე (პროფესორ ო.-სთან  
„ოდეონში“ ლაპარაკის შემდეგ) კლოტენში წავედი და თვითმფრინავში ჩავ-  
ჯექი..

ჩემი უკანასკნელი გაფრენა!

ისევ „სუბერ-კონსტელეიშნით“ მივფრინავ.

მშვიდად მივფრინავდი, ალბებზე მხოლოდ სუსტი ქარი ქროდა. ალბებს  
სიყმაწვილიდან ვიცნობ, მაგრამ მის თავზე პირველად მივფრინავ. ჩვეულებრი-  
ვი კამკაშა დღეა, ჩვეულებრივი ქარი უჭიქინებს, მარცხნივ ფირვალდშტეტეს  
ტბა მოჩანს, მარჯვნივ — ვეტერპორნი, მის უკან აიგერი და იუნგფრაუ, ან იქნებ



ფინსტერაარპორნაა. ასე კარგად არ ვიცნობ ჩვენს მთებს, თავში სხვა ფიქრი მიტრიალებს...

მაინც რა?

ხეობები გვიანი ნაშუადღევის ირიბ შუქში გახვეულან, ქარაფებზე ჩრდილები აფენია, თეთრი ნაკადულებით დაქსელილ ხეობებშიც ჩრდილები ჩნდებოდა, იალალებიც ირიბ შუქშია ჩაფლული, ფერდობზე წითელ-მწვანე-ყვითელი არდამულები გაბნეულან. ერთგან, ტყის პირას თეთრი ნატლები იტყობა (შაბეტი, რა თქმა უნდა, სხვანაირად იტყობდა, მაგრამ როგორ, არ ვიცი). თავში უაზრო ფიქრები მერევა. შუბლი ცივ მინას მივაყრდენი.

თივის დაყნოსვა მომიანდა

არასოდეს აღარ ვიფრენ!

მინდა მიწაზე გავიარო მზის გულზე აშოლტილ ნაძვებს ქვეშ, წიწვის სურნელი ვიყნოსო, ნაკადულის ჩუხჩუხი გავიგონო და წყალს დავეწაფო...

ყველაფერი კინოკადრებით მადის ჩემს თვალწინ!

მინდა მიწას შევახო ხელი...

ჩვენ კი სულ ზევით და ზევით მივიწვევთ.

სიცოცხლის ზონა საკმაოდ პატარაა, რამდენიმე ასეულ მეტრს შეადგენს, ზევით ატმოსფერო უკვე გაიშვიათებულია და ცივია. ადამიანებით დასახლებული მიწა, კაცმა რომ თქვას, მხოლოდ ოაზისია, ვაწროდ განტოტვილი ოაზისი, შემდეგ ოაზისი თავდება, ტყის ზოლი ისე მკვეთრად წყდება, თითქოს ვილაცას გადაუჭრიაო (ჩვენში 2000 მეტრზე, სექსიკაში 4000-ზე). შემდეგ ცოტაზე კიდევ მოჩანს ცხვრის ფარები, ცხვრები იმ ზღვარზე სძოვენ ბალახს, სადაც სიცოცხლე ჯერ კიდევ შესაძლებელია. იქ ყვავილები (აქედან ვერ ვხედავ, მაგრამ ვიცი) ჭრელია და ფესვმაგარი, მაგრამ პაწაწკინტელა... მწერები... შემდეგ ღორღი, მის შემდეგ კი ყინული იწყება.

ერთგან ახალი საგუბარი გამოჩნდა. შიგ ბერნოსავით მომწვანო, მღვრიე წყალი დგას, სიღრმიდან თეთრად გამოსჭვივის ფირნის ანარეკლი, ჯებირთან კანჭოა გამობმული. კაციშვილი არ ჭაჭანებს...

მიჰქრის პირველი ნისლი...

მყინვარებში ბოთლივით მწვანე ნაპრალები მოჩანს. სმარაგდივითო, — იტყობდა ალბათ ზაბეტი, ისევ გამახსენდა ჩვენი თამაში ოცდაერთ ქულაზე! ნაგვიანეე შუქში ოქროსავით ელვარებენ კლდეები. ჩენი აზრით, ქარვასავით, რადგან მჭრქალად ჩანან, ოდნავ გამჭვირვალე არიან, ან შეიძლება ძვალსაც გვანან, მასავით უფერულნი და მყიფენი. თვითმფრინავის ჩრდილი მორენებს და მყინვარებს აფენია.

როგორც კი ჩაყვინთავს თვითმფრინავი, გგონია, რომ ჩრდილი სადღაც დაიკარგა, ის კი ამ დროს უკვე მეორე კლდეს ეტყებება ნიჩბით ნასროლი ბათქაშივით! მაგრამ ბათქაშივით კი არ რჩება ზედ, სხლტება და მთავრებილის მეორე მხარეს ეშვება სიცარიელეში. ჩვენი თვითმფრინავის ჩრდილი დამურასავითააო, იტყობდა ზაბეტი. ნე ვერაფერს ვერ ვიგონებ და ერთ ქულას ვკარგავ. თავში სხვა ფიქრი მიტრიალებს. თოვლზე დაჩნეული ადამიანის კვალი გვირისტსა ჰგავს, ზაბეტი ალბათ იტყობდა, ძეწკვს ჰგავსო, მოლურჯო ძეწკვს, გრძლად რომ ჰკიდია ქათქათა მწვერვალს მკერდზე. ჰო, რაზე ვფიქრობ? ახლა რომ აი, იმ მწვერვალზე ვიდგე, რას ვიზამდი? ჩამოსვლა გვიან არის. ხეობებ-

ში უკვე ბინდი წვება. დაისის ჩრდილები მყინვარებს ეფინება და მერე ციციბო კლდეებზე მიცოცავს. რა მეშველება? იმ მწვერვალს თავზე გადავუფრინეთ. მწვერვალზე ეულად კაშკაშებს თეთრი ჯვარი. ამ შუქს მთამსვლელები ვერასოდეს ვერ ხედავენ, მანამდე უნდა მოასწრონ ქვევით ჩასვლა. მისი ხილვა სიცოცხლის ფასად უჯდება ადამიანს, მაგრამ წარმტაცი სანახარია.

წუთიც და ცა ღრუბლებით იფარება. საპაერო ორქულები გახშირდა, ალპების სამხრეთი კალთები, როგორც მოსალოდნელი იყო ღრუბლებშია გახვეული. ღრუბლები ბამბის ქულებს ჰგავს, თაბაშირს, ყვავილოვან კომბოსტოს, საპნის ქაფს, არ ვიცი, ზაბუტი რას არ მოიფიქრებდა: პანორამა სწრაფად იცვლება, ხანდახან ღრუბლებში ხვრელი ჩნდება და სიღრმეში შავი ტყე ნოჩანს, ნაკადული, ზღარბივით აბურღნული ტყე, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი წამით, ღრუბლები ისევ ერწყმიან ერთმანეთს, ზედა ღრუბლების ჩრდილი ფარდებივით ეფინება ქვედა ღრუბლებს. ღრუბლებში მივფრინავთ, ჩვენს წინ მზესე აელვარებული ღრუბლები გაწოლილან: თითქოს თვითმფრინავი ეს ესაა ზედ უნდა შეასკდესო, წყლის ორთქლის მთელი მთებია აღმართული, მაგრამ ეს მთები ღრეკადია, ბერძნული მარმარილოსავით თეთრი და ხოშორა.

ღრუბლებში შევდივართ.

ტამაულიპასში ჩემი იძულებითი დაშვების შემდეგ ყოველთვის ისეთ ადგილზე ვვადები, რომ შასებს ვხედავდე და დაძაბული ვუყურებ, დასაფრენი ბილიკი უკანასკნელ წამს უდაბნოდ არ გადაიქცეს.

მილანი:

ჰანას ვუღებეშე, მოვდივარ-მეთქი.

აბა, სად უნდა წავიდე?

გაუგებარია, როგორ შეიძლება ასეთი ჩინებული პნევმატური მოწყობილობით აღჭურვილი, შასებიანი მფრინავი მანქანა მიწას რომ შეეხება, დემონივით მოიქცეს და დასაფრენი ბილიკი უცებ უდაბნოდ გადააქციოს. ჩემს ნაბოღვარზე თვითონვე მეცინება. მართლა სერიოზულად კი არ ვფიქრობ ამას. ჩემს სიცოცხლეში არ შემხვედრია დემონი, თუ არ ჩავთვლით, რა თქმა უნდა, ე. წ. მაქსველის დემონს, ის კი, მოგეხსენებათ, დემონი სულაც არ არის.

რომი:

ვილიამსს ვუღებეშე, სამსახურიდან დამითხოვეთ-მეთქი.

ნელ-ნელა ვმშვიდდები.

ათენს რომ მივუახლოვდით, დანე იყო, გეზი ოდნავ ჩრდილოეთისაკენ გვეჭირა და სიბნელეში კორინთის ყურე ველარ გავარჩიე.

ვეშვებით ჩვეულებრივად.

ლამეში გაბნეული ნაპერწკლების წვიმა...

მწვანე სინათლე ფრთაზე...

მთვარის ანარეკლი ფრთაზე...

მოტორის ხრახნთან წითლად მოკიაფე შუქი...

ისე ვიყავი დაძაბული, თითქოს ჩემს სიცოცხლეში პირველად ვმჯდარიყავი თვითმფრინავში. ვუყურებდი. როგორ შემოტრიალდა ნელ-ნელა თვითმფრინავი, როგორ გამოცურდა ფრთის ქვეშ შასები, როგორ აკაშკაშდა პროექტორი. მისი თეთრი შუქი პროპელერის დისკოში გაიხლართა, შემდეგ ისევ ჩაქრა.

ჩვენს ქვემოთ სინათლეები ჩანს... ვხედავ ათენის ქუჩებს, უფრო სწორად, პირის ქუჩებს.

დაბლა დავეშვით, გამოჩნდა აეროდრომის ყვეთელი სინათლეები, შემდეგ დასაფრენი ბილიკი დავინახე, ისევ აინთო პროექტორები და ბოლოს ჩვეულებრივი რბალი ბიძგი ვიგრძენით (მაშინდებურად არ გადავვარდნილვარ სრულობაში), შასებზე უკან ჩვეულებრივ ავარდა მტვრის კონკრეტული.

ღველები შევიხსენი.

ჰანა აეროდრომზეა. ფანჯრიდან ვხედავ: ძაძები აცვია.

თან მხოლოდ პორტფელი, „ჰერმეს-ბები“, პალტო და ქუდი მქონდა და საბაჟოში არ დავყოვნებულვარ. გარეთ პირველი გამოვედი, მაგრამ ჰანასათვის ხელის დაქნევა ვერ გავბედე. ბარიერთან რომ მივსულვარ, ფესი ვეღარ გადამიდგამს წინ, თურმე გაშეშებული ვმდგარვარ, სანამ თვითონ არ მოსულა ჩემთან (ეს ჰანამ მითხრა).

ჰანა პირველად ვნახე ძაძებში. მან შუბლზე მაკოცა. მირჩია სასტუმრო „ესტია ემბორონი“ გავჩერებულიყავი.

□ □

დღესაც მხოლოდ ჩაის მაძლევენ. კიდევ ერთხელ გამსინჯავენ და მომეშვებიან. ხვალ, ბოლოს და ბოლოს, ოპერაციას გამიკეთებენ.

□ □

დღემდე მხოლოდ ერთხელ ვიყავი მის საფლავზე. აქედან აღარ გამიშვებს (თუმცა მე მხოლოდ გამოკვლევა მოვითხოვე). მის ცხელ საფლავზე ყვავილები რამდენიმე საათში ჭკნება...

□ □

18.00.

ჩემი „ჰერმეს-ბები“ წაიღეს.

19.30.

ჰანა ერთხელ კიდევ იყო ჩემთან.

24.00.

წუთით არ მონიხუჭავს თვალი და არც მეძინება.

ყველაფერი ვიცი. ხვალ გამკვეთავენ, რომ დაადგინონ ის, რაც უკვე იციან: გადარჩენა შეუძლებელია. ჭრილობას ამოკერავენ და როცა გონს მოვალ, მეტყვიან, ოპერაცია გაგიკეთეთო. მეც დავიჯერებ, თუმცა ყველაფერი ვიცი. არ გავამხელ, ტყვილები რომ ხელახლა დამეწყება, უფრო ძლიერი, ვიდრე ოდესმე. სულ ტყუილია, რომ ამბობენ: კუჭის კიბო რომ მჭირდეს, ტყვიას ვიკრავ შუბლშიო. სიცოცხლეს ახლა ისე ვებლაუჭები, როგორც არასდროს და თუნდაც

ერთი წელი ვიცოცხლო, გასაცოდავებული ერთი წელი, მეოთხედი, ორი თვე (ეს იქნებოდა სექტემბერი და ოქტომბერი), ანედი მაინც არ დაშეგარგება, თუმცა ვიცი, რომ ჩემი საქმე წასულია. მაგრამ მე მარტო რადღი ვარ, ჰანა ჩემი მეგობარია, მარტო არა ვარ.



02.40.

ჰანას წერილი მივწერე.

04.00.

განკარგულება სიკვდილის შემთხვევაში: ყველა ჩემი დოკუმენტი: პატაკები, წერილები და სხვა მისთანანი უნდა განადგურდეს. ყველაფერ ამას ფასი არა აქვს. ამქვეყნად ყოფნა სინათლეში ყოფნას ნიშნავს. სულ ერთია, სადაც იქნები, რაც იქნები (როგორც ახლახან კორინთში ნანახი მოხუცი), ვირის გაძლოლაც ჩვენი ხელობაა! მაგრამ უბირველეს ყოვლისა სინათლისა და სიხარულის ერთგული უნდა იყო (ჩვენი ამღერებული გოგონასავით), უნდა გწამდეს, რომ ქრები სინათლეში, ნარშავეებზე, ასფალტსა და ზღვაზე, უნდა გაუძლო დროს, უფრო სწორად, უნდა გწამდეს წამის მარადისობა. იყო მარადიული, ნიშნავს, არსებობდე ამქვეყნად.

04.15.

მხოლოდ დღეს (არა, გუშინ!) გავიგე, რომ აღარც ჰანას აქვს ბინა. ახლას პანსიონში ცხოვრობს. კარაკასიდან გამოგზავნილ დებეშას ჰანასათვის ბინაზე ვეღარ ნიუსწრია. ეტყობა, ჩემი დებეშის გამოგზავნა იმ დროს დაემთხვა, როცა ჰანა ბინიდან გადადიოდა. პირველად უფიქრია, ერთი წელიწადი კუნძულებზე გაეტარებინა. იქ დელოსის გათხრების დროიდან შექმნილი ბერძენი ნაცნობები ჰყავს თურმე. იმ კუნძულებზე ცხოვრება ძალიან იაფი ყოფილა. მუქონოსში, ჰანას თქმით, სახლს ორას დოლარად იყიდი, ამორგოსში ას დოლარადაც კი. ინსტიტუტში აღარ მუშაობს, რასაც კარგა ხანია ვხვდებოდით. ჰანას უცდია, ბინა ავეჯიანად გაექირავებინა, მაგრამ სიჩქარეში ვერ მოუხერხებია. შემდეგ ყველაფერი გაუყიდა, წიგნები კი გაუსაჩუქრებია, ათენში გაძლება აღარ შემეძლოო, — თქვა მან. ფიქრობდა პარიზში ან ლონდონში წასვლაზე. ყველა გეგმა სათუო იყო, რადგან არც ისე ადვილია ჩემი ხნის ქალისათვის ახალი სამსახურის, თუნდაც მდივნის ადგილის შოვნაო, — ამბობს ჰანა. ერთი წუთითაც არ გაუვლია გულში, შემწეობა ჩემთვის ეთხოვა, ამიტომაც არ მწერდა წერილებს. სინამდვილეში ჰანას ერთადერთი მიზანი ამოძრავებდა — შორს საბერძნეთიდან! ისე წავიდა ქალაქიდან, აქაურ ნაცნობებსაც არ გამომშვიდობებია, მხოლოდ ინსტიტუტის დირექტორს დაემშვიდობა, მას დიდ პატივს სცემს. გამგზავრებამდე დარჩენილი უკანასკნელი საათები საფლავზე გაატარა, 14.00 საათზე გემზე უნდა ყოფილიყო. გემი 15.00 საათზე გადიოდა, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო გასვლა თითქმის ერთი საათით შეყოვნებულა. უცებ (ამბობს ჰანა) თავისი განზრახვა უაზროდ მოსჩვენებია, ჩანთისათვის ხელი დაუვლია და გემიდან ჩამოსულა. ჩაბარებული სამი დიდი ჩემოდნის გამოტანა უკვე გვიან იყო. ჩემოდნები ნეაპოლში წავიდა და მალე უკანვე დააბრუნებენ. ჰანა ჯერ სასტუმრო „ესტია ემბრონში“ ცხოვრობდა, ხანგრძლივად ამ სასტუმროში ცხოვრება მეტისმეტად ძვირი დაუჯდებოდა და ჰანამ ისევ შეიტანა განცხადება

ინსტიტუტში, მაგრამ მისი ადგილი უკვე სხვა თანამშრომელს დაეკავებინა: ხელშეკრულება სამი წლით იყო დადებული და ამ საქმეს აღარაღიროვებულა. მისი შემცვლელი საკმაოდ დიდხანს უცდიდა ჰანას ადგილს, ფაქტობრივად წასვლას არც იფიქრებდა. დირექტორი თურმე ძალიან უნდოდა, რომ ინსტიტუტს სად შეეძლო ერთ ადგილზე ორი თანამშრომელი აეყვანა. რაიმე შემთხვევითი სამუშაო თუ გამოუჩნდებოდათ, უარს არ ეტყოდნენ, ასევე სიამოვნებით გაუწევდნენ რეკომენდაციას საზღვარგარეთისათვის. მაგრამ ჰანას ათენში უნდა ღარჩენა. ჰანა აქ მე მიცდიდა, თუ წართლა უნდოდა ათენიდან წასვლა, რომ მე აღარ შემხვედროდა, არ ვიცო, რომიდან გამოგზავნილი დეპეშა ღროზე შემთხვევით მიუღია. უკვე ცარიელ ბინაში მხოლოდ სახლის რწმუნებულს უცდიდა თურმე, რომ გასაღები ჩაებარებინა. აი, რას აკეთებს ჰანა ამჟამად: უცხოელ ტურისტებს დილით მუზეუმში დაატარებს, ნაშუადღევს აკროპოლში, საღამოს კი სუნითში. მეტწილად ისეთ ტურისტულ ჯგუფებს დაჰყვება, რომლებიც ერთ დღეში ასწრებენ ყველაფრის ნახვას.

ეს გახლავთ ხმელთაშუა ზღვის ტურისტული საზოგადოება.

06.00.

კიდევ ერთი წერილი მივწერე ჰანას.

06.45.

მე არ ვიცო, რატომ ჩამოიხრჩო თავი იოახინმა. ჰანა კი სულ მეკითხება და მეკითხება. საიდან უნდა ვიცოდე? ჰანა ისევ და ისევ უბრუნდება ამ თემას, თუმცა იოახიმის ამბები ჰანაზე გაცილებით ცუდად ვიცო. ბავშვი რომ შემეძინა, იოახინს შენი სახელი ერთხელაც არ უჩხენებიაო, ამბობს ჰანა, იმიტომ, რომ ის ჩემი შვილი იყო, მხოლოდ ჩემიო. იოახიმი სწორედ იმიტომ მიყვარდა, რომ ჩემი ბავშვის მამა არ იყო და პირველ წლებში ერთნაწილად იოლადაც ვუგებდითო. ჰანა ამბობს, ჩვენი შვილი ამ ქვეყანაზე არავითარ შემთხვევაში არ გაჩნდებოდა, მაშინ რომ არ დავშორებულყავითო. ჰანას ეს მტკიცედ სჯერა. ეტყობა, ჰანას განშორება ჩემს ბაღდადში წასვლამდეც ჰქონია გადაწყვეტილი. შვილი უნდოდა, მაგრამ მე ციურბიხიდან წავედი თუ არა, მაშინვე იგრძნო, რომ შვილი უნდოდა უმამოდ (ასე ამბობს ჰანა). ჩვენი შვილი კი არ უნდოდა, თავისი შვილი უნდოდა. მართო იყო, მაგრამ ბავშვის მოლოდინში ბედნიერად გრძნობდა თავს. იოახინთან რომ მიდიოდა, უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, ბავშვი შეენარჩუნებინა. ჰანასათვის არც იმას შეუშლია ხელი, რომ იოახიმმა გაუიოლა მისი არსებობისათვის მეტად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება, მას ჰანა შეუყვარდა და მალე ცოლად შეირთო კიდევ. ჩემი დაწყვეტილი სიტყვებიც, კრუხივით იქცევი-მეთქი, ღრმად ჩაბეჭდვია გულში, იმიტომ, რომ ერთხელ იოახიმსაც იგივე უთქვამს ჰანასათვის. იოახიმი თურმე ბრუნავდა ბავშვზე, მაგრამ მის აღზრდაში არ ერეოდა. ის ხომ მისი შვილი არ იყო, ის არც ჩემი შვილი იყო, ეს იყო უმამო ბავშვი, ჰანას ბავშვი, ჰანას საკუთარი შვილი, ბავშვი, რომელთანაც არც ერთ მამაკაცს ხელი არა ჰქონდა. ამ ანბავს იოახიმი პირველ ხანებში, ეტყობა, ეგუებოდა, ეგუებოდა ნანამ, სანამ ბავშვი წამოიზრდებოდა, არაფერში არ უშლიდა ჰანას ხელს, რადგან ხედავდა, რომ ბავშვი ჰანას ბედნიერებას ანიჭებდა.

შენი სახელი არასოდეს არ გვიხსენებიაო, — ამბობს ჰანა, იოახიმს ეჭვიანობის საბაბი არ ჰქონდა, ყოველ შემთხვევაში, მე სათვალავში არ ვიყავი ჩასაგდები, ბავშვის მამად ხალხი კი არა, რომელმაც, სხვათა შორის, არაფერი იცოდა, ჰანაც არ მთვლიდა. მან უბრალოდ დამივიწყა (ასე მიმტკიცებს ჰანა) ისე, რომ საყვედურიც არ ჩამრჩენია გულშიო. ჰანას დაეფიქრეს უფრო მანეთთან ურთიერთობა მაშინ გაუძნელდათ, როცა ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებული საკითხები გართულდა. აქ საქმე ნაკლებად ეხებოდა აზრთა სხვადასხვაობას, იოახიმი ვერ იტანდა, რომ ჰანა ყველაფერში, რაც ბავშვს შეეხებოდა, თავის თავს ერთადერთ და უკანასკნელ ინსტანციად თვლიდა. ჰანა აღიარებს, იოახიმი დამყოლი ხასიათის კაცი იყო, ჭირვეულობას მხოლოდ ამ საკითხში იჩენდაო.

ეტყობოდა, იოახიმი სულ უფრო და უფრო ელოლიავებოდა გულში იწედს, რომ მას და ჰანას ბავშვი გაუჩინდებოდათ და ოჯახში მამის ადგილი დაუმკვიდრდებოდა. ალბათ, ფიქრობდა, მაშინ ყველაფერი თავისთავად მოგვარდებოდა. ელზბეტი მას თავის მამად თვლიდა, უყვარდა კიდევ, მაგრამ იოახიმს მისი არ სჯეროდა, იგი თავს ზედმეტად გრძნობდა. მაშინ არსებობდა ბევრი ანგარიშგასაწევი მიზეზი, რომ შვილი არ ჯაგეჩინა, მით უმეტეს, გერმანელი ნახევრად ებრაელისათვის ბავშვის გაჩენა უნიზნო იყო, ამტკიცებს ჰანა და დღესაც ისე ეჭიღება ამ მიზეზს, თითქოს მე ვეკამათებოდე. იოახიმს მისი არგუმენტებისა არ სჯეროდა. ეჭვიანობდა, შენ არ გინდა, სახლში მამა ტრიანლებდესო. იგი თურმე ფიქრობდა, ჰანა მხოლოდ იმ პირობით აჩენს შვილს, თუ მამა გაუჩინარდებოდა.

აი, კიდევ რა არ ვიცოდი მე: იოახიმს ოკეანეს გაღმა წასვლა ჯერ კიდევ 1935 წელს ჩაუფიქრებია, რომ ჰანას არ დაშორებოდა. არც ჰანა ფიქრობდა თურმე იოახიმთან დაშორებას. ისიც აპირებდა იოახიმთან ერთად კანადაში ან ავსტრალიაში წასულიყო, დამატებით ლაბორანტის სპეციალობაც კი შეისწავლა, რომ ქმარს ყველგან მხარში ამოსდგომოდა, მაგრამ არ დასცალდათ. როცა იოახიმმა გაიგო, რომ ჰანამ მიღები გადაიკეტა, ბევრი აღარ უფიქრია, ვერმახტში მოხალისედ ჩაეწერა (თუმცა არმიიდან თავის დახსნა ყოველთვის შეეძლო). ჰანას იგი არ დავიწყებია, თუმცა იოახიმის შემდეგ უმამაკაცოდ არ უცხოვრია, მაგრამ მთელი სიცოცხლე მაინც თავის შვილს შესწირა. მუშაობდა პარიზში, შემდეგ ლონდონში, აღმოსავლეთ ბერლინში, ათენში... გარბოდა თავის შვილთან ერთად... ბავშვს თვითონ ამეცადინებდა, სადაც გერმანული სკოლა არ იყო და ორმოცი წლის ასაკში ვიოლინოზე დაკვრაც კი ისწავლა, რომ შვილისათვის აკომპანიმენტი გაეწია. ჰანა ნემსის ყუნწში გაძვრებოდა, თუ ეს შვილისთვის იყო საჭირო. ავადმყოფ ბავშვს სარდაფში უვლიდა, როცა ვერმახტი პარიზში იყო შემოსული და წამლების მოსატანად ქუჩაში გამოსივლიდაც კი არ ერიდებოდა. შვილი არ გაუჩნებია. საამისო ჭკუა, ჩემი აზრით, ყოველთვის ჰქონდა, თუმცა თვითონ (ეს რამდენიმე დღეა) თავის თავს იდიოტს უძახის. რატომ ვთქვა მაშინ „შენი ბავშვი“, „ჩვენი ბავშვის“ მაგიერ? — დაუსრულებლად მეკითხება ჰანა. სასაყვედუროდ ვთქვი, თუ მხოლოდ სილაჩრით წამოიწვია? მისი კითხვა არ მესმის. ვიცოდი კი მაშინ, რამდენად ვიყავი მართალი? ან ახლახან რატომ ვუთხარი, კრუხივით იქცევი-მეთქი? ჩემი სიტყვები უკვე რამდენჯერ მოვიწინაიე, როცა გავიგე, რა არ გადაუტანია ჰანას. მაგრამ

ჰანა ამ სიტყვებს მაინც არ ეწვება და არა. შემიძლია თუ არა, შევეუნდო მას? ჰანა ატირდა და მუხლებზე დაიჩოქა, თუმცა ყოველ წუთში შეიძლება მოწყალეობის და წამოგვადგეს თავზე, ატირებულმა ხელები დამიკოცნა. მაშ, ჰანა სულ არ მცნობია! მხოლოდ ეს ვიცი: ყოველივე იმის შემდეგ, რაც მოხდა, ჰანა ათენს აღარ მიატოვებს, ჩვენი შეილის საფლავს არ მიატოვებს მე მგონი, ორივენი აქ დავრჩებით. ისიც კარგად მესმის, თავისი დაცარიებული გული რატომ მოიძულა. ქალიშვილის ნახევარი წლით გაშვებაც კი უკიდურესად უყველოთვის იცოდა, შეილი ოდესმე ნიატოვებდა, მაგრამ იმას ხომ ვერ იფიქრებდა, რომ ზაბეტი მაინცდამაინც ამ მოგზაურობის დროს გადაეყრებოდა თავის მამას და ცა თავზე ჩამოექცეოდა...

08.05.

ნოდინ ჩემს წასაყვანად.



რედაქტორისათვის  
გისწავით

დიდი ინგლისელი მწერლის ჯეფრი ჩოსერის შემოქმედებიდან დღემდე არც ერთ სტრიქონი ქართულად არ თარგმნილა. ჩვენ თხოვნით, ახალგაზრდა პოეტი გიორგი ნიშნაიანი შეუდგა ჩოსერის უკვდავი ნაწარმოების „კენტერბერიული მოთხრობების“ ქართულად თარგმნას. ჩვენი აღმანახის ამ ნომერში ვთავაზობთ თრ ნაწყვეტს თარგმანიდან და დოკენტ ცილა თოფურიძის წერილს პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

რამდენიმე ნაწყვეტს შემდგომ ნომერშიც გამოვაქვეყნებთ.

აქვე იმასაც მოგახსენებთ, რომ ეს ნაწარმოები შედის „მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის“ პირველ სერიასში, რომელსაც გამოცემასაც წელს ვიწყებთ.

„ინგლისური პოეზიის მამამთავარი“—ასე უწოდა მეთოთხმეტე საუკუნის დიდ ინგლისელ პოეტს ჯეფრი ჩოსერს ჯონ დრაიდენმა. ჯეფრი ჩოსერი არა მარტო ინგლისური პოეზიის მამამთავარია, არამედ საზოგადოდ ინგლისური ნაციონალური ლიტერატურისაც: მან პირველმა შექმნა და ტერატურა საქუთრივ ინგლისურ ენაზე, პირველმა ჩამოაყალიბა ინგლისური ლიტერატურული ენა, რომლის საფუძველზეც განვითარდა თანამედროვე ინგლისური. ჩოსერმა დაამკვიდრა ინგლისური ხილბურ-ტონური ლექსწყობა ძველი ალიტერაციული ანგლო-საქსონური ლექსის საწინააღმდეგოდ. მან განავითარა და დანერგა თავის მშობლიურ ლიტერატურაში საუკეთესო ხალხური ტრადიციები, რეალიზმი, იუმორი, რომელთა გარეშე შეძლვოში მდიდარი მრავალსაუკუნოვანი ინგლისური ლიტერატურა უკვე წარმოუდგენელიცაა. მაგრამ ჩოსერის მნიშვნელობა მარტო ინგლისური ნაციონალური ინტერესებითა და დეწლით არ შემოიფარგლება. იგი საყოველთაოდ აღიარებული დიდი პოეტია, რომელიც მხატვრული სიტყვის ძალით არ ჩამოუვარდება პრერენესანსისა და რენესანსის სახელოვან მწერლებს. ჩოსერი ორი დიდი ლიტერატურის მიჯნაზე დგას, დანტესავით აჯამებს ადრე შუასაუკუნეებრივსა და გზას უხსნის აღორძინების ეპოქის ლიტერატურას, იგი ინგლისური აღორძინების წინამორბედიცაა და შეიძლება ითქვას, პირველი წარმომადგენელიც

მეთოთხმეტე საუკუნე ინგლისის ისტორიაში მნიშვნელოვანი გარდატეხის პერიოდია, ინგლისი როგორც დამოუკიდებელი ერი საბოლოოდ მეთოთხმეტე საუკუნეში ყალიბდება. ინგლისურმა ენამ საბოლოოდ მოიპოვა მოქალაქეობრივი უფლება, სძლია ფრანგულის ბატონობას, თანდათანობით ხალაპარავო და სახელმწიფოებრივ ენად იქცა. ვიკლიფმა ინგლისურად თარგმნა ბიბლია. ჩოსერის მეგობარმა პოეტმა ჯონ გაუერმა, რომელიც დადგენილი შუასაუკუნეებრივი ლიტერატურული ნორმების თანახმად ფრანგულ და ლათინურ ენებზე წერდა, თავის ბოლო ნაწარმოებებში ჩოსერის გავლენით ინგლისურს მიმართა. ამ საუკუნეში მოხდა ვლენტა



დიდი აჯანყება ევოლუციური რევოლუციის წინააღმდეგ, თუმცა აჯანყება მეფის ხელისუფლებამ სასტიკად ჩაახშო, მაგრამ ეს იყო ქვეშაობრივი მძლავრი დემოკრატიული მოძრაობა. ამავე საუკუნეში ხელისუფლებისა და ვაჭრობის განვითარებას მოჰყვა ქვეყნის ეკონომიური აღმავლობა და ევროპის სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის გაფართოება.

მეთოთხმეტე საუკუნეში მოღვაწეობდნენ ცნობილი ინგლისელი პოეტები უილიამ ლენგლენდი და ჯონ გაუერი, რომ არაფერი ვთქვათ ხალხური, ანონიმური პოეტების მდიდარ შემოქმედებაზე ან ვიკლიფზე, რომელმაც ინგლისში რეფორმაციას გაუხსნა გზა. და ხალხისთვის მისაწვდომად, მათ მშობლიურ ენაზე ამეტყველა ბიბლია. და მაინც, მეთოთხმეტე საუკუნეს ინგლისში „ჩოსერის საუკუნეს“ უწოდებენ.

ჯეფრი ჩოსერის ბიოგრაფიიდან ბევრი ფაქტი ბუნდოვანი და დაუდასტურებელია, მაგრამ რაც ცნობილია, ისიც საკმაოდ გვაუწყებს, რომ პოეტის შემოქმედებითი განვითარება მრავალმხრივ განაპირობა მისი ცხოვრების რთულმა გზამ, იგი თავისი ეპოქის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის უშუალო მონაწილე ყოფილა.

ჯეფრი ჩოსერის დაბადების თარიღი არაა დაზუსტებული, ვარაუდობენ, რომ იგი დაიბადა დაახლოებით 1340 წელს ლონდონში. მამამისი ცნობილი დვინის ვაჭარი ყოფილა, მეფის კართან დაახლოებული. ჯეფრი ჩოსერს ჩანს კარგი განათლება მიუღია, თავისი დროსათვის დიდად მწიგნობარ და განსწავლულ პიროვნებად ითვლებოდა, დაწვებული ადრე შუასაუკუნეებრივი რაინდული რომანებიცა და გათავებული ფილოსოფიით, ასტროლოგიით, იურისპრუდენციით, შესანიშნავად ერკვეოდა ყველა დარგში, ფლობდა რამდენიმე უცხო ენას: ფრანგულს, იტალიურს, ლათინურს, მაგრამ სად ან როგორ მიიღო განათლება, უცნობია. სავარაუდოა, რომ ერთ ხანს სწავლობდა ლონდონის იურისტთა სასწავლებელში. 1357 წელს ჩოსერი მოხსენებულა, როგორც მეფე ედუარდ მეხამის ვაჭიშვილის, პრინც ლაიონელის მეუღლის პატი. ამგვარად, იგი ყმაწვილობიდანვე აუყვანიათ სასახლეში, მეფის კარი ინგლისში ამ დროს ადრე შუასაუკუნეებრივი კულტურის ცენტრად ითვლებოდა. ალბათ ჩოსერი მეფის კარზე ეწიარა რაინდულ წესებსაც და თანამედროვე კულტურასაც, ისმენდა და კითხულობდა ძველ და ახალ მწერლობას, განსაკუთრებით — მდიდარ ფრანგულ ლიტერატურას. ჭაბუკობიდანვე დაუმეგობრდა ჰერცოგ ლანკასტერს ჯონ გონტს, რომელიც პოეტს მუდამ მფარველობდა, სიცოცხლის უკანასკნელ წლებშიაც. 1357 წელს ჯეფრი ჩოსერი პრინც ლაიონელს ახლდა საფრანგეთში რეიმსზე ბრძოლის დროს და მასთან ერთად ფრანგებს ტყვედ ჩაუვარდა. ტყვეობა მისთვის ერთგვარად „სასარგებლო ჭარი“ აღმოჩნდა, ფრანგული ენის ცოდნამ მას საშუალება მისცა უკეთ გასცნობოდა ტრუბადურებისა და ტრუვერების პოეზიას, ქალაქურ ლიტერატურას, ფაბლიოებსა და ალეგორიულ-დიდაქტიკური ჟანრის ძეგლებს. ჩოსერის მამამ დიდი თანხა გაიღო, მეფეც მცირედად შეეწია და მომავალი პოეტი 1360 წელს ტყვეობიდან გამოისყიდეს. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ჩოსერი კვლავ სასახლის ცხოვრებას უბრუნდება, მეფე მას ნდობითა და მფარველობით ეპყრობა, 1366 წელს იგი ესკავირთა სიაშია მოხსენებული, მეფეს პირადად ემსახურება და მისი წლიური შემოსავალი ოც მარკას შეადგენს. ამავე წელს მას ცოლად შეურთავს დედოფლის ერთ-ერთი მსახური ფილიპა, თუმცა პოეტი თავის ნაწარმოებებში ცოლს არსად არ იხსენიებს, მაგრამ ცნობილია, რომ დედოფალს 1366 წელს თავისი მსახური ქალიხათვის „ფილიპა ჩოსერისათვის“ დაუნიშნავს ათი მარკა პენსია წლიურად, მის გათხოვებასთან დაკავშირებით.

ჩოსერი ფრანგულიდან ინგლისურ ენაზე თარგმნას იწყებს და სასახლის კარზე მალე „დიდი მთარგმნელის“ (მისი თანამედროვე ფრანგი პოეტი დეშამი ასე მიმართავს ჩოსერს მისდამი მამდენად ბაღდაში) სახელს იხვეჭს. ინგლისურ ენაზე მას უთარგმნია თავისი დროის ფრანგი პოეტები და მეცამეტე საუკუნის ცნობილი ფრანგული ალეგორიული პოემა „ვარდიან რომანა“, რომელიც ორი სხვადასხვა ლიტერატურული მიმართულების ავტორს ეკუთვნის. პირველი ნაწილი ვიომ დე ლორის, რაინდული პოეზიის წარმომადგენელს და მეორე — ჟან დე შენს, ქალაქური ლიტერატურის წარმომადგენელს. პრერენესანსულ პოეტს, თარგმანებში ჩოსერმა ფრანგული ლექსის მუსიკალობა გადმოიტანა, გამოიმუშავა ინგლისურ ლექსში რითმა და რიტმი და წინა საუკუნეში დაწვებული ახალი ინგლისური ლექსის განვითარება დაასრულა. ამავე პერიოდში ფრანგული რაინდული და ალეგორიული პოეზიის ძლიერი შეგავლენით პოეტი ქმნის პოემებს „წიგნი ჰერცოგის მეუღლეზე“, „მოთქმა სიბრალეულისა“, რომელთა დირსება ამოიწურება მხოლოდ იმით, რომ ეს არის პირველი ცდა ორიგინალური

ინგლისური ნაწარმოების შექმნისა და პოეტი უკვე ახერხებს საკუთარი ლირიკული განწყობილებების გადმოცემას.

1872 წელს ჩოსერი პირველად მიემგზავრება იტალიაში, სადაც თითქმის მთელი წელი დაჰყო. ამ დროს იტალია ეკონომიურად, და კულტურის დონითაც, ყველაზე მოწინავე ქვეყანა ევროპაში, ეს იტალიის ქალაქებისა და აღორძინების ბუდობების აუქციონს ხანაა. ჩოსერი ეუფლება იტალიურ ენას. ეცნობა აღორძინების ეპოქის კორიფეების: დანტეს, პეტრარკას, ბოკაჩოს შემოქმედებას. ინგლისელი პოეტის ბიოგრაფები ვერაულოებენ, რომ ჩოსერი პირადად პეტრარკას შეხვდა და შესაძლებელია ბოკაჩოსაცო. იტალიაში მისი შემოქმედების ბედო, პოეტი იმდენად აღაფრთოვანა იტალიური აღორძინების ლიტერატურამ, რომ „ლიდმა მთარგმნელმა“ ფრანგული მწერლობიდან იტალიურზე გადაინაცვლა, განსაკუთრებით გატაცებით თარგმნიდა ბოკაჩოს. დასრულდა ჩოსერის შემოქმედების პირველი, ფრანგული ლიტერატურის გავლენას პერიოდი და დაიწყო მეორე, იტალიური ლიტერატურით გატაცების პერიოდი. მან 1877 წელსაც იმოგზაურა ევროპის აღორძინების ბუდობების სამშობლოში და კიდევ უფრო გაუღვივდა იტალიური ლიტერატურის სიყვარული.

ჩოსერი უმეტესად მიმართავდა ცნობილ ნაწარმოებთა გადმოცემებს და არა თარგმანს. მის თარგმანებს ძნელია ვუწოდოთ თავისუფალი თარგმანიც კი თანამედროვე გაგებით გამოცემისად შეიძლება ჩაითვალოს მის მიერ თარგმნილი ბოეციუსის ცნობილი ტრაქტატი „ფილოსოფიით დამშვიდება“. ჩოსერი ჩვეულებრივ ზედმიწევნით მიჰყვებოდა სიუჟეტს თარგმანში და არა დედნის ტექსტს. ახე და ამგვარად იგი სიუჟეტებს სესხულობდა იტალიელი მწერლებიდან, ადრე შუასაუკუნეების პოპულარული კრებულებიდან და თავისებურად აინგლისურებდა. „წმ. ცეცილიას ცხოვრება“ და „წმ. კონსტანციას ამბავი“ გადმოიღო ადრე შუასაუკუნეებრივი ქრისტიანული ლეგენდების კრებულიდან — „ოქროს ლეგენდა“, ოვიდიუსის „მეტამორფოზებსაც“ ბევრჯერ მიმართა, დანტეს „ღვთაებრივი კომედიიდანაც“ გადაამუშავა რამდენიმე ეპიზოდი, პეტრარკასგანაც, ბოკაჩოს „თეზოსიდან“ ისეხა პალემონისა და არსიტეს ისტორია. ბოკაჩოდან გადმოკეთებულ „ტროილუსსა და ქრიზეიდაში“, რომელზედაც 1879 წლიდან მოყოლებული ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში მუშაობდა, ჩოსერი იმდენად შორდება იტალიურ დედანს, რომ მას დამოუკიდებელ ნაწარმოებად თვლიან. პოემაში ჩოსერი ისეთ დიდ დაოსტატებას იჩენს, ისეთ ღრმა ფსიქოლოგიზმსა და მძაფრ დრამატიულობას აღწევს, რომ უკვე თამამად შეიძლება ითქვას, ინგლისური „ტროილუსისა და ქრიზეიდას“ ავტორმა ამ ცნობილი ტრაგედიის გადმოცემაში თავის წინაპრებს ბუნუა დე სენ მორს, ვი დე კოლონას და თვით ბოკაჩოსაც ბევრად გადააქარბა. ჩოსერის პოემა სწორედ ამიტომაც დაედო საფუძვლად შექსპირის იმავე სახელწოდების დრამას. იტალიელი მწერლებისგან ჩოსერმა აითვისა სიუჟეტის დინამიური გაშლა, დრამატიული კონფლიქტების ბუნებრიობა, სტილის სისადავე, თბრობის სისხარტე.

ჩოსერს მარტო თარგმანები და გადმოინგლისურ-გადმოკეთება აღარ აკმაყოფილებს, იგი ყველაფე ცდილობს საკუთარი ორიგინალური ნაწარმოების შექმნას. როგორც კი იწყებს საკუთარი პოემების წერას, მაშინვე მისი ნაწარმოებების ტონალობა იცვლება, შორდება დადგენილ შუასაუკუნეებრივ ნორმებს, რაინდულ და დიდაქტიურ-აღფგორიულ ფანრებს, მთავარ ადგილს მათში ფაბლიოსებური იუმორი იკავებს და რეალიზმისაკენ მისწრაფება. „ტროილუსისა და ქრიზეიდას“ ტრაგედიიშიაც კი მან შექმნა პანდარუსის რეალისტური კომიკური სახე, რომელიც ბოკაჩოს ახალგაზრდა სერიოზული ვაჟაკიდან, ქრიზეიდას ბიძაშვილიდან, ჩოსერთან გარდაიქმნა ხანდაზმულ, მოხერხებულ, უდარდელ ბიძად, შეყვარებულთა შუამავლად. პანდარუსის სახე ერთგვარად შექსპირის კომიკური პერსონაჟების შორეულ წინაპარს მოგვაგონებს.

აღფგორიული პოემა „ფრინველთა პარლამენტი“, რომელიც პოეტმა 1882 წელს შედგინარდ მეორის ქორწინებას მიუძღვნა, ცოცხალი იუმორისტული ნაწარმოებია. ფრინველებს თავი მოუყრათ ნადიმზე, თან სჯა-ბაასობენ არწივის მომავალ ქორწინებაზე. ყოველი ფრინველი თავის შეხედულებას იცავს ოჯახზე, ცოლქმრულ ურთიერთობაზე, სიყვარულზე. ბოლოს მათ შორის დავა ატყდება: ერთნი რაინდულ იდეალურ სიყვარულს განადიდებენ, მეორენი — მიწიერს, ზორციდელს და პრაქტიკული ცხოვრებისათვის გამოსაყენებელს, მაგრამ მათი დავა დავად რჩება და პოემაც ამით სრულდება. ფრინველთა სახით ჩოსერი იძლევა ცოცხალ ტიპებს სხვადასხვა სოციალური ფენების წარმომადგენლებისა, მათ ცხოვრებისეულ ფილოსო-

უიას და უველაფერი ეს შეფერილია უმტიკუნეულო მსუბუქი იუმორით. დაახლოებით ამავე პერიოდში დაწერილ პოემაში „ქების სახლი“ იგრძნობა დანტეს გავლენა, მაგრამ ამ ალფერო-რიულ-დიდაქტიკურ პოემაშიაც გვხვდება შესანიშნავი, გონებამახვილური, იუმორისტული პასაჟები. პოემა ჩოსერმა დაუმთავრებელი დატოვა. არ დამთავრა, აგრეთვე პოემებს ციკლი „ლეგენდა კარგ ქალებზე“. ეს დე მენის მთარგმნელი ჩოსერი თვითონაც ქალების გამკლავის როლში აღმოჩნდა, ხოლო ქრისტიანულ ლატინურ ალწერით ქალებს საამებელი კვლავ ვერაფერი მოუთხრო. მაშინ, რაინდულ წესებზე აღზრდილი პოეტმა განწესდა ქალების წინაშე თავისი „დანიშნული გამოცხადება“ და ქალების სხვაობა ნაწარმოებში შექმნილ კამკვარად დაიწყო კრებულის „ლეგენდა კარგ ქალებზე“ წერა. მასში ოცე ლეგენდა უნდა ყოფილიყო გაერთიანებული, ოც სახელოვან ქალზე, რომლებმაც ერთგულ სიყვარულს თავი შესწირეს. ესენი იყვნენ უმთავრესად ანტიკური ისტორიიდან და მათებიდან ცნობილი ქალები. ჩოსერმა რამდენიმე ლეგენდა დაასრულა. არც ფრანგული დებეწილობა და ლექსის მუსიკალობა, არც იტალიური თხრობის სისხარტე დაუკლია ამ პოემებისათვის უკვე დიდად დაოსტატებულ პოეტს, მაგრამ ჩანს ჩოსერში გაღვიძებული დიდი პოეტური სტიქია უკვე ვეღარ კმაყოფილდებოდა დროგადასული ლიტერატურული ნორმებითა და გემოვნებით. რაინდულ პოეზიაზე აღზრდილს, გმირული რაინდული ფანტასტიკური თავგადასავლებიც და რაინდული სიყვარულის კულტიც აღარ იტაცებს. სხვათა შორის, „კენტერბერიულ მოთხრობებში“ სერტოპასის კომიკური თავგადასავალი რაინდობის პაროდიაა. სერტოპასი დონ-კიხოტის წინაპრადაც შეიძლება ჩაითვალოს. პოეტს აღარ იტაცებს არამიწიერი სიყვარულის განდიდება, ქრისტიანული ასკეტიზმი, დიდაქტიზმი და მორალიზაცია. ცხოვრება, სინამდვილე მთელი სიცხადით, თავისი ავითა და კარგით არ ასვენებს მის პოეტურ წარმოდგენას. ალბათ ამიტომაც მიატოვა პოეტმა შუა გზაზე ეს ორი უკანასკნელი პოემა.

ეტყობა იტალიაში პირველი მოგზაურობის დროს ჩოსერმა წარმატებით ჩაატარა თავისი მისია და დაბრუნების შემდეგ მეფისგან ფულადი ჯილდოც მიიღო და ლონდონის პორტში დაინიშნა საბაჟოს უფროს ზედამხედველად. საცხოვრებლად დასახლდა ლონდონის ტაუერში, ოლდგეიტში. ჩოსერი მთელი დღეობით ლონდონის პორტში ხელოსნებში, ვაჭრებში, ხალხში ტრიალებდა. თუ აქამდე მისი სკოლა სასახლის გალანტური ცხოვრება იყო, ფრანგული და იტალიური ლიტერატურა, ახლა იგი საუკეთესო ცოდნას ღებულობს უშუალოდ ცხოვრებიდან, უფრო ახლოს ეცნობა ინგლისის ყოველდღიურ ყოფას, უბრალო ხალხის მდგომარეობას, ხასიათებს, მისწრაფებებს. აქ გროვდება, იწმინდება, იკეთება პოეტის წარმოდგენაში ცოცხალი ცხოვრებისეული მასალა „კენტერბერიული მოთხრობებისათვის“, 1385 წელს ჩოსერი კენტის საგრაფოს მოსამართლედ დაინიშნა, — კვლავ უბრალო ხალხში უხდება ტრიალი. 1386 წელს კენტის საგრაფოს მიერ იგი პარლამენტში, თემთა პალატაში იქნა არჩეული. ეს ამბავი მისი პოლიტიკური კარიერისათვის საბედისწერო აღმოჩნდა, იგი პარლამენტში ატეხილი დავის მსხვერპლი შეიქმნა და როგორც დამარცხებული ოპოზიციის მომხრე, პარლამენტიდან განდევნეს; ზედამხედველის თანამდებობაც ჩამოართვეს, პენსია საგრძნობლად შეუმცირეს, პოეტი დიდ გასაქირში ჩავარდა. მისი მფარველი მეფე ედუარდ მეხამე ჭერ კიდევ 1377 წელს გარდაიცვალა, რიჩარდ მეორე მოწყაღე თვალის აღარ უყურებს კარის პოეტს, მისი ერთადერთი მფარველი და მეგობარი ჯონ გონტი ესპანეთში იმყოფება, მალე ცოლიც გარდაიცვალა. იქნებ პოეტის ამ სავალალო მდგომარეობას უნდა ვუმადლოდეთ, რომ უველასგან გარიყული, სიღუბეში ჩაუვარდნილი იგი ნუგეშს შემოქმედებაში ეძიებდა, ამიერიდან მთელი თავისი სიცოცხლე მონუმენტური, ორიგინალური ინგლისური პოეტური ქმნილებების „კენტერბერიული მოთხრობების“ შექმნას შეაღია. ეს პერიოდი, დაწყებული 1380-იანი წლების მეორე ნახევრიდან სიკვდილამდე ითვლება პოეტის შემოქმედების უველაზე უფრო ნაყოფიერ პერიოდად. მესამე პერიოდს, როცა იგი საბოლოოდ განთავისუფლდა ფრანგული და იტალიური ლიტერატურის გავლენისაგან.

„კენტერბერიული მოთხრობები“ ჩოსერის ცხოვრების გამოცდააღებისა და ხანგრძლივი შემოქმედებითი ლიტერატურული ძიებების სინთეზია. პოემა წარმოადგენს კრებულს, რომელშიაც თავმოყრილია სხვადასხვა ხასიათის ამბები, რაინდული ფანტასტიკური თავგადასავლები, ხილვანი, ალფგორიები, ფაბლიოები, იგავები, ქრისტიანული ლეგენდები, ერთი სიტყვით, ადრე შუასაუკუნეებრივი თითქმის ყველა ლიტერატურული ჟანრი, მათ შორის გარეულია ცხოვრებიდან აღებული, რეალისტური ამბებიც. „კენტერბერიული მოთხრობები“ თავისი აგებულებით მოგვაგონებს ბოკაჩოს „დეკამერონს“, ადრე შუასაუკუნეებრივ ევროპულ და აღმოსავლურ კრებუ-

ლებსაც, რომლებშიც სხვადასხვა ხასიათისა და უნარის ამბები, იგავები, პოემები, ნოველები, გაერთიანებულია მთხრობელთა მეშვეობით. მაგრამ ჩოსვრი თავის წინაპრებისაგან განსხვავებით მთხრობელთა ფუნქციას უქვემდებარებს მაღალ მხატვრულ მიზანს, რაც შეიძლება ცოცხლად, დამაჭერებლად გამოხატოს თანამედროვე ინგლისის სინამდვილე. მისი მთხრობელნი თავიანთი როლის მექანიკური შემსრულებელნი კი არ არიან, არამედ ყოველი მათგანი იმ ამბისგან დამოუკიდებლად, რომელსაც ის ჰყვება, თავისთავად წარმოადგენს დასრულებულ რეალისტურ მხატვრულ სახეს, ტიპურ ხასიათს. შეიძლება ითქვას, „კენტერბერის მოთხრობებში“ თვით ამბები იმდენად მთავარი და მნიშვნელოვანი როლია, რამდენადაც მთხრობელთა ხასიათები.

პოემა მთლიანად მარტივი სტრუქტურისაა. ერთ მშვენიერ აბრილის დღეს ოცდაათი მლოცველი, პოემის ავტორის ჩათვლით, შემთხვევით თავს მოიყრის ლონდონის განაპირა სასტუმრო „ტაბარდში“, ისინი მიემგზავრებიან კენტერბერისში, რათა ერთხვინ წმინდანი წამებულის თომა ბეკეტის ნეშტს. სასტუმროს მეპატრონე მარი ბელი პილიგრიმებს ერთად მოგზაურობას შესთავაზებს, გზაში თავშესაქცევად თითოეულმა მათგანმა ორი ამბავი იქითობას უნდა მოჰყვებს და ორი — უკან დაბრუნებისას, ვინც უველაზე უფრო თავშესაქცევად ამბავს მოჰყვება, მარი გემრიელი ვახშმით გამასპინძლებას აპირდება. გზაზე პილიგრიმებს ინდულგენციებით მოვაჭრეც წამოეწევა. ამგვარად, ჩოსვრის განზრახული შქონია ას ოცზე მეტი მოთხრობა შეეტანა კრებულში, მაგრამ მან მხოლოდ ოცდაათნი პოემის დაწერა მოასწრო, რომელთაგან ოთხი დაუმთავრებელი დარჩა, მაგრამ ესეც საკმარისზე მეტი აღმოჩნდა, პოეტმა შექმნა შესანიშნავი რეალისტური პოემა, რომელშიაც მოგვცა ტიპურ ხასიათთა მდიდარი გალერეა და გამოხატა აღორძინების ეპოქის ხულისკვეთება.

ჩოსვრის რეალისტური ოსტატობა მრავალფეროვანია. ეს ეხება უმთავრესად პოემის საერთო პროლოგს. საკმარისი იყო ჩოსვრის მხოლოდ ეს პროლოგი დაეწერა, რომ იგი დიდ პოეტად ელიარებინათ. აი, პილიგრიმები გზას დაადგებიან. პოეტი მკითხველს აცნობს თანამგზავრებს, მათ გარეგნობას, საქციელს, მდგომარეობას; იწყებს რაინდიდან, რომელიც პილიგრიმებს წინ მიუძღვის, და ამთავრებს ინდულგენციებით მოვაჭრე ბერიტა და სასტუმროს მეპატრონის აღწერით. ეს ნამდვილი დემონსტრაციაა, მეთოთხმეტე საუკუნის ინგლისის გამოფენაა, მკითხველის წინაშე ჩაივლის ყოველი წრის, ფენის, კლასის, პროფესიის წარმომადგენელი, ცოცხალი უანრობრივი ხასიათები. ჩოსვრი ბოკაჩოს არ ჩამოუვარდება სასულიერო პირთა და ფეოდალთა მხილებით, მისი შემპარავი ირონია წვდება მესამე წოდებებს წარმომადგენლებსაც, გაქნილ ვაჭარსაც, ცბიერ ექიმსაც, შექრთამე იურისტსაც, ღოთ, აყალ-მაყალის ამტებ მეწისქვილებსაც, სამაგიეროდ ჰუმანისტი პოეტი იცნობს ირონიას, როცა უბრალო ხალხის წიადიდან გამოსულ მიწას მუშას, გულალალ და უმზავვრო გლეხს თანაგრძნობით ასურათებს.

პოეტი კონკრეტულობისკენ ისწრაფვის, ცდილობს დეტალური შტრიხებით ტიპური მხარეების გამოვლენას. მის თვალს არ გამოეპარება არც ერთი დამახასიათებელი დეტალი, ისიც კი, თუ როგორ ზის მისი გმირი ცხენზე, ჩანთაში რა უწყევია, როგორ ლაპარაკობს, — ყველაფერს ამას ჩოსვრი ჰყვება უბრალოდ, ფაქიზი, უმტკივნეულო იუმორით. უღვარძლოდ და უბოროტოდ, ადამიანის დიდი სიყვარულით, რაც მკითხველში თავშეუყავებელ ჯანსაღ სიცილს იწვევს. აგრე, დედათა მონასტრის ზედამხედველი ეგლანტინი: ცხვირზე მუღამ უსვია ზოლმე პულრი, ფრანგულის ცოდნას იჩემებს და სულ ერთთავად ფრანგულად ლაპარაკობს, თუმცა ასეთ ფრანგულს აღმათ ვერც ერთი პარიზელი ვერ გაიგებს, ლოცვებს ეგლანტინი ცხვირში აღუღუნებს, წვეწმ ფაქიზად მიირთმევს, ისე, რომ თათები არ დაიხვაროს, ტურებს ხშირად იწმენდს, რომ ქონი არ დაეტყოს, მაჯაზე მარჯნის კრიალოხანი უკეთია, ზედ მიბმულია ბაფთა ორაზროვანი ლათინური სიტყვებით: „სიყვარული ყველაფერს ამარცხებს“. მონაზვნის გარეგნობის კონკრეტული აღწერის შემდეგ მკითხველს უკვე ეპარება, ეგლანტინი მიწიერ თუ ზეციერ სიყვარულს ეთაყვანება, ასკეტურ იდეალს ეწირება, თუ ცდილობს ქალურად მომზიბვდელი იყოს.

საერთო პროლოგში ტიპთა სტატისტიკური, გარეგნული პორტრეტებია მოცემული. ყოველ ამბავს ერთვის ცალკე პროლოგი, რომლებშიაც პილიგრიმები უშეტესად თავის თავზე ჰყვებიან. გზა მლოცველებს ერთმანეთთან აახლოებს, ზოგნი დამეგობრდებიან, ზოგნი, პირიქით — ერთმანეთს ვერ ეგუებიან, ზოგჯერ ეს ურთიერთობანი კამათამდე, ჩხუბამდე, დრამატული სიმპლურენდი მიდის. თანამგზავრ ქალების მიმართ ზოგ მლოცველს მეგობრულ გრძნობაზე მეტი სიმპათია უჩნდება. ამგვარ პატარა ეპიზოდებში საერთო პროლოგის პორტრეტულობა,

სტატეორობა გადადის მოქმედებაში, დინამიკაში, რაც ავსებს, აცოცხლებს და უფრო მკვეთრად ავლენს ხასიათთა თავისებურებებს.

ცალკეულ პროლოგებში ჩოსტერის იუმორი უფრო დახვეწილი და ელასტიურია. მოხრობელი, დარწმუნებული თავის პათოსსებასა და თავისი საქციელის სამაროლიანობა-წესიერებაში, ანგარიშმიუცემლად ჰყვება თავის წარსულსა და აწმყოს, ხოლო მსმენელი აშკარად ხედება მის ნაკლოვანებებს, მაგრამ დიმილსაც ვერ იკავებს, რადგანაც ეს ნაკლოვანებები წერილ-წერილი ადამიანური ცოდვებია. საზოგადოდ ჩოსტერის გმირთა აღსარებები ადამიანისადმი რწმენით, აღორძინებისათვის დამახასიათებელი მიწიერი ცხოვრების ნიქარქიტის კოპტი-მიზმითაა აღსავსე. ასეთია ბათიდან მომავალი ქალის პროლოგი-აღსარებები, მისი ქმარი ჰყოლია, მეხუთე მეოთხე ქმრის გასვენებაზე მოსწონებია, ახლა მზადაა შეექვსედაც გათხოვდეს. იგი მსუქანი და ლოყებლადუღაუა, წითელი წინდები აცვია, ცხენზე მტკიცედ ზის, ზამალდა ლაპარაკობს, ქადაგებს, — წმინდა ქალწულობა კეთილი საქმეა, მაგრამ ქრისტე ადამიანთა მოდგმის გამრავლებისა და გათხოვების წინააღმდეგ როდი იყო, ასე რომ, ბათელ ქალს ღვთის წინაშე ცოდვა არასოდეს ჩაუდენია. ზოგჯერ ჩოსტერი ერთი მოსწრებული სიტყვით, მოკლედ და ლაკონურად ხატავს ხასიათს. მოხეტიალე ბერზე ამბობს, მან ეკლესიებსა და მონასტრებზე უკეთ იცოდა სად რომელი ტავერნა იყო ინგლისის გზებზე, ყველაზე უფრო გემრიელი კერძები სად მზადდებოდა, საუკეთესო ღვინო სად ისმებოდაო. ცხადია, ამ შენიშვნის შემდეგ მკითხველი ნათლად ხედავს, რომ ბერს წმინდანობაზე უფრო მიწიერი ცხოვრება სიბღვადა. მუშლვაურის ვაჟკაცურ საქმიანობას და წარსულს ერთი მეტაფორით მახვილად გადმოგვცემს, მისი წვერები ბევრ ქარიშხალს აუწეწიაო.

ხასიათთა გამოსაკვეთად, ფსიქოლოგიური დამაჯერებლობის მისაღებად ჩოსტერი მარტო პორტრეტულ აღწერებს, გმირთა აღსარებებს და მათ შორის ეპიზოდურ ურთიერთობებს არ ხტერდება. იგი დიდი დაკვირვებით ანაწილებს ამბებს მოხრობელთა შორის. ყოველი მათგანს ჰყვება ისეთ ამბავს, რომელიც მის ხასიათს შეეფერება და ამდენად, პოეტი კიდევ უფრო აღრმავებს და ავლენს გმირის მიდრეკილებებს. იგივე ქალი, რომელიც ქმრების მოხიბლვა-დამორჩილებაში დაოსტატებულია, საამბობლად ირჩევს ართურის ერთი რაინდის თავგადასავალს. კითხვაზე — ქალს ყველაზე უფრო რა უნდა, რა ურჩევნია, რაინდს თურმე მრავალი ფათერაკების შემდეგ ასე უპასუხია: ქმრის შორჩილებაო. რაინდი თვითონაც სიყვარულის ტყვეობაში აღმოჩენილა და იძულებული გამხდარა ცოლს დამონებოდა.

კენტერბერიულ ამბებში სიცოცხლე ჩქეფს. აღორძინების სული ისეთ დეტალშიაც კი ვლინდება, თუ როგორ ისმენენ მსმენელები ამა თუ იმ ამბავს: ქრისტიანულ ლეგენდებზე, მარტვილთა ცხოვრებაზე რული ეკიდებათ, ხოლო ცოცხალ ცხოვრებასეულ ამბებს სიამოვნებით ისმენენ და ზოგჯერ მის ირგვლივ გაცხოველებით კამათობენ.

დანამდვილებით არაა ცნობილი, ჩოსტერი „კენტერბერიულ მოთხრობებზე“ გარდაცვალებამდე მუშაობდა თუ ჯანმა უმტყუნა და მისი წერა აღრვე შეწყვიტა. სიცოცხლის ბოლოათეულ წელს პოეტმა ბევრი სიმწარე გამოსცადა. მისი მდგომარეობა ერთ ხანს გაუმჯობესდა, როცა მისი მფარველი ჯონ გონტი დროებით დაბრუნდა ინგლისში. შერე ისევ გაუარესდა. 1399 წელს ტახტზე ავიდა ჯონ გონტის ვაჟიშვილი შენრი მეოთხე ლანკასტერი. ჩოსტერმა მას მიმართა საბუშარო დირიკული ლექსით „ჩოსტერის ჩივილი მისი ცარიელი საფულის გამო“. ახალმა მეფემ შეივრდომა მათი საგვარეულოს მარად ერთგული პოეტი და დიდი პენსია დაუნიშნა, მაგრამ ჩოსტერს აღარ დასცალდა მშვიდი უზრუნველი სიბერე, იგი მალე გარდაიცვალა — 1400 წლის 25 ოქტომბერს. პოეტის ღვაწლი დიდად დააფასეს თანამედროვეებმა.

ჩოსტერი იყო პირველი პოეტი, რომელიც ლონდონში ინგლისის მეფეთა საკურთხეველ და განსასვენებელ ტაძარში, ვესტმინასტერის სააბატოში დაასაფლავეს: ამიერიდან მისი საფლავის მახლობლად შეიქმნა ინგლისელ მწერალთა პანთეონი, რომელსაც „პოეტთა კუთხე“ ეწოდა. შემდგომ საუკუნეებშიაც არ შენელებულა და დღესაც არ ნელდება ინტერესი „კენტერბერიული მოთხრობების“ ავტორისადმი.

ქართული მკითხველი პირველად ეცნობა აქ წარმოდგენილი თარგმანით „კენტერბერიულ მოთხრობებს“. ვისურვებთ, მკითხველო, მხიარულ მოგზაურობას ჩოსტერის პილიგრიმებთან ერთად!

თილა თოფურიაძე



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

## კანტაგორიული მოთხრობები

ინგლისურიდან თარგმნა  
გიორგი ნიშნიანიძემ

### პ რ ო ლ ო გ ი

აქა დასაწყისი კენტერბერიული  
მოთხრობების წიგნისა

როცა აპრილი მარტის ყინულს გააღობს წვიმით  
და მერე ფესვებს ჩაადნება ნაყური ცივი,  
წყალში ლერწები გაფუფდება და გათქვირდება  
და სინოტივე გადმოღვენთავს ხეზე კვირტებად, —  
გამოიქროლებს მდელოებზე გრილი ზეფირი  
და გზაში რტოებს შემორჩება ყვავილებივით,  
ვერ მოუსწრია მხეს ცინცხალი თვალის გახელა  
და ჰა, გასულა უკვე ვერძის რკალის ნახევარს.  
სტვენენ ჩიტები და გალობას არ ამთავრებენ,  
და მერე მთელი ღამე სძინავთ ღია თვალებით —  
ისე ალაგზნებს და ახურებს ფრთოსნებს ბუნება;  
და პილიგრაიმებს ღოცვა ამ დროს მოესურვებათ,  
მათ იზიდავენ შორეული გზები თაფლივით,  
რომ მოილოცონ საყდარი თუ წმინდა ადგილი;  
მაგრამ მათ შორის მთელს ინგლისში უფრორე ყოვლის  
კენტერბერია წმინდა, როგორც უპირობო თბილი;  
კენტერბერიში დაფუფებულ მარტვილის ღოცვით  
სული იხანება, იკურნება გვამი და ხორცი.

მას დღესა ერთსა, საუთვერკში ფუნდუკში ვიდექ,  
გზად ჩამოვლილი ვისვენებდი დაღლილი, ვიდრე  
გავუდგებოდი მერმე ჩემს გზას კენტერბერისკენ  
და ვილოცებდი, ზამთარს აქეთ რომ ვერ ველირსე.  
მწუხრზე ოცდაცხრა მომლოცველი ფუნდუკს მოადგა,  
გზად შეყრილიყვნენ გუნდნი მამრთა და ბანოვანთა  
და მეგობრობდნენ ერთმანეთში დები და ძმები,

რადღაი ერთგან მიდიოდნენ იმათი გზებიც.  
 ფუნდუკში დიდი სიხალვათე ჰქონდათ პალატებს  
 და მომლოცველთაც არხეინად მოიბანაკეს  
 და როს სუფევად მიაშურა მზემან საუფლეს,  
 ჩამოვუარე ყველა სტუმარს და ვესაუბრე  
 ვთქვი თუ, მეც მათთან მათებრ ერთი მქონდა სავალი,  
 მეც ცა მიხმობდა, ან რა იყო აქ დასამალი.



რა მოვიკითხეთ ერთმანეთი და გავიოცეთ,  
 დავთქვით, რომ ერთად გავდგომოდით გზას ალიონზე.

რა უამი ჩემი უსაქმურად გადის ეგოდენ  
 (და ვიდრე მერმე მოთხრობებსაც მოგიყვებოდეთ),  
 სჯობს გაგაცნობდეთ მომლოცველებს და იმათ ამბავს  
 (ეს მოუხდება მათ მონაყოლ ზღაპრებსაც ალბათ) —  
 როგორი იყო თვითეული, ან რა წოდების,  
 სულ მოგახსენებთ, თუ რამ ვიცი მცირეოდენი.  
 თუ ვის რა ჰქონდა სამკაული, თუ ვის რა ეცვა —  
 მაშ, წარმოგიდგენთ მათგან რაინდს უწინარესად.

ის ჰეშმარიტად ღირსეული რაინდი იყო,  
 და ცხენის ტახტას შეეზარდა სიყრმითვე თითქოს,  
 შეჰყვარებოდა სიყრმიდანვე მას რაინდობა,  
 რა სიმართლის და სიყვარულის დაცვა ინდომა.  
 პატივით რაცხდა რაინდს თვისი ყმა და ბატონი,  
 და მოვლო გზანი ეკლიანი და სავარდონი,  
 ქრისტიანეთი და შორეთით მიწა წარმართთა,  
 და არსად შერცხვა, თურმე არსად არ დასამარდა.

ჯერ სტუმრებია დამარცხებულ ალექსანდრიას,  
 და პრუსიაშიც შემოსულა სხვებზე ადრიან.  
 იყო ლიტვაშიც და რუსეთიც მოვლო რაინდმა,  
 დიდებით ვლიდა და სახელი დიდი გაითქვა.  
 იყო გერნადში, ალგეზირის ალყაშიც მოხვდა  
 და ყველგან დიდი პატივი და სახელი ჰქონდა.  
 მერე ლიესი და სატალი მოსრა მთლიანად  
 და ბოლოს დიდი ზღვის ნაპირიც შემოიარა.  
 გადაიხადა ბრძოლა ბარე თხუთმეტოდე,  
 მისგან ნაფრენი ურჯულონი ბედს უჩიოდნენ,  
 როს ტრამისენში ჯვარს იცავდა. მერე თან ახლდა  
 პალატის ლორდს და კვლავ მიწები მოვლო წარმართთა.  
 ქება-სახელით ვლიდა ყველგან ის და ამასთან  
 მისი ნიჭიც და სიგერგილევ ბევრჯერ დაფასდა.  
 იყო მორჩილი, ჰქონდა რიდი ქალწულებრივი,  
 აუგი თურმე ჯერ არ ეთქვა. ამო ზეფირი  
 თუ იყო სიტყვა მისგან თქმული და ნაუბრევი.  
 ამასთან ერთად იყო სათნო, ზრდილი, სულგრძელი.

რაინდის ცხენზე და სამოსზე თუ რამე ითქმის,

რაინდი



ცხენი მართლაც რომ კარგი ჰყავდა და, ერთი სიტყვით, მისი საკადრი. ხოლო ტანზე სანაქებოსა ტყაბუჭი ეცვა და ზემოდან ჯაჭვი ემოსა, —



გრძელთა გზათაგან რა დაბრუნდა სარაინდოთა, იმავე დღესვე სალოცავად წასვლა

სკვარი



თან ახლდა წული, ახალგაზრდა სკვარი, მართლაც ალი და კვალი რაინდების ჯიშთა და გეართა.

შავი ხვეული კულულებით, ხუჭუჭი თმებით, — ასე, ოცი წლის იქნებოდა, თუ არა ვცდები.

შალალი იყო და მამაზე ტანადიც თითქმის, ისეთი მკვირცხლი, სანთიანი — მეტი არ ითქმის.

ახლდა რაინდებს იგი, თავად რაინდის ჯიშის, ფლანდრიაშიც და არტუაშიც და პიკარდიშიც.

ეცვა სუფთად და სიკობტავე უყვარდა ძლიერ და სიკასკასე თითქოს ქალურს მატებდა იერს,

მკერდზე ექარგა ყვავილები — ფერთა მთოველი, და ქალწულივით უბდებოდა ესე ყოველი.

სულ იმდეროდა და გალობდა მისი ებანიც, იყო მჩქეფარე, ვით მაისის თვე უებარი.

ალბათ იმიტომ არ უყვარდა ხალათი გრძელი, რომ განთქმულ მხედარს არ შეშლოდა ჯირითში ხელი.

ტყბილი ხმა ჰქონდა, თან ცეკვავდა და მასთან ერთად ახლა როგორი ხელი ჰქონდა და როგორ წერდა?! ტრფობით იწვოდა და ფხიზლობდა იგი ერთწილად,

თუ იძინებდა, ბულბულივით ცოტა ეძინა. გამგონე იყო, სულ ადვილად დაასაქმებდნენ, აჭრევიანებდნენ სადილის წინ პურსაც აგრეთვე.

იომენი



მსახურად ერთი იომენი ახლდა მარტოდენ და ჯირითობით ორთავენი ერთურთს ართობდნენ.

იომენს თავზე მწვანე ფერის ქუდი ეხურა და ფარმევანგის ფრთა გაერჭო წელში მეფურად.

ტანზე ემოსა სამოსელი იომენური, ფრთას არ ვაგნოო — და მიჰქონდა ფრთხილად სხეული.

ხელში ეჭირა დიდი შვილდი და სხივისებრი ორბისფრთიანი მის კაპარჭში კრთოდნენ ისრები.

მოკლედ შეჭრილი თმა ჰშვენოდა სახეს ზორბლისფერს, ემარჯვებოდა ხურთს საქმე პატარობითვე.

მკლავზე ეკეთა სამკლავენი ომში ნათრევი, ცალკერძ ხმალსა და ფარზე ენთო ათინათები.

მეორე მხარეს განუყრელად ხანჯალი ერტყა, ნასავადევი რაღაც უცხო ვარაყთან ერთად.

მკერდზე ჰშვენოდა ქრისტოფერის ვერცხლის ორდენი, ყელზე საყვირიც დაეკიდა თბის რქისოდენი, — მეტყვევც უნდა ყოფილიყო ეს კაცი, მგონი.



წინამძღვარი



აქ ორ მონაზონ ქალს ნახავდით მლოცველთა შორის, მათგან წინამძღვარს სახე თითქმის სულ უცინოდა და წმინდა ლუის ფიცულობდა ის უცილობლად, მაღამ ეგლანტინს უწოდებდნენ მონაზონს ჩვენსას, უნაზესად და უტკბილესად გალობდა მესას ცხვირშიც რომ კარგად დილინებდა! ახლგვედრებოდათ — ენა აქვსო ამოჭარგული. ენა სტრატფორდში უსწავლია, როგორც ეტყობა, და პარიზულად ერთ სიტყვასაც კი ვერ გეტყობათ. ყველას თანაბრად ეპყრობოდა თავაზიანად, ჭამის დროს ფინჩხსაც არ ჰკარგავდა, ლუკმას კი არა. ღრმად არ ჩაპყოფდა საწებელში ჩამოქნილ თითებს, პირს არ აღებდა, არ დაღებდა ამ ლუკმას ვიდრე, რომ წინსაფარზე ნამცეციც კი არ დასცემოდა, რევერანსის დროს გაღიმება ძალზე შევენოდა, და ცხიმი რომ არ მოსცხებოდა მისეულ ფინჯანს, მაშინვე ტუჩებს შეიწმენდდა ნაზად და ღინჯად. მერე ფაქიზად დასწვდებოდა თავის წილ ხორცსაც, ისე კი მუდამ ცქრიანობდა, და ერთობ ცოცხლად, ერთობ ლამაზად მოძრაობდა, ჩანს, არ უყვარდა მანჭვა და გრეხვა ქალბატონთა და დედუფალთა. ნატიფი ქცევა ჰქონდა თავად და ღირსეულად ეჭირა თავი, რევერანსის დროს კი სხეულსაც კდებდა და კრძალვა ეტყობოდა, გასაოცარი მოსიყვარულე ქალი იყო და ღვთისმოსავი. ხატანგში თავვი რომ ენახა, გაგეცინებათ, მაშინვე ტირილს დაიწყებდა აუცილებლად. ლეკვები ჰყავდა, სულ რძითა და ფუნთუშით ზრდიდა, ხორცსაც უწვავდა მერე, როცა გაჭყებდა რძითა. ვინმეს რომ ჯობი მოეჩნია ლეკვებისათვის, გაუწყდებოდა საწყალს ალბათ ქალის ნიშატიც. თავზე მონაზვნის ხილაბანდი ეკეთა კოხტად, ლამაზი ცხვირი და წყლისფერი თვალები ჰქონდა, პატარა პირზე ვარდისფერი ბაგენი ესხა, მწყაზარი შუბლი მშვიდი ჰქონდა, ვითარცა ფრესკა, და ერთი ციდა იქნებოდა, ისე თავადაც მაღალი ტანის ქალს იტყოდით დია თამამად. და კაბაც ერთობ მოზდენილი ემოსა ფარჩის, ხელს უმშვენებდა სამაჯური შემკული მარჯნით და ყელზე გულის ქინძისთავი ეკიდა დიდი. ზედ ერთი ასო ა ეწერა კიდიდან კიდით და ლათინური მოჰყვებოდა AMOR VINCIT OMNIA.

მღვდელი



აქ იყო ერთი მონაზონიც, სუსტი და თხელი, (ჩვენი მონაზვნის კაპელანი) და სამი მღვდელი,

ბერი



მათ გარდა — ერთი ბერიც, კაცი ფრიალ საქები, (ევალებოდა მხოლოდ ძეზნა აგარაკების), ტრფიალი იყო ნადირობის, ისე კი, ალბათ, სულ მოკლე ხანში ჩაიცვამდა აბატის კაბას. ცხენზე თუ იჯდა, კაცს ჯირითის უნახავს, ხედავს გაქუსლავდა და ჩამოჰქონდა შრიალიბნა და აღარ იტყვიოთ, ზარებს როგორ რეკავდა ახლა! მე შენ გეტყვი და ოდნავ მაინც იგრძნობდა დადღის. წმიდა მორი და ბენედიქტე თურმე მიიჩნდა დრომოჭმულად და ზედმეტ ჭირად აღამიანთა. ძველი მოძღვრება უკუგდო ყველა ერთიან, ახალზე ფიქრში ბარე ორი ღამე ეთია. დაუხევი, დაუწვია ღია ბევრჯერაც წიგნები, საცა მონადირის გმობა ეწერა. უმონასტეროდ რაა ბერი — თევზია უწყლოდ, უთვისტომოა საწუთროში, ყარიბი უცხო, უმონასტეროდ რა ბერია, მავრამ წიგნს ამგვარს გლეჯდა ბერი და აყოლებდა სენაკის ნაგავს. მე კი ვიტყოდი, რომ მას საღი ჰქონდა გონება, განა ბერს სწავლით თავის მოკვლა მოეთხოვება? მან რომ იმტვრიოს წიგნზე თავი, — რა ჰქნან ხელებმა? იმათ უშრომლად ამ ქვეყანას რა ეშველება? ამას გვასწავლის ავგუსტინეც — კარგად უსმინეთ, — და აკი ბერსაც საქმე მისცა მან, ავგუსტინემ; — აბა, ის იყო მოჯირითე, დაჰკრავდა მათრახს და ისარივით მიფრინავდა ულაყი მართლაც. თან ნადირობდა, — მიდგებოდა კურდღლებზე ჯერი და ქვეყანაზე ივიწყებდა ყველაფერს ბერი. სახელოებიც ქონით ჰქონდა მოსვრილი, მგონი, ქონიც არის და ქონიც, — მხოლოდ ძვირფასი ქონით. ქუდი ეხურა, რომლის ორთავ თამასას ერთად ოქროს მოზრდილი ქინძისთავით იბნევა ყელთან. მელოტი იყო, თითქოს სხივი ადგა ზემოდან და უელავდა სახეც, როცა აღელდებოდა. უთიმთიმებდა მრგვალი ტანი მას სიმძიმისგან, უკრთოდნენ თვალნი ქონის ბზინვით და ციმციმიოთა. ნაპატიები და მოვლილი ცხენები ჰყავდა — აბა, ის იყო პრელატი და ვაჟკაცი მართლაც! დარდს მისი გული არათდეს არ გაუთანგავს, ბატი უყვარდა უფრო მეტად მოხრაკულთაგან. და მგზავრობისას წაბლა ცხენზე ჯდებოდა მუდამ. აქ უდარდელი მნათეც გახლდათ, ტყუილის გუდა, სულ მოწყალებას თხოულობდა, არც იმორცხვებდა და ჭორაობდა ის თავისი დღე და მოსწრება.

მნათე



მაინც რა ენა ჰქონდა, ღმერთო, იმ ცოდვით სავსეს!  
 ცოლებს იცვლიდა, სულ უბრალოდ, თითქმის წლის თავზე,  
 მერე ყოველთვის ახალგაზრდებს არჩევდა თანაც,  
 არ იწუხებდა თავს არაფრით, არამც და არამც.  
 მთელს იმ მზარეში მაინც თითქმის ყველას უყვარდა  
 მევახშეთა თუ მეღუქნეთა, მსუქან-მსუქანთა,  
 ბანოვანთ შორის გასავალი ჰქონდა ისედაც —  
 აღსარების დროს იმათ ცოდვებს ის არ ისმენდა.  
 მისთვის რომ გეტყვათ, მეტიც იყო, ვიდრე კურატი,  
 და ყველა ცოდვაც მიდიოდა მნათეს ყურადღის.  
 და რაც არ უნდა ჩაედინათ აღმსარებელთა,  
 ერთს მოუსმენდა და მაშინვე მიუტევებდა.  
 მასთან იოლად მიდიოდა საქმე ყოველთვის,  
 თან, რა თქმა უნდა, ხელის ფულსაც დაუტოვებდით.  
 ხოლო ფულად თუ გაიღებდით მცირეს და ცოტას,  
 მნათემ იცოდა, რომ მცირედი მიგიძღვით ცოდვა.  
 უფრო ხშირად კი ფულებს ბლომად ჰყრიდნენ ვიეთნი  
 და უსაშველო ცოდვებს ასე ინანიებდნენ.  
 ზოგიერთ ცოდვილს ჰეშმარიტად ქვა გული ჰქონდა,  
 და არ შეეძლო იმ უბედურს სლუკუნიც ოდნავ,  
 პოდა, ამიტომ ცრემლების და ლოცვების ნაცვლად,  
 ფულები მაინც გაიმეტოს ასეთმა კაცმა!  
 მნათე თან ჯაყვებს კაპიშონით დაატარებდა  
 და ურიგებდა ლამაზ ქალთა, პირმცანარეთა.  
 მხიარულობდა და ლაღობდა დღე და მოსწრება,  
 ვიოლინოსაც აფლერებდა გასაოცებლად.  
 იცოდა ყადრი სიმღერისა, და ყელ-კისერი  
 მნათეს რატომღაც თეთრი ჰქონდა, ქალწულისებრი,  
 მაგრამ ისე კი ღონე ჰქონდა გოლიათური,  
 იცოდა ყველა დუქანი და ყველა ფარდული,  
 და სასტუმროში მნათეს უფრო მიუხაროდა,  
 ვიდრე სადგომში დავრდომილთა და ბოვანოთა;  
 კაცთან, მნათესებრ ღირსეულთან, სახელოვანთან,  
 ან რა ხელი აქვთ ბოვანოთა და უპოვართა.  
 რას არგებს მათი ნაცნობობა, თავად განსაჯეთ,  
 და მით ერჩივნა ჩვენს მნათესაც ასჯერ, ათასჯერ —  
 მეგობრობა და მეზობლობა მხოლოდ მდიდართან,  
 სულ სხვაა მაინც ნაცნობობა ეგვევითართა!  
 ზარმაცი იყო, მაგრამ ფულის ყადრი იცოდა  
 და არავითარ გარჯას აღარ უკადრისობდა.  
 ქვეყნად ვინ იყო საწყალი და სათნო მისებრი,  
 ან მათხოვრობის რა უნარი ჰქონდა ისეთი!  
 სხვა ვინმე, წმინდა მამათგან თუ წმინდა დედათგან,  
 მნათეს უბანში მათხოვრობას ვით გაბედავდა.

ქვრივებსაც თხოვდა და ლატაკსაც არ დაგიღვედათ,  
 „IN PRINCIPIO“-ს უკითხავდა, ცეცხლს უკიდებდა.  
 და ბოლოს გროშებს დასცინცლავდა აუცილებლად,  
 იცოდა მნათემ — ბელი გამრჯეს გაუცინებდა,  
 იყო ლაღი და უღარდელი ყმაწვილკაცივით,  
 სადაო საქმე მნათეს კარგად ჰქონდა და ცდილობდა,  
 საკვარახჭინო საქმეებში ეს ბედოვლათი  
 ბერს კი არ ჰგავდა გაცვეთილი ანათორათი,  
 მღვდელი ეგონათ მომჩივანთა და მოსარჩლეთა, —  
 ნეტავი მღვდელის ანათორას სად გააჩენდა?!  
 მერე რარიგად უხდებოდა! — ხმასაც იცვლიდა,  
 ახრჩობდა სიტყვებს, ჯერ ლეჰავდა, მერე ციციქნიდა.  
 და დღეობებში თუ ლაღობდა ან თუ ილხენდა,  
 ბანს მოსძახებდნენ ექოები ტაძარ-ციხეთა,  
 უცემცემებდნენ ტრფობის ცეცხლით თვალნი გაღეშოლს,  
 ისე ვითარცა ვარსკვლავები ზამთრის ღამეში.  
 ჰუბერდი ერქვა, თუ არ ვცდები. აქ მნათეს გარდა  
 მლოცველებს ერთი წვეროსანი ვაჭარიც ახლდა.  
 დარახტულ მაღალ ბედაურზე იჯდა მეფურად  
 და ფართლიანი ფლანდრიული ქუდი ეხურა,  
 და მის კრილა ფეხსაცმელზე მზის სხივი ენთო,  
 თვითეულ სიტყვას მედიღურად ამბობდა ერთობ,  
 თითქოს სიტყვაშიც ჰპოულობდა სარტას, მოგებას:  
 ყველგან დაძრწოდა და ვაჭრის ჟინს ვერ იოკებდა —  
 ხან მიდებურგში, ხან ორველში, — თუ არ იგებდა,  
 ფულს მაინც სცვლიდა ჩარჩებთან თუ გადამყიდველთან.  
 ჰკვიანი გახლდათ, გამჭრიახი იყო ძალიან,  
 ვალს არ იღებდა, ხელი არსად არ მოცარვია,  
 და საათივით აწყობილი საქმე უყვარდა,  
 არც ნაღდს გასცემდა, არც ნისიას უყაირათოდ.  
 მის მოხერხებას, მის მარიფათს ბევრიც ნატრობდა,  
 მე კი სახელი აღარ მახსოვს მისი რატომღაც.

ვაჭარი



სტუდენტი



ახლდა მლოცველებს ოქსფორდელი სტუდენტი ერთი,  
 სხვა არაფერი იტაცებდა ლოგიკის მეტი,  
 იმის ბეხრეც ცხენს სულ უჩანდა ძვალიც და მალიც.  
 კანი არც სტუდენტს ასკდებოდა მაინცდამაინც.  
 ფერმკრთალი იყო, ნაღვლიანიც იმიტომ ჩანდა,  
 ჩამოძენძოდა იმის ქურთუკს ქობა და კალთა,  
 მეგობართაგან ვერ აჩუქა ქურქი ვერცერთმა,  
 ხალხი არ ჰყავდა, სამუშაო რომ მოეძებნა.  
 ჩაცნაზე უფრო იმ უბედურს კითხვა უყვარდა, —  
 შემოიწყობდა ქვეყნის წიგნებს თავსასთუმალთან,  
 იკამათებდა დღე და ღამე არისტოტელთან,  
 არ აჰყვებოდა სხვის ფეხის ხმას, არ ილოთებდა.

სხვა არც შეეძლო არაფერი, და ჰქონდა წესად ფულის დაზოგვა, ინახავდა თვითთულ პენსსაც... როს გასამრჯელოს მიიღებდა მოწაფეთაგან, მაშინ ორიოდ წიგნის ყიდვას თუ გაბედავდა, ან წავიდოდა სავედრებლად მათი სულების, ვინც სწუნდა მისი ბედითა თუ უბედურებით. სწავლა უყვარდა ჩაცმაზე და გავლაზე მეტად, უთქმელი იყო, არ იტყოდა ორ სიტყვას ერთად, თანაც ლამაზად წარმოთქვამდა, არ ამატებდა არაფერს ზედმეტს ერთობ მოქნილ წინადადებას, კეთილი იყო მისი სიტყვა, საქმე ვარგისი, სულ სწავლობდა და ასწავლიდა სხვებსაც ხალისით.



პირვენი  
ბიზნიუსი

ვექილი

სტუდენტის გარდა მლოცველთ შორის იყო ვექილიც კაცი ჰკვიანი, საზრიანი, გამოქექილი.

არ აკლდებოდა არასოდეს წირვას და ლოცვას, ფრთხილი იყო და საკითხს ჰვრეტდა წინასწარ ცოცხლად. ბრძნულად იტყოდა თავის სათქმელს და ოდნავ მკაცრად, და ითვლებოდა სამსჯავროში პირმტკიცე კაცად. სიბრძნისა გამო, სიწმინდისა თუ უზადობის, თუ ღიდებულის ხელოვნებას მისის წყალობით, ეხვია ხალხი და ჩეჩქივით ჰქონდა ფულებიც, ანდერძს იცავდა და საჩივრებს სპობდა სრულებით, მე არც მინახავს საქმიანი კაცი მისებრი, ისე გამრჯე და მეცადინე იყო ისეთი.

მეფე ვილჰელმის კანონები პირზე ეკერა, (რა ვიცი, ზოგჯერ გვატყუებდა კიდევც ეგება). მისი ნაწერი არზა ახლაც ასში გეცნობა, მე შენ გეტყვი და მოუძებნი სადმე შეცდომას, კანონთა ცოდნა გაპყვებოდა კუბოს კარამდის, შინაურულად ეცვა ტანზე ლურჯი ხალათი, ზედ თექის ქამრით, ქამრის ფოჩიც იყო თექისვე, — მოღით და ამით დავამთავროთ სიტყვა ვექილზე.

ვასალი

პილიგრიმების ამაღაში იყო ვასალიც, ამ ვასალს წვერი თეთრი ჰქონდა გვირილასავეით. ვერცხლის წყალივით ერთ აღვილზე ვერ ჩერდებოდა, ღილით ღვინოში ჩამბალ პურით გამოძლებოდა სულ ყიყინებდა, თითს იცობდნენ ხოლმე ყურებში, — ამბობდნენ ალბათ შვილითა ეპიკურესი. გააბარებდა მცირე რამ და წაიმღერებდა, ყოველი წამი იყო მისთვის ბედნიერება. რა მეოჯახე იყო მერე, ან რა ვაჟკაცი, თითქოსდა წმინდა ივლიანეს ჰგავდა რალაცით, ისე, პურ-მარილს ნუ იკითხავთ, ლუდი კი არა, ჰვეყნის კასრებში თურმე ღვინოც ედვა კრიალა.



მის სახლში სადილს არ ეძახდნენ უხორცო სადილს,  
 და თავსაყარად ჰქონდათ სუკიც, თევზიც და ბატიც,  
 და ტრიალებდა ხორცის სუნი, ღვინის სურნელი,  
 ყოველდღე, ვიდრე წყვდიადამდე, გაუსრულებლივ  
 და მის სუფრაზე გადიოდა ყამი ადვილად, *ეროვნული*  
 და წელიწადის დრონი ცვლიდნენ მისთვის ხანდაზმულად  
 მსუქან ქედნებს ხომ ვერ იტევდა დიდი საქათმე,  
 თევზის მარაგს კი იკმარებდა კუბოს კარამდეც.  
 მსახური ჰყავდა — ის პილპილით და ცერცოთი  
 კერის ამზადებდა, იმის ჭამით ვერ გაძლებოდი,  
 ხელუხლებელი სუფრაც ედგა სტუმრებისათვის,  
 აქაც სასმელი და ხორაგი იყო კისრამდის.  
 მეც ლორდი ვარო, აიხირა, ტრაბახს გადაჰყვა,  
 რაინდობასაც ჩემულობდა თურმე ხანდაზან,  
 თოვლივით თეთრი აბრეშუმის ქისასთან ერთად  
 წელზედ პატარა და ლამაზი ხანჯალიც ერტყა.  
 შერიფად იყო, ყველა კუნთი ჰქონდა ჰვასავით;  
 მე არც მინახავს ღირსეული მისებრ ვასალი.

ბაიბის პოეზია

„კეთილი“ ... ბოლოს მასპინძლებმა ასე მიმართეს  
 გამოცდილ ექიმს, „წუთისოფლის ერთი სიმართლე  
 თქვენც მოგვახსენეთ, თქვენი სიტყვაც გვესალბუნება“.  
 „ნება თქვენია, მზად ვარ თქვენდა მე მსახურებად“,  
 თქვა ექიმმა და გადმოგვბედა, „მამ, ბატონებო,  
 მეც მომისმინეთ, სმენა იყოს და გაგონება“.

ბაიბის ანბანი

აქა დასაწყისი ექიმის ამბისა

„როგორც გადმოგვცემს რომელიღაც ლიბიუს ტიტუს,  
 თურმე ოდესღაც მამულებს და სასახლეს მდიდრულს  
 ფლობდა რაინდი ვირგინიუს, ღირსებით სავსე,  
 და მტერ-მოყვარე ფუტკარივით ეხვია თავზე.  
 ბედმა მას შვილად ერთადერთი ქალი არგუნა,  
 მავრამ რაინდის მოდგმა ამით არ დაკარგულა.  
 ქალი დამშვენდა, გაივსო და გახდა უზადო.  
 ულამაზესად მიიჩნევდით თქვენც უსათუოდ,  
 რამეთუ თვითონ სრულყოფილი დედაბუნება  
 მოწყალე თვალთ თითქოს მხოლოდ მას უყურებდა,

თითქოს ამბობდა იგი: „თუკი მომესურვება,  
 დაატკბოს კაცი მაშინ ჩემთა ძუძუთ სურნელმა.  
 ვინ შემედრება, მოკვდავთაგან ვინ მოვა ჩემთან?  
 თუმცა კაცთაგან ბევრიც ქმნიდა, ხატავდა, ჭედდა,  
 ამოდ დაშვრნენ ოსტატები უფძველესნი —  
 პიგმალიონი, მერე ქსევქსეც და აპელესიც.  
 ჩემთან ჭიდილში დამარცხდება კაცი ყოველი,  
 და ჩემს მეტოქეს გარღუვალად ეს დღე მოელის,  
 რამეთუ იყო შემოჭმედის უებრო ზრახვა:  
 მარტოდენ ჩემი ხელმწიფება შექმნად და სახვად,  
 მე თვითონ ვძერწავ ყველა ფორმას, ნივთი ყოველი  
 ჯერ საშოში მყავს უსუსურა და უცოდველი,  
 ყველა ხორციელს ვზრდი და ვავსებ ყველა არსებას,  
 როცა მე მინდა, როცა მსურს და გუნებაზე ვარ,  
 უზენაესის ნება არის ჩემივე ნება  
 და ეს ქალწულიც გამოვძერწე მე მისდა შვებად,  
 მისდა დიდებად დღესაც ვბადებ ყველა ხორციელს,  
 რომელნიც დღემდის აღვაკლინე და ვაღორძინე!“  
 ამას ამბობდა თითქოს თვითონ დედაბუნება.

თოთხმეტჯერ შეხვდა ქალი იგი მზის მობრუნებას,  
 ბუნებაც შვებას ეძლეოდა მისი შემყურე  
 და, როგორც ყვავილთ, შეენებით და ნათლით შემკულებს,  
 აძლევდა ფერს და სურნელებას, ამ ქალსაც თურმე  
 ასევე ფრთხილად აპკურებდა ფერსა და სურნელს  
 შიგ საშოშივე, სანამ მზის სხივს ნახავდა მერე,  
 აღარ იკითხავთ ეხლა თვითონ სურნელს და ფერებს?  
 თებემ ჩამოქნა მისი თმები, და ნაწნავები  
 მდინარეს ჰგავდა გაზაფხულზე — ეამს მომძლავრების.  
 და ვით უზადო გახლდათ ქალი ნათლის სვეტივით,  
 იმდენად სათნოც იყო იგი და გულკეთილიც,  
 ისეთ სრულყოფას მოჰმადლიდა იგი ქმნილება,  
 რომ მჭვრეტელს ქება დასცდებოდა აუცილებლად.  
 სიწმინდის სახლი იყო მისი სული და ხორცი,  
 ქალწულობაშიც, ვით ტაძარში, შევიდა ლოცვით,  
 შევიდა კდემით, მორჩილებით სულთა მწირველთა,  
 შევიდა მშვიდი და სიმშვიდეს დიადს მინებდა.  
 თავდაპირილი მიხვრა-მოხვრა, ქცევა კრძალული,  
 სიტყვა-პასუხი გონივრული, ზმა-სალამური.  
 მჭვრეტელებების მადლი აკლდა თითქოს მის ნათქვამს.  
 არც ბრძნული იყო, მაგრამ ისე იტყოდა ნათლად  
 და ისე ამოდ დამარცვლიდა თვითეულ სიტყვას,  
 რომ ეს სიმართლე მერე კიდევ ისმოდა დიდხანს.  
 პირუმტკიცობა და სიცრუე მიაჩნდა ტანჯვად,  
 უყვარდა საქმე, უხდებოდა ყოველი გარჯა,



მცირე საქმესაც ეძლეოდა მთელი არსებით,  
 და ბახუსი ხომ უცხო იყო მისთვის სავსებით.  
 თავისი მადლიც შეაპარა ვენერამ ერთობ,  
 თითქოსდა ცეცხლზე გადაასხეს ქონი და ერბო,  
 და მშვიდს და სათნოს დრო და უამიც ჰქონდა ულუვად,  
 რომ მოეძია შეპარული სულში ცთუნება, <sup>ეროვნული</sup>  
 და მაშინ მსწრაფლად განილტვოდა ავთა <sup>კაცთა</sup> <sup>განცდათა</sup>  
 რათა მოეშთო გზა მზაკვარ და მაცდურ განცდათა —  
 აშიკობის თუ ღლაბუცობის, საცა მოლხენას  
 უსაქმურობა და უმიზნო გვემა მოჰყვება.  
 ამგვარი თნევა ნაადრევად ამწიფებს ყრმათა  
 და ერთობ აჩვევს სითამამეს, რაც ერთი ათად  
 ამძაფრებს ხოლმე მათ ცხოვრებას ხრწნად და წარწყმედად,  
 ამ სითამამის სიბრძნეს მაინც ის ვერ აცდება,  
 როცა დრო მოვა და მეუღლედ იქცევა ქმართან.  
 თქვენ, ბანოვანო, ვინ უზრდილით ქალწულთა, ყრმათა  
 თქვენს ბატონებს და ქალბატონებს, ამ არაკიდან  
 აღბათ არაფერს არ მიიჩნევთ თქვენდა გაკილვად,  
 რამეთუ უწყით, რომ ქალწულთა წვრთნასა და აღზრდას  
 ორი რამ თან სდევს, ოდითგანვე ორი რამ ახლავს:  
 ან სულ პატივით უნდა რაცხონ თქვენი სახელი,  
 ანდა ერთიან შეაჩვენონ; დამეთანხმებით,  
 რა ბედენაა აშიკობა, რაკი თავადაც  
 უარყვეთ გზანი ცოდვისანი კაცთა მავანთა,  
 ღვთის გულისათვის, ასწავლიდეთ მათ სათნოებას,  
 თქვენივე პატივიც მაგ აღზრდაში მოიბოვება.  
 ბრაკონიერთა თუ თავისი წარსული დაჰგმეს,  
 უარყვეს ძველი ხელობა და უგვანო საქმე,  
 მაშინ კაცთაგან ტყეებს უკეთ მათ უპატრონონ. —  
 თქვენც იგივე ძალგიძთ, თუ ინდომით გულით, ბატონო,  
 მუდამ ფხიზლობდეთ, რომ არ დაჰყვეთ გრძნებას ცთუნების,  
 რომ არ დაიხშოს თქვენთვის ზეცის კარი სრულებით.  
 რამეთუ მსგავსი უგვანობა ღალატად ითქმის  
 და რაგინდ მალო, მაინც ყველა გაიგებს თითქმის,  
 და ცოდვათაგან უდიდესი, რითაც მარცხდება  
 ძე ადამისა, არს უბიწო სულის წარწყმედა.  
 თქვენთვის, მამებო და დედებო, ის უნდა მეთქვა. —  
 რომ სულ ერთია, ძე რამდენი გარგუნათ ღმერთმა,  
 თქვენი ვალია, რომ ივარგოს თქვენმა შობილმა,  
 ასი თვალი და ასი ყური უნდა მოიბათ.  
 თქვენივე ცხოვრების მაგალითით და კიდევ იმით,  
 რომ აღზრდის ვალი დასჯასა და გეშვაშიც გივით,  
 იხსნით მათ სულს, დამერწმუნეთ, და მათ ცხოვრებას,  
 თუ წარწყმდნენ, ესე ცოდვაც თქვენვე მოგეთხოვებათ:



უგერგილო და უნიათო მწყემსი კაცისგან  
მგლებს უამრავი ცხვარ-ბატკანი გაუტაცნიათ.  
ვგონებ ეს ერთი მაგალითიც საკმარისია,  
და გავაგრძელოთ იმის თხრობა, რაც დაგვიწყოა.

ქალწული იგი, არის ესე ამბავი ვისიც,  
ქალბატონობას არ ეტრფოდა, ცხოვრობდა თვისით,  
და კითხულობდნენ, ვით მოწათვე დაჯდება კითხვად,  
მის სულში ნაწერ ყოველ აზრს და თვითეულ სიტყვას,  
ისე, ვითარცა ქალწულობის გახანგრძლივებას —  
ეგოდენ იგი უბიწობის გზას ეძიებდა.

და მშვენიერ და სათნო ქალის სახელს ვიეთნი  
ამართ და დამართ, ოთხივე კუთხივე იხსენიებდნენ.  
აქებდა ამ ქალს კაცი მეტრფე ყოვლის კეთილის.  
კაცი მოშურნე, კაცი ბედით გულდაწყვეტილი,  
კაცი, ვის სხვისი სიხალისე ადარდიანებს,  
კაცი, ვინც ხარობს, როცა უჭირთ ადამიანებს.  
(ყველა მოხიბლა ამ ამბავმა და ლაპარაკმა)

ქალწული ესე დღესა ერთსა მიდის ქალაქად,  
დედასთან ერთად სალოცავად ეწვევა საყდარს,  
როგორც სჩვევიათ ხოლმე ქალთა და ქაბუკ ყრმათა.

იმ ქალაქს ერთი მოსამართლე ჰყავდა, რომელიც  
დიდი სახელის და სიმდიდრის იყო მფლობელიც.  
და მოხდა ისე, რომ ამ ქალწულს გზაზე ამოვლილს  
თვალი ჰკიდა და თვალსა და გულს ასიამოვნა,  
მაგრამ წაუხდა საქციელიც, იგი იმდენად  
დაბნდა, დაუხჯდა და ვნებანი ვერ განიტევა.  
და მერე ასე გადაწყვიტა გულში თავხედმა —  
ესე ქალწული უცილობლად ჩემი გახდება.

და იმავე წუთში უწმინდურიც შეუძვრა სულში.  
უთხრა თუ, ლაფიც თავს დაგსხმია, თუ ხელი უშვი,  
მაგრამ მზაკვრობით თუ ჩაიგდებ, ისე კი სხვაფრივ,  
ვერც ძალით, ვერცა ძალადობით, ბანგით თუ თაფლით.  
თანაც არ უნდა აჩქარდეთ, არამც და არამც,  
ასე ეტყოდა მას მაცდური, რამეთუ ღვარად  
უვის ქალწულსო მოყვარენი და თან ეგოდენ  
კეთილიაო, რომ ვეროდეს ეღირსებოდე  
მაგ ქალსო, თორემ მის უბიწო სხეულსაც ოდნავ  
ვერ შეეხება სიმრუმის და სიბილწის ცოდვა.  
მაშინ მან დიდი გამორჩევის და ფიქრის შემდგომ  
თვისთან მოიხმო ერთი კაცი, რომელსაც ენდო,  
როგორც მზაკვარს და მასთან ერთად საკმაოდ თავხედს, —  
ასეთ თავხედს თუ გაანდობდა თაღლითი ზრახვებს, —  
დასვა და ამცნო ყოველივე, უთხრა, — მესამემ  
არ გავვიგოსო, თორემ ახლავ გამოესალმე



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

სიცოცხლესაო, და თავხედიც იყო თანახმა,  
 და გაიხარა მოსამართლემ, ერთობ გალაღდა.  
 გზადაგზა ბევრი ითათბირეს მალვით და ჩუმად  
 და მერე ბევრი საბოძვარიც უბოძა სტუმარს.  
 და რა დაასკვნეს, თუ როგორ და სახელდობრ როდის  
 მოეღებოდა ბოლო ამდენ ცდასა და ლოდინს, <sup>მარტოვნულნი</sup>  
 და მოსამართლეს თავის გვამის დარღვეულ ძალებს <sup>მარტოვნულნი</sup>  
 დაიურვებდა, რასაც თქვენვე შეიტყობთ მალე,  
 წავიდა იგი, (თურმე ერქვა მას კლავდიუსი,  
 ხოლო გულბოროტ მოსამართლეს კი — აპიუსი).  
 ეს არ გეგონოთ მოგონილი რამე ზღაპარი,  
 მართლა მომხდარა თურმე ძველად ესე ამბავი,  
 სახელებიც კი სინამდვილეს შეეფერება.  
 შეიპყრო ურგი მოსამართლე ციებ-ცხელებამ  
 და დანიშნულ ღღეს მოელოდა სულმოუთქმელად.  
 მას ღღესა ერთსა, წიგნი იგი თვით გვეუბნება,  
 სამსჯავრო სახლში ჯდა, ვითარცა წესია მისი,  
 განიკითხავდა მომჩივანთა წყრომით და რისხვით,  
 არჩევდა, სჯიდა, ამართლებდა და უეცრად  
 თავის თავხედი კლავდიუსი გამოეცხადა  
 და მოახსენა: „მეუფეო, მოწყალეე ყოვლად,  
 სამართლიანად განიკითხე შენი ყმის თხოვნაც.  
 მომიტანია საჩივარი ვირგინიუსზე,  
 განიკითხეთ და საკადრისიც თქვენვე მიუზღეთ,  
 ხოლო უარზე თუ დადგება, უნდა მადროვოთ  
 და მოწმეებსაც წარმოგიდგენთ მალე, ბატონო“.  
 მოსამართლე კი ამბობს — „ვერას გეტყვი უმისოდ,  
 მე მასაც უნდა მოვუსმინო, ვისაც გულისხმობთ,  
 გაგზავნეთ კაცი და მოუხმეთ. ისიც გახსოვდეთ,  
 პასუხს მართებულს მოსამართლე გეტყვით მარტოდენ“.

მაშინ ეახლა მოსამართლეს სხივმომთინარი  
 ვირგინიუსი და მიაგეს მას საჩივარი,  
 სადაც ასეთი უკადრისი სიტყვა ეწერა:  
 „უფალო ჩემო, მხოლოდ თქვენგან ველი შეწევნას,  
 და უპოვარი მოგახსენებთ მე, კლავდიუსი,  
 რომე რაინდი ერთი, გვარად ვირგინიუსი,  
 მტერია ჩემი: უკანონოდ ქალი წამართვა  
 და შეათურთხა ყველა წესს და ყველა სამართალს.  
 მოახლედ მყავდა, თჯახიდან არ ვიცილებდი  
 და ერთ ავდარში, იქცეოდა როცა მიღეთი,  
 ქურდულ მომტაცა მაგ რაინდმა — ქვეყნად იმდენი  
 დამემოწმება ამას, ოღონდ საქმემ ინდომოს,  
 იგი არ გახლავთ ქალი მისი, როგორც აცხადებს  
 აღმისრულებდეთ მაშინ ჩემი გულის საწადელს,

დამიბრუნებდეთ მონას ჩემსას ჩემდა შეწევნად“.  
აი, ამ წიგნში რა უგვანო სიტყვა ეწერა.

თავხედს ერთი კი გადახედა ვირგინიუსმა  
და მუხანათი არც კი შეცბა, არ ვაილურსა.  
და ვიდრე აუგს მოპყვებოდა ისე, ვითარცა  
ცრუ მოწმეებსაც იმოწმებდა ესევეითართა,  
ვიდრე დასძრავდა სიტყვას იგი თავის არზიდან,  
არ დააცალა მოსამართლემ, წარბნი აწიდა,  
ვირგინიუსის მოსმენაც კი აღარ ისურვა,  
და განაცხადა უტიფარმა დარბაისლურად:  
„თქვენ, ვირგინიუს, ვინც წაართვით ქალი ბოგანოს,  
ის ქალი ისევ თქვენვე უკან უნდა მოჰგვართო.  
ნულარ აყოვნებთ — აი სიტყვა და განაჩენი,  
მერე ჩვენ ვიცით, მერე ჩვენვე ვყოთ დანარჩენიც“.

კეთილშობილმა რა ისმინა ვირგინიუსმა,  
რა სატანჯველი განუმზადა მას აპიუსმა,  
თუ ვით სიგიჟემ ავხორცობის თვისა ქალწული  
ხელთ გამოსტაცა, შინ დაბრუნდა ვულდაკაწრული  
და ჩაიკეტა პალატაში ის ჭმუნვად მისდა  
და მერე თვისი ქალიშვილიც მოიხმო თვისთან  
და რა იხილა თვინიერის უებროთ კდემა,  
უფროთ ერთიან იავარპყო ურვამ და გვემამ,  
და იმ ურვამ თუ სიბრალულმა აუბა ენა  
თუ თვით რაინდმა ვერ გაუძლო ევოდენ თმენას,  
ასე თქვა: „შვილო, ვირგინიავ, ორი გზა გივის —  
ან თავის მოჭრა, ანდა მხოლოდ სამარე ცივი,  
მე, მამას შენსას, დღეს ასეთი ბედი მარგუნეს,  
რომ უნდა მოკვდე, როცა ამას არ იმსახურებ.  
ეგრე გათავდე ხმლით და დანით, ვითარცა მხედავ,  
ო, შვილო ჩემო, მოკვდინებავ მით ჩემთა დღეთა.  
შე მოგკლავ, ვისაც სასოებით გამოშიზრდიხარ  
და ჩემს ფიქრებში წუთითაც კი არ დამიგდიხარ.  
ჩემო იმედო, სიხარულო უკანასკნელო,  
უკანასკნელმა ტანჯვამ შენმა არ მომასვენოს.  
ჭირით და თმენით ბედის თასი დღეს უნდა შესვა —  
შენი სიკვდილი განუზრახავს მამასა შენსა.  
ზიზღის კი არა, სიყვარულის გამო აღსრულდი —  
და მოგკლას მამამ სიყვარულით თვისი ასული.  
ასე ინდომა აპიუსმა, კაცმა-იქილნამ,  
რა ბედი შენი ხელაღებით მან განიკითხა“ —  
და ყოველივე მოახსენა მან ასულს თვისას,  
რაც უკვე თქვენვე უწყით ცისა და მაწის რისხვად.  
„ძვირფასო მამავ, შემიბრალე, მაცოცხლე მაინც“,  
შეპყვირა ქალმა და მკლავები მოჰხვია რაინდს,



ვითარცა მისი ჩვეულება იყო სიყრმითვე,  
 ცრემლი წასკდა და სანთელივით მიხდა სიყვითლე.  
 თქვა: „ნუთუ მართლა უნდა მოვკვდე, ნუთუ სამარის  
 კარამდის ჩემთვის აღარ არის რამე წამალი?“  
 „აღარ არისო, სასოებავ,“ — უთხრა პასუხად,  
 „მაშინ ერთი რამ შემიძრულე“, — თხოვა ასულმა,  
 „მატირე მაინც, ბედი ჩემი გამოვიგლოვო,  
 როგორც თავისი სიკვდილის წინ დრო მოითხოვა  
 ჰმუნვად და გლოვად მან ასულმა იაფეტი სამ,  
 მზის და სიცოცხლის სიყვარული არც მას ეღირსა. —  
 მხოლოდ იმიტომ დაისაჯა, რა პირმცინარე  
 მამას შემოხვდა სხვა ყოველთა მათ უწინარეს.“  
 ქალწულს აქ გული შეუღონდა, ხოლო როდესაც  
 გონს მოეგო და საკმარისი ღონე მოეცა.  
 თქვა: „კურთხეულ არს ღმერთი იგი, უფალი ჩემი,  
 რა ქალწული მშვა, რა სიკვდილში ქალწული ვრჩები.  
 ჰყავ ნება შენი, მამავ, ჟმალ დამიტორებდე,  
 ვიდრე უბედურს, მე სიწმინდეს შემიგინებდნენ.“  
 ისიც ითხოვა, აღსასრული რა თვისი იგრძნო,  
 უმტკივნეულოდ წარეკვეთათ კისერი ვინძლო  
 და ისევ გული შეუღონდა და გონმიხდილი  
 მიჰყვა ბურანს და სიხმარივით განვლო სიკვდილი.  
 და მისი თავი დავრდომილმა რაინდმა მაშინ,  
 ვით არმადანი, წარადგინა სამსჯავრო სახლში,  
 და იქ დაჰხვდურნი ისე შეცბნენ, ისე დაშინდნენ,  
 რომ მისი დასჯაც მეყვესეულად ბრძანეს მაშინვე, —  
 ჩამოვახრჩოთო აქვე: მაგრამ მოულოდნელად  
 იქუხა ხალხმა და აღმოხდა ხალხს აღშფოთება, —  
 ყველას გაეგო მათი ყალბი, ცრუ განაჩენი  
 და მოსულიყვნენ აქ სიმართლის გადასარჩენად.  
 ცნეს კლავდიუსის თაღლითობა, და საწადელიც  
 მოსამართლისა გახდა მათთვის მზეებრ ნათელი.  
 ბევრი სმენოდათ დღემდეც მისი კაცობის,  
 რაკი სამართალს მრუდედ წყავდა მისი სასწორი.  
 ხელმრუდობაში სწორედ ეხლაც დროზე მიუსწრეს,  
 დაატყვევეს და ციხეც ჰპოვეს სააპიუსე,  
 სადაც მოიკლა თავი ურგმა, და კლავდიუსი,  
 გაიძვერა და მიუხანათი ყმა აპიუსის,

გამოიყვანეს მაღალ ხეზე ჩამოსახრჩობად,  
მაგრამ სიავეს კვლავ სიკეთის ძალამ აჯობა  
და დიდის თხოვნით რაინდისა მოღბნენ იმდენად,  
რომ კლავდიუსი ასცდა სიკვდილს და განიდევნა.  
ხოლო ისინი, ვინც ადგენდნენ იმ ცრუ განაჩენს,  
საღრჩობელებზე სიკვდილს თურმე ველარ გადარჩნენ.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

აქ ჩანს, თუ ცოდვას რაოდენი სიავე მოსდევს.  
გწამდეთ, რომ ღმერთი დასჯის ბოროტს, კაცთაგან ოდეს  
არავინ უწყის, ვერ დაახშოს ხმა სინდისის  
ძე ხორციელმა ვერცა ფრძნებით, ვერცა თილისწით,  
თუნდა კაცთაგან მალთ, შენდა დაურიღებლად,  
ადრე თუ გვიან ცოდვა მაინც წარმოჩინდება.  
არც ბრძენმა უწყის მოკვდავთაგან, არცა სულელმა,  
როდის დარეკავს ზარი, ანდა რა აღსრულდება.  
მეც გირჩევთ, რომე ცოდვა გიჩნდეთ დიდ საძრახისად  
და განგარიდოთ ავ გზათაგან მან მარადისმან.

აქა დასასრული ექიმის ამბისა

## აღმსი სობრენსი

(ბ უ ლ გ ა რ მ თ ი)

თარგმნა  
ზაირა ლავითიანმა

### ტრაიროს სიპართლა

არავინ არ იცოდა, საიდან მოვიდა საგვარეულო მამულში ეს ქერა, მოღი-  
მარი ჭაბუკი. ერთნი ამბობდნენ, მეზობელი სოფლიდან გადმოვიდაო, მეორენი  
ერთმანეთში ჩურჩულებდნენ — იგი დიდხანს ცხოვრობდა ქალაქში, მაგრამ  
რალაც მიზეზით იქიდან განდევნესო. უფრო გაქეჩილები კი, ტრაიროს ასავალ-  
დასავალი რომ გაეგოთ, წარამარა ჩაუკრავდნენ ხოლმე: წინათ სად ცხოვ-  
რობდი, რას აკეთებდიო? — მაგრამ მათი კითხვები ჭაბუკს ხუმრობაში გადა-  
ჰჭონდა:

— ყველა ხილს თავისი დრო აქვს, ძმებო! აჩქარებითა სოფელი არავის  
მოუჭამია. მე ასე მივეჩვიე: შორიდან მოუარე და შინ მშვიდობით მიდიო...

მამაკაცებს მოსწონდათ მისი მხიარული ხასიათი და უყვარდათ ეს ახალ-  
გაზრდა, ხშირად გარს შემოერტყმოდნენ, ყურს უგდებდნენ ჭაბუკს, რომელიც  
ზედიზედ აფრქვევდა გამოცანებს, იცინოდნენ, და სიგარეტების შეთავაზებაში  
ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. ცნობისმოყვარეობით შესცქეროდნენ ხოლმე,  
როცა იგი რამეს ჰყვებოდა. — ყოველთვის როგორ ეცვლება გამომეტყველე-  
ბაო, როგორ სწრაფად და მსუბუქად, თითქოს წინასწარ შეურჩევიაო, წყდება  
მის ბაგეებს სიტყვები და თავ-თავის ადგილს იკავებენო. თვითონ ისინი  
მძიმედ ფიქრობდნენ და კიდევ უფრო ნელა ლაპარაკობდნენ, და როცა მათ  
შორის გამოჩნდა უღარდელი ადამიანი, რომელიც ენად იყო გაკრეფილი, სახ-  
ტად დარჩნენ. ერთხელ ბაი ვასილიმ, მამულის უხუცესმა მუშამ, ამოიოხრა და  
უთხრა:

— სწორედ შენთვისაა გაჩენილი ეს ქვეყანა, ტრაირო! არც საზრუნავი გა-  
წუხებს, არც გარჯა! ცოლი არ აგითირდება შინ და ბავშვები. დღეს აქა ხარ,  
ხვალ — იქ, ჩვენი ამბავია საკითხავი, ჩვენ რა გვეშველება?

ტრაიჩო ჩაფიქრდა, ცხვირი მოიფხანა და მოხუცს შეხედა.

— ბაი ვასილი, ამქვეყნად, ცოლ-შვილის გარდა სხვა რამეზეც უნდა იფიქროს კაცმა...

და შენიშნა თუ არა, ბატონი გვიანლოვდებაო, დაუმატა:

— აღამიანი თუ ჯანმრთელია და მუშაობა უყვარს, ყველაფერს უნდა აკეთებდეს! — ამის თქმაზე ტრაიჩომ ისე გაიღიმა და მოხუკა თვალები, რომ მტკიცედ იმედობდით, სერიოზულად ლაპარაკობდა თუ ხუმრობდა.

ბატონი, — ახალგაზრდა მსუქანი წითური მამაკაცი, — დაუღვევრად მიუახლოვდა მათ, გაჩერდა, თავი გაიქნია და უთხრა:

— ტრაიჩო, ისევ შემოგიკრეფია ესენი! ნუთუ არ გბეზრდება, ამდენს რომ ატარტარებ ენას?

— რა ვქნა, ბაი სტავრი, თუკი ღმერთს ასეთი გავუჩენივარ? — მიუგო ტრაიჩომ, თავი უკან გადაიგდო და გადაიხარხარა.

— გაფრთხილდი, ყმაწვილო, — ხუმრობით დაემუქრა ბატონი, — მაგ ენამ არ დაგლუპოს.

— მე კი ვფრთხილობ, მაგრამ აი ეს... — ტრაიჩომ პირი გააღო და ენაზე მიიღო თითი, — ვერ მომიტოკია.

— რაკი შენ ვერ მორევიხარ, ფრთხილად იყავი, სხვები მოთოკავენ!

აშკარად ჩანდა, რომ ბატონმა კარგად იცოდა ტრაიჩოს წარსული, მაგრამ რატომღაც მოწყალე თვალთ უყურებდა. არავის ახსოვდა, რომ იგი თღესმე დაესაჯა. საღამოობით მუშაობის დასასრულს, როცა მინდვრებში ბინდბუნდი ჩამოწვებოდა და სიჩუმე დაისადგურებდა, ბატონი თავისი სახლის აივანზე გადმოდგებოდა ხოლმე და ეძახდა:

— ტრაიჩო!

— აქა ვარ! — მაშინვე ბატონს გამოეჭიმებოდა, წინ მშვიდად გაუჩერდებოდა, მაგრამ მაინც ასწრებდა დანარჩენი გლეხებისათვის იდუმალად თვალის ჩაკვრას, რის გამოც ისინი სიცილით იხოცებოდნენ.

— გეყოფა მანჭვა-გრეხა! — მკაცრად ეტყოდა ბატონი, — გამომყევი სოფელში, ხვალ კი ორთვალათი ქალაქში წავალთ.

— ნება თქვენია, ბაი სტავრი! წავიდეთ, კიდეც დავისვენებ და კიდეც ქვეყანას თვალს გადავაგვლებ. რა მეხარჯება?

და სხვების თვალწინ, რომლებიც ჩუმად შესცქეროდნენ, ტრაიჩო იწყებდა ცხენების შებმას ფორანში, თან ნაპატივებ გავაზე მოფერებით ხელს ურტყამდა. პირუტყვებს ისევე ელაპარაკებოდა, როგორც აღამიანებს, და ხუმრობა-ხუმრობაში მარჯვედ ამოსდებდა ხოლმე ლაგამს. მერე კოფოზე გვერდით მიუჯდებოდა ბატონს და მზიარულად დაიძახებდა:

— აჩუყუ, აბა მოუსვით, ჩემო ფრთიანო რაშებო!

ფორანი არიხრიხდებოდა და ტრაიჩოსთან ერთად წყვდიადში იკარგებოდა, გლეხები კი, თითქოს უიმისოდ დაობლდხენო, ადრე წვებოდნენ დასაძინებლად; აღარავინ იყო კოცონთან მათი გამრთობი, მზიარული სიმღერის მთქმელი. მომღვენო დღეებიც მძიმედ გადიოდა, ჩუმად იღებდნენ ჭარხალს, ჩუმადვე უფხვიერებდნენ სიმინდს მიწას და, უცნაური იყო, ერთმანეთს წარამარა უმიზნოდ ეჩხუბებოდნენ. დროდადრო ერთ-ერთი მათგანი წელში გასწორდებოდა, თოხის ტარს დაეყრდნობოდა და ასე გარინდებული იდგა, ვიდრე მეორის

შეძახილი არ გამოიყვანდა ამ მდგომარეობიდან; ეტყობა რაღაც ფიქრი აწუხებდა, ისეთი ფიქრი, რომლის გადმოცემა სიტყვებით არ შეეძლო... მერე მეორე წამოიწყებდა ლაპარაკს.

— ათი დეკარი მიწა რომ მქონდეს, განა აქ მუშაობიან? —  
 ამაზე ზოგი სიცილით პასუხობდა, ზოგი სევდიანად, ზოგი კი მტკიცებით, ნელ-ნელა ეტყოდა:

— მდიდარი ქალი უნდა შეგერთო, პანჩო! ცოლს რომ ირთავდი, თვალები სადა გქონდა! თავად ხარ დამნაშავე.

— ათი დეკარი მიწა გინდა გქონია, გინდ არა! ჩვენ, ეტყობა, მხოლოდ საიქიოში გავმდიდრდებით...

ასე უსიხარულოდ, მეტ წილად დუმილში, გადიოდა დღეები. არც ხუმრობდნენ, არც ლაპარაკობდნენ. საღამოს კი ჭასთან გროვდებოდნენ, ხელ-პირს იბანდნენ, უწმაწურ სიტყვებს ესროდნენ ქალებს და სიცილით ისმენდნენ მათ წყევლა-კრულვას. სხვა გასართობი მათ არა ჰქონდათ და ეგონათ წესიერად იქცეოდნენ. მხოლოდ მაშინ მოდიოდნენ გონს და დაირცხვენდნენ, როცა მათ ბაი ვასილი მიმართავდა. მოხუცი წყნარად ლაპარაკობდა, მაგრამ მისი სიტყვები შიგ გულში ხვდებოდათ.

— ულაყებო! ბულებო! გრცხვენოდეთ... ტკბილ ცხოვრებას როდი მოუყვანია ეგ დედაკაცები აქ! ქუჩაში დაუყრიათ ბავშვები, იქნებ ერთი-ორი ლევი მოვინაგროთო და აქ მუშაობით წელს იწყვეტენ, თქვენ კი ისე ვაყდებით, თითქოს ქალი არ გენახოთ! ეს ხომ თავის მოჭრაა!..

თან ჯიბიდან ქისას ამოიღებდა, სიგარას გაახვევდა და ხმადაბლა გაურკვევლად დაუმატებდა:

— ეჰ!..

სიგარას ეზოში მოსწევდა, შემდეგ ნელი ნაბიჯით მიდიოდა ფარდულისაკენ, სადაც მამაკაცები იძინებდნენ. მას სხვებიც უხალისოდ მიჰყვებოდნენ, განსაკუთრებით ახალგაზრდები. მალე ფარდულის ქვეშ გაისმოდა მოძალებული მამაკაცური ხველა და თანაბარი ხვრინვა. საბატონო სახლის მომცრო ოთახში კი ქალები ათევდნენ ღამეს და იქიდან შუალამემდე მოისმოდა მოგუდული კისკისი, რომელიც დროდადრო ასე ძლიერდებოდა ხოლმე, რომ ბაი ვასილი იძულებული იყო ამდგარიყო და წყევლიაღში დაეყვირა — გაჩუმდითო.

ზაფხულის მოკლე ღამე სწრაფად იწურებოდა და თუმცა ძილი არავის არ ჰყოფნიდა, მაინც, ძველი ჩვეულების თანახმად, მზის ამოსვლამდე ყველანი ფეხზე იდგნენ, ფაციფუცით საუზმობდნენ და ეზოში უმიზნოდ დაბორილობდნენ. გული არავის მიუწევდა სამუშაოზე, მიუხედავად იმისა, რომ სტეფანე, ბატონის რწმუნებული, ტუჩებზე გამმოფაფრულ სქელ ულვაშებში უკვე დუღუნებდა:

— აიღეთ თოხები და გასწით! ჰეი, შენ გეუბნებიან, დაყრუვდი თუ რა დაგემართა!

მამაკაცები სიტყვას აწყვეტინებდნენ:

— აბა, აბა, წყნარად, ჩვენ ვიცით ჩვენი საქმე! ძალიან თავს იღებ, ალბათ სტავრი ქალაქიდან ასთაკვის ჩამოტანას თუ შეგპირდა.

სტეფანეს გადაკვრა უყვარდა. ცნობრი ნიადაგ წითელი ჰქონდა, თვალები ჩასიებული. გლეხებს არ ეშინოდათ სტეფანესი, მაგრამ მაინც ერიდებოდნენ



მასთან სიახლოვეს, რადგან იცოდნენ, რომ ბატონი მას ყანაში მეთვალყურედ აგზავნიდა. ამ დღეს კი ისინი იმიტომაც ითრევდნენ ფეხს, რომ სურდათ ტრაიჩოს შორიდან მაინც მისალმებოდნენ, ამიტომ თვალი გზისკენ ეჭირათ, და სიგორც კი ხეივნის მიღმა ფოლიანი გამოჩნდა, ყველანი იქითკენ გაიქცნენ, იქ ბატონი ეგულებოდათ, მაგრამ იმას ყურადღება არ მიაქციეს და შეჰყვირეს:

— მოდი, ტრაიჩო, მოდი! თორემ უშენოდ თავგზა აგვებნა!

— ბაი სტავრი, რად მიგყავთ ჩვენგან ტრაიჩო? ეგ ხომ შეეტლე არ არის, მუშა კაცია!

ტრაიჩომ გულიანად გაიღიმა და მალულად გახედა ბატონს. სტავრი ძლივს გადმოვიდა ფორანიდან, რატომღაც შუბლი შეიკრა და დამრიგებლურად თქვა:

— ვხედავ, ვხედავ, ტრაიჩო, აქ ყველას უყვარხარ! მაგრამ გახსოვდეს, ჩვენი ხალხი უწყინარია, ასე რომ, ფიქრად არ გაიტარო თავგზა აუბნით...

— ყველანი ჩემზე დიდები არიან, ბაი სტავრი! აბა, მე ვინ მომისმენს! — მორჩილად მიუგო ტრაიჩომ, მაგრამ თვალები უცინოდა.

— მე გაფრთხილებ, სხვა შენ იცი!

— არაფერია, არაფერია, — დაამშვიდა ტრაიჩომ.

იგი გადმოხტა ფორანიდან, ცხენები სტეფანეს ჩააბარა — გამოუშვიო, და სხვებთან ერთად მინდვრისაკენ გასწია.

მიდიოდა ამხანაგებით გარშემორტყმული ტრაიჩო და ყოველ ნაბიჯზე ლაზლანდარობდა, ფეხის წვერებზე დგებოდა, ცხვირს იბზეკდა — ასე დადის პოლიციის ბოქაული ქალაქშიო და უკან პატარა ძაღლი მისდევსო. მამაკაცები უყურებდნენ ტრაიჩოს და სიცილისაგან იგუდებოდნენ. ბაი ვასილი შეეკითხა:

— ალბათ, სწორედ ის არის... ნახალინს ხომ არ ეძახიან?

— არ ვიცი, რას ეძახიან! — ხელები გაშალა ტრაიჩომ, — შეიძლება ნახალინიც იყოს, ძალიან გაფუყული კი დადის და...

— შენი ნაამბობიდან ჩანს, რომ სწორედ ის არის! — თავის კანტურით თქვა ბაი ვასილიმ, — ნამდვილი ნადირია, ვინ იცის, რამდენი ადამიანის ცოდვა აღევს კისერზე...

— შეიძლება თვითონ მას არა, მაგრამ შენც კარგად იცი, ბაი ვასილი, ბოქაულები იმიტომ არსებობენ, რომ ეგ არის მაგათი სამუშაო!

ამ სიტყვებზე რამდენიმე ნაბიჯით ჩამორჩა სხვებს და მოხუცს ჩასჩურჩულა:

— ბაზარში გავიარე. შენი ერთი ნაცნობი ვნახე. მოკითხვა შემოგითვალა.

— ნეტა ვინ იყო? — იკითხა ბაი ვასილიმ და თავს ძალი დაატანა, იქნება გავიხსენოო, — სახელი არ უთქვამს?

— ომის დროს ერთ როტაში გიმსახურიათ. ბლინდაჟში როგორღაც ერთად მოჰყოლიხართ მიწის ქვეშ, ძლივს გადარჩენილხართ... სტოილს თუ სტოიანს ეძახიან... მგონი სტოილს!..

— სტოილი იქნებოდა, ტრაიჩო, სტოილი! მაშ, ცოცხალია? ომიდან სალსალამათი დაბრუნდა, მაგრამ შემდეგ, მგონი, ძვლების მოტეხილობას უჩიოდა...

— მართალი ხარ, ბაი ვასილი! თრად არის წელში მოხრილი, ძლივს დადის... მაინც დამაბარა, თუ ქალაქში ჩამოხვიდეთ, მაცნობეთო!..

ბაი ვასილი შეჩერდა, სახამ სიტყვას იტყოდა, კარგა ხანს დუმდა.

— მე პოლიტიკაში ვერ ვერკვევი. ეს კია, მახსოვს, მაგას სდევნიდნენ. ნიადაგ გაზეთებს კითხულობდა, მეც მაძლევდა ხოლმე...

ტრაიჩომ აჩქარებით ჩაურთო:

— მე ის პირველად ვნახე, მაგრამ რაკი სურვილი აქვს შევხვედეს...

— დიახ, შევხვდებით, რატომაც არა, — ნელ-ნელა ამოტყდნენ მჭვლი მუშაკაცი, — კარგი ადამიანია, ბევრი ტანჯვა-წამება გამოტყდნენ...

მან ჩაახველა, თითქოს კიდევ რაღაცის სათქმელად ემზადებოდა, მაგრამ ტრაიჩომ მაშინვე სიტყვა ბანზე აუგდო, ამხანაგებს დაეწია და მალე იმ ჯგუფში ისევ ატყდა სიცილი. დროდადრო რომელიმე მათგანი გაოცებული ეკითხებოდა:

— ამდენ რაღაცეებს როგორ იგონებ, ტრაიჩო! საიდან მოგდის თავში?

როდესაც ტრაიჩო გვერდით ჰყავთ, ყველას ეჩვენება, რომ გრძელი, მძიმე დღე მალე იწურება და მუშაობაც თითქოს იოლია, თუმცა როგორც უწინ, დროდადრო ისევ წელში იხრებიან, თბრავენ, ხელისგულით აწმენდენ შუბლზე თღლს... საითაც უნდა გაიხედონ, ყველგან საბატონო მიწებია გაწლილი! თან მზეც აცხუნებს, გაჩერებულა ცაში ის დაწყევლილი, და ადგილიდან არ იძვრის! რა აქვს ასაჩქარებელი — არ ხნავს, არ თოხნის! ტრაიჩო რომ არა, მისი ხუმრობა-ონუნჯობა რომ არა, ლამის აული გასძვრეთ...

არავის არ უნახავს იგი სევდიანი, ჩაფიქრებული, ვერავინ ვერ წარმოიდგენს, რომ გულში რაიმე აქვს დამალული... მაგრამ ერთხელ, ეს მოხდა მკის შემდეგ, ტრაიჩო ქალაქიდან რატომღაც ამღვრეული დაბრუნდა. რამდენჯერმე შეეკითხნენ მიზეზს, ის პასუხს არ აძლევდა, მთელი დღე ღუმდა. მხოლოდ ერთხელ წამოსცდა:

— ჩვენ აქაურ გაჭირვებას ვუჩივით. მაგრამ არის ხალხი, რომელიც ჩვენზე უარეს დღეშია...

არ დაუჯერეს.

— ჩვენზე უარეს დღეშიო? ტრაიჩო, ეს შეუძლებელია.

— დილიდან საღამომდე წელში ვართ გაწყვეტილი! ქალაქში, ალბათ, ასე არ არის...

ტრაიჩო ზემად უსმენდა, არ აწყვეტინებდა, არც იმას ცდილა, რომ აზრი შეეცვლევინებინა. მხოლოდ საღამოს, როცა ძილისათვის ემზადებოდნენ და ყველამ ფარდულის ქვეშ მოიყარა თავი, ტრაიჩო უცბად აღაპარაკდა:

— ქალაქში მუშები გაფიცულან! უკვე მეორე კვირაა, — მან თვალით მონახა ბაი ვასილი, ის კი სიგარას ახვევდა და მიწას დაჰყურებდა. სხვებიც ღუმდნენ, არავინ კრინტს არ ძრავდა. ბოლოს ვილაცამ გაიღო ხმა:

— გაფიცულან და გაფიცულან! თავიანთი საქმისა თვითონვე იციან.

— მაშასადამე, ჩვენ გულზე დავიკრიფოთ ხელები და შორიდან ვუყუროთ? — მშვიდად შეეკითხა ტრაიჩო, თუმცა სახე აუფორაჯდა და ტუჩები უთრთოდა, — შენ რას იტყვი, ბაი ვასილი?

— მეც იმასვე ვიტყვი, რომ თავი ყველას აბია...

— უთაობა კი ბოლოს გამოჩნდება, — სწრაფად დაუმატა ტრაიჩომ, ჯიბიდან პატარა წიგნი დააძრო და გადაფურცლა, — აი, რა უთქვამს ლენინს... თქვენ, რა თქმა უნდა, გაგონილი გაქვთ ეს სახელი! დიახ, ის ამბობს, რომ ხალხის ძალა სწორედ მუშებისა და გლეხების კავშირშია. როცა ისინი ერთმანეთს მხარში ამოუდგებიან და ერთიმეორეს დაეხმარებიან, მხოლოდ მაშინ მიაღწევენ ნამდვილ ცხოვრებასო... როგორც ეს მოხდა რუსეთში!

ტრაიჩო ხან კითხულობდა, ხან თვალს მოსწყვეტდა წიგნს და წაკითხულს უხსნიდა და უხსნიდა. ზედ ტრაიჩოს თავთან, ბოძზე დაკიდული ანთებული ფაჩანი იქაურობას მკრთალად, არათანაბრად ჰფენდა სინათლეს. გლეხები ჩუმად უსწენდნენ, არ აწყვეტინებდნენ და როცა ტრაიჩომ დაამთავრა ლაპარაკი, დიდხანს დუმდნენ. მათ გარინდებულ სახეებზე ძნელი ამოსაცნობი იყო — თანხმობდნენ ტრაიჩოს თუ არა. წამოდგა ბაი ვასილი, წინ გამოვიდა, სიყვერუდედ ფერთხა, ფერფლი მოამორა და პარველი ალაპარაკდა:

— ლენინს ეს უთქვამს... აი, მოვუსმინე ჩვენს ტრაიჩოს წაკითხულ-ახსნილს და არც ერთი სიტყვის უარყოფა არ შემიძლია... ყველაფერი მართალია! ეთილი და პატიოსანი, ბარემ ესეც გვითხარი, ჩვენ რა უნდა გავაკეთოთ, ჩვენგან რას მოითხოვ?

— ბაი ვასილი! დაე თითოეულმა თქვენგანმა გაიღოს ის, რაც შეუძლია: ფული, პური, კვერცხი, — ვისაც რა აბადია! ეხლა მუშებს უჭირთ, ჯამაგირს არ იღებენ, მათი ოჯახები შიმშილობენ...

— კეთილი და პატიოსანი. — გაუბედავად ჩაერია საუბარში მეორე გლეხი, — ახლავე მოვაგროვებთ, რაც ჩამოთვალე. აჰა, ჩაიბარე ჩემგან ოცდახუთი ლევი... მაგრამ ვინ გადასცემს იქ, მუშებს, ჩვენს დახმარებას? აქაური სისხლის-მსმელები ჩვენ თვალს რომ არ გვაშორებენ!..

— მაგაზე მე ვაზრუნებ! — მიუგო ვახარებულმა ტრაიჩომ და მღელვარებისაგან წიგნაკის ჯიბეში ჩადება ვერ მოესაზრებინა, რომ მისკენ უკვე ათასობით ხელი იყო გამოწვდილი:

— აილე, აილე, ტრაიჩო... მე შეტსაც არ დავიშურებდი, მაგრამ ჩვენისთანებს, კარგად იცი, ზედმეტი ფული არ გაგვაჩნია.

— არაფერია, პენიო, — ამწვიდებდნენ სხვები, — ხვალ სოფელში წავა ტრაიჩო, ცოტაოდენ პურსა და ფქვილს შენი ცოლიც მისცემს, ყველაფერი რიგზე იქნება!

ამ საღამოს ფარდულის ქვეშ ძილი არავის მიჰკარებია, მამაკაცები გვიანობამდე ლაპარაკობდნენ, ტრაიჩოს ზედიზედ აყრიდნენ კითხვებს — რამდენი კაციაო გაფიცული, იქვე სახელდახელოდ ანგარიშობდნენ აქ შეგროვილ და სოფლიდან შემოწირულ თანხას, და საქციელწამბღარნი, ხელებს იქნევდნენ:

— ეს ხომ ძალზე ცოტაა.. ამდენ ხალხს თითო ნამცეცციც არ გასწვდებო...

ტრაიჩოს გაეღიმა და მიუგო:

— ცოტაა, მარტო ჩვენ რომ ვავროვებდეთ... მაგრამ თქვენ გავიწყდებათ, რომ ქალაქში და სხვა სოფლებშიც არ სძინავთ! დღეს ჩვენ ვეხმარებით, ხვალ კი ისინი დაგვეხმარებიან...

მცირე ხნით ყველანი გაჩუმდნენ.

უეცრად ფარდულის მეორე ბოლოში ერთ-ერთი გლეხი წამოიწია, რომელიც ეს-ეს არის დასაძინებლად დაწოლილიყო და გულუბრყვილოდ შეეხმინა ტრაიჩოს:

— ჩვენ მასხარად გთვლიდით... ნიადავ ოხუნჯობდი, ვინ გამოიცნობდა, რომ თურმე სულ სხვა გქონია გულში?!

ბაი ვასილიმ წყნარად ჩაიქირქილა და თქვა:

— მე კი მივხვდი, მაგრამ საქმე უბრალო არ იყო! ჯერ კიდევ იმ დღიდან ვიცოდი, როცა სტოილზე მკითხე... ვიცოდი მისი სიმართლე, მაგრამ ვდუმდი!

წამოდგა, ჩაახველა, მხარზე ქურთუკი მოიგდო და ფარდულიდან გამოვიდა. მალე ისევ შებრუნდა და თქვა:

— იცით, რა დროა? ორ საათში გათენდება! აბა, დავიძინოთ, უკვე გვიანია...

მაგრამ ძნელი სათქმელია, რომ ამ ღამეს ვინმეს ძალიან დაეძინებოდა; ტრაიჩოს ამ ხალხში გაეღვიძებინა რაღაც ახალი, მათთვის ჯერ უცხოები...

მამულში ისინი მოწყვეტილი იყვნენ სამყაროსაგან. აქ მათი ერთადერთი საზრუნავი იყო იმაზე ფიქრი, თუ კვირის დამლევეს რამდენს გადაუხდიდა სტავრი, უარს ხომ არ ეტყოდა დღიურ სამუშაოზე. მძიმე შრომა მათი გონებიდან სხვა აზრებს სდევნიდა. საღამომობით დადლილ-დაქანცულნი ბრუნდებოდნენ ფარდულის ქვეშ, ჩალაზე წვებოდნენ და მაშინვე იძინებდნენ. მინდორში მხოლოდ ხანდახან ჩამოაგდებდნენ ლაპარაკს ქალებზე, რომელთა სიახლოვე აღიზიანებდათ ღამლამობით, ახლა კი მათ ცხოვრებაში მოულოდნელად შეიჭრა ის აზრი, რომ მათაც შესძლებიათ სარგებლობის მოტანა—თავიანთვის თუ არა, სხვისთვის მაინც!.. ამიტომ არიან რამდენიმე დღე მოუსვენრად და ამიერიდან მხოლოდ იმას ცდილობენ რაიმე დასცინცლონ ტრაიჩოს, უნდათ გაიგონ თუ რა გააკეთა...

— ყველაფერი რიგზეა?

— თუ ფორანი ვერ იშოვე, ხვალ ღამ ჩემი წაიყვანე. განა მოგცემს.

მაგრამ ტრაიჩოს ზოგჯერ სხვა ხმაც ესმოდა, შიშით აღსავეს ხმა.

— ჰეი, გაფრთხილდი, თორემ შენც დაიღუპები და ჩვენც დაგვლუპავ! — მაგრამ ის, ვისაც ეს წამოსცდებოდა, იქვე ნანობდა; ყველანი თავს ესხმოდნენ, მშიშარას ეძახდნენ და ისიც, ღარცხვენილი, მათ წინაშე თავის მართლებას იწყებდა.

ხოლო როცა ერთხელ ტრაიჩომ მუშებისაგან გამოგზავნილი წერილი აჩვენა, გლეხებმა არც დაუჯერეს, რომ წერილი მათ სახელზე ქალაქიდან იყო გამოგზავნილი, და რამდენჯერმე წააკითხეს: „მამულში მომუშავე ჩვენო ძმებო! სიტყვები არ გვყოფნის მადლობის სათქმელად ყველაფრისათვის, რაც თქვენ...“

— გესმით? — აწყვეტინებდნენ მას, — ჩვენო ძმებო! აი, თურმე ვინა ვყოფილვართ! ასეც არის, ერთ უღელქვეშ ვგმინავთ, თუ ჩვენ არ დავებმარეთ ერთმანეთს, სხვა ვინ არის გამკითხავი?

— შეინახე ეგ წერილი, ტრაიჩო, კარგად შეინახე. დაე ყველამ გაიგოს, რომ ჩვენ განზე არ ვიდებთ!..

მაგრამ მათი სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა. ორი-სამი დღის შემდეგ, ასე შუადღის ეამს, მამულში ჟანდარმები მოვიდნენ და ტრაიჩო დააპატიმრეს. გლეხები გარს შემოერთყვნენ, ახლოს არ უშვებდნენ მასთან ჟანდარმებს, მაგრამ ტრაიჩომ შეაჩერა ისინა.

— თქვენ საქმეს მიხედეთ, ჩემთვის კი თავს ნუ შეიწუხებთ!

სახლის აივანზე სახეწამონთებული, გულმოსული სტავრი გადმოდგა და მკაცრად გადმოსძახა:

— ხომ გეუბნებოდი, მაგრამ შენ და შენ უტვინო თავს ვერაფერი შეგასმინეთ! აბა, ახლა რა ვუთხრა დედაშენს? ისევ მოვა ჩემთან, როგორც ნათე-

საეთან, ისევ დამიწყებს მუდარას, დაეხმარეო! მაგრამ დიდხანს მოუწევს ლოდინი. ძალღი ვინც მოჰქლა, იმანვე უნდა გადაათრიოს!

ტრაიჩომ ახედა ბატონს, ჩაიციანა, გლეხებისკენ იბრუნა სახე და მოუგო: — იმ მკვდარ ძალღს შენ გადაათრევ, ბაი სტავრი, დიახ, შენ! და ჟანდარმებს წინ გაუძღვა. უეცრად შეჩერდა, ხელი მსწრაფად წამოძახა: — ნახვამდის, ამხანაგებო!

არასოდეს ასე არ მიემართა მათთვის. ისინი ჩუმად იდგნენ და უყურებდნენ, როგორ შორდებოდათ ამაყად თავაწეული ტრაიჩო. ვიღაცამ ამოიოხრა და თქვა:

— თავისი სიმართლისათვის იტანჯება აღამიანი!

ბაი ვასილიმ კი გიბიდან ამოიღო თამბაქოს ქისა, სიგარის გახვევა დაიწყო. ქვეშ-ქვეშ ახედა ბატონს და ხმადაბლა დაუმატა:

— და ის სიმართლე ჩვენიცაა, დიახ, ჩვენიც!



## ანა ზებერსი

გერმანიულიდან თარგმნა  
ცისანა გუგლარიშვილმა

# გრუგოვოლი გლესები

ძველად კარპატებში ვაჟკაცს იმის მიხედვით აფასებდნენ, ცულის რაძდენი მოქნევით წააქცევდა ისეთ ხეს, კაცი ნკლავებს ძლივს რომ შემოაწვდენდა. რა ძალა უნდა დასდგომოდათ ამ პირველ მოსახლეებს, ბარის მოწესრიგებული, მოწესრიგებული კი არადა — თითქმის წმიდა ქალაქები რომ მიუტოვებიათ და ამ სიმაღლეზე ამოსულან ტყეში! ეს ძალა, კაცს რომ შეუძლებელს შეაძლებინებს და სასწაულებს ჩაადენინებს, შემშილია. ერთი თუ სადმე დაადგა ადამიანი ფეხი, იქვე ჩარჩება კიდეც. ხეების მაღალრი ფესვები თანდათან ქოხების საძირკვლებს შემოეხვია და სადგომებშიც შეაღწია. გლეხებს ხე-ტყე და მის ნაკეთობანი ქალაქში ჩააქონდათ. მგლებმა ტყის შეუგულისაყენ დაიხიეს. ტყვიები ისე არ აფრთხობდათ, როგორც ადამიანთა მოდგმის სიახლოვით გამოწვეული ხმაური: ხერხის ღრიჭინი იქნებოდა ეს თუ წაქცეული ხეების გრიალი. ზოგჯერ ერთ-ორ ცხვარს თუ მოიტაცებდნენ, ზამთრობით კი სოფელში ამოდიოდნენ. ადამიანები უფრო ერთსულოვნად მოქმედებდნენ და სჯობნიდნენ კიდეც.

როდესაც მე-18-ე საუკუნეში რაკოცი მონარქიას აუჯანყდა, კარპატების გლეხობა ძალიან ძლიერი იყო და მათს მხარდაჭერას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. აჯანყება დამარცხდა. მთავრობამ კარპატულ გლეხებს აჯანყებულებებისადმი თანაგრძნობისათვის ტყე ჩამოართვა და თავისად გამოაცხადა, კარპატების ქედი საყარაულო კოშკებით აავსო. პირველ ხანებში გლეხები ბორჯავდნენ, კოშკებს ცეცხლს უკიდებდნენ, იჯარის ამკრეფებს კი ხოცავდნენ. ვერ შეგუებოდნენ იმ ტყის ჩამორთმევას, სადაც პირველი ბილიკები მათმა მამა-პაპამ ვაკვალა.

შვილები ტყუილ-უბრალოდ როდი უყურებდნენ, როგორ ხოცავდნენ ან

აპატიმრებდნენ მათ მამებს. თავადაც ჯანყდებოდნენ, მაგრამ ეს უკვე ცალკეუ-  
ლი, დაქსაქსული გამოხდომები იყო, მხოლოდ აღტაცების მომგვრელი ამ  
ხანებში გამოიკა კანონი, რომელიც ტყის მჭრელებს ჩამოხრჩობას უქადდა;  
იმათ კი ვისაც უშუალოდ დანაშაულზე წაასწრებდნენ, ხელს მჭრელებს და  
ნაჯახთან ერთად სოფლის მოედანზე გამოჰკიდებდნენ ხოლმე. ბევრი მოკვ-  
თილი ხელი გამოჰკიდეს მოედანზე, ბევრმა კი მაინც მოახერხა საიმედოდ გადა-  
გმალა ნაჯახები.

გლეხების ახალი თაობა ალიზით და დამპალი ხით ნაშენ ქოხმახებში ცხოვ-  
რობდა, გაძვალტყავებულ საქონელს იქვე, სოფლის ბეჭობზე აბალახებდა.  
იჯარას დროულად იხდიდნენ, თუმცა ეს საკუთარი სისხლის ფასად უჯდებო-  
დათ. ხანდახან ერთი-ორი კაცი კიდევ ახერხებდა წამოეღო „თავისი წილი“  
ტყიდან. ესენი თავზეხელაღებული ყმაწვილები იყვნენ, იმ გაბედული წინაპრე-  
ბის ღირსეული შთამომავალნი, ვინც პარველად ამოდგა ფეხი მთებში. მაგრამ  
საქმე ის არის, რომ მათი წინაპრებისათვის ეს გზის დასაწყისი იყო, ამათთვის  
კი უკვე დაასრული. გლეხებს დავიწყებოდათ ვინ იყვნენ და საიდან მოვიდნენ.  
თუმცა არც ისე ბევრ ხანს გაევიწყლო, რომ ვადმოცემებში მაინც არ ეცოცხლა  
წარსულს. აზროვნება მოსდუნებოდათ, სხეულიც დაძაბუნებოდათ, რადგან  
ღარაფერთან ჰქონდათ შესაჭიდი.

პირველ მსოფლიო ომში აქაურ მამაკაცებს, როგორც საზღვრის პირას  
მცხოვრებთ, საომარი ასპარეზის ყველაზე მოშორებულ ადგილებზე გზავნი-  
დნენ. სიცოცხლის ძარღვი მოდუნდა, მაგრამ არ წყდებოდა. ბევრი სოფელი იმ  
მთასთან ერთად აფეთქდა, რომლის კალთასაც ჩაჰკვროდა, სხვა სოფლები კი,  
გაჭირვებას შეჩვეულნი, უმოძრაოდ თვლემდნენ ქვემეხების ვრიალში.  
ამ მღუმარებას დროდადრო ფრონტიდან მიღებული ცნობით დაზაფრული ქა-  
ლების შეკვივლება თუ დაარღვევდა ხოლმე. ძილშიც კი ჩაესმოდათ უღელტეხი-  
ლისაკენ მიმავალი ჯარების ფეხის ხმა. დამღამობით ქალები სახლებში და ხან-  
დახან საკუთარ ლოგანებშიც შეიფარებდნენ ხოლმე მთისგადაღმელ ლტოლვი-  
ლებს. ცარიელი ძვალი და ტყავალა იყვნენ, შემშილი ცხოვრების თანამგზავრი  
გამხდარიყო, აღარც კი უჩიოდნენ. კარზე მომდგარი ზამთარი კი ყველაფერს  
მიწასთან გასწორებას უქადდა.

გრუშოვოში ვოიჩუკის ცოლი მოსალოგინებლად იწვა. ერთმა მეზობლის  
ქალმა კრაჭი აანთო, მეორემ ქათმებს შეუძახა. მერე ორივე მშობიარისაკენ  
დაიხარა და ურჩევდნენ ეყვირა. ის კი მღუმარედ ატანდა თავს ძალას, თითქოს  
მისთვის ყველაფერი სულერთი და უმისნო განხდარიყო. ცხრა თვე იყო ქმარი  
აღარ ენახა და არც არაფერი სმენოდა მის შესახებ. მეზობელი ქალის თავის  
მიღმა, სადღაც შორს, ჩნდებოდა და ქრებოდა სინათლის რკალები, ერთად-  
ერთი ნათელი სამყაროს ამ უსასრულო, უკუნეთ სიბნელეში. არც ერთ ქალს  
არ გაუგონია ჯარისკაცის ნაბიჯების ხმა სოფლის შარაზე. ვოიჩუკი ოთახის  
ზღურბლზე სწორედ იმ დროს გამოჩნდა, როდესაც გრუშოვოელთა ჩვეულე-  
ვისამებრ მამა მელოგინის ოთახში უნდა შევიდეს: ჭიბის მოჭრის დროს.

დამარცხებული არმიიდან ადამიანები შინისაკენ მიისწრაფოდნენ. ვოიჩუკი  
შეცბა, გაიცინა და ოთახში შეაბიჯა. რაც კი რამ ნათელი შერჩენოდა ქალის  
გაძვალტყავებულ სხეულს, ლოდინისაგან გაწვრილებულ გულს, ერთბაშად  
აკიაფდა ორ პაწია წერტილში—თვალის კუთხეებში. ვოიჩუკმა ხელი მოუთა-

თუნა ქალს და ბავშვს მიხედა. დაბანილი ბავშვი კალათში ჩაეწვინათ. მამა მაგიდასთან დაჯდა და კალათს მკლავები შემოხვია. ბავშვის მიყნაფებულმა ხმამ ჩაახშო მის გონებაში არეული ყველა სხვა ყვირილი, სიკვდილით მოცული აღამიანთა კვნესა.

ვოიჩუკმა ჯარიდან ტილებიანი ტყაპუჭის გარდა სხვა რაიმეც ჩამოიტანა. ეს სიციცხლით სავსე კალათა მისი ნაწილი იყო, მისი კლასის წარმომადგენელი. ვოიჩუკმა მზერა ბოლოს ტირიფის წკნელებისაგან მოწნულ კალათაზე შეაჩერა. უცებ წამოდგა, ოთახიდან გავიდა, ფარდულში ნაჯახი მოძებნა, ტყეში შევიდა და ხის ჭრას შეუდგა.

ფერდობზე რამდენიმე მწყემსი წამოწოლილიყო. ნაჯახის კაკუნზე თავა წამოსწიეს, ცოტა ხანს გარინდებულებმა ყური მიუგდეს. ერთი მოხუცი გამოეყო მათ და მთას შეუყვია. ხე მიწაზე ეგდო. ვოიჩუკი მიმდგარიყო და ტოტებს სხეპავდა. „ვოიჩუკი ხარ?“ — „ჰო, მე ვარ“. „რას აკეთებ?“ — „აკვანს“. გაოცებისაგან მოხუცს ქვედა ყბა ჩამოუვარდა. პირის მოკუმვა დაავიწყდა და დორბლი გადმოსდინდა. ვოიჩუკი ჩებას განაგრძობდა. მოხუცმა ისევ პკითხა: „განა შეიძლება?“ ვოიჩუკი სწრაფად შემობრუნდა მისკენ და გაიცინა. გაოგნებულმა მოხუცმა ორივე ხელით მოიწმინდა დორბლი. ვოიჩუკს ქვემოდან შეხედა თვალებში. შიგ ყველაფერი დაინახა: ტყე, მთების ყავისფერი და მწვანე ნაოჭები, დაფლეთილი ღრუბლები, სოფელი—წითელ ლაქად რომ მოჩანდა. მოხუცის თვალები ამ ტყეში ჩაიძირა, რომელიც სულ ახლოს იყო, ხელმისაწვდომი, ვოიჩუკის წარბებს ქვემოთ. მოხუცმა ვოიჩუკს თვალი მოაშორა და მთას გაჰხედა. ტყე შეცვლილიყო.

რამდენიმე დღის შემდეგ გლეხების პატარა ჯგუფი გამშრალი დელის ციცაბო ხევს საყარაულო კოშკამდე აუყვია. მათ შორის იყვნენ ვოიჩუკი, მოხუცი სედორიუკი, ლაკატა, ივანე რუშჩუკი—ყველა ახალდაბრუნებული. უმცროსი რუშჩუკი, 15 წლისა, ჯარისკაც ძმას სულ გარშემო უტრიალებდა და ხანდახან მის ტყავის ქამარს ხელს შეავლებდა. ომის წლებმა მის მზისაგან გარუჯულ სხეულს არაფერი შეჰმატეს, მხოლოდ სივრცეში გაჭიმეს წვრილი დვედივით. გუშინ უეცრად შინდაბრუნებულმა მამამ ძლიერი ბრახუნით გააღო კარი და უმცროს რუშჩუკს დამყაყებულ ოთახში მთვლემარე გონება გაუხსნა. უჩვეულოდ ახოვანი ჩანდა კარის ზღურბლთან შემდგარი ძმა: დედაზე, ძმებზე, დებზე, ქათმებსა და თხებზე უფრო მაღალი, უზარმაზარ ჩექმებზე უცხო ქვეყნების მარაგების ტალახი აჰკროდა. მის გაწვდილ მკლავებს ქვემოდან ღია კარებში ერთბაშად გავარდა დედების ოხვრით, ბავშვების ღნავილით, ხმოს ავადმყოფური ბლავილით შეჯერებული ჰაერი, მთელი ნაშიშშალარი მოწყენილობა. აბლა გზაში უმცროსი სულ ძმას ეტმასნებოდა, არ უკვირდა, ყველაფერი რომ სხვაგვარად იყო, უფრო მეტსაც ელოდა.

ქვემოთ, სოფელში, ქალები ყურს უგდებდნენ ნაჯახების კაკუნს, რომელიც ჯერ კანტიკუნტად, შემდეგ კი უფრო შეუპოვრად და თანაბრად გაისმა. ეჭომაც აიწყვიტა და მთებისკენ გაქანდა. მამაკაცები შეჩერდნენ და გაოცებულებმა ყური მიუგდეს ეჭოს, რომელიც თითქოს ჰაერში გაქვავებულიყო. მერე ღიმილით გადაჰხედეს ერთმანეთს: სხვა სოფლებიც გასულიყვნენ ტყეში. შინ დაბრუნებისას გლეხებს რუშჩუკი და ვოიჩუკი მიუძლოდათ წინ. უცებ შეძახილები მოესმათ. ხეობაში ჟანდარმები შემოსულიყვნენ. პირისპირ შედგნენ.



ერთმანეთს თვალი თვალში გაუყარეს, ხალათის ღილებიც კი საეჭვოდ აციმციმდნენ. ოდნავ შესამჩნევმა ღიმილმა იელვა ერთი მხარის თვალებში და მოპირდაპირე სახეზე გადაინაცვლა, ჯვარედინად ხტოდა ღიმილი თვალთან თვალში. ამასობაში დანარჩენი გლეხებიც მოახლოვდნენ და ამ ორს ზურგსუკან დაუდგნენ. ვოიჩუკმა ნაბიჯი გადადგა, ჟანდარმებმა გლეხებს გზა დაუთმეს.

ბექობზე ახლ შესამჩნევად გაფართოვდა. სოფლები ნამწყურვალელებით ხარბად შეესივნენ ტყეს. ქოხები ისე დამდილულიყვნენ, რომ მხოლოდ ადამიანთა მხრების შემწეობით იდგნენ ფეხზე. შემოდგომის წვიმებმა კი სულმთლად მოუღო მათ ბოლო. ზამთრისთვის ყველას უნდოდა სახურავის განახლება. საფლავებზეც ახალი ხის ჯვრები დადგეს. ნაკაფები თავშესაყარ ადგილებად იქცა. შუალამემდე უსხდნენ გლეხები კოცონებს. ჯარისკაცებმა ბევრი რამ იცოდნენ: ქვეყანა იცვლებათ, რუსეთში ერთი ლენინია, ბატონებს მიწას ართმევს, ტყესა და მინდვრებს გლეხებს ურიგებსო.

ტყის გადაღმა ავნა სლატინას მალაროები იყო. უბადრუკი ქოხები მორუხო-მოთეთრო მარილის ჭირხლში გაფიჩხულიყვნენ. დაბრეცილი სამიკიტნოები არყის ოსშივარით გაბრუებული ხალხით გავსებულყო. აქ მსხდომთა აზრები ოცნებად იქცეოდა ხოლმე, რისხვა კი — გინებად.

ახლა მუშებშიც ამოდიოდნენ ხე-ტყის საჭრელად. ადამიანების გროვაში დროდადრო იელვებდა ხოლმე ცალკეული სახე, მკლავი, მუშტი. სამიკიტნოების შეხუთულ პაერში უროს დარტყმასავით გაისმოდა შავით თეთრზე დაწერილი უკანასკნელი მოწოდებების სიტყვები. ზამთარმა კიდევ ერთხელ გააჩხვია მივარდნილი სოფლები თოვლის საბურველში. გაზაფხულზე შიკრიკებმა უნგრეთში მომხდარი გადატრიალების ამბავი მოიტანეს. კარპატების გადმოდმა მუშებმა და გლეხებმა წითელ დიქტატურას დაუჭირეს მხარი. პროკლამაციები ტყეებამდე აღწევდა, სოფლის შუკებშიც იბუღებდა. სოფელმა ვოიჩუკი მოსამართლედ აირჩია, რამდენიმე კვირის განმავლობაში ხევში თოვლის ლანქერი მოდიოდა. ურმებმა და ჯოგებმა ტყეებში ახალი გზები გაკვალა. წინათ, წელიწადის ამ დროს, საქონელს ერთი ციცქნა ადგილი ჰქონდა ხოლმე საბალახოდ. ახლა კი ნახირს უცნობ, სიღრმეში გაშლილ საძოვრებისაკენ მიერეკებოდნენ. საქონელი დაჰხარბდა ბალახს, გაბრუვდა მინდვრის სურნელებით და თვალებში სიმადრის შუქი ჩაუდგა. პაეროვანი ზეცა აიწვევდა ხოლმე მალლა, გაბრწყინდებოდა და თითქოს მზის სიმძიმეს ველარ მოერიასო, ისევ ჩამთიზნიქებოდა. ზაფხული შედარებით წყნარი იყო. საყარაულო კომკებზე ისევ გამოჩნდა სინათლე. სოფლის გზებზე უცხოურ ფორმაში გამოწყობილი მხედრები უცხო, ფეხმარდ ცხენებს მიაჭენებდნენ. არავინ იცოდა სადაურები იყვნენ, ყოველ შემთხვევაში არც ტყის გამჩუქებლებს ჰგავდნენ და არც მინდვრის განმანაწილებლებს. მხოლოდ ვოიჩუკმა იცოდა, რომ რუმინელები იყვნენ. ზოგჯერ გლეხები შეშის გროვაში წააწყდებოდნენ ხოლმე შიმშილისაგან არაქათგამოლეულ ლტოლვილებს, რომელთაც აღარც შეშიდან გამოძრომის თავი ჰქონდათ და ვერც სოფელში გამოჩენას ბედავდნენ. მათ ცუდი ამბები მოჰქონდათ: უნგრეთში დიქტატურა დაამხეს, გლეხებს თავიანთსავე ეზოებში ჰკიდებენ, მავთულით ხელფეხშეკრულ მუშებს წყალში ჰყრიანო.

ახლა ხეობებში იშვიათად გაიგონებდით ნაჯახის კაკუნს. პაერში მხოლოდ ცხენის ფლოქვების თქარათქური ისმოდა. საღამოობით, კოცონებთან, შიში და

ლოდინი მოუსვენრობაში გადადიოდა და მხუთრივით ჩამოაწვებოდა ზოლმე სოფელს. ყველა მოიკუნტა, ჩურჩულითლა ლაპარაკობდნენ და რალაც მიძიმეს, შავბნელს მოელოდნენ. იმედი მაინც ბეუტავდა გულის სიღრმეში: ლენინი უკვე ცხენზე შეჯდა და მოდის, დიდხანს აღარ დააყოვნებსო. ბატონები შიშის ზარმა აიტანა, უფგოროდში ფაბრიკანტებმა ფქვილი და ჩაიყვანეს მუშათა უბნებსო. ბანკირები პარტიას ფულის სესხებას სთავაზობდნენ — რა უნდა გარშავასთან დგანანო<sup>1</sup>. შემდეგ სრული სამშვიდე ჩამოვარდა. არსაიდან აღარაფერი ისმოდა. სიცოცხლე ერთ წერტილზე გაიყინა.

ერთ დღეს გრუშოვოში ვილაც კაცები მოვიდნენ და მოსამართლე იკითხეს. ისინი ვოიჩუკის ქობში შეიყვანეს, ვოიჩუკის დასაძახებლად კი კაცი გავზავნეს. ოთახში უცხოები ჯერ დაბალი ხმით ლაპარაკობდნენ, მერე კი მიჩუმდნენ. ჭერი თითქოს მთელი სიმძიმით ჩამოემხოთ მხრებზე, ერთმანეთს გადაჰხედეს და თვალები დაჰხარეს. ჩამოწოლილ ბინდბუნდში სრულიად გაჰქრა უცხო, გაურკვეველი კონტურები. მხოლოდ ბავშვის ნათელი თვალები მოჩანდა ბნელ კუთხეში, მაგიდის ქვეშ. უცებ ღუმელზეც აკიაფდა თვალები. მოსულები ერთმანეთისაკენ მიჩოჩდნენ. ვოიჩუკი აქლოშინებული შემოვიდა სახლში და ჭრაქი აანთო. ახლა ყველაფერი გარკვევით გამოჩნდა: ქალი, ბავშვი, ხბო, ღუმელზე კი ვილაც დედაბერი იწვა. უცხოებმა მაგადაწვე რალაც ქალადი გაშალეს. ახალი სახელმწიფო შექმნილიყო, ახალი კანონები გამოეცა და საადგილმამულო წიგნი შეემოწმებინა. მთავრობა მოითხოვდა, გრუშოვოს თემს საძოვრების უნებართვოდ გამოყენებისათვის ჯარიმა გადაეხადა და მოჭრილი ხე-ტყის ზარალიც აენახლაურებინა. ვოიჩუკმა ქალადი ნაკუწებად აქცია. მთავრობის კაცებმა ჰკითხეს, შენი მოქმედება მთელი თემის აზრსაც თუ გამოხატავსო. ვოიჩუკმა ქალადებს სული შეუბერა. უცხოები განრისხებულნი წავიდნენ.

ერთი თვის შემდეგ გრუშოვოში სასამართლოს აღმასრულებელი მოვიდა ჟანდარმების თანხლებით: საქონელი უნდა გაერეკათ. გლეხებმა დაიმართხეს აღმასრულებელი, ფეხქვეშ მოიგდეს და ბევრი ურტყეს, შემდეგ კი ფორანზე დაკრული თავდადმართზე დააგორეს. ჟანდარმებმა უკან დაიხიეს. აქეთ-იქედან მუშტები ხვდებოდათ, წელში მოხრილნი გარბოდნენ, შეშინებულები, გლეხები აქაც მოგვწვდებოდა. სოფლელებმა რამდენიმე ქვაც მიაყოლეს ზურგში.

მეორე საღამოს მორებიით დატვირთული ფორანი ფერდობს დაუყვა. კოფონზე რუშჩუკი იჯდა, მის უკან ერთი მოხუცი და ერთიც სხვა გლეხი მოკალათებულიყვნენ, სულ უკან კი უმცროსი რუშჩუკი. ტოტები ლოყებს უკაწრავდათ, მოხუცს წვერი ეწიწკნებოდა. ისიც გამეტებით იქნევდა კეტს. ერთ ტოტს რომ მოიცილებდა, მეორე ებლაუჭებოდა. უცებ შეძახილი მოესმათ. ჟანდარმების დიდი რაზმი იყო. რუშჩუკმა დააპირა ცხენების შეჩერება, მაგრამ სხვებმა გასწი, გასწიო — შიდახეს. მანაც მათრაბი გადაუჭირა ცხენებს. ჟანდარმებმა სროლა აუტეხეს. რუშჩუკი გუმანით მიხვდა, რომ ზურგს უკან რალაც მოხდა, თითქოს სიჩუმე და სიცარიელე ჩამოწვა; მაინც მიერეკებოდა ცხენებს. ფერდობის ბოლოს შეაჩერა ცხენები და მორებზე გადახობდა. ტყვია მის ძმას მოხვედროდა.

<sup>1</sup> 1920 წელს წითელმა არმიამ ინტერვენტებს კონტრდარტყმა აგემა, გაძევა ისინი უკრაინიდან და ბელორუსიიდან და გარშავისაკენ გაემართა (მთარგმნელის შენიშვნა).

უფროსს უნდოდა რაიმე საშინელი, დაწყველილი მოემოქმედა სიკვდილის წინააღმდეგ. სიმწრისაგან სხვა რომ ვერაფერი მოახერხა, ბიჭის სხეული, რომელიც უკვე ხევდებოდა, გაასწორა და მორებზე გადააწვინა.

რუმზუკების დედა თავის მწუხარებას ალბათ ამაზე ღირსეულად ვერც გადაიტანდა, თუნდაც წინასწარ სცოდნოდა, რომ ეს ტყვია შემდეგ დატრიალებული ქარიშხლის პირველი მაცნე იყო. არც უფლება ჰქონდა დატრიალებული ქარი და ხელები ემტვრია—ხელებიცა და თვალებიც საქონელს მტკიცედ აკმაყვნიან ბავშვებზე ზრუნვისათვის სჭირდებოდა. ახალგაზრდა მიცვალებულის ღია საფლავთან მღვდელმა რამდენიმე გაცვეთილი სიტყვა წარმოთქვა. დედა თავისი გამწრალი თვალებით ჭიქურ შესცქეროდა მას. მღვდელი ნოუწოდებდა გლეხებს, შინ დარჩით, აქეთ-იქეთ ნუ დაეხეტებით და მით უმეტეს ასეთ ბიჭ-ბუჭებს თან ნუ დაათრევთო. ქალს გულის სიღრმიდან, საიდანაც მიცვალებულის დახახვებზე ჩვეულებრივ ტირილი ამოსკდება ხოლმე, მშრალი, ავი ღრენა აღმოხდა. გლეხები აჩოჩოლდნენ, მღვდელმა სწრაფად დაამთავრა სიტყვა. დასაფლავების შემდეგ სოფლელები არ დაშლილან. სხვა სოფლებში საქონელი ჩამოურთმევიათ, ქალები აწრიალებულან, კაცები კი დაბნეულან და ხელშეკრულება გაუფორმებიათო. გლეხებისათვის საქონლის ნაწილი დაუტოვებიათ და გადასახადის ვადაც გაუგრძელებიათო. გრუმოვოში ვერ ნახავდით ასეთ მერყევ გლეხებს. მათი გადაწყვეტილება მტკიცეზე მტკიცე იყო. ახალმა პატაროებმაც კი ვერ შესძლეს ქმრების გადაბირება, არც ტირილმა გასჭრა და არც ხვეწნამ. ახლა გლეხები ტყეში იარაღასხმულნი მიდიოდნენ. ერთხელ ღამით ხმა დაირხა. გრუმოვოსაკენ ჯარისკაცები მოემართებიანო. გლეხებმა ხე-ტყე და საქონელი მოფარებულ ადგილებში გადამალეს, ახალგაზრდები სამალავებთან ჩასაფრდნენ. მხოლოდ ერთი, ცოტა მოსუფლეთ, თოთხნეტი წლის გასაცოდავებული ფერფეტა გოგო ჩაცუცქულიყო ფერდობზე თავის ძროხასთან. ძროხის ყავისფერი და თეთრი ლაქებით მოხატული ზურგი მისი ჩლუნგა, შეზღუდული გონებისათვის ისეთივე ნაცნობი ბეიზაყი იყო, როგორც ღრუბლები და ტყეები სხვებისთვის. ნამძინარევი თვალებით თავს წამომდგარ ჯარისკაცებს აპხედა. უცებ იგრძნო, რომ ძროხის დიდი, თბილი ზურგი გამოეცალა. ფერდობზე აღარავინ ჩანდა. გოგონა ყვირილით გაიქცა სოფლისაკენ.

საღამოს სროლა ატყდა. ორი დაჭრილი ჩამოიყვანეს სოფელში, ერთი მათგანი უფროსი რუმზუკი იყო. გლეხები ამბობდნენ, ძვირად დაუჭდათ ტყე რუმზუკებსო. ის თუმცა მძიმედ იყო დაჭრილი, მაინც მალე დადგა ფეხზე. პირველმა გასროლამ სოფელი შეაკრთო. ხალხმა ყველაფერს უწვა ხელი და ერთმანეთს მიეკრო. შემდეგ გასროლას პასუხი არ მოჰყოლია. ყველას თვალებში იმედის ნაპერწკალმა გაუელვა, ხელებმა ისევ მოძებნეს საქმე. ერთ ადგილას ჯარისკაცები გარს შემოერტყნენ საძოვარს და საქონელი შარაზე გამორეკეს. აუტანელი ტაატით მიჰყვებოდნენ უღრან ტყეში სოფლისაკენ მიმავალ გზას. აი, ნანატრი მოსახვევიც და ქვემოთ სოფელი გადაიშალა კარგად გაწყობილი სახურავებით. ტყე განათებულ ფერდობს უზარმაზარ დაკბილულ აჩრდილად გადასწოლოდა. ჩრდილს მიჰყვებოდნენ, წინ კი მზით გათარანებული გზა ელოდებოდათ. უცებ ტყიდან საფანტა დააყარეს. ყველა შედგა. სოფლის თავში ათმა თუ თორმეტმა ახალგაზრდამ ჯარისკაცების რკალი გაარღვია და სროლა შუკებამდე გაიყოლა.

გარშემო სოფლებში გლეხებს თვალი და ყური გრუშოვოსაკენ ჰქონდათ მიპყრობილი. ყოყმანისათვის თავი დაენებებინათ, ახალი საიჯარო ხელშეკრულებები გულს უკლავდათ. განსაკუთრებით ახალგაზრდებს მოსდიოდათ ჯავრი იმაზე, რომ გრუშოვოში ყოფნის ნაცვლად თავიანთ სოროებში უნდა შემძვრალიყვნენ. იქ კი მათი მამები და ძმები ტყეებისა და საძოვრების მხარდამხარ იბრძოდნენ და შინ დასისხლიანებულნი ბრუნდებოდნენ.

როგორც ყოველთვის წელიწადის ამ დროს, ზაფხული შეყოვნდა, ფეხის მოცვლას არ აპირებდა, გვეგონებოდა აქაურობის მიტოვება ეძნელებაო. პაერი ისეთი წმინდა და გამჭვირვალე იყო, რომ შორეული ახლოს გეჩვენებოდა. მაგრამ ტყეს უკვე შემოდგომის მაუწყებელი თხელი ნისლი ეფინა თავზე. ვოიჩუკმა ღამიდანვე დატოვა სოფელი, შორიდან მოუარა, რომ უეგოროდისაკენ მიმავალ გზაზე გასულიყო. ქალაქში პარტიას ანგარიში ჩააბარა.

სამ დღეს დარჩა იქ. მესამე საღამოს პარტიის რწმუნებულთან ერთად წამოვიდა. ცოლი უკვე მოუთმენლად ელოდებოდა, მისი პატარა ვაჟი კარებში იდგა და უცხოს ფართოდ გახელილი თვალებითა და დაბერილი ნესტოებით ძვრებოდა. მოსულმა მრგვალ თავზე წკიპურტი მიარტყა: უპ, კაკალი ჩამოვარდაო—უთხრა. პარტიის რწმუნებული დადლილი იყო ამ უკუნეთში, ტყულრეში, მიხვეულ-მოხვეულ გზებზე სიარულით, სადაც ყოველ ნაბიჯზე შეიძლება ჯარისკაცების საფუშაგოს გადაყროდი. მთელ სოფელში ახლად მოჭრილი ხის სურნელება ტრიალებდა. ცოტა ხნის შემდეგ ვოიჩუკის ოთახში ხალხმა მოიყარა თავი. ყველა სადღაც იყო დაჭრილი, ქალებსა და ბავშვებს შორისაც იყვნენ თავ და ხელ-ფეხ შეხვეულები. არავინ დარჩენილა, რომ სადმე თავისი საქონლის დაცვა ან ტყიდან შეშის ჩამოზიდვა არ დასჭირებოდა. სოფლებმა ხეობის მისასვლელები საკუთარი სხეულებით ჩაჰკეტეს. რწმუნებულის გონებაში ყველა ეს ნაანბობი, შეხვეული თავები, სროლა, ხის სურნელება, მკვეთრ, რისხვით აღსავსე მოწოდებებად ჩამოყალიბდა. მან ერთი პროკლამაციაც წაიკითხა, რომელიც გასულ თვეში უეგოროდში იყო დაბეჭდილი. მისმა სიტყვებმა იქ მყოფთ საფიქრალი გაუჩინა და შუბლი დაუნაოჭა. პროკლამაცია ხელიდან ხელში გადადიოდა, ლუკმა-ლუკმა ყლაპავდნენ გლეხები ზედ დაწერილ სიტყვებს. ვოიჩუკს რწმუნებული უკან უნდა წაეყვანა. თრმა ხანშიშესულმა გლეხმა, ლაკატამ და სედორიუკმა, აიხირეს, ჩვენც გავაცილებთო.

ვოიჩუკმა ისევ შორიდან მოვლა არჩია და გრუშოვოში სამხრეთიდან შევიდა. მოხუცებმა დაიყინეს, დაღამებამდე სახლში უნდა ვიყოთო. აბობდნენ პირდაპირ ცაცაბო კლდეზე და ხევში ჩავიდნენ. აქ ბალახი არ ხარობდა. შიშველი დაკორძებული ფესვები მკლავებივით გადასკვნოდნენ ერთმანეთს, აქა-იქ დაბლა დახრილ ტოტებსაც ჩაბლაუჭებოდნენ. ქვემოთ სოფელში სინათლე ისე კიაფობდა, თითქოს საკინძეს მოწყვეტილი პრილა დილი დაგორებულა და იქ ჩარჩენილაო. სრული სიწყნარე იყო. მცირეოდენი ჩქამიც კი ახალ, ნაზ ბგერებს წარმოშობდა. სადღაც ქვა ჩავორდა და ფოთლები ააშრიალა, იქით შეშინებულმა ფრინველმა შეიფრთხიალა. პაერში ჯერ კიდევ ზაფხულის სუნი ტრიალებდა, მიწიდან კი შემოდგომა მოძვრებოდა. ხეობაში რძისფერი ნისლი ჩაპოწვა. სედორიუკსა და ლაკატას გული მოეცათ, ტყემ ნისლი მოსასხამივით შემთახვია მათ და დედასავით შეიფარა. გაუჭირდათ ამდენი ხანი ხოხვა. ხეობიდან გამოვიდნენ, ნისლი კიდევ უფრო გახშირდა. ჩაბნელებული, დიდრონი

ხეები ფართო ჩრდილს ჰყენდნენ. ჩამიჩუმი აღარ ისმოდა. იცოდნენ, გზა არ  
ფრუოდათ და თავს მშვიდად გრძნობდნენ. უცებ შეძახილი მოესმათ, გლეხები  
მიწას გაეკვრნენ და დაელოდნენ. შეძახილი განმეორდა. დიდხანს იყვნენ ასე  
გატრუნულები, მერე გზა განაგრძეს. კარგა მოშორებით, ხევგადაღმა, სროლა  
გაისმა. სროლის ხმა ნისლში ჩაიძირა. მამაკაცები თუმცა კი ფრთხილდნენ,  
მაინც გულდადინჯებულნი იყვნენ. სედორიუკს მოეჩვენა, რომ ხსენებული  
რად მოხვდა მკერდზე. ლაკატამ კარგა მანძილი გაიარა, ვიდრე შეამჩნევდა, რომ  
სედორიუკი აღარ მოსდევდა. როცა შემობრუნდა, სედორიუკი მოშორებით ეგ-  
დო მიწასზე, უკვე მომკვდარიყო. ჯერ ზურგზე მოიკიდა მიცვალებული, მაგრამ  
ნაღვ მიხვდა, რომ მძიმე ტვირთით შეუმჩნევლად გასვლას ვერ მოახერხებდა,  
ადგილი დაიმახსოვრა და მარტომ განაგრძო გზა.

სოფელში გაეგონათ სროლა, ხალხი ბეჭობამდე ამოსულიყო, მისკენ მო-  
მავალთა სახეებს შორის ლაკატამ ორი ერთნაირად გაფითრებული სახე შეამ-  
ჩნია: ერთი თავისი ცოლის, მეორე კი სედორიუკის ცოლისა. მისმა ცოლმა თავ-  
ში ხელი შემოიკრა და სედორიუკის ცოლისაკენ მიბრუნდა, მაგრამ სედორიუ-  
კის ცოლმა იგი მრისხანედ ჩამოიშორა გზიდან. გლეხები გარს შემოერთყნენ  
ლაკატას, სწრაფად გაიყვნენ, ნაწილი სოფელში დაბრუნდა, რამდენიმე კაცი  
კი ლაკატას გაჰყვა. სედორიუკის ცოლი უკან დააბრუნეს, მაგრამ მან თავს  
დაუარა და წინ გაუსწრო ჯგუფს. ნისლი არ იფანტებოდა. წინიდან შეძახი-  
ლები მოისმა. გრუშოვოელები ვართო, უბასუხეს.

ამასობაში ჯარისკაცებს მიცვალებული ეპოვნათ და აქეთ-იქით ატრიალებ-  
დნენ. აქამდე ამ ჯიუტი გლეხებიდან არავინ ჩავარდნოდან ხელში. სახიდან ქუ-  
დი ააცალეს. მოხუცი გონიერი კაცის სახე დაინახეს, ერთ-ერთი იმ სახეთაგანი,  
რომლებიც თავიდანვე საბოლოოდ არიან გამოჭედილნი როგორც წუთიერი,  
ასევე მარადიული სიცოცხლისათვის და რომელთაც სიკვდილიც კი ბევრით  
ვერაფრით შეცვლის ხოლმე. ჯარისკაცები, ახალგაზრდა ბიჭები, დადუმდნენ.  
ქულაჯა გაუხსნეს, ჯიბეში ჩიბუხი, დანა და გახერეტილი მონეტა უპოვნეს. ყელ-  
ზე ფულის ქისა ეკიდა. პერანგი და ქისა სისხლში იყო მოსვრილი. ქისაში სე-  
დორიუკის მთელი ავლადიდება—12 კრონი და სუფთად დაკეცილი ქალაღი,  
პროკლამაცია ნახეს. მან კითხვა არ იცოდა, მაგრამ სიტყვები ზეპირად დაემა-  
ხსოვრებინა და ქალაღს თვალისჩინივით უფრთხილდებოდა. ჯარისკაცებმა  
ქალაღი გაშალეს, ხელიდან ხელში გადასცეს. მერე მიცვალებული წამოასვე-  
ნეს და გლეხებს წააწყდნენ. „მოგვეციტ სედორიუკი“, — თქვა ლაკატამ. ჯარის-  
კაცებმა იკითხეს: „ნათესაეები ხართ?“ ქალი სათითაოდ დააცქერდა ჯარის-  
კაცებს და თქვა: „ცოლი ვარ“. ჯარისკაცები მისი ვაყებივით ახალგაზრდები  
იყვნენ. გლეხებს მიცვალებული ჩააბარეს. ცოლს საფულე და ჩიბუხი გაუწო-  
დეს. ქალს მხრები და ტუჩები უთრთოდა, მაგრამ ხელებმა დინჯად გამოკრეს  
ნიეთები თავსაფარში, მაგარი, წესიერი ნასკვები გააკეთეს. მიცვალებული წა-  
მოსვენეს. ცოლი ოდნავ მოშორებით მისდევდათ, მუხლი ეკვეთებოდა, მაგრამ  
ფუთა მტკიცედ ჩაებლუჯა. სედორიუკი მეორე დღესვე დამარხეს. მღვდელი არ  
დასწრებია დაკრძალვას, მაგრამ ვოიჩუკმა ისეთი სიტყვა წარმოთქვა, რომ ცოლ-  
მა თვალები მაგრად დახუჭა და ცრემლებს გზა გადაუჰკეტა.

იმავე ღამეს მთებში ჯარისკაცების ახალი რაზმი ამოვიდა. ნაბრძანები ჰქონ-  
დათ, სოფელს გარს შემოორტყმოდნენ. ყველაფერი სწრაფად და უხმაუროდ

გააკეთეს. გრუშოვოში საალყო მდგომარეობა გამოცხადდა. ბექობზე ექვსი თურვა ყმაწვილი დაიჭირეს, უიარალოდ იყვნენ, მაგრამ წინააღმდეგობის გაწევა მაინც სცადეს. ჯარისკაცებმა სულ თავში ურტყეს ბიჭებს და წინ გაიგდეს. სალამოსვე უსტში ჩაიყვანეს. მათი ჩაყვანა საიდუმლოდ დაგეგმილი იყო და წინებლად მოხდა. სადგურზე მხოლოდ ვიღაც ბიჭი იჯდა და ზანტად იღუპებოდა. ცალი თვალით გაჰხედა ალისფერ ქურთუკებს. რომელიღაც გამოღებულნი ფანჯრიდან ახალგაზრდა ქალმა იკითხა, რა ხალხიათ. გრუშოვოელებიო—უპასუხეს.

საპატიმროსთან უკვე ხალხი ირეოდა. პოლიცია ამოდ ცდილობდა მათ შერეკვას მეზობელ ქუჩებში. ხალხის დანახვაზე ბიჭები წელში გასწორდნენ, თითქოს ხუმრობით არიან გათოკილებიო. ერთ მათგანს, სედორიუკის ძმას, ბრბო აღტაცებისა და დანანების შეძახილებით ეალერსებოდა. იგი სიმაღლეში თითქოს სხვებს გატოლებოდა, მაგრამ ჯერ კიდევ პირტიტველა ჭაბუკი იყო. ბიჭები ღიმილით იხედებოდნენ აქეთ-იქით, მარტოდ აღარ გრძნობდნენ თავს.

უეგოროდში ჩასვლისთანავე პარტიის რწმუნებულმა ანგარიში წარუდგინა კომიტეტს: პროკლამაციები დარიგდა, უსტში, უეგოროდში, აქნა სლატინაში კრებები გაიმართა. კიდევ ერთხელ გააპო შეაწეულმა მუშტებმა ჩამოხუთული ჰაერი, კიდევ ერთხელ აიტაცა იმედმა ადამიანები უბადრუკ, უსუფთაო ქონებას ზემოთ. გასული წლების წითელმა ნიაღვარმა კარპატებს გადაუარა, უკან დაბრუნდა და შეჩერდა. არაფერი დატოვა გრუშოვოს ტყის გარდა, ის კი აუცილებლად უნდა დარჩენილიყო, ვიდრე ნიაღვარი კვლავ მოვარდებოდა. მაღაროს მუშებმა პირი შეკრეს და მთებისაკენ გასწიეს.

გრუშოვოდან გასასვლელი გზები ჯარისკაცებს ეკავათ. სოფლის მცხოვრებთ აკრძალული ჰქონდათ მეზობელთან გადასვლა და გზაზე გაჩერება. ვოიჩუკის სახლთან გუშაგები იდგნენ, თვითონ ვოიჩუკი კი დაეპატიმრებინათ და ახლა ქალაქში გადაყვანას უპირებდნენ. ნისლი მთებიდან სოფელში ჩამოწვა. ქუჩა ისეთი რბილი იყო, როგორც ახლად მოდულქებული ფაფა, ზედ მარტი გუშაგების ფეხის ნაკველვეი აჩნდა. ფანჯრის წინ ტყე როგორღაც უცხო და შეთხელებული ჩანდა, თითქოს მიღრინავსო. ძროხების ზმუილიც სადღაც შორიდან მოისმოდა. სინათლეები აციმციმდა. ვიდრე ეს მოხდებოდა, გლეხებს ყველა საჭირო მოძრაობა დამთავრებული ჰქონდათ, საჭირო სიტყვები კი წარმოთქმული. ტყეში განგაში ატყდა. ქუჩის თავში რომელიღაც ჯარისკაცმა დაიძახა, ბოლოდან გამოეხმაურნენ. გლეხები სმენად იქცნენ. ვოიჩუკი წამოხტა, კარი გამოაღო, ჯარისკაცებს თვალი რომ ვერ მოჰკრა, ქუჩაში გავარდა და რამდენიმე ფანჯარაზე დააკაკუნა. მერე ტყისკენ გაიქცა, სოფლიდან გასასვლელი გზა თავისუფალი აღმოჩნდა. გლეხები უკან დაედევნენ, ყველა ერთად აცვივდა ბექობზე. აქ სიმშვიდე იყო, სადღაც შორს ისროდნენ. ირგვლივ მიმოიხედეს, მაგრამ არაფერი ჩანდა, გარდა სოფლის სინათლეებისა, რომლებიც ღიად დარჩენილი კარების გამო ერთიორად მომრავლებულიყო. გზა განაგრძეს. მათ სმენას რაღაც გაურკვეველი გუგუნნი მისწვდა, ზემოთ ვიღაცამ დაიძახა, აქნა სლატინელი მუშები მოდიანო.

ამ დროს პრაღაში ყოველი კუთხიდან მოდიოდა ამაღელვებელი ცნობები გრუშოვოელთადმი სოლიდარობის ნიშნად გამართული გაფიცვების და მიტინ-

გების შესახებ. პრადის მთავრობას<sup>1</sup> ხელს არ აძლევდა, რომ სადაც კარპა-  
ტებში ერთი გოჯი ტყის გულისთვის მთელ ქვეყანაში გამოსვლები დაწყებულ-  
ყო და გრუშოვოდან ჯარი გაიყვანა.

დაახლოებით ორი კვირის შემდეგ მთავრობის წარმომადგენელი ვოიჩუკის  
ბინაში ახალი ხელშეკრულების გასაფორმებლად შევიდა. ვოიჩუკი დინჯარი კუ-  
თაულობდა ტექსტს. ყოველი სიტყვის შემდეგ თვალს ხუჭავდა და ენას ამო-  
რავებდა, თითქოს სიტყვებს ჭაშნიკს უშინჯავს და ცდილობს არაფერი გასწავ-  
ლოსო. ხელშეკრულებაში ეწერა, ტყე გრუშოვოელ გლეხებს სამუცხარო სასაფლაო-  
ლობაში გადაეცესო. ითვალისწინებს რა შექმნილ მდგომარეობას, მთავრობა  
ნათ დარჩენილი, ძველი გადასახადისაგანაც თავისუფლებსო. ვოიჩუკმა მაგრად  
მოკუმული ტუჩებით მოაწერა თავისი გვარი საბუთს და ქალაქი მთავრობის  
წარმომადგენელს დაუბრუნა. ვოიჩუკის პატარა ვაჟი ნიკაპით მაგიდას დაყრდნო-  
ბოდა, თვალები გაფართოებოდა, ცხვირის ნესტოები დაბერვოდა. არაფერი  
გაეგებოდა, გარდა იმისა, რომ მაგიდაზე ორი სელი იდო, ერთი უართო და ახ-  
ლობელი, მეორე კი უცხო და გამხდარი.

ეს ამბავი დიდი ხნის წინათ მოვისმინე იმერკარპატის უკრაინის პარტიის  
რაიონული კომიტეტის მდივნისაგან.

ისიც მიაშბო, რომ ვოიჩუკმა ერთ დღეს ოცი კრონი სთხოვა სესხად, რუ-  
სეთში გამგზავრება მიხდაო. მდივანს უთქვამს, კიდევ რომ მოგცე ოცი კრონი,  
მაინც არ გეყოფა, რუსეთი დიდია, მგზავრობა კი ძვირი ჯდებაო. შენ ფული  
სომეცი და მოვახერხებო.

ვოიჩუკმა ნასესხები ფულით ცელი იყიდა. შემოდგომა დადგა თუ არა, ცე-  
ლი მხარზე გაიღო და გზას გაუდგა. მინდვრებში მთიბავად დგებოდა, ბარაქიანი  
სვრელი გაჰქონდა, უკან შიშველ, ყავისფერ მიწას სტოვებდა, წინ კი რუსეთის  
გაშლილი ველები ელოდებოდა, რუსეთისა, სადაც ბოლოს მაინც ჩააღწია.

<sup>1</sup> ავსტრო-უნგრეთის იმპერიის დაშლის შემდეგ, 1918 წელს წარმოქმნილმა ჩეხოსლოვა-  
კიის ბურჟუაზიულმა რესპუბლიკამ თავისი ბატონობა დასავლეთ უკრაინაზეც გაავრცელა  
(მთარგმნელს შენიშვნა).



ჯორჯ მორდონ გაირდნი

ინგლისურიდან თარგმნა  
თამარ მრისთავმა

## სონეტი შილიონს

ბორკილახსნილი საზროვნების დიდო მოწილე, —  
თავისუფლებავ, შენ დილეგში ასკეცად ბრწყინავ,  
რადგან იქ მხოლოდ გაკერპებულ გულში გაქვს ბინა,  
გულში, — შენს გარდა სხვა რომ ვერვინ დაიმორჩილებს.  
როცა შენს შეილებს დაადებენ ფეხზე ბორკილებს  
და საწამებლად ბნელ ჭურღმულში ჩაპყრიან გვემით,  
მათი სამშობლო მათი ღვაწლით ფრთას გაშლის ზევით  
და ყველა გრივალს შენს სახელთან დააქორწინებს.

შენი ციხეა, შილიონო, წმინდა ტაძარი,  
სადაც ბონივარს წილხედომია ტანჯვა-ვაება,  
იმის ნაკვალევს ნუმც წარხოცავს დროთა ნაცარი,  
თავისუფლებას არ ჭირდება სხვა უკვდავება, —  
ეს ნაკვალევი, ქვას რომ დაღავს, როგორც დამწვარი,  
ტირანიიდან შეპლალადებს მაღალ ღვთაებას.



# შილიონის კაბიშაკი

## I

არა, წელთა სვლამ კი არ დამლაღა  
და შუბლი ხანმა კი არ დაღარა,  
არც უეცარმა შიშმა და ზაფრამ  
გამომირია თმაში ჭადარა,  
არც მძიმე შრომამ, არც მძიმე ჯაფამ, —  
მე საპყრობილემ დამასაპყარა.  
მწარ ბედისწერას ავუტანივარ,  
რადგან მეც ერთი იმათგანი ვარ,  
ვისაც ჰაერი აკრძალული აქვს  
და მზე ურდულით ჩარაზული აქვს.  
ტანჯვით ლოდინი სიკვდილის წამის,  
მამის რწმენა და სიმტკიცე მამის  
მემკვიდრეობად გვერგო შეილებსაც:  
მამა რწმენისთვის კოცონზე დასწვეს,  
ჩვენ მისი რწმენით მიუყვებით მასვე,  
და იმის შემდეგ კბილებს ილესავს  
ბორკილი ჩვენი ხორციით და ძვლებით;  
ვიყავით შვიდნი — მამა და ძმები,  
არ გვეშინოდა მტრის მრისხანების,  
ჩვენს ღმერთს ვიცავდით, სხვას არ დავნებდით.  
ჩქი სამი ძმა, ერთგული მამის  
ბრძოლაში მოკვდა ჭაბუკურ გზნებით,  
ჩვენ კი დილეგში ჩაგვეყარეს სამი...  
შვიდნი ვიყავით — მამა და ძმები,  
დავილიენით ცეცხლში და დარდში  
და საბოლოოდ ერთიდა დავრჩი.

## II

შილიონს ჩასდევს დილეგი დიდი  
და იმ დილეგში სვეტია შვიდი,  
შვიდი სვეტია, ტლანქი და ჯმუხი  
და იმათ ფერხით მქისე და რუხი,  
როგორც ჭაობში ჩამსრჩვალ შუქი  
ბეუტავს მზის სხივი, გზააბნეული,  
კლდის ნაპრალიდან შემოდწეული,  
ცხის კედლებით ცას მოწყვეტილი,  
პატიმარივით გამოკეტილი.  
იქ ყოველ სვეტზე რგოლია რკინის





ნახტვარი ზ. ფორხხიძე

და ყოველ რგოლზე ჭაჭვი აბია,  
 ჭაჭვის კბილები დამშეულ ჟინით  
 დაუზოგავად ხორცში ჩადიან.  
 ჭაჭვის კბილების მწარე ნაკვალევს  
 ჩემი ხელ-ფეხი მანამ ატარებს,  
 ვიდრე იმ ჭურღმულს თავდაღწეული  
 კიდევ სულდგმულობს ჩემი სხეული,  
 ვიდრე სინათლეს გადაჩვეული,  
 წლობით და წლობით მზის ვერ მნახველი  
 მტკიცე თვალები მზეში გახელით.  
 ფუჭი სიცოცხლე მკიდია ბარგად,  
 დღეთა და წელთა სათვალავს ეკარგავ  
 იმ დღიდან, ორნი რომ დავრჩით მხოლოდ,  
 და ის ერთი ძმაც მომიკვდა ბოლოს.



### III

ჭაჭვით მიგვაბეს თითო სვეტს თითო,  
 ერთად ვიყავით სამივე თითქოს  
 და მაინც მართო ვიყავით ყველა: —  
 ჩვენ არ შეგვეძლო ერთურთის შევლა,  
 ხელის გაწვდენა, ნაბიჯის გადგმა,  
 ბნელში ერთმანეთს ვხედავდით ლანდად;  
 მაგრამ ბორკილით გათიშულები  
 მაინც ვერ გაჰყვეს ჩვენი გულები: —  
 ცას და სინათლეს დანატრულები  
 ერთიმეორის ხმას სასოებით  
 ყურს ვუვლებდით და იმედს ვბოვებდით,  
 ვნუგეშობდით და თავს ვიმხნევებდით  
 გმირულ სიმღერით, გმირულ ლეგენდით.  
 მაგრამ ბოლო დროს გვიმტყუნა ხმაძაც, —  
 ჩვენს ხმას ცეცხლიანს, ლალსა და თამამს  
 გაუქრა სითბო, დაეტყო დაღლა.  
 გამოიფიტა, გამოშრა, გახმა,  
 დილეგის ეჭოდ გადაიტაცა ახლა  
 და უცბოსავით ვუსმენდი ამ ხმას.

### IV

მე, როგორც უფროსს, მიმაჩნდა ვალად  
 მეტის მოთმენა და გამძლეობა,  
 ძმებიც ჩენდნენ ჭირში მხნეობას  
 და რაც შეეძლოთ, იკრეფდნენ ძალას.  
 უმცროსი ძმისთვის, რომელიც მამას

უყვარდა ჩვენში ყველაზე ძლიერ,  
 (რადგანაც დედის სახეს და იერს  
 იმეორებდა ხატება მისი),  
 ცისფერთვალემა უმცროსი ძმისთვის  
 მტკიოდა გული ყველაზე უფრო;  
 ის ფრინველს ჰგავდა, დარჩენილს უფრო,  
 სინათლეს ჰგავდა, სანატრელ დღისას, —  
 ხან იმ სინათლეს, არწივის მართვეს  
 ცაში ფრენის დროს გზას რომ უნათებს,  
 ხან იმ სინათლეს, ხანგრძლივ, სხივნათელ  
 და მზეჩაუსვლელ პოლარულ დღისას,  
 მზისა და თოვლის წმინდა ნაშიერს,  
 რომ ინთება და ქრება ცაშივე.  
 ბუნებით ლაღი და მოლხენილი  
 გულჩვილი იყო და სულით წმინდა,  
 სხვისი დარდისთვის მას ცრემლი სწვიმდა  
 მთის ჩანჩქერავით ჩამოდენილი  
 და გულის წუხილს ვერ იამებდა,  
 ვიდრე სხვის ტკივილს არ უწამლებდა.



V

მეორეც იყო წრფელი, კეთილი,  
 მაგრამ ბრძოლისთვის გამოკვეთილი  
 ჰქონდა სხეული და ხასიათი, —  
 გაუტეხელი და უჯიათი;  
 თამაშად უჩნდა მტრის ჯართან ბრძოლა,  
 თავისი თავის მსხვერპლად მიტანა,  
 მას ვერ მოდრეკდა შიში და ძრწოლა,  
 მაგრამ ტყვეობა ვერ აიტანა, —  
 ხუნდებმა სულ მთლად დააუძლურეს,  
 რა სული შემრჩა იმის შემყურეს!..  
 ერმის და მგლების დევნას ჩვეული  
 არვის უნახავს იგი დაღლილი,  
 ახლა კი, ფეხში ბორკილგაყრილი  
 ჯურღმულში ეგდო ქანცმილეული;  
 ვერ გაუჩენდა უარეს სასჯელს,  
 უფსკრულს რომ პირი გაეხსნა ასჯერ.

VI

შილიონს ირ გელივ უვლის ლემანი, —  
 ათასი ფუტის სიღრმე აქვს ლემანს,  
 მისი ტალღების არ არის ლევა;

ამ ტბის უძირო უფსკრულში ინთქმის  
ქონგურის ლანდი და ფუძე ციხის:

შილიონს ირგვლივ უვლის ლემანი.

ქვიასა და ტალღის კედელი ახლავს

ამ ორმაგ დილეგს, — ცოცხლების საფლავს.

და ჩვენ ვეყარეთ ჯურღმულში ქვევით,

სადაც ტალღები მუდმივი რხევით

ეპეტქებოდნენ კედელს ტინიანს;

იყო შხუილი სუსხიან ტალღის,

კლდე ზანზარებდა ჩვენს თავზე მაღლით,

და მიხაროდა, სიკვდილის ლანდი

თან რომ მოსდევდა ტალღას ჟინიანს,

რადგან სიკვდილი ჩემთვის ღზინია.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

## VII

ჰო, რას ვამბობდი? ის უნდა მეთქვა, —

მოდუნდა-მეთქი სიცოცხლის ფეთქვა,

ჩემს ძმას გულმაგარს, ბრძოლის ფალავანს

გულმაც უმტყუნა, მუხლის ძალამაც,

სულს უხუთავდა საკანი ბნელი,

საჭმელსაც ზიზღით ააღო ხელი;

მას, მონადირის ულუფით გაზრდილს,

ვერვინ ეტყოდა ჭამაში აზიზს,

მაგრამ ეს კერძი, ეს პური ხმელი,

პატიმრის ცხარე ცრემლებით სველი,

ეს პური, სავსე დილეგის ობით,

რასაც ტუსადი ათასი წლობით

ჭამდა მას შემდეგ, რაც კაცი კაცმა

როგორც პირუტყვი სამწყვდევში ჩასვა

და ჩაურაზა ურდულით კარი, —

ეს პური იყო შხამივით მწარე.

ჩემს ძმას თან დაჰყვა ბუნება ლილი

და სასახლეთა მაღალი თაღიც

სულთამხუთავად ეჩვენებოდა,

თუ მთის კალთებზე თავისუფალი

ნავარდის ნება არ ექნებოდა;

ახლა ვხედავდი საკუთარ თვალთ

დილეგში სული როგორ ხდებოდა.

ვერ დავუჭირე მომაკვდავს თავი,

ვერ შევაშველე ხელი და მკლავი,

ლამის დავგლიჯე ჯაჭვები სიმწრით,

მაგრამ არ იქნა, ვერაფრით მივწვდი.

მოკვდა. შეახსნეს ბორკილის სალტე,  
და იქვე ახლოს, და მაინც ცალკე,  
მოხოვნეს მიწა ცივი და მწირი  
და გაუთხარეს საფლავი მცირე.  
მათ მოწყალება შევთხოვე იმ წამს, —  
იქნება მაღლა, მზით გამთბარ მიწას  
მიაბაროთ-თქო ცხედარი ძმისა.  
გიჟური ფიქრი ამეკვიატა: —  
ვინც გამუდმებით და დღენიადაგ  
ირმის სადევრად იყო ვაჭრილი,  
აღბათ საფლავშიც შემფოთლებოდა,  
სამარადისოდ თუ ექნებოდა  
დილეგის მიწა გულზე დაყრილი.  
მათ ვაიცინეს და სიტყვაც არ თქვეს,  
ამ მოშიშვლებულ მიწაში დაფლეს:  
და მტარვალობის ძეგლად შვენოდა  
ბორკილი, რგოლს რომ შემორჩენოდა.



VIII

და ძმა უმრწმესი, უსაყვარლესი,  
რომელსაც მოვლი გვარის ალერსი  
და სასოება სიყრმიდან სდევდა,  
ძმა — ჩემი გულის ფიქრი და სევდა,  
რომელიც დედას ივრით ჰგავდა,  
რომელიც მამას საფიცრად ჰყავდა,  
ვის გულისთვისაც ვიკრეფდი ძალას  
და ვიზოგავდი სიცოცხლის მარაგს, —  
ჭირში გაძლება რომ შესძლებოდა  
და თავისუფალ დღეს მოსწრებოდა, —  
ვხედავდი, ისიც რომ მეცლებოდა  
და ყვავილივით სწრაფად ჰქნებოდა.

ბევრჯერ მინახავს სიკვდილის რისხვა,  
თავზარდამცემი ღამის და დღისა,  
მინახავს ბევრის ერთად მომრევი —  
ქვეყნად მოსული სისხლის მორევით,  
მინახავს ზღვაზე ტალღის ჯახება  
და სიცოცხლეთა გაბარტახება,  
შიში შეკრული ხელში მუჭებად,  
ხელით ტალღაზე ჩაბლაუჭება;  
მინახავს კაცი, საშინელ ბოდვით  
რომ ინანიებს ამაზრზენ ცოდვებს  
და ძრწოლვით ელის სულის ამოსვლას;

სიკვდილის სახეს აბა რა მოსთვლის!  
მაგრამ სიკვდილი რომ შედგა თვალწინ,  
არ ჰგავდა ადრე ჩემს მიერ განცდილს,  
არ ემჩნეოდა იმის ბუნებას  
გაბოროტება და შეძრწუნება;  
ეს იყო ნელი, უსიტყვო ქრობა,  
უცრემლო სევდა, უთქმელი გრძნობა.



დასათრგუნავად ყოველგვარ დარდის  
მის ლაწვზე ერთ დროს ჰყვავდა ვარდი,  
ყველა სიკვდილის ჯიბრზე, ჯინაზე  
მისი თვალეზი შუქით ბრწყინავდნენ  
და დილეგშიაც მოჩანდნენ ლამპრად;  
მერე ეს შუქი თანდათან ჩაქრა,  
როგორც ნათელი ცისარტყელასი:  
მას აწვალებდა დარდი ყველასი,  
თავის თავზე კი არ სძრავდა კრინტსაც,  
იტყოდა რამეს ბედნიერ დღისას,  
მოიგონებდა სუყველას, ვისაც  
კეთილი გულით უყვარდა ძველად,  
უნდოდა სხვათა წუხილის შველა;  
მე,—დადუმებულს მწარედ და მძიმედ  
მანუგეშებდა, მაძლევდა იმედს;  
ბოლოს უმტყუნა მასაც ძალამ და  
უნებურ კვნესას ველარ მალავდა,  
ეს კვნესა შემრჩა მწარე იმედად,  
მაგრამ თანდათან კვნესაც მიწელდა;  
უფრი მივუგდე, აღარ ისმოდა,  
დავუძახე და გული მითხრობდა  
შთაბლოებას საზარელ წამის,  
შინაით გონება დავკარგე ლამის;  
კვლავ დავუძახე, რაღაც მომესმა  
და არ ვიცოდი რა იყო ეს ხმა,  
ჩაჭვი გავგლიჯე ერთის კვეთებით,  
ძმასთან მივიჭერ გულის ფეთებით  
და ვერ მივუსწარ მის გულის ფეთქვას...  
მე კი ვცოცხლობდი და სული შედგა.  
უკანასკნელი და ერთადერთი  
ცხოვრების აზრი და შემაერთი.  
ამ ქვეყანასთან ძაფი გამიწყდა, —  
ეს ძმაც დილეგის ბნელში დამიწდა.  
ბნელში მეჭირა იმისი ხელი,  
მოდუნებული და უგრძნობელი,

ძალა არ მქონდა თითის გაძვრისაც,  
 მაგრამ სიკვდილი არვინ მაღირსა.  
 და იმის გრძნობა, სულის ამკლები,  
 რომ ცოცხალი ხარ და რომ არ კვდები,  
 მას შემდეგ, რაც ის ველარ იცოცხლებს,  
 ვისთვისაც ღირდა ქვეყნად სიციცხლე  
 მტანჯავდა ძლიერ  
 და როგორ ვძლიერ  
 სასურველ სიკვდილს, მიკვირს ძალიან: —  
 ან მომისაჯა სიციცხლე რწმენამ,  
 ან სიკვდილს ჩემთვის აღარ სცალია.



IX

მერე რა მოხდა არც ვიცი, რა ვთქვა,  
 გამიქრა ხსოვნა აზლის და ძველის,  
 ჭერ დამეკარგა სინათლის აღქმა,  
 მერე დავკარგე შეგრძნება ბნელის...  
 გამიქრა ფიქრი, გრძნობაც ქრებოდა,  
 ცივ ქვად ვიქეცი ამ ქვათა შორის,  
 რაც რამ ხდებოდა, გულს არ მხვდებოდა,  
 როგორც ქვას და კლდეს ნისლი და თქორი.  
 არ არსებობდა თბილი ელფერი  
 და არც გარჩევა დღისა და ღამის,  
 იყო სიცივე — რუხი, ერთფერი,  
 ფერი უყმური ნაცრის და ჟამის,  
 სიცარიელე მშთანთქმელი სივრცის  
 და უძრაობა, არც ვიცი რისი.  
 არ იყო არც დრო და არც ადგილი,  
 არც ცა, არც მიწა, არც რამ მანძილი,  
 არც რამ გარკვევით გამოკვეთილი,  
 არც რამ ბოროტი, არც რამ კეთილი.  
 იყო სიციცხლის ნიშანი მღორე,  
 სიკვდილისაგან ძნელად საცნობი,  
 სიჩუმე ჰგავდა უძირო მორევს,  
 უენოს, ბრმას და სმენადიშობილს.


X

უცებ ინათა უცნაურ ნათლით, —  
 გაისმა ჩიტის ტკბილი სიმღერა,  
 ამ ხმის აღერპით უცერად გაფობი,  
 გულში სიციცხლემ დაიწყო ძვერა.  
 თვალით დავუწყე ძებნა მწყალობელს,



ჩემთვის უტკბესი ჰანგის მგალობელს  
 და წუთით ისიც აღარ მახსოვდა,  
 რა ვარამი და ბოღმა მახრჩობდა.  
 მერე თანდათან მოვედი ცნობას,  
 კვლავ დამიბრუნდა ჩვეული გრძნობა  
 და დავინახე კლდეში მოჭრილი  
 ციხის სვეტები ირგვლივ მოჭრილი,  
 ტიხის კედელი, კედელში ღარი,  
 შიგ შემოსული სინათლის ღვარი  
 და განათებულ ნაპრალში მჯდარი  
 როგორც ხის ტოტზე, — ნაზი და მშვიდი  
 ცისფერფრთიანი პატარა ჩიტი.  
 არც რა მინახავს ამ ჩიტის მსგავსი  
 და ვერც ვერასდროს ვიხილავ, ალბათ,  
 მისი სიმღერა ტკბილი და ნაზი  
 თითქოს ყვებოდა ათასგვარ ამბავს,  
 და რომ ვუსმენდი, ასე მჯეროდა,  
 ამას ყველაფერს ჩემთვის მღეროდა.  
 და მომეჩვენა, თითქოს ჩემსავით  
 არ ჰყავდა სწორი და ნათესავი,  
 მაგრამ თავს მაინც არ გრძნობდა ობლად;  
 როცა ამ ქვეყნად არავინ შემრჩა,  
 სანუგეშებლად მოვიდა ჩემთან  
 და დამიბრუნა სიცოცხლის გრძნობა.  
 თვითონ კი იქნებ სიკვდილი სდევდა,  
 იქნება ნახა ტყვეობის სევდა,  
 იქნებ გატეხა რკინის გალია  
 და უხარია, რომ ცოცხალია;  
 მაშინ ამ დილეგს ნუღარ ენდობა...  
 ან იქნებ... ცაო, ვითხოვ შენდობას  
 ამ ფიქრისათვის, — იქნებ მოსული  
 იყოს სამოთხით კეთილი სული  
 უმრწმესი ძმისა; იმედსაც ვბედავ,  
 იქნებ ის იყოს, ვინ იცის... ნეტავ!  
 მაგრამ თ, არა, გაფრინდა ბოლოს,  
 მაშ, ის მოკვდავი ყოფილა მხოლოდ,  
 თორემ ჩემი ძმის უკვდავი სული  
 ჩემად ნუგეშად ციდან მოსული  
 არ დამტოვებდა მეორედ ასე,  
 არ დამტოვებდა, არა, არასგზით,  
 მარტოს, ვით ცხედარს ცივ სუდარაში,  
 მარტოს, ვით ღრუბელს მოწმენდილ ცაზე. —  
 არაფრის მაქნისს, არავის მარგებს,  
 ლაქად რომ ადევს ლაყვარლის სარკეს





და საით გაქრეს რომ აღარ იცის,  
რომ არც ცის არის და აღარც მიწის.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

XI

შეცვლა დავატყვე ბედის განაჩენს,  
გული მოუღბათ ციხის დარაჯებს,  
ისევ ბორკილი აღარ დამადეს  
და რკინის რგოლზე აღარ დამაბეს.  
ვერ მივხვედრილვარ, — იმათ კლდე გულებს,  
სხვათა წამებას შეგუებულებს  
ან მოწყალება რისთვის ენებათ,  
ან რამ შთაბერათ ღმობიერება —  
თავისუფლება რომ მომანიჭეს  
და რომ ბორკილი აღარ დამიჭერს,  
როცა დილეგში აღმა და დაღმა  
დაუბრკოლებლივ დავდივარ ახლა...  
წავალ და ისევ იქ დავბრუნდები,  
სადაც ჰკიდია სვეტზე ხუნდები,  
ისევ მოვივლი ამ გზას, ამ არეს,  
ვნახავ ორი ძმის შიშველ სამარეს.  
ექ ყოველ ნაბიჯს სიფრთხილით ვადგამ  
და გული ყელში ამომძდის, რადგან  
იმისი შიში დღედაღამ მახლავს,  
ვაითუ ფეხი დავადგა საფლავს.

XII

დღეები მიდის და მერე კლდეზე  
ფეხის დასადგმელს ვაკეთებ მაღლა,  
ხომ არ - გგონიათ გასაქცევს ვეძებ, —  
რა დამრჩენია ამ ციხის გაღმა...  
ვისაც ვუყვარდი, დავმარხე ყველა  
და ქვეყანაზე შემოვრჩი მარტო,  
ქვეყანაც ჩემთვის ციხეა ბნელი,  
ოღონდ ამაზე დიდი და ფართო.  
არა მყავს შვილი, არც ნათესავი,  
თანამგრძნობელი და საესავი;  
მწარე სიხარულს მანიჭებს ფიქრი,  
რომ გზა აღარ მაქვს ამ ციხის იქით.  
მაგრამ მომიხდა თვალის შევლება,  
ცა მთების წვერებს თავს რომ ევლება

და მივწვდი სარკმელს, რკინით ალობილს,  
რომ დამენახა მთათა მალლობი.

### XIII

ისევ მეჩვენა უცვლელ მშვენებით  
მარადთოვლიან მთების წვერები  
თეთრი ნახლებით შემობოლილი  
და მთების ფერხით, — ტბა გაწოლილი;  
ისევ ებრძოდა რონა კალაპოტს  
და ლურჯი ტალღა, კლდეს რომ გააბობს  
დაქანებული გზებით, შვეულით,  
ყალყზე დგებოდა ქათმორეული.  
წყალვარდნილები, კლდეთა ქარაფი,  
თეთრი გალავნით შორი ქალაქი,  
ტბაზე ნავი და აფრები თეთრი,  
მთიდან მოსული ნიაფი ცელქი  
და შორიახლოს კუნძული ერთი:  
მწვანე კუნძული, სულ ცეროდენა,  
ჩემი საკანის მიწის ოდენა  
ტბიდან ღიმილით მიცქერდა თითქოს  
და მიგზავნიდა სიცოცხლის სითბოს.  
კუნძულზე იდგა სამი ხის ჩრდილი,  
კუნძულზე ქროდა ნიაფი გრილი;  
ირგელივ ტალღები ოდნავ დელავდნენ  
და ყვავილები ფერად-ფერადი  
ნარნარი რხევით ბაძავდნენ იმ წყალს —  
მიწას აფრქვევდნენ ფერების ცინცხალს.  
ციხის კედელთან ცურავდა ჯარად  
გალადებული თევზების ფარი,  
არწივმა გაჰკრა ზეცის კაბადონს  
და არ მინახავს არსად, არასდროს  
არწივის ფრენა ასეთი მალი;  
უეცრად ცრემლით ამევსო თვალი  
და ჩემს საკანში როცა დაებრუნდი,  
ვინატრე, ნეტავ ჯაჭვი და ხუნდი  
ფეხზე მქონოდა, არსად გავეშვი;  
აქ ამ ჯურღმულში, აქ ამ ღამეში  
სიბნელე გულზე დამაწვა მძიმედ  
და ისე ჩანდა ეს შავი მღვიმე,  
როგორც საფლავი ახლად გაჭრილი,  
რომელმაც შთანთქა მისი აჩრდილი,  
ვისი გამოხსნაც მეწადა გულით;  
და თუმცა მწარედ მტკიოდა წყლული,



თითქოს უწამლა რაღაც ძალამო,  
სინათლე თვალებს მოხვდა მალამოდ.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

XIV

გავიდა თვე თუ გავიდა წლები...  
ველარას ეარჩევ, ველარას ვხვდები;  
თვალეებზე ლიბრი გამეკრა მქისედ  
და არ მეგონა სინათლეს მზისას  
თუ ვიხილავდი ამ ქვეყნად ისევ.  
მოვიდნენ ბოლოს, აღებენ კარებს,  
მე არ ვკითხულობ, რისთვის და რატომ,  
ჩემთვის ერთია შიგნით თუ გარეთ,  
ჩემთვის ერთია სხვებთან თუ მარტო.  
იმედის მომცემს ვერავის ვნახავ,  
თუნდაც ხმელეთის კიდე მოვრკინო,  
ჩემთვის ერთია, ვიქნები ახლა  
ბორკილიანად თუ უბორკილოდ.  
მე შემიყვარდა სასოწარკვეთით  
ციხის კედლები, კლდეში ნაკვეთი  
და გულმა ისე დამიწყო ძგერა,  
თითქოს მართმევდნენ სახლსა და კერას.  
მე შევეჩვიე ობობას თვალთვალს,  
მისი ბლანდებით დაქსელილ კუნჭულს,  
კლდის ნაპრალიდან შემოსულ ნათელს  
და მთვარის შუქზე თაგვების ცუნცულს.  
მე შევეჩვიე ბორკილის ჟანგსაც, —  
ასე ყოფილა კაცის ბუნება!  
და ოხვრით შევხვდი ციხიდან გასვლას,  
თავისუფალი დღის დაბრუნებას.

## დაჭრილი სოკრატე

ბეზიაქალის შვილი სოკრატე ბერძენთა შორის მარტო თავისი სიბრძნით არა და, სიმამაცითაც იყო განთქმული. შეეძლო მოსწრებული ოხუნჯობით ისე წარემართა დიალოგი, რომ მის მეგობრებს უნებლიეთ ნამდვილი მემკვიდრეობა — საკუთარი აზრები გასჩენოდათ. სხვა მასწავლებელთა დარად მოწაფეებს გერბივით არ ახვევდა თავს თავის შესხედულებებს.

დღეს მის დიდებას სამართლიანად მიუიჩნევთ, როცა პლატონის წიგნში ვკითხულობთ, რა უღრტვინველად და განუსჯელად შესვა საწამლავით სავსე ფიალა, რომლითაც ბოლოს თანამემამულეთათვის გაწეული ყველა სამსახურის წილ ხელისუფლებმა დააჯილდოვეს. ზოგიერთი თაყვანისმცემელი მას ბრძოლის ველზე გაწეული გმირობისთვისაც განადიდებდა. ცნობილია, რომ სოკრატე დელიონთან ბრძოლის დროს ქვეითი რაზმის რიგებში იბრძოდა, რადგან არც მეწადის ხელობითა და არც ფილოსოფოსის შემოხაველით არ შეეძლო ჯარის საუკეთესო ნაწილში ჩარიცხულიყო.

ბრძოლის წინ სოკრატე მთელი დღია სისხლის საღვრელად ემზადებოდა და გამალებით ღეჭდა ხახვს, რაც, ჯარისკაცების თქმით, მეომარს სიმამაცეს ჰმატებდა. ბევრი რამის მიმართ სკეპტიკურად განწყობილი ზოგჯერ ფცნაურ გულუბრყვილობასაც იჩენდა: სოკრატე პრაქტიკული ცდის მომხრე და გონებით ჭვრეტის წინააღმდეგი იყო, ამიტომ არ სჯეროდა ღმერთების, მაგრამ ხახვისა კი სწამდა.

სამწუხაროდ, წამალმა ჯეროვანი, ცოკელ შემთხვევაში, სწრაფი გავლენა ვერ მოახდინა სოკრატეზე და ისიც დაღვრემილი, მძიმედ მიაბიჯებდა ჯარისკაცთა შორის, რომლებიც ნამკალში უნდა ჩასაფრებულიყვნენ. მის წინ და

უკან ბორძიკით მიდიოდნენ ათენის გარეუბნელი ჭაბუკები და დასცინოდნენ კიდევ ბერიკაცს: ათენის საჯაბადროთა ფარები შენისთანა მსუქანი მამაკაცებისათვის შეუფერებელიაო. რაღაც ამდაგვარი აზრები სოკრატესაც უტრიალებდა თავში: ჩემისთანა დარბაისელ კაცს ეს ბრიყვულად ნაკეთებ ფარი სანახევროდაც ვერ დაფარავსო.

მეომრები აყაყანდნენ: მესაჭურვლენი ასე პაწია ფერადი კვიციანი გვიკეთებენ, რომ ჯიბე გაისქელონო.

— დაწექით! — გაისმა ბრძანება.

ჯარისკაცები პირდაპირ ნამკალზე ეცემოდნენ. სოკრატემ ფარზე დაჯდომა სცადა, მაგრამ მაშინვე შენიშვნა მიიღო. წინამძღოლის დატუქსვას იმდენად არ შეუშფოთებია, რამდენადაც იმას, რომ ბრძანება ხმადაბლა იყო ნათქვამი. როგორც ჩანს, მტერი სადღაც ახლოს უნდა ყოფილიყო.

აბეზარე დილის რძისფერ ნისლში გახვეულიყო. მხოლოდ ცხენთა თქარუნი და იარაღის ქლარუნი მაგახვედრებდათ, რომ დაბლობზე ჯარი იდგა.

სოკრატეს გაახსენდა წუხანდელი საუბარი ახალგაზრდა არისტოკრატთან, რომელსაც წინათ ფარულად შეხვედროდა. ახლა ეს ყვეფი მეთაურობდა ცხენოსანთა ჯარს.

— შესანიშნავი გეგმაა! — უბნადა იმ სოკრატეს, — ქვეითი ჯარი რაზმებად ეწყობა და როგორც ქვეით ჯარს შეშვენის, მოწინააღმდეგის დარტყმას გახვეულად ხვდება. ამასობაში კი ცხენოსანთა ჯარი დაბლობს შემოუვლის და მტერს ზურგიდან ესხმის თავს.

დაბლობი, როგორც ჩანს, სადღაც შორს, მარჯვნივ უნდა იყოს, ნისლში გახვეული. იქ ახლა უთუოდ ცხენოსანთა ჯარი საბრძოლველად ემზადება.

მაშინ სოკრატეს მოეჩვენა, რომ გეგმა მართლაც რიგიანად იყო შედგენილი. თუმცა გეგმის დაწყობა განსაკუთრებით მაშინაა ადვილი, როცა მოწინააღმდეგე შენზე ძლიერია. ბოლოს მაინც ყველაფერი ბრძოლით მთავრდება, უფრო სწორად, ხოცვა-ჟლეტით. და უტევ არა იქ, სადაც წინააღმდეგე გქონდა განზრახული, არამედ იქ, სადაც მტერი უკან იხევს.

ახლა, ამ უფერულ, ნისლიან დილას სოკრატეს გუშინდელი გეგმა სრულ უაზრობად, აბდა-უბდად მოეჩვენა. ქვეითი ჯარი მოწინააღმდეგის დარტყმას ხვდებაო? ნეტა, რას უნდა ნიშნავდეს? საერთოდ, ყოველი ადამიანი ცდილობს, აიცდინოს დატყმა, თუკი შეუძლია; აქ კი მთელი სიბრძნე იმაში მდგომარეობს, რომ მტრის ხმაღს განზრახ შეუშვარო მკერდი. არაფერია იმაზე ცუდი, როცა ჯარს ცხენოსნები სარდლობენ.

ასე ხომ ძალე ბაზარში მთლად გაქრა ხახვი, იმდენია შექმა მოუხდებათ უბრალო მოკვდავებს.

განა შეიძლება, რომ ადრე დილით, საწოლში ხებიკრობის ნაცვლად, შუამინდლში, შიშველ მიწაზე იჯდე ხმლით ხელში და მხრებზე, სულ ცოტა, ათი გირვანქა რკინა გეწყოს?! ცხადია, თუ თავს დაესხმიან, შენი ქალაქი უნდა დაიცვა, თორემ უსიამოვნებას ვერ აიცდენ; მაგრამ საკითხავია, რატომ დაესხნენ თავს? თურმე ნუ იტყვი და, მცირე აზრის გემთმფლობელები, მევენახეები და მონათვაჭარნი წაეკიდნენ სპარს გემთმფლობელებს, მევენახეებს და მონათვაჭრებს. მიზეზიც ამას ჰქვია!

უეცრად ყველა გაიანაბა. მარცხნიდან ყრუ გუგუნისა და იარაღის ქლარუ-

ნის ხმა მოისმა, ხმა თანდათან ახლოვდებოდა და ძალას იკრებდა. სპარსები შეტევაზე გადმოდიოდნენ.

რახში ერთბაშად წამოიჭრა ფეხზე; თვალეზაჭყეტილნი ნისლს მიაჩერდნენ. სოკრატეს გვერდით ვიღაც დაეცა მუხლებზე და ღმერთს შეპოვდა. „გვიან ხომ არა არისო“, გაიფიქრა სოკრატემ.

თითქოს ამის სავსუხოდ მარჯვნივ შემზარავი ყვირილი უფროსი უფროსი მალე კვნესამ შესცვალა. მომაკვდავი კაცი შევლას ითხოვდა მსურსტემანისლში რაღაც მოელვარე საგანს მოჰკრა თვალი. შუბით, გაიფიქრა და თავხარი დაეცა.

ბურუსში შემართა სილუეტები თანდათან მქრქალად გამოისახნენ. მტერი!

სოკრატემ გაიფიქრა, აქ დგომით ისედაც ბევრი დრო დაკარგეო და ამ აზრით თავხარდაცემული ფიცხლად შეტრიალდა და გაიქცა: აბჯარი და ფეხის თორნები საძრაობას არ აძლევდნენ და ფარზე უფრო დიდ საფრთხეს უქაღდნენ, რადგან მათი მოცილება არც ისე ადვილი იყო.

სუნთქვაშეკრული გარბოდა ფილოსოფოსი ნამკალზე, ახლა საქმე ის იყო, ვინ უფრო შორს გაიქცეოდა. იქნება იქ, მის ზურგს უკან, მამაცმა ტაბუკებმა მიიღონ დარტყმა და მტერი დროებით შეაჩერონ.

მოულოდნელად ჯოჯოხეთურმა ტკივილმა დაუარა მთელ ტანში. მარცხენა ფეხი ეწვოდა, ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ამ ტკივილს ბოლო არ მოელებოდა. კვნესით ჩაიკეცა, მაგრამ მაშინვე ყვირილით წამოხტა. შესლილი თვალებით მიმოიხედა და ყველაფერს მიხვდა. ეკლიან ბარდებში შესულიყო.

საითაც არ ჰქნა პირი, სულ ეკლიანი ბუნჩები დახვდა, ერთი ასეთი უკალი ფეხში შერჭობოდა. ცრემლით დაბინდული თვალეზით დასაჯდომი ადვილი მონახა. ცალ ფეხზე ხტუნვით დატრიალდა და ფრთხილად დაეშვა მიწაზე. ეკალი, რაც შეიძლება, სწრაფად უნდა ამოეღო ფეხიდან.

სმენა დაძაბა. ბრძოლის ხმას მიაყურა. ორივე მხრიდან მეზრძოლთა ყიჟინა მოისმოდა. შუაგულ ბრძოლიდან, სულ ცოტა, ას ნაბიჯზე მაინც იქნებოდა მოცილებული, მაგრამ ხმაურის ნელა და დატინებით უახლოვდებოდა. სანდალი ვერადრით ვერ გაიხადა. ეკალს თხელი ტყავი გაერღვია და ღრმად შესულიყო ქუსლში. განა შეიძლება ასეთი თხელი ფეხსაცმელი ჩააცვა ჯარისკაცს, ვინც სამშობლოს იცავს? ოდნავი შეხებაც კი აუტანელ ტკივილს გვრიდა. საბრალო ფილოსოფოსმა უღონოდ ჩამოჰყარა მხრები.

როგორ მოიქცეს, რა გააკეთოს?

დაბინდული მხერა გვერდით მიგდებულ ხმალზე შეაჩერა და თავში ბედნიერმა აზრმა გაუელვა. ეს აზრი ახლა უფრო სასურველი იყო მიათვის, ვიდრე კამათში დაბადებული ჭეშმარიტება. ხმალსაც შეუძლია გასწიოს დანის მაგიფრობათ, გაიფიქრა და დასწვდა კიდევ ხმლის ტარს.

იმავე წუთს ფრთხილი ნაბიჯების ხმა მოესმა. პატარა რახში გზას მოიკვლევდა ბურჩებში. „მადლობა ღმერთებს, ჩვენები არიან“, - გაიფიქრა სოკრატემ. ჯარისკაცები თავს წაადგნენ, ერთმა მათგანმა თქვა, მეწაღეო და ისევ განავრძეს გზა.

მაგრამ აი, ახლა მარცხნიდან მოისმა ხმაური. ვიღაც გაჰყვიროდა უცხო ენაზე, სპარსები არიანო, გაიფიქრა ფილოსოფოსმა.



წამოდგომა დააპირა, უფრო სწორად, მარჯვენა ფეხზე დადგომა, და ხმაულს დაეყრდნო, მაგრამ ხმალი მოკლე იყო და ჯოხის მაგივრობა ვერ გაუწია. ბუჩქებს შორის უკვე ხედავდა მეზობლებს, ესმოდა კვნესა, ბლაღვი რკინის რკინაზე ცემისა და ხორცის სხების ხმა.

სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა სოკრატემ გაქცევა სცადა, მაგრამ დაადგა თუ არა მიწას დაჭრილი ფეხი, კვნესით ჩაიკეცა მტრის რაზმი, ასე თცი-ოცდაათი კაცი, უკვე რამდენიმე წამიჯსე იყო მისგან, ფილოსოფოსმა იჯდა ორ ბუჩქს შუა და მოახლოებულ მტერს უმწეოდ შესცქეროდა.

განძრევის თავი აღარ ჰქონდა. ტკივილი თანდათან აუტანელი ხდებოდა. არ იცოდა, რა ედონა და თავისდაუნებურად ყვირილს მოჰყვა, ესმოდა, როგორ ამოუდიოდა ფართო მკერდიდან საყვირივით ხმა:

— აქეთ, მესამე რაზმის! ჰკა მაგათ, ბიჭებო!

თითქოს თვითონ კი არა, ეილაც სხვამ დაავლო ხმაულს ბელი და მარჯვედ მოიქნია. უცებ ბუჩქებიდან სპარსი ჯარისკაცი გამოძვრა და შუბი მოუღერა. მოქნეულ შუბს ფილოსოფოსმა ხმალი შეაგება და მომხვდური უკან გააქცია.

მერე ისევ მოესმა თავისი ხმა:

— უკან არ დაიხიოთ, ბიჭებო! ჩვენს ხელთ არიან ეგ ძაღლისშვილები! კრაპოლ, წინ გადი, მეექვსესთან ერთად! ნულოს, მარჯვნიდან შემოდი! გაქცევა არავინ გაბედოს, თორემ გავაცამტვერებ!

რაოდენ დიდი იყო სოკრატეს გაოცება, როცა ორი თავისიანი დაინახა შეშინებული მისჩერებოდნენ.

— იყვირეთ, — ჩუმად უთხრა მან, — ღვთის გულისათვის, იყვირეთ.

ერთს შიშისაგან ყბა აუცახცახდა, მეორე კი უთავბოლოდ მოჰყვა ყვირილს. ამასობაში წაქცეული სპარსი წამოდგა და ბუჩქებში მიიმალა.

მდელის მხრიდან ათიოდე ღონემიხდილი ბერძენი გამოჩნდა. ყვირილის ხმაზე სპარსები გაქცეულობენ, ეტყობა, შეეშინდათ, ბერძნები რაღაც მახეს გვიგებენო.

— რა ანბავია? — ჰკითხა ერთ-ერთმა თანამემამულემ მიწაზე მოკალათებულ სოკრატეს.

— არაფერი, — მიუგო მან, — თლონდ ნუ მოგროვდებით და ნუ შემომაჩერდებით. უმჯობესია, ირბინოთ და ბრძანებები გასცეთ, ცოტანი რომ ვართ, არ მიგვიხვდნენ.

— იქნებ გაქცევა სჯობდეს? — ყოყმანობდა ჯარისკაცი.

— ფეხის გაღვმა არ გაბედოთ! — დაუღრიალა სოკრატემ, — თქვენ რა, ღაჩრები ხომ არა ხართ?

მაგრამ ჯარისკაცისათვის ხომ მართო შიში არა კმარა, მას ბედიც ჟუნდა სწყალობდეს. უეცრად შორიდან გარკვევით მოისმა ცხენების თქარუნნი და გააფიქრებელი შემახილები ბერძნულ ენაზე. ყველასათვის ცნობილია, თუ რა სასტიკად დამარცხდნენ იმ დღეს სპარსები. ომის საბოლოო ბედი სწორედ ამ ბრძოლამ გადაწყვიტა.

როდესაც აღკიბიადე თავისი მხედრობით ეკლიან ბარდებთან მიიჭრა, დაინახა, რომ ქვეითთა რაზმს ეილაც მსუქანი მამაკაცი მხრებით მოჰყავდა. იცნო

სოკრატე და ცხენი შეაჩერა. ჯარისკაცებმა აუწყეს, ამ კაცმა თავისი უებრო სიმამაცით დამფრთხალ მებრძოლთა რიგები შეაჩერაო.

ტრიუმფით ნიიყვანეს სოკრატე საბარგულამდე და თუმცა უარობდა, ოთხ-თვალაში ჩააბრძანეს. ოფლიანი, მყვირალა, აგზნებული ჯარისკაცებით გარშემორტყმული დაბრუნდა დედაქალაქში. აქ იგი მხრებზე შეისვეს და თავის ქოხში შეიყვანეს.

სოკრატეს ცოლმა, ქსანტიპამ, ცეცხლზე ლობიოს შეჭამა და მუხლზე დაჩოქილი ღუმელში ცეცხლს უბერავდა და მალე მალ ქმარს გახედავდა. სოკრატე ისევ იმ სკამზე იჯდა, რომელზეც მისმა ანხანაგებმა დასვეს.

- რა მოგივიდა? — შეეჭვდა ცოლი.
- მე? არაფერი. — ძლივს ამოიღულულულა სოკრატემ.
- მაშ, შენს ვპირობაზე რად გაპყვირიან?
- აზვიადებენ. — მიუგო სოკრატემ და დასძინა, — რა საუცხოო სუნია.
- როგორ შეიძლება სუნი იყოს და ისიც საუცხოო, როცა ჯერ ცეცხლიც არ დამინთია! ისევ მოისულელე თავი? — გაავდა ცოლი. — ხვალ, პურზე რომ წავალ, წარმომიდგენია, რა მასხრად ამიგდებენ.
- თავი არ მომისულელეებია, ვიბრძოდი.
- მთვრალი ხომ არ იყავი?
- არა. ჩვენი ჯარისკაცები შევაჩერე, როცა უკან დახევას აპირებდნენ.
- შენ შენი თავი ვერ შეგიჩერებია და სხვებს როგორღა შეაჩერებდი? —

შეუტია ქალმა და ფეხზე წამოდგა.  
 ცეცხლი უკვე გიზგიზებდა.  
 — ერთი, სამარილე მომაწოდე, ნაგიდაზე დევს.  
 სოკრატეს ყოყმანი დაეტყო.  
 — იქნებ სჯობდეს დღეს უჭმელი ვიყო, რაღაც კუჭი ვერა მაქვს კარგად.  
 — ხომ გეუბნები, მთვრალი ხარ-მეთქი. აბა, ერთი ადექი და ოთახში გაიარ-გამოიარე, მაშინ ვნახავთ.

თუმცა ცოლის უსამართლო საყვედურები გულს უკლავდა, არაფრის-დიდებით არ უნდოდა ამდგარიყო და ქალისათვის ეჩვენებინა, რომ ფეხის გადადგმა უჭირდა. ქსანტიპას თვალს ისედაც არაფერი გამოეპარება, მტკივანი ფეხი რომ დაენახა. ერთბაშად მიხვდებოდა, რომ სწორედ ეს იყო სოკრატეს გპირობის ნამდვილი მიზეზი.

ქსანტიპა ღუმელთან ფუსფუსებდა და ქმარს ებუზღუნებოდა:  
 — დარწმუნებული ვარ, შენმა წარჩინებულმა მეგობრებმა საიმედო ადგილას, სადმე საველე სამხარეულოსთან მოგაყუჩეს. ეგ ხომ ნამდვილი თაღლითობაა.

შუბლშეკრული სოკრატე ფანჯარაში იყურებოდა. აქედან ჩანდა მოედანი, სადაც ხალხი თეთრი ფარნებით ხელში მტერზე გამარჯვებას ზეიმობდა.

ეჰ, გავლენიან მეგობრებს სოკრატე სულაც არ გახსენებიათ. თვითონაც არ მიიღებდა ასეთ დახმარებას, ყოველ შემთხვევაში, ასე აშკარად არა.

- ისინი თითქაც არ გაანძრევენ შენთვის. იქნებ საჭიროდ მიიჩნიეს, სხვებისგან არ გამოვარჩიონ. თუ მეწაღეა, მეწაღე იყოსო. ან კი რად მოვიდოდნენ შენთან სოროში და საათობით გეკამათებოდნენ, როცა გარშემო მარტო ეს ის-

მის: მეწაღე დაუძახეთ, ეს წარჩინებული ადამიანები კი არ უკადრისობენ, გვერდით უჭდებიან და ფილერსოფიაზე საუბრობენ. წყეულები!

— ფილოსოფია, — გულგრილად შეუსწორა ფილოსოფოსმა.

ცოლმა მწყრალად გადახედა:

— ნუ მასწავლი. ისედაც ვიცი, რომ უვიცი ვარ. მე რომ არ გყავდე, ფესბან წყალს ვინ მოგაწოდებდა?



სოკრატე შეერთა. „არა, დღეს არავითარ შემთხვევაშიც არაა შესაძლებელი ფესბანს მადლობა დმერთებს, ქალს ჯერ არაფერი შეუმჩნევია და თავისას განაგრძობს“.

— ვთქვათ, მართალს ამბობ, არც საბარგულში მოხვდი. ნამდვილი მეომარევიტ იბრძოდი, ხელებიც სისხლში გაქვს გასვრილი. მერე რა? საკმარისია, თბობა ვავსროსო, გონებას კარგავ. მე, რა თქმა უნდა, არ მჯერა შენი გმირობის, მაგრამ ხელებს რომ ვითათუნებენ, რაღაც უნდა გქონდეს ჩადენილი. ამ რაღაცასაც მივაგნებ, მერწმუნე.

შეჭამანდი მზად იყო. ახლა მართლაც საუცხოო სურნელებას აფრქვევდა. ქსანტიპამ კაბის კალთით ქოთანს მაგიდაზე ვადმოდვა და ლობიოს ხვრება დაიწყო.

„იქნებ მეც მევახშმა?“ — შეფიქრიანდა სოკრატე, მაგრამ მაშინვე გაახსენდა, რომ მაგიდასთან უნდა მისულიყო და გადაიფიქრა.

უგუნებოდ იყო. გრინობდა, ამით არ დამთავრდებოდა ეს ამბავი: მალე სხვა უსიამოვნებაც შეხვდებოდა: არ შეიძლება მოუგოთ ომი სპარსებს და განზე დარჩე. ბუნებრივია, ზეიმის პირველ წუთებში არ ახსოვთ ის, ვისაც გამარჯვებას უნდა უმადლოდნენ. ყველა თავის გმირობას აღიღებს, მაგრამ ხვალ ან ზეგ, როცა ხალხი დაინახავს, რომ ყველა ცდილობს საბელი და პატივი თვითონ მიითვისოს, სოკრატესაც გაიხსენებენ. ბევრს გაეხარდება კიდევ, რომ შეუძლია სხვას ნიშნი მოუგოს და მეწაღე გმირად გამოაცხადოს. ალკიბიადეს ისედაც არ წყალობენ. რა სიამოვნებით შესძახებენ: „ალკიბიადე, ბრძოლა შენ მოიგე, მაგრამ მტერი მეწაღემ გააქციაო“.

ტკივილი უმატა. მალე თუ არ გაიძრთ სანდალი, შეიძლება სისხლიც მოეწამლოს.

— პირს ნუ აწკლავუნებ. — ვასძახა ცოლს სოკრატემ.

ცოლს კოვზი პირში გაუჩერდა.

— რა თქვი?

— არაფერი, — სოკრატეს შეეშინდა და მაშინვე სცადა ნათქვამის გადაახვადრება, — ფიქრებმა წამიღო.

გაცეცხლებული ქსანტიპა წამოდვა, ქოთანს ისევ ღუშელზე დადვა და ოთახიდან გავარდა.

სოკრატემ შვებით ამოისუნთქა. წამოხტა სკამიდან და ხტუნვით თავის საწოლთან მივიდა, თან შეშინებული კარისკენ იყურებოდა. როცა ქსანტიპა დაბრუნდა საგარეო მოსასხამის ასაღებად, უკვე გაუნძრევლად იწვა ტყავის ჰამაკში. ქსანტიპამ უნდობლად გადახედა ქმარს, ერთ წუთს გაიფიქრა, ავად ხომ არ არისო და დააპირა კიდევ ეკითხა (ის ხომ მზრუნველი ცოლი იყო), მაგრამ გადაიფიქრა და ბუნებრივით გავიდა. მეზობელთან ერთად ზეიმის სანახავად წასვლა ამჯობინა.

სოკრატეს ცუდად ეძინა, ბორგავდა და შეწუხებულს გამოეღვიძა. სანდალი გაიხადა, მაგრამ ეკალი ვერ გამოიძრო. ფეხი გასიებოდა.

დილას ცოლი უკეთეს გუნებაზე ჩანდა. წუხელ საკუთარი ყურით მოესმინა, მთელი ქალაქი როგორ ლაპარაკობდა მის ქმარზე. როგორც ჩანს, მართლაც რაღაც მოხდა, რახან ხალხი ასეა გაგიჟებული. მაგრამ მისმა ქმარმა რომ სპარს მეომართა რაზმი შეაჩერა, ამას ვერ იჯერებდა, „მესმის, მთელი ქვეყნის კაცები გააჩეროს თავისი კითხვებით, ეს შეუძლია, მაგრამ ჯარი ნეტა როგორღა შეაჩერა? მაინც რა მოხდა?“ — ფიქრობდა ქსანტიპა.

ისე იყო დაბნეული, რომ ქმარს საწოლში მიაწოდა თხის რძე. ეტყობოდა სოკრატე არ აპირებდა აღდგომას.

— გავლა ხომ არ გინდა? — ჰკითხა ცოლმა.

— არა, — მოუჭრა სოკრატემ.

ასე არ პასუხობენ მზრუნველ ცოლს, მაგრამ ქსანტიპამ განგებ არ შეიმჩნია ქმრის უხეშობა, იფიქრა, ხალხს ერიდებოდა.

დილიდან დაიწყეს სტუმრებმა მოსვლა.

მოვიდა რამდენიმე ახალგაზრდა, შეძლებული ოჯახის შვილი, ვინც ხშირად დაიარებოდა სოკრატესთან. ისინი სოკრატეს თავიანთ მასწავლებელს ეძახდნენ და მის შეგონებებს, როგორც დიდ სიბრძნეს, ისე იწერდნენ.

მოსვლისთანავე აცნობეს სოკრატეს, თქვენს სახელს ათენში ქება-დიდებათ ეხსენიებენ, ფილოსოფიისათვის ეს ისტორიული თარიღიაო (როგორც ჩანს, მართალი იყო ქსანტიპა. ფილოსოფიაა და სხვა არაფერა). თქვენ დაუმტკიცეთ ქვეყნიერებას, რომ უდიდეს მოაზროვნეს შეუძლია უდიდესი სახელმწიფო მოღვაწეც იყოსო.

სოკრატე მათ ჩვეული დაცინვის გარეშე უსმენდა. მათ სიტყვებში შორს ვაგარდნილი მეხივით მოესმოდა მთელი ქვეყნის, მთელი ქალაქის შემზარავი ზარზარი, თანდათან რომ უახლოვდებოდა და ძალას იკრებდა. ეს სიცილი ყველას ედებოდა. ქურაში გამვლულებს, ვაჭრებსა და პოლიტიკოსებს, ხელოსნებსა და მეღუქნეებს.

— რასაც თქვენ ამბობთ, მტკნარი სისულელეა... — თქვა მოულოდნელად ფილოსოფოსმა. — მე არაფერი ვამიკეთებია.

ახალგაზრდებმა ღიმილით გადახედეს ერთმანეთს. ერთმა მათგანმა თქვა:

— ჩვენც სწორედ მაგას ვამბობდით! ვიცოდით, რომ ასე განსჯიდით.

„რაზე ატეხეთ ეს აყალ-მაყალი?“ — შევეკითხეთ ვეზობულოსს, რომელიც გიმნაზიასთან შემოგვხვდა: — „ათი წელი სოკრატე სულს გმირობას იჩენდა და არა კაცს სურდა მისი ცნობა, მაგრამ მოიგო თუ არა ბრძოლა, მთელი ათენი აღაპარაკდა. ნუთუ ვერ ხვდებით, რა უღირსია ეს საქციელი?“

— ბრძოლა არ მომიგია! მე თავს ვიცავდი, იმიტომ, რომ თავს დამესხნენ.

ბრძოლა მე არ მაინტერესებდა: მე არც იარაღით მოვაჭრე ვარ, არც ვენახი მაქვს ქალაქის კედლებს მიღმა. ისიც არ ვიცოდი, რისთვის ვიბრძოდი. ესეც არ იყოს, ჩემს გარშემო საკმაოდ ჰქვიათ ხალხი ტრიალებდა — გარეუბნის მაცხოვრებლები. ბრძოლის სურვილით არც ისინი იწვოდნენ, მეც ის ჩავიდინე, რასაც ისინი სჩადიოდნენ, მხოლოდ ერთი წუთით დავასწარი.

მეგობრები გაოცდნენ.

— ჩვენც ეგ არა ვთქვით? — წამოიყვირეს ერთხმად. — არაფერა გამი-

კეთებია, მხოლოდ თავს ვიცავდიო. ეგ ხომ საბრძოლო ტაქტიკაა. ნება მოგვეცი, გიმნაზიისკენ წავიდეთ. ჩვენ სწორედ ამ თემაზე გვქონდა საუბარი და მოსალოცად შემოგვიარეთ, — უთხრეს მოწაფეებმა და ცხარე კამათით სახლიდან გაცვივდნენ.

სოკრატე იწვა, თავქვეშ ხელები ამოეწყო და უხმოლ შესცქეროდა გაჭვარტლულ ჰერსს. ცუდი წინათგრძნობა უსრულდებოდა, თან მველ კაბას უხალისოდ აკერებდა.

— მაინც რა მოხდა? — მოულოდნელად ჩუმად ჰკითხა ქსანტიპამ.

სოკრატე შეერთა და გაუბედავად შეხედა.

ჯაფისგან გატეხილი ქალი ნაღვლიანი თვალებით შეჰყურებდა. სოკრატემ იცოდა, რომ შეიძლებოდა მას დანდობოდა, ცოლი გამოესარჩლებოდა მაშინაც კი, მის მოწაფეებს რომ ეთქვათ: „სოკრატე? ეს ის საძაგელი შეწალე არ არის, ღმერთებს რომ უარყოფს?“ თავისდაჭირად შეხვდა ქსანტიპას, მაგრამ მის გარდა არავის შესჩიოდა და არ ყოფილა შემთხვევა, რომ შინ ერთი ლუკმა პური და ქონას ნაჭერი მაინც არ დახვედროდა, როცა გვიან ღამით თავისი შეძლებული მოწაფეებისაგან მშვიერი ბრუნდებოდა.

თავს ეკოთხებოდა, განდობოდა თუ არა ქალს, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა. მისი თანდასწრებით სულ სიცრუის თქმა და თვალთმაქცობა დამჭირდება, თუ ხალხი დღევანდელივით მოვა და ჩემს საგნირთ საქმეებზე ლაპარაკს დაიწყებსო.

დიდ პატივს სცემდა ქსანტიპას და აბა, ამას როგორც აიტანდა; ესღა უთხრა:

— გუშინდელმა შეჭამანდმა მთელი ოთახი ააყროლა.

ცოლმა ისეე უნდობლად შეათვალიერა.

ისე მდიდრები არ იყვნენ, რომ სადილის ნარჩენები გადაეყარათ. ეს სოკრატემაც მშვენივრად იცოდა, მაგრამ უნდოდა, როგორმე ბანზე აეგდო სიტყვა. ქალი თანდათან რწმუნდებოდა, რომ მის ქმარს რაღაც შეემთხვა: „რატომ არ დგება? მართალია, ადრე ადგომა არასოდეს ყვარებია, მაგრამ, სამაგიეროდ, გვიან წვებოდა ხოლმე. გუშინ კი ძალიან ადრე დაიძინა. დღეს დილა უთენია მთელი ქალაქი ფეხზეა, გამარჯვებას ზეიმობენ. ქუჩის კუთხეში ყველა დუქანი დაიკეტა. ცხენოსანთა ერთი რაზმი, რომელიც მტერს დაედევნა, დილის ხუთ საათზე დაბრუნდა და თქარუნით ყველა ააფორიაქა. მაინც რატომ არ დგება? ასეთ დღეებში ხომ დილიდან გვიან საღამომდე დარბის და ყველას ესაუბრება. ზეიმი და თავყრილობა ყველაფერს ურჩევნია“.

კარმა გაიჭრიალა. შემოვიდა ოთხი მოხელე და შუა ოთახში გაჩერდა. ერთმა მათგანმა თფიციალური, მაგრამ ფრიად თავაზიანი კილოთი ამცნო სოკრატეს, დავალებული მაქვს არეობაგში თქვენი მიყვანათ. თვით სარდალ ალკიბიადეს მოეთხოვა ფილოსოფოსის სამხედრო ღვაწლის დაფასება.

ქუჩიდან ჩუმი ლაპარაკის ხმა მოესმა, რაც იმაზე მეტყველებდა, რომ სახლის წინ მეზობლებს მოეყარათ თავი.

სოკრატემ იგრძნო, როგორ დაასხა მთელ ტანზე ოფლმა. იცოდა, რომ ახლა უნდა ამდგარიყო და მაშინაც კი, თუ გაყოლაზე უარს იტყოდა, ფეხზე დამდგარს რამდენიმე თავაზიანი სიტყვა ეთქვა მოსულთათვის და სტუმ-

რები კარებამდე მიეცილებინა. ისიც იცოდა, რომ ორ ნაბიჯსაც ვერ გადადგამდა. დახედავენ მის მტკივან ფეხს და ყველაფერს მიხვდებიან, ატყდება საშინელი სიცილ-ხარხარი, აქ, ამ წუთას, ქსანტიპას წინაშე.

ადგომის ნაცვლად მაგარ ბალიშს დაეყრდნო და უკმაყოფილოდ თქვა:

— თქვენი პატივი მე არ მჭირდება. გადაეცით არეოპაგს, რომ თერთმეტ საათზე დათქმული მაქვს მეგობრებთან შეხვედრა და საინტერესო ფიქრსა და საკითხზე მსჯელობა. ვწუხვარ, რომ ვერ მოვდივარ...

იფიქრა, უხეში უპართ სტუმრებს ადვილად მოვიცილებო, მაგრამ ფილოფია რომ ახსენა, მაშინვე იკბინა თითზე:

— ესეც არ იყოს, სახალხო ცერემონიებისათვის არ გამოვდგები, დაქანებული ვარ.

ქალაქის ხელისუფალნი მიუხვდნენ ნათქვამს, პირი იბრუნეს და ოთახიდან გავიდნენ. ცნობისმოყვარე ხალხის ტალღა უხეშად გაარღვიეს და არეოპაგისაკენ გასწიეს.

— დაიცა, კიდევ გასწავლიან, როგორ უნდა ხელისუფალთა პატივისცემა. — უთხრა ქსანტიპამ და გაბრაზებული სამზრეულოდან გავიდა.

სოკრატემ შეიცადა, სანამ ფეხის ხმა მიწყდებოდა. სწრაფად შეტრიალდა ლოჯინში და საწოლის კიდეზე ჩამოჯდა. უდიდესი სიფრთხილით სცადა მარცხენა ფეხზე დადგომა, თან კარისკენ იყურებოდა, მაგრამ ვერ მოახერხა და ოთულში გაწურულმა ისევ დაწოლა ამჯობინა.

ნახევარმა საათმა განვლო. სოკრატემ წიგნს მოჰკიდა ბელი და კითხვას შეუდგა. როცა ფეხი გაუძრევლად ედო ტკივილს თითქმის ვერ გრძნობდა.

მალე მისი მეგობარი ანტისფენე მოვიდა.

მოსასხამი არ გაუხდია, ისე დაუდგა საწოლის ფენით; ერთხანს მწოლარეს დასცქეროდა, გაშმაგებით ახველებდა და თან გაბანჯგვლულ კისერს იფხანდა.

— ისევ ლოჯინში ხარ? მე კი მეგონა, შინ მარტო ქსანტიპა დამხვდებოდა. შენი ამბის გასაგებად შემოვიარე. გუშინ გავცივდი და ბრძოლაში არ მიმიღია მონაწილეობა.

— დაჯექი, — მოუჭრა სოკრატემ.

ანტისფენემ ოთახის კუთხიდან სკამი მოიტანა და მეგობარს მიუჯდა.

— ამ საღამოს ეანახლებ მეცადინეობას: რად უნდა გადავდო.

— მართალია.

— რა თქმა უნდა, ეპვი მეპარებოდა, მოვიდოდნენ თუ არა მოწაფეები. დღეს ხომ ყველგან ნადიმია გამართული. მაგრამ აქეთ მომავალს გზაში ჭაბუკა ფესტონი შემომხვდა და როცა შეიტყო, საღამოს ალგებრის გაკვეთილი მექნებოდა, გულით გაიხარა. ვთხოვე, ჩაჩქანით მოსულიყო. წარმომიდგენია, პროტავონე და სხვები ბრაზით გასყდებიან, როცა გაიგებენ, ანტისფენესთან დღესვე ალგებრას ეუფლებოდნენო.

სოკრატე ნელა ირწეოდა ჰამაკში, თან დაბრეცილ კედელს ხელს ჰკრავდა და გადმოკარკლული თვალებით გამომცდელად შეყურებდა მეგობარს.

— კიდევ ვის შეხვდი?

— უამრავ ხალხს.

შავი ფიქრებით შებყრობილი სოკრატე ჭერში იყურებოდა. გაუმკლავნოს

სიმართლე? ამ კაცის ნდობა შეიძლებოდა. თვითონ სოკრატე სწავლის ფულს არ იღებდა და ცხადია, ანტისფენეს მეტოქეც ვერ იქნებოდა. „სხვა სხვის ჭირში ბრძენია და იქნებ სჯობს რჩევა ვკითხო?“

ანტისფენე ცნობისმოყვარეობით შეჰყურებდა მეგობარს და უკვებოდა:

— გეორგიასი დადის და ყოველ შემხედურს ეუბნება, სოკრატემ მტრის დანახვისთანავე მოკურცხლა, ოღონდ შიშისაგან მიმართულა — შეეშალა და წინ გაიქცაო. ჩვენი რჩეული ახალგაზრდები ცემას უპირებენ.

ამ უსიამოვნო ამბავმა სოკრატეს თავზარი დასცა.

— სისულელეა, — წყენით თქვა მან და უმაღლ წარმოიდგინა, რა იარაღს მიაწვდიდა თავის მტრებს, თუ გულასდილობას გამოიჩინდა.

წუხელ იაზრა, რომ შეიძლებოდა ყველაფერი ცდის სახით წარმოედგინა, თითქოსდა სურდა გამოერკვია, რა მალემრწმენი იყო ხალხი. ოცი წელი მშვიდობას ვქადაგებდი და აი, საკმარისი აღმოჩნდა ფუჭი ხმა, რომ ჩემსავე მოწაფეებს მტარვალად გამოვეცხადებინე... მაგრამ, მაშინ რა საჭირო იყო ბრძოლის მოგება! როგორც ჩანს, პაციფიზმს მართლაც ცუდი დრო დაუდგა: თუ დამარცხდნენ, თვით მაღალი წრეებიც ერთხანს პაციფისტები ხდებიან, გამარჯვებენ და — მდაბიონიც ომის მომხრეებად იქცევიან. მანამდე მაინც, სანამ არ გამოირკვევა, რომ მათთვის გამარჯვება დიდად არ განსხვავდება დამარცხებისაგან.

ქუჩიდან ცხენის თქარუნი მოისმა და სახლის წინ შეწყდა. ოთახში სწრაფად შემოვიდა ალკიბიადე.

— დილა მშვიდობისა, ანტისფენე! როგორაა ფილოსოფიის საქმენი, სოკრატე! — შესძახა სიხარულით გაბრწყინებულმა ალკიბიადემ, — გააფთრებულები არიან. შენმა პასუხმა არეოპაგში ნამდვილი ქარიშხალი გამოიწვია. ხუმრობით ჩემი წინადადება შეეცვალა და მოვითხოვე: დაფნის გვირგვინით ნუ კი შეამკობთ, ორმოცდაათი სახრე გადაუჭირეთ-მეთქი. ჩემი სიტყვები შიგ გულში მოხვდათ, რადგან მათი ზრახვები გავეცი. მაგრამ შენ მაინც უნდა წამოხვიდე, ერთად წავიდეთ, ფეხით.

სოკრატემ ამოიხარა: ის და ალკიბიადე მეგობრები იყვნენ, ხშირად ერთადაც უსვამთ ღვინო. კარგია, მეგობარი რომ ინახულა, ცხადია, ამ დროს მას მარტო არეოპაგის გაბრაზების სურვილი არ ამოძრავებდა. და თუნდაც მარტო ეს ყოფილიყო, მისი საქციელი მაინც იმსახურებდა მოწონებასა და მხარდაჭერას.

— აჩქარება ეს ისეთი ქარია, რომელსაც იალქნის დახვეა ძალუძს. — თქვა შორსმჭვრეტელურად სოკრატემ ისე, რომ ჰამაკში რწევა არ შეუწყვეტია.

ალკიბიადეს გაეცინა და სკამი მიიდგა. სანამ დაჯდებოდა, მდაბლად დაუჯრა თავი სამხარეულთს კარებში მდგარ ქსანტაპას, რომელიც სველ ხელებს კაბის კალთაზე იწმენდა.

— უცნაური ხალხი ხართ ფილოსოფოსები, — თქვა სარდალმა და ხმაში მოუთმენლობა დაეტყო. — შეიძლება ნანობ კიდევ სპარსების დამარცხებაში რომ დაგვეჩმარე. ანტისფენემ, ცხადია, უკვე დაგიმტკიცა, რომ ამისათვის საკმაო მიზეზი არ გქონდა.

— ჩვენ ალგებრაზე ვსაუბრობდით. — არ დაყოვნა პასუხი ანტისფენემ და ჩაახველა.

ალკიბიადეს გაეცინა.

— სულაც არ მიკვირს. გძულს აურზაური, მაგრამ ასეა თუ ისე, სიმამაცე გამოიჩინე. მე მგონი, დაფნის გვირგვინზე უარი არ უნდა თქვამდე. რა უნდა თქვამდე არის. დამუწე პირი და ნუ ახირდები, ბერიკაცო. ყველაფერი ჩქარა დამთავრდება. შემდეგ თითო ჭიქასაც გადავკრავთ. — იგი ცნობისმოყვარეობით ათვალთვრებდა სოკრატეს მკერძს, მაგარ სხეულს, რომელიც ახლა ძლიერად ირწეოდა.

სოკრატე კი თავს იმტვრევდა იმაზე ფიქრით, რა მოემოქმედა. შეეძლო ეთქვა, რომ ამ საღამოს, არა, ამ დილით ფეხი იღრძო, ისიც შეეძლო ეთქვა, ეს უბედურება ჯარისკაცებმა ძირს რომ ჩამომსვეს, მაშინ დამემართათ. სიმართლეს ჰგავდა, შეგონებადაც გამოდგებოდა. ასეთი შემთხვევები ნათელყოფენ, თუ რა ადვილად შეიძლება ადამიანი დაზარალდეს თანამემამულეთა თაყვანისცემით.

ქანობა არ შეუწყვეტია, ასე წამოიწია და დაჯდა. მარჯვენა ხელი მარცხენა შიშველ მკლავზე მოისვა და ნელა ჩაილაპარაკა:

— საქმე ისაა, რომ მე ფეხი...

უნდა ეცრუა, მაგრამ ამ დროს მისი ვაუბედავი მზერა კარებში მდგარ ქსანტიპას შეხვდა და სიტყვა გაუწყდა. ტყუილის სათქმელად ენა ვერ დასძრა. მართლა ნაღრძობი ხომ არ ჰქონდა ფეხი.

ჰამაკი გაჩერდა.

— მომისმინე, ალკიბიადე, — მზნე და მტკიცე ხმით წამოიწყო სოკრატემ, — სიმამაცე აქ არაფერ შუაშია. როგორც კი დაიწყო ბრძოლა, უფრო სწორად, როგორც კი თვალი მოვკარი სპარსებს, გავიქეცი იქით, საითაც უნდა გავქეციულიყავი — უკან. მაგრამ იქ ეკლიანი ბუჩქები დამხვდა, ქუსლში უზარმაზარი ეკალი შემერჭო და ბიჭი ვერ წავდგი. გამმაგებით დავიწყე ხმლის ქნევა და კინალამ ჩვენიანებსაც არ მოვახვედრე. სპარსების მოსატყუებლად ყვირილი მოვრთე, ვითომ ჩვენს ჯარებს ეუხმობდი. მათ ხომ ბერძნული არ ესმოდათ.

სამარისებული სიჩუმე ჩამოვარდა ოთახში. ალკიბიადე თვალმოუცილებლად შეჰყურებდა სოკრატეს. ანტისფენეს ხელი აეფარებინა პირზე და ახლა უკვე ბუნებრივად ახველებდა. სამხარეულოს კარებში ხმამალა იცინოდა ქსანტიპა.

— შენ არ შეგეძლო არეობაგში წასულიყავი და დაფნის გვირგვინის მისაღებად კოჭლობით აგველო კიბე. გასაგებია. — თქვა ცივად ანტისფენემ.

ალკიბიადე სკამს ზურვით მიეყრდნო და თვალმოჭუტული საწოლზე გამხლართულ ფილოსოფოსს შესცქეროდა. არც სოკრატე და არც ანტისფენე მისკენ არ იყურებოდნენ.

ალკიბიადე დაიხარა და მუხლზე ხელები შემოიჭდო. ჯერ კიდევ ბავშვურად ხმელ-ხმელი სახე ოდნავ უკრთოდა, მაგრამ მის ფიქრებსა და გრძნობებს არ გამოხატავდა.



— რატომ არ მოიგონე, რომ სხვა კრილობა გქონდა? — შევეკითხა სოკრატეს.

— იმიტომ, რომ ეკალი ქუსლში შემერტო. — გაბრაზებით უთხრა ფილოსოფოსმა.

— ამიტომ? მესმის.

აღკებიადე სწრაფად წამოიჭრა ფეხზე და საწოლთან მივიდა:

— ვნანობ, რომ არ წამოვიღე ჩემი დაფნის გვირგვინი. ერთ კაცს მივეცი ზელში დასაჭერად, თორემ შენ დაგხურავდი. არავინ შეგულება, ვინც ასეთ ვითარებაში სიმართლის თქმას გაბედავდა. — და იგი აჩქარებით გავიდა ოთახიდან.

ქსანტიპამ ქმარს ფეხი დაბანა, ეკალი ამოუღო და პირქუშად უთხრა:

— შეიძლება სისხლი მოგწამვლოდა.

— ანდა მოვმკვდარიყავ, — გაეცინა სოკრატეს.

## მოთხოვნები ბატონ კოინერზე

### ბატონი კოინერი და ძალადობა

დარბაზში უამრავ ხალხს მოეყარა თავი, დიდი მოაზროვნე — ბატონი კოინერი სიტყვას ამბობდა ძალადობის წინააღმდეგ. უცებ შეამჩნია, რომ მსმენელები უკუიქცნენ და დაშლა იწყეს. მოიხედა და ზურგს უკან ძალადობა დაინახა.

— რაზე ლაპარაკობ? — ჰკითხა ძალადობამ.

— მე სიტყვას ვამბობ ძალადობის დასაცავად, — უპასუხა ბატონმა კოინერმა.

როცა ბატონი კოინერი დარბაზიდან გამოვიდა, მოწაფეებმა უხერხემლობა შესწამეს. ბატონმა კოინერმა უპასუხა:

— ხერხემალი იმისთვის კი არა მაქვს, რომ გადამიტეხონ, მე ხომ ძალადობაზე დიდხანს უნდა ვიცოცხლო.

და ბატონმა კოინერმა ეს ამბავი წამოიწყა:

— ერთხელ, დიდი შიშინაობის დროს, ბატონ ეგესთან, რომელსაც „არას“ თქმა დაესწავლა, მოვიდა ვინმე აგენტი და ქალაქის განმგებელთა მიერ ბოძებული მოწმობა უჩვენა. ამ მოწმობის თანახმად აგენტის საკუთრება ხდებოდა ყოველი სახლი, სადაც ფეხს შედგამდა, ყოველგვარი საჭმელი, რასაც მოისურვებდა; ხოლო ის კაცი, ვისზედაც მისი მზერა შეჩერდებოდა, მისი ყურმოჭრილი ყმა უნდა გამზღარიყო. აგენტი სკამზე ჩამოჯდა, მოითხოვა საჭმელი, დაიბანა და დაწვა. კედლისკენ იბრუნა პირი და სანამ დაიძინებდა, მემსახურებით თუ არაო, ჰკითხა მასპინძელს. და დაახურა ბატონმა ეგემ აგენტს თავისი საბანი, ბუხებს უგერიებდა, მძინარეს დარაჯობდა და ვით პირველ დღეს, ისე ემსახურებოდა შვიდ წელიწადს. ყველაფერს უსრულებდა ბატონი ეგე, მხოლოდ ერთს ერიდებოდა: სიტყვის თქმას. გავიდა შვიდი წელი, გასუქდა აგენტი ამდენი ჭამით, ამდენი ძილით, გასუქდა, რადგან სულ ბრძანებებს იძლეოდა. და გარდაიცვალა კიდევ. და გაახვია ბატონმა ეგემ ჭუჭყიან საბანში, გამოათრია გარეთ, გარეცხა საწოლი, შეათეთრა კედლები, ერთი თავისუფლად ამოისუნთქა და უპასუხა: „არა“.

არსებობს თუ არა ღმერთი

ერთხელ, ბატონ კოინერს ჰკითხეს, ღმერთი თუ არსებობს. ბატონმა კოინერმა უპასუხა:



— იფიქრე, შეიცვლება თუ არა შენი მოქმედება, თუ შენ იმეორებით, რა პასუხს მიიღებ ამ კითხვაზე. თუ არ შეიცვლება, მაშენ უმჯობესად ვფიქრობ, რომ შემიძლია დაგეხმარო, გეტყვი, რომ თავად უპასუხე ამ კითხვას: შენ გჭირდება ღმერთი.

სამშობლოს სიყვარული და ნაციონალისტების სიმე უპილი

ბატონი კოინერი ამბობდა: აუცილებელი არ არის კაცმა თავის სამშობლოში იცხოვროსო.

შემშლილი ყველგან შემიძლიაო, — ამბობდა იგი.

მაგრამ, ერთხელ იმ ქალაქში მოუხდა გავლა, რომელშიც მისი ქვეყნის მტრები გამაგრებულიყვნენ. წინ ერთი ოფიცერი შემოეყარა და აიძულა გზა დაეტმო. ბატონი კოინერი ჩამოვიდა ტროტუარიდან და მაშინვე იგრძნო, გული ბრაზით აენტო: ბრაზობდა ამ კაცზე, მართო ამ კაცზე კი არა, იმ ქვეყანაზეც, რომლის შვილიც ეს კაცი იყო. ისე გამწარდა, რომ უსურვია, მიწა გაგისკდეს და თან ჩაგიტანოსო.

— რატომ გავხდი იმ წუთს ნაციონალისტი? — იკითხა ბატონმა კოინერმა. — იმიტომ, რომ ნაციონალისტს გადავეყარე. ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა აღმოვფხვრათ სისულელე, რადგან ვისაც კი შეხვდება, ყველას ასულელებს.

შიმშილი

როცა ბატონ კოინერს სამშობლოს სიყვარულზე ჰკითხეს, განაცხადა: შიმშილი ყველგან შემიძლიაო. ვიღაცამ ჰკითხა, რატომ ამბობთ, რომ შიმშილობთ, სინამდვილეში ხომ გაქვთ საჭმელიო. ბატონმა კოინერმა თავის მართლება იწყო:

— იმას თქმა მინდოდა, რომ შემიძლია ყველგან ცხოვრება, რადგან თანახმა ვარ ვიცხოვრო ქვეყანაში, სადაც შიმშილი ბატონობს. ჩემი აზრით, ერთია, როცა შენ თვითონ შიმშილობ, ხოლო სულ სხვაა, იცხოვრო იქ, სადაც შიმშილი ბატონობს, ბოდიშის მოხდით დაგუმატებ, რომ ჩემთვის ცხოვრება ამქვეყნად, როცა შიმშილი ბატონობს, შიმშილზე აუტანელი არაა, არც ბევრად უკეთესია. სხვებისთვის რა მნიშვნელობა აქვს, ვშიმშილობ თუ არა; მთავარია, რომ მე შიმშილის ბატონობის წინააღმდეგი ვარ.

## ფორმა და შინაარსი

ბატონი კონინერი ათვალისწინებდა სურათს, რომელზეც ცალკეულ საგნებს შეტად თავისებური ფორმა ჰქონდა მიცემული და თქვა:

— ზოგჯერ, მხატვარს გარემოს ჭერეტისას იგივე ემართება, რაც შრავალ ფილოსოფოსს. ყურადღებას ფორმაზე ამახვილებენ, შინაარსი კი შევიწყობენ, ერთხელ შებაღესთან ვმუშაობდი. მომცა უზარმაზარი მაკრატელი და მიბრძანა დაფნის ხე შემეკრიჭა. ეს ხე ქოთანში ხარობდა და სადღესასწაულოდ ქირაღებოდა ხოლმე, ამიტომ მრგვალი ფორმა უნდა ჰქონოდა. მაშინვე შევუღე ქირაღები ულორტების ჭრას, მაგრამ, როგორ არ ვეცადე, ვერაფერი გავაწყვე, ხან ერთი მხრიდან შევაჭრიდი მეტს, ხან მეორედან. როცა ხემ, ბოლოს და ბოლოს, მრგვალი ფორმა მიიღო, მეტისმეტად პატარა აღმოჩნდა.

გულგატეხილმა შებაღემ ჩაილაპარაკა:

— მრგვალი კია, მაგრამ სადღაა დაფნის ხე?

## საუბარი

— თქვენთან საუბარი აღარ შემიძლია, — უთხრა ბატონმა კონინერმა თანამოსაუბრეს.

— რატომ? — შეშფოთდა მეორე.

— თქვენთან ვერაფერ ჰკვიანურს ვერ ვამბობ ხოლმე, — შესჩივლა ბატონმა კონინერმა.

— ჩემთვის ამას არა აქვს მნიშვნელობა, — დაამშვიდა თანამოსაუბრემ.

— მჯერა. — სიმწრით ჩაილაპარაკა ბატონმა კონინერმა, — მაგრამ ჩემთვის აქვს.

## ბატონ კონინერს ვინმე რომ შეეყვარდა

ბატონ კონინერს ჰკითხეს:

- როგორ მოიქცევით, ვინმე რომ შეგიყვარდეთ?
- შევქმნი ამ ადამიანის ესკიზს და ვეცდები მას დავამსგავსო.
- ესკიზი?
- არა, ადამიანი.

## ბატონი კონინერი სხვის ბინაში

ერთხელ, ბატონი კონინერი სხვის ბინაში შევიდა და ყველა კარი დაათვალიერა. სხვა არაფერი უნახავს. როცა ამის მიზეზი ჰკითხეს, დარცხვენით უპასუხა:

— სამწუხაროდ, ასეთი ჩვეულება მაქვს. მე სამართლიანობის მომხრე ვარ, სამართლის მოქმელი კაცისათვის კი სასურველია ბინას ერთზე მეტი კარი ჰქონდეს.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

### სოკრატე

ფილოსოფიის ისტორიის კითხვა რომ დაასრულა, ბატონმა კოინერმა უკმაყოფილება გამოთქვა, ფილოსოფოსები ცდილობენ საგნები და მოვლენები პრინციპულად შეუცნობლად წარმოადგინონ და დასძინა:

— სოფისტები ამტკიცებდნენ, რომ არაფერი არ უსწავლიათ და ბევრი იციან. სოფისტი სოკრატე კი გამოვიდა თავხედური მტკიცებით, მე მხოლოდ ის ვიცი, რომ არაფერი ვიციო. მოსალოდნელი იყო რომ ის განავითარებდა თავის აზრსა და დასძენდა: რადგან არც მე მისწავლია არაფერიო (რომ იცოდე, უნდა ისწავლო). მაგრამ, როგორც ჩანს, სოკრატეს მეტი არაფერი უთქვამს, თუმცა შესაძლებელია, მქუხარე ტაშმა, რომელიც მისი პირველი ფრაზის შემდეგ გაისმა და ორი ათას წელს გრძელდებოდა, ჩაახშო შემდგომი სიტყვები.

### პინ ითვლება აზრის მამად

ერთხელ ბატონ კოინერს უსაყვედურეს, ძალიან ხშირად თქვენი აზრის მამა სურვილი არისო. ბატონმა კოინერმა უპასუხა:

— მე არასოდეს მინახავს აზრი, მამად სურვილი რომ არ ჰყოლოდეს. მაგრამ რა იყო ეს სურვილი, აი, ეგ არის საკამათო. შეუძლებელია ვირწმუნოთ, რომ ბავშვი უმამოდ დაიბადა, რაკი არ ვიცით ამ კაცის ვინაობა.

### ბაგონი კოინერის საყვარელი მხოველი

როცა ბატონ კოინერს ჰკითხეს, რომელ ცხოველს აფასებთ ყველაზე მეტადო, სპილო დაასახელა და თქვა:

— სპილო ეშმაკობისა და ძალის ერთიანობაა. ეს არ არის ის ეშმაკობა, რომელიც საკმარისია მხოლოდ თავის დასაცავად ან მალულად რაიმე სარჩოს საშოვნელად. არა, ეს არის ძალაზე დაფუძნებული ეშმაკობა, რაიც აუცილებელია დიდი საქმისათვის. სპილო ფართო კვალს ტოვებს, მაგრამ ვულკეთილია და ხუმრობა ესმის. კეთილი მეგობარია და ღირსეული მტერი. დიდია და მოუხეშავი, მაგრამ მეტად მოძრავი გახლავთ. თუმცა უზარმაზარი ტანი აქვს, ხორთუმით სულ პაწაწინა, თხილისოდენა საგნების აკრეფაც კი შეუძლია. უურები მოხერხებულადა აქვს განლაგებული: რასაც უნდა, იმას ისმენს. ღრმა

სიბერემდე ცოცხლობს. მეტად გულლიაა. ყველგან უყვართ და ეშინიათ მისი. მის გარეგნობაში რაღაც კომიკური გამოსჭვივის და გულს გვიჩუყებს. უხეში კანი აქვს და ნაზი გული. შეუძლია იყოს ნალვლიანიც და მრისხანეც. სიამოვნებით ცეკვავს. სიკვდილის ქამს ჟღერან ტყეში მიდის. უყვარს ბავშვები და სხვა პატარა ცხოველები. მთლიანად ნაცრისფერია და თვალში მხოლოდ მისი სიდიდე გხვდებათ. არ იჭმევა. კარგად შრომობს. უყვარს სმარტანდუჭი და მხიარულ გუნებაზე დგება. ხელოვნებაშიც მიუძღვის ცოტათიც. უჭმს სმარტანდუჭი იძლევა სპილოს ძვალს.

## გიზანგანონილი საქმიანი

ბატონმა კოინერმა იკითხა:

— ყოველ დღით ჩემი მეზობელი გრამოფონს უკრავს. რატომ უკრავს გრამოფონს? იმიტომ, რომ ვარჯიშობსო, მიპასუხებენ. რატომ ვარჯიშობს? ძლიერი რომ გახდეს. რისთვის უნდა სიძლიერე? თავისი მტრები რომ დაამარცხოს. რად უნდა მტრების დაამარცხება? რომ ჭამოს.

როცა ბატონმა კოინერმა შეიტყო, რომ მისი მეზობელი გრამოფონს უკრავს, რათა ივარჯიშოს, ვარჯიშობს იმისათვის, რომ ძლიერი გახდეს, ძლიერი გახდეს, იმისათვის რომ მტრები დაამარცხოს, ხოლო მტრები დაამარცხოს, რათა ჭამოს, ახლა ის იკითხა: რატომ ჭამსო.

## მეხვედრა

ერთმა კაცმა, რომელსაც დიდი ხანია არ ენახა ბატონი კოინერი, შეხვედრისას უთხრა: სრულებით არ შეცვლილხართო.

— ოჰ, — წამოიძახა ბატონმა კოინერმა და მკვდრის ფერი დაედო.

## ასაგანი წყნა

ბატონ კოინერს უთხრეს, თქვენი თანამშრომელი მტრულად გეპყრობათო.

— რა ვუყოთ მერე, ამას მხოლოდ ჩემს ზურგს უკან სჩადის, — დაიცვა ბატონმა კოინერმა თავისი თანამშემწე.

## ღოღინი

ბატონი კოინერი იცდიდა ერთ დღეს, ერთ კვირას, შემდეგ ერთ თვეს. ბოლოს თქვა: ადვილი იყო ერთი თვის ატანა. მაგრამ არა ამ ერთი დღის და ამ ერთი კვირისთ.

ორბანიზაცია

ერთხელ ბატონმა კოინერმა თქვა: მოაზროვნეს არ სჭირდება ზედმეტი სინათლე, ზედმეტი პური და ზედმეტი ფიქრი.



ეროვნული  
ბიზნისობა

რეულთ საზრუნავი

- რაზე მუშაობთ? — ჰკითხეს ბატონ კოინერს.
- მან უპასუხა:
- წვითა და დაგვით ჩემს მომდევნო შეცდომას ვამზადებო.

ორი ქალაქი

ბატონმა კოინერმა ქალაქ ა.-ს ქალაქი ბ. არჩია.

— ქალაქ ა.-ში, — თქვა მან, — ყველას ვუყვარვარ, ქალაქ ბ.-ში პატივს ვცემენ. ქალაქი ა. მე მჭირდება, ქალაქ ბ.-ს მე ვჭირდები. ქალაქ ა.-ში სუფრასთან მიწვევენ. ქალაქ ბ.-ში სამზარეულოში მპატივებენ.

ბრძნული პასუხი

ბატონ კოინერთან მოვიდა ერთი ფილოსოფოსი და თავის სიბრძნეზე დაუწყოს საუბარი. ცოტა ხნის შემდეგ ბატონმა კოინერმა უთხრა: „უწნოდ ზიხარ უწნოდ მეტყველებ, უწნოდ აზროვნებ“. ფილოსოფოსი განრისხდა: „მე არ მაინტერესებს, რას ფიქრობთ ჩემზე, მე მინდა ვიცოდე, რა აზრისა ხართ ჩემს ნათქვამზე“. ბატონმა კოინერმა უპასუხა:

— შენს ნათქვამს აზრი არა აქვს. მე ვხედავ, რა უწნოდ დადიხარ და რასაც აღწევ, არ არის მიზანი. მეტყველებ ბუნდოვნად და რასაც ქმნი, არ არის ნათელი. ვხედავ შენს მოქმედებას და არ მაინტერესებს შენი მიზანი.

ღამაჯარეული საკითხავი

— მე შევამჩნიე, — აღნიშნა ბატონმა კოინერმა, — რომ ხალხს ჩვენს მოძღვრებაზე გულს ვუცრუებო იმით, რომ ყველა კითხვაზე პასუხი გვაქვს მომზადებული. იქნებ, ხალხის მოსაზიდად სჯობდეს შევადგინოთ იმ საკითხთა სია, რომლებიც გადაუწყვეტლად მიგვაჩნია?

## სამართლიანობის გრძნობა

ერთ კაცს, რომელთანაც ბატონი კოინერი სტუმრად იყო, ჰყავდა ძაღლი. ძაღლი ცოცხით მივიდა პატრონთან და წკმუტუნით აგრძნობინა, რომ რაღაც დააშავა.

— ახლავე უთხარით რამე მკაცრად და წყენით, — უჩივრებოდა ბატონმა კოინერმა.

— მე ხომ არ ვიცი, რა დააშავა, — შორს დაიჭირა მასპინძელმა.

— არც ძაღლმა იცის, რომ არ იცით. — არ ცხრებოდა ბატონი კოინერი. — სასწრაფოდ გამოხატეთ გაოცება და გულისწყრომა, თორემ სამართლიანობის გრძნობა ექნება შელახული.

## უხელო ბიჭი

ბატონი კოინერი ამბობდა, არასდროს უხელოდ არ უნდა აიტანო წყენაო. და შემდეგ ამბავს მოჰყვა:

გამვლელმა ჰკითხა ბიჭს, რომელიც ჩუმად სლუკუნებდა, რა გატირებსო?

— ორი გროში შევაგროვე კინოსათვის, — უპასუხა ბიჭმა, — მოვიდა აი, ის ყმაწვილი და ერთი გამომგლიჯა ხელიდან. — თან მიმავალ ახალგაზრდაზე მიუთითა.

— მერე, რატომ არაღის უხმე საშველად? — ჩაეკითხა გამვლელი.

— ვუხმე, — უპასუხა ბიჭმა და ტირილს უმატა.

— და არაღის გაუგია შენი ხმა? — დაინტერესდა უცნობი, თან ალერსით ვადაუსვა თავზე ხელი.

— არა, — ქვითინით უპასუხა ბიჭმა.

— მაშ, ხმაშაღლა ყვირილი არ შეგძლებია. მომეცა მეორე გროშიც. — უთხრა პატარას, გამოსტაცა ხელიდან უკანასკნელი გროში და უღარდელად ჯანაგრძო გზა.

## გუგუნიანი სამსახური

იმის მაგალითად, თუ რა მიაჩნია მეგობრისათვის საუკეთესო სამსახურის კაწევად, ბატონმა კოინერმა აი, რა გვიამბო:

„მოხუც არაბთან სამი ახალგაზრდა მოვიდა და უთხრა: მამა მოგვიკვდა. ზვიდმეტი აქლემი დაგვიტოვა და გვიანდერდა: უფროსს ნახევარი მიაკუთვნეთ, დაშუალოს ერთი მესამედი, ხოლო უმცროსს — ერთი მეცხრედიო. ვწვალობთ და ვერაფრით ვერ გაგვიყვია. გვირჩიე, როგორ მოვიქცეთ.

ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ არაბმა ბრძანა:

— როგორც ეხედავ, სწორად რომ გაიყოთ, ერთი აქლემი გაკლიათ. მე ერთადერთი აქლემი მყავს. შეგიძლიათ წაიყვანოთ. გაიყავით და თუ დაგრჩათ რამე, მე მომეცით.



ძმებმა არაბს მადლობა გადაუხადეს მეგობრული დახმარებისათვის. წაიყვანეს აქლემი და ეს თვრამეტი აქლემი გაყვეს ისე, რომ უფროსს ნახევარი ერგო, ე. ი. ცხრა აქლემი, საშუალოს — ერთი მესამედი, ე. ი. ექვსი, ხოლო უმცროსს — ერთი მეცხრედი, ე. ი. ორი აქლემი. მას შემდეგ რაც თითოეულმა მათგანმა თავისი აქლემები გაიყვანა განზე, მათდა გასოცრად, ერთი ზედმეტი დარჩა, ეს ერთიც თავის ძველ მეგობარს დაუბრუნეს. „ქველ ქებას ახალი ქება-დიდება შეუერთეს“.

ბატონი კონიერი ასეთ მეგობრულ სამსახურს საუკეთესოდ თვლიდა, რადგან ეს განსაკუთრებულ მსხვერპლს არ მოითხოვს.

### ზვიგენები რომ ადამიანებად იქცნენ

— ზვიგენები რომ ადამიანებად იქცნენ, ხომ უფრო გულმოწყალენი იქნებიან პატარა თევზების მიმართ? — ჰკითხა ბატონ კონიერს სახლის პატრონის პატარა გოგონამ.

— რა თქმა უნდა, — უბასუხა ბატონმა კონიერმა. — ზვიგენები რომ ადამიანებად იქცნენ, პატარა თევზებისათვის ზღვაში უზარმაზარ ოჩხებს გააშენებენ, სადაც საკმაოდ იქნება მცენარეული საკვებიც და ხორციც. იმაზედაც უზრუნებენ, რომ ოჩხებში მუდმივად იყოს ახალი წყალი და საერთოდ, ჩაატარებენ ყველა აუცილებელ სანიტარულ ღონისძიებას. თუ, მაგალითად, რომელიმე თევზი ფარფლს დაიზიანებს, ჭრილობას სასწრაფოდ გადაუხვევენ, რათა არ მოკვდეს და დროზე ადრე არ დაუძვრეს ზვიგენს. თევზები შავ ფიქრებს რომ არ მიეცნენ, დროდადრო მოეწყობა წყლის გრანდიოზული ზვიგენები, ვინაიდან მხიარული თევზები მელანქოლიურებზე უფრო გემრიელები არიან. რასაკვირველია, დიდ ოჩხებში სკოლებიც მოეწყობა. ამ სკოლებში ზვიგენები პატარა თევზებს ასწავლიან, თუ როგორ უნდა შესცურონ პირდაპირ ზვიგენის ახლაში. მაგალითად, გეოგრაფია გამოდგება იმ ადგილების საჩვენებლად, სადაც ზანტად ნებივრობენ დიდი ზვიგენები. მაგრამ, რა თქმა უნდა, მთავარი მაინც პატარა თევზების მორალური აღზრდა იქნება. მათ ასწავლიან, რომ პატარა თევზებისათვის იმაზე დიდებული და მშვენიერი არაფერია, ვიდრე სიხარულით თავის შეწირვა, რომ პატარა თევზს უნდა სჯეროდეს ზვიგენების, განსაკუთრებით მაშინ, როცა ესენი ამბობენ, რომ მშვენიერი მომავლისათვის ზრუნავენ. პატარა თევზებს ჩააგონებენ, რომ ეს მომავალი უზრუნველყოფილი ექნებათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მორჩილებას ისწავლიან და რომ ყველაზე მეტად პატარა თევზები უნდა მოერიდონ ყოველგვარ მდაბიო, მატერიალისტურ და ეგოისტურ გავლენას. თუ რომელიმე მათგანი თავისუფალ აზროვნებას მაინც გამოამჟღავნებს, სხვებმა ეს ამბავი დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ ზვიგენებს. თუ ზვიგენები ადამიანებად იქცევიან, რასაკვირველია, ომსაც გამართავენ სხვა თევზებისა და ოჩხების დასაპყრობად. აომებენ საკუთარ პატარა თევზებს, შეაგნებინებენ, რომ მათსა და სხვა ზვიგენების პატარა თევზებს შორის უდიდესი განსხვავებაა. გამოაცხადებენ, როგორც ცნობილია, ყველა თევზი მუნჯია, მაგრამ ღუმან სხვადასხვა ენაზე

და ამიტომ არ შეუძლიათ ერთმანეთის გაგება. ყოველ თევზს, რომელიც ომის დროს სხვა ენაზე მდუმარე რამდენიმე თევზს მოკლავს, ზღვის ბალახის ორდენს ჩამოჰკიდებენ და გმირის წოდებას მიანიჭებენ. ზვიგენები რომ ადამიანებად იქცნენ, მათ, რა თქმა უნდა, გაუჩნდებათ ხელოვნება. გაჩნდება სურათები, რომლებზედაც ზვიგენთა კბილები დიდებული საღებავებით იქნება შესრულებული, ხოლო ხახები ბალების მსგავსად. ზღვის ფსკერზე ზვიგენები უჩვენებენ, თუ როგორი სიხარულით მიცურავენ გმირი თევზები ზვიგენის ხახაში. მუსიკა ისე სასიამოვნო იქნება, მისი პანგები ისე მომხიბლველი, რომ ორკესტრის წინამძღოლობითა და საუკეთესო ფიქრებით მიძინებული თევზები უცნობით გაემართებიან ზვიგენის ხახისაკენ. ზვიგენები რომ ადამიანებად იქცნენ, რა თქმა უნდა, გაჩნდება რელიგიაც. ის ასწავლის თევზებს, რომ მათთვის სამღვილი ცხოვრება მხოლოდ ზვიგენის მუცელში დაიწყება. ზვიგენები რომ ადამიანებად იქცნენ, გაქრება ის თანასწორობა. რომელიც ამჟამად თევზებს შორის სუფევს. ზოგი მათგანი მიიღებს ჩინს და წვრილფეხობის შეჭმის უფლებას მოიპოვებს. ზვიგენებს ეს მხოლოდ სიამოვნებას მოჰგვრის, რადგან ასე უფრო დიდ ლუკმებს მიიღებენ. მსხვილი, მოხელე თევზები ეცდებიან სხვა ღანარჩენებს შორის წესრიგის დამყარებას. ესენი იქნებიან მასწავლებლები, ოფიცრები, ოჩხების მშენებელი ინჟინრები და ა. შ. ერთა სიტყვით, მხოლოდ ქაშინ გაჩნდება ზღვაში ნამღვილი კულტურა, როცა ზვიგენები ადამიანებად იქცევიან.

## კალენ თანარი

თურქულიდან თარგმნა  
ლია ჩლაიძემ

# ე უ ქ ი მ ი რ ი

თითქმის არც ერთ გამოფენა-ბაზრობას არ ვაკლდები—სურათების იქნება, ქანდაკების, კერამიკის თუ ხელსაქმის ნიმუშებისა. თქვენ გგონიათ ვყიდულობ რამეს? — როგორ ვეკადრებათ! მხოლოდ მივდივარ. გულმოდგინედ შევჩერებივარ გასაყიდად გამზადებულ ნივთებს და სიბრაღულით გული მეთუთქება ხოლმე. განსაკუთრებით უკვე გაყიდული ნივთების დანახვაზე მიკვდება გული. ცალკე რომ გადასდებენ სურათს, ნოხს, ლარნაკს და თანაც მყიდველის მისამართს მიაკიდებენ, აქაო და სხვა აღარაფერ მოიხიბლოსო, ბოლშა მახრჩობს. მე თუ მკითხავენ, ნაყიდ ნივთზე საკუთარი იარლიყის მიკერება, ვისიც არ უნდა იყოს იგი — ადვოკატის, ინჟინრის, მოიჯარადრის, ექიმისა თუ ვაჭრის — მეტიმეტი პატივმოყვარეობაა. თითქოს უნდათ გითხრან: „ამ ლარნაკს ხედავ, ჩემი საღარბაზო ბარათის გვერდით რომ დევს, ის მე ვიყიდე. ძმაო, მე, მშენებლობის მოიჯარადრემ, მაქანშა და მავანშა, ჩემი მისამართი ბარათის მარცხენა კუთხეში წერია: აიასფაშა, გუნურის სახლის ესა და ეს სართული, ჩემი ტელეფონის ნომერია ოთხმოცდაცხრამეტი ათას ცხრაას ოთხმოცდათექვსმეტი. ლარნაკი უკვე ჩემია, წავიღებ შინ და რომელი ყვაფილიც მომეპრიანება, იმას ჩავდებ, უკვე ჩემია და ძალიანაც რომ მოინდომო, ვეღარ იყიდი, ეფენდი, ინანე და იწყველე თავ-ბედი“.

აი, ის ლარნაკიც გაიყიდა და მე დარდით აღარა ვარ: „რატომ აღრე არ მოვედი, რატომ არ ვიყიდე, ვიდრე სხვა დაეპატრონებოდა? აკი კიდეც დავაპირე, და მერე რატომღა გადავიფიქრე? ახლა იმ ღვთის გლახამ იყიდა და შენ იწუხე, რამდენიც გენებოს.

არადა, გუშინწინ გვერდით რომ ჩავუარე, ჯერ კიდევ უპატრონო იყო და ამიტომ ზედაც არ შევხედე. არც მის სილამაზეს მოვუხიბლივარ და არც სხვა რომ ღირსებას. თუმცაღა, რომ მომწონებოდა, მაინც არ დავაცხრობოდი. ვიტყვოდი, აქ არა დგას? როცა მინდა, ვიყიდი, რა მეჩქარება-მეფუჭე გამოფენის პატრონიც მაძალებდა: დამიჯერე, ძმაო, იყიდე, საცოდაობა გეხდება, ვინც ვინმეს ჩაუვარდეს ხელში, ამის ყალბი არ გაეგებოდესო. საბრალო ლარნაკიც თითქო მოუთმენლად ელოდა, როდის ვიყიდდი. მაგრამ რაკი მაძალებდნენ, თავპატიუს ვიდებდი, ათას სისულელეს ვიმიზეზებდი: „ცოტათი გახუნებულია, თანაც ნაპირები დამაშრულა აქვს, როგორც კი წყალს ჩავასხამ, საღებავი დასკდება და ასძვრება, გამოუწვავია, ერთ-ორ წელიწადში ლაქიც აღარ შერჩება“.

იმ ლარნაკს რომ აქებდნენ და ისიც მუდარით შემომჩერებოდა — „ნურავის დაუთმობ ჩემს თავსო“, დრო ვიხელთე და იქაურობას გავეცალე. გუნებაში თავიც ვიმართლე: „მაინც ვერ ვიყიდდი, თვის ბოლოა და ფული არა მაქვს“.

გაუშარჯოს თავისუფლებას!



კარგი ერთი, დაანებე თავიო, — მეტყვიო, მაგრამ შემძლია? იცის კია იმ მყიდველმა ლარნაკის ყალბი, — ვწუხვარ ჩემთვის. შესაფერ ადვილზე მაინც დადგამდეს. ნახეთ, ნახეთ, ხელში დაჭერაც ვერ მოუხერხებია. ისე უჭირავს, როგორც წერა-კითხვის უცოდინარს გაზეთი. საბრალო ლარნაკი! სადაც არ უნდა დადგას, ყველგან ზედმეტი გამოჩნდება. მერე როგორი სიფრიფანაა, ბროლივით არის. ის ოხერი რას მოუვლის? ისედაც ბზარი ჰქონდა და ახლა სულაც გატყდება და ეგ არის!

მე რომ მეყიდა, ციმციმ წავიდებდი. საწერ მაგიდაზე დავდგამდი. თვალის ჩინავით მოვუვლიდი, შიგ ყვავილებს არ გამოვლევდი.

ერთი ხელის გაწვდენა და ლარნაკი ჩემი იქნებოდა, მაგრამ ნებით ვაქციე ზურგი და სხვას დავუთმე. ახლა კი ისეთი გრძნობა მაქვს, თითქო ძალით წამართვესო.

ბოდა, ჩემი ხასიათის კაცისთვის აუქციონზე უფრო ნერვების ამშლელი სხვა რა იქნება?

რა არის აუქციონი? რაღა — გულის ხეაქა, როცა ვიღაც ასწევს თასს, ასწევს და, თუ უცებ ვერ გადაწყვიტე, თვალსა და ხელს შუა ავაცლის საქონელს. იქნებ ეს მაკავებდა, რომ აქამდე არ მიმიღია მონაწილეობა აუქციონში.

საერთოდ შურიანი არა ვარ. გოეთეს უბრძანებია, სხვათა უბედურების გაზიარებას ბევრი არა უნდა რა, საქმე ის არის, სხვისი ბედნიერება გახარებდესო: ჩემს ნაცნობ-მეგობრებს რომ ჰკითხოთ, უეჭველად გეტყვიან, რომ მე ყველაზე გულწრფელად და სულელურად მიხარია სხვების სიხარული. სწორედ სულელურად. ამ ქვეყნად, სადაც ყველა ერთმანეთსა მტრობს, ლაფში სვრის, მახეს უგებს და თვალებს უბრმავეს, ჩემს საქციელს სისულელეც ვთქმის და უფრო მეტიც.

მაგრამ სულ სხვაა აუქციონი. მე თითქოს მხოლოდ აუქციონისათვისა მაქვს შემონახული ჩემს საქმიანობაში, ჩემს ცხოვრებაში გამოუყენებელი შურის

მთელი მარაგი. ეს გრძნობა შური არც არის, მაგრამ სხვა, უფრო შესაფერი სახელი არ მოგვეპოვება და ამიტომ ვარქმევ შურს. შური ხომ ეგოიზმის შედეგია. მე კი საკუთარი თავი არც მახსოვს, ეგ არის, რომ უფროსი კაცის ხელში ჩავარდნილი ნივთი მენანება. გაგაგებინეთ, რისი თქმა უნდა? — მგონი ვერა, მაგრამ მაინც გაგაგრძელეთ ჩვენი მოთხოვნა.



მოზრდილ დარბაზში ფენის მოსანაცვლებელი აღვილიც კი არ იყო. ოფლად ვიდვრებოდი, თუმცა გარეთ საკმაოდ გრილოდა.

აუქციონერი სკამზე შემდგარიყო და გაპყვიროდა:

— ნომერი 77, ბანქოს სათამაშო მაგიდა ოთხი რბილი სავარძლით! მთლიანად პლასტიკატისა! ფასი ას თხუთმეტი ლირა, ვიწყებთ ასი ლირიდან!

მამოვიხედე. ესენი ყველანი მდიდრები ჩანან: ბეწვის საყელოიან პალტოებში გამოწყობილი ბატონები, ქურქიანი ქალბატონები, ახლადდაქორწინებულები და დანიშნულები — ოჯახის შექმნა რომ დაუპირებიათ.

ნეტა, მე რაღას გავრეულვარ ამათში?

ფვერდით კარგად ჩაცმული, ასე, თანმოცდაათი წლის ჭადრა კაცი მიდგას, პირში ჩიბუხი გაუჩრია და ისე გამოიყურება, ინგლისელი ლორდი გეგონებათ. დროდადრო ისე გადმომხედავს, როგორც ლუქს კაიუტაში მოკალათებული ბატონი გემბანას მგზავრს. თვალებით მეუბნება:

— ვინა ხარ, ვის დაპყარგვიხარ, რისთვის მოსულხარ, აღრე რატომ არ შემხვედრიხარ აქ? რამდენი გაქვს ჩიბუხი? გეტყობა, მყიდველი არაფრისა ხარ. ალბათ, კვირის გაზეთში განცხადება წაიკითხე და იფიქრე, ეს აუქციონი რაღააო, ადექი და მოხვედი. მოსვლით კი მოსულხარ, მაგრამ წვერი ველარ გაიპარსე? დღევანდელ დღეს წვერგაუპარსაობა გაგონილა? აი, ევროპაში კვირა დღეს სულ უბრალო მუშაც კი ზრუნავს თავის გარეგნობაზე. შენი ბედი, რომ ბევრი ხალხია და ვერა ვხედავ, როგორი ფეხსაცმელები გაცვია. ალბათ — ძველი და გაუწმენდავი. ისე, დარცხვენილი კი ჩანხარ. კარგი, რაკი მოხვედი, დარჩი, ათვალე რე აქაურობა. რაო, რა იკითხე? მე ვინა ვარ? ამას ჩემი თამბაქოს სურნელება უნდა გეუბნებოდეს. ამ თამბაქოს ინგლისში განსაკუთრებული წესით ამზადებენ — შიგ თაფლსა და ღვინოს ურევენ. გრძნობ, როგორი სურნელოვანია? ჰო, მართლა, ეს ჩიბუხი ლივერპულში ოთხ გირვანქა სტერლინგად ვიყიდე. მაშ რა გეგონა? ყველა კაცს რაიმე ხელობა აქვს. ჩვენი ხელობაც ფულის შოვნა და კეთილი ცხოვრებაა. შენ ერთი მოფილოსოფოსო ყმაწვილი იქნები. იცოდე, შენისთანები არ მეპიტნავენებია. ფულის შოვნის შნო არა გაქვს და თავს იმით იანუგეშებ, რომ ფულიანებს დასცინი და ზიზღით უყურებ. თავად რომ ჭკუა-გონება სიტყვის ჩამბაზობაზე არ გაგეფლანგა და მომგებიან საქმეს მოპკიდებოდი, კვირა დღეს ასეთი სიფაით არ გამოგვეცხადებოდი აქ. ერთი მითხარი, თუ შეგიძლია განასხვავო ერთმანეთისაგან Wilhelm Kempff-ისა და Gieseking-ის დაკრული Waldstein-Sonat-ი? მე კი შემიძლია. შენ იცი, რომ როსტბიფს სულ სხვა გემო აქვს, როცა ვერცხლის დანა-ჩანგლით შეექცევი? აბა, რა განსხვავებაა კალვადოსსა და ბრენდის შორის? ანდა, „კადილაკი“ უკეთესა მანქანაა თუ „როლს-როისი?“ ხედავ, განზრახ გაძლეე იოლ შეკითხ-

გებს. მაგრამ შენ მაინც ვერა მპასუხობ. ცხოვრების თავი და ბოლო კი სწორედ ამ მცირე ნიუანსებშია, სწორედ ამაშია, რომ განასხვავო მათი *refinement*<sup>1</sup>. მე ასეთ რამეებზე განსაკუთრებული Fingerspitzengefühl<sup>2</sup> მაქვს. გატყობ, ჩემი ნათქვამისაც ბევრი ვერა გაიგე.

შწვენივრად გავიგე. მართალი ხარ. არიან ადამიანები, რომელთაც სწორედ შენისთანა მილიონერები ეჯავრებათ — განათლებულები და დახვეწილები, რომ იციან, როგორ ჩაატანონ გემო ცხოვრებას. თორემ სხვებს გულგრილად უყურებენ. „შერე რა, რომ მილიონერია, მაინც ხეპრეაო“, ფიქრობენ.

მაგრამ ნუ გეშინია, ჩემო გაევროთბიელებულო მეგობარო, მე არც განათლებული მილიონერი მეჯავრება და არც გაუნათლებელი.

ამასობაში კი აუქციონერი, რომელსაც სახელად ფორთოხალი რქმევაა, გაპყვირის:

— ნომერი 78! ამერიკული ტექნიკის საოცრება! მონტგომერის მარკის ავტომატური დივან-საწოლი სათადარიგო ლეიბებით. 800 ლირა ღირს. 700 ლირიდან ვიწყებთ!

— შვიდასი!

— ათი!

— თხუთმეტი!

— ოცი!

— შვიდას ოცი!

— ოცდაათი!

— ორმოცი!

— ათ-ათი მოვუმატოთ, ბატონებო, სწრაფად, სწრაფად!

— ორმოცდაათი!

— სამოცი!

— შვიდას სამოცს ვიძლევი!

— ოთხმოცდაათი!

— აი, ყოჩაღ!

— ოთხმოცდათხუთმეტი!

— ას ათი!

— რვაას ათზე ვართ!

— რვაას ოცდახუთი.

— ოცდაათი!

— ოცდათხუთმეტი!

— რვაას ოცდათხუთმეტი! მონტგომერის სავარძელი... იშლება... საწოლადაც გამოიყენება.

— რვაას ორმოცი!

— სამოცი იყოს!

— სამოცდაათი, ოჰ, შენა ხარ, გამარჯობა, ალბერტ ბეი!

— გაგიმარჯოს.

— სამოცდათხუთმეტი!

<sup>1</sup> დახვეწილობა (ფრ.).

<sup>2</sup> ალღო (გერმ.).



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

- ოთხმოცი!
- ოთხმოცდაათი!
- ოთხმოცდათხუთმეტი! როგორა ხარ, ჰაფიზ?
- კარგად, შენა?
- ცხრაასი!

— ცხრაას ათი! — იყვირა ვიღაც მსუქანმა თმააბურძგნილმა კაცმა.  
 — ცხრაას ათი! კიდევ ხომ არავინ მოუმატებს?

— ცხრაას ათი, ერთი! ცხრაას ათი, ორი! ვყიდი! ვყიდი! ჰიქმეთ ბეი, თქვენ ხომ არ ინებებთ?

ჰიქმეთ ბეი, ეს ინგლისელი ლორდი ყოფილა, ჩემს მეზობლად თავლიან თამბაქოს რომ ეწეოდა. ყველა მას მიაჩერდა.

— გნებავთ, ჰიქმეთ ბეი? ვყი...

ჰიქმეთ ბეიმ უსიტყვოდ შეათამაშა მარცხენა წარბი. ამით ანიშნა, ასწიე ფასიო.

- ცხრაას ოცი!
- ამჯერად ყველა თმააბურძგნილ კაცს მიაჩერდა, ისიც სულ გაიფოფრა:
- ცხრაას ოცდაათი! — იყვირა რაც ძალი და ღონე ჰქონდა.

აუქციონერმა ჰიქმეთ ბეის გადახედა. მანაც ისევ შეათამაშა მარცხენა წარბი: „აუწიე!“

— ორმოცი! — ყვირის აუქციონერი და ისე უხარია, თითქო თავად მოემატებინოს ფასი.

— ორმოცდაათი! — ყვირის თმააბურძგნილი, თან მამლის ბიბილოსავით წითლდება. ჰიქმეთ ბეი მარცხენა წარბს ათამაშებს.

— სამოცი! — აცხადებს აუქციონერი.

თმააბურძგნილს ნერვები დალატობს. ძლივს იკაეებს თავს და კბილებშუა ცრის:

— გაუშვი, წაიღოს!

მონტგომერის სავარძელი ჰიქმეთ ბეის დარჩა. ეტყობა, გამოცდილი კაცია — როგორ მშვიდად გადაიტანა ბრძოლა, როცა თმააბურძგნილი ნერვიულობისაგან მთლად გალურჯდა, როგორ სათითაოდ ჩამოიცილა მეტოქეები და პირისპირ დარჩა იმასთან, ვინც ყველაზე მეტად შეეპყრო გამარჯვების წყურვილს. როგორ თვალეებში შესჩერებოდნენ აუქციონერები. მისი მეტოქე რომ მთელი ძალ-ღონით იჭაჭებოდა, ჰიქმეთ ბეი ოღნაევ ათამაშებდა მარცხენა წარბს და ისე ანიშნებდა „აუწიე“, „ადი“. არც მერე გამოუხატავს აღტაცება ან სიამაყე, როცა გაიმარჯვა. გულგრილად ჩაუთვალა ფორთოხალს სამასი ლირა. მერე რაღაც უჩუჩუღა და წავიდა. თურმე, ამ სავარძლის საყიდლად ყოფილა მოსული.

ჰიქმეთ ბეი აქაურობის ხშირი სტუმარი უნდა იყოს. მას სახელით მიმართავენ, იციან რა უნდა, რა არა.

დაკვირვებული ვარ: აუქციონში სწორედ ასეთი უხმაურო, თავის თავში დარწმუნებული ხალხი იმარჯვებს. მათ კარგად იციან, რა იყიდონ და რამდენი გადაიხადონ.

ერთბაშად თვალი მოგკარი ვიღაც ფუნთუშა ქალს, რომელიც ჩემს პირდაპირ კედელთან იდგა და ილიმებოდა. მგონი, მე მილიმის. მგონი კი არა, ნამღვი-

ლად. ჰიქმეთ ბეი რომ აქ იყოს, ვიფიქრებდი, ეს ღიმილი მას ეკუთვნის-მეთქი. მოვბრუნდი, ჩემს უკან მდგომნი შევათვალიერე. ისინი სულაც ვერავის ამჩნევენ. ქალს ჩემს საქციელზე გაეცინა და მომესალმა. საღამოზე ვუპასუხე და... ღმერთო ჩემო! ახლავ ვიცანი, ის არის, ნამდვილად ის არის! საღამოზე რომ გვხვდებოდნენ, ჩემს დიასახლისს ერთი გოგონა ჰყავდა. ფაქრუნისა, ნურუნისათუ რაღაც ამღაგვარი ერქვა. აი, თურმე, კაცს პირველი შეხვედრისას უნდა იცნო, რომელიც კი ავიწყდება! ერთხელ კიდევ შევხვდი ათი წლის წინათ — მისი მამა, როგორი წერწეტა გოგო იყო. ახლა მთლად კასრს არ დამსგავსებია?!

ჩამოვსხდებოდით ხოლმე ნავმისადგომის კიდეზე და ერთმანეთს სენტიმენტალურ ლექსებს ვუკითხავდით. მეოცნებე გოგონა იყო.

— მინდა, ჩემი ქმარი ავადმყოფი იყოს, მე სასთუმალთან ვუჯდე და ვუვლიდეო, — იტყოდა ხოლმე. ნეტავი, მართლა ავად რომ გაუხდეს ქმარი, ერთ ჰიქა წყალს მაინც თუ მიაწვდის ეს ქალი? თუმცა ამის ქმარიც ავად იოლად არ გახდება, ალბათ, ისიც ლოყებლავლაყა და მომღიმარი კაცია. ფაქრუნისას ხელებზეც ეტყობა, რომ დიდი ჯაფა არ უნდა ადგეს. ნამდვილად მზარეული ჰყავთ. იქნებ სულაც რესტორანში სადილობენ.

ჩემი ფუნთუშა სატრფო ისევ მაღიზის. ასეთი ჭყლეტა რომ არ იყოს, უეჭველად მომიახლოვდებოდა. გვერდით ყმაწვილი ქალი უდგას. რაღაცას მანიშნებს მასზე. ნახეთ, თუ მასი ქალიშვილი არ იყოს! ათი წლის წინათ რომ შემხვდა, პატარა გოგონა ახლდა. ეჰ, კაცი თურმე მაშინ მიხვდება, რომ დაბერდა, როცა პირველი სატრფოს გასათხოვარ ასულს იხილავს!

ჩემმა ყოფილმა სატრფომ თავისი ქალიშვილი ჩემკენ მოახედა. მანაც ყურადღებით შემათვალიერა და თავაზიანად გამიღიმა. ფაქრუნისა მრავალმნიშვნელოვნად მიყურებს. ორმოცს მიღწეული იქნება, მაგრამ მის თვალებს ძველებური სხივი ისევ შემორჩენია.

თვალეებით ვესაუბრებით ერთმანეთს.

— გახსოვს?

— რა დამავიწყებს.

— აი, შე...

— არც შენ იყავი ნაკლები, ჩემო ფაქრუნისა.

ფაქრუნისას ცალი თვალი მტვერსასრუტისკენ უჭირავს — ეშინია, მისი გაყიდვა არ გამოეპაროს.

უკვე ძალიან ვნანობ, რაღა მაინცადამაინც დღეს ვარ წვერგაუპარსავი და მოუწესრიგებელი. აი, შევხვდი თუ არა ძველ სატრფოს! შეიძლება, კაცი მართლაც ისვენებს, როცა თავისუფლად აცვია. წვერს გაიპარსავს თუ არა, ესეც მისი ნებაა, მაგრამ იქ, სადაც მოსალოდნელია ძველ სატრფოსთან შეხვედრა, უეჭველად გამოწკეპილი უნდა მივიდეს. თუნდაც იმისათვის, რომ სატრფოს ლამაზ მოგონებებს ჩრდილი არ მიაყენოს, წარსული სანანებლად არ გაუხადოს. მის ქმარზე უკეთესად თუ არა, უარესად მაინც არ უნდა ეცვას, თმაჭაღარა, მოხუცი და ჯანგაჭეხილი არ უნდა ჩანდეს. სიბრალულს არ უნდა იწვევდეს.

ფაქრუნისას, რასაკვირველია, ვებრალები. ეჰ, ეს კაცებიო, ფიქრობს გუნებაში ჩემი საღაჯაწელი მშვენიერი, დახვთ, რა უსაქმურად დაეხეტება, რას დამსგავსებია, წვერიც მოუშვია. მე რომ შევერთე, გზაზე დავაყენებდი, ავად



თუ გახდებოდა, მოვუვლიდი (აკი ვითხარით, სულ ავადმყოფის მოვლას ოცნებობდა), არადა, ამის ამ დღეში ჩავდება ჩემი ბრალიც უნდა იყოს. ალბათ, სხვას რომ გავყვევი, იმიტომ აიყარა ცხოვრებაზე ვული.

თავის ასულს ჩემზე რაღაცას ეუბნება. ასულიც თანაა. უნდა კი ხელით მანიშნებს, „ნახე, ჩემი შვილი, საცაა ჩემსიძალღე გახდებოდა“.

— ღმერთმა გაჩუქოს, ჯეირანივითაა, შენი შვილიცაა.  
 — ოპ, შე ყბედო, შენა, — მპასუხობენ მისი თვალეზი და ისევე მტვერსასრუტს უბრუნდებიან.

- ერთი, — ამბობს ჩემი სალაჯაქელი სატრფო.
- ასოცი, — ამბობს აუქციონერი და ჩემი სატრფოც მაშინვე უმატებს:
- ერთი.
- ას ოცდახუთი.
- ერთი, — კვლავ ყვირის ფაპრუნისა.

ესეც ტაქტიკაა. მაგრამ ჰიქმეთ ბეისთან სად მოვა. არც მასავით ათ-ათს უმატებს, არც წარბებით ანიშნებს — ყვირის, რაც შეუძლია. ისე, კარგა ძუნწი ჩანს. უცებ გამოაცხადა.

- არა ვყიდულობ, წაიღონ.
- ახლა სხვები უმატებენ:
- ას სამოცდათხუთმეტი!
- ოთხმოცი!
- ოთხმოცდახუთი!
- ოთხმოცდაათი!

ერთბაშად კვლავ ჩაერია:

— ერთი!  
 აკი აღარ ვყიდულობო? თავი მოაჩვენა, ვითომ აღარ მინდაო და მეტოქეებს სიქა გააცალა. ესეც საქმის ცოდნაა.

ასე იყო თუ ისე, მტვერსასრუტი მას დარჩა, ყოჩაღ ფაპრუნისა! ესეც ჰიქმეთ ბეისნაირი მყიდველი ყოფილა — მტკიცე გადაწყვეტილების პატრონი. მერე რა, რომ სხვადასხვა მეთოდებით ხელმძღვანელობენ. მთავარი შედეგია. ფაპრუნისამ ჩანთა გახსნა და ბე გადაიხადა. თან აქეთ-იქით მიმოიხედა, აბა, თუ მაყურებენო. სწორედ რომ ვალის<sup>1</sup> ცოლია. აღმოსავლეთის რომელიღაც პროვინციის ვალის ცოლი. მის ამპარტავნობას ოდნავადაც ვერ ანელებს ვერც ყალბთვლიანი ბეჭედი და ვერც ყურებში გაყრილი იაფფასიანი საყურეები.

აუქციონერი სკამიდან ჩამოხტა. უკვე შეიძლება მეორე ოთახში გასვლა. იქ მცირეგაბაროტიანი ავეჯი გაიყიდება.

- ჩემმა ფუნთუშა სატრფომ დრო იხელთა და მომიახლოვდა.
- რა მოულოდნელი შეხვედრაა!
- მართლაც.
- რა ხანია ერთმანეთი არ გვინახავს.
- ათი წელია, საერთოდ კი თხუთმეტი წელი იქნება, რაც აღარ შევხვედრავართ.

<sup>1</sup> ვალი — თურქულში პროვინციის (ვალაიეთის) მმართველი.

— რას მეუბნებით? ეჰ, როგორ მიდის დრო! თითქო გუშინ იყო.

— მან!

— კიდევ წერთ ლექსებს?

— რას ბრძანებთ, რაღა დროს ლექსებია.

— იქნებ შთაგონების წყარო დაგიშრათ, — მკითხა ფაპრუნისამ და თან

პომაღით მოთხუპნული კბილები გამოაჩინა.

ესეც ჩემი შთაგონების წყარო!

— ალბათ.

დავაპირე დამემატებინა, რაკი ვნახეთ, ალბათ ისევ დავიწყებ-მეთქი ლექსების წერას, მაგრამ გათხოვილ ქალს, თანაც ამხელა ქალიშვილის დედას ველარ გავუბედე.

ქალიშვილმა კი ამასობაში ვიღაც ნაცნობი ნახა და მხიარული მუსაიფი გაუბა. ეტყობა, ახლანდელი გოგოებივით, ესეც გვარიანი ქარაფშუტაა.

— დადინართ ჩვენს მხარეში? — მკითხა ფაპრუნისამ.

— არა, მას შემდეგ აღარ ვყოფილვარ.

ჩემდაუნებურად ხმაში ინტიმური ტონი გავურიე.

— რატომ? — მკითხა მან და ხელოვნური წამწამებით დამშვენებული თვალები მოწყურა. ჰგონია, მეტს ველარ გავუძლებ — მივუხვდი ნაფიქრს.

ახლა საჭიროა ამოვიოხრო და იმავე ტონით ვთქვა: „არ ვიცი“. ასეც მოვიქეცი.

— ალბათ, ძველ მოგონებებთან დაბრუნებისა მეშინია.

აი, კიდევ ერთი ნაწყვეტი სამამულო კინოფილმიდან. მაგრამ ფაპრუნისას გული აუჩუყდა. ისე აუჩუყდა, რომ...

— ფამოგიტყდებით, მეც ხანდახან ამასვე ვგრძნობ.

შემეშინდა, არ დაიწყოს ახლა გულის გაღაშლა-მეთქი. მივხვდი, რომ დრო იყო ამ სენტიმენტალურ საუბარში მტვერსასრუტი ჩამერთო.

— ძალიან იაფად კი ჩაიგდეთ ხელში მტვერსასრუტი.

ფაპრუნისა უცებ გამოერკვა.

— გასულ კვირას ბევრად იაფად გაიყიდა. ისე, ცოტათი მომატყუეს, მაგრამ რას იზამ, გენაცვალე. ამერიკელებმაც გვარიანად ისწავლეს ბაზრის კურსი. ადრე აქ რა ნივთებს არ წააწყდებოდით!

ეტყობა, ფაპრუნისასაც არ აკლია გამოცდილება. ვინ იცის, შეიძლება აქ იაფად ყიდულობს და სხვაგან ძვირად ყიდის. ზოგი მოხერხებული ქალი ამა-საც არ ერიდება. მგონი მიხვდა, რაც გავიფიქრე.

— ფუსუნს ვათხოვებთ, — მითხრა ჩემმა სალაჯაქელმა სატრომომ, — რაღაც-რაღაცებს ვუმზადებთ. მაცვივარს ვეძებ. აქ იყო, მაგრამ ნახმარი. ნიზამეთინი ამბობს, ახლა ვიყიდოთო, მაგრამ ისე ვაძვირდა, რომ... რაღაც თუნუქის ყუთია და ცეცხლის ფასი ადევს. მე ძველი მიჩვენია. თქვენ რას ყიდულობთ?

— მე? მე ლერწმის ხის... ჰო, ერთი გარნიტურია ლერწმის ხისა, ვიფიქრე, ვნახავ-მეთქი.

სად მე და სად ლერწმის ხის გარნიტური! მაგრამ იმ წუთში ჩემს ღირსებას ასეთი ტყუილი სჭირდებოდა. უფრო სწორად, ჩემსას ისე არა, როგორც ფაპრუნისას ღირსებას, დიახ, სწორედ ფაპრუნისას ღირსებას.

— მაგრამ არ მომეწონა, — სხვა გზა არ იყო, ასე უნდა დამემთავრებინა უკვე ნათქვამი ფრაზა.

— მართალი ხართ, — მიბასუხა ჩემმა ფუნთუშა სატრფომ, — დიდი არაფერია. მეც არ მომეწონა. გასულ კვირას ინჟინერმა ილკამი ბერმ და მისმა ცოლმა ძალიან ლამაზი ბამბუკის გარნიტური იყიდეს. სხვას ვინაფერს ყიდულობთ?

— არ ვიცა, ვფიქრობ.

თვის ბოლომდე ათი დღეა და ჭიბეში სამოცდათერთმეტი ლირა მიდევს. აბა, მე რისი მყიდველი ვარ!

მაგრამ განა შემიძლია, ხელცარიელი წავიდე იქიდან, სადაც მე ფაქრუნისას და მის ქალიშვილს წვერგაუპარსავი და მოუწესრიგებელი შევხვდი. ქალს, რომელსაც თბუთმეტი წლის წინათ ვუყვარდი, მე ვერ ვერვინები უსაქმურ ავარად, ამერიკულ აუქციონზე კვირა დღეს ღროის მოსაკლავად რომ მოსულა. მაგრამ რა ვეყო, რა?

მე ვერ ვიყიდი „რევერის“ მარკის რადიოლას, რომელიც ორიათას შვიდასი ლირა ღირს. ვერც „გიბსონის“ შვიდფეხა მატივარს 2500 ლირად, ვერც ორიათას ლირიან საწერ მაგიდას და ვერც სამფეხა სავარძელს 1.500 ლირად; ვერც გასაშლელ დივან-საწოლს, ათასი ლირა რომ ღირს; ვერც ვერცხლის დანა-ჩანგალს, ბროლის ჭიქებს და სევრის ფაიფურის სადილის სერვისს ვიყიდი.

დიდა-დიდი კლასიკური მუსიკის ერთ-ორი ფირფიტის ან რამდენიმე წიგნის ყიდვა შევძლო. ამ ნივთების პატრონი ამერიკელია, თანაც საქმოსანი. მის ბიბლიოთეკაში უეჭველად იქნება დეილი ქარნემის წიგნები. დავუკრავ ფირფიტებს და ვისწავლი, როგორ გავარჩიო ერთმანეთისაგან Wilhelm Kempff-ი და Gieseking-ი, გადავშლი წიგნებს და თავიდან მოვიშორებ ტვინის ჭყლეტას, ვისწავლი, როგორ მოვახმარო ჭკუა-გონება სარფიან საქმეს, რომ გავმდიდრდე და ერთი წლის თავზე აქ გასართობად კი არ მოვიდე, არამედ მონტგომერის სავარძლის, ბამბუკის გარნიტურის, მატისის მიბაძვით დახატული სურათების საყიდლად.

ღიახ, რამე უნდა ვიღონო, უნდა გავერიო აუქციონში და ვიყილო რამე, რაზეც ფული მეყოფა. მაგრამ ამ ღროს ყური მოვკარი, რომ ფირფიტები ბითუმად გაიყიდებოდა, ასე რომ, მისი ყიდვის იმედოც გადამიწყდა.

დაიწყეს წიგნების გაყიდვა.

ფორთოხალმა გამოაცხადა:

— ლიტრეს ხუთტომიანი ლექსიკონის ბოლო გამოცემა! სამოცი ლირა ღირს. ორმოცდაათიდან ვიწყებთ!

კარგა ხანია ლიტრეს ლექსიკონს ვეძებ. ახლა ვიყიდი და ერთი გასროლით ორ ჩიტს მოვკლავ.

— ორმოცდათხუთმეტი! — დავიძახე. ჩემი ხმა ჩვეულებრივზე ძლიერი მომეჩვენა. ყველამ მე შემომხედა. ხუმრობა საქმეა, აქამდე ჩუმად იდგა და ახლა რამხელა იყვირა. ცუდად ჩაცმული კია, მაგრამ რას გაიგებ. ზოგჯერ სწორედ ასეთი შეუმჩნეველი ვარეგნობის ადამიანები არიან, გაფრენილ წეროს თვალს რომ გამოსთხრიან ხოლმე. ნეტა ვინ არის? მდიდარი არ უნდა იყოს. ფულიანი თუა, წელან რომ სამი ათას ცხრაას ლირად სასადილო ოთახის გარ-

ნიტური გაიყიდა, ის ვერ იყიდა? რას ჩააცვიდა ამ ლექსიკონს, ლამაზი მაინც იყოს. ვითომ ანტიკვარული რამეა? ნამდვილად ბუკინისტი იქნება.

— იძლევიან ორმოცდათხუთმეტ ლირას. ღირს სამოცა, ხუთტომიანთ ლექსიკონი!

— სამოცი! — დაიძახა ვილაცამ.

— სამოცდახუთი! — მივაწვდინე ხმა.

გავონდებათ, კინოფილმებში რომ არის ხოლმე — ვინმე ბმებზე ~~სამო-~~ რგებს, დაიხვავებს წინ და უცებ გამოაცხადებს, ერთ მილიონ ფრანკს ჩამოვდივარო, კაცება შურით უყურებენ, ქალები — ალტაცებით. მეც აქეთ-იქით არ ვიხედები, მაგრამ ვგრძნობ, რომ მიყურებენ. ერთი წამით ჩემი ფუნთუშა სატრფოს სიყვარულით გამთბარი მზერაც დავიჭირე და კვლავ გავაბით თვალებით საუბარი.

— პოეზიის ინტერესი აღარ შეგრჩენია, მაგრამ, ვეტყობა, ლექსიკონები ძველებურად გიტაცებს.

— რა ვქნა, ჩემო ფაჭრუნისა, რაც შენ წახვედი, სხვა რაღა დამრჩენია?

— სამოცდაათი! — დაიძახა ამ დროს ვილაცამ. თითქოს პატარა ჰიქმეთ ბეიდ ვიქეცი. აუქციონერმა ჩემი სახელი არ იცის, მაგრამ ფასის ყოველ მომატებაზე მეც ისე შემომჩერებია, როგორც ჰიქმეთ ბეის მისჩერებოდა ხოლმე. მის თვალში მე ჰიქმეთ ბეი ვარ და იმედს ვერ გავუცრუებ:

— სამოცდათერთმეტი!

— თორმეტი.

— ცამეტი.

— თხუთმეტი.

— ოთხმოცი! — დავიძახე მე.

— ოთხმოცი! — გაიმეორა აუქციონერმა, თან მოწიწებით გაღმომხედა.

— ოთხმოცი, ვყიდი ვყიდი გავ... და სიტყვა შუაზე გააწყვეტინეს.

— ოთხმოცდაათი! — დაიძახა ვილაცამ უკანა რიგებიდან. ყველანი მისკენ შებრუნდნენ. ეს იყო ერთი ჰაჯა აღასავით<sup>1</sup> კაცი, რომელიც გაზეთსაც კი ვერ წაიკითხავდა ხეარიანად. ლექსიკონი რაში უნდოდა, მაგრამ დაინახა, ფასს ვუწევდით და იფიქრა, რამე ანტიკვარული ნივთი არ იყოს და ხელიდან არ წამივიდესო.

მთელი ჩემი ცხოვრება ასეა: — ვყიდი! ვყიდი! — ყვარის აუქციონერი და ის არის უნდა დაიძახოს გავყიდეთ, რომ ვისიმე უხეში ხმა შეაწყვეტინებს: — ოთხმოცდაათი! და პარში ჩალაგამოვლებულა ვრჩები. ყველანი ბედნიერს მისჩერებია. ისიც, თუმცა წერა-კითხვა არ იცის, თვალსა და ხელს შუა მაცლის წიგნებს, რომლებზედაც წლები მიოცნებია და რომლებიც უკვე ჩემად დამიგულებია. წაიღებს, მაგრამ განა წასაკითხად უნდა? არა, ხან კარს დაუღებს, ხან იატაკზე ერთმანეთზე დაალაგებს და ზედ შედგება, რომ თაროს მისწვდეს.

<sup>1</sup> თურქული ფოლკლორის კომიკური პერსონაჟი.

ჩემი ფუნთუშა სატრფო და მისი ქალიშვილი გვერდით მიდგანან. ძალზე დამწუხრებულები არიან.

მაპატიე, ფაპრუნისა, ორმოცდაათი ღირა რომ კიდევ მქონდა, უეჭველად ვიყიდდი. სამოც ღირიან ლექსიკონში ორასსამოცსაც გადავიხდიდი, ოღონდ შენ გავხარებოდა. მაგრამ რას იზამ, თვის ბოლოა.

ლიტრეს ხუთტომიანი ლექსიკონი კი ხელიდან ხელში გადავიყვანე და პაჭი აღას დაკოყრილ თითებში მოხვდა, იმანაც წამოიკიდა და წაიღო. სულ ასე შემართება: ეუწევ ფასს, ვუწევ, ბოლოს მაინც ხელცარიელი ვრჩები და რაღა ახლა გავიმარჯვებდი.

უცებ დავმშვიდდი. იქნებ ჯობდეს კიდევ, უმატო ფასი, უმატო, ბოლოს კი აღარ იყიდო და იმის სეირს უყურო, ვისაც დარჩება. აი, თუნდაც ეს ჩასუქებული ქალი, რომლის თვალში ერთხელ კიდევ დავმარცხდი იმის გამო, რომ წიგნები ვერ ვიყიდე, განა ის ნავთი არ იყო, რომელსაც მე ფასი ავუწიე, ავუწიე და მერე სხვას დავუთმე? ვნანობ? რა სათქმელია! პირიქით, ახლა მებრალება კიდევ ის მყიდველი.

ლატაკის თვითდამშვიდებაა? სულაც არა. ამ აუქციონზე ყველაზე ბედნიერი კაცი მე ვარ. მდიდარი რომ ვყოფილიყავი და ის წითელი ხის გარნიტური მეყიდა, რა გამოვიდოდა? ბეს გადავიხდიდი და აუქციონის დამთავრებას დაველოდებოდი.

ვთქვით ვიყიდე ეს მაგიდა, სკამები, ბუფეტი, ბე უკვე გადავიხადე, ფაქტურას ხელი მოვაწერე და ახლა დგას უკვე გაყიდული საქონელი, თან უაზრო მედიდურობით გაგრძნობინებს: დამინახე, ვილაც დამეპატრონა, ჩემი მომავალი უკვე განაღდებული მაქვსო.

ღიახ, რომ მეყადა, ხომ უნდა დამეცადა აუქციონის დამთავრებამდე, მერე ფული გადამეხადა და ჩემი ქონება შინ წამომეღო. მიღა და ეძებე მუშა, საბარგო მანქანა. ისინიც გაიგებენ, რომ გიჭირს და მამასისხლად დაგიჭლებს. მერე მანქანა გემით იქითა ნაპირზე<sup>1</sup> გადაიტანე. მიიტან შინ ავეჯს და ახლა იმისი დასადგმელი ადგილი ეძებე. იძულებული გახდები ძველი ავეჯი ჩალის ფაზად გადაყარო, ვიდრე ახალ ნივთებს შეეჩვევი, კარგა დრო გავა. თანდათან რამე ნაკლსაც აღმოუჩენ და ერთ მშვენიერ დღეს კიდევ ინანებ: რა ჩავიდინე, ეს რამ მაყიდვინაო.

ახლა კი თავისუფალი ვარ, როცა მინდა, გავალ აქედან და წავალ. ხელე-ბი - ჯიბეებში, ფული — ქისაში, არც მუშებთან დავა და არც მოფრებთან დავიღარაბა. ჩემი ძველი მაგიდაც კარგად მყოფნის. კაცმა რომ თქვას, ის ბუფეტიც სულ დაფხაჭნილი იყო, ის ტახტი ძალზე ჭყეტელა ჩანდა. არც საწერი მაგიდა იყო დაღი ბედენა. ლიტრეს ლექსიკონსაც უღა შემოხეული ჰქონდა.

იმის გამო, რომ არასოდეს არაფერი მიყიდია და არც არა დამიბევებია რა, ახლა ნებისმიერი ნივთის ყიდვა შემიძლია, თავისუფალი არჩევანის უფლება მაქვს და იმათზე ბედნიერი ვარ, ვინც უკვე აირჩია.

<sup>1</sup> სტამბოლს ბოსფორის სრუტე ორ ნაწილად აყოფს. ერთი ნაწილიდან მეორეში გემით გადადიან.

ამ ფიქრებში რომ ვიყავი, ერთბაშად მივხვდი — დღემდე არც ერთ აუქციონში არ გავრევეულვარ რამის ყიდვის დიდი სურვილით, არასოდეს დამიწყია ზრძოლა მტკიცე გადაწყვეტილებით — უეჭველად გამემარჯვა.

ახლა კი ნათლად დავრწმუნდი, თუ მოვინდომებდი, კიდევაც ვიყიდდი, ფასს ავუწევიდი, ვითვალთმაქცებდი, მაგრამ მაინც ვიყიდდი. მე კი მხოლოდ ფასის მომატებას ვჩერებდი, არაფერს ვყიდულობ და აუქციონებზე ვსწავლობად მოსული უსაწყმური ვარ, თუმცა ყველაფერს ხელმოცარულობასა და საღარიბეს ვაბრალებ.

ასე ფასის მომატება-მომატებაში ნივთს რომ ხელიდან ვუშვებ და მერე ვწუხვარ, დღემდე მოვეკიდე კია რამეს სერიოზულად? ერთიც ვნახოთ და, აუქციონებზემაცა და მუშტრებმაც პირი შეკრან და საქონელი, რომელსაც ფასი ავუწეი, ხელში შემატოვონ, რას ვიზამ? ვიყიდი, გამეხარდება, თუ შევედავები, როგორ თუ მასხარად მივდებთ-მეთქი?

უნდა გამოვტყდე, რომ სწორედ ასე მოვიქცევი. ასე არ ავარიდე თავი ლარნაკის ყიდვას, ასე არ ჩამოვიშორე აუქციონერი და მთელი ჩემი სიცოცხლე ასე არ ვიცოლებდი ყველა საქონელსა და ყველა აუქციონერს? და ახლა, ცხოვრების შუა გზაზე, შუა გზა რომელია, თითქმის დასასრულს, ერთადერთი ჭეშმარიტების შეცნობა მოვახერხე: მე აუქციონში მონაწილე კაცი ვარ და თუ აქამდე რამეზე ხელი მიმიწვდა, მხოლოდ ოდნავ შევხებოვარ, რათა მალევე გამეგდო ხელიდან და თავისუფლება შემენარჩუნებინა.

— ოცდახუთი!

რალაცას ყიდიან. ჩემი სალაჯაქელი სატრფო კვლავ ჩაერია:

— ერთი!

— ოცდაათი!

— ერთი!

— ორმოცი! ორმოცი!

— ერთი!

— ორმოცდახუთი! ვნებავთ, ჰაფიზ ბეი?

— რვა! — უბასუბა ჰაფიზ ბეიმ.

— არა ვყიდულობ, — თქვა ფაჰრუნისამ, — არა ღირს, წაიღოს!

— ვაჲლევ ჰაფიზ ბეის, ორმოცდაშვიდად ვყიდი, ვყიდი, ვყი...

— ორმოცდაათი! — დავიძახე მე. და არც კი ვიცოდი რა იყიდებოდა. ისევ დამიწყეს ყურება. ფაჰრუნისაც გაოცებულია. ჰაფიზ ბეი დაიბნა.

— ორმოცდათხუთმეტი!

აუქციონერმა მე ვადმომხედა.

— სამოცი! — კვლავ მოვუმატე.

— სამოცდახუთი!

— სამოცდაათი!

— ოთხმოცი!

აუქციონერი ამაყობს ჩემით. ჰაფიზ ბეი გაჩერდა, სხვა რა ვნა ჰქონდა?

ისე, სწელინგს არ გახარებია ჯო ლუისის ნოკაუტში ჩავდება, როგორც მე გამეხარდა ეს გამარჯვება.

— ვყიდი ოთხმოც ღირავ! ვყიდი! ვყიდი! ვყიდი! ვაჲ...ყი...ლე!

გაყიდე, გაყიდე, ბატონო აუქციონერო! და ჩვენც ჩვენს სიცოცხლეში  
ერთხელ მაინც ვიყიდით რამეს.

ფული გადავიხადე და ჩემი საქონელი მივიღე. თურმე რკინისფეხებიანი  
საფერფლე ყოფილა. საფერფლე ავიღე და ფაპრუნისას შორილებით ვუთხარი:

— თუ შეიძლება, მიიღეთ ეს საჩუქარი თქვენი მშვენიერი ქალიშვილისა-  
თვის.

გვიზღვირეთ

ფაპრუნისას თვალები გაუბრწყინდა:

— როგორ გეკადრებათ!

— გთხოვთ, ნუ გამაწბილებთ.

— ძალიან წუხდებით, თუმცა, თქვენ ხომ ჩემს ქალიშვილს ნათესავად  
მოხვდებით მამის მხრიდან.

— დედის მხრიდან, — გავუსწორე მე.

პირნაბრუნებ პალტოში გამოხვეული ნაღვლიანი ღიმილით გავეცალე იქა-  
ურობას. დარწმუნებული ვარ, კვლავ მოვალ აუქციონზე და კვლავ არაფერს  
არ ვიყიდი.

## თორმეტს აკლია ერთი წუთი

როგორ დამეწყო, როდის დამეწყო, არ ვიცი. ეს კი მახსოვს, ცხრა წლისა ვიყავი, ავადმყოფობის პირველი ნიშნები რომ ვიგრძენი.

სტუმრები გვყავდა. ბაღში ვისხედით. ერთმა ხანში შესულმა კაცმა საათი იკითხა. საათი არავის აღმოაჩნდა. ჩემმა სიძემ შინ შეირბინა დროის გასაგებად.

— ოთხის ოცდასამი წუთია, — წამოვიძახე მოულოდნელად. ეს სიზუსტე თავდაპირველად არავის გაპკვირვებია: თუ თვალს ადევნებ გემების მიმოსვლას ბოსფორის სრუტეში, შეგიძლია, დრო წუთის სიზუსტით დაადგინო. მაგრამ როცა ნახეს, რომ სრუტეში არავითარი გემი არ ჩანდა, თვალები ჰყიტეს გაოცებისაგან.

— როგორ მიხვდი?

— რა ვიცი, ერთბაშად მომადგა ენაზე.

— შემთხვევით მოუვიდა, გეთაყვა, — თქვა ცხონებულმა მამიდაჩემმა, — ხდება ხოლმე: იტყვი და დაემთხვევა.

— რასაკვირველია, დამთხვევაა. ასეთები ხდება! — კვერი დაუკრეს სხვებმაც.

რა იოლად იცილებენ ხოლმე ადამიანები თავიდან იმ ამბებს, რომლებიც შათი აზრების ჩვეულ მსვლელობას ვერ ეგუება! ერთბაშად დაასკვნეს, რომ ეს გამოცნობა უბრალო შემთხვევითობა იყო. ყველამ დაიჭერა, ლამის მეც დავიჭერე... კიდევაც დავიჭერებდი, რომ...

მას შემდეგ თუ კვირასაც არ გაუვლია. ერთ ღამეს ოფელში გახვითქულს გამომეღვიძა.

— პირველს აკლია ხუთი წუთი, პირველს აკლია ხუთი წუთი, — ვლულ-ლულეზღი ძილმღვიძარი.

ავღეჭი, სინათლე ავანთე. პაპისეულ ძველ კედლის საათში მართლაც პირველს ხუთი წუთი აკლდა.

რატომ გამეღვიძა? საიდან მომეღვიძა, რომ პირველს ხუთი წუთი აკლდა? ეგებ სიზმარში ვნახე? ან იქნებ ბურანში მყოფს მომეჩვენა? ცოტაც და, საათმა ერთხელ დარეკა. თითქო თავში დამკრესო, ერთბაშად გამოვფხიზლდი. არა, ეს უკვე შემთხვევითი ვერ იქნებოდა... თავბრუ მეხვეოდა, ყურები მიწიოდა. გაურკვეველმა შიშმა შემიპყრო. იმ წუთში პირველად ვიგრძენი ტოკტიკი საათისა, რომელიც თურმე ჩემში მუშაობდა და მე კი არ ვიცოდი. ეს ტოკტიკი



არ ჰგავდა ჩემი გულისცემის რიტმს, თორემ ასე აღარ გავოცდებოდი. იგი არც ჩემი ჯიბის საათის ხმას ჰგავდა: უფრო მძიმე და საესე იყო. მხოლოდ ისეთი, დიდი ქანქარა რომ გამოსცემს ხოლმე. ნამდვილი კომმარო იყო. ავღვექი, ხელპირი ღავიბანე, ის რიტმი ისევ ყურებში მედგა, ცარიელ ყურებში მედგა და ჩაეიკეტე. ამოდ. საცვლების ამარა გარეთ გამოვვარდეთ — ჩვენი კატალები სანაპიროს ჯებირს ეხეთქებოდა და მისი ხმა საოცრად ემთხვეოდა იმ რიტმს, ჩემში რომ დაბუდებულიყო. „ნამდვილად ვაფრენ“, — გავიფიქრე. ცეცხლოფლმა დამასხა. გონება დაგვარგე. მომცვივდნენ, მომასულიერეს, მეკითხებოდნენ: ცარიელ ოთახებში რას ეძებდი, ან ბაღში რა გინდოდაო? ხმას არ ვიღებდი. საერთოდ ძალიან მეშინია ავადმყოფობისა და ექიმებისა. ახლა კი დარწმუნდი, ვგიჟდები-მეთქი და გაჩუმება ვარჩიე. არ გავამხელ რა მჭირს, იქნებ თავისით გამიაროს. თურმე ნუ იტყვიო, ცუდად მოგქცეულვარ, რომ მეთქვა, ეგებ მაშინვე ელონათ რამე და მშველებოდა.

მერე, როცა პირველი შიში გამინელდა, ამ აღმოჩენამ ცოტაოდენი სიამოვნებაც კი მომანიჭა. სკოლაში ხმა გავარდა: შეუძლია ისე გაიგოს დრო, რომ საათს არ დახედოსო. ვისაც საათი ჰქონდა, ჩემზე ასწორებდა, ვისაც არადა — მე მეკითხებოდა, რამდენი წუთი დარჩა გაცვეთილის დამთავრებამდეო. უფრო მოხერხებულები კი უცხო ბიჭებთან ჩემზე სანაძლეოს ღებდნენ და ფულს იგებდნენ.

უნივერსიტეტში რომ შევედი, დროის შეგრძნება უფრო გამიძლიერდა. წუთებს კი არა და, უკვე წამებსაც ზუსტად აღვნიშნავდი. ერთხელ, მძლეონობაში შეჯიბრის დროს რეას მეტრზე რბენის შედეგი ქრონომეტრისტებზე უმაღლესად განვსაზღვრე. ეს ამბავი გაზეთებშიც კი გამოქვეყნდა და ერთი, იმ დროის სახელგანთქმული ფსიქიატრის ყურამდე მივიდა. ფსიქიატრმა მომძებნა, რამდენიმე შეკითხვა მომცა და საათი გამომაცნობინა. შემდეგ კი სამედიცინო საზოგადოებაში ჩემს შესახებ მოხსენება წაიკითხა.

არასოდეს დამავიწყდება ეს მოხსენება. იგი ასე იწყებოდა: „აღმოჩნდა ზედმიწევნით განვითარებული სმენა და დროის გამოცნობის ისეთი უნარი, რომელიც მეექვსე გრძნობას უახლოვდება“.

მე კი მერჩია, ეს მოვლენა მემკვიდრეობის გავლენით აეხსნათ. სულ გადაეჩხრიკე ჩემი გენეალოგია. ვერაფერი ვიბოვნე, არადა დარწმუნებული ვარ, ჩემს წინაპრებში უეჭველად უნდა ყოფილიყო ვინმე დროსთან, საათთან დაკავშირებული — მესაათე, თუნდაც საათების მომშართველი, თორემ მთელი დანაშაულის გადაბრალება ჩემს ოთახში დაკიდებულ კედლის საათზე, როგორც ამას ექიმი სჩადიოდა, დაუსაბუთებლად მიმაჩნდა.

ჩემს ოთახში, სწორედ საწოლის პირდაპირ, ჩემი პაპების პორტრეტებს მორის წინაპართაგან დარჩენილი კედლის საათი ჰკიდია. ქვეყანაზე რომ გავჩნდი, უფროსი პირველად მისი ხმა მომხვდა. ჩემი ბავშვობისა და ჯაბუკობის დღეებსა და ღამეებს ამ საათის ტაქტიკი აღვნიშნავდა. ჩემი ცხოვრება რომ კინოფილმი ყოფილიყო, მისი მუსიკალური ფონი ეს ტაქტიკი იქნებოდა. ჩემი ცხოვრების რიტმიც ხომ ისეთივეა, როგორც ამ საათის ქანქარისა: მძიმე და საესე. ჰოდა, ექიმოც ასევე: ვინაიდან მე დაჯილდოებული ვარ ზებუნებრივი სმენით, ჩემმა ქვეცნობიერებამ გრამფირფიტასავით ჩაიწერა და შეინახა ამ ქანქარის რხევის რიტმი. ახლა კი ამ ტემპს ვგრძნობ და რეზონატორივით

ვიმეორებ. ერთი სატყვიო, ცოცხალ საათად ვიქეცი და კედლის საათთან შეწყობილად ვმუშაობ.

ამ დღეში ჩავარდნილს ისღა მიკვირდა, ჩემი კედლის საათივით ყოველ თხუთმეტ წუთში რომ არ ვრეკდი.

ცუდად, ძალიან ცუდად არის საქმე. ცოტაც და, ყოველგვარ საზღვარს გადაეცდები და მარტო მაშინ კი არა, როცა მკითხავენ, უკითხავადაც, სატელეფონო ცენტრის „მოლაპარაკე საათივით“ დავიწყებ ყოველი გავლილი წუთის შეუჩერებლად ჩამოთვლას. ექიმს ეს ამბავი აინუნშიაც არ მოსდის. ფსიქიატრისათვის საათად ქცეული ადამიანი ისეთივე ჩვეულებრივი ამბავია, როგორც კაცი, რომელსაც თავი ცხენი, მატარებელი ან მწიფე მსხალი ჰგონია. შეშლილობაც ასე იწყება. აბა რომელი ექიმი ეტყვის პირში პაციენტს: „შენ ურევ-ძმავო“.

— გონს მოდი, საქიფ ეფენდი, — ვაფრთხილებ ჩემს თავს. ეს სენი თუ საკუთარი ნებისყოფით არ დათრგუნე, ექიმი, წამალი, შთაგონება არას გიშველის. მტკიცედ გადავწყვიტე: მორჩა, დღეიდან თავს ვანებებ დროის გამოცნობას. აქამდე საათი არა მქონია, რაში მჭირდება-მეთქი, ვფიქრობდი. ახლა კი ვიცი, ახალი მოდისა — თვეებსა და დღეებსაც რომ უჩვენებს. როცა საათს შეკათხებიან, თუ არ დავხედუე, არ ვპასუხობ. სამი-ოთხი კვირის განმავლობაში ერთხელაც არ შემშლია. მერე კი... მართალი უთქვამთ, „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო“, როგორც კი საათს იკითხავდა ვინმე, მაშინვე ზეპირად ვპასუხობდი. ცოტა არ იყოს, გულში შიშიც შემეპარა: ერთიც ვნახოთ და, უვარჯიშობით დამიჩლუნგდეს ეს იშვიათი უნარი? ხანდახან, დღეში ერთხელ ან ორჯერ, როცა ნებისყოფა მლაღატობდა, კვლავ ვიწყებდი დროის გამოცნობას. რა მექნა, საათზე დახედვაც მეზარებოდა. რამდენჯერმე თავის მოტყუებაც ვცადე. აი, არ დავფიქრებდი და ისე, ალაღბედზე ვიტყვი, რომ ახლა რვა საათი და თხუთმეტი წუთია. დავხედავ საათს — სწორად მითქვამს. მართლაც, ცხრის თხუთმეტი წუთია. რა ვინდა რომ ქნა? მაინც ვიგებ ზუსტ დროს.

ერთხელ — ის დღე სამუდამოდ დამამახსოვრდა — ქაღიქოში მუნიციპალიტეტის საათის ქვეშ გავიარე. ვიფიქრე: მოდი, ერთხელაც მოვიტყუებ თავს და ვიტყვი რა დროა-მეთქი. „შვიდი საათი და თხუთმეტი წუთია“, — ვთქვი ჩემთვის. შევხედე საათს — შვიდი საათი და ოცდაერთი წუთი იყო. თვალებს არ დავუჯერე. „საქიფ ოზდამარ, — ვუთხარი ჩემს თავს, — ჩაიწერე, ძმავო, დავთარში დღევანდელი თარიღი. დღეს ის ბედნიერი და ღირსსახსოვარი დღეა, როცა შენ ნორმალურ ადამიანთა რიგებში ჩადექი“. მაგრამ ხანმოკლე იყო ჩემი სიხარული: ვილაც მუშამ საათს კიბე მიაღვა და მექანიზმში ჩხარკედელაობას მოჰყვა. თან ბუზღუნებდა: ისევ ათი წუთით წასულა წინ ეს ოხერიო.

რამდენ ექიმს არ მივმართე, ყველა მამშვიდებდა, საშიში არაფერიაო. დმერთმა ქნას!

— გამივლას? — ვეკითხებოდი.  
— ვინ იცის? თუნდაც ღარჩეს, რას გიშავებთ, პირიქით, სასარგებლოც კია.

ჰოო... სარგებლობას ვერ უარყყოფ. ჯერ არც ერთხელ არ დამგვიანებია მატარებელზე ან გემზე. საღამოთი, რა დროსაც არ უნდა დავწვე, დილით, როცა მინდა, მაშინ გავიღვიძებ, თითქო ჩემში მალევიძარა საათი დაუყენებიათო.

ჯერ არ მახსოვს, რადიოს მიერ გამოცხადებულ საათს ჩამორჩენილიყავ ან წინ გამესწროს. ეს მართლაც კარგია, მაგრამ როდემდე შეძლებს ჩემი მეხსიერება, ჩემი ქვეცნობიერება მკრინობიარე ანტენასავით და ცოცხლად დაიჭიროს დრო? ნუთუ ერთ მშვენიერ დღეს არ მგადატყუებია ჩემი აკუმულატორი?

— დაივიწყე დრო, ყურადღებას ნუ მიაქცევ, რაში გაინტერესებს რომელი საათია? — მეუბნება ჩემი ექიმი.

კარგი, დავივიწყებ, მაგრამ საქმე მართლ დრო როდია. რა ვუყო იმ რიტმს, ჩემში რომ დაბუდებულა? ვთქვათ, აღარ ვიფიქრე საათზე, მაგრამ ყველგან რომ ჩემს რიტმთან შესაბამისობას ვეძებ, ამას რაღა ეშველება? უდიდეს სიამოვნებას მგვრის ყველაფერი, რაც კი ქანქარის რიტმს მომაგონებს: ცხენის ფეხის ხმა, ავეჯში ჩაბუდებული ჭიის ჭრიჭინი, ონკანიდან ჩამოსული წყლის წვეთების ხმა, მატარებლის ბორბლების ხმაური, ქვაფენილზე მიმავალი კოჭლი მოხუცის ნაბიჯები... ეს ხმები, როგორი დაღლილიც არ უნდა ვიყო, მყისვე მასვენებს, მოწყენილს მამხიარულებს, მაგრამ ამ რიტმის დარღვევა საშინლად მაფორიაქებს. როცა გემი გაივლის, ზღვა აბორგდება და ტალღები უფრო სწრაფად ეხეთქებიან ნაპირს, ნერვიულობა მიპყრობს, ადგილს ვეღარ ვპოულობ. მუშაობას ვწყვეტ, გონება მერევა; თუ ვზივარ, უეჭველად წამოვხტები, თუ მძინავს, გამეღვიძება, და ეს იმიტომ, რომ ტალღებს შორის ჩვეულებრივი ინტერვალი ირღვევა. ჩქარი მდინარეც უკარგავს კაცს საათის რიტმს. სამი წლის წინათ ერთ ქალაქში ვცხოვრობდი. ქალაქს მდინარე ჩამოუდიოდა. როგორც კი გაზაფხულდებოდა და მდინარე აღიდრებოდა, წონასწორობას ვკარგავდი, ისეთი მოუსვენრობა მეუფლებოდა, რომელსაც მხოლოდ ჩამორჩენილი საათი თუ განიცდის. ისე გამიჯდა მთელს არსებაში ქანქარის რიტმი, რომ ნაბიჯებსაც კი მას ვუწყობ. იმიტომ არის, რომ ვინმესთან ერთად ქუჩაში სიარული არ შემიძლია. საცოლესაც ამაღ გამყარა. მე რომ ერთ ნაბიჯს გადავდგამდი, ის ორნახევარ ნაბიჯს ადგამდა. ორი ან სამი რომ გადავდგა, კიდევ ავიტანდი, მაგრამ ორნახევარი, ორნახევარი! აბა, ასეთი ადამიანის სულის რიტმი როგორ შეეწყობოდა ჩემსას?

რად მიყვარს დასავლური მუსიკა? იმიტომ, რომ ყოველ მელოდიაში მეტრონომის თვლას ვგრძნობ. იმ დღეს ბალკანეთის რომელიღაც რადიოსადგური ბეთჰოვენის მერვე სიმფონიას გადმოსცემდა. სიმფონიის მეორე ნაწილი, რომელიც მეტრონომის რიტმული ტემპით არის დაწერილი, თითქმის მეტრონომის გამომგონებლის — მალცელის პატივსაცემად დაუწერიათო, ჩემი საყვარელი Allegretto Scherzendo იმ ოხრებშიa rubato-დ არ დაუკრებს?! მინდოდა ვწდომოდი რადიოს და ძირს დამეხეთქებინა.

ყველაზე მეტად გაჩერებული საათები მიჩუთავს სულს. როცა თოფქაფის<sup>1</sup> მუხეღმში ვარ ხოლმე, არ შემიძლია არ შევიარო საათების განყოფილებაში. მაგრამ შევალ თუ არა, სუნთქვა შეკერის. ვიხრჩობი; მაშინვე გარეთ უნდა გამოვვარდე რაოდენ ძვირფასა და ხელოვნების როგორი შედეგრიც არ უნდა იყოს, გაჩირებული საათი მაინც ჩამქრალ შექურასა ჰგავს. თუმცა გაჩერებულ საათსაც აქვს თავისი ღირსება: დღე-ღამეში ორჯერ უჩვენებს ზუსტ დროს.

<sup>1</sup> ისტორიული მეზღუფი სტამბოლში.

ზამბარა მართო საათის ძირითადი ნაწილი კი არ არის, არამედ ცხოვრებისა. ვინა ყოველი ჩვენთაგანი სხვადასხვანაირად მომართული საათი არის. რა არის ჩვენი ცხოვრება, თუ არ ავსება და დაცლა? ხანშიშესული კაცის სიკვდილი ზამბარის გაშლია, ახალგაზრდის სიკვდილი — ზამბარის გწყვეტა. ვინა აღზრდა, კულტურა, ასე თუ ისე არა ჰგავს მოსამართ მექანეზურ ფორც მოგვმართავენ, ისე ვსაუბრობთ, ისე ვიქცევით. ზოგი ჯერ ხსენებდას დროით მუშაობს, ზოგი კი გრინვიჩის ან სან-ფრანცისკოს დროზე გადასულა. ზოგი წინ მიდის, ზოგა ჩამორჩება. თუ რომელიმე ჩვენგანი წინ გაუსწრებს სახელმწიფო დროს, ანუ სტანდარტულ სიზუსტეს, საათების მთავარი რეგულატორი, რომელსაც კანონი ეწოდება, აგვიყვანს და უკანვე გადაგვსვამს. არ გაგულისდეს, თორემ, სულაც გაგაჩერებს! თუ ვინმე ჩამორჩა, მინდოდა მეტქვა, წინ გადასწევს-მეთქი, მაგრამ როგორ გეკადრებათ! ჩამორჩენილები ვის ახსოვს?! ჩვენი ქვეყანა ხომ საგსეა საათებით, რომლებიც ეზანის<sup>1</sup> დროით მუშაობს.

ამას სიტყვის მასალად როდი ვამბობ. ადამიანები ყველაფერში ჰგვანან საათებს. ალბათ, კიდევ გაგვიჩინებთ, მაგრამ მოცალეობის ჟამს ჩემი ყველაზე საყვარელი გასართობი ადამიანების საათებისათვის მიმსგავსებაა. ვუყურებ ჩემს ნაცნობებს, ნათესავებს და ვფიქრობ, როგორი საათი იქნებოდა-მეთქი. ანდა შევჩერებივარ საათს და ვცდილობ წარმოვიდგინო, კაცი რომ იყოს, როგორ ხასიათს გამოიჩენდა. ავიღოთ მაგალითად ჩემს ოთახში დაკიდული კედლის საათი. მე მისი თანდასწრებით მამბოს ვერ დავუკრავ, ვერც ქალს გადავებგევა. ასე მგონია, მისი მინის მიღმიდან პაპაჩემი მითვალთვალებს. როცა რადიოში „იტრიდან“ ან „დედე ეფენდიდან“ უკრავენ რაიმეს, საათი თავის სტიქიაშია და ისე მედიდურად გადმოგვყურებს, თითქო თვალში ვეპატარავებიო.

„ვინ იცის. — ვფიქრობ, — ერთ დროს რა დარბაისლური საათების ბატონ-კაცური რეკვა მოუხმენია და ახლა ჩვენი ქარაფშუტა საათების ბავშვური „ტიკტიკით“ თავი ატვს მობეზრებული-მეთქი“. ამ საათს რომ საუბარი შეეძლოს, ალბათ დივანის<sup>2</sup> მაღალფარდოვანი ენით ილაპარაკებდა. ავი ისე რეკს, თითქოს არუზს<sup>3</sup> კითხულობსო.

სასტუმრო ოთახში კამოდზე რომ საათი გვადგას, დიდუღაცემის ნამზითვი ყოფილა. დიდუღაც რომ საათად წარმოვიდგინო, უეჭველად ასეთივე ფაქიზი, კამწია და თვალისმომჭრელი იქნებოდა.

იცით, პოლიტიკოსები რას მაგონებენ? ძველ მომღერალ საათებს, თოყქაფის მუზეუმში რომ მინახავს — გინდა სახეიმო მუსიკათ შეგხედებიან, ვინდა სამგლოვიარო მარშათ გაგაცილებენ.

ამას წინათ სამსახურში ჩვენი შეფის თავთან დაკიდებულ საათს ვაკვირდებოდი. საათი უხმოდ მუშაობდა და მე ვფიქრობდი, ერთ მშვენიერ დღეს ჩვენი შეფი რომ საათად იქცეს, ალბათ ასევე იმუშაებდა — ჩუმად, უხმაუროდ.

<sup>1</sup> ეზანი — მესლიმანაა ლოცვად მოწოდება, რომელსაც საჯანგებო პირი (მუზეინი) ასრულებს მინარეაიდან დღეში ხუთჯერ.

<sup>2</sup> დივანი (დივანის ლიტერატურა) — კლასიკური ლიტერატურა.

<sup>3</sup> გრძელი და მოკლე ხმოვნების მიწაცვლეობაზე დაწყებული აღმოსავლური ლექსის გორმა.

ვერც კი გაიგებ, თუ მუშაობს. შეხედავ — დიდი ისარი გაუნძრევლად დგას. მეორედ შეხედავ და, უკვე ერთ წუთს გაურბენია.

აი მუსიკოსები კი მართლა მეტრონომებივით მუშაობენ. მუსიკოსები — დირიჟორები. ისინი ხომ ხან ტოსკანიწში, ხან კარაიანში, ხან ვერტმან-ლეერში განსახიერებულ სრულყოფილ მეტრონომებად გვეჩვენებენ.

მეტრონომს საათთან შედარებით ერთი უპირატესობა აქვს. ის შენელო, ან ააჩქარო ტემპი. ასწევ სიმძიმეს, ტემპი შენელდება: ტიკ... ტიკ... ტიკ... ტიკ... დასწევ — აჩქარდება: ტიკტიკ... ტიკტიკ... ნეტავ საათებზეც შეიძლებოდა ასეთი ტვირთის დაკადება... იმ დღეს ჩემს ექვამს გავანდე ეს სურვილი. გაეცინა:

— რაო, ახლა ეამთასვლის შენელებაც მოინდომე?

მერედა როგორ! ადრე არა მქონია ამის სურვილი. ამ ბოლო ხანს გამიჩნდა, ახლა დამეუფლა შეშფოთება საათისა, რომელიც გრძნობს, საცაა ზამბარა გაეშლება. ეგებ ამაოდ ვშიშობ, ეგებ ჯერ არ გაიშალოს ჩემი ზამბარა, მაგრამ ერთიც ვნახოთ და გაწყდეს?! აქედან მოდის ეამთასვლის შენელების, აღსასრულის უკან გადაწევის დაუოკებელი სურვილიც.

ყოველთვის მაშინებდა ნაადრევი სიკვდილი. ამისი ხომ ყველას ეშინია. მერე რატომ? ბევრი ვიფიქრე და მივხვდი: იმიტომ, რომ სისხლსავე ცხოვრებით არ ვცხოვრობთ. რას ვგულისხმობ სისხლსავე ცხოვრებაში? — გიყვარდეს, უყვარდე, ერთობოდე, განცხრომას ეძლეოდე? — არა. ჭიანჭველასავე თავაულებლად შრომობდე, რაღაცას ქმნიდე, შეილებს ზრდიდე, საზოგადოებისათვის სარგებლობა მოგქონდეს? — ესეც ცარიელი სიტყვებია! სისხლსავე ცხოვრება ნიშნავს ერთს: გრძნობდე დროის გასვლას.

ჩვენ დროში ვცურავთ, მაგრამ მაინც ვერა ვგრძნობთ მის სვლას. ის კი გადის, გადის და მხოლოდ იმასღა ვიგებთ, რომ უკვე გასულა. ამასაც საფეთქლებში გარეული ჭაღარა, შუბლზე გაჩენილი ღარები, წელკავი, ავადმყოფობა და სიკვდილი გვაგებინებს. მაგრამ თუ მოვახერხებთ და შევიცნობთ დროს სვლას მანამდე, ვიდრე იგი კი არ გასულა, არამედ მხოლოდ მიდის, და მიდის ჩვენგან შეუმჩნევლად — თავიდან ავიცილებთ ეამთასვლით გამოწვეულ ყველა უსიამოვნებას.

იცით, ეს სად აღმოვაჩინე? — გემბანზე, ერთ ახალწლის ღამეს კადიქოიში მიმავალმა. პალტოში გაბჯვული, გემის კიჩოსთან ვიჯექი. ერთხანს წამთვლიმა. მერე ერთბაშად გამოვფხიზლდი და — „თორმეტს აკლია ერთი წუთი“, — ვთქვი ჩემთვის. სანთურა ავანთე, საათს დავხედე. სწორია. წამების მაჩვენებელი ისარი 60-ს მიუახლოვდა, ერთი სუსტად დაიჩხაკუნა და თორმეტი საათი შესრულდა. დღეების აღმნიშვნელ კაღრში ოთხშაბათი ხუთშაბათმა შეცვალა. 31 დეკემბერმა გადაიწია და მის ადგილზე 1 იანვარი გაჩნდა. საათი წლებს არ უჩვენებდა, მაგრამ ვიცოდი, 1952 წელი გათავდა და 1953 წელი დაიწყო. და ეს ყველაფერი პაწაწინა წამის მარიფათი იყო.

წუთი წუთს მისდევს, წუთები უსასრულობაში გადადიან. ოთხშაბათს ხუთშაბათი მოაქვს, ხუთშაბათს — პარასკევი. ნოემბერი დეკემბრად იქცა, დეკემბერი — იანვრად, იანვარი თებერვლად იქცევა, თებერვალი კი მარტად. ჩვენც ვაპობთ დროს, როგორც ეს გემი სიბნელეს და წინ მივიწევთ. საით? იქით სადაც არ არის დრო. გამოჩნდა მოპირდაპირე ნაპირი. საიდუმლოებითა და

უკუნით მოცული ნელ-ნელა ვუახლოვდებით. ნეტა ეს გემი გაჩერდებოდეს, ანდა, უკეთესი, უკან-უკან წავიდოდეს. საათებისა და წუთების მაჩვენებელ ისრებს გზა აებნეოდეთ და უკულმა დატრიალდებოდნენ. დღეების მაჩვენებელ კადრშიც ხუთშაბათი ოთხშაბათმა შეცვალოს, თვეებიც ბოლოდან კითვალოს. რა იქნება, დაიწყოს უკულმა მოძრაობა: აწმყოდან წარსულისაკენ, ახლიდან ძველისაკენ, შედეგიდან მიზეზისაკენ? დაიწყოს-მეთქი, მაგრამ რა შემთხვევა? გემი რომ უკან-უკან წავიდეს, ნაპირი, რომელსაც მივადგებით, ისევე უკანადაც განა ის ქვეყანა არ იქნება, საიდანაც წამოვედით? გინდა წინ წადი, გინდ უკან, სულ ერთია, ადრე თუ გვიან მაინც მიადგები ხმელეთს, რამეთუ ამ ქვეყნად ყველა ზღვას აქვს ნაპირი. რამეთუ შეუძლებელია დროის სვლის შეჩერება, დრო მაინც გავა, რაც არ უნდა კარგად ვგრძნობდეთ მის გასვლას.

გემი კიხუტლესის სანახებთანაა. აი, სალაჯაქს ვუახლოვდებით, ესეც სელი-მე, მწვანე შუქი რომ მოჩანს, იქ ჰაიდარფაშას ყურეა, ეს ლურჯი ნათურა კორდონ ბლოზე არ ანთია? გემმა მოუხვია. აი, ჯადოქრის ნავსადგომი.

სხვადასხვანაირი მგზავრობა არსებობს: ერთი — გავლილი გზის ყოველ ნაბიჯს რომ უკვირდები და განსჯი, მეორე — ზიხარ პირველი კლასის კაიუტაში, გაზეთის კითხვაში ხარ გართული და ერთბაშად გაიკვირებ: „ოჰ, უკვე მოვსულვართო“.

როგორ ჰგავს ჩვენი ცხოვრება ამ პირველი კლასის კაიუტაში გაზეთის კითხვაში გართული კაცის მგზავრობას! წუთების ყადრს მხოლოდ ახალი წლის მოახლოებისას ვიგებთ. მის გასვლას მხოლოდ იმ ღამეს ვადევნებთ თვალს ყურადღებით. ისიც 11,55-დან 12 საათამდე. რამეთუ, ჩვენი ფიქრით, ეს წუთები ძველ წელიწადს ასრულებს და ახალს იწყებს. მაგრამ დადგება თუ არა ახალი წელი, კვლავ ჩავდივართ კაიუტაში და ისევ გაზეთის კითხვას ვიწყებთ. სინამდვილეში კი რომელი დღის რომელი საათია, რომ ძველ წელს არ ასრულებდეს და ახალს არ იწყებდეს? რატომ ისეთსავე ყურადღებას არ ვაქცევთ ყოველი დღის ყოველ საათს, ყოველ წუთს, ყოველ წამს? რომ დავივიწყოთ ყველაფერი და ვიფიქროთ თითოეული წამის გასვლაზე, დრო, რომელიც შფოთიანი ნიაღვარივით მიქრის, ვაკეზე მდორედ მიმავალ მდიანარედ იქცევა. ვიმეორებ: მთავარია, ყოველ წამზე გავამახვილოთ ყურადღება.

იკითხაეთ, ეს როგორ მოვახერხებთ? — მოგახსენებთ. სრულად ჩავიძირით საათის ხმაურში. ყველაზე სწორი გზა დროის, და აქედან გამომდინარე, ცხოვრების შეცნობისა, არის საათების გარემოცვაში ცხოვრება. აბა, სცადეთ: დამანეთ ოთახის კარ-ფანჯარა, გულადმა წამოწექით, თვალები შავი ნაჭრით აიხვიეთ. განიდევნეთ თავიდან ყოველგვარი ფიქრი და მთელი გულისყური საათისაკენ იჭონიეთ, უსმინეთ მის ტიკტიკს, იფიქრეთ დროის სვლაზე, იმაზე, რომ ცხოვრობთ, რომ ხართ გემი, აპობთ დროს, მიიწევთ წინ, აქეთ-იქით სხლტებიან და იკარგებიან თქვენი ცხოვრების წუთები.

სწორედ ამიტომ დავიწყე საათების კოლექციების შედგენაც. აუქციონებზე, ანტიკვარულ მაღაზიებში ვყიდულობდი ყველა ჯურის საათს: წყვილ-ზამბარაინებს, ელექტროსაათებს, სარქისოვის ძველ ვერცხლისხუფიან საათებს, ის კი არადა, იმ დღეს ქუჩის უზარმაზარი საათი მოვათრიე შინ, ტრამვაის სამმართველოს საწყობში რომ ეგდო, როგორც გამოუსადეგარი.

დილაობით ოცდათხუთმეტ საათს ვმართავ. საღამოს, შინ დაბრუნებულა, გულაღმა წამოვწვები და ყური მათკენ მიჭირავს. აღვიქვამ რა ყოველ წუთს, ყოველ წამს, წამის ყოველ უმცირეს ნაწილს, მთელი სისრულით ვგრძნობ, რომ ვცხოვრობ. როგორც სარკის კედლებიან ოთახში იქმნება ფართო სივრცის შთაბეჭდილება, ასევე საათების ტაქტიკი თითქო აჩერებს დროს, და თუ იგი აქამდე თითებშია წყალივით გვეპარებოდა, ახლა ხელშეწყობილია.

ყოველი საათი თავისებურად მუშაობს: ზოგი ჩქარ-ჩქარა, ფათა-ფუთით, ზოგი დინჯად, აუჩქარებლად. ზოგი ქალივით მოცქრიანებს, ზოგი დაოთხილი ვარბის, ზოგის რიტმი ბამბის საბენტისას მოგავიწყებთ, ზოგი კი ისე ურტყამს, როგორც მჭედელი უროს. ერთის სიტყვით, ჩემი ოთახი ოცდათხუთმეტი საათის ნაირ-ნაირი ხნით არის სავსე.

„აი,—ვამბობ,—ერთი წუთი გავიდა... თრი წუთი გავიდა... სამი წუთი... ოთხი, ხუთი, ექვსი... თხუთმეტი წუთი... და ჩემმა გულქვა კედლის საათმა საზეიმო კლასიკური მელოდით გააცვილა თხუთმეტი წუთი, რომელიც ჩემს ცხოვრებას მოაკლდა.“



კვლავ ტიკტაკ, ტიკტაკ, ტიკტაკ, ტიკტაკ...

გავიდა ოცი წუთი... ოცდასამი... ოცდახუთი... ნახევარი საათი და ისმის მეორე მელოდია, რომელიც შეიშობს ნახევარი საათის გასვლას:



და როცა ნახევარი საათიც გადის, საათის სიხარულს საზღვარი აღარა აქვს და გახარებული იმით, რომ ჩემი საცოცხლის კარგა მოზრდილი საათი გადასანსლა, აერთიანებს იმ მელოდიაებს, წელან რომ ნაწყვეტ-ნაწყვეტად უკრავდა:



და ძინ... ძინ... ძინ...

როგორც კი გადსმის პირველი „ძინ“, თითქოს დირიჟორის ნიშანზე, დანარჩენი საათებიც — დიდი და პატარა — ერთხმად აღძვება თავს: ერთნი — მეხანძრეთა ზარივით: ლინგინ, ლინგინ... მეორენი — თითქო კარზე რეკავენო: ზიირთ... ზოგი მედიდურად, ზოგი მშვიდად... გუგულისანი საათის პატარა ჩიტაც რას ჩამორჩება? — გუ, გუ, გუ...

ამ აღრზაურას შემდეგ კვლავ სიწყნარე დაისადგურებს: ტიკტაკ... ტიკტაკ... ისევ გადის ერთი წუთი, სამი წუთი, ხუთი წუთი, თხუთმეტი...



ბოლოს და ბოლოს, ან ვავგიყდები, ან მივალწევ საწადელს: შევიცნობ დროს და დავტკბები ცხოვრებით. გავთავისუფლდები სიკვდილის შიშისაგან,

იმაზე ფიქრისაგან, რომ ერთხელაც იქნება, გაიშლება ჩემი ზამბარა, ან სულაც გაწყდება.

მაგრამ თურმე მესამე ალბათობაც ყოფილა მოსალოდნელი. მე კი მანამდე არც მიფიქრია. თავდაპირველად მეორე ალბათობა უფრო ძლიერად მეჩვენებოდა. ყოველ საღამოს, სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ, ტრენკლესში გატარებული ორი საათი მეხმარებოდა უფრო ღრმად ჩავწვდომოდი უამთავლას, მას კოსმოსურ სიმშვიდეში, კოსმიურ სისრულეში გადავყავდი.

სამსახურიდან შვებულება ავიღე. თუ აქამდე დღეში ორ საათს ვანდომებდი ღროის შეცნობას, ახლა 12 საათი დავუთმე. ოთახში ჩავიკეტე. ოცი დღე არ გამოვსულვარ. ჯიუტად ვაგრძელებდი ექსპერიმენტს.

ჩემი შვებულებას უკანასკნელი დღე იყო. დამის 12 საათი ხდებოდა. სავარძელში ვიჯექი და ვთვლემდი. ყოველთვის, როცა ასეთ ღროს გამეღვიძებოდა ხოლმე, პირველად ღროს ვიგრძნობდი. მაგრამ ამჯერად მოხდა წარმოუდგენელი: გავიღვიძე და საათი არც კი გამხსენებია. კარგი ნიშანია! საათებს შევხედე. ყველა საათზე თორმეტს ერთი წუთი აკლდა, მაგრამ ტიკტიკი არ ისმოდა. ვიფიქრე, გაჩერებულან-მეთქი, მაგრამ არა. მუშაობდნენ: კედლის საათის ქანქარა მარჯვნიდან მარცხნივ მოძრაობდა, მქედელიც ურტყამდა გრდემლზე უროს... 12 საათი გახდა, მაგრამ თითქოს პირი შეუტრავთო, არც ერთი არ რეკავდა. ვინ იცის, იქნებ რეკდნენ კიდევ, მაგრამ მე ვერ ვგრძნობდი. ვინ იცის რას ჰქვია! ძალიან კარგად რეკდნენ. ვხედავდი, როგორ ურტყამდა ზარზე ბერკეტი, როგორ გამოფრინდა და შეფრინდა გუგული, მაგრამ ხმას არ იღებდნენ. თვალი დავხუჭე და ჩემს შინაგან ხმას მივაყურადე: ჩემი ქანქარის რიტმი სადღაც დაკარგულა. შევწუხდი. ჩემს დღეში ჩავარდნილი ნორმალური კაცი დაასკვნიდა, რომ დაყრუვდა, ან გაგიჟდა. მე კი ვიფიქრე, მოვკვდი-მეთქი.

ექიმის მარწმუნებს, ცოცხალი ხარ, არ მომკვდარხარო, რომ მომკვდარიყავ. ამეებს ხომ ვეღარ დაწერდიო. ექიმებისაც აღარაფერი მჯერა. რაკილა არ მესმის საათების ხმა, რაკილა ვერ ვგრძნობ ქანქარის რიტმს, ესე იგი, მე უკვე გაჩერებული საათი ვარ.

თუმცა ვინ იცის, იქნებ სწორედ ახლა ვუჩვენებ ზუსტ ღროს?

### მთარგმნე ლისკვან

შალდუნ თანერი თურქულ ლიტერატურაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოვიდა და მოკლე ხანში საყოველთაო აღიარება მოიპოვა. იგი საიო ფაიქის სახელობის პირველი ლაურეატია (ეს პრემია თურქეთის ყველაზე დიდი ლიტერატურული პრემიაა ნოველის ჟანრში); არა ერთხელ გამოუცხადებიათ წლის ყველაზე პოპულარულ მწერლად.

ამჟამად შალდუნ თანერი ძირითადად დრამატურგიაში მუშაობს. იგი არის ავტორი რამდენიმე ძალზე გახმაურებული პიესისა. დრამატურგიაში უფრო მკვეთრად გამოვლინდა თანერის მოქალაქეობრივი პათოსი თუ მხატვრული ოსტატობა. მის, როგორც დრამატურგის ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო მაქს რეინჰარდტის აკადემიასა და შტადტის თეატრში (ვენა) მიღებული საჩუქისორო განათლებამ.

შალდუნ თანერის ნაწარმოებები თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე.





შარტონის  
ბიზნეს-სისტემა

იკვინ უოუ

ინგლისურიდან თარგმნა  
ნუზარ რუხაძემ

## „ვენერას მკვიდრი“

დილიდან თხილამურებზე იდგა. იფიქრა, სოფელში შევისვენებ და იქვე წავისაუზმებო. მაგრამ მაკმა არ აცალა: „დანაყრებამდე კიდევ ერთხელ მოვასწრებთო მთიდან დაშვებას“. აგი უკანასკნელ დღეს ატარებდა მთაში და რობერტმაც უარი ვეღარ უთხრა. ცა მოღრუბლული იყო, მაგრამ მზე მაინც გამოანათებდა ხოლმე ხანდახან, ხილვადობასაც არა უშავდა ირგვლივ. საბაგირო ვაგონი თბილ ტანსაცმელში გამოწყობილი და საგზლით დატვირთული ხალხით იყო გატენილი. მაკმა და რობერტმა ძლივქლივობით იპოვეს ადგილი ფერად-ფერად სვიტერებსა და ჯუბებს შორის. ბოლოს კარი დაიხურა და ვაგონიც დაიძრა. ვაგონმა მთის ძირას შეყუყულ ნაძვებს გადაუსრიალა თავზე.

ერთმანეთზე მიჭექყილ მგზავრებს საკუთარი ცხვირსახოცის მიგნება უჭირდათ, ვერც სიგარეტას მოკიდებას ახერხებდნენ. რობერტი ვილაც იტალიელ ლამაზმანს მიპკრობოდა მთელი ტანით და ეტყობოდა მაინცდამაინც ცულად არ გრძნობდა თავს. ქალი გამწარებული უხსნიდა ვილაცას, ზამთრობით მილანი ძალიან უგემური ქალაქიაო. „Milano si trova in un bacino deprimente; bangnato dalla pioggia durante tre mesi all' ano. E, nonostante il loro gusto per l'opera, i milanesi non son altro che volgari materialisti che solo in denaro interessa“.

რობერტს ცოტაოდენი იტალიურა ესმოდა, და გაიგო, რომ მილანი ვეებერთელა პირქუშ ორმოში ყოფილა ჩავარდნილი, რომელსაც წელიწადში სამ თვეს წვიმა რეცხავს და რომ მილანელები, საოპერო მუსიკის ცოდნის მიუხედავად,

მაინც ტუტუცა მატერიალისტები არიან და ფულის შოვნის გარდა არაფერი აინტერესებთ თურმე.

რობერტს გაელიმა. მართალია, ამერიკაში არ დაბადებულა, მაგრამ 1944 წლიდან შეერთებული შტატების მოქალაქედ ითვლებოდა და მაინც გავხარდა ვეროპის შუაგულში უცხო ადამიანისაგან იმის გაგება, რომ მატერიალისტობა და ფულის სიყვარული ამერიკელის გარდა სხვასაც ედებოდა.

— რაო, გრაფინიამ, რა მიხდაო? — გადაუჩურჩულა მაკმა.

პატარა წითელთმიანი ქალი ზუსტად მათ შორის მოქცეულიყო. მაკი ლეიტენანტი გახლდათ. მისი ნაწილი გერმანიაში იდგა, თვითონ კი შვებულელებს საზამთრო კურორტზე ატარებდა. თითქმის სამი წელი გავიდა, რაც ევროპაში მსახურობდა და ყველა იტალიელ კეკლუცს გრაფინიას არქმევდა ხოლმე — ალბათ არ უნდოდა უბრალო ტურისტი ჰგონებოდა ვინმეს. რობერტი და მაკი ერთ სასტუმროში ცხოვრობდნენ და სასტუმროს ბარშივე დაძმავდნენ ამ ერთი კვირის წინათ. ერთი ყაიდის მოთხილამურეები იყვნენ, ფათერაკებისა და სიძნელეების ძებნა უყვარდათ, ყოველდღე ერთად სრიალებდნენ და მომავალ წელსაც ერთად აპირებდნენ ჩამოსვლას, თუკი რობერტი ისევ მოახერხებდა ამერიკიდან თავის დაღწევას.

— რა და, მილანში ყველა ფულზეა გადარეულიო, — უბასუხა რობერტმა ისე, რომ ხმისთვის არ აუწყევია, თუმცა იმ ჩოჩქოლში მაინც ვერავინ გაიგონებდა მის ნათქვამს.

— მე რომ მილანში ვიყო, — არ დაიბნა მაკი, — და ეს გოგონაც იქვე მეგულებოდეს. ფულის გარდა ალბათ სხვა რამეზეც გადავირეოდი. — მან დაუფარავი ალტაცებით შეხედა იტალიელ ქალიშვილს.

— იქნებ გეკითხა, რომელი ბილიკით აპირებს დაშვებას!

— რად ვანდა? — ჰკითხა რობერტმა.

— მეც იმ ბილიკს დავადგებოდი, — ჩაილაპარაკა ლეიტენანტმა, — ჩრდილივით უნდა ავედევნო, ჩრდილივით!

— ტყუილად დროს ნუ კარგავ, მაკ. — გადაუწყვიტა იმედი მეგობარმა, — უკანასკნელი დღე დაგრჩენია.

— უკანასკნელ დღეს ხდება, რაც ხდება, — თქვა მაკმა და გაბრწყინებული თვალები სახეში შეანათა ლამაზ იტალიელს, რომელიც ჩირადაც არ აგდებდა ამ ვეება, გულლია და უბრალო ვაყვაცის ლაპარაკს. იგი ახლა სიცილის მკვიდრთა საყვედურებით ავსებდა თავის მეგობარს.

მზემ გამოაჰყიტა ორიოდ წუთით და ორმოცი კაცით გაჰქედილ ციციქნა ვაგონში დაცხა. რობერტს თვლემო მორეოდა და ყურს არ უგდებდა ფრანგულ, იტალიურ, ინგლისურ, შვეიცარიულ-გერმანულ და წმინდა გერმანულ ენებზე ებედობას. მას მოსწონდა ამ სხვადასხვა ენებზე მოლაპარაკე უნებური ყრილობის შუაგულში ყოფნა. ამიტომაც მოდიოდა ხოლმე შვეიცარიაში სათხილამუროდ, როგორც კი მოიხელთებდა თავისუფალ დროს სამსახურიდან. იმ მძვინვარე დღეებში, ქვეყნიერებას რომ დაუდგა, რაღაც იმედის სხივი გამოსჰკვივოდა მრავალ ენაზე მოლაპარაკე კეთილი ხალხის ამ წესიერ გუნდში, რომლებიც ერთმანეთს უღიმოდნენ და თეთრად გაქათქათებულ მთებს მხოლოდ იმიტომ სწვეოდნენ, რომ მზითა და სპეტაკი თოვლით დამტკბარიყვნენ. გულითალობის გრძნობას ყველას მიმართ, რომელიც რობერტს მთაში

ყოფნისას ეუფლებოდა ხოლმე, ისიც აღვივებდა, რომ დამსვენებლების უმრავლესობა მეტ-ნაკლებად ეცნობოდა სახეზე. მოთხილამურეები თავისუფალ ინტერნაციონალურ კლუბს შეადგენდნენ. ყოველ წელიწადს ერთი და იგივე ხალხი ჩამოდიოდა მეყევიდან, დავოსიდან, სენენტონიდან, ვალდებურიდან; ისე რომ, ცოტა ხნის შემდეგ კაცს ყველა შინაური ეჩვენებოდა. ახლა რობერტთან ერთად ოთხი-ხუთი ამერიკელი მგზავრობდა, რომელიც მოხმას უკვდა ნანახი სტოუში. ამერიკელები მოთხილამურეთა კლუბის მიერ ნაჭირავენებ თვითმფრინავით ჩამოფრინდნენ. ამ თვითმფრინავს შვეიცარიის საჰაერო სააგენტო შეღავათიან ფასებში იძლეოდა ხოლმე ყოველ ზამთარს. ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე ოკეანგადმელები პირველად იყვნენ ევროპაში და ყველაფერს ხმაურით და ერთი ამბით ეგებებოდნენ — ალპებს, აქაურ კერძებს, თოვლს, ამინდს, ლურჯხალათიან გლეხებს, მოთხილამურე ქალბატონების მშვენიერებას თუ მათი ინსტრუქტორების ოსტატობასა და კოხტა გარეგნობას. სოფლებიც კარგი თვალით უყურებდნენ, მოსწონდათ ასე აშკარად რომ სიამოვნებდნენ ყველაფრით და ფულსაც უხვად ფლანგავდნენ ამერიკულ ყაიდაზე; შვეიცარიელის თვალში ეს ისე ჩანდა, თითქოს ამერიკელები განგებ ვერ ამხნევდნენ მომსახურების თხუთმეტ პროცენტს, რომელსაც ისედაც ურთავდნენ ანგარიშს. ორი ამერიკელი გოგონა სილამაზის დედოფალს ეჯიბრებოდა გარეგნობით. ერთი აყლაყუდა ფილადელფიელი კი ჩინებული მოთხილამურე იყო და თითქმის ყოველთვის წინ უძღოდა ხოლმე მთელ ჯგუფს. ახალბედებსაც ეს ეხმარებოდა ფეხას ადგმაში.

როგორც კი ვაგონი თოვლიანი მთის ციცაბო კალთას აუყვა, ფილადელფიელი მის გვერდით მღვომ რობერტს გამოელაპარაკა:

- წინათაც გისრიალიათ ამ ადგილებში, ხომ?
- კი ბატონო, — უპასუხა რობერტმა, — რამდენჯერმე.
- რომელი ბილიკით აჯობებდა დაშვება ახლა? — ჰკითხა ფილადელფიელმა. იგი წყნარად და დარბაისლურად ლაპარაკობდა, როგორც ახალი ინგლისის სკოლებში ასწავლიან, ან კიდევ როგორც ევროპელები ლაპარაკობენ. როცა ამერიკელებს აჯავრებენ ხოლმე.
- დღეს არც ერთი არ უნდა იყოს ურიგო.
- რომელი ბილიკია, ასე რომ აქებენ? — ისევ იკითხა ახალგაზრდამ.
- კაიზერო თუ რაღაც ამგვარი ჰქვია, მგონი.
- კაიზერვარტენი, — დააზუსტა რობერტმა, — პირველივე ხეცია მარჯვნივ, ვაგონიდან როგორც კი გადახვალთ.
- ძნელა დაღმართია?
- დამწყებთათვის ნამდვილად ძნელია.
- ხომ გინახავთ ესენი როგორ სრიალებენ? — ახალგაზრდამ თავის მეგობრებზე ანიშნა დაუღვევრად, — დაძლევენ?
- რა ვიცი, — დაეჭვდა რობერტი, — ბილიკი ვიწროა და ციცაბო, გზადგზა ისეთი ადგილებია, გიჯობს არ დაეცე, თორემ სულ კოტრიალით ჩახვალბოლომდე.

— მაინც მოვსინჯავთ, — თქვა ფილადელფიელმა, ამათი ხასიათისთვის ზედგამოჭრილია. აბა, გოგო-ბიჭებო, — ხმას აუწია მან, — მხდალები მთის წვერზე დარჩით! ვაჟკაცები მომყევით. კაიზერვარტენისაკენ მივდივართ.

— ფრენსის, — აღშფოთდა ერთ-ერთი დედოფალი, — დაფიცებული ხომ არა გაქვთ ჩემი მოკვლა?

— არც ისე საშიშია, თქვენ რომ გგონიათ, — რობერტმა გოგონას გაუღიმა.

— ერთი მითხარით, — ახლა გოგონას ცნობისმოყვარეობამ იჩინა თავი, — სად უნდა მყავდეთ ნანახი?

— გუშინ ამავე მატარებელში, — უპასუხა რობერტმა, <sup>მარკუნული</sup>

— არა, არა, — გოგონამ თავი გაიქნია. მას შავი, ფუძფულა კრაველის ქუდი ეხურა და საშუალო სკოლის მედოლეს მოგაგონებდათ, რომელსაც ძალიან უნდოდა ანა კარენინა ყოფილიყო. — გუშინ კი არა, იმის წინ, სხვაგან სადმე.

— სტოუშიც გნახეთ, — გამოტყდა რობერტი, — შობას.

— გამახსენდა, — დაკმაყოფილდა გოგონა, — ამას წინათ ვიყურებდით როგორ ეშვებოდით ზემოდან, აბრეშუმისით მოსრილებდით.

მაკმა ხმამალლა გადაიხარხარა ამ შედარებაზე.

— ნუ გაგიკვირდებათ, — რობერტს ესიამოვნა გოგონას აღტაცება.

— ჩემი მეგობარი ერთი უხეში ჯარისკაცია, რომელსაც ძალით და ღონით მთის ძირფესვიანად მოთბრა სურს.

— იცით რა, — გაოცდა გოგონა, — თქვენ რაღაც უცნაურად ლაპარაკობთ ამერიკელი ბრძანდებით?

— ჰო, დიახ, — უპასუხა რობერტმა, — უფრო სწორად, ახლა ვარ ამერიკელი. ისე, საფრანგეთში დავიბადე.

— გასაგებია, — მიხვდა გოგონა, — თქვენ მთებში ხართ დაბადებული.

— არა, პარიზში, — გაუსწორა რობერტმა.

— ახლაც იქ ცხოვრობთ?

— ახლა ნიუ-იორკში ვცხოვრობ.

— ცოლიანი ხართ? დაინტერესდა გოგონა.

— ბარბარა, — ჩაერია ლაპარაკში ფილადელფიელი, — წესიერად მოქეცი.

— რა იყო, რა მოხდა, ისე ვკითხე ადამიანს, — აღშფოთდა გოგონა, — თქვენ ხომ არ გეწყინათ რამე, მუსიე?

— რას ამბობთ!

— ცოლიანი ხართ?

— დიახ.

— სამი შვილის მამაა, — დაუმატა მაკმა ცოცხლად. ყველაზე უფროსი პრეზიდენტობისათვის აპირება ბრძოლას მომავალ არჩევნებში.

— მართლა? — გული დაწყდა გოგონას. — სამგზავროდ რომ ვავემზადე, სულ იმას ვფიქრობდი, უცოლო ფრანგი მენახა სადმე.

— ეჭვი არ მეპარება, შეხვდებით, — დაამედა რობერტმა.

— სამი შვილი! რა ამბავია! კი მაგრამ, რამდენი წლის ბრძანდებით?

— ოცდაცხრამეტის, — მიუგო რობერტმა.

— ცოლი სადა გყავთ ახლა?

— ნიუ-იორკში.

— თანაც ორსულადაა, — კიდევ უფრო გამოცოცხლდა მაკი.

— და არ ვიშლით ასე ინაგარდოთ მარტოდ-მარტო? — დაეჭვდა გოგონა.



— რა თქმა უნდა, არა, — უბასუხა რობერტმა. — მე ხომ საქმეზე ვარ ჩამოსული ევროპაში. ეს ათი დღე, როგორც იქნა, დრო კიშოვნე.

— რა საქმეზე ხართ? — იკითხა გოგონამ.

— ძვირფასი თვლებით ვვაჭრობ, ვყიდულობ და ვყიდი ალმასებს.

— აი, კაცი, ვისაც ვეძებდი! — ვერ დამალა აღტაცება გოგონამ.

— მე უმთავრესად სამრეწველო ალმასებით ვვაჭრობ, — განუმარტა რობერტმა, — ეს ძირითადად განსხვავდება...

— სულ ერთია, — არ იშლიდა თავისას გოგონა.

— ბარბარა, — არ მოეშვა ფილადელფიელი, — თავი მაინც მოაჩვენე ხალხს, რომ ღირსეული ლედი ხარ.

— შენს თანამემამულე ამერიკელსაც თუ ველარ დაელაპარაკე გულწრფელად, — აღელდა გოგონა, — აღარ ყოფილა საშველი და ეგ არის.

— ვაგონის ფანჯრიდან გადაიხედა. — ღმერთო ჩემო, ეს მთა ნამდვილი საოცრებაა, შიშისაგან ვკანკალებ. — მერე ისევ რობერტს მიუბრუნდა, — ძალიან გავხართ ფრანგს, დახვეწილ ფრანგს. დარწმუნებული ხართ, რომ ნამდვილად ცოლიანი ბრძანდებით?

— გეყო, ბარბარა, — ველარ მოითმინა ფილადელფელმა.

რობერტს გაეცინა. მაკმა და დანარჩენმა ამერიკელებმაც გადაიხარხარეს.

ფუმფულა ქუდიან გოგონასაც გაელიმა. ეტყობა, ძალიან გაერთო თავისივე ბუმბობით და ისიც ესიამოვნა, როგორ ლებულობდნენ მის ნათქვამს. სხვებს, ვისაც არ ესმოდათ ინგლისური, მაინც ეღიმებოდათ კეთილი ღიმილით. ოხუნჯობას ვერ იგებდნენ, მაგრამ ისიც ყოფნიდათ, რომ ახალგაზრდების მხიარულების მოწმენი იყვნენ. უეცრად სიცილ-ხარხარში რობერტმა ჩუმი და ცივი ზიზღნარევი ხმა გაიგონა: „Schaut euch diese dummen amerikanischen resticter an! Un diese Leute bilden sich ein, sie waren berufen, die welt su regieren“.

ყურმოკრული კარგად გაიგო. გერმანული ელზასელმა ბებიამ და ბაბუამ ასწავლეს ბავშობაში, მაგრამ რობერტმა თავს ძალა დაატანა და აღარც კი მოუხედავს უკან. მადლობა ღმერთს, გულფიცხობის წლები უკვე გამოვლილი ჰქონდა და თუ სხვას არავის გაუგონია ნათქვამი, თვითონ აღარ აპირებდა აყალპაყალის ატეხვას. აქ სიამოვნებისთვის იყო ჩამოსული და სულაც არ უნდოდა მუშტი-კრივი გაება ან მაკი და კიდეც სხვა ბიჭები ჩაეთრია ჩხუბში. ამას წინათ ერთი სიბრძნე ისწავლა — თავი დაიყრუე, როცა ასეთებს ან უფრო უარესებს გაიგონებო. თუკი ვიღაც გერმანელ ნაბიჭვარს უნდოდა ეთქვა: „შეხედე ამ გამოთაყვანებულ ამერიკულ სიფათებს. ეს ის ხალხია, ვისაც ჰგონია, რომ მათ ზვდათ წილად მსოფლიოს მართვა“, ამ სიტყვებს მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არა ქონდა და ნორმალურ ადამიანს ასე თუ ისე შეეძლო აეტანა. ერთი სიტყვით, რობერტს არ შეუხედავს მთქმელისთვის სახეში. რომ შეეხედა და დაემახსოვრებინა ის კაცი, მერე ველარ დაანებებდა თავს. ახლა კი ის ზიზღნარევი ხმა არ იცოდა ვისი იყო და შეეძლო ჩაეყლაპა სხვა ყბედლობასთან ერთად, რაც არაერთხელ გაუგონია გერმანელებისაგან მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე.

უკან არ იხედებოდა, მაგრამ თავის დაჭერა ეძნელებოდა და თვალზე დახუჭა. საკუთარ თავზე ბრაზდებოდა, ასე რომ შეაწუხა ყურმოცრულმა ღვარძლიანმა სიტყვებმა. თავს შესანიშნავად გრძნობდა, ტკბილად და მხიარულად გაიარა დასვენების დღეებმა და სისულელე იქნებოდა შემთხვევითი წამოძახილის გამო ჩაემწარებინა ყველაფერი, თუნდაც სულ ცოტა, <sup>შვეიცარიაში</sup> — ისიც უნდა გცოდნოდ, რომ გერმანელებიც შეგხვდებოდნენ სადმე“. ისე კი, ყოველ წელიწადს მატულობდნენ ჩაფსკენილი მამაკაცები და ცხვირჩამოშვებული ქალები, ეჭვიან თვალებს რომ აცეცებდნენ აქეთ-იქით და ეშინოდათ, ვინმემ არ გაგვაცუროსო ანგარიშში. ქალიან-კაციანად, იყო თუ არა საჭირო, ყველა ვაგონში ეტენებოდა. საერთო ეგოიზმის გრძობით მოცული გერმანელები თავიანთ უპირატესობას აშკარად აღიარებდნენ. სასრილოდ მხოლოდ ჯგუფ-ჯგუფად დადიოდნენ და ყოველთვის ცხვირ-პირი ჩამოსტიროდათ, გეგონებოდათ, რომელიმე სამხედრო ბრძანებას ასრულებენო. ღამით კიდევ უარესი ბარები და Stubilis აკლებული ჰქონდათ ღრეობით; ჰოდა, ეს ღამეული მხიარულება უფრო ძნელი ასატანი იყო. ვიდრე ღღის განმავლობაში მათი მიუკარებლობა და იუნკრული ქედმაღლობა. ლოჯიწითელი ოცეულება მიუსხდებოდნენ ხოლმე ლუღს და გაღონა გაღონზე ცლიდნენ; ამას კიდევ გაუძლებდა კაცი, მაგრამ მათი გულისგამგმირაფი ხარხარა და სტუდენტური სუფრული სიმღერები იჭაურობას აყრუებდნენ.

რობერტს არასოდეს არ გაუგონია „პორსტ ვესელი“ რომ ეწოდებოდათ გერმანელებს, მაგრამ ის კი შეამჩნია, რომ შვეიცარიელობას და ავსტრიელობას კარგა ხანია აღარ ჩემობდნენ და არც ელზასურ წარმოშობაზე ღებდნენ თავს. სათხილამურო სპორტი აქ ყველაფერია და სწორედ ამ საოცრად ინდივიდუალურ, მსუბუქ და ღამაზე გასართობშიც გერმანელებმა რაღაც ჯოგისთვის დამახასიათებელი შეიტანეს. ერთი-ორჯერ რობერტიც შეკუჭეს ვაგონში და ამანაც გულარ დაუშალა მას თავისი ზიზღი გერმანელების მიმართ. მაკმა კი, რომელიც არც ისე სულელი იყო, როგორც ჩანდა, დამშვიდებით უთხრა:

— მთავარაა, როგორმე ერთმანეთს მოაშორო იაინი, ჩემო კარგო. ნერვებზე მხოლოდ მაშინ თამაშობენ, როცა ერთად არიან, თორემ აგერ სამი წელია რაც გერმანიაში ვარ და კარგი ბიჭიც ბევრი ვნახე და გადასარევი გოგოც.

მაქა არ ტყუოდა ალბათ. ასე იყო თუ ისე, რობერტს უნდოდა, რომ მეგობარა მართალი ყოფილიყო. ომამდეც და ომის შემდეგაც სწორედ გერმანელების პრობლემით იყო მოცული მთელი მისი შეგნებული ცხოვრება და გამარჯვების დღე მათთვის პირადი თავისუფლების მოპოვებას ნიშნავდა, უფრო მეტიც, ეს დღე მისთვის იმ სკოლის დამთავრების ცერემონიალს წააგავდა, სადაც ძალისძალად გაატარებინეს არა ერთი და ორი წელი, რათა როგორმე გადაეჭრათ ეს მოსაბეზრებელი და მტკიცუნული საკითხი. რობერტმა თავი დაირწმუნა, რომ ღამარცხებას შემდეგ გერმანელები ჰკუთას მოუხმობდნენ. ამიტომ, ვარდა იმისა, რომ თავი დაიმშვიდა, მათი ხელით აღარ მოეკვდებით, ისიც ახარებდა, რომ გერმანელებზე ფიქრს სამუდამოდ გადაურჩა.

რობერტს სჯეროდა, ომის შემდეგ მალე დამყარდებოდა გერმანელებთან ყოველმხრივ ნორმალური ურთიერთობა — პოლიტიკურიც და ადამიანურიც.

იგი გერმანულ ლუდს სვამდა და „ფოლქსვაგენიც“ იყიდა, თუმცა გერმანელების არმიის წყალბადის ბომბით შეიარაღების მომხრე ვერასოდეს იქნებოდა. საქმესაც იწვიათად თუ დაიჭერდა გერმანელთან. მხოლოდ აქ, აქ სოფელში, გრაუბუნდენში, სადაც ყოველ წელიწადს მატულობდა მათი რიცხვი, აღარ ასვენებდა ხოლმე გერმანელებზე ფიქრი. რა ექნა, უყვარდა ეს სოფელი და მიუნხენიდან თუ დიულსელდორფიდან ტურისტების მოზღვრებას უკმაყოფილოდ რომ ვერ იტყოდა უარს ყოველწლიური შვებულების აქ განტარებაზე. იქნება სხვა დროს აჯობებდით ჩამოაყვლა, ფიქრობდა რობერტი, ვთქვათ ბანვარში, თებერვლის ნაცვლად. თებერვლის მეორე ნახევრიდან მარტის დამდეგამდე, როცა მზის სხივი უფრო თბილია და სადამოს ექვს საათამდეც ანათებს, გერმანელები ნებივრობენ ამ აღვალებში. მზის უნახავებით, რომ იტყვიან, სწორედ ისინი არიან. სად არ ნახავთ მათ მთებზე შეფენილს, წელამდე გახდილება სხედან ხოლმე ქვებზე და საუზმესთან ერთად ხარბად შთანთქავენ კაშკაშა მზის ყოველ ძვირფას სხივს. გეგონებათ პლანეტა ვენერასავით მუდმივი ნიალით დაბურული ქვეყნიდან არიან ჩამოსულით და ამ ნოკლე ხანში აპირებენ მთელი ქვეყნის სინათლისა და სიცოცხლის შეწოვას, რათა შემდეგ, მთელი წლის მანძილზე, როგორმე გაუძლონ თავიანთი მიწაწყლის პირქუშ წყვდიადს და ვენერას დანარჩენ მკვიდრთა მეზობლობას.

რობერტს გაელიმა თავისსავე მოთმინებაზე და უფრო უკეთ განეწყო ირგვლივ ყველას მიმართ. მარტოხელა რომ ვიყო, გაიფიქრა, იქნებ სადმე მეპოვნა ერთი ბავარიელი გოგო, შემყვარებოდა და ბოლო მომელო ყველაფრისათვისო.

— გაღრთხილებ, ფრენსის, — იმუქრებოდა კრაველის ქუდიანი გოგონა, — ამ მიუვალ მთებში რომ დამლუპო, დაბლა სამი იელელი ყმაწვილი დაგხვდება, რომლებიც ჩემი გულისათვის საფლავში ჩაგყვებიან, იცოდე.

რობერტმა იაფე გერმანულს მოჰკრა ყური: Warum haben die Amerikaner nicht genügend verstanden — ისევ ის კაცი ლაპარაკობდა ხმადაბლა, მაგრამ სრულიად გარკვევით. გამოთქმამზე ეტყობოდა, არც ციურებიდან იყო და არც შვეიცარიელ გერმანელს წააგავდა, — ihre dummen kleinen nutten zu Hause zu lassen, wo sie hingehören. მეტის მოთმენა აღარ შეიძლებოდა და ალბათ რაღაც უნდა მომხდარიყო კიდევ. რობერტმა ჯერ მეკობარს შეხედა, რამე ხომ არ გაიგონათ. მაკმაც იცოდა ცოტათუნე გერმანული. იგი კარგად მოსული კაცი იყო და საწიში იყო მისი გაღიზიანება. თავისი კეთილი ბუნების მიუხედავად იმ კაცის ნათქვამი რომ გაეგონა: „ამერიკელებს ის ურჩევნიათ თავიანთი სულელური ხუმრობა სახლში დატოვონ“, გერმანელი ულაპარაკოდ გაილახებოდა, მაგრამ მაკს არავისთვის არ სცხებოდა — იგი თავგამოდებით უღიმოდა გრაფინიას. ასე აჯობებოდა, გაიფიქრა რობერტმა. შვეიცარიის პოლიცია ჩხუბს ვერ იტანდა, სულ ერთია, რაც არ უნდა ყოფილიყო გაუგებრობის მიზეზი. მაკს რომ ეჩხუბა, გაგიჟებული ყველაფერს დაბდღენიდა და ციბეშიაც ამოაყოფინებდნენ თავს. ამერიკელი საკადრო ოფიცრისთვის კი, რომლის ნაწილი ფრანკფურტში იდგა, ყოველივე ამას არც თუ ისე სასიამოვნო ბოლო ექნებოდა. მე კი რა უნდა მიყონ, — რობერტმა გერმანელისაკენ მიიხედა, — დიდი დიდი სამორიგეოში დამასკუბონ ერთი-ორი საათი და პოლიციის მოხელემ ლექცია წამიკითხოს შვეიცარიული სტუმარმოყვარეობის ნოროტად გამოყენების თაობაზე.



რობერტმა უცებ გადაწყვიტა, მალა ავალთ თუ არა, უკან გავყვები და წყნარად ვეტყვი, რომ ყველაფერი გავიგე, რაც ამერიკელებზე წამორომა. ვეტყვი და ვხეთქავ კიდევ. ისეთი ვინ უნდა იყოს, რომ ვერ მოეყრიო.

რობერტმა პირველად ვერ გამოარჩია ხალხში თავისი მოწინააღმდეგე ერთი მაღალი კაცი იდგა მისკენ ზურგშექცეული, იტალიელი ქალის გვერდით, და ხმაც სწორედ იქიდან მოდიოდა. რობერტი მას ნაკმაოდ მოსულ მხრებსა და დიდ თავს ხედავდა მხოლოდ. კაცს თავზე შავი კოკარდიანი ქუდი ეხურა, ზუსტად ისეთი, აფრიკელი ჯარისკაცები რომ ატარებდნენ ომის დროს. კისერზე ჩამოხრდილ სქელ, ქერა თმაში, ჭადარაც მომძლავრებოდა. კაცს მსუქანი, კუშტი გამომეტყველების ქალი ახლდა, რომელიც გამალებით ეჩურჩულებოდა რაღაცას, მაგრამ იმდენად ჩუმად, რომ რობერტს არაფერი არ ესმოდა. მერე კაცი აენტო და გერმანულად უთხრა ქალს:

— ფეხებზე მკიდია რამდენმა მათგანმა იცის გერმანული, თუ ესმით გაიგონ! — და რობერტიც მიხვდა, ვისთან ჰქონდა საქმე.

მოლოდინის შრუანტელმა დაუარა ტანში, ხელები დაეჭიმა და მკლავები აუთამამდა. ახლა ვაგონზე მოუვიდა გული, კიდევ ხუთი წუთი დასჭირდება ადგილზე მოსვლამდეო. იცოდა, რომ ჩხუბი გარდუვალი იყო და ვეღარ ითმენდა. იმ კაცის შავი ნეილონის ზურგს მიშტერებოდა — იქნებ აქეთ გამოიხედოს და სახე დამაწახოსო. კაცის სიმაღლით და მხრების ზომით რომ გვეანგარიშა, რობერტზე ოცი გირვანქით მძიმე მაინც უნდა ყოფილიყო, მაგრამ რობერტი ნაკმაოდ მოქნილი იყო და თავსაც კარგად გრძნობდა. წინათ მაგარ მოჩხუბრად ითვლებოდა, თავისი ტანის კაცს თუ დაარტყამდა, ფეხზე აღარ დააყენებდა ხოლმე. იმასლა დარდობდა, პირველი დარტყმისთანავე არ წაქცეულიყო კაცი და ბოდვის მოხდა არ დაეწყოს, ან კიდევ ჯოხები არ ეხმარა. რობერტმა გადაწყვიტა თავისი ჯოხები ყოველი შემთხვევისათვის მაინც ხელში დაეჭირა, თუმცა მაკი პოლიციას აღარ მოერიდებოდა, იარაღი რომ ეხმარა ვინმეს. რობერტმა ტყავის მძიმე ხელთათმანები წაიძრო და ქამარში გაიჩარა. შიშველი ხელით უფრო ვასიამოვნებო. ბეჭედი ხომ არ უყვთია ნეტავო, წუხდა და თან კაცის კისერს თვალს არ აშორებდა. მერე მსუქანმა ქალმა შეამჩნია რობერტის მხერა. თვალები დახარა უმალ და შავჯუბიან კაცს რაღაც გადაუჩურჩულა. ამის შემდეგ არ გასულა რამდენიმე წამი და კაცმაც მოიხედა, ვითომდა შემთხვევით, უნებურად. კაცი პირდაპირ უყურებდა რობერტს და რობერტსაც გულში რაღაცამ გაჰკრა, — ძველი მოთხილამურე თუ ხარ, ყოველი მეორე კაცი სახეზე გეცნობა. თან ისიც არ ავაწყდებოდა, რომ მთის წვერზე ერთი პატარა გემრიელი ჩხუბი ელოდა. ცხოვრებაში პირველად მოუნდა კაცის მოკვლა და ეს ის კაცი იყო, რომლის ქერა წამწამებიანი, ცივი ლურჯი თვალები გამომწვევად უყურებდნენ მას შავი აფრიკული ქუდის საჩრდილობლის ქვემოდან.

□ □

ეს ამბავი დიდი ხნის წინათ მოხდა, 1938 წლის ზამთარში, საფრანგეთის შვეიცარიაში; მაშინ რობერტი თოთხმეტი წლის ბიჭი იყო. მზე მთას ამოთარებოდა, რობერტი ათ გრადუსიან ყინვაში თოვლზე გაგორებულყო. ტკივილი ჯერ არ დაწყებოდა, ხელოდან დასცქეროდა სასაცილოდ ამობრუნებულ ფეხს.

რალაც სისულელე ჰქონდა ჩადენილი და მაშინ იმაზე უფრო წუხდა. მშობლები რას მეტყვიან, როცა გაიგებენო. მოტეხილი ფეხი იმდენად არ აღარ-დებდა. შუაღლე კარგახნის გადასული იყო, მთაზე რომ ავიდა-მარტო ზემოთ-კაციშვილი აღარ დახვედრია. მიუხედავად ამისა, ვაკვალულ ბილიკს მარცხ არ დაადგა და სულ ტყე-ტყე იარა ფაფუკი, უვალი თოვლის ძეხნაში მჭრე-ცალი თხილამური ხის ფესვს წამოედო თურმე და დაეცა. წინ რომელიღაც მარჯ-ვენა ფეხში ტკაცანი და ძვლების ხრჭიალი კარგად გაიგონა.

ვაქკაცი იყო, შაშს როგორ დააჩაგვრინებდა თავს. წამოჯდა და ნავალ ბილიკს გახედა. სანიშნეები წიწვიანი ტყიდან ასი მეტრის იქით იყო ჩამწკრი-ვებული. ვინმეს რომ ჩამოევლო შემთხვევით, იქნებ გაეგონა კადეც მასა ყვი-რილი. არც უცდია მოშორებით ჩამწკრივებული ბოძებისაკენ ვაცოცება, რად-გან განძრევა და ტკავილის დავლა მუცლიდან კოჭამდე ერთი იყო, თანაც გულის რევა ეწყებოდა. ტყეში ჩრდილები დაგრძელებულიყო; მხოლოდ მალალ მწვერვალებს შერჩენოდათ ვარდის ფერი გაყინული მწვანე ცის ფონზე. ბიჭმა სიცივე იგრძნო, ტანში ატრყოლებდა. ალბათ, აქვე მოვკვდებით, გაიფიქრა, ამა-ღამვე გამაცხებიანებს სულსო. მერე მშობლები და თავისი ღაიკოც გაახსენდა. თრიოდ მილის დამორებით ბანსიონატის სასაღილოში რომ ისხდნენ ალბათ და ტკბილ ჩაის შეექცეოდნენ. გაახსენდა და ცრემლი არ წამომივიდესო, ტუჩზე იკბინა. ერთ-ორ საათს არც შეწუხდებიან ალბათ; მერე კი, შიში რომ შეეპა-რებათ, ისიც არ ეცოდინებათ, სად მომძებნონ. ვაგონში მარტო არ ყოფილა. მასთან ერთად შვიდი-რვა კაცა მგზავრობდა, მაგრამ არც ერთს არ იცნობდა და არც არავისთვის უთქვამს რომელი ბილიკით აპირებდა დაშვებას. სამი გორაკი იყო იმ სოფელში, სამივეზე საბაგირო გზა აღიოდა და ზემოდან სულ სხვადასხვა მიმართულებით ეშვებოდა ნაირ-ნაირი ბილიკები. რა იცოდნენ, რობერტი რომელს დაადგებოდა ან ამ სიბნელეში სად უნდა მოეძებნათ. ცას ახედა. ღრუბლები აღმოსავლეთისაკენ დაძრულიყვნენ და ისედაც მოქუფრული ცა კიდევ უფრო შავდებოდა; რომ მოეთოვა, გაზაფხულამდე ველარც იპოვიდ-ნენ ცხედარს. არადა, დედას შეჰპირდა, რაც არ უნდა მოხდეს, მარტო აღარ ვისრიალებო. ახლა სიტყვაც გატეხა და სასჯელად ესეც ეყოფოდა.

უცებ თხილამურების მყიდვე, ფოლადისებური ხმა გაიგონა. ეტყობოდა, ვიღაც სწრაფად მოსრიალებდა გაყინულ თოვლზე. სანამ მოთხილამურეს დაი-ნახავდა, რობერტი ფილტვების დაუზოგავად აბლავლდა თავგანწირული ხმით:— **Au secours! Au secours!** წამით მუქი ჩრდილი გამოჩნდა მთის წვერზე. იგა ჯერ ხეებს უკან გაუჩინარდა, შემდეგ კი მოშორებით ტყის სიღრმეში ჩაი-კარგა, სწორედ იმ სიმაღლეზე, თვითონ რომ იჯდა. რობერტი გახელებული ყვიროდა; სიტყვებით კი არა, რალაც უაზრო, გაშმაგებული ძახილით გადასარ-ჩენად უხმობდა ადამიანის შეილს, რომელიც მზის ჩასვლისას შავ აჩრდილად გამოეცხადა ამ გაყინულ მთებში და მოხდენილად დაუყვა სოფლისაკენ მიმა-ვალ ბილიკს.

მერე ჯადოქარვით შეჩერდა აჩრდილი. რობერტმა ისევ დაიყვირა. მის ხმას ისტერიული გამოძახილი მოჰყვა ტყეში. უცნობი არ ინძრეოდა, რობერტა სულ აცახცახდა შიშისაგან, ალბათ ყველაფერი მომეჩვენაო; სანახაობაც და ხმაც მირაჟი ეგონა; იფიქრა, არავინაც არ დგასო ტყის პირას ვაკვალულ თოვლ-ზე; ის კი არა, თავისი ყვირილისაც აღარ სჯეროდა, დავმუნჯდიო, ეგონა.

უცებ თვალთ დაუბნელდა, იგრძნო, თითქოს რაღაც ჩასწყდა შიგნით და თბილმა სითხემ დაურბინა ძარღვებში. ხელის ქნევას მოჰყვა ხაცოდავად და გული წაუვიდა. გონს რომ მოვიდა, უცნობი ადგა თავზე და თოვლით ლოყებს უსრესდა.

— ჩემი ხმა გაგიგონიათ, — უთხრა რობერტმა <sup>ერეკუნულნი</sup> ფრანგულს <sup>ფრანგულს</sup> ~~სერს~~.

— Ich verstehe nicht — გამოეპასუხა კაცი, — Nicht parler Fransösisch.

— მეგონა, ვერ გააგონებდით ჩემს ხმას, — გაუმეორა რობერტმა ახლა გერმანულად.

— შენ პატარა სულელი ბიჭი ხარ, — მკაცრად უთხრა უცნობმა გამართული გერმანულით. — ბედი გქონია. ჩემს მეტი აღარაფინაა ზემოთ. — მერე რობერტს მუხლი მოუსინჯა ღონივრად, მაგრამ საკმაოდ მოხერხებულად. — კარგი. — თქვა დამცინავი ხმით, — ძალიან კარგი. ერთ სამ თვეს თაბაშირში გაგაჩერებენ. ახლა წყნარად იწექი. თხილამურები უნდა შეგხსნა. უფრო მოისვენებ. — ხელის სწრაფი მოძრაობით ტყავის გრძელი თასმები შეხსნა ბიჭს და თხილამურება თოვლში ჩაარჭო. მერე თოვლი გადაფერთხა ხის კუნძიდან, უკნიდან მოუარა რობერტს და ილღიაში ამოსდო ხელები. — თავისუფლად იყავი, დახმარება არ დამიწყო, იცოდე. — ხელში აიყვანა: — კიდევ კარგი, ბუმბულის წონა გაქვს. რამდენი წლისა ხარ — თერთმეტის?

— თოთხმეტის, — უთხრა რობერტმა.

— კი მაგრამ, — გაეცინა კაცს, — შვეიცარიაში ხალხს საჭმელს არ აჭმევენ?

— მე ფრანგი ვარ, — კიდევ გაბედა რობერტმა.

— ოო... — ხმა შეეცვალა უცნობს, — ფრანგი! — როგორც იქნა, მიათრია რობერტი კუნძთან და ფრთხილად დასვა ზედ — ესეც ასე, თოვლში მაინც აღარ აგღიხარ და არ გაიყინები ცოტა ხანს. ახლა მისმინე: შენს თხილამურებს მე წავიღებ სპორტსკოლაში, თან ვეტყვი სად დაგტოვე და მშველელს გამოგავხანინან. ერთი საათიც არ დააგვიანდებათ. ვისთან ერთად ხარ ჩამოყალიბებული?

— დედ-მამასთან. შალე მონტანაში.

— კარგი! — დაუქნია თავი კაცმა. — შალე მონტანა, ხომ? იმათაც იციან გერმანული?

— დიახ.

— აგაშენა ღმერთმა, — გაამხნევა უცნობმა, — დავურეკავ და ვეტყვი, თქვენმა „ტაკიანმა“ ბიჭმა ფეხი მოიტეხა და შალე ჰოსპიტალში მოიყვანენ-მეთქი. რა გქვია?

— რობერტი.

— რობერტი რა გვარი?

— რობერტ როზენტალი. ნუ ეტყვი, რომ ძალიან დაშავებული ვარ. ისედაც შეწუხებული იქნებიან.

კაცმა არაფერა უთხრა, თხილამურები კარვად შეკრა და მხრებზე შეიგდო.

— ნუ ღარდობ, რობერტ როზენტალ, — აღირსა ბოლოს, — იმაზე მეტს არაფერს ვეტყვი, რაც მოხდა. — იგი სწრაფად დაიძრა ადგილიდან და ხეებს შუა მოხერხებულად გაძვრა. ცალ ხელში თავისი ჯოხები ჰქონდა ჩაბღვჯული, მეორეთი რობერტის თხილამურებს იმაგრებდა მხრებზე.

რობერტი გაათვა უცნობის უეცარმა გაქრობამ. მადლობის თქმა დამავიწყდაო მაშინ გაახსენდა, როცა კაცი თითქმის თვალს მიეფარა.

— მადლობა, — მიაყვირა კაცს სიბნელებში, — დიდი მადლობა.

უცნობი აღარ ვაჩერებულა და რობერტმა ისიც ვერ გაიგო, ვაფიქრა თუ არა თავისი ხმა, რადგან ერთი საათის შემდეგაც კი, როცა სრულად დაობნეულა და ვარსკვლავები აღმოსავლეთიდან დაძრულმა ღრუბლებმა შეკრფნენ, მკველელი არსად ჩანდა. რობერტს ფოსფორიანი საათი ჰქონდა. ~~შესტ...~~ ვარის იცადა საწყაღმა, რვის ათ წუთამდე. ბოლოს გადაწყვიტა, მაინც არაეინ არ მოდის ჩემს საშველად და დილაზე როგორმე თუ გავძელი, ტყიდან გავცოცდები და ქალაქისაკენ თვითონვე დავუყვებიო.

სიცოცემ ძვალსა და რბილში გაატანა. მთელი ტანით აცახცახდა. შიშისაგან კბილს კბილზე აცემინებდა, თითქოს მისი ყბები ერთი გაღარეული მანქანის ნაწილი ყოფილიყო, რომელსაც ვერაფრით ვეღარ იმორჩილებდა. თათებში გრძნობა დაეკარგა და ფეხის ტკივილიც უფრო ხშირად წამოუვლიდა ხოლმე. ჭუბის კაბიუშონი მალა აიწია და თავი მხრებში ჩარგო. ტანისამოსი სულ გაუხერხეშდა ყინვისაგან. რაღაც კვნესის მაგვარი ესმოდა და ბოლოს ძლივს მიხვდა, რომ თვითონ კვნესოდა. მიხვედრით კი მიხვდა, მაგრამ თავის შეკავება არ შეეძლო.

ნელა, მეტისმეტად ფრთხილად წამოიწია კუნძიდან, ისე, რომ მოტეხილი ფეხისათვის ძალა არ დაუტანებია, მაგრამ ბოლოს მაინც დაუცდა ფეხი და თოვლში გადაგორდა. ორჯერ წამოიკნავლა ზედიზედ და ცხვირ-პირი თოვლში ჩარგო. უნდოდა დაევიწყებინა ყველაფერი, აღარ ეფიქრა იმ აუტანელზე, რასაც სიცოცხლის შენარჩუნებისათვის ბრძოლა ერქვა. მოგვიანებით, როცა წლება მოემატა, რობერტი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მხოლოდ შეწუხებულ და დაფეთებულ დედა-მამაზე ფიქრმა შეკმატა მხნეობა.

გამწარებული ბიჭი ხელით თოვლს თხრიდა, მუცლით ქვებს და ძირს დახრილ ტოტებს ეჭიდებოდა, ხან თოვლით დაფარულ ხის ფესვებს მისწვდებოდა და ასე მიფორთხავდა ტყიდან. საათიც მოსძვრა ხელიდან და სადღაც დაეკარგა. დაბოლოს, როცა სანიშნე ბოძებს მიაღწია, რომლებიც დათოვლილი ზედაპირიდან გაყინულ ბილიკებს გამოჰყოფდნენ, ისიც არ იცოდა, რამდენ ხანს მოუწია ასი მეტრის გამოვლას — ხუთ წუთს თუ ხუთ საათს. სულს ვეღარ ითქვამდა, იწვა და სლუკუნებდა. თან ხარბად მიშტერებოდა შორს მოციმციმე ჩირაღდნებს. ცოცვა ადვილი არ იყო და ამ ძალდატანებამ გაათბო კიდევ; სახეზე ოფლი ჩამოსდიოდა, სისხლი ისევ აუმოდრავდა გაყინულ ხელ-ფეხში და ახლა მთელ სხეულში ჩხვლეტას გრძნობდა.

აქა-იქ სანიშნე ბოძებსა ზედავდ, ეს ბოძები მკრთალ ლანდებად მოჩანდნენ საშობაო ნაძვის ხის სანთლებით მოციმციმე შუქზე. მოძრაობაც გაუადვილდა გატეკნილ თოვლზე. ხანჯახან ათ-თხუთმეტ მეტრს შეუჩერებლად მისრიალებდა ხოლმე მუცლით. მოტეხილი ფეხი, იცოცხლე, აყვირებდა, თუკი ამობურცულ ყინულს წამოეღებოდა საღმე ან კიდევ ამოუტრიალდებოდა, როცა დაქანება სწორი ადგილით იცვლებოდა. ერთხელ თავი ვეღარ შეიმაგრა და პირდაპირ მთის ნიაღვარში ამოტყთ თავი. ხუთ წუთს მოუწია ნაპირზე ამოფორთხებას, მაგრამ ვაი იმ ამოსელს — თავიანფებებიანად გაწუწული იყო, ჩირაღდნები კი ისევ შორს ანათებდნენ.

ბოლოს, როცა ორჯერ აღებინა გზაში, იგრძნო, რომ განძრევა აღარ შეეძლო. წამოჯდომა სცადა: ღამე რომ მოთოვოს, დილით გამვლელი ახალი თოვლიდან წამოყოფილ თავს მაინც დაინახავსო. უცებ რაღაც ჩრდილმა გაიბრინა ჩირაღდებებსა და მას შორის. რობერტი წამოიმართა და რაც შეეძლო გაიჭიმა. ჩრდილი მოახლოვდა. რობერტმაც უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და დაიყვირა. მერე იმ გლუხკაცს უთქვამს, ვინც დალუპვამ რგმუნაჰქნა, რაღაც „პატიების“ მაგვარს ყვიროდაო.

გლუხს თივა მიჰქონდა თურმე მარხილით მთიდან დაბაში, თივა ძირს გადმოუყრია და მარხილზე რობერტი დაუწვევია. მერე ფრთხილად დაუყენებია მარხილი გაყინულ გზაზე, რომელსაც ბილიკი ჰკვეთდა და ნელ-ნელა ჩამოუყვანია სოფლის საავადმყოფომდე.

ამასობაში მშობლებისთვისაც შეეტყობინებიათ ამბავი. სანამ ისინი საავადმყოფოში მივიდოდნენ, ექიმს რობერტისთვის უკვე მორთი გაეკეთებინა და ფეხს უსწორებდა. ფეხმოტეხილი ბიჭი ნაცრისფერ ოთახში მოათავსეს, სახეზე სიმწრის ოფლი სდიოდა. მეორე დილამდე მშობლებს დალაგებულად ვერაფერი ვერ უამბო მომხდარის შესახებ.

— მერე ის კაცი დავინახე, ტყვიასავით რომ მოდიოდა ზემოდან, თანაც სულ მარტო, — ძლივს ამოღერდა რობერტმა. ცდილობდა, დაეფარა, როგორ უჭირდა ლაპარაკი, უნდოდა თავზარდაცემული მშობლები როგორმე დაეწყნარებინა; ისეთ სახეს იღებდა, ვითომ არაფერი მომხდარაყოს და ფეხიც სულ ოღნავ ჰქონოდა დაშაგებული.

— ჩემი ყვირილი გაიგონა, მომიახლოვდა და თხილამურები წამაძრო ფეხიდან. მერე ხელში ამიყვანა, ხის კუნძზე გადამსვა, რა გქვია და მშობლები სად ცხოვრობენო, მკითხა. წასვლა რომ დააპირა, მითხრა, სპორტსკოლაში შევატყობინებ სად დაგტოვე და მარხილს გამოგიგზავნიან, მშობლებს კი მე თვითონ დავურეკავ და ვეტყვი, საავადმყოფოში მოგაკითხონო. ერთი საათი გავიდა იმის შემდეგ. უფრო მეტი, ირგვლივ სულ ჩამობნელდა, მაგრამ არავინ არ ჩანდა. ვიფიქრე, ცუდა აღარ ივარგებს-მეთქი და დაბლა დავეშვი ფორთხვით. კიდევ კარგი, ის გლუხკაცი დავინახე, მარხილი რომ მოჰყავდა და...

— კიდევ კარგი! — ჩაერია დედამისი. — ეს პატარა ჩასუტეხული ქალი ძალიან ნაზი ბუნების ადამიანი იყო, ნერვები ისე ჰქონდა აშლილი, რომ ქალაქში ყოფნისას გარეთ არ გამოდიოდა ხოლმე; ეშინოდა სიცოცხის, სძულდა მთები, ვერ ურიგდებოდა იმ აზრს, რომ მისი საყვარელი ადამიანები თოვლზე რაღაც სულელური სრიალის გამო თავს საფრთხეში იგდებდნენ. აქ რა ჩამოიყვანდა, მაგრამ რა ექნა, როცა საკუთარი ქმარი და შვილები გაგაყვებული იყვნენ სპორტის სიყვარულით. დადლილობამ და მწუხარებამ ფერი დაუკარგა სახეზე და მოტეხილობა რომ არა, მზად იყო დილის მატარებლითვე გაეგზავნა შვილი პარიზში, ოღონდ ამ დაწყევლილი მთებისათვის მოეშორებინა.

— აბა, რობერტ, — ახლა მამამ მიმართა შვილს, — იქნებ ფეხი რომ იტყინე, ცუდად გახდი და მოგეჩვენა, რომ ვიღაც კაცი დაინახე, რომელმაც გითხრა, მშობლებს დავურეკავ და მარხილსაც გამოგავზავნიებო.

— არ მომჩვენებია, მამა, არა. — თქვა რობერტმა. მორფისაგან გონება დაენისლა და თავი დაუშდამდა. უკვირდა მამამისის ლაპარაკი, — რატომ გონია, რომ მომეჩვენებოდა!

— იმითომ, რომ წუხელ ჩვენთან არავის დაურეკია. მხოლოდ ათ საათზე გველაპარაკა ექიმი საავადმყოფოდან. არც სპორტსკოლაში დაურეკია ვინმეს.

— არ მომჩვენებია, — გაიმეორა რობერტმა. გული ატყინა მამის უნდობლობამ. — ამ ოთახში რომ შემთვდიდეს, მაშინვე ვიცნობ. თეთრი ქუდი ეხურა, მაღალა იყო და შავი ქურქი ეცვა. ლურჯი თვალები ჰქონდა, მშვენიერად, რადიკნაირი სასაცილო თვალები. თეთრი წამწამები თითქმის არ ეტყობოდა სახეზე.

— რამდენი წლია იქნებოდა დაახლოებით? — ჰკითხა მამამ, — ჩემი ხნის? — რობერტის მამა ორმოცდაათს იყო მიღწეული.

— არა, — უპასუხა რობერტმა, — არა მგონი.

— ქიული ბიძიას ხელა? — არ მოეშვა მამა.

— ჰო, სწორედ ასე იქნებოდა, — ამოისუნთქა ბიჭმა.

უნდოდა, მშობლებს თავი დაენებებინათ მისთვის, ახლა არა უშავდა, ცოტა მოიხედა. ფეხი თაბაშირში ჰქონდა, სიკვდილს გადარჩა და ექიმმა თქვა, სამ თვეში ფეხზე დადგებაო. გახსენებაც აღარ უნდოდა იმის, რაც ტყეში შეემთხვა წინა ღამეს.

— მაშ ასე, — ისევ დედა ალაპარაკდა, — ოცდახუთი წლის კაცი, თეთრქუდიანი და ლურჯთვალი. — მან ყურმილი აიღო და ჰოსპიტალში დარეკა.

მამამ სიგარეტს მოუკადა და ფანჯრიდან გადაიხედა. თოვდა. შუალამის მერე არ შეჩერებულა ღოვია. დღეს საბაგირო ვზა არ მუშაობდა, თოვასთან ერთად ქარიც ამოვარდა და მთებში ზვავის საშიშროება გაჩნდა.

— იმ გლახკაცს თუ ელაპარაკეთ, ვინც გაღამარჩინა, — ახლა რობერტმა ჰკითხა.

— კი, — მიუგო მამამ, — ძალიან ყოჩილი ბიჭი ყოფილაო, გვითხრა. ისიც მოგვახსენა, მე რომ არა, ორმოცდაათ მეტრზე მეტს ვეღარ ვაივლიდაო.

— ჩუ... — დედა სპორტსკოლას დაუკავშირდა. — ქალბატონი როზენტალი გაწუხებთ ისევ. დაახ, გმადლობთ, ახლა კარგადაა, — იგი თავისებური, სუფთა და ტყბილხმოვანი, ფრანგულით ლაპარაკობდა.

— დიახ, ველაპარაკეთ და ერთი რამ გვეცნაურა მისი მონაყოლიდან. ამბობს, ის კაცი შეჩერდა და თხილამურები შემხსნაო იმ ღამეს, ფეხი რომ მოიტეხა. შეპბირებია, სპორტსკოლაში მივალ, თხილამურებს დავტოვებ და მარხილს გამოვაგზავნიებ შენს ჩამოსაყვანადო. გვინტერესებს, მართლა თუ იყო ვინმე თქვენთან უბედური შემთხვევის შესატყობინებლად, ასე, საღამოს ექვსი საათისათვის. — ერთხანსა დედა დაძაბული უსმენდა, — გასაგებია, — უთხრა და ისევ დაუგდო ყური.

— არა, არა, სახელი არ ვიცით. ჩემი ბიჭი ამბობს, ოცდახუთი წლის ლურჯთვალი კაცი იყო და თავზე თეთრი ქუდი ეხურაო. ერთი წუთით! ვკითხავ. — დედა რობერტს მიუბრუნდა. — რომელი თხილამურები გეკეთა? გასახდელში ნახავენ თუ არის.

— ატენჰოფერები, — უთხრა რობერტმა, — მეტრი და სამოცდაათი. ცხვირზე ჩემი ინიციალებია წითლად ამოჭრილი.

— ატენპოფერი, — გაიმეორა დედამ ტელეფონში. ინიციალებიც ნახეთ  
მ. მ. წითლად. გმადლობთ, დაგელოდებით.

მამა ფანჯარას მოშორდა და სიგარეტის ნამწვავი საფარფულზე დააგდო.  
დაბრუნდა სახეზე დაღლილობა და წუხილი ემჩნეოდა.

— რობერტ, — მიუახლოვდა შეილს ლიმილნარევი, — უფრო  
აღტი სიფრთხილე გმართებს. ხომ იცი, ჩემი ერთადერთი ვაჟი ხარ და მეორის  
დაბნენის იმედი არა მაქვს.

— ვიცო მამა, — უთხრა რობერტმა, — ფრთხილად ვაქნები.

დედამ მოუთმენლად დაუქნია ხელი, ცოტა წყნარად იყავითო და ისევ  
დაუგდო უფრო ტელეფონს.

— გმადლობთ, თუ რამეს გაიგებთ, დამირეკეთ, ძალიან გთხოვთ, — უფრ-  
ხილი ჩამოვიდა.

— არა, — უთხრა მამას, — თხილამურება იქ არ აღმოჩნდა.

— შეუძლებელია, — აღშფოთდა მამა, — ნუთუ ამხელა კაცი ერთი წყვი-  
ლი თხილამურისათვის პატარა ბიჭს სასიკვდილოდ მიატოვებდა იმ ყინვაში.

— ერთი მიმაგნებინა და მერე მე ვიცო, — გამწარდა დედაც.

— რობერტ, ჭირიმე, კარგად იფიქრე. ნორმალური კაცი ჩანდა?

— სრულიად ნორმალური.

— სხვა ვერაფერი შეამჩნიე განსაკუთრებული? მოიგონე. აქ მარტო ჩვენზე  
არაა საქმე. ასეთი კაცი თუა ჩამოსული, ხალხმა უნდა გაიგოს, სანამ სხვასაც  
აგნებდეს რამეს.

— დედა, — კინალამ ატირდა რობერტი, — მე ყველაფერი გითხარით, რაც  
იყო, ყველაფერი. არ გატყუებ, დედა.

— როგორი ხმა ჰქონდა, რობერტ? — არ მოეშვა დედა. — ბოხი, წვრილი,  
ჩვენნაირი თუ როგორი? შენი რომელიმე მასწავლებელივით ხომ არ ლაპარა-  
კობდა, ან სხვა ვინმეს ხომ არ ამსგავსებ აქ, ახლო-მახლო.

— ჰო, მართლა, — რაღაც გაახსენდა ბიჭს.

— რა იყო, რას ამბობდი, — დაინტერესდა დედა.

— გერმანულად დამჭირდა ლაპარაკი, — თქვა რობერტმა. ტკივილით და  
მადრფის მოქმედებით გულშეწუხებულს აქამდე არ გახსენებია ეს.

— რას ჰქვია გერმანულად დაგჭირდა?

— რა და, ჯერ ფრანგულად გამოველაპარაკე. ვერ გაიგო. მერე გერმა-  
ნულად დავიწყეთ.

მშობლებმა ერთმანეთს გადახედეს. მერე დედამ ჰკითხა წყნარად:

— სუფთა გერმანული იყო თუ შვეიცარიული. ხომ იცი, რა განსხვავებაა?

— ვიცო, რა თქმა უნდა, — მიუგო რობერტმა. მამამისს უყვარდა თავისი  
შვეიცარიელი მეგობრების გამოჯავრება, ჯერ იმათ ფრანგულს დასცინოდა  
წოლზე, მერე გერმანულს, რობერტს თვითონაც მიდრეკილება ჰქონდა ენები-  
მადმი. სხვა რომ არაფერი, ელზასელი ბებია და ბაბუა ბავშვობიდანვე გერმა-  
ნულად ელაპარაკებოდნენ, სკოლაში ხომ გერმანულ ლიტერატურას სწავლობდა  
და ბებირად იცოდა ციტატები გოეთედან, შილეროდან, ჰაინეგდან. — ნამდვილი  
გერმანული, ეჭვი არ მეპარება, — თქვა რობერტმა დაბეჯითებით.

თათბში სიჩუმე ჩამოვარდა. მამა ისევ ფანჯარას მიუახლოვდა და გარეთ  
ვაიხედა. თოვლი ფაფუკ, დაბინდულ ფარდასავით ეშვებოდა დაბლა.

— ვიცოდი, რომ მხოლოდ თხილამურებისათვის არ მოხდებოდა ეს ან-  
ბავი, — თქვა წყნარად.

მამის მოლოდინი გამართლდა, დედას უნდოდა პოლიცია ფენზე დაე-  
ყენებინა და როგორმე ეპოვნა დამნაშავე. მამისათვის რომ გეგმავდა  
შეუძლებელი იყო, რადგან დაბაში ხუთი ათასი მოთხილამურე მანც  
ჩამოსული, მათ შორის უმეტესობა ალბათ გერმანულად მოლაპარაკე და თანაც  
ლურჯთვალა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დღეში ხუთ-ხუთი მატარო-  
ბელი მოდიოდა და უკან ხალხით გატენილი ბრუნდებოდა. მამას ეჭვიც იმ  
ეპარებოდა, რომ თეთრქუდიანი გერმანელი იმ დამესვე აიბარგა დაბიდან  
მაგრამ ბატონი როზენტალი მანც არ ანებებდა თავს თოვლიან ქუჩებში და  
ბარებში სიარულს. — კაცს ეძებდა, რომლის გარეგნობა შვილის ნათქვამს და-  
ემთხვევოდა. პოლიციაში მისვლა და განცხადება უარესს თუ არა, უკეთეს.  
ფრაფერს მოგვიტანსო, ამბობდა. ხალხს მეტი კი არ უნდა — აყაყანდებიან,  
ებრაელები ისევ ვაგიჟდნენო.

— შვეიცარიაში ყველა ჯურის ფაშისტები ბუდობენ, — უთხრა როზენ-  
ტალმა თავას ნეჟლეს რაკი საშველი აღარ დაადგა მათ კამათს, — და ამით  
ცეცხლზე ნავთს დავასხამთ, იტყვიან, ეს ებრაელები სადაც არ უნდა წაიყვანო.  
ყველგან დავიღარაბას ტყხენო.

რობერტის დედა თავისას არ იშლიდა. მას გერმანიაში ნათესაეები პყავდა,  
რომლებიც საშინელ ამბებს იწერებოდნენ და სურდა სამართალი ეპოვნა რო-  
გორმე, თუმცა ბოლოს თვითონაც მიხვდა, რომ ამას იყო ყოველი ცდა. ერთ-  
თვის თავზე, როცა უკვე შეიძლებოდა რობერტის გადაყვანა, დედა შეიღს მიღ-  
ჯდა მანქანაში, რომლითაც ისინი ჯერ ქენევაში უნდა ჩასულიყვნენ, შემდეგ კი  
პარიზში და ცივი, უსიციოცხლო ხმით უთხრა:

— მალე ალბათ ევროპიდან გადავსახლდებით. არ შემიძლია ან  
უბატრონო ქვეყანაში ცხოვრება.

უფრო მოგვიანებით, ომის დროს, როცა ბატონი როზენტალი გარდაეღ-  
ვალა ოკუპირებულ საფრანგეთში და რობერტი დედამისთან და დას-  
თან ერთად ამერიკაში გადავიდა საცხოვრებლად, მისმა მეგობარმა, აგრეთ-  
ვე გატაცებულმა მოთხილამურემ, რომელსაც ვაგონილი პქონდა თეთრქუ-  
დიანი გერმანელის ამბავი, დაიჩემა, ვინდა თუ არა მეცნობა ის კაციო. ნამდ-  
ვილად სპორტსკოლის ინსტრუქტორი იქნებოდათ გარმაშიდან ან ობერნდორ-  
ფიდან ან კიდევ ფრეიდენშტადტიდან, რომელიც თავის ავსტრიელ მდიდარ-  
კლიენტებს დაჰყვებოდა ხოლმე კურორტიდან კურორტზე. რობერტის მეგო-  
ბარმა არ იცოდა იმ კაცის გვარი და სახელი. ომის ბოლო დღეებში რობერტი  
თვითონაც მოხედა გარმიშში, როცა საფრანგეთის ჯარში მსახურობდა, მაგრამ  
იმ დროს, რა თქმა უნდა, თხილამურებით არავინ არ სრიალებდა.

□ □

ის კაცი ახლა იქვე იდგა, სულ რაღაც სამ ნაბიჯზე, იტა-  
ლიელი ლამაზმანის უკან. მისი მსუქანი, ხორციანი სახე თხილამურების-  
გან გაკეთებულ შავ ჩარჩოში გეგონებოდათ ჩასმული. ნაცნობი თეთრწამწამე-



ბიანი თვალები რობერტს მოსვენებას არ აძლევდნენ. გერმანელი ორმოცდაათი წლის იქნებოდა. სიცოცხლით სავსე სახეზე გამოკვეთილი პიკეტი, მოკუმული ტუჩები მის თადარიგანობასა და თავშეკავებაზე მოუთხოვნიდნენ.

რობერტს ეზიზღებოდა ის კაცი. სძულდა 1938 წელს თეთრპიკეტი წლის ბიჭუნას სასიკვდილოდ გამეტებისათვის; ეზიზღებოდა, როგორც წინასწარ ჩადენილი ყველა ბოროტებისათვის; ეზიზღებოდა მამის სიკვდილისა და დედის გადასახლების გამო; ვერ იტანდა კრაველის ქუდიანი ლამაზი ამერიკელი გოგონას მისამართით ნათქვამი სიტყვების გულისთვის; ეზიზღებოდა მისი უტიფარი გამომეტყველება, მისი ლაყლაყა ლოყები და კისერი; ვერ წარმოედგინა, როგორ შეეძლო პირდაპირ ეცქირა თვალეზში მისთვის, ვისი მოკვლაც ეწადა ერთხელ და ახლა ვეღარც კი სცნობდა სახეზე; ეზიზღებოდა აქ რომ იდგა და სიკვდილზე ფიქრებს უშლიდა ამ ვერცხლისფერ გონდოლაში, რომელიც კეთილი, სტუმართმოყვარე ქვეყნის ჰაერს მიაპობდა და წინ მისრიალებდა.

სამინლად სძულდა ეს შავქუდიანი კაცი, რომელსაც ღალატი არაფრად მიაჩნდა და ხალხის მიერ სასოებით მოპოვებულ მშვიდობას დასცინოდა, მშვიდობას, რომლისთვისაც რობერტი თავის ცოლ-შვილთან ერთად იბრძოდა და მიაღწია კიდევ საკუთარი შრომის ფასად თავისი მშვიდი, უბოროტო და გულღია ამერიკანიზმის წყალობით.

გერმანელის ბრალი იყო სწორედ, რომ ყველაფერი უკუღმა დატრიალდა: შენ ცოლთან და სამ შვილთან ერთად ცხოვრება საკუთარ ოჯახში არანორმალურია; ტელეფონების წიგნში თუ წერიხარ — ესეც არ ვარგა; მეზობელს კუდს თუ მოუხდი და გადასახადსაც ღროზე გადაიხდი — გიყად ჩაგთვლიან; კანონს თუ დაემორჩილები და პოლიციის იმედი გეჭნება — დაგცინებენ. გერმანელმა რობერტი წარსული წლებისაკენ წაიყვანა ფიქრით, როცა მკვლელობა და სისხლი, ჩხუბი და შფოთი, ძარცვა და ნგრევა ნორმალურად ითვლებოდა. მაგრამ ცხოვრებაში ხომ ყველაფერი იცვლება, წამით თავი მოიტყუა რობერტმა. მერე ისევ გონს მოვიდა და ფიქრი გააგრძელა. გერმანელთან შეხვედრა, რა თქმა უნდა. შემთხვევის საქმეა, მაგრამ შემთხვევამ ის გაახსენა, რაც რობერტისა და მთელი ამ ხალხის ცხოვრებაში წარუხოცელი იყო.

კრაველის ქუდიანი გოგონა რომელიღაც ამერიკულ სიმღერას ღიღინებდა რბილი, ნაზი ხმით. მაკმა რაღაცა გადაუჩურჩულა, მაგრამ რობერტს არაფერი გაუგონია, სიმღერის სიტყვებიც კი არ ესმოდა ახლა. მან გერმანელს ზურგი შეაქცია, ზემოდან დახედა მთის ციცაბო, კლდოვან კალთას, თითქმის მთლიანად რომ დაფარულიყო ხუჭუჭი ღრუბლებით. რობერტს გონება აერია, ბუნდოვანი წარმოდგენები ერთიმეორეს სწრაფად ცვლიდნენ. მკრთალი, გაურკვეველი სახეები ღრუბლებით დაფარული კლდის წვერივით ხან გამოჩნდებოდნენ და ხანაც ისევ თვალს ეფარებოდნენ — წითელი თოვლი, ძირს დაცემული შავქუდიანი მამაკაცი, რობერტი რევოლვერით ხელში (სად იშოვა მაინც იარაღი ამ მივარდნილ მოგებში), კაცი უმწეოდ ფართხალებს მის ფეხებთან და ხრიალებს; უკანასკნელი დამფრთხალი მზერა — ეტყობა იცნო და მიხვდა: შავქუდიანი კაცი ადგილს მოსწყდა და ხრამის ნაპირისაკენ გაექანა, ხელებით გაყინულ მიწას ეჭიდება, ყვირის შეძრწუნებული, ბოლოს ჰაერში შეტორტმანდა და უფსკრულის ფსკერზე გაიშხლართა.

თვითონ, თვითონ რაღა არის? უმაგალითო მკვლელობის ჩამდენი? იღბლიანი ბოროტმოქმედი? თუ სამართლიანი ჯალათი? იქნებ დამნაშავეა და საბრაოდებულო სკამზე ჩადენილი დანაშაულის სამართლიანობას ამტკიცებს? ან სულაც პატიმარია და ამიერიდან ყოველ დილით საპრობილეში უნდა გაიდვიძოს! შეიძლება გაამართლეს კიდევ და სახლში ბრუნდება, ექვეყნება, თუთრად შედებილ სახლში. თითქოს არაფერი მომხდარა, არაფერს მოხდა. ხელი სისხლში აქვს გასვრილა, მაგრამ ისევ ის ქმარია, ისევ ის მზრუნველი მამა.

მკვლელობა. მკვლელობა. სიკვდილი არაფრისათვის ყოველ ფეხის ნაბიჯზე. კაცი კაცს ჰკლავს ქურდობისთვის, ნაქურდალი ათ-თბუთმეტ დოლარზე მეტიც რომ არ აღმოჩნდეს. ერთმანეთს ხოცავენ სუფრასთან იბიტომ, რომ სხვადასხვანაირად ფიქრობენ. ყელს გამოგჭრიან თავიანთი პოლიტიკური მრწამსის დასაცავად. სიყვარულს, რელიგიას, შურს, გახელებას სიკვდილი მოსდევს.

წინათ აბუჩად ავღუბისათვის ჰკლავდნენ კაცს, სახეში შექცეული ერთი ჭიქა ღვინისთვის. თვითონ კი იმდენად ცაველიზებული იყო, რომ შეურაცხყოფისათვის სამაგიეროს გადახდა ვერ წარმოედგინა. ისეთი რა უნდა შეესხათ სახეში, რომ მოთმინებიდან გამოსულიყო და ღონე ეხმარა? ნეტავი რამდენი დაცინვის ატანა შეეძლო?

ნუთუ ეშინოდა და ეს იყო ორჭოფობის მიზეზი? მამამისს ხომ არ ჰგავდა რაღაცით. აქაოდა მეზობლები იტყვიან, ებრაელები სადაც არ უნდა წაიყვანო, ყველგან დავიდარაბას ტეხენო, და თავს იკავებდა.

კი მაგრამ, სხვებიც ხომ იყვნენ ებრაელები! მათ არ აწუხებდათ სხვისი აზრი და არც საკუთარი სინდისი, როცა ჰკლავდნენ. ტერორისტების ბანდა აიღე პალესტინაში, თუნდაც ებრაელი განგსტერები შეერთებულ შტატებში. ყველა ურია არ ჰგავდა მამამისს.

ევროპაში, აფრიკაში და აზიაში კი ნაკლები ხდება? ალყირელი მეამბოხენი პოლიციელებს ხოცავენ პარიზის ქუჩებში, იაპონელი სტუდენტი დამნას უყრის რომელიღაც პოლიტიკურ მოღვაწეს, კონგოელი ჟანდარმები ხიშტით უმასპინძლებიან უმწეო ტომებს. ბოლოს და ბოლოს, მკვლელობა ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. თვით შეერთებულ შტატებშიც კი ყოველ დღე, ყოველ საათს ატყობინებენ პოლიციას მკვლელობის ახალ შემთხვევას.

ომის დროს თვალდახუჭული მოკლავდა კაცს იდეისთვის, სამშობლოსთვის, იმ ხალხის დასაცავად, ვინც მისნაირ მუნდირს ატარებდა. მაგრამ კაცის მოკვლა საკუთარი თავისთვის, წარსულის კრილობის სამაგიეროდ, მაინც ეძნელებოდა. ნუთუ თავმდაბლობა უშლიდა ხელს? იქნებ თვითონ არ ღირდა იმად, რომ ადამიანებზე აღემართა ხელი? ან იქნებ მშობელი დედის ზრუნვისა და სათუთი სიყვარულის მსხვერპლი გახდა. გამზრდელის „ლანძღვის“, კეთილშობილთა სკოლების, იერუსალიმზე მეოცნებე ებრაელი მასწავლებლების, საბავშვო წიგნების, სამართლიან თამაშზე მოღალადე, დიდი ხნის უკან მივიწყებული მწვრთნელების, ბუნდოვანი, მოხერხებულად მოვონილი, ყალბი და ყოვლის შემძლე ამერიკული დოქტრინის მსხვერპლი, იმ დოქტრინის, რომლითაც ამერიკელები სულდგმულობენ და ცხოვრების „სამართალს“ ეძახიან.

რა ჰქონდა საღავო იმ შავჭუდიან ვერმანელთან, რომელმაც სასიკვდილოდ გასწირა ერთხელ?

ისეთი არაფერი! სიძულვილისა და აგონიის სამყაროში, რომელაც გერმანელებმა შექმნეს, ჯალათისა და მისი მსხვერპლის შეხვედრა გარდუვალი გახდა. ჯალათები საოცრად გამრავლდნენ, მაგრამ ზოგიერთი მსხვერპლი მაინც გაეშვა სიკვდილს. ევროპაში ხმები გავრცელდა მათ შესახებ. გენც/საკონცენტრაციო ბანაკს გადაურჩა და ომის შემდეგ ისევ ნახა მთავრობის წარმომადგენელი, უჩივლა მთავრობასთან და სასამართლო პროცესზე თქმულს დასაბუთებელი მოიხსნა, რაკილა ყოფილი ჯალათის სამაგალითო დასჯის მოწმე გახდა. მაგრამ ეს გერმანელი ვისთვის გადაეცა რობერტს? შვეიცარიის პოლიციისთვის? რომელი დანაშაულის გამო? სისხლის სამართლის რომელი მუხლი მიეყენებინა მისთვის?

რობერტს შეეძლო ამ ყოფილი პატიმარივით მოქცეულიყო, სამი-ოთხი წლის წინათ თავია კოფილ ზედამხედველს რომ შეხვედრია ბუდიპეშტში, დუნაის ხეობაში, წყალში უსერია დაუფიქრებლად და სიამოვნებით უყურებდა თურმე როგორ იხრჩობოდა. ნაპატიმრებს ყველაფერი უთქვამს, ასე და ასე იყო საქმე, და როგორც გმირი, ისე გაუთავისუფლებიათ. მაგრამ, სად შვეიცარია და სად უნგრეთი, დუნაიც შორს გახლდათ და ომიც კარგა ხნის დამთავრებული იყო.

რობერტი ხალხით გაჭედდებოდა ვაგონში შეიშმუშნა. სქელ ჯემპრში დასცხა და ნეკნებზე ოფლის წვეთები ჩამოუვლოდა. ვედარ იტანდა ამდენი ხალხის ყურებას ერთად, ყველას თავში მხოლოდ საუზმეზე ფიქრი უტრიალებდა და იმაზე დარდობდნენ, როგორ დაემუშავებინათ თოვლზე სრილის ახალი ავსტრალიული ტექნიკა. ფიქრიც აღარ შეეძლო: არადა, უნდა ეფიქრა. სადაც იყო, მთაზე ავიდოდნენ და მტკიცე ნაბიჯიც უნდა გადაედგა, ნაბიჯი, რომელიც ალბათ მთლიანად გადაასხვადებდა მის შოშაველ ცხოვრებას. რაც არ უნდა ყოფილიყო, მაკი მაინც თავიდან უნდა მოეშორებინა. ამ საქმის მოვლა მხოლოდ თვითონ შეეძლო, სხვას არავის. მაკს რომ თავის ვსახე დააყენებდა, მერე ამ კაცს გამოუღვებოდა და მდგომარეობა თვითონ უკარნახებდა, როგორ მოქცეულიყო. რობერტს ისიც შეეძლო, მთაში მარტო გამოეჭირა გერმანელი და წინასწარგანზრახული მკვლელობა უბედური შემთხვევისთვის დაემსგავსებინა. მაგრამ იქნებ იმ კაცმა თვითონ მიაყენოს შეურაცხყოფა. მაშინ ალბათ ინსტინქტი გაიმარჯვებს და ყოყმანსაც ბოლო მოეღება.

ასე იყო თუ ისე, რობერტი ღუფელში ჩხუბს არ აპირებდა. ეს მხოლოდ სასჯელის სისრულეში მოყვანა უნდა ყოფილიყო და არა საკუთარი ღირსების დაცვა. მან თვალები მოხუჭა და წარმოიღვინა, თითქოს მოწინააღმდეგეს ბოლოს უღებდა ღრუბლებით შესუდრულ განმარტოებულ ადგილას, მაგრამ როგორ — ეს კი აღარ იცოდა. როგორმე, მერე მოკლულს ტყეში გადაათრევდა და იქვე დატოვებდა, თოვლს რომ დაეფარა. გაივლიდა კვირეები, თვეები.

(ადგილობრივი ფერმერის მიერ აღმოჩენილია შავადივი უმეტხვევის მსგავსი დაკარგვიდან ორი თვის შემდეგ)

თვითონ კი სასწრაფოდ გაემგზავრებოდა შვეიცარიიდან ისე, რომ არავის არაფერს არ გაუმხელდა.

რობერტს კაციც არ ჰყავდა მოკლული. ომის დროს ფრანგულ დივიზიასთან შეკავშირე რაზმის მებრძოლად გაუშვეს და მიუხედავად იმისა, რომ მის-

თვს არაერთხელ უსროლიათ ტყვია, თვითონ თოფი არც კი უხმარია ევროპაში. ომაც დაშთავრდა. რობერტს გულში უხაროდა, რომ აღარ მოხდებოდა იმის დადგენა, შეეძლო თუ არა კაცის კვლა. ახლა კი მიხვდა, რომ ამ კითხვას ვეღარ გაექცეოდა. საკითხი გადაუჭრელი იყო. მისი ომი, როგორც ჩანს, ვერ არ დამთავრებულა. რომ არ მოეკლა, რა იქნებოდა? არ აჯობებდას მისი დაეჭირა, კარგად ეცემა, ერთი-ორჯერ თავში ფეხი ჩაერთვა. ცხვირ-ნაზის ჩემტვრია და მისი დამახინჯებული სახე სასტიკი შურისძიების მოწმედ გაეხადა?! აჯობებს, გაიფიქრა რობერტმა, ნამდვილად აჯობებს. წავიდეს და მიჩივლოს. ის მარჩვენია თუ მიჩივლებს. რობერტი გრძნობდა, რაც არ უნდა მომხდარიყო, გერმანელი პოლიციას არ ჩარევდა საქმეში, თუკი შეძლებდა. აბა, გეგმავდა რობერტი, გაჰყვებოდა. უყურე, როგორ წავა საქმე. თვალი არ მთავროს. რაც მოსახდენია, მოხდეს.

სწრაფად, ყველაფერი სწრაფად უნდა დამთავრდეს. სანამ გერმანელი მიხვდება, რომ თვალს ადევნებენ, სანამ გაიკვირებს, რა უნდა ამ ამერიკელს, რომ მომდევნო, სანამ მის წინ აყუდებული ვაჯაკაცის შურისძიებით აღსავსე გამომეტყველება არ გაახსენებს 1938 წელს წყვილიადით მოცულ ტყეში მიტოვებული თოთხმეტი წლის გამხდარი ბიჭის სახეს.

— რობერტ. — ძლივს გააგონა მაკმა, — რა ამბავია? ნახევარი წუთია გელაპარაკები და ერთი სიტყვაც არ გაგაგონია ჩემი ნათქვამი. ცუდად ხომ არა ხარ? საოცრად გამოიყურები, ბიჭო!

— რა გამხდოდა ცუდად, — გამოფხიზლდა რობერტი, და თავს ძალა დაატანა. იმავე კაცის სახე მიეღო, რომელთანაც მაკმა მთელი ერთი კვირა გაატარა, — თავი მტკივა, მეტი არაფერი, შევქამ რამეს, ცხელსაც დავაყოლებ და გამივლის. ნუნ მარტო დაეშვი.

— რას ამბობ, — აღშფოთდა მაკო. — დაგიცდი.

— ნუ სულელობ, — რობერტი ცდილობდა მეგობრულად და რაც შეიძლება უშუალოდ ელაპარაკა, — გრაფინიას დაკარგა. მართალი გითხრა, დღეს აღარც მინდა სრიალი. ამინდიც გაფუჭდა თითქოს. არაფერი აღარ ჩანს ირგვლივ. მე ლიფტით დავეშვები დაბლა.

— რაღაც არ მომწონხარ, — კიდევ უფრო შეწუხდა მაკო, — იქნებ ეჭიმთან წამყუყანე?

— თავი დამანებე, თუ ძმა ხარ, — უთხრა რობერტმა. მაკო უნდა ჩამოეშორებინა. ახლა თუ აწყენინა მეგობარს, შერე გამოასწორებდა ნათქვამს როგორმე. — ეს ოხერი თავი რომ მტკივდება, მარტო დარჩენა ყველაფერს მიჩვენია.

— არ მომატყუო, იცოდე.  
არა.

— მამ კარგი, სასტუმროში გნახავ. ჩაის დასალევად ხომ მოხვალ?

— ჰო, სასტუმროში, — უპასუხა რობერტმა. მკვლელობის შემდეგ ყოველთვის ჩაის გეახლებოდათ. მკვლელობა იყო თუ რაც იყო, ერთი სიტყვით.

რობერტი გუნებაში ღმერთს ევედრებოდა იტალიელ ქალიშვილს ჩქარა

მოერგო თხილამურები და მთაზე ასვლისთანავე დაძრულიყო ადგილიდან — იქნებ მაკიც იმას გაჰკადებოდა უკან, სანამ რობერტი შევეჭიდებინა და შედეგებოდა ფეხდაფეხ.

ვაგონმა უკანასკნელ საყრდენს გადაუქროლა და სვლას უკლო. მგზავრები ამოძრავდნენ, ტანსაცმლის გასწორება დაიწყეს, თხილამურების სამაგრებს სინჯავდნენ. რობერტმა გერმანელს გადახედა. ცხვირწითელ ქალი, ჩანჩურა მზარეულს რომ წააგავდა, ცოლის მზრუნველობით უკრავდა აბრეშუმის ყელსახვევს კისერზე. არც ქალი და არც კაცი რობერტისაკენ არ იხედებოდნენ. იმ ქალბატონსაც მაშინ მოვუვლი, როცა მივალ, გაიფიქრა რობერტმა.

ვაგონი გაჩერდა და მოთხილამურეები ნელ-ნელა გარეთ გამოლავდნენ. რობერტი კართან ახლოს იდგა და სხვებზე ადრე გავიდა გარეთ. უკან არც მოუხედავს, ისე გაშორდა იქაურობას და მოქუფრული მთის წვერისაკენ გაეწურა. სადგურის ერთ მხარეს მთის კლდოვანი კალთა ეშვებოდა. რობერტი ხევის პირას დადგა და ძირს გადაიხედა. გერმანელი რომ მიახლოებოდა ნიასლის სისქის შესამოწმებლად ან კიდევ თოვლის დონის დასადგენად კაიზერვანტენის ბილიკზე, რომელიც ოდნავ მოშორებით იწევებოდა, კლდის ქვემოთ, რობერტს შეეძლო ხელის სწრაფი მოძრაობით გადაეგდო ასი მეტრის სიმაღლიდან და ყველაფერი ამით დამთავრდებოდა. სადგურის შესასვლელს გახედა და მოთხილამურეთა ჭრელ ბრბოში აფრიკულ სამხედრო ქუდს დაუწყობებდა.

კარებში მაკი და იტალიელი გოგონა გამოჩნდნენ. მაკი რაღაცას ელაპარაკებოდა იტალიელს და თან მისი თხილამურები მოჰქონდა. გოგონა თბილად უღიმოდა. მაკმა ხელი დაუქნია რობერტს და ჩაიმუხლა, რომ გოგონას თხილამურების დამაგრებაში დაეხმარებოდა. რობერტმა ღრმად ამოისუნთქა. მაკი აღარ უშლიდა ხელს, დანარჩენმა ამერიკელებმა კი რესტორანში შეუხვიეს იქვე, სადგურთან ახლოს.

აფრიკული ქუდი არსად არ ჩანდა. გერმანელი და მისი ქალბატონი აგვიანებდნენ, თუმცა ამაში გასაკვირი არაფერი იყო. მთაზე რომ ამოვიდოდნენ ხოლმე დამსვენებლები, ზოგი თხილამურებს პოხავდა, ზოგი საპირფარეოში გარბოდა და სამგზავროდ ემზადებოდა. ამაზე უკეთესი რა უნდა ყოფილიყო. რაც უფრო მეტად დაიგვიანებდა გერმანელი, მით უფრო ნაკლები ხალხი გაიგებდა რობერტის განზრახვას.

რობერტი ისევ კლდის პირას იცდიდა. ცივ ნისლში თავი მსუბუქად და დონივრად იგრძნო. თავის ცხოვრებაში პირველად შეიცნო სხვისი განადგურებით მონიჭებული საოცრად ღრმა და ავხორცული სიამოვნება, „შემიძლია, ნამდვილად შემიძლია ამის გაკეთება“. მან მზიარულად დაუქნია ხელი თავის მეგობარს და იტალიელ გოგონას, რომლებმაც მთის მეორე მხარეს მიაშურეს და ერთ-ერთ ყველაზე იოლად დასაძლევ ბილიკს დაადგნენ.

სადგურის კარი ხელახლა გაიღო და ის ქალი გამოვიდა, გერმანელს რომ ახლდა. იგი თხილამურებზე იდგა. რობერტმა იფიქრა, ალბათ თხილამურებს იმაგრებდნენ და ამიტომ დააგვიანდათ ამდენიო. ცუდ ამინდში ყველა ასე იქცეოდა, ხელი რომ არ გაყინვოდათ ყინულისით ცივ ლითონის სამაგრეებზე, თხილამურებს მიგვე იმაგრებდნენ. ქალმა კარი დაიჭირა ხელით და რობერტმა ახლა შევეჭიდებინა კაცი დაინახა, რომელიც სხვებივით კი არა, რაღაც უცნაუ-

რად გამოდიოდა გარეთ. იგი ცალ ფეხზე ხტუნავდა, თუმცა ძალიან მოხერხებულად. მეორე ფეხი შუა ბარდაყზე ჰქონდა გადაჭრილი. თავი რომ დაემაგრებინა, რგოლების ნაცვლად ჯოხებზე პატარა თხილამურები ჰქონდა ამოკრული.

სხვა ცალფეხა მოთხილამურეებიც უნახავს რობერტს წინააღმდეგობის არმიის ვეტერანები, რომლებმაც უარი თქვეს ხეიბრობის მტკიცე მტკიცებულების მიტოვებაზე. რობერტი ალტაცებული იყო მათი ნებისყოფით და ოსტატობით. მაგრამ ამ შეჯქუდიან გერმანელის მიმართ მას არავითარი ალტაცება არ უგრძენია. ერთადერთი, რამაც შეაწუხა, იყო ხელის მოცარვის მწარე შეგრძნება, უკანააგნელ წამს უფლების დაკარგვა იმაზე, რასაც დანამდვილებით შეპირდნენ და რაც მას სურდა, ძალიან სჭარღებოდა. ახლა ძალა აღარ ეყოფოდა მოეკლა ან დაესახიჩრებინა ერთხელ უკვე დასახიჩრებული, დაესაჯა ერთხელ უკვე დასჯილი და საკუთარი თავი შეეზიზღა ასეთი ლაჩრობის გამო. ახლავს მიხვდა რობერტი, რატომ გამოხატავდა გერმანელი ასე ხმამაღლა და მოურიდებლად ამერიკელების მიმართ საძულვილს. დაკარგულმა ფეხმა ხეიბრობის იმუნიტეტი გაუჩინა და სჩვისი დაცინვა დიდ სიამოვნებას ანიჭებდა.

რობერტი თვალს არ ამორებდა კაცს, რომელიც საბავშვო თხილამურებზე დაყრდნობილი კიბორჩხალასავით მიიკვლევდა გზას თოვლში. აღმართზე ქალი უკან მიჰყვებოდა, თან ხელით აწვეებოდა, სანამ ვაკეზე გავიდოდნენ და კაცი თვითონ შესძლებდა სიარულს.

ნისლი გადაიკრიფა და მზის შუქმა უცაბედად გამოანათა. რობერტმა კარგად დაინახა, რომ ქალი და კაცი ყველაზე ციცაბო დაღმართის თავთან მივიდნენ. კაცი უყოყმანოდ გადაეშვა დაბლა. იგი ოსტატურად მისრიალებდა და ბევრ სუსტ და გაუბედავ მოთხილამურესაც გაასწრო, რომლებიც ფრთხილად არჩევდნენ სასრიალო ბილიკებს დაღმართზე.

რობერტი დაღონებული გასცქეროდა მათ. დაჭრილი, მაგრამ მაინც უვნებელი გერმანელი საზიზღრად მოხდენილი ჩანდა. ქალი და კაცი თეთრ სივრცეში მალე პატარა ფიგურებად გადაიქცნენ. რობერტს მხოლოდ სიცივე შემორჩა და უიმედო, მუდმივი პატიების გრძნობა.

მალე ფიგურებაც გაქრნენ მთის ქვედა კალთაზე ჩამოწოლილ სქელ ნისლში.

რობერტი თავის თხილამურებს მიუბრუნდა და ფეხზე მიიმაგრა. ხელები სულ გაეყინა და თითებს მოუხერხებლად ამოძრავებდა. ხელთათმანები ამათიოდ წუთის უკან ჯერ კიდევ იმედით სავსე და მიამიტ წარსულში გაიხადა, როცა ფიქრობდა, რომ გერმანელის შეურაცხყოფას შიშველი მუშტებით უბასუხებდა.

მაკი და იტალიელი გოგონა რომ დაადგნენ, იმ ბილიკით დაეშვა რობერტი და მეგობარს შუაგზაზე წამოეწია. სოფელში რომ ჩააღწიეს, გათოვდა კიდევ ისინი სასტუმროში შევიდნენ. მშვენიერი საუზმე მიირთვეს და ღვინოც ბევრი დალიეს. გოგონამ მაკს მისამართი დაუტოვა და უთხრა, მილანში თუ მოხვდებით, უეჭველად მინახულეთო.

მ თ ა რ გ მ ნ ე ლ ი ს ა ვ ა ნ



ეროვნული

ი რ ვ ი ნ მ თ უ 1918 წელს დაიბადა ბრუსელიში. ამერიკის შეერთებული შტატებში ლიტერატურულ სარბიელზე გამოვიდა 1936 წელს ომის საწინააღმდეგო პიესით „დამარბეთ მკვდრები“. მის კალამს ეკუთვნის კიდევ რამდენიმე პიესა: „უწყინარი ზღონი“, „აღუა“, „მკვლელი“ და სხვ.

განსაკუთრებული პოპულარობა მოუტანა მწერალს რომანმა „ახალგაზრდა ლომები“, რომელიც პირველად 1948 წ. გამოქვეყნდა, ნაწარმოები მეორე მსოფლიო ომისაღმია მიძღვნილი და ითვლება ი. შოუს საუკეთესო ქმნილებად.

ი. შოუს რომანებიდან აღსანიშნავია აგრეთვე „ლუსი კრაუნი“, „ორი ევირა სხვა ქალაქში“, „ბრძენელი მეზღვაური“.

ი. შოუ შესანიშნავი ნოველისტიცაა. ქართულად თარგმნილია მისი მოთხრობა „ფრანგულუაიდაზე“ და „ერთი წელიწადი ენის შესასწავლად“.

მოთხრობა „ვენერას მკვიდრნი“ პირველად 1964 წ. გამოქვეყნდა კრებულში „პრემიერბული მოთხრობები“.

## კოლქაური ლეგენა

კცვერცკ-ქალაქში ერთი შინაბერა ცხოვრობდა, სახელად — მარიჩელა ბორბოიე, წლების მანძილზე დიდი ღვთისმოსიშისა და უმანკო ადამიანის სახელი მოეპოვებინა. დღეში, სულ ცოტა, ერთ წირვას მაინც ესწრებოდა, კვირაში ორჯერ ზიარებას იღებდა, საღვთო შესაწირავს უხვად სცემდა, დღენიადაგ საკურთხევლის საფენის ქარგვაში იყო და არც მათხოვრებს აკლებდა წყალობას. ზამთარ-ზაფხულ ერთთავად შავებით მოსილი დაიარებოდა, თვალები მუდამ დაბლა ჰქონდა დახრილი, მამაკაცს ჟკიდურესი საჭიროების შემთხვევაში თუ გასცემდა ხმას, არავის აღუძრავდა იმ ჰვენა გრძნობებს, უმძიმესი ცოდვისაკენ — ავხორცობისაკენ რომ უბიძგებს ადამიანს. თავად ხომ არასოდეს შეუცოდავს და... ასე. ბოლოს ღმერთმა, თითქოს უნდოდა საშუალება მიეცა მისთვის სრულქმნილიყო, ერთობ დიდი და მტანჯველი გამოცდა მოუწყო. შინაბერასაც ეგ უნდოდა, მის გულმოწყალებას გასაქანი მიეცა და სათნოების სასწაულებს ახდენდა.

ბორბოიეს ქალმა უნაზესი ზრუნვითა და უაღრესი ყურადღებით გამოზარდა თავისი თბილი ძმისწული ბობისლა. ეს თავაზიანი უმაწვილი, რომელიც დიდ იმედებს იძლეოდა და ვისთვისაც ბორბოიე ნოტარიუსის მომავალს ვარაუდობდა, ხანში შესულმა ქალიწვილმა თავისი მიაბიტობით, და კიდევ ამ დაწვებულებაში მომუშავე მასწავლებლების კარგი სახელის გამო, სახელმწიფო ლიცეუმში მიაბარა, სადაც მას ბევრი დრო არ დასჭირვებია, რათა საბოლოოდ გარყვნილიყო. ფალოსოფიის გაკვეთილებმა, როგორც ეს ძალიან ხშირად ხდება, როცა ამ საგანს ათეისტური მასწავლებლები ასწავლიან, მასზე განსაკუთრებით დამღუბველი გავლენა იქონიეს.



ადამიანურ ვნებათა მთელი ეს მექანიზმი მან მხოლოდ იმიტომ და იმდენად შეითვისა, რომ სხვათა სისუსტით ესარგებლა და საკუთარი ვნებები დაეცაყოფილებინა. ხელი მიჰყო თამბაქოს წევას, სმას, ქალების ყურებას თავზე-ღურად, ავზორცულად გაბრწყინებული თვალებით. შინაბერას ეტვიც კი არ აღძვრია ოდესმე, რომ მისი ძმისწული ცუდ გზაზე იყო დამდგარი, რადგან ბობისლას მისთვის არასოდეს შეუხედავს ასეთი თვალებით. ეტვიც კი არც ისე მაგრად ეკიდებოდა, რომ შეუძლებელი ყოფილიყო მისთვის მტკიცე მხარხმლად კარგ ხასიათზე ყოფნაში ჩამოგვრთმიათ. ლიცეუმის დამთავრების შემდეგ, ბობისლას ნოტარიუსს მიაბარეს, რათა პრაქტიკულად გასცნობოდა სამუშაოს. სწორედ ამ შეგირდობის ხანაში გამომქლავნდა პირველად მისი გარყვნილება. ერთხელ ნაშუადღევს, ნოტარიუსი რომ გარეთ გაიგულა, სალაროდან ფული მოიპარა, დიასახლისი და ორი მოახლე ჯერ გააუპატიურა და მერე აიძულა მარხმლში ჩაჰყოლოდნენ და „ვოდკითა“ და ღვინით გამობრუებულიყვნენ. საბედნიეროდ, ნოტარიუსის შვიდი ქალიშვილი იმ დროს შინ არ იყო, მაგრამ ეს ამბავი მაინც ერთობ სანანებლად დაჯერა შეგირდს. გაქურდულმა და შეურაცხყოფილმა ქმარმა შეგირდი გარეთ გამოაგდო და ბორბოიეს ქალს საჩივრით მიაღვა.

ამ გაუგონარი უხნეობით გულგახეთქილმა შინაბერამ ღმერთს შეველა სთხოვა, ძალა მოიკრიბა და შეეცადა თავისი ძმისწული კვლავ სწორ გზაზე დაეყენებინა. ამოდ დაშვრა; მრავალ საქმეს მოჰკიდა ხელი, მაგრამ ვერც ერთს ვული ვერ დაუდო იმ მისი ცოდვით სავსემ. თანდათან სულ წავიდა ხელიდან და დაეცა ზნეობრივად; მთელი ქალაქი ლაპარაკობდა მის ყოფაქცევაზე, ორგიზებზე, ჩხუბზე, აყალმაყალზე, ახალგაზრდა ქალებზე, სირცხვილნაჭამ და შეურაცხყოფილ ქმრებზე, კახებზე, რომლებთან ლაზღანღარობაშიც ატარებდა იგი დროს.

სხუთი წლის განმავლობაში ბორბოიეს ქალი იმედს არ კარგავდა, ეგონა გამოსწორდებოდა, რჩევა-დარიგებას არ აკლებდა და ფულსაც უხვად აძლევდა, რაც, რა თქმა უნდა, დასჭირდებოდა, შინაბერას შეგონებანი რომ ყურად ელო-ბოლოს, რა დაინახა, ასეთი თავისუფლება მის ძმისწულს მხოლოდ ცოდ-ვებისაკენ უბიძგებდა, გადაწყვიტა გაჭირვება გამოეცდევინებინა და ამგვარად აეძულებინა საქმეს მოჰკიდებოდა. და აი, ერთ მშვენიერ საღამოს, როცა ბობისლამ ფული სთხოვა, ეყო ძალა ძმისწული უარით გაესტუმრებინა.

ასე იყო საქმე, როცა ომი დაიწყო. დიდი ხნიდან მოყოლებული პოლდა-ველი ხალხი მეტად ცუდ დანოკიდებულებაში იყო თავის მეზობელ მოლეტონელ ხალხთან. ყოველ წუთს ახალ-ახალი მიზეზი წარმოიშვებოდა ხოლმე დავი-სათვის ამ ორ დიდ სახელმწიფოს შორის, რომელნიც ვერა და ვერ პოულობ-დნენ ურთიერთშეთანხმების გზას, შით უფრო, რომ ორივე მხარე თავისებურად მართალი იყო. მდგომარეობა ისედაც ძალზე დაძაბული გახლდათ, როცა ერთი ფრიად მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა, რაც მოგვიანებით ომის დაწყებას უნდა დასდებოდა საბაბად. ერთმა პატარა მოლეტონელმა ბიჭმა უდარღელად, მზაკვ-რულად გადიმებულმა გადმოაფხა პოლდაველების სახლვარს გადმოღმა და მოარწყა პოლდავეთის მიწა. ეს სუკვე მეტისმეტი იყო, შელახულ იქნა ღირსება პოლდაველი ხალხისა, ამის პატიება არ შეეძლოთ პოლდაველებს და ქუდზე კაცს უხმეს დაუყოვნებლივ.

დიდი გამოცოცხლება დაეტყო კცვერცკსაც. მამაკაცები სამშობლოსათვის


თავის გასაწირად ემზადებოდნენ, ქალებმა კი თბილი საცვლების ქსოვას მიჰყვეს ხელი. ბორბოიეს ქალმა აქაც გამოიჩინა თავი, როგორც ნაქსოვის სიწმინდით, ასევე ნახელავის სიმრავლითაც. ამას გარდა სწორედ მან დაუნთო ყველაზე დიდი სანთელი ღმერთს და პოლდაველთა არმიის გამარჯვებას შეევედრა. ბორბოიეს ძმისწული, რომელსაც ამასობაში უკვე შესრულებოდა ოცდარვა წელი, იქვე, ქალაქად დაბანაკებულ პუსართა ლაშქარში გამწვანეს. ჯარისკაცის ფარაჯაში გამოწყობილ, საკუთარ თავით აღტაცებულ სიხარულით უშველებელი ფრთიანი ჩაჩი მოერგო თავზე, წელზე არშინიანი ხმალი შემოერთყა, რომელიც წვივებამდე სწვდებოდა და თავი პოლდავეთის უმაძაცეს, სახელოვან დამცველად წარმოედგინა. მისმა დიდგულობამ და თავბედობამ ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა. ბრძოლის ველზე გამგზავრების მოლოდინში ომი მისთვის გაუთავებელი ქეიფის, ღრეობისა და არშოიობის საბაბად გადაიქცა. აქაოდა, დღეს თუ ხვალ თანამოქალაქეთა დასაცავად თავის გასაწირად მივდივარო, მეტიანეებად გადაჭარბებულ მოთხოვნილებებს უყენებდა ამ უკანასკნელთ. ქალაქში არ დარჩა არც ერთი ქალი თუ ქალიშვილი, ვისი ცუდი თვალთ შეხედვა და ხელყოფა ვერ გაებედა ბობისლას. გამუდმებით დასდევდა უკან, მიჰყვებოდა ეკლესიაში, და საკუთარ სახლებშიც კი, უსირცხვილოდ იღებდა წილს მათი მანებისა და გაწამებული ქმრების შემოსავალში, ძარცვავდა უბრალო გამვლელებს, ვითომ იმ აზრით, რომ მონაწილეობა მიუღებინებინა მათთვის სამშობლოს დაცვაში. ბორბოიეს ქალმა, რომელსაც აქამდე კიდევ შერჩენოდა რაღაც ნატამალი სინაზისა თავისი გარყვნილი ძმისწულისადმი, ახლა მთელი გულით, მთელი თავისი არსებით შეიზიზლა იგი. ასე მხოლოდ სათნოებას შეუძლია გამოამყდავნოს თავისი უღმობლობა ყოველივე ბიწიერის მიმართ. ეს ზიზღი, რაც შინაბერას სათნოების გამოვლინებად მიაჩნდა, სულ არ უშლიდა ხელს მამაც მეომარს დროდადრო მოენახულებინა მამიდამისი. მრავალსართულიანი, უხამსზე უხამსი გინება მეზობელი ქუჩის კუთხიდანვე ამცნობდა შინაბერას მის მობრძანებას. შემოვიდოდა ბანცალ-ბანცალით, თავს ვერ იმაგრებდა და ეჯახებოდა ყველაფერს ოთახში, გამარჯვების ნაცელად ლეთის საგმობ სიტყვას იტყოდა რაიმეს და ბოყინითა და ხრილით ანიშნებდა შინაბერას, ფული მოიტა და რაც შეიძლება სწრაფადო. შინაბერამ რამდენჯერმე სცადა არ დამორჩილებოდა, მაშინ ბობისლამ ქარქაშიდან ამოაყოფინა თავი წელზე ნელა მოქანავე ხმალს და დაემუქრა წმინდანს, თავს ორად გაგიბობო. ბოლოს, ექვსი თვის გარყვნილი და ავანაკური ცხოვრების შემდეგ, პუსარი ბობისლა ვაგონში ჩასვეს და პირდაპირ ფრონტის გზას გაუყენეს. ქალაქმა შვეებით ამოისუნთქა. იმდენად დიდი სიხარული მიანიჭა პატიოსან მოქალაქეებს მისმა გამგზავრებამ, რომ იმ დღეს გამოცხადებული ერთი ფრიად მნიშვნელოვანი და ძალზე სასიხარულო ცნობა შეუქმნეველი დარჩა ხალხს. ბორბოიეს ქალი კი, ნუ იტყვით, თითქოს მეორედ დაიბადაო იმ დღეს, — ახალი ცხოვრება დიდი სითბოთი და სინათლით იყო მოცული, ბავშვური გატაცებით დაეწაფა ლოცვების კითხვას და ღამით ოცნებაში სერაფიმის ფრთები ეზმანებოდა.

ექვსი თვე გავიდა ბობისლას ფრონტზე წასვლის შემდეგ, პოლდაველთა არმიას მრავალი სასახელო გამარჯვება ჰქონდა უკვე მოპოვებული, როცა ქალაქ კცვერცეს ვრიბის ეპიდემია მოედო. ბორბოიეს ქალი ერთ-ერთი პირველ-



მსახური ზ. ფარსადი

თავანი ვახდა ავად და მისთვის ჩვეული მოთმინებით ელოდა სიკვდილს. ანდერძი ქვეყნის წმილათაწმიდა ადათ-წესის მიხედვით შეადგინა, უკანასკნელი აღსარება ნათელ გონებაზე მყოფმა მიიღო, ვაჟთენისხანს ღმერთის წმიდა სახელი ახსენა და მიიცივალა. ამ ამბავმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ქალაქში, ბოლოს კი ყველანი შეთანხმდნენ, ბორბოიეს ქალი ამ საღამოს უფუფუფსკომოთხეში ივანშმებს ანგელოზებთან ერთად.



ცისკიდურა რომ მიუახლოვდა, ბორბოიეს ქალს იმდენად უცნაური სანახაობა გადაეშალა თვალწინ, რომ უცებ გონს ვერ მოეგო. მისასვლელი გზები ჯარისკაცებით იყო გაჭედილი, რომელნიც წყება-წყებად, ხმაურით გადიგამოდდიოდნენ ორ რიგად ჩამწკრივებულ, ფერდობას ძირში დამსხდარსა თუ წამოწოლილ მოქალაქეებს შორის. მოქალაქეები სასოწარკვეთით ადევნებდნენ მათ თვალს. შინაბერა აუღელვებლად, ჩორვით აედევნა წინ მიმავალ წყებას. ანახდად თავისი სახელი შემოესმა. მოიხედა და გზის პირას ჩამომსხდარ მოქალაქეებში ის ნოტარიუსი შეიცნო, ბობისლამ რომ ცოლი გაუუბატიურა. მოხუცმა, რომელმაც მას სულ რაღაც ორიოდ კვირით დაასწრო საფლავში ჩასვლა, მოიკითხა შინაბერა და უწყინარი ირონიით ჰკითხა, საით მიიჩქარიითო.

— უფალმა უნდა მიმიღოს!  
— ეჰ, ვაი, რომ ჩვენი რიგი ძალიან შორსაა...  
— რას ბრძანებთ, თქვენი არ მიკვირს? მაინც რატომ არ უნდა მიმიღონ? ამას რა დიდი მიხვედრა უნდა. თვალი გაახილეთ და თქვენთვის ყველაფერი ნათელი გახდება... მას შემდეგ, რაც ომი დაიწყო, აქ მხოლოდ ჯარისკაცებს იღებენ. წყება-წყებად მოდიან ცაში, ოთხ-ოთხად დამწკრივებულნი, სრულიად უვამოცდოდ შედიან სამოთხეში, არავინაა მათი ცოდვების განსკითხავი.

— შეუძლებელია, — ჩურჩულით წარმოთქვა შინაბერამ — ეს ხომ საშინელება იქნებოდა...

— პირიქით, სავსებით სამართლიანია! ის, ვინც წმინდა მიზნისათვის სწორავს თავს, სწორედ რომ იმსახურებს ადგილს ზეცაზე. პოლდაველი ჯარისკაცები უთუოდ არიან ამის ღირსნი, მათ მაშაცური ბრძოლით დაიმსახურეს ღმერთის ყურადღება. მოლეტონელმა მეზობლებმაც დაიმსახურეს. ჩვენ ამას არ გვეუბნებიან, მაგრამ ღმერთი მათთანაც არის. ყოველივე ამან გამოიწვია ხალხის მოზღვაება. ვშიშობ, რომ ეს თმი კიდევ დიდხანს გასტანს. ჯერ ვერც ერთ მსარეს ვერ დაუოკებია ბრძოლის ქინი, ბრბოს ფსაქოლოგაც თავისას შვრება, სარღლებსაც არასოდეს გამოუჩენიათ ამდენი სიბრძნე. ერთი სიტყვით, როგორც ხედავთ, არავითარი იმედი არ არის, რომ თმის დამთავრებამდე ჩვენ ვინმე მოგვაჩვენეს ყურადღებას. დიდი ბედნიერება იქნება კიდევ, თუ ჩვენი საბუთები სადმე არ დაიკარგა ამ ორომტრიალში.

ბორბოიეს ქალი დიდ საგონებელში ჩააგდო ნოტარიუსას ნაამბობმა. მერე კი, როცა აწონ-დაწონა ყოველივე, ეჭვი შეეპარა ნათქვამის სიმართლეში. თავისი სიცოცხლე ამ კაცმა საკმაოდ პატიოსნად გაატარა, მაგრამ ღვთისმოსაობით მაინცდამაინც ვერ დაიკვებნიდა და საერთოდ დიდი ღორბუცელა

და ძუნწი კაცის სახელით იყო ცნობილი. განა ეს სავსებით საკმარისი არაა, რომ უფალმა არ შეგინდოს?

ჯარისკაცები, ქვეითები თუ მხედრები, ყველანი ერთად შეგუფთვლიყვნენ საამოღ გაბრწყინებული ცის კარბჭესთან, რომლის ნისბვლელებიც იმდენად ფართო იყო, რომ მოედანს ქმნიდა. კარს ზემოთეჭრუბულსწულაზე წამომჯდარი წმიდა პეტრე გულდაწვეტილი აღევნებდა მხურვალე სუბსებში შემავალთ. ბორბოიეს ქალი, სავსებით დაწყნარებული სინდისით, მიაშიტად და თამამად გაემართა მოედნის შუაგულისაკენ. გზად მთავარანგელოზი შემოეგება და უნაზესი ხმით, ხმით, რომელიც უკვე სამოთხის გალობად ქცეულიყო, მიმართა:

— მოხუცო, გაბრუნდით უკან! მოგეხსენებათ, რომ სამოქალაქო პირთ მოედანზე შემოსვლა აკრძალული აქვთ.

— ჩემო მშვენიერო ანგელოზო, თქვენ ერთუოდ არ იცით ვინა ვარ... მე ბორბოიეს ქალი გახლავართ კცვერცკიდან. სამოცდარვა წლის ქალი, ჯერ კიდევ ქალწული ვარ და, მგონი, მთელი ჩემი სიცოცხლე ღვთის სამსახურში გავატარე. ჩვენი მრევლის ხუცესი იყო ჩემი სულიერა მამა...

შინაბერა მიაშიტად შეუდგა ღვთის წინაშე თავის დამსახურებათა ჩამოთვლას, ეგონა, რომ მსაჯულის ღმობიერებას გამოიწვევდა. თან წინ მიიწევდა. მიუხედავად მთავარანგელოზის წინააღმდეგობისა.

— აკი გითხარით, მოედანზე...

— დილის ლოცვა, პარაკლისი, 6 საათის წირვა, შენდობის ვედრება წმინდა იესოსადმი, სამადლობელი ღვთისმშობლისა; ყოველ დილით ზიარება და შემდეგ თითო თავის კითხვა სახარებიდან. შუადღის ლოცვა...

მთავარანგელოზი გულისყურით ისმენდა მის ნაუბარს. ამ ციური ქმნილებებისათვის არაფერია საკუთარ ღირსებებსა და ნაღვაწზე მოლაპარაკე, გაუთხოვრად დაბერებულ ქალწულზე უფრო ნიმიზიდველი და ამადელვებელი. ინტერესი, რომლათაც აღექსანდრე დიუმას რომანი იკითხება, იოტისოდენა წარმოდგენასაც კი არ იძლევა იმ სევდიან ჟრუანტელზე, რასაც ისანი განიცდიდნენ სულის სიწმინდისათვის ამ ყოველდღიურ ზრუნვაზე ლაპარაკისას.

— ყური მიგდეთ, თქვენი ამბავი მართლაც საინტერესოა, ვეცდები რითიმე დაგეხმაროთო, — უთხრა მთავარანგელოზმა.

ბორბოიეს ქალს იქითკენ წაუძღვა, სადაც ღრუბლის ქულის ტახტრევანზე წმინდა პეტრე დაბრძანებულიყო. ერთი ფრთის დაკვრით სასუფეველის დიდების შარავანდედით მოსილი მეკარის გვერდით გაჩნდა და რაღაც ჩასჩურჩულა ყურში. ეს უკანასკნელი ყურადღებით უსმენდა მთავარანგელოზს და თან ცალი თვალი ჭიშკრისკენ ეჭირა.

საქმე თითქმის გათავებული იყო: წმინდა პეტრე უკვე აპირებდა ბრძანების შეცვლას ბორბოიეს ქალის პატივსაცემად, როცა მისი მარცხენა ყური სხვა მთავარანგელოზმა დაიკავა და მოახსენა, — დიდი საგაზაფხულო შეტევა უკვე დაიწყო პოლდაველთა საზღვარზეო. წმინდა პეტრემ ისე აიქნია ხელი, თითქოს ყველა მოქალაქის ერთბაშად გახვეტას ლამობსო ზეცის მისადგომებიდან და გვარიანად წამოწითლდა კიდევც ბრძანების გაცემისას.

ბორბოიეს ქალი კვლავ მოქალაქეებს შორის აღმოჩნდა იმ გზაზე, საიდანაც მოვიდა და სევდით გულდამძიმებული, სხვა, უფრო მრავალრიცხოვან ჯგუფს აედევნა, რომელიც დაწინაურებას ცდილობდა. ქვეითები, მეწინავენი, მოოსარნი, ღრაგუნები, მეზარბაზნენი ერთ ღაღ, ძალიან მჭიდროდ წყევალ მიაბიჯებდნენ; იარაღი და ხალხი ერთმანეთში ირეოდა, იდგა ერთეულად; უფროსები ყვირილით იძლეოდნენ ბრძანებებს, ჯარისკაცები მარტო იძინებოდნენ, დროდადრო მოქალაქეებს გადაელაპარაკებოდნენ, ელაზღანდარებოდნენ ქალებს და ყველანი ერთად ხმამაღლა გაჰყვირდნენ უწყის სიმღერებს; ხანდახან ზედახორა იძულებულს ხდიდა მთელ ამ გაუთავებელ წყებას ერთ ადგილას გაჩერებულიყო. რიგები ერთმანეთს ეჯახებოდნენ და ირეოდნენ ერთმანეთში; არეულობა და ლოდინი წყველა-კრულვაში გადადიოდა; მხედრები ქვეითებს ლანძღავდნენ, ქვეითები ღრაგუნებს, ეს უკანასკნელი კი მათდათავად გრენადერებზე იყრიდნენ ჯავრს და ასე გაუთავებლად... ყურთასმენის წანღები აყალმაყალისაგან გაოგნებულ ბორბოიეს სულ ცოტა აკლდა, რომ დაეჯერებინა, უკვე ჯოჯოხეთში ვიმყოფებით. გაშტერებული დაბორიანობდა აღმა-დაღმა, გარდებოდა თბრილში, ეძებდა ვინმე უღირს მოქალაქეს, კცვერცკელ ნოტარიუსს მაგალითად, ან ვინმე სხვა ნაცნობს, ვისი უნაზაობაც დაარწმუნებდა თავისი ეჭვის უსაფუძვლობაში. ბევრჯერ პირდაპირ შეეფეთა უხამს სიმღერებს, რომლებსაც ათასი კაცი ერთად გაჰყვირდა. ბოლოს გადალლილი და სასომიხდილი, თბრილის კიდეზე ჩამოჯდა ცრემლებისაგან დაღარული სახით.

იქვე, მის ახლოს წარმოქმნილმა ზედახორამ სწორედ ბორბოიეს პირდაპირ შეაჩერა ჰუსართა რაზმი. მოხუც, თეთრულვაშებიან კაპიტანს ილიაში ამოეჩარა საკუთარი თავი და ამაყად მოჰყვებოდა უკან თავის რაზმს, თან მოუთმენლობით გახელებული ულაყის დაკავებას ცდილობდა ამაოდ.

ბოლოს თვითონაც მოსწყინდა ამდენი ლოდინი. თავი ხმლის წვერზე წამოაცა და მალლა ასწია, რათა დაენახა თუ რა ხდებოდა წინ. უცებ ვიღაცის გამყინავმა ხმამ მიიბყრო ბორბოიეს ქალის ყურადღება.

— ფუი, დასწყველის ეშმაკი, — აღშფოთებით გაჰყვიროდა თეთრულვაშებიანი კაპიტანი, — ისევ ეს მუტრუკი მეაღლეები არ დაწინაურებულან და ჰუსარებს არ ასწრებენ? უყურე შენ ამ მუქთახორებს, ამ მცონარებს, ამათ. ცხენზე ჯდომამა მაინც იცოდნენ! მეაღლეებს რა უნდათ სამოთხეში? ბარემ გაზის აღმრიცხელებიც აქ მოიყვანონ და ეს იქნება. ფუი, დასწყველის ეშმაკი!

ჰუსარები ყველანი ერთად წამოიმართნენ ცხენებზე და აყვირდნენ:

— ბირს მეაღლეები! ყველა მეაღლე არამზადაა! ჯოჯოხეთშია მაგათი ადგილი!

ბოლოს, როცა ხმები შეუწყეს ერთმანეთს, ჰუსართული ჰიმნი წამოიწყეს, სადაც მათსავე დიდებაზე იყო ლაპარაკი და რომელიც ასე იწყებოდა:

როცა კცვერცკელი ჰუსარი  
გარნიზონში მიდის ლაღად  
აივნებზე მოდგებიან  
ქალები მის დასანახად.

ბორბოიეს ქალს ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ ეს კცვერცკის ჰუსართა ლაშქარი იყო. იცნო მოხუცი კაპიტანიც; გაიხსენა, როგორ მიათრევდა ხოლმე იგი თავის ხმალს გვაფენილზე... საყვარლად ერთი უსაქციელო ქალი ჰყავდა ამ კაპიტანს. რომლისთვისაც ღვინად ძვირფას ქურჭებსა და შალის ვაზებს ყიდილობდა. შინაბერას გააქრეოლა იმას ვაფიქრებიაზე, რომ კაცისათვის, რომელსაც საყვარელი ჰყავდა სიცოცხლეში, ზეცის კარები დაუღვრებოდა და ავადი რიგებს, შინაბერამ კიდევ ბევრი ნაცნობი სახე დაინახა. მათ შორის თუნდაც აი, ის ახალგაზრდა, გოგონასავით ლამაზი უმცროსი ლეიტენანტი, მუდამ რომ გამოირჩეოდა მასავით ლამაზ ბიჭებში. მასზე ისეთ რამეებს ყვებოდნენ, რაც შინაბერას მაინცადამაინც კარგად არ ესმოდა, მაგრამ საეჭვოდ მიაჩნდა, რადგან ლაპარაკისას ქალები უსათუოდ ხმას დაუწევდნენ ხოლმე. და ყოველივე ეს არც მას უშლიდა ხელს, რომ პირდაპირ სამოთხეში მოხვედრილიყო.

ბორბოიეს ქალი ბოლო რიგების თვალყურებაში იყო, როცა აღშფოთებისაგან საზარელი ყვირილი აღმოხდა; რაზმის ბოლოს თავისი გარეწარი ძმისწული დაღანდა. წინააღმდეგობის გაწევის სურვილმა იგი უცებ წამოაყენა თხრილის ნაპირზე. ეს უსულგულო და უსინდისო, ვაიძვერა, ყაჩაღი, გამოუსწორებელი ცინიკოსი, ყველაზე ურცხვი ცოდვების ჩამდენი, ულაპარაკოდ უნდა შესულიყო სამოთხეში. მაშინ, როცა მას წლების განმავლობაში უნდა ეცადა და შემდეგ კიდევ ვინ იცის, შეიძლება ზეცის მისადგომებთანაც კი არ მიეშვათ. თავის პატარა ქალწულებრივ ცხოვრებაზე ფიქრობდა, თავის ლოცვებსა და ნამოღვაწარზე. წინააღმდეგობის გრძნობა თანდათან უთმობდა ადგოლს ღრმა სასოწარკვეთას და ეჩვენებოდა, რომ აღარავითარი იმედი აღარ იყო. ბობისლამ დანახვისთანავე იცნო შინაბერა და ცხენი იმ წამსვე გზის ნაპირს მიაგდო:

— ამას ვის ვხედავ, ბებრუხან. როგორ გიკითხოთ?

ბებრუხანა პოლდაგური გამოთქმაა, მწიფნობრულად მოხუცებულს ნიშნავს და შეიცავს ეინშეს დამცირების და მისდამი უპატივცემულობის გამომვლავნების წადილს. ბობისლას პირში კი მას ცოტათდენი ღვარძლიც შეერია.

— სასაცილოა არა, რომ ორივემ ერთსა და იმავე ღროს ვაეჭიმეთ ფეხი, — განაგრძო ბობისლამ, — როგორც ხედავთ, არც ისე ცუდად მიდის ჩემი საქმე, თქვენ რომ მიწინასწარმეტყველებდით; ამჯერად მომავალი განაღდებული მაქვს, რასაც, თუ არ ვცდები, ვერ იტყვას კაცი თქვენზე, ა?

ბორბოიეს ქალმა ველარ აიტანა ამდენი დაცივნა, სახე ხელებში ჩარგო და აქვითინდა. ბობისლას გული აუჩუყდა ამის დანახვაზე და უკვე კეთილად მიმართა შინაბერას:

— კარგიო, ნუ ტირით, არც ისეთი მუტრუკი ვარ, თქვენ რომ გვონიათ. ვამიგონეთ! მინდა რითიმე დაგეხმაროთ. შემომაგეჭით ცხენზე!

ბორბოიეს ქალი ჯერ ვერც მიხვდა, რა ხდებოდა; მაგრამ რაზმი უკვე ის იყო დაძვრას აპირებდა და ამიტომ ბობისლამ ბევრი აღარ ალაპარაკა, დასტაცა ხელი და ცხენზე შემოისევა.

— მაგრად მომხვიეთ ხელი წელზე და ნუ შეგეშინდებათ, თუ მუხლის თავები გამოგიჩნდათ, არავინ შემოგხედავთ! ახლა, სხვა რა ამბავია კცვერცკში?

— ნოტარიუსი მოკვდა, ახლახანს ვნაზე სწორედ, გზის პირას.

— საწყალი კაცი, გახსოვთ, ცოლი რომ გავუბახე?

ბორბოიეს ქალი მაინცადამაინც კარგად ვერ გრძნობდა თავს ამ დიქტობდა ხომ არ ეთხოვა ბობისლასათვის, ჩამომსვიო. ხანშიშესული ქალწული ქალისათვის, რომელსაც ლოცვებისა და ეკლესიის ემეტე ნათესავი უტრიალებს თავში, ცოტა არ იყოს, უცნაური იყო ასეთ მდგომარეობაში ყოფნა; მას ჰუსარის ზურგს მიკრობილსა და ცხენზე წამოჩადარს უნდა გაეგლო ჯარისკაცებთან ერთად, რომელნიც გულიანად იცინოდნენ მის დანახვაზე. მაგრამ ეს კიდევ არაფერი, მთავარი ის არის რომ, ადამიანს მთელი ცხოვრება მოწამეობრივი ცხოვრებით გაცხოვრია და სამოთხეში შესვლას ამ საშინლად ცოდვილ კაცს უნდა უმადლოდეს. სირცხვილი ვიპყრობს ამის გაფიქრებაზე. ესეც არ იყოს, არანაკლებ მტანჯველი იყო იმის შეგნება, რომ ადამიანს, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება პატიოსნად გაატარა, სამოთხეში ეშმაკობით უნდა მოეხერხებინა შეძრომა.

— დაუჭერელი ქურდი ქურდი არ არისო! — ამბობდა ბობისლა, — მაგრად მომჭიდვით ხელი.

— „საკვირველ არს საქმენა უფლისანა“, — ცოტა არ იყოს, ფარისევლურად იმშვიდებდა თავს ბორბოიე. ცხენები მძიმედ მიდიოდნენ და ხშირად ჩერდებოდნენ.

ბოლოს, როგორც იქნა, ცხენოსანთა ჯგუფმა კარიბჭეს მიადწია. სეციურმა საყვირებმა ჰუსარული მარში დაუკრეს და ჯარისკაცებმა ერთიმეორის მიყოლებით იწყეს შესვლა თადის ქვეშ. ღრუბლის ქულის ტახტრევანზე დაბრძანებული წმინდა პეტრე ფხიზლად აღევნებდა თვალს შესასვლელს.

— მოიკუნტეთ, რაც შეგიძლიათ, — ჩასჩურჩულა ბობისლამ ბორბოიეს, მაგრამ ეს ზედმეტი იყო, ბორბოიე სირცხვილისა და შიშისაგან ისე დაპატარავებულიყო და დაჩიავებულიყო, რომ ცხენის გავაზე გაკრულ მხედრის ბოხჩას წაგავდა. ცხენი კარებს მიუახლოვდა და ის იყო, შიგ უნდა შესულიყო, რომ ღრუბლებიდან წამოსულმა ხმამ მხედარი შეაჩერა.

— ეი, მანდ, მხედარო! შეჩერდით! — წამოიყვირა წმინდა პეტრემ. რას ჰგავს ეს, ვილაც ქალი რომ შემოვიხვამით უკან?

შიშისაგან ბორბოიეს ქალს კინაღამ ვული წაუვიდა, მუხლებში ძალა წაერთვა და ცოტა დააკლდა, რომ ცხენიდან გადავარდნილიყო. ბობისლა ოდნავ წამოიწია უნაგირზე, მოხდენილი მოძრაობით შეტრიალდა წმინდა პეტრესაკენ, ქუდის მოხდით სცა თაყვანი და მხნედ, დამაჯერებელი კილოთი მიუგო:

— ა, ესა? ეს ხომ ჩვენი რაზმის კახპაა!

— კეთილი, კეთილი... გაიარეთ!

ბორბოიეს ქალს ჯერ ქვითინი აუვარდა ამ გაუგონარი შეურაცხყოფის გამო, მაგრამ მეორე წუთს უკვე აღარ ფიქრობდა ამაზე. იგი უკვე ზეცაში იმყოფებოდა — ღმერთის სამფლობელოში, სადაც „როგორ“ და „რატომ“ აღარაფერს ნიშნავს.



## X O ს ი

ცოლ-ქმარმა სორბიეებმა გადასწყვიტეს, კვირა დღით ესარგებლათ და ნამუდამად სასეირნოდ წასულიყვნენ. ქალბატონმა სორბიემ ფანჯრიდან გადასაბა თავის ორ ყმაწვილს, ვიქტორსა და ფელიციენს, რომელნიც ქუჩაში ტალახის სროლიობანას თამაშობდნენ. უყვარდათ ასეთი რამეების თამაში, ყურთასმენის წამლებ ჭყვიდნენ რომ იწვევს და ოჯახის დედებს ურუანტელს ვკრის.

მოდით, ჩაიცვით, სასეირნოდ მივდივართო, დაუძახა, კვირა დღეს რომ შეეფერება, სწორედ ისეთი მზე არისო გარეთ.

ყველა თავთავის საკვირაო ტანსაცმელში გამოეწყო. ვიქტორმა და ფელიციენმა დაუფარავი ზიზღით ჩაიცვეს საბავშვო მეზღვაურული კოსტიუმები. ისინი კაცის ტანსაცმელზე ოცნებობდნენ, ეს კი მხოლოდ პირველი ზიარების შემდეგ უნდა მიეღოთ, ნამდვილ თქროს საათთან ერთად.

მამამ გაბამებული საყულო გაიკეთა პერანგზე და ზედ „პეპელა“ ყელახვევი გამოინასკვა. პიჯაკის ჩაცმა რომ დააპირა, მარცხენა სახელოზე დაიხედა და სერიოზული გამომეტყველებით მიმართა ცოლს:

— მატყლდ, ეს კრეპის სამკლავე უნდა მოვიხსნა, რას იტყვი? პარიზში გლოვა არ არის მიღებული.

— როგორც გინდა, — მშრალად მიუგო მატყლდმა, — ორ თვეზე მეტი არ არის, ძია ემილი მოკვდა! მაგრამ ის ხომ ჩემი ბიძა იყო და... რა მალე გავიწყდება ადამიანები!

— არ გახსოვს, რას ამბობდა ძია ემილი: „შვილებო, როცა მოკვდები...“

— რა თქმა უნდა, შენ სულაც არა ხარ ვალდებული პატივი სცე ჩემს მიცვალებულებს, მაგრამ დამეთანხმე: მე ყველა შენი ნათესავა გამოვიგლოვე! რვა წელიწადია შენი ცოლი ვარ და ამ ხნის მანძილზე შავი თითქმის არ გამიხდია...

სორბიემ არაფერა უბასუხა და უკმაყოფილოდ გააქნია თავი. განზრახვაზე ხელი აიღო და პიჯაკი ჩაიცვა. უმანკოების შეგრძნება, რასაც რაიმეზე უარის თქმა იწვევს ხოლმე, მაინც არ განუცდია. უხალისოდ შეათვალიერა თავისი ორეული სარკეში და ამოიოხრა:

— ეგ არის, რომ ჩანს, თორემ... ოდნავ უფრო მუქი ფერის მაინც იყოს ეს პიჯაკი, კიდევ ზმას არ ამოიღებდა კაცი...

სორბიე არ იყო მაინცდამაინც პრანჭია კაცი. სამსახურში მთელი კვირა ძველი, დაკვრებული ტანსაცმლითაც იოლად გადიოდა, მაგრამ ფიქრობდა, და კქონდა კიდევ ამის საფუძველი, კვირა დღე იმისია, კაცმა წესიერად ჩაიცვასო.

მართლაცდა, როგორი ასატანია სამსახურში უფროსის უხეშობა, თუ სახლში ერთი ხელი საკვირაო ტანსაცმელიც კი არ გეგულება. ადამიანური ღრსების საკითხია. ეს კრების სამკლავე კი პირდაპირ თვალს ჭრის, მთელ პენს უკარგავს კოსტიუმს. არადა, რას იზამ, გლოვა გლოვაა. მით უნეტეს თუ გოლიანი ხარ და ოჯახის მამა.

ეროვნული  
ბიზნიუსი



ამ დროს ვიქტორი და ფელიციენი სასადილო ოთახში, მაგიდის ქვეშ, დამლობანას თამაშობდნენ. რამდენჯერ უთხრეს, რომ ბანაში არ შეიძლებოდა ამისი თამაში! აი ახლაც, საკომპოტე გადმოვარდა ძირს და გატყდა... ხმაურზე დედამ მოიბრინა. ერთს, რომელიც უფრო ახლოს იდგა, სილა გააწნა. მეორე საპირფარეშოში ჩაკეტა. ახლა, რაკი ბავშვები ცალ-ცალკე დაიგულა, შეეძლო მშვიდად ჩაეცვა და არ ჰქონოდა იმის შიში, ჭერი თავზე დამემხოთ. ოთახში რომ შებრუნდა, დაინახა: ქმარი სავარძელში ჩამჯდარიყო, ჭერში იყურებოდა, სახეზე ნეტარი ღიმილი დასთამაშებდა და ხელებს თავის ჯაგარივით უღვაშებზე ისვამდა კმაყოფილებით.

— რას უყურებ ჭერში? რას იღეჭები ასეთი ნეტარებით?

— მატლდ... ჰმ... ერთი აზრი მომივიდა თავში... აი, ახლა... ამ წუთში... ცოლს ახალი სისულელის სუნი ეცა და ეჩქარებოდა გაეგო, რას აპირებდა მისი ქმარი.

— ემილ ბიძიას ჯოხი უნდა ავიღო. წარმოგიდგენია, აქამდე არც კი მომსვლია თავში, რომ... რაღა კარადაში ეგდოს, არ სჯობია, რომ მე...

მატილდმა პირი მოკუმა და სორბიეს სიწითლენ გადაჰკრა სახეზე. ცხადი იყო, ძალიან ადრე მოინდომა ეს ჯოხი. ძია ემილი საფლავში ჯერ არ იყო გაცივებული, როგორც მისმა ცოლმა თქვა, ამ შეურაცხყოფით გაცოფებულმა და ცრემლმორეულმა.

— ორი თვეც არ გასულა... კაცი, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე მუშაობდა... არასოდეს ხელში არ აუღია ეს ჯოხი!

— მეც მაგას ვამბობ...

— რა? რას ამბობ? რატომ თქვი, მეც მაგას ვამბობო? შენ, მგონი, სრულ ჭკუაზე არა ხარ! „მეც მაგას ვამბობ“ რა შუაშია?

— მეც მაგას ვამბობ-მეთქი, — და პირი მოკუმა. ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს ეს პასუხი რაღაც საიდუმლო აზრს შეიცავდა.

გაზღვევინებო, დაეშუქრა მათილდი ქმარს. ქმარმა დაუსტვინა. მათილდი ლეკვერთხებს იმაგრებდა და თან იმას ფიქრობდა, შური როგორ ვიძიოთ. სამის ნახევარზე მთელმა ოჯახმა კარაპანში მოიყარა თავი. ისეთი პირი უჩანდა, რომ სერიზოზა ჩვეულებრივად ჩაივლიდა: ორ საათს მოწყენით ივლიდნენ და მერე ერთხელ ლუდის ჯიხურთან გაჩერდებოდნენ. „ჯალაბო, ნაბიჯით იარ!“ — ბრძანა მამამ ჩვეულებებისამებრ და ის იყო, კარი უნდა დაეკეტა, რომ უეცრად ისეთი უცოდველი სახით თქვა: საათი დამრჩა, თქვენ წადით, ავიღებ და ახლავე დაგეწვევითო, რომ თვით მათილდიც კი მოტყუვდა.

შებრუნდა თუ არა შინ, მყისვე კარადას ეცა და იქიდან ძია ემილის ჯოხი გამოიღო. ოქროთი მოვარაყებულ ჯოხს ყვითელი ძვლის სახელური ჰქონდა,

რომელზედაც ბულდოგის დრუნჩი იყო ამოტვიფრული. ვერასოდეს იფიქრებდა სორბიე, რომ მამაკაცს მარჯვენა ხელში დაკავებული ჯოხი ავრე რიგად შეჰმატებდა ღირსებას. თავისიანებს რომ წამოეწია, რომელმაც მას იქვე, სახლთან ელოდებოდნენ, არ დაბნეულა ცოლის გაცოფებული და მეტყველი თვალების დანახვაზე; მკაცრად, ისე როგორც ეს თავისუფალი კაცია და ოჯახის მამას შეეფერებოდა, რომელმაც გადასწყვიტა ესარგებლა ამ უფლებებით, რაც მას ოჯახის წინაშე ნაკისრი მამაკაცური პასუხისმგებლობების წილ ერგებოდა, თქვა:

— რა მოხდა? ბიძაშენის ჯოხი ავიღე! არ ვიცი, რა არის ამაში ცუდი! მე ოცდაჩვიდმეტი წლის კაცი ვარ, ამ ხნის კაცს, ვისაც ამდენი პასუხისმგებლობა აკისრია, მე მგონია, აქვს უფლება ჯოხის ტარება მოინდომოს! თუ გინდა ბერიკაცის ჯოხი მუდამ კარაღაში ეგდოს, მაშინ მე სხვას ვიყიდი! მაგრამ იცოდეთ: ის სხვა ამაზე ნაკლები არ იქნება!

მატილდმა წინააღმდეგობა ვეღარ გაუწია და გაჩუმდა. უარესი არ გამოკეთოსო, შეეშინდა. ასეა: ჯერ ჯოხს იყიდიან, ფულის ხარჯვას გემოს გაუსინჯავენ, მერე საყვარელს გაიჩენენ და... პირველად მთელი ამ წლების მანძილზე ქმარს აღტაცებითა და შიშით აღსავსე მზერა ესროლა. რაოდენ აღშფოთებულად არ უნდა ყოფილიყო ივა ქმრის უხეშობით განსვენებულის მიმართ, არ შეეძლო არ შეემჩნია, თუ როგორი დარდიმანდული მოხდენილობით ეჭირა ხელში ჯოხი. ნაზად ამოიოხრა. სორბიემ ეს საყვედურში ჩამთართვა:

— ფეხები თუ გტკივა, შინ წადი! ბავშვებს მე გავასეირნებ! ნუ გეშინია, უშენოდ არ მოიწყენენ...

— ფეხები რა შუაშია? რატომ გგონია, რომ ბავშვები...

— მე რა, არ შემწყვეს ჟნარო გავასეირნო ჩემი ბავშვები, თუ რა! იქნება თქვა, რომ ცუდი ნამა ვარ! — ამაყად და მწყრალად წამოიძახა სორბიემ.

ვიქტორი რამდენიმე ნაბიჯით წინ მიდიოდა, ფელიციენისათვის კი დედამისს ჩაევლო ხელი და გასაჭანს არ აძლევდა. სორბიემ ეს შემთხვევა გამოიყენა, რათა თავისი ძალაუფლება რაიმე გაბედული ინიციატივით განემტკიცებინა და მშრალად განაცხადა:

— არ მესმის, რატომ არ შეიძლება, რომ ბავშვები თავის ნებაზე ერთობოდნენ! ფელიციენ, გაუშვი ხელი დედას!

— არ იცი ვითომ, რომ ამათი ერთად გაშვება არ შეიძლება! — შეეპასუხა მატილდი, — ერთად როცა არიან, ვერაფერს შეასმენ, შეგიძლია დარწმუნებული იყო, რომ შარვალ-ხალათს ჩამოიხევენ, ან მანქანას ჩაუვარდებიან ქვეშ... უბედურება რომ მოხდეს, მერე...

სორბიემ არაფერი უპასუხა და მოხდენილად უბიძგა უკანალზე ჯოხით ფელიციენს.

— აბა, გასწი, შენს ძმასთან ერთად იარე, არ სჯობია? დედაშენს რომ ედები აქ ფეხებში!

ფელიციენი, ხელი უწვა თუ არა დედამისს, მყისვე ვიქტორს ეცა და სიურპრიზივით უთავაზა პანლური. ამაზე ვიქტორმა კვანტით უპასუხა და ბერეტი შუა ქუჩაში გადაუგდო. მატილდი გულგრილი ირონიით ადევნებდა თვალს მამობრივი ზრუნვის შედეგს. სორბიემ გაიცინა და კეთილად თქვა:

— რა ბიჭები არიან! ვენაცვალე! აფსუსი არ არის, ამით თამაში დაუშალოს ვინმემ?

მაგრამ თავადაც იგრძნო, რომ საჭირო იყო ბავშვების მოთხოვნა:

— ჩენთან ახლოს იარეთ, ჯობით რომ მოგწვდეთ იმ სიშორეზე, და წესიერად მოიქცეთ. დღეს ადრე გამოვედით სახლიდან და კარგად გვიღიღას კუნდა წაგიყვანოთ; კიდევ გაერთობით და კიდევ ისწავლით რამეს.

□ □

ერთი კილომეტრი გაიარეს. მამა ძეგლებზე მიუთითებდა და ვრცელ-ვრცელ მოხსენებებს აკეთებდა თითოეულ მათგანთან, რაც სასოწარკვეთილებაში აგდებდა ცოლს.

აჭაურობა სავსეა ისტორიული ძეგლებით: აგე იქ, ლუვრის მალაზიებია...<sup>1</sup> აქეთ — ფინანსთა სამინისტრო... ესეც გამბეტას ქანდაკება, ჩვენი ღირსება რომ დაიცვა სამოცდაათში, ხომ გახსოვთ?

ცოტა მოშორებით ვიქტორმა შიშველი ქალის ქანდაკება დაინახა და ხელი იქითკენ გაიშვირა.

— ესა, მამა, ეს რაღა არის, ამანაც ჩვენა ღირსება დაიცვა?

მამამ შედიდურად გადახედა შვილს და მოკლედ მოუჭრა:

— ეს ქალია... აბა, რას დაუუდებულხარ აქ, გაიარე!

და ჯობით გაავდო წინ ვიქტორი. ეჩოთირა, ასეთი პატარა ბიჭი რომ შიშველი ქალით დაინტერესდა. მერე უცბად გონს მოეგო და ცოლს მხარი გაპკრა. ქანდაკება დაინახვა. მის ხმაში თავშეკავებული, მაგრამ თითქმის ლაღი საყვიდური იგრძნობოდა:

— შერედა, რა ქალი! რა ტანი აქვს! ეტყობა რა, ხელოვანის ხელი! შეხედე, შეხედე!

მატილდი თავისი კორსეტის ქვეშ საცოდავად შემალული სხეულის ნაკლოვანებებზე დაფიქრდა და გული ეტკინა. სორბიემ ვნებიანად გააწყლაპუნა პირი და მით მატილდს სატკივარი გაუორკეცა.

— რა არის, არა! იქნება თქვა, არ ვარგაო? უკეთესი ქალის წარმოდგენა შეუძლებელია!

მატილდმა, შერცხვენილმა, რაღაც უბასუხა ჩურჩულით, ეს უფრო მოკრძალებული პროტესტი იყო, ვიდრე იმის უარყოფა, რაც უთხრეს, მაგრამ სორბიემ კვლავ წამოიყვირა, თითქოს ცილი დასწამესო. მოეჩვენა, თითქოს ცილი შურით აღიესო და ბია ემილის ჯობით მინიჭებული ღირსებისათვის უნდოდა ჩრდილი მიეყენებინა. მატილდს მკლავში წაატანა ხელი და ქანდაკებასთან ახლოს მიიყვანა.

— თეძოებს შეხედე, შეხედე მუცელი როგორა აქვს ამობურცული, ოდნავ ამობურცულია, ზუსტად ისე, როგორც უნდა იყოს ამობურცული მუცელი! ძუძუები?! ძუძუები ნახე! ჰა? გინახავს რამე ამის მსგავსი?

მატილდს თვალებზე ცრემლები მოადგა. ვიქტორი და ფელიციენი გულისუფ-

<sup>1</sup> ლუვრია მალაზიები — ლუვრის გვერდით განლაგებული დიდი მალაზიები, რომელთაც სორბიე ისტორიულ ძეგლებად მიიჩნევს. (მთარგმნელის შენიშვნა).

რით უსმენდნენ მამას და როცა იგი ჯოხის წვერით მრგვალ ადგილებზე ვალერსებოდა ქანდაკებას, სიცილით იგუდებოდნენ და ერთმანეთს მუჭლუგუნებს სთავაზობდნენ. მათილდმა რამდენჯერმე სცადა შეეტია ჯმრისთვის, ისიც კი მიახვედრა, რომ ბავშვებისათვის არ იყო მიზანშეწონილი ამ აკადემიური მსჯელობის მოსმენა, მაგრამ ამაოდ. სორბიე ძალიან გაიტაცა ამ ქალის გარეგნობამ და არაფრის გამოტოვება არ უნდოდა. ახლა უკანიდან გამოდიოდა სუნთქვები და სიამოვნებისაგან ლოყები აულაქლავდა.

— აქეთაც მწვენიერია, ზუსტად ისეთია, დასაჯდომად რომ ემარა, არც მეტი არც ნაკლები.

ჯოხით ზედ ორი წრე შემოხაზა, თითქოს უნდოდა ცალკე გამოეყო თავისი ალტაცების საგანი. ვიქტორსა და ფელიციენს, რომელნიც უკვე მთლად გაწითლებულიყვნენ სიხარულისაგან და თავს ძლივს იკავებდნენ, ახლა ისეთი ფხუკუნი აუვარდათ, რომ ცხვირებიდან წასკდათ და მხრებზე ჩამოეწუწათ. შეშინებულლებმა იმით, რომ მათ ზედმეტ მხიარულებას მშობლების უზნეო ინსტინქტები არ გაეღვიძებინა, უმალვე მოკურცხლეს იქიდან. ქანდაკების მიტოვება ისევ მამამ გადასწყვიტა. მათილდი მას ბოლომდე უგდებდა ყურს. აზრად არ მოსვლია ზურკი მაინც შეექცია ქმრისთვის. ჩანჩალით აედევნა მერე უკან მისდაუნებურად. ამ მიშველ ქალს მთელი მისი გონება დაეტყვევებინა და აღარაფრის თავი არ ჰქონდა. იგრძნო, რომ სახეზე აღმური ასდიოდა და მოეჩვენა, თითქოს ეს სიწითლე მისი ფეხსაცმელების წვერებზეც ირეკლებოდა. ანაზღად დაიმორცხვა და თავი სასაცილოდ, მეუღლისათვის შეუფერებლად შერაცხა. სორბიე ახლა სულ სხვანაირი მოეჩვენა: ახოვანი და წარმოსადეგი. უცებ დემონივით მაცდური, ბოროტების შარავანდელით მოსილი წარმოუდგათვალწინ. იგრძნო, რომ გულში მეუღლისადმი მოწამეობრივი თაყვანისცემისა და მისი ახირებული ნებისადმი სრული მორჩილების გრძნობა ჩაესახა, მაგრამ თავი შეიკავა და გრძნობათა ამგვარი გარდატეხა არაფრით გამოუმყლავნებია. სიფრთხილის გამო დუმდა და მედიდური ნაბიჯებითა და ამპარტავნული იერით მიაბიჯებდა. ბავშვების დატუქსვა მეუღლეს მიანდო. ცდილობდა ისე ესუნთქა, რომ მუცელი შიგნით შესწეოდა, რის გამოც ლოყები უწითლდებოდა. იმას ვერ ამჩნევდა, რომ მუცლის ხარჯზე ახლა მკერდი ებერებოდა. თუმცა, სორბიე მას სულაც არ აქცევდა ყურადღებას. ქანდაკების ეშხით მთვრალი, ამ ორიოდე წუთის წინ გამოთქმულ ხოტბას იმეორებდა ისევ და ამით სახარულს იორკეცებდა. თან ქანდაკების ამა თუ იმ ნაბაზობის გახსენებით ტკებოდა. მათილდმა რამდენჯერმე მოჰკრა ყური ცალკეულ სიტყვებს: „თეძო, მხარი, მუცელი, ბარძაყი“. ერთი პირობა იფიქრა, ვნის გასატებს თუ იგონებსო, მაგრამ ცოტა ხნის მერე სორბიეს ნერვოული სიცილი წააკდა: „აუბუები! იფ, რა აუბუები ჰქონდა!“ ამკარა გახდა, რომ მისი ქმრის ესთეტიური განცდა მაინცდამაინც წმინდა არ იყო. მისმა ეშმაკურად გაბრწყინებულმა თვალებმა თავზარი დასცა. მათილდს უკვე აღარ შეეძლო გულგრილად ეცქირა ამისათვის და გულდაწყვეტილმა ძალიან ხმადაბლა, მაგრამ ბრაზიანად, უთხრა:

— არ ვაძვი, შეიძლება ნიმალავედი, მაგრამ აქამდე არასოდეს მივიცია შენი თავისათვის უფლება ასეთ გარყვნილ რამეებზე გელაპარაკა ჩემთან. რაც ძია ემილის ჯოხი დაიჭირე ხელში, პარდაპირ ველარა გცნობ. საწყალი ბიძია, ახლა რომ აქ იყოს, აგახსნიდა თუ რა შედის მეუღლისა და მამის მოვალეო-

ბაში. გეტყობდა, რომ უსინდისობა და უჭკუობაა ელაპარაკო ცოლს ვიღაც კახბას ძუძუებზე, თუნდაც ეს კახბა ქვისა იყოს. შენ უნდა იცოდე, თუნდაც კორვიზონის მაგალითით, რომ ქმრის აღვირახსნილობას ოჯახური კერის დანგრევა მოჰყვება. ესეც არ იყოს, რად გინდა? ჰო! რაში გჭირდება ვიღაც უცნობის მკერდი? დაგავიწყდა, საყვარელო, ჩვენი საღამოები? ფუნდუც ნუხანდელი... შენთვის მხოლოდ ერთი მკერდი არსებობდა ქვეყანაზე არ გეწყვის? ამის დავიწყება არ შეიძლება! არ შეიძლება, რომ არ გახსოვდეს!

მატილდი მაშინვე მიხვდა თავის შეცდომას: გული აუჩუყდა და ეჭვიანობის გამო ქმრის ყურადღება თავის მკერდს მიაქცია. თავნებობას რა გემო გაუსინჯა, სორბიემ ახლა სისასტიკითა და დარდიმანდობით დატკბობა მოიხურვა. ირონიითა და სიბრაღულით ახედ-დახედა მატილდს და ჯობით პაერში შეურაცხმყოფელი სიდიდის წრეები შემოხაზა. უცნაურად გააქნია თავი, რაც ნიშნავდა:

— არა, ჩემო საბრალო მეგობარო, ვერ ხედავ, რომ კანში ვერ ვტევი...

ეს ისე ცხადად იყო ნათქვამი, რომ მატილდს ბრაზი ყელში მოაწვა და სამაგიეროს გადახდა მოინდომა:

— მერე რა! აი, დარდი! ბავშვების გულისათვის გელაპარაკები: და შენი გულისათვის! რომ იცოდე რა სასაცილო ხარ! არც შენ ხარ, ბოლოს და ბოლოს, ჭაბუკა და თუ გინდა იცოდე, მაინცდამაინც ლამაზი არასოდეს ყოფილხარ. აგერ გუშინ, შენი ელასტიური წინდების საყიდლად რომ ვიყავი, ჩვენი კონსიერტი სწორედ ამაზე შელაპარაკებოდა.

— აბა, რას გეტყობდა ის აყროლებული დედაბერი! გუშინ კიბეებზე კოცნა მომიწოდომა. მე ვუთხარი: ცოლის ღალატი რომ მიწოდდეს, პარიზში ლამაზი გოგოების მეტი რა არის-მეთქი. ღმერთს მოუცია და, ერთი ბეწო გამოცდილება თუ ვაქვს, — აქ სორბიემ მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა, — დადექი და ამოირჩიე რომელიც გინდა.

ამასობაში ერთმა ლამაზმა ქალმა გაიარა და შემთხვევით სორბიეს შეხედა. ანაზღად, სორბიეს რაღაცამ წამოუარა თავში და თავაზიანი ღიმილით მოუხადა ქუდი. ქალმა, ოღნავ გაკვირვებულმა, თავი დაუკრა და, ასე გასინჯეთ, კიდევ გაუღიმა. მატილდს გონება აემღერა, მხარში სტაცა ხელი სორბიეს.

— ვინ არის ეს ქალი? არსად მინახავს! არც ჩვენთან ყოფილა ოდესმე! საიდან იცნობ?

სორბიე განგებ აგვიანებდა პასუხს, თითქოს გამოსავალს ეძებდა. მატილდი ამან უარესად გაახელა.

— არ ვიცი, — ჩაიბურტყუნა მერე უხერხულად. — სადღაც ვავიციანი, სად, არ მახსოვს.

მატილდის ვახელებით გახარებული წინ წავიდა და ფელიციენი ჩამოსვა მოაჯირიდან. ოჯახი რუაილის ქუჩით ტიულრის ბაღიდან ბულვარებზე გამოვიდა.

□ □

საკონდიტროს წინ რომ ჩაიარეს, ფელიციენმა თქვა, მშიაო. ვიქტორმა დააქინა: გინდა თუ არა, მე უფრო მშიაო.

— დედა, მშია! მე უფრო მშია...

გაბრაზებულმა მატილდმა სილები დაუნაწილა ბავშვებს. ბავშვებმა ღრიალი მორთეს. მატილდს თავადაც დასივებული და გაწითლებული ჰქონდა თვალები. გამვლელები ცნობისმოყვარეობითა და სიბრაღით აყრდნობდნენ თვალს საცოდავ დედას, რომელიც ორ ატირებულ ბავშვს მიათრევდა. სორბიეს არაფრის დანახვა არ სურდა. გამართული ნაბიჯით მიუძღოდა წინ-კაფეს, ლოყებგალაყლაყებულები, და თვალს ერთთავად აქეთ-იქნით ახედა. ღროდადრო ოდნავ შემოაბრუნებდა ხოლმე თავს, რათა თვალი ედევნებინა ცოლის ჩრდილისათვის. მხოლოდ ბულვარზე, ერთი კაფეს ტერასასთან შეუერთდა თავისიანებს.

— აბა, ახლა წავიხემსოთ, თორემ ძალიან დავიღალე, — განაცხადა, — თანაც ხალხს ვნახავთ, ქალები...

მატილდმა ტერასას გაჰხედა. შალითიანი სელის სავარძლების, გამოწყობილი ოფიციანტებისა და მაჟორდომის ღირსეული მიხრა-მოხრის დანახვაზე თავი უხერხულად იგრძნო. საკვირაო სეირნობა, ჩვეულებრივ, სადმე უკაცრიელ, ნახერხისა და იაფფასიანი წითელი ღვინის სუნით აყრდნობულ კაფეში თავდებოდა, მოყუჩებულ ადგილას, როგორც სორბიე იტყობდა ხოლმე ნახად, სადაც თავად პატრონი გისხამდათ ლუდს. ბულვარზე კი ამ ტერასის წინ, მატილდს შიში იპყრობდა მომსახურეობის ფასის გამო და ფიქრობდა, რომ მისი ქმარი ნამდვილად საეჭვო გზაზე იყო დამდგარი. სორბიემ დააპირა ხელის მოხდენილი მოძრაობით გაეგდო იგი წინ, მაგრამ მატილდმა წინააღმდეგობა გაუწია.

— ხომ იცი, დიდი კაფეა... როდის იყო ასეთ კაფეში დავდიოდით...

— კაფე კაფეა! ვინმეს ეგონება, შენს ღლეში არაფერი გინახავს! ამ კაფეს ყველა კუნჭული ზეპირად ვიცი!

მატილდმა მორჩილად გაუღიმა და მორცხვად ჩასჩურჩულა:

— მარტონი რომ ვიყოთ, კიდევ... შენი ახირება კიდევ გასაგები იქნებოდა: სხვა დროს...

სორბიე მოთმინებას კარგავდა. ეჩვენებოდა, რომ მომხმარებლები ერთობოდნენ მისი ცოლის ყოყმანის შემყურენი.

— თუ მოდიხარ, წამოდი! თუ არა და, მოჰკიდე ბავშვებს ხელი და შინ წადით! მე მწყურია, რაც გინდა ის ჰქენი!

ალარ დაუცდია, რა ვაღაწყვეტილებას ნიილებდა მატილდი, ორ მწყრივად განლაგებულ მაგიდებს შორის ღურთა პარდაპირ თავი და მთელი ოჯახი უკან აედევნა. ბოლო რიგში ვიღაც ქალ-ვაჟმა მაგიდა გაათავისუფლა და ამ მაგიდას სორბიე დაეპატრონა. თავისთვის აპერიტივი შეუკვეთა, ბავშვებისათვის — ლუდი. მატილდმა თავის ტკივილი მოიმიზეზა და არაფერი იტყობდა. სელის სავარძლებში მოკალათებული ცოლ-ქმარი უხერხულად ღუმდა. სორბიეს ეტყობოდა, თავადაც ვერ ვრძნობდა თავს კარგად. წუხდა: არ იცოდა, რა შთაბეჭდილებას ახდენდა მისი ოჯახი ამ უსაქმურ ბრბოზე. რამდენჯერმე მოეჩვენა, რომ მიმტანი მკაცრად უყურებდა. მატილდს უთხრა:

— შეუკვეთე რამე, ბოლოს და ბოლოს, რას გავხარ! კაფე იმისია, რომ ჰამო და სვა... სასაცილოთა პარდაპირ!

როგორც იქნა, დაიყოლია და მატილდმაც შეუკვეთა ერთი კათხა ლუდი.

სორბიეს გულზე მოეშვა და გუნება გამოუკეთდა. ჯონი გაახსენდა და ნახად დაუწყო თვალღერება მის სახელურს.

— რაც ვინდა თქვი და, ჯონი ნამდვილად სრულყოფს მანკაცის ჩაცმულობას, აზრზე არა ვარ, აქამდე როგორ ვძლებდი უჯობოდ, — თავაზიანი ხმით მიმართა მატელდს.

ისიც ქმრისადმი მაღლიერებისა და სიყვარულის გრძნობით განიძსუვალა და დაეთანხმა:

— მართალია, არასოდეს ვიფიქრებდი, რომ ასე მოგიხდებოდა. მიხარია, რომ მოიფიქრე და წამოიღე.

ამ დროს ტერასაზე ერთი ქალი გამოჩნდა. ჩაცმულობაზე, თმის ვარცხნილობაზე და იმაზე, თუ როგორ უკრავდა კაცებს თვალს, ეტყობოდა რა მოხელეც იყო. წამით შედგა, თვალი გადაავლო იქაურობას, სორბიეს ოჯახის შორი-ახლო თავისუფალი მაგიდა შენიშნა და იქით გაეშურა. სორბიემ შემოსვლის-თანავე ინტერესით დაუწყო ყურება ქალს და დაჯდა თუ არა, მაშინვე სახეში მიაშტერდა. გაუღიმეს ერთმანეთს და მერე თვალიც ჩაუკრეს. კახა ძალდა-უტანებლად აპყვა თამაშში სორბიეს. სორბიე ისე მოუხრიდებლად უყურებდა ამ ქალს, იფიქრებდით მატელდი მისი ცოლი არ არისო. აპერიტივისაკენ დაე-ხარა თავი, რათა უკეთ დაენახა ქალი, და მის ღიმილსა და თვალის პაჭუნს ბოლო არ უჩანდა. მატელდი, რა თქმა უნდა, მთელს ასპარეზს ხედავდა და სირცხვილი და ბრაზი ბარემ ყელში ჰქონდა მობჯენილი, მაგრამ ოჯახური სცენის გამართვას ერიდებოდა; არ უნდოდა ამ ხალხის სასაცილოდ გაეხადა თავი და დუმდა. მაგრამ, როცა ვიქტორმა და ფელიციენმაც დაიწყეს ამ გაოხ-რებულისაკენ ყურება, რათა გაეგოთ თუ ვის უღიმოდა მამა, თავი ველარ შეი-კავა და პროტესტი განაცხადა:

— აღმაშფოთებელია პირდაპირ! ბავშვებთან ასე მოქცევა! ვილაც ნაბუს-გარეცხილის გულსათვის! ღირღეს მაინც რამედ!

ტერასაზე იმდენი ხალხი იყო, რომ მიმტანები ვერ აუდიოდნენ. კახა ამოდ ცდილობდა მაქორღომის ყურადღება მიეპყრო, რომ მომსახურებოდ-ნენ. სორბიე თავის ქნევით გამოთქვამდა აღშფოთებას მომსახურე პერსო-ნალის მიმართ, ვინც ასეთ უყურადღებობას იჩენდა ლამაზი ქალისადმი. ბოლოს ველარ მოითმინა და მთელი ხმით წამოიძახა, მატელდმა ფეხზე ფეხი დააჭირა, მაგრამ ვერ შეაკავა:

— აბა, თუ მოგხედოს ვინმემ! დუქანს დაემსგავსა პირდაპირ ეს კაფე! ერთ დროს რა კაფე იყო, რომ გამახსენდება...

ლამაზმა ვაჟლიმა მაღლობის ნიშნად. სორბიეს მეტიც არ უნდოდა და, თან ცოლის თვალშიც რომ რითიმე გაემართლებინა ასეთი თავგამოდება, თავისივე დარღიმანდობით აღტაცებულმა — მატელდს ყველაზე უფრო ეს უშლიდა ძარ-ღვებს — წამოიძახა:

— აგერ უკვე თხუთმეტი წუთია, ერთი კოკტეილი მინდა შევუკვეთო და ოფიციანტი არა ჩანს!

ამ „კოკტეილმა“, ამდენი ლაპარაკის, შიშველი ქალების, და დაბეჭ-დილი ბოთლების მერე მატელდს ბოლო მოუღო. თვალნათლივ წარმოიდგინა, თუ როგორ გაანიავებდა მისი მომჭირნეობის წყალობით დაგროვილ ფულს



მისი ქმარი ქეიფში, ნადირობასა და ტაქსებში, მაშინ, როცა თავად ლომბარდში მოუხდებოდა წასვლა თავისი უკანასკნელი საყურეების დასაგრივებლად, დამშეული ბავშვები რომ გამოეკვება.

— არ გესმის, ბიჭო, აქეთ მოგვხედე-მეთქი, აქეთ! პირდაპირ გადასარევიანათი საქმე!

სორბიეს ხმა ბრბოს ყაყანში შთაინთქა. ახალგაზრდა ქალმა მხრები აიჩეჩა და შით ერთდროულად მადლობაც გამოხატა და აღშფოთებაც. დარღინანდული მოუთმენლობით გატაცებულმა სორბიემ ჯოხს დაავლო ხელი, უნდოდა მეორე ბოლოთი მაგიდაზე დაეკავუნებინა. ცოცხლად და მედიდურად ასწია ჯოხი მხარს ზემოთ...

ძია ენილას ბულდოგმა ნამსხვრევებად აქცია მის უკან მდგარი სარკე გაწითლებული სორბიე სავარძლიდან გვერდზე გადაიწია. ატყლა ერთი სიცილი და დავიღარაბა. გვერდით მაგიდაზე მეზობელი აყვირდა, ნამსხვრევეები აპერიტივში ჩანიცვივდათ. ხალხი ერთობოდა გაოგნებული დამნაშავის ცქერით, რომელსაც ჯოხი ორივე ხელით ეჭირა, იარაღივით მომარჯვებული.



მატილდს, ამ ცოტა ხნის წინ დანა პირს არ უხსნიდა, ახლა კი სიცოცხლის ხალისი დაუბრუნდა; მკვდრეთათ აღსდგა სორბიეს შეშანებული და გამოსტერებული სახის შემხედვარი. ნელ-ნელა გასწორდა წელში, ოდნავ წამოიწია სავარძლიდან და ქმარს შემზარავი ხმით ჩასძახა უფროში, უკვე არას დავაღვედათ თუ მხიარულებას მოჰგვრიდა ამ დრამის მოწმეებს:

— ხუთასი ფრანკი დაგვიჯდება შენი სისულელეები! ვიღაც გაობრებულის გულისათვის! იმას შენი ფული უნდოდა მხოლოდ!

განმკარგულეებელმა მაშინვე მოიბრინა შემთხვევის ადგილზე. ოფიციალტი პოლიციელის დასაძახებლად გაიქცა. სორბიემ თავისი სახელი და გვარი უთხრა, თანამდებობა და ტიტულები დაუსახელა და პირადობის მოწმობები უჩვენა. ერთბაშად დაბერებული და დაზიანებული, ერთსა და იმავეს იმეორებდა:

— ბატონო პოლიციელო, განზრახ ხომ არ მიქნია... ძია ემილის ჯოხის ბრალია... მიმტანი მინდოდა მომეხმო...

მატილდი ნიშნის მოგებით ადევნებდა თვალს მთელ ამ სცენას და მისი შენიშვნები სორბიეს გულს უღონებდა. ახლა უკვე მორიდებული ხმით და მორცხვად ეუბნებოდა მატილდს:

— მატილდ, კარგი, მოიტადე ცოტა...

სორბიეს საცოდაობამ პოლიციელს გული აუჩუყა და მაინცდამაინც არ ჩასციებია. თავის მხრივ, აღარც განმკარგულეებელმა გამოიღო თავი, დანზღვევამხანაგობებს მოველაპარაკებითო, თქვა, ზარალი არც ისე დიდიაო. შეწუხებული სორბიე თავის ადგილზე დაჯდა მატილდას გვერდით, რომელმაც იმწამსვე მიაბაღა:

— კოკტეილს ხომ არ დაღვევდი? ხასიათზე მოგიყვანს! ჰა? დაგელია რამე!

სორბიეს ისეთი ტანჯული და მორჩილი სახე ჰქონდა, რომ მატილდმა თავი უფლებამოსილად ჩათვალა, ქმარი რაც შეიძლება სასტიკად გაეწამებინა და არ მოეშვა:

— ფული არა გაქვს თუ რა... შეუკვეთე ერთი კოკტეილი, რა გენალვ-  
ლება! ნეტა გამასინჯე...

სორბიემ მწარედ ამოიოხრა და თვალებით ის ახალგაზრდა ქალი მოძებნა,  
ვის გამოც ეს სანარცხვინო ამბავი შეემთხვა, რათა მისგან მიეღო ნაზი თა-  
ნაგრძობა: მაგრამ კახა ნინხვდარიყო, რომ ამ შემთხვევის დასრულებას  
ემზს დაკარგავდა და ახლა ვალაც გადალტუებულ ბერიკაცს გულში მოსე-  
ლიც მას, უკვე კარგა ხანი იყო, თვალებით სჭამდა.

— ეგერ ჰე, შენი ტურფა! შეხედე: ორჯონიანი კაცი უპოვნია!

ვაჭტორი და ფელიციენი, არცოუ ნთლად შეუვანებელი სასასტიკით ერთო-  
ბოდნენ ამ სცენის ხელახალი გათამაშებით: დედას ეს სიამოვნებდა და დრო-  
დადრო განაჯუტრებით სასაცილო წვრლმანებს შეახსენებდა ხოლმე ბავშვებს.  
სორბიე განწირულის ხმით უხმობდა მიმტანს, რათა ანგარიში გაესწორებინა.  
ბოლოს, როგორც იქნა, განთავისუფლდა. ამ დროს მათილდმა, რომელიც ნე-  
ბიერად აგვიანებდა წამოდგომას, ქმარი უკან მოახედა და დაშაქრული ხმით  
უთხრა:

— ჯოხი არ დაგრჩეს, გენაცვალე!

სორბიე მობრუნდა, უხერხულად დაიკავა ხელში ჯოხი და ცოლს გაჰყვა,  
რომელსაც ბავშვები გაეგლო წინ და ორ რიგად ჩამწკრივებულ მსმელებს  
შორის მიიკვლევდა გზას. ჯოხი აღარ იცოდა სად წაეღო. გზაში ერთი მაგიდი-  
დან ცარიელი ჭიჭა გადმთავდო, რომელიც საბედნიეროდ, მიმტანმა ბიჭმა  
პაერშივე დაიჭირა. მათილდმა მხარა ზემოდან გადმოხედა ქმარს და შეუყ-  
ვირა:

— დღეს რალაც ძალიან კარგ ფეხზე ხარ ამდგარი, აი! ნახე, კიდევ რამე  
ხომ არ დაგრჩა გასატეხი!

სორბიემ გაიფიქრა, რომ დიდი სიამოვნებით გადაამტვრევდა ამ ჯოხს  
თავზე თავის მეუღლეს, მაგრამ ამ აზრმა მხოლოდ ერთი წამით გაუელვა თავში  
და თქმაც კი ვერ გაბედა. კაფედან გამოსვლისას გული დასწყდა, როცა დაი-  
ნახა, რომ კახა თავისი მაგიდიდან ანდგარიყო და იმ ბერიკაცს მისჯდომოდა.  
მატილდს არც ეს გამოპარვია და უმაღვე მიახვედრა, რა სასაცილოდ გამოი-  
ყურებოდა; მაგრამ ერთი სული ჰქონდა, ვიდრე სამაგიეროს მიუზღავდა და  
ამიტომ ირონიული კილო შეცვალა. თვალი თვალში გაუჯარა და იმ სიკაპასით,  
რასაც სორბიეს ყურები ნაჩვევი იყო, უთხრა:

— მითხარი, მაინც რა უფლება გქონდა, ეს ჯოხი რომ აიღე? შენი რომ  
ყოფილიყო კიდევ...

სორბიე ნირწამხდარი შესცქეროდა, არ იცოდა... მათილდს შეიძლება სი-  
ლაც გაეწნა.

— ჯოხს რომ დაიჭერს კაცი ხელში, საამისო მაზეზიც უნდა ჰქონდეს! გა-  
მაგებინე, რატომ აიღე ძია ემალის ჯოხი?

მატილდი გაჩერდა, პიჯაკზე წაავლო ხელი სორბიეს. სორბიე მიხვდა, რომ  
ცოლი არ მოისვენებდა, ვიდრე პასუხს არ მიიღებდა. თავს ძალა დაატანა და  
სულია იღუმალა კუნჭულები მიმოიხილა; პასუხი ვერ იპოვა და ისევ თავის  
პოეტურ შთავონებას მიეწვდო, იმ იმედით, რომ ცოლს მოვნიბლავ და სიბრა-  
ზეს გავუწუნებო.

— აბა, რა გითხრა, მზე... პო, ეგ არის რა... მზე... გესმის, ისეთი საუცხოო

ამინდი იყო, რომ საგაზაფხულო განწყობილება... აბა, რას გაიგებ, რატომ ეუფლება კაცს საგაზაფხულო განწყობილება!

მატილდმა ისე გამოაჯაგრა, თითქოს მის ქმარს მეტად სასაცილო რამ ეთქვას. სორბიე კი საცოდავი ხმით იმეორებდა ერთსა და იგივეს:

— ჰო, საგაზაფხულო განწყობილება... რატომ არ გეხსენებოდა ეს...  
 — მადამ, საგაზაფხულო განწყობილება... რატომ არ გეხსენებოდა ეს...

მატილდმა ხელი ჰკრა სორბიეს, რათა კვლავ დაეძრა ადგილიდან, თითქოს რაიმე მანქანასთან ჰქონდა საქმე, და კბილებში გამოსცრა:

— დამაცა, ვნახოთ რა ბიჭი ხარ! მე შენ გაჩვენებ საგაზაფხულო განწყობილებას! ხომ არ გგონია, რომ დამავიწყდა შენი წელანდელი საქციელი...

□ □

ვიქტორმა და ფელიციენმა ამ დაკითხვით ისარგებლეს და პატარა ხანს თავისუფლად დანავარდობდნენ. ცოლ-ქმარს ფეხის აჩქარება მოუხდა, რომ ამ მოხეტიალე ბრბოში ბავშვებს დასწეოდნენ. მატილდმა ფელიციენს უბრძანა:

— მიდი, მამაშენს მოჰკიდე ხელი და ყურადღებით იყავი, ხელი არ გაგიშვას!

სორბიემ მორჩილად ჩაჰკიდა ხელი თავის ბიჭს და გზა განაგრძო. მატილდმა ხელახლა დაუძახა და მბრძანებლური კილოთი უთხრა:

— მარჯვენა ხელი მიეცი, ეგ ხელი სტკივა... შენ გეუბნები! არ გესმის? ჰო, ჰო, ჰო! აბა, თუ შეეღიო მაგ ჯობს როგორმე... მარცხენა ხელში დაიჭირე, არაფერი გიშავს... ამაზე მეტად სასაცილო მაინც ვერ იქნები. მიდი, ჰო!

სორბიემ ჯოხი მარცხენა ხელში გადაიტანა და ბიჭს მარჯვენა მოჰკიდა. ჯოხი, რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო აწუხებდა. ილლიაში ამოიჩარა. მატილდს სიამეს ჰგვრიდა მისი შეშინებული მიხრა-მოხრა. რა დაინახა, მარჯვნივ შეხვევას აპირებდნენ, უმაღლესი ხმით დასტეჭა, რომ ქმარს ძრწოლა მოჰგვარა:

— არა, პირდაპირ წადი, ცოტა კიდევ ვისერიანო!

— გვიანდება... ხუთი ხდება.

— ამ ცოტა ხნის წინ ასე არ ჩქარობდი! მე კიდევ მინდა სერიანობა. რუაილის ქუჩას გავყვეთ ისევ უკან და ტიულრის ბაღიდან გავიდეთ. ამაზე უკეთესი ადგილი სასერიანოდ, ამ დროს, მე არ მეგულება!

მატილდმა კაფედან გამოსვლის მერე შურისძიების გეგმა დაისახა: დამარცხებული და გაბითურებული ქმარი იმავე გზით უნდა წაეყვანა უკან, რა გზითაც ასე დარდიმანდულად მოაბიჯებდა აქეთობას.

სორბიე ახლა ძლივს მოათრევდა ფეხებს, თავი ჩაექინდრა და მხრებში მოხრილიყო. ქალებზე უკვე აღარ ფიქრობდა. ერთი საცოდავი კაცი იყო, რომელსაც მარტოდენ თავისი ფაჩუჩები და გაზეთი უტრიალებდა თავში. მატილდს უნდოდა, რაღაც არ უნდა დასჯდომოდა, აეძულებინა სორბიე თავად შეედარებინა ერთმანეთისათვის, თავისი ახლანდელი მოკრძალებული სულსკვეთება, იმ ამაყ თავდაჯერებულობასთან, რაც ხეივანში სერიანობისას გამოამჟღავნა.

— ნახე, რა ლამაზმა გოგომ ჩაიარა! მიიხედე, გააყოლე თვალი! ამ ცოტა ხნის წინ თვალი კარგად გიჭრიდა, ახლა რა დაგემართა?

ტიულრის ბაღში ვიქტორსა და ფელიციენს თავისუფლება მიანიჭეს, მაგრამ სორბიეს ამით არ უსარგებლია და ჯობი კვლავ მარჯვენა ხელში არ გადმოუტანია; მის დავიწყებას ცდილობდა. მათილდს ზუსტად ახსოვდა, როგორ ის ადვილი, სადაც მისმა მეუღლემ თავაშვებულობა გამოიჩინა. სორბიეს მისსავე ნალაპარაკებს ახსენებდა და თან თავის მხრივ სასტიკ შენიშვნებს უკრავდა. შიშველი ქალის ქანდაკებას რომ მიუახლოვდნენ, გული აუტყვიანდა; ძველვარება დაიცბო და შედიდურად უთხრა ქმარს:

— აგერ, ბატონო, შენი სარეცხის ჭოკი! ამის გულისთვის არ იყო, რომ კინალამ ჰყუა დაკარგე... რატომ ჩაგვივარდა ენა?

სორბიემ უხალისოდ შეათვალიერა ქანდაკება. მათილდმა მის გამოხედვაში რაღაც სინანულის მსგავსი რამ დაინახა. ძია ემილის ჯობი აიღო, წვეროთ ქვის კონტურებზე მიმოატარა და ზიზღით შეუდგა მის დაწვრილებით განხილვას:

— ერთი უყურე, რა გამხდარია... მხრები ბოთლის ყელს მიუგავს... მუცელი ზედ ნიხმობია... ორი წყვილი სათვალე გინდა, მუცელი რომ დაუნახო...

სორბიე არაფრის მთქმელი თვალეებით იყურებოდა. ხანდა, მეღანქოლიურ ოცნებაში იყო გადავარდნილი. მათილდმა წარბები აზიდა, ჯობი ქანდაკების ძირს დასდო, გულხელი დაიკრიფა და მძინედ ჰკითხა:

— აბა, ახლა რას იტყვი?

სორბიემ ხაფანგში მომწყვდეული ცხოველივით აპხედა ცოლს. ოდნავ შეეყოყმანდა, მერე ყელში ლაჩრული სიცილი მოეპოვნა და ჩაიხურჩხულა:

— ძალიან ახალგაზრდულად კი გამოიყურება, რაც მართალია... ხამდეილი ქალი ცოტა უფრო ძვალმსხვილი უნდა იყოს...

ამ მლიქვნელურმა თვალსაზრისმა, რომელიც ის იყო გამოსტყუა ქმარს, მათილდს ლოყები აუწვა სიამაყისაგან. ზანტად და უხერხულად გაუყარა ხელმკლავი, თითქოს იმის ნიშნად, რომ საბოლოოდ დაიპაკუთრა და ოჯახი წინისაგან გაუდგა გზას. ვიქტორი და ფელიციენი ქანდაკების ფერხით დაგდებულ ჯოხს დაეპატრონენ. ერთს ერთ ბოლოში ჩაევლო ხელი, მეორეს მეორე ბოლოში და მშობლების წინ გარბოდნენ. მამა შვეებით უყურებდა მათ და უხაროდა, რომ განთავისუფლდა ამ ტვირთისაგან, რომელიც ახლა აუტანლად მძიმედ ეჩვენებოდა. ქმრის შეცარმა ამჩატებამ ქალბატონ სორბიეს რაღაც ეჭვი აღუძრა და ბიჭებს უთხრა:

— ახლავე მიეციტ ჯობი მამათქვენს, აბა, ყვ რა თქვენი სათამაშოა!

მერე ისევ ქმარს მოუბრუნდა:

— რაკი არ დააყენე კარადაში, დღეიდან ყოველ კვირას ამ ჯობით ივლი!

# ფრანგული „ახალი რომანი“



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

„არა რომ-გრიფი, თქვენ არა ხართ რომანისტი... დაწვიოთ თქვენი წიგნები, გააკეთეთ აკისრებლეთ იმ ობისაგან, რომელიც წლიდან წლამდე ედება სვენი ლიტერატურას. დაზოგეთ თქვენი და ჩვენი დრო!“

(პ. დე ბუაღეფრი რომ-გრიფის შემოქმედების გამო)

„პრუსტის, ჯოისის, კაფკასა და მუზილის შემდეგ... იშვიათია ლიტერატურაში ამგვარი მეტაფიზიკური განზომილების მონაპოვარი.“

(პ. გასკარი რომ-გრიფის რომანის „ნუფლელის“ გამო)

„ქვეცნობიერის ანალიზის თვალსაზრისით ეს რომანი შედეგია.“

(ა. რუსო საროტის რომანის „პლანეტარიუმის“ გამო)

„აი, ფრანგული ავანგარდის ყველაზე დამთავრებული და ცნობილი რომანი. მისი საოცარი არქიტექტონიკა ახალ პერსპექტივებს უსასრულობამდე ზრდის.“

(მ. ლეირისი ბიუტორის რომანის „მოდერნიზაციების“ გამო)

„რამხელა სხვაობაა ამ ლიტერატურის ფორმალურ გაბედულებასა და მის თემატურ სიღარიბეს შორის... იშვიათად ყოფილა, რომ ამგვარ დაძაბულ სამყაროში შექმნილიყო ლიტერატურა, ასეთი თვითგამაყოფილი თავისი უშინაარსობით.“

(რ. კანტერსი „ახალი რომანის“ გამო)

„ახალი რომანის“ მკითხველი შეიძლება შეეგუოს იმას, რომ რომანში ვერ იპოვოს კლასიკური პერსონაჟები იყვნენ ბუნდოვანნი, საადრეულობით მოცულნი, ძნელად წარმოსადგანნი, უსახონი და უსახელთნი, მაგრამ მკითხველი ვერ შეუგუება იმას, რომ რომანში ცხოვრების ფეთქვა არ იჯრძნობოდეს. „ახალი რომანის“ ძირითადი სისტემა სწორედ ეს არის; ის უსისხლო, უხორცო და ვაებუბა აგან დაცლილია.“

(პ. ა. სიმონი „ახალი რომანის“ გამო)

„მე ვფიქრობ, რომ ტერმინი „ახალი რომანი“ არ არსებობს. ეს კრიტიკოსების მოგონილია. მწერლების ერთ ნაწილა, რომელსაც ამ სახელით აღრთიანებენ, დიდი ტალანტი აქვთ. ასეთებია ნ. საროტი, ე. სიმონი, ა. რომ-გრიფი. მართალია, მორალს პრობლემები მათ ძლიერ არ აწუხებთ, მაგრამ ვინა ეს ლიტერატურის საერთო ტენდენცია არ არის?... უდაოდ საღი რეაქციაა ცნობიერების უშუალო მონაცემებისაკენ მობრუნება.“


(მ. გალეი „ახალი რომანის“ გამო)

ამგვარ სრულიად საწინააღმდეგო შეფასებას აძლევენ ფრანგი მწერლები, კრიტიკოსები და ევრნალისტები ახალ მიმართულებას, რომელიც დღეს საფრანგეთში „ახალი რომანის“ სახელითაა ცნობილი.

საინტერესოა რას წ-რპობადგენენ ეს მწერლები, რა თეორიულ საფუძვლებს ეყრდნობიან? რას სთავაზობენ მკითხველს და რისი თქმა სურთ? რატომ იყო და არის მათი შემოქმედების გარშემო ასეთი ცხარე და გადაუწყვეტელი კამათი, სრულიად საპირისპირო აზრები? რატომ

1 წერილი პირველი.

2 ამ მიმართულებას ბევრი სხვა სახელიც შეარქვეს, პირობითად ჩვენ ვხმარობთ ტერმინს „ახალი რომანი“.



სწორებენ ერთნი მაწასთან და მეორენი კი ნოვატორებად მიიჩნევენ? საინტერესოა შეიტანეს თუ არა რაიმე სიახლე ლიტერატურაში ან კანონზომიერება თუ არა ფრანგული ლიტერატურისათვის მათი ხელოვნება? ფრანგული რომანის ტრადიციების გაძვრკელებულია თუ სრულიად ახალი მოვლენა? დაბოლოს, „ახალი რომანი“ რომანია თუ, როგორც ხშირად წყვილებს, „ანტი-რომანი“?

ძნელია ყველა ამ საკითხზე ამონაწერად პასუხის გაცემა, რადგან თითოეული შეკითხვა ცალკე კვლევის საგანია. ამ წერილის მიზანია ზოგადად მიმოხილოს „ახალი რომანის“ თეორიული საფუძვლები, მთავარი წარმომადგენლების შემოქმედება და ზოგიერთი მწერლის ნაწარმოები, რომელიც შეიძლება ჩათვალოს ამ მიმართულების წინამორბედად.

საუკუნეებს განმავლობაში რომანი, როგორც ლიტერატურული ჟანრი, ასახავდა იბიექტურ რეალობას, იმ სინამდვილეს, რომელშიც მწერალი ცხოვრობდა. როგორი მიმართულების და მსოფლმხედველობისაც არ უნდა ყოფილიყო მწერალი, გვიძლევდა იგი ეპოქის კრიტიკასა თუ ქებას, ღმერთის რწმენასა თუ უარყოფას, პესიმისტური ან მისი ხაწარმოები თუ ოპტიმისტური, რომანის სპეციფიკა ყოველთვის იყო აესახა ეპოქა, საზოგადოება, ადამიანი.

ძველ მწერლებს ყოველთვის მტკიცედ სჭეროდათ ადამიანის, მისი შესაძლებლობის, ინდივიდუალური შესაძლებლობის წინაშე, როგორც სამყაროს ცენტრში ანაყად მდგარ არსებას, რომელსაც თავისი არსებობითა და მოქმედებით გარკვეული მისია ჰქონდა დაეისრებოდა.

ტრადიციულ რომანში მკითხველი ხედავს გმირებს, მათ ინდივიდუალურ ტიპიზაციას. მათ განსხვავებულ ფსიქოლოგიას, მოქმედებებს, ქცევას, ჩაცმულობას. რომანიდან მოხსნა ანსლქარბი ადამიანები, ხორცშესხმული ვნებანი, სიცოცხლეთ სავსე გმირები, ანდა პირიქითაც, სუსტი, უნებისყოფო ადამიანები. ავტორი გვიმცნობს პერსონაჟების ფიქრებს, ტანჯვას, სიყვარულს, წარსულს, მომავლის რწმენას, იმედის გაცრუებას და ცხოვრების სივალსხვა პერიპეტეებს. მათი ემოციები მკითხველისას ემახვევა. მკითხველი თითქმის ესწრება სინამდვილეში მომხდარ ამბავს. მოკლედ, ტრადიციული რომანის გმირები სინამდვილეში არსებულ ადამიანებს გვანან, ხოლო აღწერილი რეალობა თუ საზოგადოება იმ გარემოს, რომელსაც იცნობს მწერალი და მკითხველსაც აცნობს.

მე-20 საუკუნეში, ან უფრო ზუსტად ამ ბოლო 30 წლის განმავლობაში დასავლეთში და კერძოდ საფრანგეთში რომანმა სახე იცვალა. ეს ცხადია არ ნიშნავს, რომ ტრადიციული რომანი გაქრა ან ქრება. დღეს ტრადიციული რომანი მთიცივს სრულიად სხვადასხვა სტილისა და მრწამსის მწერლებს. როგორებიც არიან მორიაკი, არაგონი, მონტერლანი, ბერნანოსი, სარტრისა და კამიუს ჩათვლით. მაგონ ამ 20-ოდე წლის წინათ ვახვდა მეორე ხაზი—„ახალი რომანი“, რომლის წარმომადგენლებს რომანია განახლება „გაფანალება“ სურთ. ისინი ახალ თეორიებს ქმნიან და რომანის ახალი ფორმების ძიებაში არიან.

მე-20 საუკუნის ბურჟუაზიულ-სამყაროს მწერლების ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ სამყარო ქაოსად იქცა (ფერ კიდევ საუკუნის დაძვრვას ვაღუწივ გამოთქვა ეს პარი), ადამიანს დაეკარგა თავისი არსებობის აუცილებლობის შეგრძნება და სამყარო აბსურდულად ეჩვენება. დღეს მეცნიერული მიღწევები, რომლებმაც ყოველთვის იმედიანად უყურებდნენ, დღეს მას აშინებს. ადამიანი კრახისა ვახიციდა და ეს კრახისი რეალობას ეთანხვება ხიზნია ქვეშ აყენებს. თუ წინათ ადამიანი სამყაროს ბატონად თვლიდა თავს, დღეს მისთვის სამყარო აუხსნელი და აბსურდულია მან ღმერთიც უარყო და დარწია იმეთ გარემოში, რომელიც იმედის ნაცვლად მიწისა გერის. ადამიანი კატასტროფის წინაშე დგება. ის კარგავს სახეს, სახელს. (კოფკა ბეკტი) მარტოა, საკეტრილი თავის თავში ან ათვეფილია სხვებში, ისე, რომ საკუთარ სახეს კარგავს. პიროვნება ქრება.

ზოგი თანამედროვე რომანისტის აზრით დიდი განსხვავებაა თანამედროვეობის შინაგან რეალობასა და ტრადიციულ რომანის შინაგან რეალობას შორის, მის პერსონაჟებს, ამბებსა და ფსიქოლოგიას შორის. ანტიომ თანამედროვე ადამიანი არა მკვებს ძველი რომანების პერსონაჟებს. ადამიანის გაგება უძველესა საქმეა, აცხადებენ ახალი მწერლები, მაგრამ თუ ცოტათი მაინც ვინდა მიუახლოვდე ქვემოთქცებას, შეთოდები უნდა შეეცვალო; უნდა დაარღვიო ტრადიციული ფორმები, რომელთაც არ ძალუძთ თანამედროვე ადამიანის ნამდვილი საბის მოცემა.

ამ საუკუნის დამდეგს უკვე ჩხდებიან მწერლები, რომელთა რომანები არ ეჭვემდებარებიან ტრადიციული რომანის სქემას. რომანი იღვბა ისეთ საფუძველზე და იძლევა ისეთ რეალობას, რომელიც ერთბაშად ძნელი გასაგებია. იმგვარ რომანში პერსონაჟის შინაგან ხმას ეძლევა

უპირატესობა. ავტორი ეს არ გვაყვება რაიმე ამბავს, არამედ პერსონაჟი საუბრობს თავის თავთან, — იქნება ეს გამოხატული შინაგანი მონოლოგია, ცნობიერების ნაკლები თუ სხვა სასუქლებით. ამგვარი რამ ძველ რომანებშიც გვხვდებოდა ხოლმე, გმირის შინაგანი განცდები, მასა ბუნლოვანი და ფაქტუალური რეაქციები სტენდალსაც შესანიშნავად გამოიყენებოდა. თანამედროვეობის რეაქციას, ნაგალითად მკითხველი აღიქვამს როგორც გმირის შინაგან მონოლოგს, მხოლოდ მესამე პირის ნაცვ-ლასხელი მიგვანიშნებს, რომ გმირის შინაგანი მონოლოგია ავტორის მიერ არის აღწერილი. ის, რაც მე-19 საუკუნის მწერლებს უკავიათ, რომელიც შემთხვევები იყო თანამედროვე რომანში სისტემად იქცა — უპირატესობა მიუხედავად პერსონაჟის შინაგანი ხმის და არა ავტორისეულ თხრობას.

რადგან, როგორც ყველა ლიტერატურულ ნაშრომთა და სკოლას „ახალ რომანსაც“ თავისი წინამორბედები ჰყავს, მისი წარმომადგენლები იერიითადად ასახელებენ პრუსტს, ჯოისს, მუხილს, კაფკას, ფოლკნერსა და სხვა. ჩოგინითი უფრო შორს მიდის და ფლობერს თვლის „ახალი რომანის“ პირველ წინამორბედად. ამის საფუძვლად იასის ფლობერის დღიურებს ასახელებენ, რომელშიც იუგოს სინტაქსის მოსაზრებაა მომავლის რომანის შესახებ და იმთაშვერებს მას უკანასკნელ რომანს „ბუვარ და პეკუშნეა“.

მე-20 საუკუნის დანდევადამ რომანის ფორმის ცვლადობა პირითადად ირი გზით წარმოიშობა: ერთი მხრივ შეიცვალა რომანის არქიტექტონიკა და მეორე მხრივ თავი იჩინა დეტალების სრულყოფილ ახლებურმა ხედვამ.

მკითხველი მიხეუელი იყო ისეთ რომანს, რომელიც პომოგენურ რეალობას ასახავდა. სიუჟეტისა, კვანძისა და ფინალით; შეზღუდული იყო თხრობის მანერის, აღწერებს, ფაქტოლოგიურ ანალიზებს, ავტორისეულ რეპარტებს; ცხადია ამგვარ ტრადიციულ აღზრდილი მკითხველისათვის სრულიად უცხო. ნოთლოდნელი და გაუგებარი აღმოჩნდა პრუსტისა და ჯოისის რომანები და არა მარტო მკითხველისათვის — ცნობილმა ფრანგმა მწერლებმა, გონკურის პრემიის ჟიურის წევრებმა (ერჟოლ ა. ეილმა, ვისი შემოქმედებაც მოახსენიებდა, როგორც ერთერთი სათავე „ახალი რომანისა“), პრუსტის გრანდიოზული რომანის პირველი ნაწილი „სენანის მხარეს“ უკუაგდეს, როგორც უფარგისი. ამჟამად პრუსტის რომანის გაცემა სიძნელეს აღარ წარმოადგენს და მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში პრუსტი კლასიკოსად არის აღიარებული...

პირველი საგრანტობი მეტამორფოზი რომანისა სწორედ პრუსტით დაიწყო. მისი დიდი რომანი „დაქარგული დროის ძიებაში“ პირველად ქრონიკად მოაჩინეს ექვეულო კომპოზიციის გამო სინამდვილეში ეს რომანი არც ქრონიკაა, არც აღსაჩება და არც შემუშარები, რადგან მთხრობელი არ იძლევა ფაქტების, მოვლენებისა და ადამიანების ობიექტურ ასახვას, არც თავის სულერ ტანჯვასა და განცდებს გვიხატავს ძველი მწერლების მსგავსად. ეს არის მთხრობელის თვლით დანახული სამყარო, მეხსიერებაში აღდგენილი და ხელმეორედ განცდილი. მართალია, რომანში არის გარეშე სამყარო, არისტოკრატთა საზოგადოება, უამრავი გროტესკული პერსონაჟი, მრავალრიცხოვანი სურათები და ფაქტები, მაგრამ ყოველივე ეს მთხრობელის სუბიექტური ვახედითა და ხედვით მოცემული რეალობაა და არა ობიექტურად არსებული, როგორც მაგალითად ბალზაკისა თუ ფლობერის რომანებში.

პრუსტმა გვერდი აუარა ტრადიციული რომანის კომპონენტებს. მისი კომპოზიცია დროის ქრონოლოგიურ დანებას არ ემსახურება. დრო არ არის დადგენილი და განსაზღვრული. დროის მსკლელობა სწორხაზობრივი კა აღარ არის რაიმე კონკრეტული დროიდან დასასრულამდე, არამედ იგი დატეხილი და აღრეულია. ბავშვობის, სიყრმისა თუ სიბერის მოგონება ჩახლართულია მთხრობელის ცნობიერებაში. მაგალითად „სენანის მხარეს“ იწყება მთვლემარე ადამიანის ოცნებების აღწერით, მკითხველის წინ ნელ-ნელა აღდგება კომბრე, ბალბეკი, ბავშვობის სურათები, მშობლები, ნათესავები. მერე აღმოჩნდება, რომ ყოველივე ეს ნომზღარა კარგა ხნის წინათ, რადგან მთხრობელი მარსელი უკვე დიდია. ხოლო უკვე ხანში შესულია მარსელი, როდესაც გაიხსენებს ახალგაზრდა მარსელს (ამ შემთხვევაში რეალურია მხოლოდ მარსელი — მთხრობელი).

პრუსტის რომანი ეს არის რთული არქიტექტონიკური კომპლექსი, რომლის ერთიანობის ერთბაშად განვგრეტა ძნელია. მწერალმა უგულვებელყო დროის თანამიმდევრობა. რომანში არ არის არც თავი, არც ბოლო, არამედ ლაბირინთის მსგავსი ერთიანობაა. გმირი თითქოს ცნობიერების ამ ლაბირინთში ხეტიალს, მაგრამ პრუსტის მთელი რომანის წაკითხვის შემდეგ იგრძნობა ურღვევი ერთიანობა, ყველაფერი თავის ადგილას აღმოჩნდება, ნათლდება ცნობიერ-

რების ქათსი და წარმოიშვება მილიანობა — აღდგება განვლილი არსებობის დაკარგული დრო.

პრუსტის რომანი გუჩუენა, რომ შესაძლებელია დროსა და სივრცეში რამდენიმე პლანის მოცემა და ამით ის პირველი ახალი (არატრადიციული) რომანის ხიმუწია.

პრუსტის შენდევ ახალი ტიპის რომანს დასავლეთის ბევრ მწერალთან ეხვედრება, როგორც „ულისე“, მუზილის „უთვისებო ადამიანი“, პაქალის „კონტრაპუნქტი“, ეილიუ „საღვთისმშობლის მკრელები“ და „პალიუდი“ და სხვა.

პაქალის სურდა დაეწერა რომანი მუსიკის კანონებს მიხედვით, მაგრამ „არა სიმბოლისტების მსგავსად, რომლებმაც მნიშვნელობა ბევრებს დაუქვემდებარეს“, არამედ უფრო ფართო გავებით, ასე, რომ რომანის კომპოზიცია მუსიკალურა ნაწარმოების მსგავსი ყოფილიყო.

ამისათვის კი მას სჭირდება ბევრი პერსონაჟი, პარალელური, კონტრაპუნქტული ამბები პერსონაჟების რაოდენობით, მათი შეხვედრებითა და განშორებით, რომანის აგებით, როგორც უფასო და მუსიკალურ კონტრაპუნქტშია, ავტორს სურს შექმნას ახალი, პოლიფონიური რომანი<sup>1</sup>. ეილიუ იმისაკენ მიისწრაფვის, რომ შექმნას „რადიკ მსგავსი ფუჯის ხელოვნებისა... თუ ეს მუსიკაშია შესაძლებელი, რატომ უნდა იყოს შეუძლებელი ლიტერატურაში“, კითხულობს მისი რომანის ერთ-ერთი პერსონაჟი მწერალი ედუარდი. 1925 წელს გამოსული რომანი „ყალბი ფულის მკრელები“ „ახალი რომანის“ უშუალო წინამორბედი. მასში უარყოფილია სიუჟეტი და ხასიათები: „რომანს უნდა მოვადილოთ ყველა ის გლეხენტი, რომელიც მისთვის სპეციფიკური არ არის. ასევე, როგორც ფოტოგრაფიამ გაანთავისუფლა ფერწერა სიბუნებებისაგან, ასევე დაწმენდს ალბათ მომავალში ფონოგრაფი რომანს იმ ხედვები და დოკუმენტებისაგან, რომლებიც ხშირად სახელს უხევევენ რეალისტ მწერლებს. ვარეშე მოვლენები, ისეიღებებო კინოს საქმეა. რომანში კინოს უნდა დაუთმოს ისინი. მე ვფიქრობ, რომ პერსონაჟების აღწერაც არ ეკუთვნის წმინდა რომანს. სიუჟეტის, სოციალური თუ ფსიქოლოგიური ფაქტორების მოცილების შემდეგ დარჩება წმინდა რომანი, რომლის მხატვრული ღირებულება მისმა კომპოზიციამ უნდა შექმნასო“ — ამბობს მწერალი.

ავტორი წინასწარ დასახული გეგმით არ ხელმძღვანელობს. მან არ იცის რას მოილოქმედებენ მისი პერსონაჟები. ერთი გმირის ნაცვლად გამოჰყავს მრავალი პერსონაჟი, რომლებიც ერთმანეთს ხედებიან, სცილდებიან, ემატებათ ახალი პერსონაჟები. ავტორი გვიჩვენებს რას აკეთებს სხვადასხვა პერსონაჟი ერთსა და იმავე დროს, ერთმანეთთან კავშირის გარეშე. „ცული რომანისტი თვითონ წარმართავს თავის პერსონაჟების მოქმედებას, ხელმძღვანელობს და ალბათ პარაიებს მათ. ხანდახლი რომანისტი კი მათ უსმენს და უყურებს რას გააკეთებენ. სანამ გაცნობდეს პერსონაჟებს, ის უსმენს მათ საუბარს და მხოლოდ ამის შემდეგ ხდება ვინ არიან ისინი“.

ყოველ ერთი მთავარი ნიშანი, რომლითაც ეილიუ „ახალი რომანის“ ნამდვილი წინამორბედი — არის რომანში რომანის შეტანა. რომანში ორა პლანია: ეილის რომანის სახელწოდება „ყალბი ფულის მკრელები“, ხოლო რომანის პერსონაჟი მწერალი ედუარდი ამ ნაწარმოებში ქმნის ამავე სახელწოდების რომანს. რომანის მსვლელობაში ჩართულია ედუარდის დღიური, ჩანაწერები, რომლითაც იგი რომანის დაწერას აპირებს. ასევე თანაგი მნიშვნელობის მატარებელია თვით სათაურიც; რეალურია ახალგაზრდათა ჩვეულები, რომელიც ყალბ ფულს კრის. ხოლო სიმბოლურად კი ყალბი ფულის მკრელებად გამოყვანილნი არიან საზოგადოების ყალბი და თვითყმაყოფილი წევრები. ამგვარი გაორმაგებით ეილს სურდა მოეცა რომანი, რომელიც „ერთდროულად იქნებოდა ისევე მართალი და რეალობას მოკლებული, ისევე კერძო და ზოგადი, ისევე ადამიანური და ფიქტიური, როგორც „ატალა“, „ტარტიუფი“ და „სინნა“.

<sup>1</sup> 1939 წ. თ. მანმა ამერიკაში წაკითხულ მოხსენებაში უფრო ნათლად და დამაჯერებლად გამოთქვა იგივე აზრი: „დიდი ხანია, რაც მუსიკა აქტიურ გავლენას ახდენს ჩემ შემოქმედებაზე და მეტწილად საკუთარი სტილის გამომუშავებაში... ჩემ თავს მწერლებს შორის მუსიკოსად ვთვლი... რომანი ჩემთვის ყოველთვის სიმფონია იყო, ნაწარმოები, რომელიც კონტრაპუნქტულ ტექნიკას ეყრდნობა. თემების გადახლართვაში მუსიკალური მოტივების როლს იღებენ ასრულებენ“.



რ. მარტენ დიუ გარი თავის მოგონებებში მოგვითხრობს, როგორი სახის რომანის შექმნა სურდა ვიდრე „უფრო კარვად რომ გამოგო, მან სუფთა ქალაქი აიღო, ჰორიზონტალური ხაზი გაავლო და შემდეგ ჯიბის ფარსით გაანათა მთელი ხაზი თავიდან პოლონეთი... აი, თქვენი ბარცა, აი, თქვენი ტიბოები... თქვენ წინასწარ წარმოუგენილი გაქვთ ერთი პერსონაჟის ბიოგრაფია, ან ოჯახის ისტორია; პატიოსნად და ზუსტად ჰყვებით მათ ამბავს წლიდან წლამდე. მე კი აი როგორ მინდა შეექმნა ჩემი რომანი. „ქალბი ფულის მკვლელები“ გადააბრუნა დურცელი, მოხაზა ნახევარი წრე, ჯიბის ფარსით შეაში მოათავსა და სწრაფად წაიკითხა არ გაუძნებია, ცენტრიდან სხივი მთელ ნახევარწრეს მოაფლო... „თქვენ არასოდეს არ ჰყვებით წარსულ მოვლენას აწმყოთი ან და იმ პერსონაჟით, რომელიც მთავარი არ არის. თქვენთან არაფერი მოცემული არ არის შემთვლის ვხიბ, მაულლოდნელად, ანარქიულად...“ „რომანს სიტყვები არ ექნება, ეცი, უაზრობად გეჩვენებათ ჩემი ხათქვაში... ცხოვრების ერთი მონაკვეთი, ამბობდნენ ნატურალისტები; მათი ძირითადი ნეკლია იყო ის, რომ ამ მონაკვეთს მხოლოდ ერთ განზომილებაში იძლეოდნენ — დროში, სიგრძივ. რატომ არ შეიძლება იგივე გამოვხატოთ ყოველმხრივ, სივანშიც, სიღრმეშიც“.

პაქსლის რომანის „კონტრაპუნქტის“ პერსონაჟი — მწერალიც ოცნებობს რომანში რომანის შეტანას: „რატომ უნდა დაეჭვრდეთ რომანში მხოლოდ ერთ რომანისტს, რატომ არ შეიძლება ამ რომანისტის რომანში კიდევ გამოჩნდეს ახალი რომანისტი და ა. შ. დაბოლოს, მივიღებთ რომანისტს, რომელიც აღგებრელი სიმბოლოებით მოგვაცხება ამბავს“ (შემდეგ ვნახავთ, რომ „ახალი რომანის“ ზოგ მწერალს გეომეტრებს უწოდებენ).

ამგვარად მე-20 საუკუნის დასაწყისს, როცა ტრადიციული რომანი ბატონობს (რ. როლანი, რ. მარტენ დიუ გარი, ა. ფრანსი და სხვა) მჩნევია ცალკეული ნიშნები, რომლებიც რომანის ცვალებადობას გვიჩვენებენ. პრუსტი საფრანგეთში, ჯოისი ინგლისში, მუხილი და კაფკა ავსტრიაში, და სხვა, ტრადიციული რომანისაგან განსხვავებით სხვა ტიპის რომანებს ქმნიან. ისინი ცვლიან რომანის ძირითად სქემას და სამყაროს და ადამიანს სუბიექტურად ასახავენ. მათთვის „რეალური სამყარო არსებობს იმდენად, რამდენადაც ის ვმირის ცნობიერების ანარეკლია“. ობიექტური და სუბიექტური, ცნობიერი და ქვეცნობიერი, უშუალო შთაბეჭდილებები და შეგრძობებები ისე ერთმანეთში შერყეული, რომ მკითხველი გაუგებარი გამოცანის წინაშე დგება. ადამიანი მუდმივ ცვალებადობაშია, აცხადებენ ეს მწერლები, ამიტომ საჭიროა მომენტალური, გარედან შეუშინეველი ცვლილებების გადმოცემა და თანაც არა ქრონოლოგიურად (როგორც კლასიკოსი რომანისტები აკეთებენ), არამედ ისე, როგორც ეს ხდება ადამიანის ცნობიერებაში. მხოლოდ ამ მანერით შეძლება მწერალი ოდნავ მაინც მიუახლოვდეს ადამიანის ჭეშმარიტ სახეს, ჩასწვდეს მის საიდუმლოებით მოცულ არსებას.

პრუსტი აღბათ პირველთაგანია, რომელმაც პირველი „შინაგანი რომანი“ მოგვცა. მისი დეკონსტრუქცია ის, რაც ხდება ცნობიერებაში იმ მომენტში, როცა სივანი რაღაც შთაბეჭდილებას იწვევს ჩვენში“, ახალმა რომანისტებმა ძირითად მეთოდად აქციეს. მათი აზრით ტრადიციონალისტ მწერლებთან დროის პრობლემაც გაყალბებულია, რადგან სინანდელიში ადამიანი კალენდარული დროის მიხედვით არ ცხოვრობს. დრო, რომელსაც იყენებს ფლობერი ემა ბოვარის ამბის თხრობისას, გარეშე, ზედაპირული დროა, ხოლო ის რაც ხდება ინდივიდის ცნობიერებაში, გარეშე დროს არ ექვემდებარება. სამყაროსა და ადამიანის ობიექტური აღწერა სინამდვილეს არ ასახავს. აი, რა დაუტოვა პრუსტიმ შემდეგ თაობებს, რომლის ერთმა ნაწილმა პტიკულ ჩასვიდა ხელი ამ ანდერძს, ახალი მეთოდები და თეორიები გამოიმუშავა და ახალი ტიპის რომანების შექმნა დაიწყო.

30-იანი წლებიდან და მეტადრე მეორე მსოფლიო ომის დაწყებამ შემდეგ საფრანგეთში დიდი პოპულარობა მოიპოვა ეგზისტენციალურმა ლიტერატურამ. ეს ნაკადი უშუალოდ წინ უძღვის „ახალი რომანის“ აღმოცენებას; მიუხედავად იმისა, რომ ეს მიმართულებები პრინციპულად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. „ახალი რომანი“ უდაოდ ეგზისტენციალური ლიტერატურიდან გამომდინარეობს.

ეგზისტენციალური ლიტერატურა წარმოამადგენლები აღიარებენ იმას, რომ სამყარო მთუწესრიგებული, ქაოტური და აბსურდულია, რომ ადამიანი გადავადებულია უაზრო სამყაროში და ცხოვრების აზრი დაკარგული აქვს. წინა საუკუნეებისაგან განსხვავებით ისინი ადამიანს სულ სხვა მეთაფიზიკური ცნებებით გამსაზღვრებენ. ამ მიმართულების მოძღვრების ძირითადი პრობლემა ადამიანის არსებობა და ამ არსებობის პირველადობა არსებასთან მიმართებაში.

ეგზისტენციალურ ლიტერატურაში არის ორი მომენტი, რომელიც ახალმა რომანისტებმა უაბრათოდ გამოიყენეს, მაგრამ სხვაგვარი ანტიერპრეტაცია მისცეს. ეს არის ნიუთების სამყაროს მნიშვნელობა (რობ-გრიე, ბიუტორი) და ადამიანთა „არანამდვილი არსებობის“ პრობლემა (l'existence inauthentique). სარტრთან ადამიანის მიერ თავისი არსებობის აღმოჩენის მოქმედი დაკავშირებულია ნიუთების არსებობასთან. ნიუთები, საგნები ყოველთვის „დავისუბრებელი“ არიან და ადამიანი მათ ჩვეულებრივ უყურებს, მაგრამ არის მომენტი, როცა ადამიანი მათ დაეხმობა, არა „ჩვეულებრივად“, არამედ სხვა თვალთ და ნიუთები მასზე ზუნთქმედებას ახდენენ. როცა უფრო, შემთხვევითია და ხდება ვაიგეება ადამიანისა ნიუთთან, რადგან ჯერ ადამიანიც „არ არსებობს“. იყო მხოლოდ „ნამდვილი არსებობისაკენ“ მიმავალ ეტაპზე. ამ დროს ნიუთები ადამიანს თავზარს სცემენ და ისიც ნიუთად იქცევა. რადგან თვითონაც პასუხი და ინერტულია ნიუთის მსგავსად. როცა ადამიანი ნიუთის დანახვით მის არსებობას (ყოფნას) შეიგრძნობს, ნიუთს ერთმევა ნამდვილი მნიშვნელობა, ეყარება ოდითგანვე შერქმეული სახელი, შიშვლდება, უმნიშვნელო ხდება. ადამიანი შეიჭრა მათ სამყაროში და ნიუთებს დაეკარგათ თავისთავადობა. ესე უცქერის სარტრის რომანის გმირი როკანტენი ბაღში წაბლის ხის ძირებს: „ხის ფესვი მიწაში იყო ჩაზრდილი... მე დამავიწყდა, რომ ეს ფესვი იყო. ხიტყვები გაქრნენ და მათთან ერთად საგნების მნიშვნელობაც... მათი განოყენების საშუალება... მე ვიცი... და მათთან ერთად საგნების მნიშვნელობაც... მათი განოყენების საშუალება... მე ვიცი... სულ მარტო ამ შავი და დახლართული ნედლი მასის წინ, რომელიც შიშა მგერიდა“. ადამიანის დრამა იმაში მდგომარეობს, რომ ეს სურთაღიბების მსგავსად ნიუთს ნამდვილ მნიშვნელობას აცლის და ისეთ რეალობამდე დაბრუნდება, რომ ის აბსტრადად იქცევა. ნიუთები განთავისუფლდნენ თავიანთი სახელებისაგან და ჩვენს მიღმა რჩებიან, „გროტესკული, ჭიუტები, უმნიშვნელონი... უაბრათა მათ შეარქვა სკაში ან და რაიმე სხვა სახელი. მე ვარ აურაცხელ საგნებს შუა, მარტო, უსიტყვოდ, უმწოდოდ, ისინი ყოველმხრივ მეწევიან. ისინი არიან ჩემს უსაბელო საგნების წინაშე დებერსონალიზაციას განიცდის და ისევე მათ შემთხვევითობას. ზედმეტობას და უაბრათობას. ადამიანის არსებობა და ნიუთების ყოფნა ერთნაირად აბსტრადადულია. (შემდგომ ახალ რომანისტებთან ადამიანის სრულ დებერსონალიზაციას ესახავთ).

ეგზისტენციალისტებისათვის და კერძოდ სარტრისათვის ადამიანი მთელი რიგი ეტაპების გავლის შემდეგ „არჩევანს“ ახდენს, მოქმედებაში ებმება და ამით „ნამდვილ არსებობას“ აღწევს. მაგრამ ადამიანებია უმეტესობას არ. სურს გააცნობიეროს ცხოვრება. მას ურჩევნია მისი ცხოვრების მდორე, ნაკრისფერ ყოფას და „არჩევანს“ გაუბრის. პატარა, პირადი ინტერესებით იფარგლება და თავის თავს იტყუებს. სარტრის ეს პრობლემა ნ. საროტის შემოქმედების ძირითად ხაზად იქცევა.

1950 წლიდან იწყება რეაქცია აქამდე გამეფებული ეგზისტენციალური ლიტერატურის წინააღმდეგ. ომის შემდგომში მიძიმე წლების დროს ახალგაზრდა მწერლების ერთი ნაწილი უარყოფს უიმედობისა და აბსურდის კონცეფციებს და სურს ლიტერატურას დაუბრუნოს რომანტიკული სული. ამავ დროს უკვე ცნობილი მწერლები მორიაკი, გრაკი, არაგონი და სხვები ატყუებენ არუღიად სხვადასხვა სტილის რომანებს, მაგრამ ერთნიც და მეორენიც რომანს ტრადიციულ ფორმას უნარჩუნებენ. ეგზისტენციალურმა რომანმა, რომელმაც დიდი კამათი გამოიწვია, ძირითადად მაინც ტრადიციული ფორმა შეინარჩუნა.

50-იან წლებში დაიწყო „ახალი რომანის“ ტრადიციული რომანისაგან გამოყოფა. „ახალი რომანი“ შეიძლება განვარაღდროთ, როგორც ტრადიციული რომანის მოწინააღმდეგე და უარყოფელი. ამ მიმართულების მწერალთა ცალკეული ნაწარმოებებია კი შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც რომანები. სადაც არაფერი არ ხდება, ყველაფერი ანონიმურია, დაწყებული პერსონაჟით და გათავებული გარემოთი. აღარ არის გმირი, პერსონაჟს (უმრავლეს შემთხვევაში) არა აქვს სახელი და გვარი, დაბოლოს, ზოგ რომანში პერსონაჟიც ქრება (საროტის „ოქროს ნაყოფი“, რობ-გრიეს „მოშურნეობა“ და სხვა).

„ახალი რომანის“ დაბადების თარიღის დადგენა ძნელია. ეს სახელი შეარქვეს 1950 წელს გამოცემულ რანდენიმე წიგნს. პირველად კი ამგვარი ტიპის ნაწარმოები „ტროპიკები“ ნატალი საროტმა 1939 წელს გამოაცა. ამ რომანმა შეუშინებლად ჩაიარა. რვა წლის შემდეგ იგივე მწერალმა გამოაცა „უცხოების პორტრეტი“ (სარტრის წინასიტყვაობით), შემდეგ წლებში გამოვიდა

1 ცნობილი თრანგი კრიტიკოსი ბ. პეგოთ ფიქრობს, რომ ეს ახალი ტენდენცია განპირობებულია „მოდის“ გამოცემის შემდეგ ამ წიგნის ბოლოსიტყვაობასაც „ბეკეტი-წინამორბედი“ უნდა.

ბეკეტის რომანი „მოლოა“<sup>1</sup>, რომ-გრიეს პირველი რომანი „საშლელები“, ამას მოჰყვა ბიუტორის „მოდიფიკაციები“, რომ-გრიეს „მოშურნეობა“ და „ლაბირინთში“, საროტის „პლანეტარიუმი“, კ. ნორიას „სადილი ქალაქში“, კ. სიმონის „ფლანდრიის გზები“, მ. დიურას „მოდერატო კანტაბილე“, სოლერის „პარკი“, „დრამა“, პენეს „ვილაი“, სიმონის „ისტორია“ და სხვა. 1953-65 წლებში ახალ ტაძის რომანები დიდი რაოდენობით გამოვიდა, რომანებში თავდაპირველად დააბნია აბა მარტო სამუალო მკითხველი, არამედ ლიტერატურული წრეებიც. მაგრამ ლიტერატურული პრეზიუმის მიჩნეობამ, სარტრის წინააღმდეგობამ, უამრავმა სტატიებმა ჟურნალ-გაზეთებში, სრულიად საწინააღმდეგო შეფასებებში ინტერესი გააღვივა და უკიდურესად გაამაზვილა ამ ფენომენზე. კრიტიკამ, შეკითხვებმა აიძულა ავტორები განემარტათ მკითხველისათვის სრულიად გაუგებარ და უჩვეულო სტილში დაწერილი ნაწარმოებები და დეცავათ საკუთარი თეორიები, თუკი გააჩნდათ. რომ-გრიემ გამოაქვეყნა არა ერთი წერილი: „გზა მოძველები რომანისათვის“, „ზოგი მოძველებული ცნებები შესახებ“, „ახალი რომანი, ახალი ადამიანი“ და სხვა, რომლებიც შემდგომ ერთ წიგნად გამოქვეყნდა სათაურით „ახალი რომანი-სათვის“. ნ. სარტრმა გამოსცა „ეჭვიანი ერთი“, ბიუტორმა „რომანი, როგორც ძიება“ და სხვა ნრავალი. სპეციალურმა ლიტერატურულმა ჟურნალებმა დიდი და სეროზული დიაკუსია მოაწყვეს ამ რომანების გარშემო.

ახალ ჯგუფს ყოველნაირი სახელი შეარქვეს: „მოზიანებები“<sup>1</sup>, „მშერის სკოლა“, „უარყოფის სკოლა“, „ახალი რომანი“, „ანტი-რომანი“, „ანტი-რომანი“, „ალიტერატურა“ და სხვა; და ყველანი ერთი სკოლის მიმდევრებად გამოაცხადეს. მაგრამ მათი თეორიული ნაწერებისა და რომანების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ნათელი გახდება, რომ მათ სრულიად განსხვავებული თეორიები და წერის მანერა აქვთ. „დადებითი ელემენტები თათოფულ ჩვენგანს საკუთარი აქვს. თუ შეიძლება რამდენიმე რომანისტი ერთი სკოლის მიმდევრად იქნეს მიჩნეული, ეს მხოლოდ მათი ნევატიური ელემენტების მსგავსებით და ტრადიციული რომანის უარყოფით“ (რომ-გრიე). ამიტომ სამართლიანად აღნიშნა ბევრმა კრიტიკოსმა, „ახალი რომანის განსაზღვრება უფრო ადვილია იმით, რასაც ისინი უარყოფენ, ვიდრე იმით, რასაც ისინი გვთავაზობენო“.

პირველი და ძირითადი რაც მათ აერთიანებთ არის პერსონაჟის და ისტორიის (ამბის) უარყოფა. „ჩვენი რომანებს მიზანი არ არის შექმნას პერსონაჟები და მოყვეს ამბავი“ (რომ-გრიე). ამგვარი განცხადება რა თქმა უნდა გაკვირვებას იწვევს. მაშ რა არის რომანი? ბალზაკმა და მე-19 საუკუნის დიდმა რეალისტებმა დაგვიჩვენეს თავისი დროის ადამიანები, მათი გარემო, უამრავი დაუფიქვარი ტიპები, მათი ბედი და თავგადასავალი.

პერსონაჟისა და მისი ისტორიის ტრადიციული იდეა, ამბობენ ახალი რომანისტები, ეკუთვნის სამყაროსა და ადამიანის იმდროინდელ ხედვას. დღევანდელობისათვის იგი სრულიად მიუღებელია, რადგანაც ხედვა შეიცვალა. მათი აზრით დღევანდელი სამყარო აგონიაშია და მხოლოდ მოჩვენებით დგას ფეხზე. ადამიანიც აღარ არის ყოველსშემძლე. პირთენება დაიკარგა და ფიქციად იქცა. ამიტომ რომანში აღარ შეიძლება მთლიანი, ძლიერი პიროვნების ან საერთოდ პიროვნების ხატვა. „ახალი რომანის“ ზოგიერთი წარმომადგენელი პერსონაჟს უბრალოდ იცილებს თავიდან და მას ანონიმურს ხდის (რომ-გრიე, საროტი, დიურა), სხვები კი ჩვენ თვალწინ გვიჩვენებენ პერსონაჟის დაცემას, ნარვეას (ბეკეტი).

ახალი რომანისტებისათვის რომანი ამბავი როდია, ამიტომ მათ რომანებში არ არის არც დასაწყისი (ტრადიციული გაგებით), არც სიუჟეტი, არც კვანძი, არც სიუჟეტის განვითარება, (ტრადიციული გაგებით ხომ უბერსონაჟოდ სრულიად წარმოუდგენელია რაიმე ქარგა) არც დასასრული. რომანს დამთავრების შემდეგ არაფერი ირკვევა. ჩვენ ვერასოდეს ვერ ვაფიგებთ რომ-გრიეს „მოშურნეობის“ უჩინარ პერსონაჟს ჰქონდა თუ არა რეალურად ეჭვის საბაზი ანდა საროტის „ტქროს ნაყოფში“ ანონიმური მწერლის ნაწარმოები შედევრი იყო თუ სასულელე. „ახალ რომანს“ დეტექტივის ელემენტები ურევია, იმ განსხვავებით, რომ დეტექტივში ყველაფერი ირკვევა ბოლოს, „ახალ რომანში“ კი — არაფერი: არც მკვლელობა, არც ეჭვა, არც ძიება. არამც თუ მკვლელის აღმოჩენა, არამედ ისიც ბუნდოვანი რჩება, მოხდა თუ არა მკვლელობა. მკითხველს ნებისმიერი ინტერპრეტაციის საშუალება ეძლევა.

<sup>1</sup> ურახველად „მოზ“ ნივთს ნიშნავს.

ამბისა და პერსონაჟის უარყოფიდან გამომდინარეობს, რომ „ახალ რომანს“ არ აინტერესებს სოციალური, ფსიქოლოგიური, იდეოლოგიური, მორალური ამებზე უფრო მეტი ის, რაც ძველ რომანს აძლევდა სიღრმეა და პერსპექტივა. სარტრის, მალროს, შერინანოსის და კამიუს რომანები მეტაფიზიკური, მორალურ-ეთიკური პრობლემების განთქმის საშუალება იყო. მათი რომანებში იდეოლოგიურად ადამიანური ყოფის ტრაკედია და აქცენტის დაწესების შესაძლებლობას ეძებდნენ. ყოველ ლიტერატურულ ნაწარმოებს დაეგება ადგილი რომანს უფრო დროისი ეროვნული მოვლუბა ეკარებოდა. მას რაღაც უხდა მიეცა მკითხველისათვის. ახალი რომანისტები აუჯანუხებენ ამ მოვლუბას, პრობლემის დასწას, მასებს, გამოსავლის იღებს, იმ დროისათვის მისი აღმოცენება, ეტყობა, რვაქცია იყო ეგზისტენციალური ლიტერატურის წინააღმდეგ. ახალმა რომანმა მიზნად დაისახა გაეწმინდა ლიტერატურა ყოველგვარი ხედვითი ელემენტისაგან და შეექმნა ე. წ. წმინდა ლიტერატურა. მან რომანის ხელოვნება შეზღუდა რომანის ფორმის ძიებით და გვერდი აუარა მეტაფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ პრობლემებს (ყოველ შემთხვევაში ამ აზრს ატარებენ თავის თეორიულ ნაწერებში; მართლაც ასერხებენ თუ არა, ამას შენდეგ ვნახავთ).

ამ კატეგორიული განცხადებების საფუძველზე ზოგმა კრიტიკოსმა ნიანჩია, რომ რომანი მოკვდა, რომ ახალი რომანისტები უშინდა ფორმალისტები არიან, რადგან სათქმელი არაფერი აქვთ. ერთ-ერთმა მათგანმა დამცინავად ასე გასაზღვრა „ახალი რომანი“: „ახალ ურანგულ რომანში“ ნათელია მხოლოდ ის, რომ

- მასში არ არის არც ისტორია,  
 არც შინაარსი,  
 არც სიყვარული,  
 არც ცხოვრება,  
 არც სიკვდილი,  
 არც პერსონაჟი,  
 არც სიტუაცია,  
 არც საგანი, —

არის მხოლოდ რომანისტიის ტექნიკა.

„ახალი რომანის“ თბრობის მსუღუღლობა დატეხილია. ფაქტები, დაწერები ერთმანეთს არ მისდევენ. ზოგთან აწეყო, წარსული, წარმოდგენა, ოცნება ერთმანეთში შერეულია. ზოგთან უკვლავური — აწეყო, წარსული, მომავალი მხოლოდ აწმყობითა გამოხატული. კომპოზიცია ქრონოლოგიური კი არ არის, არამედ ასოციაციური. იქმნება შთაბეჭდილება არეულობის, კომპოზიციის სრული დარღვევის. ავტორი არ ცდილობს მკითხველი დაარწმუნოს, პრობლემა გააშუქოს, ის თითქოს მკითხველს აბნევს. ერთ-ერთ სტატიასში სარტრმა თავისავე ტერმინის „ანტი-რომანის“ ნაცვლად იხმარა „ანტი-რომანი“, ე. ი. რომანზე აღრეული. ამით იმის თქმა უნდოდა, რომ ყველაფერი რაც მოცემულია ახალ რომანში არის ის, რაც ხდება რომანის დაწყებამდე (კლასიკური გაგებით), ხანამ გამოჩნდებიან პერსონაჟები და დაიწყება ამბის თბრობა; საკითხი თითქოს ასე იხმის: შეიძლება თუ არა დაიწეროს რომანი. „ახალი რომანი“ ჰგავს ლაბორატორიულ, მოსამზადებელ სამუშაოს, რომელსაც უნდა მოჰყვეს ნამდვილი რომანის შექმნა. მაგრამ უკვლა ავტორი ასე არ ფიქრობს. „თუ რომანი ძიებაა, ხომ არ შეიძლება ითქვას, რომ ახალი რომანი იქმნება ერთგვარ ინტელექტუალურ ლაბორატორიაში?“ ამ კითხვაზე ნ. სარტრმა გადაჭრით უპასუხა: „არა, ეს არ არის ლაბორატორიული მუშაობის ნაყოფი. ჩემთვის ეს ნამდვილი რეალობაა, რადგან თვითონ განვიცადე. ჩემთვის სწორედ ეს არის ნამდვილი რეალიზმი“.



ამ ნიშართულების პირველი მწერლები, რომლებმაც ლიტერატურული წრეების ყურადღება მიიპყრეს და კამათი გამოიწვიეს, იყვნენ ალენ რობ-გრეიე, ნატალე საროტი და მიშელ ბიუტორი. შემდეგ ამ სკოლას მიაკუთვნეს უკვე ცნობილი ს. ბეკეტი, და იმ დროისათვის ჯერ უცნობი მწერლები კ. სიმონი, მ. დიურა, კ. მორიაკი, რ. პენეე და სხვები.

მართალია ნ. სარტრს არავითარი თეორია არ ჰქონდა გამოქვეყნებული, როცა 1932 წელს

პირველი რომანის „ტროპიკების“ წერა დაიწყო, მაგრამ „ახალი რომანის“ პირველ თეორეტიკოსად (კრიტიკოსად) ის უნდა დავაახელოთ. მისი პირველი მოსაზრება ფლობერის ცნობილი ნათქვამის გამეორებაა: „მწერლის უპირველესი მოვალეობა ის არის, რომ არ ჩიოდნოს სერიოზული დანაშაული, არ გაიმეტროს ია, რაც მისმა წინანორბედებმა აღმოაჩინეს. მწერალმა მხოლოდ მაშინ უნდა მიპყოს ხელი წერას, როცა ისეთი რამ აქვს სატყვეობის საგანი, რა მწერალს არ უთქვამს, ან და ამ ფორმით არ უთქვამს“. საროტის აზრით რომანის წერისას საკუთარი გზა აქვს. ის უტოვებს ხელოვნების სხვა დარგებს და ვერძოდ კინოს, რაც მას არ ენება, როგორც ფოტოგრაფიან ხელში აიღო, რაც ფერწერამ მიატოვა, ასევე კინოს უნდა დარჩეს ის, რასაც რომანი ანებებს თავს (გაიხსენეთ ა. ჟიდის აზრი მომავლის რომანის შესახებ). საროტი წუხს, რომ ლიტერატურა ხელოვნების სხვა დარგებს ჩამორჩა, „მხატვრობა უფრო ჩქარა განვითარდა, ვიდრე ლიტერატურა ჩვენ ჯერ იმპრესიონიზმის დონეზე ვართ და ძალიან ნელა მივდივართ აბსტრაქციისაკენ. მხატვრობაში კი აბსტრაქცია უკვე მოძველდა“.

საროტზე დიდი გავლენა მოახდინეს (მისივე აღიარებით) პრუსტმა, ჯოისმა, დოსტოვესკიმ, ჩეხოვმა და რილკემ (ნაკლებად ასახელებს ვ. ვულფს). დოსტოვესკიმ მას აჩვენა, რომ არსებობს ატრაქტული დამალული გრძნობები, რომლებსაც ძველი ლიტერატურა ყურადღებას არ აქცევდა. ჩეხოვმა მას ასწავლა, რომ „არაფრისაგან“ ნაწარმოები შეიძლება შეიქმნას. პრუსტმა და ჯოისმა მას ხედვა ასწავლეს, რადგან თვითონ სამყარო და ადამიანი მიკროსკოპში დაინახეს.

1950 წელს საროტის მიერ გამოცემულ ჟურნალ „ლე ტან მოდერნი“-ში საროტმა გამოაქვეყნა დიდი წერილი „ექვის ერა“<sup>1</sup>, რომელშიც დაუხდობელ ბრძოლას უცხადებს კლასიკურ რომანს. „ექვის გენია დიფულა სამყაროს“, იმეორებს იგი სტენდალის ფორმულის და თავის დევიზად აცხადებს. ამჟამად ფრანგულ ლიტერატურაში ეჭვი და ენდობლობა მეფობს. მკითხველი აღარ ენდობა მწერალს, რადგან ეჩვენება, რომ იგი დეფორმირებულ რეალობას სთავაზობს მას, თვით მწერალიც ეჭვით უყურებს თავის თავს და თავის პერსონაჟებს, რადგან არ იცის როგორი პერსონაჟები დაბატოს. ე. ი. რომანის პერსონაჟა მოკლებული აქვს ორი მძლავრი საკრდენი, რომანისტიკა და მკითხველთა, რომელთა შემწეობითაც ის მტკიცედ იდგა ფეხზე. უნდობლად უყურებს აგრეთვე მწერალი აღიარებულ ცნებებს, რადგან სამყარო გარდაიქმნა და ახალმა მალწევებმა ყველაფერი შეცვალა. ძველი ტექნიკითა და ხედვით შეუძლებელია ხელი ჩაავლო თანამედროვე რეალობას. ამკვარო ხედვით ნამდვილ რეალობას კლასიკოსი მწერლები და მისი თანამედროვე ნიშნაძველები ზედამართულად და ნაწილობრივ იძლევიან, თანაც მათ წინასწარ დასახული აზრები და აურათები აქვთ, რითაც წარმოუდგენელია ცხოვრების და ადამიანის ზუსტი ასახვა. ძველი მწერლები სამყაროს „აადამიანურებენ“, მკითხველიც საკუთარ კანსაზღვრებებსა და ხედვას სდებს მასში და რეალობა კარგავს საკუთარ თავს, დამოუკიდებლობას.

საროტი თვლის, რომ ნამდვილი რომანი პრუსტის გზას უნდა გაჰყვეს, მაგრამ უნდა ვაბედოს ის, რაც პრუსტმა ვერ გაბედა. პრუსტის მიერ დაბატულ უმცირეს სულიერ გამოგონებებს, ქვეცნობიერ მოძრაობებსა და მისწრაფებებს თან ახლავს მათი წარმოშობის მიზეზები. პრუსტის ახსნა-განმარტებები საროტს გამარტივებლად მოიანია, რადგან ქვეცნობიერის ახსნა მის ტექნიკაზე სახეა არღვევს. საჭიროა „ხელუხლებლად შევინარჩუნოთ ის საიდუმლოება, რომლითაც ადამიანი და მისი ქცევა არის განსაზღვრული“.

სხვა ახალი რომანისტების მსგავსად საროტი სრულიად უარყოფს ამბავს, პერსონაჟსა და ხასიათს. „პერსონაჟი დღეს მხოლოდ თავის თავს ჩრდილია, კაფკას გმირს მხოლოდ ინიციალი აქვს, ფოლენერის რომანში „ხნაური და მრისხანება“ ერთი და იგივე სახელები აქვთ ბიძასა და ძმისწულს, ლედასა და ქალიწვილს“. ხასიათიც მოძველებული ცნებაა: ფროიდის, პრუსტის, ჯოისის და დოსტოვესკის შემდეგ ძნელია ხასიათის ისე დაეჭვრო, როგორც სწეროდა ამისა ბალზაკს „ხასიათი ხომ ეხუში ეტყეობა“. აცხადებს იგი, საროტი ფსიქოლოგიის წინააღმდეგობა მისი აზრით დღევანდელი მწერალი სიტყვა ფსიქოლოგიაზე უნდა გაწითლდეს და თვალები დახაროს. „რას უწოდებთ ფსიქოლოგიას? თუ იქვენ მასში გულიანობით გრძნობების ანალიზს, ადამიანთა მოქმედებების კვლევას, ხასიათების შესწავლას, მაშინ მე ეტყობოდი, რომ დღეს

<sup>1</sup> უფრო ადრე 1947 წ. იგივე ჟურნალში საროტმა გამოაქვეყნა წერილი „დოსტოვესკიდან კავკასიულზე“, 1956 წ. „საუბარი და ქვეაუბარი“. სანივე წერილი ერთ წიგნად გამოიცა 1956 წ. სათაურით „ექვის ერა“.

რომანს არამც თუ არ შეუძლია იყოს ფსიქოლოგიური, არამედ ის არ უნდა იყოს ფსიქოლოგიური, ხოლო თუ ფსიქოლოგია ვესმით, როგორც სულიერი სამყაროს შექმნა, მაშინ შე არც ერთ ლიტერატურულ ნაწარმოებს არ ვიცნობ, რომელიც ფსიქოლოგიურია არ იყოს". ავტორმა უფრო აიღრმისეული ფენომენები აანტერესებს, ვიდრე დიდი მოვლენები, ამიტომ „როგორც ქირურგი აკვირდება ზუსტად სხეულის იმ ნაწილს, რომელზეც მან უნდა იმუშაოს, ხოლო ძველის დანარჩენ ნაწილს იზოლაციის უკეთებს, ასევე მწერალს უნდა მოეხდინოს უკუ-რაღებება და ცნობისმოყვარეობა უნდა მიაპყროს ზოგიერთ ახალ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას და დაივიწყოს უმოძრაო პერსონაჟი“.

რა არის ეს ახალი ფსიქოლოგიური მდგომარეობა ანუ წმინდა ფსიქოლოგია? საროტისათვის ეს არის არაცნობიერი, ქვეცნობიერი, მისი უმცირესი, შეუმჩნეველი გამოვლინებები, მიკროდრამები, რომლებიც ამოაბრუნებენ ყოველ არსებას. ამის ვადნოცებაა სიუჟეტი ვერ შეძლება, საჭიროა საუბრის იქით მყოფი ქვესაუბარი (sous-conversation), სიტყვების იქით — ქვეტექსტები, შინაგანი მონოლოგი, ცნობიერების ნაკადი, მოვლენები, აღწერები, ობიექტური სიტუაციები ქრება და ადგის უთმობს დალოცვებს, საუბრებს და რეაქციებს არაცნობიერში და ნახევრადცნობიერში. სიტყვების ობიექტური მნიშვნელობას არავითარი აზრი არა აქვს. ნამდვილი რეალობა იმალება მათ უკან „შე“-ს არაცნობიერში, რომელიც ძალიან ღრმად არის ჩამალული ადამიანში. ამ სიღრმეებშია ჩასვლა საჭირო და აღმოჩნდება რა იმალება საუბრის, სიტყვების, ფრაზების მიღმა, — უაჩირო შეგრძნებები, სახეები, მოგონებანი, იმპულსები, რომლებსაც ვერავითარი ჩვეულებრივი სიტყვებით ვერ გამოხატავ და ვერ ახანი. ისინი ცნობიერების ზღურბლთან დგანან, შემდეგ ერთდებიან კომპლექტურ გუფებად და ხანდახან გამოიჩინებიან გარეთ, შენდეგ ისევ იწლებიან, ქმნიან ახალ კომბინაციებს, სხვა ფორმას იღებენ, ამ დროს როდესაც გარეგნულად ადამიანებს შორის არ წყდება ჩვეულებრივი, ბანალური საუბარი — სიტყვების უწყვეტი ნაკადი. წმინდა ფსიქოლოგია ავტორისათვის არის ცნობიერების უელს ხატვა წმინდა მდგომარეობაში, ჰერსონაჟისა და გონების ჩარევის გარეშე. საუბარი საროტისათვის კომუნიკაციის საშუალებაა კი არ არის, არამედ ნიღაბია ადამიანების შინაგანი სურვილების, გაფიქრებების და მისწრაფებების დასაფარად. მწერლისათვის საინტერესოა არა ჩვეულებრივი საუბარი, ან ჩვეულებრივი მოქმედება, არამედ ის, რაც იმალება მათ უკან. „ნათებათევი თვალის ნოვლეტი გარშემო, ხელბაეულები კონტაქტი, რომელიც მყარდება ორ ადამიანს შორის უფრო საინტერესოა, ვიდრე დახატო პერსონაჟი ისე, რომ ის ვიდაცას დაემსგავსოს“.

ამგვარად მომავალი რომანი უნდა იყოს გაუცნობიერებელი განცდებისა და ექსტეზის, ინსტინქტური მისწრაფებებისა და „ქვესაუბრის“ ჩანაწერი. ეს მიაჩნია საროტს ნამდვილ რეალობად. „ვინ არის ჩემთვის ნამდვილი რეალისტი მწერალი? — ვინ შეიძლება იყოს, თუ არა ის მწერალი, რომელსაც ეპირველეს ყოვლია აინტერესება (როგორც არ უნდა იყოს მისი მიზანი, გაართოს თანამედროვეები, ასწავლოს რაიმე თუ იბრძოლოს მათი ემანსიპაციისათვის) ხელი ჩაავლოს იმას, რაც მას რეალობად ერგენება, ისე, რომ რაც შეიძლება ნაკლებად მოიტყუოს, არავითარ შემსვიროს ან დამალოს იმ წინააღმდეგობებისა და სირთულისა, რომელიც რეალობას ახასიათებს და მთელი გულწრფელობით მიმოიხილოს სიღრმეები, რომელთა წვდომის უნარიც გააჩნია“.

ამ ხაზს ატარებს ნ. საროტი ხუთივე რომანში. რომანებში „უცნობის პორტრეტი“ და „მარტერო“ მოცემულია მთხრობელი, რომელიც „ამბავს“ ჰყვება. მთხრობელს სურს მოხუცისა და მისი ქალიშვილის ქცევაში, საუბრებსა და ურთიერთდამოკიდებულებაში ხელი ჩაავლოს დამალულ, არაცნობიერ გაფიქრებებს, იმ ფარულ სინამდვილეს, რომელიც მომენტალურად ჩნდება ხოლმე და მანიინათვე ქრება. მთხრობელს სურს ადამიანის „შინაგანი პეიზაჟის“ „სიღრმეს შევხოს“, რომელიც ერთდროულად იზიდავს და აშინებს. ამით მას სურს ჩასწვდეს ორი ადამიანის შინაგანი არსების ქვეშარტი სახეს, თავის თავის და საერთოდ ადამიანის არსების ქვეშარტიტებას.

რომანში რამდენიმე პლანია. მთხრობელი აკვირდება ორ ადამიანს — მამა-შვილს. ერთის მხრივ მიმდინარეობს წინააღმდეგობა მთხრობელსა და მამა-შვილს შორის, ხოლო მეორეს მხრივ თვითონ მოხუცა და ქალიშვილს შორის. ამ ორ დაკავშირებას შორის ის განსხვავებაა, რომ მოხუცს და ქალიშვილი ჩაფლულნი არიან ყოველდღიურობაში და დაუფიქრებლად მისდევენ მას, მთხრობელს კი ვაცნობიერებლად აქვს თავიანი გადაწყვეტილება. მამა-შვილის ჩვეულებრივი, ბანალური საუბრების დროს, მათ უმნიშვნელო მოქმედებისას მთხრობელი თითქოს ახერხებს



ქართველთა  
წიგნების კავშირი

ვლადიმერ გეგაუკიანი

## ლენინი — სწავლული, რევოლუციონერი

ვლადიმერ ილიას ძე ლენინი უნივერსალური ხასიათის გენიოსი იყო. არ არსებობს ადამიანის ჭეშმარიტად დიდი საქმისა და აზრის არც ერთი პრობლემა, რომელიც ლენინს ყურადღების გარეშე დარჩენოდა. ლენინის წინაშე არასოდეს დამდგარა საკითხი, რა იყო პირველი — სიტყვა თუ საქმე. მან, ისე როგორც არავინ, კარგად იცოდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სიტყვას, აზრს, განსჯას, გონს საქმის სათანადოდ წარმართვისათვის და რომ საქმის გარეშე სიტყვა ფუჭია და ბოლოს და ბოლოს არარაობა. სიტყვა ხომ გონის ატრიბუტია. ბუნებამ ადამიანს გონი იმითომ მიანიჭა, რომ მას ემოქმედა.

ტყუილად როდი ამბობენ, 1917 წლის 25 ოქტომბერს დამთავრდა მეცხრამეტე საუკუნეო. ისიც უთქვამთ და შექველად მართებულად, მეოცე საუკუნე ლენინის საუკუნე არისო. ჩვენ XX საუკუნის სამოცდაათიან წლებში ვცხოვრობთ. თუ ისტორიის განვლილ გზას მიმოვიხილავთ და პერსპექტივის განჭვრეტას შევეცდებით, ალბათ შევნიშნავთ, რომ მომავალი საუკუნე, და შეიძლება ითქვას საუკუნეებიც, ლენინის სახელთან იქნება დაკავშირებული. ეს ჰიპერბოლა როდია, მთელი კაცობრიობის ახალ ყაიდაზე მოწყობა, ახალი სოციალური სტრუქტურის საბოლოო და ყოველმხრივი გამარჯვება მთელს მსოფლიოში, დიდი დროის მომცველი პროცესია.

უმეცრებაა იმის მტკიცება, რომ ლენინი მარტოოდენ რუსეთის ცხოვრების ნაყოფია ან, დასავლეთში რომ გაისმის ხმები, ეს ბუმბერაში ადამიანი მხოლოდ სპეციფიკურმა რუსულმა პირობებმა წარმოქმნა, რასაკვირველია, XIX და XX საუკუნეთა მიჯნაზე მეფის რუსეთის იმპერია მრავალფეროვან წინააღმდეგობათა კვანძი გახდა. ისიც ცნობილია, რომ XIX საუკუნე რუსული ეროვნული ინტელექტუალური ენერჯის განსაკუთრებული გამოსხივების ხანა იყო. უკვე ყრმობაში ლენინი კითხულობდა, და ისიც მშობლიურ ენაზე, გენიოსებს — ტოლსტოის, დოსტოევსკის, უდიდესი პოლიტიკური მოაზროვნეების

კიდევაც მისწვდეს რაღაც მიუანსებს ურთიერთ უნდობლობისა, საძულვილისაც კი, რომელიც გარეგნულად არ ჩანს მათ ქცევისა და დიალოგებში. მოძრაობის თუ მიმოხიზვის უპირობეს დეტალში ისეთ რაიმეს ამჩნევს, რასაც სიტყვება ვერ აფლენენ. „სხეული რომ არასოდეს არ ცდებია, ცხოვრების სარტყანდუ ის იწერა, აგროეებს და შებდეგ შეუბრალბელი მოულოდნელობით უამრავ, უსასრულო და ხელშეუღლებ გაბნეულ შთაბეჭდილებებს ათიბეჭებს, ამ ძიებისას მისრობელი სოციალენდე ნიღის, რადგან, როგორც კი ჰკობია, რომ საფუძვლით მიწვია, რა ხდება იმ ადამიანებში, რა მიკროდრამა თანაშდებია, მაშინვე ხელიდან ეცლება ნიჯნერული ხიჯანსი, დაბოლოს, როცა რწმუნდება, რომ ადამიანური ბუნების ტემპარიტების დადგენა შეუძლებელია, ხელს აიღებს ყველაფერზე, ემორჩილება ცხოვრების ჩვეულებრივ დონებას, პაპიურად ავრტელება ცხოვრებას და ემაჯაყსება ასეებს, სხვებსაცით უსმენს საუბრებას. ინდიფერენტულად უყურებს მოქმედებებსა და დეტებს და კალფებს თავს ანებებს. ყველაფერი წესრიგში მოდის.

შემდეგომ რომახებში „პლანეტარიუმსა“ და „ოქროს ნაყოფში“ ანონიმურა მთხრობელიც ქრება. პარველში ამბისა და პერსონაჟების მქრთალი კონტურები მაინც შეიმჩნევა, ხოლო მეორე სრულიად აბსტრაქტულია. „პლანეტარიუმის“ ახალგაზრდა ცოლ-ქმარი, ალენი და ვახელი ოცნებობენ, როგორ მოაწყოებენ ხუთთახიან ბინას, რომელსაც დეიდა მისცემს. ალენს ლიტერატორის პრეტენზია აქვს, დიდი გეპოვნების პატრონად მოაქვს თავი და ამიტომ ძველებური ავეჯის კალექციას აგროეებს. წარმოიდგენენ რა საინტერესო ს. დამოება ექაებათ ახალ ბინაში, რომელი ცნობილი მწერლები მოიყრიან მათთან თავს და ა. შ.

მთელი რომანი არის ცოლ-ქმრის დედა დეიდასთან, რომელიც არ უთმობს ბინას და მეორე მხრივ ცოლის დედასთან, რომელიც ძველებურ სავარძელს ეერ შელევია. ხანდახან გაჩონდება გავლენიანი და მოღუბრი მწერალი ქალი, რომელიც ალენს მთარველობს. ეს არის და ეს რა უნაშია პლანეტარიუმში? შეიძლება მოგვესყენოს, რომ იონესკოს ზოგიერთი პიესის მაგავსად სახელწოდებას აქაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს<sup>1</sup>. მაგრამ თუ ჩავუყვირდებით, დავრწმუნდებით, რომ ეს სახელწოდება რომანის ძირითად აზრს გამოხატავს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საროტის რომანი ყოველთვის ორპლანიანია... ერთი პლანი ზედაპირულია, გარეგნული, მოჩვენებითი, ის, რაც პირველი შეხედვით ჩანს, ან ისმის, მეორე კი — სიღრმისეული, შინაგანი, უხილავი, ნამდვილი. ამ ორი პლანის ურთიერთმიჯახებით ირკვევა ის დამალული მისწრაფებები, რომლებიც ამოძრავებენ ცოლ-ქმარს, ყოველნიერი საშუალებით რომ სურთ წაგლიჯონ ბინა დეიდას. ჩანს ისიც, რა უნიჭო, უსუსური და უპიროვნოა ალენი, რა სიყალბეშია საუღული და ყალბი ხალხი ახვევია გარშემო, იმ დროს, როდესაც გარეგნულად ყველა თითქოს პიროვნებას წარმოადგენს. პლანეტარიუმში ნამდვილი ცა კი არ არის, არამედ ბელოვნური, ზელოვნურია, რადგან „პერსონაჟები“ პიროვნებებს თამაშობენ, ამალლებულ მისწრაფებებზე, გეპოვნებასა და ლიტერატურაზე აქვთ საუბარი, იმ დროს როდესაც სინამდვილეში მათი შინაგანი ბუნება სხვას მეტყუელებს. — უსუსურობასა და სიმდაბლეს. თითოეული მათგანი მოქმედებს იმ სამყაროს შიგნით, რომელიც თვითონ შეუქმნა თავის თავს. და თავშესაფარად გამოადგება. აქედან დასკვნა: როგორც პლანეტარიუმში ვერ მოგვეცემს ნამდვილ და ზუსტ შთაბეჭდილებას მზის და პლანეტების სისტემისა, ასევე, ვერავითარი გარეგნული მოძრაობა თუ ჩვეულებრივი საუბარი, ვერავითარი ხასიათი და ძველებური წესებით პიროვნების ხატვა ნამდვილ ადამიანს ვერ გამოხატავს. ყველაფერი რაც ზედაპირზეა — ყალბია, ზელოვნურია, ხოლო რაც სიღრმეშია — ნამდვილი. ამიტომ აქვს საროტს ორგვარი საუბარი: ერთი ზედაპირული — ყალბი და მეორე — „ქვესაუბარი“ — ნამდვილი არსის მაჩვენებელი. ყოველივე ამას საროტი ხატავს დისქოლოგიური ანალიზის გარეშე, არ ერევა, როგორც ამხსნელი ანალიტიკოსი. იგი მხოლოდ ფაქსაციას გვაწვდის.

რომან „ოქროს ნაყოფის“ მთავარი „გმირი“ კახლავთ ამავს სახელწოდების რომანი „ოქროს ნაყოფი“. წიგნი აგებულია დიალოგებზე, გამონათქვამებზე, აზრების სხვიდასხვაობაზე. რის შესახებ? რომან „ოქროს ნაყოფის“ შესახებ. უსახელო და უჩინარი პერსონაჟები მსჯელობენ ახლად გამოცემულ რომახზე და იმაზე, რაც მისმა გამოცემამ გამოიწვია... მაგრამ დასახანი რეალობა არ არის მოცემული; რომანში არ არის არც რომანის ავტორი, არც გამო-

<sup>1</sup> როცა იონესკოს პეიბებს რატომ ეწოდებოდა მის ერთ-ერთ პიესას „მელოტი მომღერალი ვალი“, როცა მასში არც მომღერალია ვინმე და არც მელოტი, მან უპასუხა: სწორედ იმიტომ, რომ პიესაში არც ერთი და არც მეორე, ე. ი. პიესის სახელწოდება მნიშვნელობას მოკლებულია, რაც აბსტრდის თეატრის ერთ-ერთი ნიშანია.



ცემელი, არც მკითხველი. ერთი ნაწილის აზრით ეს რომანი წელევრია, მეორე კი სისულელედ თვლიან, მთელი რომანი ამ აზრების ან ურთიერთსადასოხვევით ან შეჯახება.

საროტის ვიველა რომანში მოცემულია ადამიანებსა და საზოგადოებაში განვითარებული სივალბე. ადამიანთა „არახმდელი არსებობა“. ეს არის უპაროქო მკაცრი ცხოვრება, რომელიც თავს იმსკიდებს ილუზიებით, ნიღბით ცხოვრობს, ააბამობა როგორც თავის თავთან, ასევე სხვებთან სარტრის აზრით არც-ერთ მწერალს ეს თემა არ შეუძლია მოტივად არ გადაუცვივია, რადგან რომანის ყაბრისათვის ეს არ არის დამატებითი მოტივები. ეს იყოს პაროდია „მე“-ს სიღრმეების ძიებასა, რადგან თბრობის ტონი ალაგ-ალაგ ართნიულა, მაგრამ ძარბათადა მაინც, სარტრის აზრით, არის „სულა კრეოდან ზოგადმდებრებით მოცულ- ძიება აამდელი დამოკიდებულებისა სხვებთან, თავია თავთან და სიკვდილთან“... „საროტმა გამოიქუშაეა ტექნიკა, რომელიც საშუალებას აძლევს ფსიქოლოგიის მიღმა კანონბოა რეალობა მისსავე არსებობაში“ ასევეის სარტრი საროტის რომანის ერთ-ერთ წინა-აღიყვარბაში.

ნიმულ ბიუტორი, მისი პირველი რომანის გამოცემისთანავე, „ახალი რომანის“ სკოლას მოაყუოდინეს და რომ-გრიიესა და საროტს მიამსგავსეს. მაგრამ თავიდანვე ნათელი იყო, რომ ნათ შორის დღე განსხვავება არსებობდა: ბიუტორი, რომელიც ფილოსოფიური განათლება ჰქონდა მიღებული, თავდაპირველად პოემებს წერდა და შემდეგ რომანების წერა დაიწყო, რადგან უიბოდა სასტუდენტო ფილოსოფიისა და პოეზიის გაერთიანებისა მხოლოდ რომანის ყობრისაში შესაძლებლად.

რომ-გრიიესაგან და საროტისაგან განსხვავებით ბიუტორი ძველ მწერლებს უკავშირდება იმით, რომ ზოგერთ რომანში იძლევა „ამბავა“, ადამიანურ პრობლემას, ადამიანის დრამას. მართალია ისიც უარყოფს ფსიქოლოგიას, უღდეს მნიშვნელობას ანიჭება ნიუთონს სამყაროს, როგორც რომ-გრიიე, მაგრამ მის პირველ რომანებში უფრო გვევთრი პერსონაჟებია (მელარე-მით ახალ რომანისტებთან და არა კლასიკოა რეალისტებთან) და მას აინტერესება ამ პერსონაჟების დამოკიდებულება სამყაროა და სხვა ადამიანებთან.

ბიუტორისათვის რომანის უმაღლესი ფორმა არის სიმბოლიზაციის აბსტრაქტული სისტემა, რომელშიც ხდება შერიგება ფილოსოფიისა პოეზიასთან და ადამიანისა თავის თავთან. „რომანი არის... საოცარი საშუალება, რომ ფეხზე იდგა, ჰევიანურად იცხოვრო ამ განრისხებულ სამყაროში, რომელიც ყოველი მბრადან გეშუქრება“.

ბიუტორმა რომანი განსაზღვრა, როგორც ძიება. რომანი მისთვის არის თბრობის განსა-ყუარბებელი ფორმა. თბრობის უნთმენა კი ლიტერატურის სფეროს სკოლდება, ის ცხოვრ-ბისეული მოვლენაა. მთელი სიცოცხლის განმავლობაში ადამიანები ერთმანეთს ნოუთბრობენ, იქნება ეს იჯახში, სკოლაში თუ სამეშაოზე. თბრობით ადამიანებაც იხატებიან. ჩვენ შეგვიძ-ლია წარმოვიდგინოთ უცნობი, რომლის შესახებაც მიმდინარეობა საუბარი, ასევე ნიუთებიც. ნეულობოივი თბრობას შემოწმება შესაძლებელია, რომანისტიკისა კი შეუძლებელი. რასაც რომანისტი მოგვითბრობს, მკითხველმა უნდა დაიჯეროს. მას საყრდენი არ გააჩნია და ამიტომ რომანი განუკუთვნება ფენომენოლოგიურ სფეროს, რომლის რეალობა მკითხველმა უნდა და-ნახოს ან წარმოადგინოს. ამიტომ რომანი არის თბრობის ლაბორატორია (ვაიხანეთ საროტის სრულიად საწინააღმდეგო აზრით).

მწერლის პირველი ამოცანაა რომანის ფორმის განაზღვრა. მისი ფორმალური სიახლეები რეალიზმს არ უპარობირდება, პირიქით ეს „წინ წასული რეალიზმი“. რეალიზმი, სიმბოლიზმი და ფორმალიზმი რომანის განუყოფელ ერთიანობას უნდა წარმოადგენდნენ. ასევეის ბიუტორი, „ყოველი ჰეშმარტი ტრანსფორმაცია რომანის ფორმისა, ყოველი ნაყოფიერი ძიება ამ სფე-როში“. თუთ რომანის ცნების ტრანსფორმაციით თავდება. მისი განვითარება ნელია, მაგრამ გარდაუდელი იყი ვითარდება პოეზიის ახალი სახისაყენ, რომელიც ერთდროულად ეპიური და დიდაქტიკურიია“. დიდაქტიკური მხარე რომანისა მის შემეცნებით ხასიათში მდგომარეობს, რადგან ამ ლაბორატორიაში უნდა მოხდეს კვლევა ცნობიერების განვიძებისა, სამყაროსა და ადამიანის შემეცნება.

რომანის ახალი ფორმა თვით კომპოზიკიაში უნდა გამოვლინდეს. სხვა ახალი რომანის-ტების მსგავსად ბიუტორის რომანი ერთ ხანს არ მიჰყვება. ის დანაწევრებულია ფრაგმენტე-ბად (ერთი მსხედით). ხდება „დროის დაშლა“, რომანი იტყვევა ერთგვარ „puzzle“-დ (ინგ-ლისური სიტყვაა და ნიშნავს თანაშს. რომელიც დიდ მოთმინებას მოითბოვს, რათა გაბნეული ფრაგმენტები აიწყოს ერთი სტრატის შესაქმნელი. ხანდაზან სტრათი არ გამოდის). ბიუტო-

რის რომანი ჰგავს ამ „კაზის“-ს რომელიც შეიძლება არ იწყოს მწერალი ცდილობს აგოს ისტორია, რომელიც არ იცნობს რომანი იტყვევებს რომანის რომანად, რომელიც ვერ დაიწერა (განსხვავებული რომანი „ეკალი ფული მჭრელები“).

მკვლევ, ახალი რომანისტებისათვის დამახასიათებელია ამ ბი ს თბრობის შეუქმნებლობა. „საქმე ის არის, რომ რომანი თავის თავს ეჭვის ქვეშ აყენებს, იშლება ჩვენ თვალწინ, იმ დროს, როდესაც ის თითქოს იქმნება. იწერება რომანი რომანისა, რომელიც მჭრის (სარტრი).

ვარგენტლად დეტექტიურ კინოს ან წიგნს მოგვაგონებს ბიუტორის სტრუქტურა „დროის განრიგის“ დასაწყისი და მსვლელობა. შემოდგომის ერთ საღამოს ბანკის ნახელე, ახალგაზრდა ფრანგი ფიქტურული ჩადის ერთი წლით უცხო ქალაქ ბლესტონში. ქალაქი პირქუში და ნისლიანია, თანაც უველაფერი ერთმანეთს ჰგავს, მოედხები, ქუჩები. რვეელი ქალაქის ერთ-ერთ ბანკში იწყებს მუშაობას, გადასწყვეტს ვაცენოს ქალაქს, ყიდულობს გეგმას და სრულიად ნარტო ხეტილობს სხვადასხვა უბანში, რომლებსაც რალაც იდუმალი ელფერს გადაკოავს. ხეტიალის დროს რვეელი იყიდის წიგნს სათაურით „მკვლელობა ბლესტონში“, რომელშიც მოთხრობილია ძმის მკვლელობის ამბავი. ახლად ნაყიდ წიგნში მოცემული აღწერები ეხმარება რვეელს ქალაქის ვაცნობასა და საინტერესო უბნების აღმოჩენაში. იგი წიგნის მიხედვით ეძებს ადგილებს, სადაც მკვლელობა მოხდა. რვეელი თავის კოლეგას პატიყება იმავე რესტორანში, სადაც დეტექტივის მიხედვით ხდება მკვლელობა... ბოლოს ის თითქოს ხვდება ვინ არის წიგნის ავტორი (დეტექტივი ფსევდონიმით არის გამოცემული). მიგნებული ავტორის ძმაც თითქოს უცნაურად და საეჭვოდ დაიღუბა. ის არის რვეელმა უნდა აღმოაჩინოს, დეტექტივის მეშვეობით, რომ მკვლელობა სინამდვილეში მოხდა. თითქოს ავლებს ხელს წუშნარიტებას, მაგრამ საბოლოოდ არაფერი ირკვევა. რომანში რვეელის ბლესტონში ყოფნის სხვადასხვა პერიოდებია შერეული. ამიტომ მოქმედება რამდენიმე პლანში ვითარდება. დროების წევცილით იქმნება რომანის კომპოზიცია: რვეელის ე. წ. რეალური ცხოვრება ბლესტონში, რვეელის მიერ დღიურის წერა და რვეელის მიერ ნაყიდი წიგნის კითხვა და ძიები გაშიფვრა. უფრო ნათელი რომ იყოს როგორია რომანის აგებულება, ზუსტად მოვიყვანოთ თარიღებს. რვეელი ქალაქში ჩადის 1951 წლის ოქტომბერში. დღიურის წერას იწყებს 1952 წლის მაისში. ამ დროიდან იწერს იგი იმ შთაბეჭდილებებს და ქალაქში ცხოვრების პერიპეტეიებს, რომლებიც მან ჩამოაგლისთაინავე, ე. ი. 1951 წლის შემოდგომაზე მიიღო. მაგრამ პირველი შთაბეჭდილებები იცხება და რთულდება ერთი წლის შემდეგ მიღებული ახალი აღმოჩენებითა და შთაბეჭდილებებით. ამას ემატება ნაყიდი რომანის საიდუმლოების პროგრესული იმოცნობა. დეტექტიურ საწყისს ემატება დროების ცვალებადობა: წარსულს—აწმყოში, მონაგალს—წარსულში აზრო ეცვლება და ყოველივე ამით რომანი იპყრობს და აინტერესებს მკითხველს. ფრანგი პროგრესული კრიტიკოსის სთავის აზრით ამ რომანის კომპოზიცია მუსიკალურ ნაწარმოებს მოგვაგონებს, სიმფონიას, რომლის ორი ძირითადი თემა ნელ-ნელა ვითარდება. წყნარი ტონით დაწყებული თბრობის ტემპი ჩქარდება მადრდება და ემატება სხვადასხვა დამატებითი თემები, ისევე როგორც ბიუტორის რომანში „მოდლიფიკაციები“.

ბიუტორის უველაზე ცნობილი რომანა „მოდლიფიკაციები“ შეიძლება ფსიქოლოგიურ რომანად მოვიყვანოთ მკითხველს. რადგან მასში დაინახავს მთავარი გმირის სულიერი განცდებისა და ფიქრების პურათს. სინამდვილეში ეს რომანის მთავარი „გმირი“ არის „მოდლიფიკაციები“. ე. ი. ის ცვლილება, რაც ხდება ადამიანის ცნობიერებაში ერთი დღე-ღამის განმ დღობაში. მთავარი პერსონაჟი არის მხოლოდ საბავი ან ინდიფერენტული საფუძველი, რომლის მუხებითაც ავტორი თავის მიზნებს ანხორციელებს: გვიხეჩნებს ადამიანის ცნობიერების ვალეიებას და მისი მუშაობის პროცესს. რომანში ბევრი რამ „ხდება“. ძირითადი ხაზია მთავარი პერსონაჟის მოგზაურობა. უღელმონი, საბუკუდი მანქანების ფირმის წარმომადგენელი. ედება ერთ დღეს მატარებელში პარიზი-რონი მანარსულეობით, ამ მიზნით, რომ რომში შეხვდეს საყვარელს სესილს და ახაროს, რომ მისთვის სამუშაო ეშოვა პარიზში და ამიეროდან ისინი ერთად იცხოვრებენ. მთა გადაწყვეტილი ფიქვ დატოვოს ოჯახი, გააცილდეს ცოლს და თბ ბეშვს და ახალგაზრდა იტალიელ მგვობართან განავრძოს ცხოვრება,—თავის არსებობაში მოდიფიკაცია შეიტანოს.

მგზავრობის დროს კუბეში ყოველი შემოსული მგზავრი, სადგურები, მატარებლის მსვლელობისას დანახული ადგილები იწვევენ მასში მთელ რიგ ფიქრებს, მოგონებებს, ასოციაციებს, ოცნებებს და ბოლოს რომში ჩასვლისას ის უარყოფს თავის გადაწყვეტილებას და უკან ბრუნდება.

რა მოხდა დელმონის მგზავრობის ერთ დღე-ღამეში (21 საათში)? და რატომ შეცვალა მან აზრი?

სხვა რომანების მსგავსად, „მოდიფიკაციებიც“ რამდენიმე პლანიანია. პირველი პლანი არის ვაგონის კუბე — უძრავი, დახურული, უცვლელი. კუბე არის რეალური ფონი, რომელშიც სხედან დელმონი და სხვა მგზავრები. მეორე პლანი ნოქრავია, — ცვალებადი; კუბეში მშობლები და გადიან მგზავრები, კუბის ფანჯრიდან და დერეფნიდან დანახული ვარჯიშის კლასიკური დასახელებების ცვალებადობა, დელმონში იწვევს ასოციაციურ მოგონებებს ოჯახისა და ბავშვებისა. მოგონებებისა და ასოციაციების დიდი ნაწილი დაკავშირებულია სესილთან, რომელიც მან რომში გაიცნო და შეიყვარა, მოგონებებში ცოცხლდება წარსულში რომაული მგზავრობანი, შეხვედრები სესილთან, დელმონის და ანრიეტას საქორწილო მოგზაურობა რომში, როცა ის ბედნიერი იყო თავისი ახალგაზრდა ცოლის სიყვარულით. ასოციაციებს დელმონი პარიზში გადაჰყავთ, სადაც უაღრესად დაჭინული ატმოსფეროა, ცოლი და ბავშვები უნდობლად უყურებენ მას, ასევე უსიამოვნო მოგონებაა პარიზში ჩამოსული სესილის სტუმრობა მის ოჯახში და ახვა.

რომანის მსკლვლობაში, რეალურისა და ასოციაციების, სანამდვილისა და წარმოდგენების მიღმა ირკვევა, რომ საქმე მარტო ორ ქალს არ ეხება. დიდი როლი ენიჭება ორ დიდ ქალაქს: პარიზსა და რომს (მესამე პლანი). რომი დელმონისათვის სილამაზის, ხელოვნებისა და ანტიკურობის სამყაროა, „მარადიული ქალაქი“. იმ დროს როდესაც პარიზი და იგი ცხოვრება უანტიკურესო, სილამაზეს და რომანტიკის მოკლებული ყოველდღიურობაა. ორ ქალს შორის, ხანში შესულსა და ახალგაზრდას შორის არჩევანია, დელმონისათვის ორ ქალაქს შორის არჩევანიცაა. ოცნებების, წინა მგზავრობების აღდგენით და წარმოდგენებით ირკვევა, რომ სესილი მისთვის რომის სამბოლოს წარმოადგენს და პარიზში რომ გადმოთახლდეს ისიც ანრიეტას დაემსგავსება. რადგან მას მოსცილდება ის რომანტიკული ელფერი, რომელსაც რომი ანიჭება. ისიც ირკვევა, რომ დელმონისათვის ორი რომი არსებობს — ანტიკური და ქრისტიანული, სესილი ანტიკურის სიმბოლოა, ხოლო ანრიეტა ქრისტიანულის. დაბოლოს, უამრავი რემინისცენციების შემდეგ ანტიკური რომი, რომელსაც დელმონი თავყვანს სცემს, რადგან იგი მისთვის მითოსის სამყაროა, გვერდზე რჩება. მისი საწელობა და ახანა შეუძლებელია, ის შორიდან უნდა გიყვარდეს.

ბიუტორის რომანი დეტალურად აღწერს კონკრეტულ ნივთიერ სამყაროს, საგნებს, კუბეს, მგზავრებს, ყოველ თითქოსდა უმნიშვნელო დეტალს, ისევე სკრუპულოზურად, როგორც რომანტიკი. მაგრამ ძირითადი განსხვავება ამ ორ მწერალს შორის ისაა, რომ ბიუტორთან საგნები დაკავშირებული არიან ადამიანებთან. ამ საგნებს მეოხებით არის გადმოცემული მოგონებები და ასოციაციები. მართალია საგნები „თავისთავად“ არიან, მაგრამ ისინი ერთვებიან ადამიანის ცხოვრების ფსიქოლოგიურ რეალობას. ნელ-ნელა, კონკრეტული აღწერების განზოგადობით თბრობა სხვა იერს იღებს და ხდება უცვლელი მოთების აღდგენა, რასაც მკითხველი თავიდანვე ნათლად ვერ ხედავს, დელმონი პეღერებისა როლშია და „მუდმივი ქალაქისაკენ“ მიისწრაფვის, მაგრამ ის მარტო არ არის. მას უამრავი პერსონაჟები ახვებიან, მღვდელი, მესწავლებელი, სამხედრო, ვაჭარი, ახალგაზრდა ეთლ-ქმარი. რომელია საშუალებით მისი შედიტაციები და ასოციაციები სულ უფრო და უფრო ქაოტური და მთაფრი ხდება — თბრობის ტონი იძაბება (რომანის დასაწყისის სრულიად მშვიდი, გმირური ტონით არის დაწერილი) ეს კონკრეტულად გვიჩვენებს მგზავრის თბრობის დაღლილობას, ხოლო ზოგადად ადამიანის სულს ყოფილბუთისაკენ. ერთ-ერთ სიზმარში მას კიდევ მოეღონება ბაზიერთუხუცესი, ვისი გამოჩენაც დაკავშირებულია იმ ეპიკურ შეკითხვებთან, რომლებიც დელმონს არ ასვენებს, ამ, მისთვის მთავრად საქოკმანო კითხვებს, სწორედ სიზმარში ნაიბი მაწიერთუხუცესი უსვამს: „ვინ ხართ თქვენ?“ „რას ეძებთ?“, „საით მიღიხართ?“, „ვინ გიყვართ?“ და სხვა. დაბოლოს, კონკრეტული და პრიზული მგზავრობა პარიზიდან რომში, იღებს სრულიად სხვა აზრს, ეს არის ადამიანის სულიერი სელო, რომელსაც თავისდა უნებურად თავის თავის ვარჯევა სურს. მაგრამ ბიუტორის მიზანი ის კი არ არის, რომ დახეტის ადამიანი და მისი ხასიათი, არამედ აღმოაჩინოს ქეშმარიტება, რომელიც ნიორწევა მხოლოდ ცხოვრების გაღვიძებისა და მისი მტშაობის პროცესის აღწერით. დელმონი კი არ იცვლება, არამედ აცნობიერებს ადამიანურ ქეშმარიტებას, რომელიც მათთან არის ყოველთვის დაკავშირებული. ამიტომ ბიუტორის რომანების ერთი ნაწილი არის სრულიად ახალი ფორმითა და სხვა მანერით მოცემული მუდმივი, უცვლელი მითები, რომლებიც მუდამ ცოცხლობენ. ლიტერატურა მათ ვერასოდეს ვერ მიიტოვებს, რადგან ამ მითებში მოცემულია ადამიანის ნამდვილი ქეშმარიტებაო, ამბობს ბიუტორი.

ბიუტორი სართლს მკაცრად იჭერს შეუძნეველ ნიუანსებს ფიქრებისა, მიკროდრამებს. ლწერს ყველა უმცირეს ცვლილებებს, მაგრამ სართლისაგან განსხვავებით ბიუტორთან ამ აღწერების შედეგად პაროქენება მოსჩახს, დელზონი იხატება, როგორც სამართალი ადამიანი, რომელსაც შეეძლო ყარგი ლიტერატორი ყოფილიყო, მაგრამ ცხოვრებამ ისე ხაუთრია, რომ ყარგი ხელფასიანი სამსახური ამჟობინა მწერლის გადრევეველ პროფესიას. მაგრამ მოდიფიკაციების წყაფვად, რაც მის ცნობიერებაში მოხდა, ის ვადასწავებტყვევებს, რომელიც უცვლელად აღადგინოს ეს ძირითადი ეპიზოდი თავის თავგადასავლურ ცხოვრებაში.

ცნობილი ფრანგი მწერლისა და კრიტიკოსის მიწველ ლერისის ამრით ბიუტორის რომანი ერთი შეხედვით XVII საუკუნის ფრანგული ტრაგედიის კანონები მახეღვით არის აგებული, ეს ის დაცულია მოქმედების, დროისა და ადგილის ერთიანობა. მოქმედება ხდება ერთ კლბეში ერთ დღე-ღამის განმავლობაში. მაგრამ ღრმად თუ ჩაუფიქრებდები რომანს, ნათელი გახდება, რომ ეს კლასიციზმის სტრუქტურული ერთიანობა მოიკნება. სინამდვილეში ერთი მგზაურობა ეს არ არის, არამედ რამდენიმე. ერთ დღე-ღამეში მოცემულია სრულიად სხვადასხვა დროები და მთავარი მოქმედება სწარმოებს არა ერთ კუბეში, არამედ ორ ქალაქში. დელზონის რეალური მგზაურობა არის ფონი, რომელშიც გადახლართულია რამდენიმე დრო, რამდენიმე ადგილი და სხვადასხვა მოქმედება, რაც მგზაურობის მედიტაციებით იხსნება ნელ-ნელა.

„მოდიფიკაციების“ პირველივე სტრუქტონი აოცებს მკითხველს, რადგან იგი დაწერა არა პირველ ან მესამე პიროში, არამედ მრავლობითი რიცხვის მეორე პიროში. ავტორი სმართბს ხაცვალსაქელს „ოქვენ“, თითქოს ემატიება მკითხველს, ვახდეს რომანის პერსონაჟი. „აუცილებელი იყო თბრობა პერსონაჟის თვალთახედვით ყოფილიყო, რადგან საქმე ცნობიერების გაღვიძრებას ენებოდა, მე უმარტებოდა მონაცანი მონოლოგი, თვით პერსონაჟის მეტყველების დონეზე მადლა, შოანილო პირიღეს და მესამე პირობს შორის, ეს „ოქვენ“ მაძლიერა სამთალების აღწერით პერსონაჟის ის მდგომარეობა, როცა მასში მეტყველება იხადება“, ხსნის ბიუტორი თავის მეთოდს. იგი აიბუღება მკითხველს, რომ იდენტიფიცირებულ იქნეს მთავარ პერსონაჟთან, მიპყვეს მისი ცნობიერების მუშაობის პროცესს და ამ პროცესის პერაპეტიები აღიქვას, როგორც საკუთარი.

ბიუტორის რომანი „მოდიფიკაციები“ რომლის ამოსავალი წერტილი ადამიანის ცნობიერების გაღვიძრებაა, მომართვით „ოქვენ“, რომელიც ააშულებს მკითხველს პაროქელი ბურჟუას ისტორია თავისად აქციოს და საკუთარ არსებობა გააცნობიეროს, მითის გამოყენებით, რომელიც ავტორა მუდმივ შემოარტებად აქვს აღიარებული — იღებს იმ დიდაქტიკურ ელფერს, რომლისაყენაც მიასწრადვის ავტორი.

სერთოდ აბალი რომანისტების ერთი ნაწილი მკითხველს სთბოვს თვითონ ჩაებას რომანის შემწმინა და დაუსიას თავს თავს შეყოთხები, როცა აღენ რომ-გრიიეს დაუსიეს კითხვა, შეიძლებაოდა თუ არა მორალისტ ერს (იგულისხმება ფრანგები) მიეღო „ახალი რომანი“, მან უბასუბა: „ჩვენი წიგნები არ კრიალაცენ მორალის საკითბის დაყენებას, ვინაიდან ჩვენი წიგნების ერთადერთი ცოცხალი პერსონაჟი მკითხველია, ეს საკითბი თვითონ მან უნდა განააჟოსო“. „ახალი რომანის“ ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი წარმომადგენლის აღენ რომ-გრიიეს თვითრულ მრწამსს, ლიტერატორულ შემოქმედებასა და რომანს „ლაბირინთში“ დეტალურად განვიხილავთ მეორე წერილში.

## ლენინი და საზღვარგარეთელი მწერლები

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდ ინტერესს იწვევდა ვ. ი. ლენინი ლიტერატურისა და ხელოვნების, ლიტერატურის ისტორიისა და თეორიის ზოგადი პრობლემებისადმი. ლენინმა მისთვის ჩვეული მეცნიერული სიღრმით დაამუშავა ლიტერატურისა და ხელოვნების პარტიულობის, ეროვნული კულტურისა და ენის, სოციალისტური რევოლუციისა და კულტურის, რუსეთის საგანმანათლებლო მოძრაობის თუ სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

ლენინის თხზულებებში განსაკუთრებული ადგილი უკავია აგრეთვე საზღვარგარეთელი ლიტერატურის კვანძულ საკითხებს, ცალკეული უცხოელი მწერლების შემოქმედებას. ლენინს პირადი ნაცნობობა და მინიწერა ჰქონდა ბევრ უცხოელ მწერალთან. მას ერთნაირად აინტერესებდა როგორც ანტიკური ხანის, ასევე შუა საუკუნეებისა და აღორძინების ხანის, აგრეთვე ახალი და უახლესი პერიოდის ევროპული ლიტერატურა და ხელოვნება.

ლენინის წერილებში, სტატიებში, შრომებში გადართული შემთხვევები საზღვარგარეთელი ლიტერატურისა ანა თუ იმ საკითხზე დიდად გვემართება გვერცხვით ერთი მხრივ თვით ამ ლიტერატურულ მოვლენებში და მეორეს მხრივ — ლენინის ლიტერატურულ და ესთეტიკურ შეხედულებებში.

სება მისცა. მისი სიმღერა „ინტერნაციონალი“, — აღნიშნავს ლენინი, — „გადათარგმნილი ყველა ევროპულ ენაზე, და არა მარტო ევროპულზე, რა ქვეყანაშიც უნდა მოხედეს შევსებული მუშა, საითაც უნდა გადატყორცნოს იგი ბედმა, რა უცხოდაც უნდა გრცობდეს იგი თავს, უფროდ, უნაცნობოდ, სამშობლოს დაშორებით, — მას შეუძლია ნახოს ამხანაგები და მეგობრები „ინტერნაციონალის“ ნაცნობი პანგების მეტებით“. შემდეგ: „ყველა ქვეყნის მუშებმა გადაიღეს თავიანთი მოწინავე მებრძოლის, პროლეტარი პოეტის სიმღერა და ამ სიმღერიდან შექმნეს მთელი მსოფლიოს პროლეტარული სიმღერა“.

ლენინი ლაპარაკობს „ინტერნაციონალის“ შექმნის ისტორიისა და იდეურ განიზნებობაზე. ეს სიმღერა 1871 წლის ივნისში დაწერა, მაიას სისხლიანი დამარცხების მეორე დღეს. „კომუნა ჩაახშეს. — აღნიშნავს ლენინი, — მაგრამ პოტიეს „ინტერნაციონალი“ კომუნის იდეები მთელ მსოფლიოს მოჰფინა; ასეა იგი უფრო მეტად არის ცოცხალი, ვიდრე თდესმე.

სილატაკეში გარდაცვლილი პოტიე თავისი სიმღერებით ერთ-ერთი უდიდესი პროპაგანდიისტი იყო. როდესაც მან შეიშა თავისი პირველი სიმღერა, მუშა სოციალისტების რიცხვი მხოლოდ ათეულობით განიზომებოდა. ეყენ პოტიეს ისტორიული სიმღერა კი მგონის გარდაცვალების ოცდამეხუთე წლისთავზე უკვე ათეული მილიონობით, პროლეტარმა იცოდა“ (36, 231—233) 1.

1 „ინტერნაციონალის“ ავტორის გარდაცვალებიდან მეოთხედო საუკუნის თავში, 1912 წელს, ვ. ი. ლენინმა „პრავდაში“ დასტამა სტატია „ეყენ პოტიე“. ამ გამოჩენილი რევოლუციონერი პოეტის მოღვაწეობას მან მადალი შეუძა-

1 ტექსტში მოყვანილ ციფრთაგან ყველგან პირველი ნიშნავს ლენინის თხზულებათა მეოთხე გამოცემის ტომს, მეორე — გვერდს.

თითქმის ექვსი ათეული წელი გავიდა პოტი-  
ეზე ლენინის სტატიის გამოქვეყნებიდან. ამ  
დროის განმავლობაში დაიწერა ბევრი სტატია  
და მონოგრაფია, მაგრამ არც ერთ მათგანში  
არაა განხილული მუშა რევოლუციონერი პოე-  
ტის ცხოვრება, შემოქმედება და მსოფლიო რე-  
ზონანსი ისე ღრმად და კომპლექტურად, როგორც  
ვლადიმერ ილიას ძის საგაზეთო წერილში.  
სწორედ ამიტომ ლენინის შრომას „ექვენი პო-  
ტაე“, განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება  
ყოველთვის.

ლენინი დიდად აფასებდა გასული საუკუნის  
30—50-იანი წლების გერმანული რევოლუცი-  
ურ-დემოკრატიული ლიტერატურის თვალსაჩინო  
წარმომადგენლებს. გატაცებით კითხულობდა  
ფერდინანდ ფრაილიჯრათის ლექსებს; ჰაინრიხ  
ჰაინესა და გეორგ ჰერვეგის ბიოგრაფიის ცალ-  
კეულ ფაქტებსა და თხზულებებიდან ამო-  
ღებულ ციტატებზეც ხშირად მიუთითებდა.  
ლენინს მოსწონდა ჰაინე (1797—1855) და მი-  
აზნდა იგი გამოჩენილ უცხოელად. ნ. კრუპ-  
სკაიას მოგონებიდან ვიცით, რომ ლენინს  
ციმბირში თან ჰქონდა ჰაინეს ლექსთა ერთტო-  
მეული. ჰაინეს ლექსებს ზეპირად ამბობდა, მღე-  
როდა კიდევ. ლენინის შრომები გვიდასტუ-  
რებენ იმას, თუ მტრების სამხელად და ვასა-  
კობად რა მოსწრებულად იყენებდა ცალკეულ  
სტრიქონებს ჰაინეს ლექსებიდან. სტატიაში:  
„ბრაზიანა უძღურება“ ავტორის დაუსახელებ-  
ლად ლენინი იყენებდა სტრიქონს ჰაინეს ლექ-  
სიდან „დისბუტი“, სწორედ ისევე, როგორც  
ოდესლაც ენგელსი ახასიათებდა ერთი ჯერის  
ემიგრანტთა პოლემიკას: „ყოველი სიტყვა —  
ღამის პურჭელია, და მასთან არც თუ ცარიელი“  
(„Jedes Wort — ein Nachtopf und kein lee-  
rer“). ამას ამბობდა ლენინი თავისი გაგულისე-  
ბელი მოწინააღმდეგეების წისამართით, იმ ადა-  
მიანთა სამხელად, რომელნიც ლენინს აშკარად  
ღანძღავდნენ, რაეი მის წინააღმდეგ სერიო-  
ზული საბუთები და ყურადსაღები არგუმენ-  
ტები არ გააჩნდათ (9, 183) 1.

ლენინს ხშირად მოჰყავს სიტყვები გერმანე-  
ლი რევოლუციონერ-დემოკრატი პოეტის გე-  
ორგ ჰერვეგის (1817—1875) „კავშირის სიმღე-  
რისა“. თავად ჰერვეგს არასოდეს მიუღია მო-

ნაწილეობა მუშათა მოძრაობაში, რის გამოც  
იგი, მარქსის შეფასებით, „შოთას პლატონურ“  
და „მუზეუმის პრაქტიკულ შეგობად“ 1 რჩე-  
ბოდა. მაგრამ გასული საუკუნის 60-იან წლებ-  
ში უკვე შეუძლებელი გახდა უკან დაბრუნება  
მუშათა მოძრაობიდან. უკუაქცეული კაცო, როცა  
ლიბერალურმა ბურჟუაზიამ მარქსის რევოლუ-  
ციის დღეებში საერთო ენა გამოაცხა პრუსიულ  
რეაქციასთან და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული  
რევოლუცია მარცხით დამთავრდა. ჰერვეგი  
უკეთ გაერკვა დამშეული შრომელი მასების  
მდგომარეობაში. ფერდინანდ ლასალის ზეგავ-  
ლენით მან დაწერა პოლიტიკური შინაარსის  
ლექსები, ნათ შორის საუკეთესო „კავშირის  
სიმღერა“, რომლის შესრულებითაც, ლასალის  
გარდაუდით, მიუღეს გერმანიაში მუშები დაი-  
წყებდნენ და დაამთავრებდნენ ყოველ სხლო-  
მას; ეს იყო პიქსი, რომელიც მასებს აღფრათო-  
ვანებდა საბრძოლო სულისკვეთებით. ჰერვე-  
გის ლექსი 1864 წელს დაიწერა გერმანიის გა-  
ერთიანებულ მუშათა კავშირისათვის და იგი,  
მერინგის შეფასებით, არის ყველაზე უფრო  
ცნობილი ჰერვეგის უკანასკნელი პერიოდის  
ლექსთაგან და არსებითად ერთადერთი, რომ-  
ელმაც ავტორისათვის უზრუნველყო მტკიცე  
ადგილი სოციალისტურ ლიტერატურაში.

ჰერვეგის ლექსს ლაიტმოტივად გასდევს  
პროლეტარიატის საკუთარი, ისტორიული მი-  
სიის შეცნება, რწმენა იმისა, რომ საზოგადოე-  
ბაში ყველაფერი შექმნილია და ამოძრავებული  
შრომის წვილის — პროლეტარის მიერ, რომ  
უმაღ შეჩერდება ცხოვრების მაჩისცემა, შე-  
ჩერდება ცხოვრების ყველა ბორბალი — თუკი  
ამას მოცხურვებს პროლეტარის ძლიერი ხელი.  
ჰერვეგის ლექსი მუშებს გაჭირვებისა და მო-  
ნობის უღლის დამახერვეისაგან მოუწოდებდა.  
ჯერ კიდევ 1899 წელს დაწერილ შრომაში „გი-  
ფიცების შესახებ“, შენდევ კი სტატიებში  
„სრულიად რუსეთის პოლიტიკური გაფიცვა“  
და „ინგლისის მუშათა მოძრაობა 1912 წელს“,  
ლენინი იყენებს სიტყვებს ჰერვეგის ლექსიდან:

„Alle Räder stehen still,  
Wenn dein starker Arm es will“.

(ე. ი. „ყველა ბორბალი დადგება, თუ ამას მო-  
ცხურვებს შენი ძლიერი ხელი“). მოჰყავს რა  
ჰერვეგის ეს სიტყვები, ერთ ადგილს ლენინი  
შენიშნავს:

1 K. Маркс и Ф. Энгельс, Соч. т. XXIII,  
стр. 202.

„ფაბრიკები, ქარხნები, მემამულეთა მეურნეობანი, მანქანები, რკინიგზები და სხვ. და სხვ., ყოველივე ეს თითქოს ბორბლებია ერთი უზარმაზარი მექანიზმისა... მთელი ეს მექანიზმი მოძრაობაში მოქცავს მუშას, რომელიც ამუშავებს მიწას, ნობოვენს წიდანს, ამზადებს საქონელს ფაბრიკებში, ამენებს სახლებს, სახელოსნოებს, რკინიგზებს. როცა მუშები უარს ამბობენ მუშაობაზე, მთელი ეს მექანიზმი გაჩერებას გვიქადია. ყოველი გაფიცვა მოაგონებს კაპიტალისტებს, რომ წამდელი პატრონები არიან არა ისინი, არამედ მუშები, რომლებიც სულ უფრო და უფრო ხმამაღლა აყენებენ თავიანთ უფლებებს“ (4, 383—384).

საკმაოდ დიდი იყო მკითხველთა შორის ჰერვეგის „კაეშირის სიმღერის“ პოპულარობა. ფრთოსან გამოთქმებად ქცეული ლექსის ცალკეული აზრები და სტრიქონები ხშირად ისმოდა რატორთა სიტყვებში, ჩნდებოდა მუშათა განუთების სტატიათა სათაურებში. ხალხთა შორის ჰერვეგის დაუაყებზე ლაპარაკობდა ლენინი 1913 წელს, სტატიაში—„მუშა მომღერალთა გუნდების განვითარება გერმანიაში“ ლენინი მიუთითებს იმაზე, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ლასალი გერმანიაში მუშათა გუნდების ორგანიზაციას. მისი დაკინებითი მოთხოვნით, აღნიშნავს ლენინი, „გერმანიის საყოველთაო მუშათა კავშირის“ წევრებმა 1863 წელს მაინის ფრანკფურტში დააარსეს მუშათა საზოგადოება „მომღერალთა კავშირის“ სახელწოდებით. ეს უკანასკნელი იყრიდებოდა პატარა ტრაქტირის ბნელ, ბოლით გავსებულ და ქონის სანთლებით განათებულ ოთახში. „როდესაც ლასალი,—დასძენს ლენინი,—ერთ-ერთი საავტაციო მოგზაურობის დროს, ფრანკფურტში მოუხდა ღამის გათევვა, თორმეტმა მუშა-მომღერალმა გუნდურად უმღერა სიმღერა ცნობილი პოეტის ჰერვეგისა, რომელსაც ლასალი დიდხანს სთხოვდა დაეწერა სიტყვები მუშათა საგუნდო სიმღერისათვის“ (36, 234—235).

1905 წლის რევოლუციის დღეებში ლენინის შრომებში პოლიტიკურ ლოზუნგად და საბრძოლო მოწოდებად ეღერს სიტყვები ფრანგული რევოლუციური სიმღერიდან—„კარნაიოლაჟან“. „Vive le son du canon!“ — ვიტყვიო ჩვენ ფრანგული რევოლუციური სიმღერის სიტყვებით — „გაუმარჯოს ხარბაზნების ქუჩილს!“ გაუმარჯოს რევოლუციას, გაუმარჯოს ხალხის ამყარა ბრძოლას მეფის მთავრობისა და მისი მომხრეების წინააღმდეგ!“ (8, 232), — წერდა ვ. ი. ლენინი 1905 წლის თებერვალ-მარტში შრომაში „წინასიტყვაობა ბროშურისა „მოხსენებითი ბარათი“, ხოლო რამდენიმე თვის

შემდეგ სტატიაში „პოლიტიკური გაფიცვა და ქუჩის ბრძოლა მოსკოვში“ ლენინმა კვლავ მიმართა ფრანგული რევოლუციური სიმღერის ტექსტს, ამჯერად „მარშის“ შემადგენელია რა შექმნილ სიტუაციას მტრის წინააღმდეგ „ხალხი მარსელიეზის მღერის... ხალხი ამტვრევს საფუთუშოებს და იარაღის მადანებს: მუშებს ესაჭიროებათ პერა საარსებოდ და იარაღი თავისუფლებისათვის საბრძოლველად“, და აქ ლენინი დასძენს: „სწორედ ისე, როგორც ფრანგულ რევოლუციურ სიმღერაშია“ (9, 429).

ლენინის საყვარელი მწერალი იყო აგრეთვე გოეთე (1749—1832). „ფაუსტი“ ლენინს თან ჰქონდა როგორც საზღვარგარეთ, ასევე ციხირში ერთ-ერთი გადასახლების დროს. 1916 წელს ციხირში მყოფი ვლადიმერ ილიას ძე მოითხოვდა მისთვის გადაეგზავნათ ამ პოემის რუსული თარგმანი. დიმიტრი ულიანოვი გადმოგვეცემს, რომ ვლადიმერ ილიას ძეს გუნოს ოპერა „ფაუსტიდან“ მოსწონდა ვალენტინის ის სიტყვები, რომლებშიც ეღერდა მხეობა და სიმამაცე, შემართებისა და შერყინების განწყობილება. სტატიაში „მუსიკის სიყვარული“ დიმიტრი ულიანოვი იგონებს, რომ ლენინი სხვა სიმღერებთან ერთად მღეროდა ვალენტინის არიას „ფაუსტიდან“; „ღმერთი ყოველად ძლიერი, ღმერთი სიყვარულსა...“ — ის მღეროდა იმას. რაც ნოტების მიხედვით უნდა ემღერა, წარმოთქვამდა სიტყვებს, რომელთა ამოღება სიმღერიდან შეუძლებელი იყო, მაგრამ ერთადგილს ამ არიიდან უფრო მიხედნილად და ლამაზად მღეროდა იმიტომ, რომ მასში უნებლიეთ თავიანთი მებრძოლი სულისკვეთება შეჰქონდა: „იქ, უშკაცრეს ბრძოლაში, სისხლის წვიმებში, ვფიცავ, ვაყო ყოველთვის პირველ რიგებში...“<sup>1</sup>

ქმედითი მოქმედების და ძველის წინააღმდეგ ბრძოლის მოწოდებად ეღერენ ახალგაზრდა ლენინისათვის ეგოდენ მოსაწონი ვალენტინის სიტყვები ფრანგი კომპოზიტორის ნაწარმოებიდან.

დღენიადაც იღეური მტრების წინააღმდეგ მებრძოლმა ლენინმა კარგად იცოდა, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოწინააღმდეგის ბანაკში შექმნილი ვითარების ცოდნას. სტოლიპინის რეაქციის პერიოდში იგი ხედავდა როგორ ეწყობოდა და მტკიცდებოდა მთელ მსოფლიოში პროლეტარიატის ლიბერალური მტრების იდეურა ერთიანობა. ამ ფაქტში იგი პოულობდა კარვის მომასწავებელ იმედს, რადგან ეს ერთი-

<sup>1</sup> ნათესაეების მოგონებები ვ. ი. ლენინზე, 1957, გვ. 138.

ათბა მიიჩნდა ერთ-ერთ თავდებად მილიონობით საერთაშორისო პროლეტარიატის გაერთიანებრსათვის. ლენინი საჭიროდ მიიჩნევდა სკოლნოდით მის თანამოაზრეებს, როგორც იყრობიან ახალ ვითარებაში მარქსის მოძღვრებას მოწინააღმდეგენი. სტატიაში „მარქსის შეფასება საერთაშორისო ლიბერალიზმის მიერ“ ვლიდიმერ ილიას ძე აღნიშნაედა, რომ მარქსისტებისათვის არ იქნება ზედმეტი, თვალი გადავლონ იმას, თუ როგორ გამოეხმაურნენ სხვადასხვა ქვეყნის გავლენიანი პოლიტიკური ორგანოები მარქსის გარდაცვალების 25 წლისთავს, განსაკუთრებით კი ლიბერალური და „დემოკრატიული“ ბურჟუაზიული გაზეთები. აქვე ვაიხსენებს გოეთეს სიტყვებს კრებულიდან „დასავლურ-აღმოსავლური დივანი“...

„ტურგენევის ერთმა ვმირმა, — წერს ლენინი, — დიდი გერმანელი პოეტის ლექსი ასე გადაკეთა:

„Wer den Feind will versteh'n,  
Muss im Feindes Lande geh'n“.

ეს იგი, „ვისაც სურს თავისი მტერი შეისწავლოს, ამ მტრის ქვეყანაში უნდა წაუიღეს“, და ლენინი დასძენს: „უშუალოდ გაეცნოს მტრის დათებს, ზნე-ჩვეულებებს, მსჯელობისა და მოქმედების მეთოდებსო“ (13, 617). ტურგენევის ვმირში იტულისხმება ნიკოლოზ პაკლისი იომანიდან „ყამირო“, გოეთეს სიტყვების პაკლისისეული რედაქცია ლენინმა გაიმეორა ლენინში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“. კრიტიკებს რა გერმანელი ემპირიოკრიტიციკოსის აგენარიუსის ეურნალს — „მეცნიერული ფილოსოფიის სამთვიურს“, — ლენინს მოაქვს პაკმაოდ გრძელი ამონაწერა ერთ-ერთი სტატიიდან და იქვე შენიშნავს: „მკითხველი, აღბათ, აღშფოთებულაია... რომ ჩვენ ასეთი გრძელი გიტატის სახით მოვიყვანეთ ეს წარმოედგენლად უხამსი ბოდვა, ეს ცრუ-მეცნიერული ჯამბაზობა აგენარიუსის ტერმინოლოგიის სამოავლში. მაგრამ, ნათქვამია, wer den Feind will verstehen, muss im Feindes Lande gehen: ვისაც მტრის გაცნობა უნდა, მტრის ქვეყანაში უნდა წაუიღესო. რ. აგენარიუსის ფილოსოფიური ეურნალი კი წამდვილი მტრის ქვეყანაა მარქსისტებისათვის“ (14, 403).

ლენინის წრომის „აგრარული საკითხი და მარქსის კრიტიკოსები“ ერთ-ერთი ვგერდის სკოლიოში ვკითხულობთ: „ობიექტურმა“ მეცნიერმა ვტულოდგინედ უნდა აგრავოს პატარა-პატარა ფაქტებს, აღნიშნოს „ერთი მხრივ“ და „მეორე მხრივ“, „გადავიდეს (შეგავსად გოე-

თეს ვავნერისა) წიგნიდან წიგნზე, ფურცლიდან ფურცელზე“ და სრულიად არ ენდა ცდილობდეს იმას, რომ შეემუშაოს თავისთვის თანმიმდევარი შესედულებები და გამოიმუშაოს ზოგადი წარმოდგენა მთელ კრთვესზე საერთოდ“ (5, 240).

1920 წელს „პუბლიცისტის შენიშვნებში“ ლენინმა ოტო ბაუერი მოიხსენია როგორც „ძველი დიადი გერმანული პოეზიის ის ძველი გნირი, რომელიც ალტაცებით გადაიდა „წიგნიდან წიგნზე“ (30, 434) — ე. ი. ნეადარა ვავნერს. ლენინს აქ მხედველობაში აქვს ვავნერის სიტყვები:

„Wie anders tragen uns die Geistesfreuden  
Von Buch zu Buch, von Blatt zu Blatt“.

(„სულ სხვა სიამონებას ვვაყენებს გადასვლა წიგნიდან წიგნზე, ფურცლიდან ფურცელზე“).

ლენინის მიერ მოტანილი სიტყვები კარგად ახასიათებს მის მოქმედს—თვით ვავნერს. ეს უკანასკნელი სწავლულთა სამყაროს ფილისტერია, ატუანელი და შეზღუდული სკოლასტიკოსი. კაბანეტში ჩაკეტილი ვავნერი ქვეყანას საკუთარ საკმლიდან ვაცქერის და ყველაფერს ავადნყოფური კრიტიკის თვალით უყურებს. ვავნერისათვის სწავლა თვითმიზანია. მას ცოლნი იმისათვის როდი უნდა, რომ იგი ხალხის კეთილდღეობას მოახმაროს, პირიქით, „ბრბოს ტლანკი ქვევის“ მტერს, ვავნერს სულს უხუთავს და სმენას უხშობს ხალხის მხიარული ქრიანული.

თავისა ბუნებათ ვავნერი უპირისპირდება ფაუსტს. ამ უკანასკნელს მეცნიერების მრავალი დარგი შეუსწავლია და სურს გაიგოს, თუ რაშია ადამიანის ბედნიერება, სურს თავისუფალი პარმონიული ცხოვრება: მისთვის მეტად ვაწროა სკოლასტიკური მეცნიერების ფარგლები. ამაოდ ეძია ფაუსტმა ბედს-ურება ხან ამგვეყნეურ ზორციელ სოცეარულში, ხან მეფის სასახლეში, ხანაც ანტიკურ ქვეყნის იდეალით ვატაცებაში, ბედნიერება ფაუსტმა აქ ვერ ჰპოვა.

ფაუსტი კმედითი მშენებელი, შემოქმედებითი ძალუბით აღსავე ადამიანია. მან იცის, რომ „Im Anfang war die Tat“ („პირველად იყო... საქმე“). სწორედ ამიტომ ფაუსტი უმაღლეს ბედნიერებას ჰპოვებს შრომაში. ბერი ცდუნებისა და ძიების შემდეგ ფაუსტმა გამონახა ცხოვრების ჭეშმარიტი აზრი. მას იტაცებს მხოლოდ სინამდვილე და მისი გარდაქმნის სურვილი. იტაცებს ადამიანის საკეთილდღეოდ შრომა და სურს მეცნიერებაც ამ კეთილშობილური საქმის სამსახურში ჩაყენოს.



ვაგნერისა და ფაუსტის სახით გოეთე ერთ-მანეთს უპირისპირებს ორგვარ მეცნიერებას. ფაუსტი განასახიერებს სამდვილ ჭეშმარიტ მეცნიერს; იგი მაისწრაფის ჭეშმარიტებისაკენ, ჭეშმარიტებას ეძიებს თვით ბუნებაშივე, ვაგნერი გართულია ცრუმეცნიერებით, მეცნიერი სქოლასტიკით, მტკრიანი პერგამენტების უშედეგო კითხვით. ლენინი დასცინის ბაუერის „ვაგნერისებურ“ უსიციოცხლო, ცრუ „სოციალიზმს“. დასცინის თვით ოტო ბაუერს, რომელიც ვერ ხედავს გარემომცველი ცოცხალი სინამდვილის ცვლილებებს და სულდგმულობს „წიგნიდან წიგნზე“ გადასვლით, არტივის ქექვით.

გოეთეს მხატვრულ სახეებთან ერთად ლენინმა მისი ლიტერატურული ციტატებიც მოიმარჯვა: „ფაუსტიდან“ ლენინმა გამოიყენა ცალკეული ფრაზებიც, მაგალითად, მეფისტოფელის სიტყვები:

„Grau, teuer Freund, ist alle Theorie,  
Und grün des Lebens goldner Baum“.

(ე. ი. „თეორია, ძვირ მკობარო, უფერულია. მწვანეა მხოლოდ ცხოვრების მარადიული ხე“). ეს სიტყვები ლენინმა პირველად გამოიყენა 1905 წელს სტატიაში „პარტიის რევოლუციის შესახებ“, მეორედ — 1914 წელს დაწერილ ერთ-ერთ შრომაში, აგრეთვე, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დაწერილ სტატიაში „როგორ მოვაწყობთ შეჯიბრება“ (26, 480).

სხვა გამოთქმას „ფაუსტიდან“ ლენინი ხმარობს ბუნდელუბის წინააღმდეგ. ბუნდელუბი პრეტენზიებს აცხადებდნენ ლოგიკურ მსჯელობაზე, სინამდვილეში კი ისინი საკითხის „ლოგიკური გარჩევის ნაცვლად“ „ლოგიკურ შეუსაბამობათა ნამუშევსს“ (7, 100) იძლეოდნენ. გოეთეს სიტყვების მომარჯვებით ლენინი თავის შრომაში „ბუნების მდგომარეობა პარტიაში“ ამ ადამიანებს ურჩევდა შეესწავლათ ლოგიკის ელემენტები, ვიდრე დაიწყებდნენ ლოგიკურ მსჯელობას რაიმე საკითხის გამო: Mein teurer Freund, ich rat' Euch drum zuerst Collegium logikum“ („ძვირ ძვირ მკობარო, ვირჩევთ, ამიტომ, უწინარეს ყოვლისა ლოგიკა შეისწავლოთ!“ 7, 102).

პოტიე და ჰაინე, ჰერუეგი და გოეთე ლენინას შრომებში თავს იჩენენ ყველაზე ხშირად. სხვა მწერლები კი ჩნდებიან დროდადრო, მაგრამ ჩნდებიან, როგორც ითქვა, მკაცრი ლოგიკური თანმიმდევრობით. ლენინის შრომებში ქრონოლოგიურად ყველაზე უფრო ადრე ვხვდებით ლესინგისა და კლოპშტოკის სახელებს. ცნობილია, რომ ვასილი საუკუნის მიწურულში ვლა-

დიმერ ილიას ძე ებრაძე და ხალხოსნებს. ეს უკონასკენელი აცხადებდნენ, ხალხის „ნამდვილ მეგობრებს“ იდეებისა და ტაქტიკის გამოხატვლნი ვართო, ნამდვილად კი სოციალ-დემოკრატიის დაუძინებელი მტრები იყვნენ, აკრიტიკებდნენ მარქსიზმს, ვერ ეოკებოდნენ მარქსის „კაპიტალის“ დებულებებში. მაგრამ მარქსის ვადმოცემის უდიდესი მამაჩვენებლობით შეშინებული ეს ადამიანები (მაგალითად, ნ. ნიხაილოვსკი). მაინც ქედს იხრიდნენ მარქსის წინაშე, აქებდნენ მას, ამავე დროს კი სრულიად იგივედნენ მარქსიზმის მოძღვრების ძირითად მენაარსს და, თითქოს აქ არაფერიიყო, „სუბიექტური სოციოლოგიის“ ძველ სიმღერებს ენაგრძობდნენ. მიუთითებს რა ყოველივე ამაზე, შრომაში „რანი არიან ხალხის მეგობრები და როგორ თმობენ ისინი სოციალ-დემოკრატებს წინააღმდეგ?“, ლენინი დასძენა:

„არ შეიძლება არ გავიხსენოთ ამის გაბიზედგამოჭრილი ეპიგრაფი, რომელიც კაუცკის წაუშპლვარა თავის წიგნს მარქსის ეკონომიკის მოძღვრების შესახებ:

Wer wird nicht einen Klopstock loben?  
Doch wird ihn jeder lesen? Nein!  
Wir wollen weniger erhoben  
Und fleissiger gelesen sein.

(ე. ი. „ვინ არ აქებს კლოპშტოკს? მაგრამ ვახყველა კითხულობს მას? არა. ჩვენ ვისურვებდიან ნაკლებად ვაქებდნენ და უფრო მეტად გვკითხულობდნენ“).

„სწორედ ასეა! — შენიშნავს ლენინი, — უკეთესი იქნებოდა, ბ-ნი მიხაილოვსკი ნაკლებად აქებდეს მარქსს და მეტი გულმოდგინეობით კითხულობდეს მას, ან, უკეთ უფრო სერიოზულად უფიქრდებოდეს იმას, რასაც კითხულობს“ (1, 143).

ლენინის მიერ ცატირებული სიტყვები გახეკუთვნება ლესინგს, მაგრამ საკითხავია: ვინ იყო კლოპშტოკი, ან რატომია, რომ კლოპშტოკს თურმე, ყველა აქებს, მაგრამ ყველა როდი კითხულობს?

ფრიდრიხ გოტლიბ კლოპშტოკი და გოტჰოლფ ეფრაიმ ლესინგი გერმანიის XVIII საუკუნის განმანათლებელი მწერლები არიან. ლესინგი და კლოპშტოკი ებრაძოდნენ XVII საუკუნის გერმანული ლიტერატურის რეაქციულ ტრადიციებს კლოპშტოკი კრიტიკულად უყურებდა გერმანიის თვითმპყრობელობას და მოითხოვდა ბიურგურობის ემანსიპაციას. გერმანიის ნაციონალურ გაერთიანებას, სხვა მოწინავე მწერლებთან — პერდერსა და შილერთან ერთად, კლოპშტოკი მიესალმა საფრანგეთის რევოლუციას, იგი თანა-

მემამულეებს მოუწოდებდა მიემაძთ „ფრანგი ძმების სახელოვანი მაგალითისათვის“, მაგრამ, როცა საფრანგეთის სახელმწიფოს სათავეში მოექცნენ იაკობინელები, კლოპშტოკი ვერ გაერკვა იაკობინიზმის ისტორიულ მნიშვნელობაში, უარყო თავისი ადრინდელი შეხედულებები რევოლუციის და ქება-დიდებათ მოახსენია მარატის მკვლელი. მიუხედავად იმისა, რომ კლოპშტოკი გამსჭვალული იყო ერთვნიული და სამოქალაქო სიამაყის რძნობით, მაინც ვერ დააღწია თავი გერმანულ ფილისტერობას. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ კლოპშტოკი შენროგებლურად იყო განწყობილი აბსოლუტიზმის მიმართ, რომ კლოპშტოკის შემოქმედებას წითელ ზოლად გასდევს რევოლუციური კონცეფცია და ერთ სათნოება — პიეტეზმი.

ეს უკანასკნელი საუკეთესოდ გამოჩნდა კლოპშტოკის მთავარ პოემაში „მესიადი“, რომელიც XVII საუკუნის ინგლისელი პოეტის ჯონ მილტონის „დაკარგული სამოთხის“ ერთგვარი მობაძეა. თავისი პოემა მილტონმა დაწერა ინგლისის 1649 წლის ბურჟუაზიული რევოლუციის კრახიდან ათზე მეტი წლის შემდეგ. ბიბლიური თემატიკის მიუხედავად, „დაკარგულ სამოთხეში“ მილტონმა იწადავა ბურჟუაზიული რევოლუციის, ხალხის თავისუფლების იდეალები. სწორედ ასეთი რევოლუციურა ხელისკვეთების გამო იქცა მილტონი ხალხის უსაყვარლეს პოეტად, ხოლო „დაკარგული სამოთხე“ — სახალხო კმნილებად.

მილტონისაგან განსხვავებით, კლოპშტოკმა „მესიადიში“ ბიბლიური თემატიკა გამოიყენა სოციალურ უსამართლობათა მისაჩქმალად. ღვთაებრივი სიბრძნისადმი მოჩრდილების, შეროგების, მოთმინებისა და უმოქმედობის იდეის საქადაგებლად. კლოპშტოკის პოემა ერთხანს წარმატებაც კი მოიპოვა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ იგი მალე მიეცა დაეწეებას, „მესიადის“ მაინც აქებდნენ, როგორც ეთთმცდა მხატვრულად სრულყოფილ ნაწარმოებს, სწორედ ეს გარემოება აქვს მხედველობაში ლესინგს, რომლის რევოლუციონერობაც, მართალია, შეზღუდული იყო, მაგრამ კლოპშტოკთან შედარებით ის მაინც უფრო მეტარცხენე იყო. კლოპშტოკის პოეზიისათვის დამახასიათებელი პიეტეზმი უცხო იყო ლესინგისათვის, მეტიც: მთელი თავისი ლიტერატურული და ფილოსოფიური მოღვაწეობა ლესინგმა მოახმარა პიეტეზმისა და, საერთოდ, აბსოლუტიზმის წინააღმდეგ ბრძოლას. ამიტომაც ლესინგი ირონიით ლაპარაკობდა კლოპშტოკზე, რომელსაც ეგელა აქებს, მაგრამ, ლესინგის აზრით, ყველა ორი კითხულობს.

მიუთითებს რა ლესინგის სიტყვებზე: „ვინ არ აქებს კლოპშტოკს“ და სხვ., ლესინი თავის მოწინააღმდეგეებს ურსევს, რომ მათ არაგულწრფელი სიტყვებით ნაკლებად აქონ მარქსი და უფრო მეტი გულმოდგინებით იფიქრონ „კაპიტალის“ ავტორის შეხედულებებისად ვაერკვნენ მარქსიზმის დეგულერეფიკურს.

შრომაში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ 1908 წ. ლესინმა საბატიო ადვილი დაუთმო ღენი დიდროს—XVIII საუკუნის რევოლუციური ბურჟუაზიის იდეოლოგს, დიდ ფრანგ განმანათლებელს, „ენციკლოპედიის“ დამარსენელსა და რედაქტორს. დიდრო (1713—1784) მსოლოდ მწერალი და ხელოვნების თეორეტიკოსი როდია; ამასთან ერთად იგი გამოსანილი ფილოსოფოსა, ათეისტი, მატერიალისტური მათეღმსედველობის განვითარებას მნიშვნელოვანი ეტაპის წარმოქმედებელია. ლესინი აღნიშნავდა, რომ დიდრო უთარბახთან, მარქსსა და ეხგელსთან ერთად არის „დიდი მატერიალისტი“ (14, 46), რომ მის მაგალითზე შეიძლება დავინახოთ „მატერიალისტების ნამდვილი შეხედულებანი“, რომ ენგელსი ზოგიერთ საკითხში „დიდროს თვალსაზრისზე იდგა“ (14, 45).

შემეცნების თავისი მატერიალისტური თეორია დიდრომ ჩამოაყალიბა „წერილში ბრძებზე“ აგრეთვე „დალაშერისა და დიდროს საუბარში“. დიდრომ აღიარა მატერიის პირველადობა, ხოლო მატერიის მთავარ თვისებად გამოაცხადა მოძრაობა და გრძნობიერება. დიდროს აზრით, მატერია არ არსებობს მოძრაობის გარეშე. იაევე როგორც არ არსებობს შეგრძნება მატერიის გარეშე. თავისი ანგვარი მსჯელობით დიდრო ნამდვილი მატერიალისტია, და ლესინიც დიდროს ნატურფილოსოფიის სწორედ ამ მხარეზე მიუთითებს. „ეს შეხედულებანი იმაში კი არ მდგომარეობს, რომ შეგრძნება მატერიის მოძრაობიდან გამოიყვანო ან მატერიის მოძრაობაზე დაეყვანო, არამედ იმაში, რომ შეგრძნება აღიარებულა მოძრავი მატერიის ერთ-ერთ თვისებად“ (14, 45).

„მატერიალიზმისა და ემპირიოკრიტიციზმის“ შესავალში ლესინს საკმაროდ ვრცელი ამონაწერი მოაქვს დიდროს „საუბრიდან“ და მასში განვითარებულ აზრს ბერკლის იდეალისტურ კონცეფციას უპარისპირებს.

ლესინის მსჯელობიდან დიდროზე ჩვენ ვტყობილობთ, რომ დიდრო მეტად დაუახლოვდა მატერიალიზმის შეხედულებებს (14, 45), რომ იდეალისტური ფილოსოფიის კრიტიკაში დიდრო აამკარავებს სენსუალისტ კონდილიაკის „აბსურდულ დასკვნებს“, კონდილიაკისა, რომელ-

საც. სწამდა, რომ შეგროვებანი ჩვენი ცოდნის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს (14, 30). ასეთი მსჯელობით ლენინი მიუთითებს დიდროს შემეცნების თეორიის მატერიალისტურ, თანამიმდევრულ ხასიათზე, იმაზე, რომ დიდროსათვის უცხო იყო აგნოსტიციზმი და სუბიექტური იდეალიზმი.

ლენინი აღნიშნავს, თუ რა აზრისანი იყვნენ ბერკლის შესახებ მატერიალისტები, კერძოდ კი ენციკლოპედიისტების მეტაური დიდრო. ლენინს აქ მოაქვს საკმაოდ გრძელი ამონაწერი დიდროს შრომიდან, რომელშიც მოსწრებულადაა დახასიათებული იდეალიზმი საერთოდ და კერძოდ ბერკლი. (14, 29). არჩევს რა დიდროს შრომას „დაღიმბერისა და დიდროს საუბარს“, ლენინი ამბობს, რომ ავტორმა ამ გამოკვლევებში ერთმანეთს დაუპირისპირა ძირითადი ფილოსოფიური მიმართულებანი.

როგორც აღინიშნა, ლენინი ამარჯვებს მხატვრულ სახეებს მოწინააღმდეგეთა პოლიტიკური მრწანლის ნათელსაყოფად. ამ მხრივ იგი დიდ სატირიკოსებს აძლევს უპირატესობას. დონ-კიხოტი, ტარტიუფი და ტარტირენ ტარასკონელი არაიმვიითად უნაცვლებიან ურთიერთს ელადინებთ ილიას ძის ნაწარმოებთა გვერდებზე.

დონ-კიხოტის სახის მოშველიებით ლენინი ხშირად დასცინოდა ოპორტუნისტს, დასცინოდა იმ ადამიანებს, რომელთაც სინამდვილეზე ყალბი წარმოდგენები ჰქონდათ, ვერ ურყევობავენ შექნნილ ვაჟარებაში. ვერ კიდევ 1901 წელს შრომაში „რა ვაკეთოთ?“, ეკამათებოდა რა პუბლიცისტებს, რომლებიც პარტიულ პრესაში დაქსაქსულობას დაკანონებას ცდილობდნენ, ლენინი მიუთითებდა, რომ ეს პუბლიცისტები „ამ საკითხში საკვირველ დონ კიხოტობას იჩვენენ“ (4, 614); 1907 წელს სტატიაში „შესაშე სათათბირო“, ლენინი წერს: „სოციალ-დემოკრატების მშვიდობიანი საკანონმდებლო მუშაობა III სათათბიროში. ისეთ პირობებში, რომლებიც უაღრესად მოსალოდნელს ჰქონდა მასობრივ მოძრაობას, იქნებოდა არიოე მიზანშეუწონელი, არათუ სისაცილო დინკიხოტობა, არამედ პროლეტარიატის ინტერესებს პირდაპირი ღალატიც“ (13, 153).

ცნობილია, რომ 1917 წელს ვინმე ს. მასლოვმა ბოლშევიკებს მიაწერა ეს აზრი, თითქოს ისინი მომხრე იყვნენ, რომ გლეხებს დაეტაცებინათ მემამულეთა მიწები. მასლოვი შიშობდა, თუ გლეხთა ერთი ნაწილი დაიტაცებს მიწებს, მაშინ მეორე ნაწილი უმიწოდ დარჩებათ. იგი ასე გააუბამსა მასლოვმა ბოლშევიკების აგრარული პოლიტიკა. შრომაში „მიწის „თვითნებურად დატაცების“ შესახებ“ ლენინი მასლოვის

საბასუხოდ წერდა: „ვინ, რომელი პარტია ურჩევდა გლეხებს ასეთ უაზრობას, ჩვენ არ ვიცით. თუ ს. მასლოვს ეს ჰქონდა მხედველობაში, მაშინ ის ქარის წისკვილებს ებრძვის, ეს სასაცილოა“ (24, 544).

1917 წლის ივლისის შუა რიცხვებში ლენინს არადროულად მიაჩნდა, რომელთა თანახმადაც მთელი სახელმწიფო მალევე უხდა გადასუღიყო საბჭოების ხელში. ამ დროს ძალაუფლების მშვიდობიანი გზით აღება აღარ შეიძლებოდა. ამ დროს „ბრძოლა საბჭოების ხელში ძალაუფლების დროიანად გადასვლისათვის დამთავრდა, განვითარების მშვიდობიანი გზა შეუძლებელი გახდა. დაიწყო არამშვიდობიანი, ყველაზე მტკივნეული გზა“ (25, 216), როცა საჭირო გახდა ძალაუფლების მოპოვება შუიარღებელი აჯანყებით. აი, სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში ლენინს, როცა შრომაში „ლოხუნგებისათვის“ წერდა, რომ მშვიდობიანი გზით „საბჭოების ხელში ძალაუფლების გადასვლის ლოხუნგი ესაა დონკიხოტობა ან დაცინგა იქნებოდა“ (25, 217).

ლენინმა დონ-კიხოტს შეადარა კარლ კაუცკი. როდესაც 1919 წელს კლასობრივი ბრძოლების განწვევების პერიოდში კაუცკიმ იწყო შერიგების გადაგება, ლენინმა შრომაში „ბერნის ინტერნაციონალის ვმარები“ კაუცკის საქციელს განო აღნიშნა: „მთელ თავის სიცოცხლეში ეს მწუხარე სახის რაიანი კლასობრივ ბრძოლასა და სოციალიზმზე წერდა, ხოლო როცა საქმე მიდგა კლასობრივი ბრძოლის მაქსიმალურად გამწვავებაზე და სოციალიზმი სახვალიო საქმედ გადაიქცა, ჩვენი ბრძენი დაიბნა, ატირდა და ჩვეულებრივი ფილისტერი აღმოჩნდა“ (29, 464).

ლენინის შრომებში ტარტიუფის სახეც ხშირად გვხვდება. მოლიერის ტარტიუფი ისეთი ადამიანია, რომელიც პირადი კეთილდღეობისათვის არაფრის წინაშე უკან არ იხევს და ღვთისწიერი ადამიანის ნიღაბს ამოფარებული ინტრიგებსს ესეღს აბამს.

„ტარტიუფობა“ ფარისევლობისა და პირფერობის სინონიმად იქცა. ამგვარი გაგებო გვხვდება ტარტიუფის სახე ლენინის შრომებშიც. 1903 წელს ლენინმა დაწერა სტატია „წამოსცდათ“, რომელშიც თავისი მოწინააღმდეგენი შეადარა მუხმუხულა ტარტიუფს.

1908 წელს სტატიაში „როგორ იცავენ რევოზიონიზმს პლებანოვი და კომპანია“ ლენინი აღნიშნავს, რომ პლებანოვი „დაობდა... მომენტებზე, რომელიც ახლა მენშევიზმის ტარტიუფების მიერ დამალულია ოსტატურად დახლართული... გამოთქმებით“ (15, 343).

1912 წელს ლენინის შრომებში გვხვდება ალფონს დოდეს (1840—1897) გმირის, ტარტარენ ტარასკონელის, სახეა ამავე სახელწოდების რომანიდან. ტარტარენი არსებითად ჩვეულებრივი „კეთილი“ წვრილი ბურჟუა იყო, მაგრამ ვულუბრყვილო მეგობრების წინაშე თავი უდიდეს კოლონიზატორად და მონადირედ მოქცნდა.

შრომაში „საარჩევნო კომპანიის პრინციპული საკითხები“, რომელიც 1911—1912 წლებში დაიბეჭდა, ლენინი ეკამათება ლიკვიდატორული მიმდინარეობის წარმომადგენელს იური ჩაცკის, რომელსაც „იური ტარტარენს“ (17, 479) უწოდებს, და მის თანამოაზრეებს, რომლებიც მოკალათებული იყვნენ ლიკვიდატორული მიმდინარეობის მთავარი ორგანოს „ნაშა ზარის“ რედაქციასში. ლენინი წერს:

„არაფერი ისე არა სძაგს მარქსიზმის სულს, როგორც ფრაზა. და ყველაზე უფრო არასასამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს „ნაშა ზარის“ მე-6 და 7—8 ნომერში პირწავარდნილი ტარტარენისებური ფრაზის წარმოდგენელი ნავარდო. ყველა ქვეყნის მარქსისტებისათვის ისეთი ჩვეულებრივი, რუსეთში კი ორჯერ უფრო მასშტაბით ჩატარებული კომპანია, როგორცია საარჩევნო კომპანია, ჩვენი ლიკვიდატორობის ტარტარენებმა გადააქციეს რაღაც საგნად, რომელიც გაჭედებულია ისეთა მაღალფარდოვანი სიტყვებით... რომ პირდაპირ აუტანელი ხდება“ (17, 478—479), ხოლო 1912 წელს სტატიაში „Vorwärts“-ის ანონიმი და საქმის ვითარება რაღმ პარტიაში“, არჩევს რა „უცნობი ავტორის მკვებარა ნტყიყებას“ ერთ-ერთი საკითხის გამო, ლენინი წერს: „ეს ფრაზებმა მს ტარტარენ ტარასკონელი ძალიან მოგვაკონებს ტროცკის, რომ ღირდეს სერიოზული კამათი ამაზე“ (17, 654).

კლასიკური ლიტერატურის სფეროდან ვერადღებებს იქცევს აგრეთვე ლენინის დამოკიდებულება ვიქტორ ჰიუგოსადმი. ნ. კრუპსკაიას მოგონებებიდან ვიგებთ, რომ ვლადიმერ ილიას ძე გატაცებით კითხულობდა ფრანგ რომანტიკოს ვიქტორ ჰიუგოს, ჰაუგოში მის მოსწონდა განსაღი რევოლუციური პათეტიკა. „მეორე ემიგრაციის დროს, პარიზში, — გადმოგვცემს ნ. კრუპსკაია, — ილიჩი ხალისით კითხულობდა ვიქტორ ჰიუგოს ლექსებს „Chaliments“, რაც მიძღვნილია 48 წლის რევოლუციისადმი... ამ ლექსებში ბლომადია რაღაც გულუბრყვილო მაღალფარდოვანობა, მაგრამ მაინც იგრძნობა რევოლუციის ქროლვა“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ლენინი ლიტერატურის შესახებ, 1945, გვ. 204.

შრომაში—„სამშობლოს დაცვის საკითხის დაყენებისათვის“ — ლენინი იყენებს შვეიცარიის სახალხო გმირის ვილჰელმ ტელის სახეს. ლეგენდა ვილჰელმ ტელზე წარმოიშვა XVI საუკუნეში, როცა შვეიცარიის მთიანი რაიონის გლეხები აჯანყდნენ მოძალადე ავსტრიელების წინააღმდეგ. ხალხური გათხოვების თანახმად, ვილჰელმ ტელი ყოველთვის მშვილი ცხოვრების მომხრე იყო და თუ მოკლეს მოძალადე ავსტრიელი, მხოლოდ იმიტომ, რომ სურდა დაეცვა თავისი ოჯახის პატიოსნება და თავისი სამშობლო. თქმულებებს ვილჰელმ ტელზე ხშირად ანუშავებდნენ საზღვარგარეთელი მწერლები; იგი ფრიდრიხ შილერმაც დაამუშავა პიესაში—„ვილჰელმ ტელი“.

რა თქმა უნდა, ლენინი კარგად იცნობდა როგორც შილერის პიესას, ისე შვეიცარიულ ხალხურ თქმულებებს. ამიტომაც მან ესოდენ მოხერხებულად გამოიყენა ტელის სახე 1916 წელს გერმანულ ენაზე დაწერილ ზემოხსენებულ სტატიაში. ცნობილია, რომ პირველი მსოფლიო ომის წლებში ბურჟუაზია და მისი მომხრენი მუშათა მოძრაობაში საკითხს ჩვეულებრივ ასე იყენებდნენ: ახ ჩვენ პრინციპულად გცნობთ სანშობლოა დაცვის მოვალეობას, ანდა ჩვენს ქვეყანას ვტოვებთ დაუცველად. ლენინი სრულიად მართებულად თვლიდა, რომ საკითხის ასეთი დაყენება ძირფესვიანად მცდარია, რომ იგი თავიდან ბოლომდე ბურჟუაზიულია და არა სოციალისტური; რომ საკითხის ასეთი დაყენებით „დავიწყებულია სოციალიზმის ყველა ძირითადი დებულება, ყველა სოციალისტური იდეა, მტაცებლური იმპერიალისტური ომი შეღამაზებულია, თავისი „საკუთარი“ ბურჟუაზია წარმოდგენილია როგორც უმანკო ბატკანი, ხოლო თანამედროვე შვეიცარიის ბანკების გაქნილი დირექტორები—როგორც გმირი ვილჰელმ ტელეები“ (23, 207).

პირველი მსოფლიო ომისა და რუსეთის მერვე რევოლუციის პერიოდში სოციალოგიის სფეროში მეტად აქტუალური გახდა მსჯელობა იმპერიალისტური ომის წარმოშობასა და მის მიზნებზე; ბოლშევიკებმა პარტიამ ამ დროს საბოლოოდ შეიმუშავა საკუთარი თეორია და ტაქტიკა ომის, ზავისა და რევოლუციის საკითხებში, ამ პოზიციებიდან ლენინი უდგებოდა ევროპულ მწერალთა შემოქმედებასაც და მათზე მსჯელობდა იმის მიხედვით, თუ როგორ პოზიციას იკავებდნენ ომის მიმართ, სერთოდ საკუთარი მთავრობების პოლიტიკის მიმართ. უდავოდ ბერის მეტყველია ვლადიმერ ილიას მის დამოკიდებულება ეპტონ სინკლერსა და ემილ ზოლასთან, ანრი ბარბიუსსა და ანატოლ ფრანს-




სახლი, სიდაც ცხოვრობდა ე. ა. ლენინი 1908 წლის დეკემბრიდან 1909 წლის ივლისამდე.



„ლუმენიტის“ პირველი მოხალისე გამგელები.

ლენინმა, პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებელმა, ადამიანებს დედამიწაზე ცხოვრებისა და ზეცის დამორჩილების საშუალება მისცა.





წიგნის გარეკანი.

1967 წელს პარიზში გამომცემლობა „სერკლ დ'აკობა“ და „კლუბ მესი-  
დორაკობა“ გამოსცა ილუსტრირებული კვირბული სათაურით „როცა ლენინი  
ცხოვრობდა პარიზში“, მთავარხელზე რამდენიმე ფოტოს ამ წიგნიდან.



სახლი, სადაც ცხოვრობდა და გუშაობდა ლენინი 1911 წელს.

ყოფილი სადურგლო სახელოსნო, სადაც მოთავსებული იყო ლენინის მიერ დაარსებული ლონჯიუშის პარტიული სკოლა.





თან, ჯონ რიდთან, ჰერბერტ უელსსა და ალფრედ კურელასთან. აღსანიშნავია ისიც, რომ მხატვრული სიტყვის ამ ოსტატთან ზოგიერთს საშუალება ჰქონდა პირადად შეხვედროდა ვლადიმერ ილიას ძეს; ამ მხრივ უდავოდ ბედმა გაუღიმა ჯონ რიდს, ალფრედ კურელას და ჰერბერტ უელსს.

სტატიაში „ინგლისური პაციფიზმი და ინგლისური სიძულვილი თეორიისა“ ლენინი არჩევს ებტონ სინკლერის (1878—1969) პირველი მსოფლიო ომისწინაპრობლემები შემოქმედების ნათელ და ჩრდილოვან მხარეებს. ერთ დროს კრატეკული რეალიზმის წარმომადგენელი ებტონ სინკლერმა შოვენისტ რობერტ ბრენფორდის შეხედულებათა საწინააღმდეგოდ დაწერა წიგნი „სოციალიზმი და ომი“ — ერთგვარი „მანიფესტი“ იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ. სინკლერი, როგორც იმ დროის მოწინავე მწერალი, გრძობდა, რომ კაცობრიობის განთავისუფლების ერთადერთი გზა არის სოციალისტური რევოლუცია, სოციალიზმი, მაგრამ მას ხეირიანად როდი ესმოდა სოციალიზმის საფუძველი. მსგავსად სხვა ბურჟუაზიული და წვრილ-ბურჟუაზიული ინტელიგენტებისა, სინკლერი სოციალიზმს გრძნობით უფრო აღიქვამდა, ვიდრე მეცნიერულად.

ლენინი ერთგან შენიშნავს, რომ „სინკლერი გრძნობის სოციალიზმია, მოკლებული თეორიულ განათლებას. ის საკითხს „უბრალოდ“ აყენებს: აღშფოთებას ეძლევა კარსმომდგარი ომის გამო და სოციალიზმში ეძებს მიზეზს ხსნას“. ზოლო სინკლერის მსჯელობა, ლენინის შეფასებით, არის „გულუბრყვილო, თეორიულად მოუსაზრებელი, მაგრამ უაღრესად სწორი გაფრთხილება სოციალიზმის გაუგებრების გამო და მოწოდება რევოლუციური ბრძოლისაკენ“.

ყოტა გვევით ლენინი დასძენს: „სინკლერი გულუბრყვილოა თავისი მოწოდებით, თუმცა ეს მოწოდება მეტად მართალია თავის საფუძველში, — გულუბრყვილოა, რადგან უგულვებლყოფს მასობრივი სოციალიზმის ნახევარ-საუკუნოვან განვითარებას, მიმდინარეობათა ბრძოლას მასში, უგულვებლყოფს რევოლუციური მოქმედების ზრდას პირობებს ობიექტურად — რევოლუციური სიტუაციისა და რევოლუციური ორგანიზაციის არსებობის დროს. ამას „გრძნობით“ ვერ შეცვლი. სოციალიზმში არსებულ ძლიერ მიმდინარეობათა, ოპორტუნისტულ და რევოლუციურ მიმდინარეობათა, სასტიკ და უღმობელ ბრძოლას რიტორიკით გვერდს ვერ აუვლი“ (21, 315—317).

ფრანგი ნატურალისტი მწერლის ემილ ზოლას (1840—1902) სახელს ვხვდებით 1918 წელს

ლენინის შრომაში „წინასწარმეტყველური სიტყვები“. აქ ლენინი მიუთითებს ფრანგი მწერლის მიერ მის ერთ-ერთ რომანში აღწერილ მშობიარობის აქტზე. ცნობილია, რომ პირველი მსოფლიო ომის დასასრულს ბურჟუაზიული ინტელიგენციიდან გამოსულმა კაცობრიობამ განგაში ასტეხეს იმ ტკივილის გამო, რომლებიც სულ უფრო მეტად იგრძნობდნენ რევოლუციის მოახლოებასთან დაკავშირებულ აქტუებს უნდოდათ არა ის, რომ რევოლუცია დაბადებულიყო და გაზრდილიყო იმპერიალისტური ომის ოთხწლიან ხოცვა-ჟლეტაში, დაბადებულიყო და გაზრდილიყო სიხლით მორწყულ მიწაზე, მილიონობით დატანჯულ ადამიანთა შორის, მათ უნდოდათ, რომ რევოლუცია ეიდან ჩამოვარდნილიყო. ეს ჩია ადამიანები „თეორიულად“ აღიარებდნენ, რევოლუცია უნდა შევადართოთ მშობიარობის აქტს, „მაგრამ, — წერს ლენინი, — როცა საქმე საქმეზე მიდვა, ისინი სამარცხვინოდ დაფრთხნენ და სულმდობალი კაცუნების თავიანთი წუწუნი გადააქციეს პრულეტარიატის აჭანყების წინააღმდეგ ბურჟუაზიის დეარძლიანი გამოსვლების გადამღერებად“ (27, 612).

ამ ადამიანთა მტკიცების გასაბათილებლად „წინასწარმეტყველური სიტყვებში“ ლენინი მიმართავს მხატვრულ ლიტერატურაში აღწერილ მშობიარობის იმ აქტებს, რომელთა ჩვენებით ავტორებში მიზნად ისახავდნენ ადამიანის დაბადების აქტის მთელი ტანჯვა-წამების, მთელი საშინელების, მთელი მისი სიმართლის აღდგენას. მაგალითისათვის ლენინი ასახელებს ემილ ზოლას „La joie de vivre“-ს (სიციხის სიხარულს) და რუსი მწერლის ვერესაევის „ექიმის ჩანაწერებს“.

ლენინი მიუთითებს ამ წიგნებზე და აღნიშნავს, რომ „ადამიანის დაბადება დაკავშირებულია ისეთ აქტთან, რომელიც ქალს აქცევს გაწამებულ, გატანჯულ, ტკივილისაგან გააოგებულ, გასისხლიანებულ, ნახევრად მკვდარ ხორცის ნაჭრად. მაგრამ დათახმდებოდა თუ არა ეინმე, — კითხვლობს ლენინი, — ადამიანად ეცნო ისეთი „ინდივიდი“, რომელიც მხოლოდ ამას დაინახავდა სიყვარულში, მის შედეგებში, ქალის გადაქცევაში დედად? ვინ აიღებდა ამ საფუძვლით ხელს სიყვარულსა და შვილოსნობაზე?“ შემდეგ ლენინი მიუთითებს, რომ მეცნიერული სოციალიზმის მამამთავრები მარქსი და ენგელსი ყოველთვის დაბარებდნენ მშობიარობის ხანგრძლივი ტკივილების შესახებ, რომ ეს ტკივილები, ლენინის დასკვნით, „გარდუვალად დაკავშირებულია კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლასთან“ (27, 612).

თანამედროვე ფრანგი მწერალი ანრი ბარბიუსი (1873—1935) ლენინს მიაჩნდა „დიდი ხმის ადამიანად“. ასე იგონებს ლუნახარსკი და მარტლაც ლენინი ჯეროვნად აფასებდა მშრომელთა წინაშე ბარბიუსის დიდ დამსახურებას.

ბარბიუსი, რომელიც პირველ მსოფლიო ომში მონაწილეობდა როგორც ჯარისკაცი, მივიდა ომის რევოლუციური უარყოფის იდეაზე. მან სანგრებში დაწერა „ცეცხლი“ — ომის რეალისტური სურათების ამსახველი წიგნი. „ცეცხლში“ ბარბიუსმა გააცამტვერა ის ყალბი წარმოდგენები ომზე, რომლებიც შეუქმნია მკითხველებს შოვინისტურმა ლიტერატურამ; ამხილა ერთი მუჟა იმპერიალისტები, რომლებიც უფრო მეტი მოგებისათვის საბედისწერო ომში ვზავნიდნენ უბრალო ადამიანებისაგან შემდგარ ბატალიონებს.

ნ. კრუპსკაია გამოგვეცხვს, რომ პირველი იმპერიალისტური ომის დროს ვლადიმერ ილიას ძე გატაცებული იყო ბარბიუსის წიგნით „ცეცხლი“. რომელსაც უდიდეს მნიშვნელობას აძლევდა. თურქე ეს წიგნი მეტად ეხმოდებოდა ლენინის მაშინდელ განწყობილებას. 1919 წელს ბარბიუსმა ჩამოაყალიბა „Clarté“ („სიცხადე“) — ლიტერატორთა საერთაშორისო ჯგუფი, რომელმაც, თავისი მხრივ, საფრანგეთში დააარსა „ომის ყოფილ მონაწილეთა რესპუბლიკური გაერთიანება“. ორგანიზატორთან ერთად ბარბიუსი იყო ჯგუფის მთავარი იდეოლოგი და მისი მანიფესტების ავტორი. „Clarté“-ს ჰქონდა ამავე სახელწოდების ჟურნალი, რომელშიც ხშირად იბეჭდებოდა სტატიები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ხასიათისა და წარმატებების შესახებ.

1922 წელს 15 ნოემბერს ლენინი წერდა „Clarté“-ს ჯგუფს: „ძვირფასო მეგობრებო! ესარგებლობ შენთხვევით, მოვიძღუნათ საეკუთესო სალამი. მე მძიმე ავადმყოფი ვიყავი და ერთ წელზე მეტია არ შემეძლო მენახა თქვენი ჯგუფის არც ერთი ნაწარმოები. ვიმედოვნებ, რომ თქვენი ორგანიზაცია „ომის ყოფილი მონაწილეებისა“ განაგრძობს არსებობას, იზრდება და მტკიცდება არა მარტო რიცხობრივად, არამედ სულიერადაც, იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ ბრძოლის გაღრმავებისა და გაფართოების მხრივ. ასეთი ომის წინააღმდეგ ბრძოლას დირს შესწიროს კაცმა სიცოცხლე, ამ ბრძოლაში უნდა იყო უღმობელი, ყველა სოფიზმი მის დასაცავად უკანასკნელ კუნძულამდე უნდა დევნო“ (33, 513). სალამთან ერთად ლენინი საუკეთესო სურვილებს უძღვნიდა „სიცხადის“ წევრებს.

1919 წელს ბარბიუსმა გამოაქვეყნა წიგნი

„Clarté“ („სიცხადე“), რომელშიც სცადა ეჩვენებინა, თუ როგორ გადაიქცა მგზნებარე მებრძოლად რიგითი, აპოლიტიკური ბურჟუა პირველი მსოფლიო ომის საქმინელებათა ზეგავლენით.

იმავე 1919 წელს, როდესაც ეს წიგნი გამოვიდა, სტატიის „III ინტერნაციონალის ამოცანების შესახებ“ ფრანგულ ენაზე „მოსებში რევოლუციური შედეგები“ წიგნის სახელგანთავსებელი. მასთანვე მოვლენის ერთ-ერთ განსაკუთრებით თვალსაჩინო დადასტურებად შეიძლება ჩაითვალოს ანრი ბარბიუსის რომანები: „Le feu“ („ცეცხლში“) და „Clarté“ („სიცხადე“). პირველი შვედ ვიდიარგმნილია ყველა ენაზე და გაგრცელებულია საფრანგეთში 230.000 ეგზემპლარის რაოდენობით. სრულიად უმეცარის, იდეებითა და ცრურწმენით მთლად დაბეჩავეებული თბივანებისა და მასაში მამუშავე ადამიანის გადაქცევა რევოლუციონებრად, სწორედ ომის ზეგავლენით, ნახევნებია არაჩვეულებრივ სიძლიერით, ხიქიერად და მარტლად“ (29, 603—604).

ბარბიუსი საბჭოთა კავშირის მეგობარი იყო. მას უნდოდა დაეწერა წიგნი ლენინზე, შეუდგა კოდევაც მასალების შეგროვებას, წერაც დაიწყო, მაგრამ ამ საბატო საქმის დამთავრება არ დასცალდა. ბარბიუსმა მოასწრო მხოლოდ დაეწერა მოფიჭვებული დიდი შრომის ერთი ნაწილი — „ლენინის მიმოწერა ოჯახთან“, რომელშიც ლენინი ნაჩვენებია დიდ სახელმწიფო მოღვაწედ და ახალი ტიპის ფილოსოფოსად.

მეგრისმეტყველი ივრეთვე ლენინის დამოკიდებულება ჩვენი საუკუნის უდიდეს ფრანგ მწერალთან — ანატოლ ფრანსთან. მის სახელს ლენინის შრომებში ეხდებოდა 1919 წელს, როცა ჩვენში ბოლშევიკურ პარტიას, და კერძოდ ლენინს, საბოტაჟო ომის პერიოდში უხდებოდა ბრძოლა უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის წინააღმდეგ.

მაგრამ ფრანსი წინააღმდეგი იყო რევოლუციის, როგორც უკეთესი მერმისის შექმნის ერთადერთი საშუალებისა. ფრანსის ფატალისტური ფილოსოფიის თანახმად მსოფლიო ისტორიის განაგებს რაღაც უხილავი ძალა, ხოლო ადამიანები არიან უბრალო თოჯინები, რომლებიც ანაზღვეულად ასრულებენ ამ უხილავი ძალის ნება-სურვილს.

მაგრამ რუსეთის რევოლუციით აღდრთოვანებული თანდათან უფრო უახლოვდება მუშათა კლასს და უკვე 1919 წელს სოციალისტური ლოზუნგებით გამოდის რუსეთის პროლეტარული რევოლუციის დასაცავად. იგი გადადის კომუნისმის მხარეზე. როცა რუსეთში მოხდა

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, ფრანსმა ირწმუნა პროგრესი, აღფრთოვანებით მიესალმა ამ გადატრიალებას. „რუსეთში, — წერდა იგი, — დამყარდა ახალი წყობა, მტკიცე და ხანგრძლივი... 1871 წელს კარლ მარქსმა იწინასწარმეტყველა ყველაფერი, რაც ახლა ხდება. იგი იყო ჰემიარიტად გენიალური ადამიანი“. ხოლო როცა ევროპისა და ამერიკის ბურჟუაზიულმა მთავრობებმა გამოუცხადეს ბლოკადა ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლებას, მწერალმა ხმა აიმაღლა რევოლუციის მონაპოვრის დასაცავად. საფრანგეთის ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებთან ერთად მან ხელი მოაწერა გაზეთ „ლ'უმანიტეს“ 1919 წლის 28 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებულ პროტესტს ბლოკადისა და ინტერვენციის წინააღმდეგ. სწორედ ასეთი ჰუმანიტური პოზიციას გამო ლენინმა მადლიერების ვრძობით მოიხსენია ფრანსის სახელი იმავე წლის 5 დეკემბერს საბჭოების სრულიად რუსეთის VII ყრილობაზე.

„ლ'უმანიტეს“ მოხსენებულ ნომერში, — მიუთითებდა ლენინი. — მოთავსებულია საფრანგეთის ინტელიგენციის, საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრის მთელ რიგ წარმომადგენელთა განცხადება. ამ განცხადებაში, რომელიც იწყება ანატოლ ფრანსის ხელმოწერით, სადაც არის ფერდინანდ ბიუსონის ხელმოწერა, შედავიოვალე ბურჟუაზიული ინტელიგენციის წარმომადგენელთა 71 გვარი, რომლებსაც იცნობს მთელი საფრანგეთი და რომლებიც აცხადებენ, რომ წინააღმდეგი არიან რუსეთის საქმეებში ჩარევისა, იმიტომ რომ ბლოკადი, „შემშლილ სიკვდილის გამოყენება, რომლის გამოც იღუპებიან ბავშვები და მოხუცნი, შეუწყნარებელია კულტურისა და ცივილიზაციის თვალსაზრისით, რომ ისინი ამას ვერ მოითმენენ“. და შემდეგ, ცოტა ქვევით, ვკითხულობთ: „ეს, შესაძლოა, გრძნობების უზრალო სიტყვიერი გამოხატვა იყოს ინტელიგენციის წარმომადგენლის მხრივ, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ეს არის შესამე გაპარჯება, რომელიც ჩვენ მოვიპოვეთ იმპერიალისტურ საფრანგეთზე თვის მის შიგნით. აი რას მოწმობს ეს გამოსვლა, თავისთავად მერყევი, უზადრუცი გამოსვლა იმ ინტელიგენციისა, რომელსაც, როგორც დავინახეთ, ათეულ და ასეულ მაგალითზე, შეუძლებელია მილიონჯერ მეტი ხმაურით ატეხოს, ვიდრე ძალია შესწევს, მაგრამ რომელიც განირჩევა კარგი ბარომეტრის თვისებით—იძლეოდეს იმის მაჩვენებელს, საითკენ იხრება წერილი ბურჟუაზია, იძლეოდეს იმის მაჩვენებელს, საითკენ იხრება საზოგადოებრივი აზრი, მთლიანად ბურჟუაზიული“ (30, 251—252).

ლენინი კარგად იცნობდა რუსეთის რევოლუციურ მოვლენებთან დაკავშირებით შექმნილ ლიტერატურას: მეცნიერულს, მხატვრულს, ყოველთვის ჯეროვანი კრიტიკით/ქირდივდა მანკიერი ბუნებას თუ ცალკეული ჩრდილოვანი მხარეების მქონე წიგნებს/მწერებს, მისთანავე, ვერ იკაუებდა თავს მტკიცე მხარეებთან, როდესაც წიგნიცა და ავტორიც ნამდვილ ქებას იმსახურებდნენ. ცნობილია, როგორი აღტაცებით ლაპარაკობდა ვლადიმერ ილიას ძე ამერიკელი მწერლის ჯონ რიდის (1887—1920) წიგნის შესახებ: „ათი დღე, რამაც შესძრა მსოფლიო“.

ინტერესი სოციალისტური იდეებისადმი ჯონ რიდს უყვე ახალგაზრდობის წლებში აღმოაჩნდა. ამიტომაც მისი — პარვარდის უნივერსიტეტის სტუდენტის — სიმშაბიები მთლიანად ამერიკელი მწრომელების მხარეზე იყო. დამთავრების შემდეგ, ეურხალისტად მომუშავე ჯონ რიდი სტატიებშიც ეხმაურება დიდ საზოგადოებრივ მოვლენებს და სოციალოგიისათვის მტკიცე ეულ პრობლემებს.

1917 წელს ჯონ რიდი საფრანგებოდ ჩავიდა რუსეთში, რათა პეტროგრადის რევოლუციურ მოვლენათა უშუალო მოწმე გამხდარიყო. მართლაც, მან საკუთარი თვალთ იხილა ოქტომბერში ცარისტული რეჟიმის დამხობა, და ამ მოვლენებს უძღვნა თავისი შესანიშნავი წიგნი, „ათი დღე, რამაც შესძრა მსოფლიო“.

ჯონ რიდის წიგნით აღფრთოვანებულმა ვლადიმერ ილიას ძემ დაწერა მისი წინასიტყვაობა. აქ იგი აღნიშნავდა, რომ უდიდესი ინტერესით და შეუწყნარებელი ყურადღებით წაიკითხა ჯონ რიდის „ათი დღე, რამაც შესძრა მსოფლიო“; და რომ მთელი ხულითა და გულით ურჩევს ყველა ქვეყნის მუშებს ჯეცნონ ამ თხზულებას: ლენინს სურდა, ეს წიგნი მრავალ მილიონ ევზემპლარად გავრცელებულიყო და ყველა ენაზე გადათარგმნილიყო, რადგან იგი, — ლენინის შეფასებით, — „მართლად და არაჩვეულებრივ ცოცხლად გადმოგვცემს ისეთ მოვლენებს, რომლებსაც ესოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს იმის ვასაგებად, თუ რა არის პროლეტარული რევოლუცია, თუ რა არის პროლეტარიატის დიქტატურა. ამ საკითხებს ამეამად, — დასძენს ლენინი, — ფართოდ განახილავენ, მაგრამ, ვიდრე მიიღებდნენ ან უარყოფდნენ ამ იდეებს, აუცილებლად საჭიროთა ვაიგო მისაღები გადაწყვეტილების მთელი მნიშვნელობა. ჯონ რიდის წიგნი, უკვეელია, დაგვეხმარება გავარკვიოთ ეს საკითხი, რომელიც მსოფლიო მუშათა მოძრაობის ძირითად პრობლემას წარმოადგენს“ (36, 592).

უადრესად საინტერესო და ბევრისმეტყველი ფაქტია ლენინის შეხედრია ჰერბერტ უელსთან. ბურჟუაზიული დემოკრატიის მნიშვნელოვანი მესვეური და უახლესი პერიოდის ინგლისური ლიტერატურის გამოჩენილი წარმომადგენელი, ჰერბერტ უელსი ბევრი სოციალ-ფსიქოლოგიური რომანის, მეცნიერულ-ფანტასტიკური მოთხრობის და ნოველის ავტორია. ეს ადამიანი მთელი სიცოცხლის განმავლობაში (1866—1946) სოციალისტობდა, მაგრამ მეცნიერული სოციალიზმის და, სერთოდ, მარქსისტული ფილოსოფიის კემპარიტი აზრი მისთვის ყოველთვის გაუგებარი რჩებოდა.

ჰერბერტ უელსი საბჭოთა კავშირში პირველად ჩამოვიდა იმჟამად, 1920 წელს, როცა სრულიად ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა განიცდიდა იმპერიალისტური ომის მიიმე შედეგებს და სამოქალაქო ომის გამანადგურებელ ნგრევას; ჩამოვიდა მაშინ, როცა ჩვენი პრეწველობა თითქმის პარალიზებული იყო, ხოლო სოფლის მეურნეობა მიიმე კრიზისს განიცდიდა; მსოფლიოში პირველ პროლეტარულ სახელმწიფოს გააფორებით უტყვლან ინტერვენტები და თვარგვარდიელები; მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა იარალით ხელში იცავდა რევოლუციის მონაპოვარს.

უელსი არ იყო ოქტომბრის გადატრიალების და საბჭოთა სინამდვილის წინააღმდეგი, მაგრამ მომხდარი ისტორიული ფაქტების მთელი მნიშვნელობა მან მაინც ვერ გაიგო. მისთვის შეუცნობელი დარჩა ამ რევოლუციის კანონზომიერება და ხასიათი, სიდიდე და ისტორიული მნიშვნელობა; ალღო ვერ აუღო სინამდვილეს, რევოლუციის აქტი მიიჩნია წარუმატებლობისათვის განწარულ გრანდიოზულ ექსპერიმენტად, თუმცა სიმბათით უყურებდა საბჭოთა კავშირს, ცდილობდა დაერწმუნებინა „მოწინავე“ სახელმწიფოები ფულადი და ტექნიკური დახმარება გაეწიათ ახალგაზრდა სოციალისტური სახელმწიფოებისათვის.

საბჭოთა კავშირში პირველად ყოფნით მიღებულ მთაბეტდილებზე უელსმა დაწერა წიგნი „რუსეთი წყვდიადში“ (1921), რომელშიც აისახა ჩვენი ქვეყნის ეკონომიერა და პოლიტიკური მდგომარეობის რამდენადმე მართებელი სურათი. უელსმა ვერ შეძლო აეცლო გვერდი ფაქტებისათვის და თავის წიგნში იძულებული გახდა ელიარებინა შემდეგი: საბჭოთა ხელისუფლებას აქვს ხალხის აბსოლუტური უმეტესობის მხარდაჭერა; კომუნისტები მორალურად თავიანთ მოწინააღმდეგეებზე მაღლა დგანან; მშრომელები არ მიიღებენ მონაწილეობას საბჭოთა ხელისუფლების დამხობის რაიმე ცდაში. იმისდა

მიუხედავად, რომ იხალგაზრდა პროლეტარული რესპუბლიკა განიცდიდა თავისი არსებობის მძიმე წუჭებს, კონუნიატური პარტიის ხელმძღვანელობით მუშათა კლასი და გლეხობა იბრძობებს ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვრების დასაცავად და სხვ. ყოველგვ ეს იყო უელსის მხრივ გულწრფელი კრიტიკული კომლითაც მან გული გაუტეხა მკრუღყოქრეცეც — მისგან საბჭოთა რუსეთის გაკიცხვას და ანტისაბჭოთა პროპაგანდის გაღვივებისათვის ვარჯისი მასალის მიღებას რომ მოელოდა.

ჰერბერტ უელსი პირადად შეხვდა და ესაუბრა ლენინს. საუბარში მან გამოთქვა საკუთარ სიმპათიები საბჭოთა მოქალაქეებისადმი, მაგრამ ის კი ველარ დაიჭერა, რომ ეს უბრალო ადამიანები შესძლებდნენ თავიანთი სოციალისტური მეურნეობის მოგვარებას და ახალი წყობის შექმნას. მან, მართალია, განაცხადა, რომ რუსეთის მართვა შეუძლიათ მხოლოდ კომუნისტებს, მაგრამ კერპოდ ქვეყნის ელექტროფიკაციის დიდი გეგმა (გოელრო) მიიჩნია ყოველად განუხორციელებელ ოცნებად, „ელექტრონულ უტოპიად“, ხოლო მისი შემქმნელი — ვლადიმერ ილიას ძე „კრემლის მეოცნებედ“ გამოაცხადა. ლენინთან დაკავშირებით წიგნში ნათქვამია: „როგორც ნამდვილი მარქსისტი, ლენინი უარყოფს ყველა „უტოპისტს“, მაგრამ საბოლოოდ იგი თავად გადაიჩეხა უტოპიაში, ელექტროფიკაციის უტოპიაში“.

როგორ ჯაღოსნურ სარკვეშიაც არ უნდა ვიყურებოდე, — აღნიშნავს უელსი, — არ შემიძლია დავინახო ეს მყობადის რუსეთი; მაგრამ ტანმორჩილ ადამიანს კრემლში გააჩნია ამისი უნარი. ლენინი ხედავს, დანგრეული რკინიგზების ნაცვლად როგორ ჩნდებიან ახალი, ელექტროფიციერებულა გზები; ხედავს, ახალი შარავნები როგორ სერავენ მთელს ქვეყანას, როგორ იმართება წელში განახლებული და ბედნიერი, ინდუსტრიალიზებული კომუნისტური სახელმწიფო. ჩემთან საუბრის დროს ლენინმა, — დასძენს უელსი, — თითქმის მოახერხა დავერწმუნებინე თავისი განწკრეცის რეალობაში.

და მაინც, ანტი შეზღუდულობის მიუხედავად, ჰერბერტ უელსი იმსახურებს ჩვენს სიყვარულს, რაკი ყოველთვის შეიჩინა სუბიექტური პატიოსნება და პირუთვნელად შეაფასა საბჭოთა სინამდვილის ზოგიერთი მხარე; რაკი შემდეგაც არასოდეს გადასულა რეაქციული ბურჟუაზიის ბანაკში და გულმოდგინედ კიცხავდა იტალიურ-გერმანული ფაშიზმის თეორიულ პრინციპებს და პოლიტიკურ ტაქტიკას.

ნ. კრუპსკაიას ცნობით ლენინზე დიდი გავლენა მოახდინა ამერიკელი მწერლის ჯეკ ლონ-

ლონის (1876—1916) „სიცოცხლის სიყვარულში“. ამ მოთხრობაში აღწერილია შემდეგი: თოელიანი უღაბნოთი, სადაც ადამიანს ფეხი არ დაუდგამს, დიდა მდინარის ნავსადგურისკენ მილასლასებს მიმშვილით სიკვდილის პირას მისული, ავად-მყოფი ადამიანი. მას ლონე ეცლება, კი არ მი-ღია, მიფოფხავს. გვერდით კი მიძვრება აგრეთვე მიმშვილით მომაკვდავი მგელი. მათ შორის ბრძოლაა, ადამიანი იმარჯვებს, — ცოცხალ-მკვდარი, ნახევრად შემლილი მიადწევს მიზ-ნამდე.

ნ. კრუჰსკაია აღნიშნავს: „ჩვენ ლონდონს აღიერ ნაწარმოებებთან ერთად უაღრესად სუსტი ნაწერებიც იქვსო“. ბერკუაზიული მო-რალათ გაედენტოილი ერთი ასეთი ნაწარმოები შემდეგს მოგვითხრობს: რომელიღაც კაპიტანმა პურათ დატვირთული ხომალდის პატრონს აღუთქვა, რომ ხელსაყრელად გაასაღებდა პურს. იგი თავის სიცოცხლეს სწირავს, ოღონდ დაპი-რება შესრულდეს. როცა ნ. კრუჰსკაიამ ეს ნაწარმოები სიკვდილის წინა დღით წაუკითხა ლენინს, თურმე „ილაჩმა ვაიცინა და ხელი ჩაი-ქნა“<sup>1</sup>. მოთხრობა ლენინს არ მოეწონა იმის გამო, რომ მასში შელამაზებულია სინამდვილე: კაპიტანის თავგანწირვა მოკლებულია დამაჯ-რებლობას.

უელსიამა და ჯონ რიდის მსგავსად, თანამედ-როვე გერმანელ მწერალს ალფრედ კურელას (1893 წ.) კტონდა ბედნიერება პირადად შეხვე-დროდა ლენინს. სტატიაში „ვინ ხართ თქვენ პროფესიით, ამხანაგო?“ კურელა იგონებს პი-რად შეხვედრებს ვლადიმერ ილიას ძესთან. 1919 წელს კურელა განსაკუთრებული დავალებით ჩამოვიდა მოსკოვში, სადაც პირველად შეხვდა ლენინს. რაკი სწორედ ამ დროს ბავარიაში შეიქმნა საბჭოთა რესპუბლიკა, ლენინს სურდა მიეღო დამატებითი ცნობები უშუალოდ გერ-მანიიდან ჩამოსული მუშაკისაგან. ლენინს აინ-ტერესებდა მიუხედავად მემარჯვენეების დახა-სათება, ბავარიელი გლეხებია პოლიტიკური სულიკეთება და მასზე გერმანიის კომუნის-ტური პარტიის გავლენის შესაძლებლობა. კუ-რელასთან ლენინს საუბარი ქმონდა ბავარიის რევოლუციანზე და ბავარიის აგრარულ საკი-თებზე. მეორედ ლენინს კურელა შეხვდა იმავე წელს. ეს შეხვედრა მიეძღვნა მსოფლიო ახალ-გაზრდობის მოძრაობის საკითხებს. ლენინმა იმ-ტამადაც ბევრი კონკრეტული წინადადება წამო-აყენა და ამით კარგი გაცვეთილი მისცა მსმე-

ნელებს „პოლიტიკური ტაქტიკის“ სფეროში. კურელა იმასაც აღნიშნავს, თუ მკვლევ ახალ-გაზრდობას კომუნისტური ინტერნაციონალის დამფუძნებელ კრებაზე კენჭს უდგენ გამო-ადგათ ლენინის მიერ შემოთავაზებული თეორიული და პრაქტიკული შენიშვნები. მესამე შეხვედრა ლენინთან მოხდა წლინახევრის შემ-დეგ, 1921 წლის იანვრის დასასრულს. ამჯერა-დაც ლაპარაკი წარმოებდა ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის მუშაობაზე. კურელა ესწრებოდა ჩვენი პარტიის შეათე ყრილობას, რომელზედაც მოისმინა ლენინის საანგარიშო მოხსენება ცენტრალური კომი-ტეტის მიერ ბატარებული მუშაობის შესახებ. შემდეგ ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერ-ნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტი მოს-კოვში გადმოვიდა და რაკი კურელა ამ კომი-ტეტის მდივანი იყო, დროდადრო ხვდებოდა ლენინს. 1960 წელს კურელა იგონებს, რომ მას სამწუხაროდ დაწვრილებით აღარ ახსოვს ეს შეხვედრები; მაგრამ იმას კი აღნიშნავს, რომ ყოველი დისკუსია, რომლის დროსაც ეს-მოდა, როგორ აყალიბებს ლენინი თავის თვალთახედვის, იძლეოდა ძალიან ბევრს მისი პოლიტიკური განვითარებისათვის<sup>1</sup>.

ამჯერად, მთელი სიცოცხლის განმავლობაში, ვლადიმერ ილიას ძე ინტერესით ეცნობოდა საზღვარგარეთელი მწერლობის წარმომადგენ-ლებს. რევოლუციური ბრძოლის მიმდინარეობი-სას კრიტიკულად ითვისებდა და შემოკმედები-თად იმარჯვებდა მათ იდეება, მხატვრულ სახე-ებსა და მოსწრებულ გამოთქმებს, ძველი და ახალი დროის დიდი მწერლების ქმნილებებიდან იღებდა ყოველივეს, რაც მწრომელებს გამოად-გებოდათ განთავისუფლებისათვის მათ ბრძოლა-ში და ახალი ქვეყნის შენებაში. სხვანაირად, გან-ზოგადოებულ მხატვრულ სახეებს ლენინი აკონკრეტებდა პოლიტიკურად და იმარჯვებდა ახალ ისტორიულ ვითარებაში პოლიტიკური მოწინააღმდეგეების იდეოლოგიური უსუსუ-რობისა და უილაჯობის დასახასიათებლად. უცხოელ მწერალთა ლიტერატურულ სახე-ებში, მათ დგორიზმებსა და მოსწრებულ ეპიგრამებში, აგრეთვე ფრთიან გამოთქმებში, აქსოვდა პოლიტიკურად აქტუალურ იდეებსა და დებულებებს.

<sup>1</sup> Альфред Курелла, „Вы, собственно, кто по профессии, товарищ?“ კრებულში: „О Лени-не“, 1966, გვ. 277-278.

<sup>1</sup> ლ ე ნ ი ნ ი, ლიტერატურის შესახებ, გვ. 207.

## თამარ სენკევიჩი

### რალფ ელისონი და მისი „უჩინარი ადამიანი“

რალფ ელისონი თანამედროვე ამერიკული ლიტერატურის მეტად რთული და საინტერესო ფიგურაა. „უჩინარი ადამიანი“<sup>1</sup> — რომანი, რომელიც მწერალმა 1952 წელს გამოსცა, — მკითხველთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს და ამერიკული ლიტერატურის სპეციალისტთა ხანგრძლივი დავის სავანს წარმოადგენს. რომანით ასეთ დინამიკურ სივრცეში გარკვეული როლი ავტორის ხანგრძლივი წარმომადგენელი ითამაშა. ამავე გარემოებაში განაპირობა ია ფაქტიც, რომ ბურჟუაზიულ კრიტიკოსთა უმრავლესობა თავგამოდებით ედილობს დაამაბინჯოს „უჩინარი ადამიანის“ იდეური შინაარსი და იგი კლასიკურ დეკლენტურ ნაწარმოებად მონათლოს. მათი მიზანია თანამედროვე ხანგაულის ლიტერატურაში ესთეტიზმის ტენდენციის დანერგვა, ხანგ მწერალთა „წმინდა ფორმით“ გატაცებას დაპყრობა და მათი ნაწარმოებების სოციალური მხარის უარყოფა. თანამედროვე ამერიკული თეორიული კრიტიკა ყოველმხრივ უწყობს ბელს ხანგური ლიტერატურის „წმინდა ხელოვნების“ გზით განვითარებას.

ელისონმა შესძლო ხანგ მწერალთა ტრადიციული ვიწრო-ნაციონალური თემა — რასობრივი ბარიერის დაძლევისაკენ ლტოლვა იმ ამერიკის სოციალ-პოლიტიკურ ურთიერთობათა სისტემაში ხანგის მიერ თავისი ადგილის მარადიული ძიება — რაც აუყვანა ზოგადსაკაცობრიო სიძლიერეზე, რომ არ ეღალატა ამ პირველადი სანაფიქრისათვის. ამიტომაცაა დღეს ელისონის აღიარებული არა მხოლოდ ამერიკელი ხანგური,

არამედ საერთოდ თანამედროვე ამერიკული ლიტერატურის ერთ-ერთ მთავარ ფიგურად.

„თანამედროვე ამერიკული რომანებიდან, რომელთაც ასე წლის შემდგომეც ეყოლებათ მკითხველი, მე დავასახელებდი ფიცჯერალდის „ღიად ვეცბი“-ს, ჰემინგუეის „შუიდიობით, იარაღ“-ს, ფოლკნერის „ავვისტოს ნათელს“ და „ხმა და მკვინვარება“-ს და რალფ ელისონის „უჩინარი ადამიანს“ — გვიტყვობთ ინგლისელი კრიტიკოსის ჯ. მაკ კორმიკის წიგნში „კატასტროფა და წარმოსახვა“<sup>2</sup>. უ. პედენმა „უჩინარი ადამიანი“ ამერიკული ლიტერატურის „ძვირფას ვანდალ“ აღიარა<sup>3</sup>, ხოლო გ. პისკი და რ. ბოუნი მას მოიხსენიებენ, როგორც მძიმე შემდგომი პერიოდის ამერიკული ლიტერატურის უდიდეს ნაწარმოებს<sup>4</sup>.

ელისონის რომანში „უჩინარი ადამიანი“ თხრობა პირველ პირში მიმდინარეობს, ამიტომ ბევრმა კრიტიკოსმა იგი თავიდანვე შეცდომით გულისხმობდა ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებად მიიჩნია. თავად ელისონს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ რომანი მხოლოდ ნაწილობრივ არის ავტობიოგრაფიული, რომანის მთავარი თემა ახალგაზრდა ხანგის მიერ ცხოვრებაში ადგილის ძიება არის.

<sup>1</sup> John Mc Cormick, „Catastrophe and Imagination“, London, 1957, p. 65.

<sup>2</sup> W. T. Hedden, New York Herald Tribune Book Review, Apr. 13, 1952 p. 5.

<sup>3</sup> G. Hicks, „Prose and Politics of Protest“, Saturday Review, N. Y. 1964, Oct. 24, № 3 pp. 59-60; R. Bone, „The Negro Novel in America“, N. H.—L. 1965 p. 212.

<sup>1</sup> Ralph Ellison, „Invisible man“.

რაღვ ელისონმა ახალი ელერადობა და ელფერი შექმნა მოწინავე ზანგი მწერლების ნაწარმოებთა იდეურსა და მხატვრულ მხარეს. მისი რომანის ცენტრში XX საუკუნის ამერიკის თანამედროვე, რთული ადამიანი დგას და გამოიყურება, როგორც ერთგვარი მსხვერპლი ამ საუკუნისა. დიდი ხანი არ არის, რაც მან ღრმა სულიერი კრიზისი გადაიტანა. კრიზისის კვალი ჯერ კიდევ აჩნევიან მის უსიქივებს, როცა იგი თავისი წარსულისა და აწმყოს თხრობას იწყებს. გმირის ამგვარი სულიერი მდგომარეობითაა განპირობებული რომანის უაღრესად ექსპრესიული ფორმა. ეს არის რომანი—მონოლოგი, რომანი — აღსარება.

„უჩინარი ადამიანი“ აწმ-ის პლანტიჯორულ სამხრეთსა და სამრეწველო ჩრდილოეთში მცხოვრები გმირის ქირ-ვარაშს მოგვითხრობს.

რომანის დასაწყისი ფარსისა და კომიკის ერთგვარი კომბინაციაა. გმირის ცხოვრების თხრობა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც იგი სამხრეთის ერთ-ერთ პატარა ქალაქში ზანგურ სკოლაში ამთავრებს. ქალაქის მესვეურებმა ქაბუკს იწვევეს საგანგებო შეხვედრაზე, სადაც იგი საპატიო მოქალაქეთა წინაშე სკოლის დამთავრებასთან დაკავშირებით საშაღლობელი სიტყვით უნდა გამოვიდეს. იგი აღტაცებულია ამ წინადადებით, მაგრამ მალე ირკვევს, რომ „შაღობის საკრებულო“ თეთრკანიან მოქალაქეთათვის მხოლოდ და მხოლოდ იაფფასიანი თავშესაფრები საღამოა. ნაწარმოების გმირს რამდენიმე თანატოლთან ერთად შეჰყავთ დარბაზში, სადაც დამსწრეთა გასართობად გამოშვებული ქერთიანი მოცეკვავე ქალი ცეკვავს. ამას მოჰყვება გლადიატორული სცენა: გაოგნებული ახალგაზრდები, დამსწრეთა გასართობადვე, სასტიკად სცემენ ერთმანეთს. ჭილღოდ მათ ფულებს უყრან ხალხისზე. აღმოჩნდება, რომ ხალხისი ელექტროდენია გატარებული. დაცინვა-დამცირების შემდეგ, პროგრამის უკანასკნელ ნომრად ახალგაზრდა ზანგის თეთრკანიან ქველმოქმედთაღმი მადლიერების კრძნობით გამსჭვალული სიტყვაა გათვალისწინებული. ქაბუკი ცდილობს რაც შეიძლება მეტად შთაბეჭდილო გაზადოს თავისი გამოხედა, მაგრამ სწორედ ამ დროს იწყება იმის შეგრძნება, რომ ქალაქის მესვეურები ზანგის სერიალურ სიტყვას აღიქვამენ როგორც გონებრივი განვითარების უაზრო პარადოქსს. საშაღობითა და ერთმანეთში საუბრით გართული საზოგადოება არც კი უსმენს მას. ირავია არ იმეტირებს ასე გულდასმით მომზადებული და მღელვარებით წარმოთქმული სიტყვა. ნაცემ ორატორს კი ამ დროს პირი სისხლით ევსება და დაპარავი უჭარბა.

მხოლოდ ერთი წამით შესძლო მან დამსწრეთა ყურადღების ცენტრში მოქცეულიყო, როდესაც „სოციალური პასუხისმგებლობის“ ნაცვლად „სოციალური თანასწორობის“ წამსცდა. დარბაზი შეძრწუნდა და მსხვერპლისა და გაიყინა. მისკენ მიპყრობილი თვალებით დამფრთხალი გმირი მაშინვე ბოდვის ხედის შეცდომისათვის, თუმცა დარწმუნებული არც არის, რომ აპატიებენ. საღამოს დასასრულს საჩუქრად მიღებულმა ივირუასმა პორტფელმა, რომელშიც ზანგურ კოლეჯში სწავლის გასაგრძელებლად საჭირო სტიპენდიაა, კვლავ აღადგინა მასში ამერიკული დემოკრატიისადმი და მის ქვეყანაში ყველა ფერის მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობისადმი რწმენა.

მოგვიანებით ნაწარმოებს გმირს გარდაცვლილი ბაბუას სურათთან ვხვდებით ნაჩუქარი პორტფელით ხელში. ნიშნის მოგებითა და ამაყი გამომეტყველებით იგი თითქოსდა უმტკიცებს ბაბუას მისი ანდერძის (ან „წყევლის“, როგორც მას „უჩინარი ადამიანი“ უწოდებს.) უსაფუძვლობას. მომავლადემა ბაბუამ, ამ წყნარმა და კეთილსაიმედო ზანგმა, მთელ თავის ცხოვრებას ზანგების სავრთო სტუმის დალატი უწოდა. შეაღებსა და შეიღიშვილებს საფრთხის წინაშე შეუდრეკელობა და ბრძოლა უანდერძა. „ბიძია თომა“ მეამბოხედ მოკვდა და ბავშვმა საშუალოდ დაიმახსოვრა მისი ანდერძი. იგი ბაბუას მიმართ თავს დამნაშავედ ვრძნობს, როდესაც ბედი უღიმის და სიტუაცია მის სასარგებლოდ ვითარდება. შემთავდწერილი სამახსოვრო დღის შემდეგ ქაბუკს ბაბუა ეხაზმრება. უნდა თავისი ჭილღო აჩვენოს მას, მაგრამ კონვერტში სტიპენდიის ნაცვლად მოკლე ინსტრუქცია აღმოჩნდება: „ყველას, ვისაც ეს შეიძლება ეხებოდეს: არ მოსკუთ მოსვენება ამ ზანგის ბიჭს“. სიზმარი საბედისწერო აღმოჩნდა ქაბუკისათვის: „უჩინარი ადამიანი“ მთელი ცხოვრება მართლაც შფოთვა და მოუსვენრობაა.

ნაწარმოების გმირი უკვე კოლეჯშია. დიდებული ნაგებობანი, ზნეობრივი ქადაგებანი სამლოცველოში, ნეაცრო დისციპლინა და ზანგების განათლებისათვის შექმნილი მოჩვენებითი პირობები — ყოველივე ეს შთაბეჭდილებას ახდენს მასზე. ახალგაზრდას სწამს, რომ თავისი ქვეყნის სამსახურისა და თავისი რასის სრულყოფისათვის ამზადებენ. ეგვი არ ეპარება, რომ კოლეჯის თეთრი შენობები და ზანგი ხელმძღვანელები ზრუნვას არ აკლებენ სტუდენტებს და მათზე ნამდვილად შესტიკვით გული. მხოლოდ კოლეჯში ვოფნის უკანასკნელ წელს აღმოაჩენს

იგი, რომ სამლოცველოში და მის გარეთ საუბრის ერთადერთი მიზანი სტუდენტთა თვალის ახვევა ყოფილა. საბოლოო ჯამში ისინი კოლეჯში მიღებული განათლების მსხვერპლნი ხდებიან. მათ ასევე ზანგის ტრადიციული მღვთმარების უდრტვიწველად მიღებასა და თეთრკანიანი ადამიანებისადმი ბრმა მორჩილებას.

ერთ, თითქოს უმნიშვნელო შემთხვევას, ნაწარმოების გმირის კოლეჯიდან გარიცხვა მოჰყვება: მას, ყოველგვარი განზრახვის გარეშე, ჩრდილოეთელი თეთრკანიანი მეურვე ნორტონი კოლეჯის მოსახლდრე, ზანგებით დასახლებულ რაიონში მიჰყავს და იქ გაბატონებული სილატაკისა და უზნეობის უნებლიე მოწმედ აქცევს. ყოველივე ამით შეპარწუხებული ნორტონი თხოვს თავის თანამგზავრს ბარში შეიყვანოს იგი სულიერი წონასწორობის აღსადგენად. უახლოეს ბარში იმ დღეს ფსიქიატრიული კლინიკის ავადმყოფები—ომის ვეტერანი ზანგები—ერთობიან. ამ დრინცულში ნორტონი საბოლოოდ ჰკარგავს გონებას. ერთი ვეტერანთაგანი, ყოფილი ეჭიმი, კვალიფიციურ დახმარებას აღმოუჩენს მას, შემდეგ კი თავის თავგადასავალს უყვება: ომის შემდეგ ზანგ ქირურგს ერთხანს საფრანგეთში უმსახურია, შემდეგ ამერიკაში დაბრუნებულა, სადაც სიკვდილისაგან გადაურჩენია ხელიაუფლებისათვის არასასურველი ადამიანი, რისთვისაც დაქირავებულ ხელაგნებს ცემით სიკვდილის პირამდე მიუყვანიათ. ამის შემდეგ ექიმობისათვის თავი დაუწებებია და ბოლოს ფსიქიატრიულ კლინიკაში მოხვედრილა.

ახალგაზრდა ზანგისთვის ამ ამბავში ბევრი რამ გაუგებარია. ვეტერანი ერთნიული ღიმილით მიმართავს ნორტონს:

„ამაა ცხოვრების უბრალო ფაქტებიც კი არ ესმის... რაღაცას კი გრძნობს, მაგრამ არ აზროვნებს... ითვისებს, მაგრამ არ იწვდის. ამან უყვე ისწავლა არა ნარტო ემოციების, არამედ აზრების ჩაკვლაც საკუთარ თავში. იგი უჩინარია... იგი თქვენი ოცნების სრული განსახიერებაა, სერ! მექანიკური ადამიანი!“

ცმაწვილის სიბეცითა და გულუბრყვილობით, აგრეთვე ნორტონის გაანგარიშებული ფილანტროპიით აღშფოთებული ვეტერანი ზიზღით განერიდება იქაურობას.

ნაწარმოებია გმირის საქციელით გაცოფებული კოლეჯის ზანგი პრეზიდენტი ცმაწვილს თითქმის დაეიწყებულა შეტრაცხყოფელი სიტყვით მიმართავს: „შავდრუნჩავ, სწავლულო შავდრუნჩავ, ბრავო! სამხრეთელს, უკვე დაგავიწყდა, როგორ სტყუაან?!.. მე პირჩენია, რომ ამ ქვეყ-

ნის ყველა ზანგი ერთ დღეს ჩამოახრწონ, ვიდრე თანამდებობა დაგვარგო“.



ამის ამბობს ადამიანი, რომელიც თავს ზანგი ხალხის ქირისუფლად და განსახიერებლად მიიჩნევს. გულუბრყვილო კაბუკისათვის ასე, შემთხვევით ხდება ნათელი, რომ ერთი შეხედვით სათნოებითა და კეთილშობილებით განათებული გარემო მხოლოდ ფარისევლობა და მოჩვენებითი პროგრესი ყოფილა, რომლის მიღმაც არსებული წყობილების ხელშეუხებლობისა და სქოლასტიკური დოგმატიზმის პრინციპები ბატონობენ. შესცქერის იგი კოლეჯის დამაარსებლის ქანდაკებას და გრძნობს, რომ ეს ადამიანი რიდეს კი არ ხსნის საბიდან მის წინ მუხლმოდრევილ შავკანიან მონას, არამედ უფრო მტკიცედ ამკვიდრებს მის თავის ადვილზე.

ელისონმა თავის გმირს ისეთივე სიძნელეები დაუსაბა, რომელთა წინაშეც ს. რედინგის რომანის „უცხო და ეული“ გმირი — შულტონ პოუდენი — აღმოჩნდება. მაგრამ პოუდენისაგან განსხვავებით „უჩინარი ადამიანი“ ჭედს არ ახრის სიძნელეთა წინაშე და უკეთესი ხეცდრის ძიებაშია. მასში ზიზღს იწვევს საკუთარი ხალხის მოღალატის როლი, ვინც გულმშვიდად თანამშრომლობს თეთრკანიან „ქველმოქმედებთან“ და მათ შავკანიან დამქაშებთან. იგი ჩრდილოეთში, ნიუ-იორკში მიემგზავრება.

სიმბოლურია „უჩინარი ადამიანის“ გზა სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. ეს ზანგების ძველთაძველი იმედის გზაა საჩუკვარი თავიაუფლებისა და სამარლოანობისაკენ. ამის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის ჯ. ფრანკლინი წიგნში „ამერიკის პანორამა“. სამხრეთის შტატებში ქიდან წყლის ამოსაღებად გრძელ გამოხამულ გოგრას ხმარობდნენ. მონა ზანგებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა სიმღერა მინამღერათ „ნიჰყვე წყლის სასმელ გოგრის მიერ ნახვენებ გზას“. თუ მონათმფლობელისათვის ეს მონის ჩვეულებრივი სიმღერა იყო, თვით მონისათვის სიმღერის სიტყვებს პროგრამული მნიშვნელობა ჰქონდა: თავწავრძელებული გოგრა დიდი დათვის თანაგარსკვლავედის სინბოლო იყო, სოლო გოგრის სახელურზე გამოსახული ვარსკვლავი — ჩრდილოეთის ვარსკვლავისა. მინამღერი მონებს ჩრდილოეთისაკენ, თავისუფლებისაკენ მოუხმობდა. და ისინიც მიდიოდნენ ჩვეულებად, მიდიოდნენ მონობიდან განთავი-

\* J. S. Redding, „Stranger and Alone“, N. Y. 1950.



სუფლების შემდეგაც, მიდიოდხენ იმედითა და  
ოცნებით სავსენი, მაგრამ მათთვის ზღაპრად  
ქცეულ თავისუფლებასა და თანასწორობას  
გერც „სამოთხისებურ“ ჩრდილოეთში პოულო-  
ბდნენ: რომ ეპოვნათ, აღმათ ელისონის გმირიც  
გადაურჩებოდა ამდენ ტანჯვასა და დამცირების.

ნიუ-იორკისაკენ მიმავალი ჭაბუკი კვლავ  
ხედება ავადმყოფ ვეტერანს. „ისწავლე შედა-  
პირზე მომხდარი ამბების იქეთ ხედვა, გამოდი,  
ბოლოს და ბოლოს, ნისლიდან—უებნება მას  
ვეტერანი, — გააგრძელე თამაში, მაგრამ ითა-  
მაშე შენებურად... ქვეყანა სავსეა შესაძლებ-  
ლობებით, თღონდ შეეშვი ამ ნორტონებს“.

სულით ავადმყოფი ზანგი ვეტერანი ყველაზე  
გონიერია მათ შორის, ვისთანაც ელისონის  
გმირს ურთიერთობა უხდება.

ნიუ-იორკში „უჩინარი ადამიანი“ პარლემში  
მოხედება და იქვე რჩება. იმედი აქვს, რომ აქ,  
ჩრდილოეთში სამუშაოს იშოვნის და კოლეჯის  
დამთავრებას შესძლებს. მან ჯერ არც იცის,  
რომ კოლეჯიდან „მგლის ბილეთით“ არის გარი-  
ცხული. მას ხელთ აქვს კოლეჯის პრეზიდენტის  
„სარეკომენდაციო წერილები“. ამ წერილებით  
დადის იგი დაწესებულებიდან დაწესებულებაში  
სამუშაოს შოვნის იმედით, ვიდრე ერთი გულ-  
ჩვილი თეთრკანიანი „სარეკომენდაციო წერი-  
ლის“ ასლს არ იჩვენებს. მხოლოდ ახლა იგებს  
კმაწვილი, თუ რა „რეკომენდაცია“ მისცა მას  
პრეზიდენტმა. პრეზიდენტი წერილის ყველა  
აღრესატს თხოვს არაერთაბი დახმარება არ  
აღმოუჩინონ კოლეჯიდან სამუდამოდ გაძევ-  
ებულ ზანგს, ვინაიდან „იგი საზოგადოებრივი  
სიმშვიდისა და პარმონიისათვის საფრთხეს წარ-  
მოადგენს“. ჭაბუკში უკვალოდ ქრება რწმენა  
კოლეჯის ადმინისტრაციის სამართლიანობისა  
და სიბრძნისადმი. შედარებით უფრო ხანგრ-  
ძლივი აღმოჩნდა ილუზია კოლეჯის ჩრდილოე-  
თელი მეურვის სიკეთისა. გმირის შეგრძნებაში  
იწყება ღრმა სოციალური პროტესტის ჩამო-  
ყალიბება, თუმცა ამისი პირველი გამოვლინება  
შეცდომით კოლეჯის პრეზიდენტად მიღებული  
უცნობის მიმართ მხოლოდ ხულიგნური აქტის  
სახეს ღებულობს. ამ დროისათვის „უჩინარი  
ადამიანი“ ახერხებს თეთრი საღებავის დამამ-  
ზადებელ ფაბრიკაში მოწყობას.

თეთრი და შავი ფერი სიმბოლურია ელისონ-  
ისათვის. ფაბრიკაში ახალგაზრდა ზანგს ასწავ-  
ლიან თეთრ საღებავში 10 წვეთი შავი

<sup>1</sup> შავი საღებავის ათი წვეთი ამერიკის მთელ  
მოსახლეობაში ზანგების ხვედრითი წონის  
(10%) სიმბოლოა.

საღებავის გაზავებას უმაღლესი ხარისხის მისა-  
ღებად. „ნეტა ყველაფერი ამ საღებავით  
თეთრია თეთრკანიანებში?“ — ირონიულად კი-  
თხულობს ელისონის გმირი. გამოუცდელი  
ახალგაზრდა საღებავს შეეცდომი 10 წვეთ  
სწავა სითხეს დაუმატებს (რაც თეთრ საღებავში  
შავ მინარევს გამოავლენს) და ამით ფაბრიკის  
ადმინისტრაციის რისხვას იმსახურებს. ეს ეპი-  
ზოდიც სიმბოლურია. ელისონის ახალგაზრდა  
ზანგს ამ ავბედითი სითხის ფუნქცია აქვს და-  
კისრებული თეთრებსა და შავებს შორის, ამე-  
რიკის შეერთებულ შტატებში დამკვიდრებულ  
სოციალ-ეკონომიურ ურთიერთობათა კომპლექს-  
ში: მიაშიტობის გამო ვერ ეგუება ურთიერთო-  
ბათა ამ მოჩვენებათ კეთილგანწყობილებას,  
ასეთი რომ კი დაუსჯელად არ რჩება, და  
„უჩინარი ადამიანი“ უარეს პირობებში გადა-  
ყვთ სამუშაოდ. სარდალში მოთავსებულ ლაბო-  
რატორიაში ზანგი ოსტატის ბროკვეის ხელ-  
მძღვანელობით იგი საღებავის მასალას ამზა-  
დებს. საინტერესო პიროვნებაა რომანში ზანგი  
ოსტატი ბროკვეი. ეს ძირითადად პატიოსანი,  
მუყაითი, გამრჯე კაცი ერთი აკვიატებული  
ახრითაა შეპყრობილი: ყველა ხელქვეითში  
თავის მეტოქეს ხედავს. ოსტატის ადგილი არც  
თუ ისე დიდ შემოსავალს იძლევა, მაგრამ ბრო-  
კვეიმ მისი დაკავება ხანგრძლივი და აუტანელი  
შრომის საფასურად შესძლო. მას სჯერა თავისი  
შრომისა და, ცოტაოდნად, ფაბრიკის ადმინის-  
ტრაციის სიკეთისა. იგი პროფკავშირების მტე-  
რია და არ სწამს მათი საქმიანობისა. ბროკვეი  
მარტოხელა მშრომელია, რომელიც საკუთარი  
მოვალეობის გარდა ვერაფერს ვერ ხედავს და  
ზედ დაჰკანკალებს თავის თანამდებობას. ამგვა-  
რად, ნაწარმოების გმირი ორმაგი ჩაგვრის ქვეშ  
აღმოჩნდება: მას ერთნაირად ავიწროებს ფაბრი-  
კის ადმინისტრაციაც და ზანგი ოსტატიც.

ოსტატის სახით ელისონმა თავისი უარყოფი-  
თი დამოკიდებულება გამოხატა ბროკვეის მაგ-  
ვარი ვიწრო, ბრმა ინდივიდუალისტებისადმი.

ფაბრიკაში მომხდარი უბედური შემთხვევის  
გამო ჭაბუკი საავადმყოფოში მოხედება. ოპე-  
რაციამ, რომელიც მას უნდა გაუკეთონ, შეიძ-  
ლება პაციენტის მეხსიერების დაკარგვა გამო-  
იწვიოს, მაგრამ საავადმყოფოს ქირურგი ცი-  
ნიკურად დაასკვნის: ზანგის მიერ ინდივიდუ-  
ლობის დაკარგვა დიდ უბედურებას არ მოუ-  
ტანს ამერიკის საზოგადოებასო. არც ეს დე-  
ტალია შემთხვევით მოხვედრილი რომანში:  
მთელი ნაწარმოები გამსჭვალულია ზანგის (სა-  
ერთოდ ადამიანის) მიერ საკუთარი „მე“-ს,  
საკუთარი ინდივიდუალობის ძიებით. ამ თემით  
არის შედუღებული ელისონის მთელი შემოქ-

მედება — ნარკვევები, წერილები, მოთხრობები და ინტერვიუებიც კი<sup>1</sup>.

„Paris Review“-ს 1955 წ. აპრილის ნომერში გამოქვეყნებულ ინტერვიუში, კითხვაზე, სთვლის თუ არა იგი ადამიანის მიერ საკუთარი ინდივიდუალობის ძიებას უმთავრესად ამერიკულ თემად, ელისონმა გადაჭრით უპასუხა, ეს უპირველეს ყოვლისა ამერიკული თემააო. ამ თემამ წამყვანი ადგილი დაიკავა არა მარტო ელისონის, არამედ ბოლდუინის, აბლაიკის, ლეროი ჯონსის, სელინჯერისა და სხვა თეთრკანიანი თუ ზანგი მწერლების შემოქმედებაში.

„უჩინარ ადამიანზე“ ოთხი წლით ადრე გამოქვეყნებულ ნარკვევში „პარლემში, ესე იგი — არსად“ ელისონი წერს: „თუმცა არასრულფასოვანი მოქალაქენი, მაგრამ მაინც ამერიკელი, თანამედროვე ადამიანის შინაგანი სირთულით აღსავსენი, მაგრამ მაინც პრიმიტივებად მიჩნეულნი, ამერიკელი ზანგები საკუთარი ინდივიდუალობის გაშმაგებულ ძიებაში არიან. უარყვეს რა მათთვის განკუთვნილი მეორე ხარისხოვან მოქალაქეთა როლი, ისინი გრძნობენ საკუთარ განმარტობას, და მთელი მათი სიცოცხლე პროცესია ბასუხის ძიებისა კითხვებზე: ეინ ვარ მე? რა ვარ მე? სად ვარ მე? რატომ ვარ მე? საყურადღებოა, რომ პარლემში შეკითხვაზე: „როგორ ხარ?“ ჩვეულებრივ ერთი პასუხი ისმის — „ეჰ, ძეგო, მე არ ვარსებობ“.

საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ „უჩინარ ადამიანს“ პარლემში ერთხანს გულკეთილი, უბრალო ზანგი ქალი მერი შეიკედლებს. იგი გამოჯანმრთელდება და იწყებს სამუშაოს ძებნას. სამუშაოს ძებნის პროცესში მისი შეგნება შემდგომ ევოლუციას განიცდის. თითქოს პირველად აღიქვამს იგი საკუთარი ხალხის უბედურების სიღრმეს, გრძნობს ამერიკელი ზანგების მდგომარეობის მთელ ტრაგიზმს, მათ უფულებობასა და უწყობას. პოლიციის მიერ მოხუცი ზანგების ბინიდან გამოსახლების შემზარავი სცენა მასში უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის სულისკვეთებას აღვიძებს. მისი აღზნებული სიტყვები ადვილად აღწევენ მიზანს. რამდენიმე წუთის წინ ჯერ კიდევ უსახო და პასიური ბრბო სამართლიანობისათვის მებრძოლ კოლექტივად იქცევა. აქვე აღმოჩნდება პარლემის ზანგების მოძრაობის ერთ-ერთი

თეთრკანიანი ლიდერი. ამ უკანასკნელის მეოხებით „უჩინარი ადამიანი“ მედება თეთრკანიანების მიერ დაარსებულ პოლიტიკურ ორგანიზაციაში „ძმობა“, რომელიც ზანგების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ებრძვის. „ძმობის“ სახით ელისონმა შექმნა თეთრკანიანების მიერ ზანგთა დასახმარებლად დაარსებული ერთ-ერთი პოლიტიკური ორგანიზაციათაგანი. ასეთი ორგანიზაციებია ხელმძღვანელობას კეთილშობილური იდეები ამოძრავებს, მაგრამ უხერხემლო პროგრამის გამო უნარი არ შესწევს მჭიდრო კონტაქტს დაამყაროს ზანგურ მოსახლეობასთან.

ჭაბუკი აღფრთოვანებულია „ძმობის“ მიერ მასზედ დაკისრებული ვალდებულებით: მან, როგორც ტრიბუნმა, უნდა „აანთოს“ ხალხი, ხოლო „ძმობა“ საჭირო მიმართულებას მისცემს ხალხის აქტიურობას. თუ „ძმობაში“ შესვლა არსებულს წყობისადმი გმირის შეგნებული პროტესტის ერთგვარი გამოვლინებაა, შენდევ კვლავ იზენს თავს მისი ბუნებისათვის დამახასიათებელი ბრმა რწმენა. ამჯერად იგი „ძმობის“ ხელმძღვანელობისადმი ბრმა რწმენის მსხვერპლად გვევლინება. მან თითქმის მაღწია იმას, რასაც ეძებდა, მაგრამ ელისონის გმირის ხედური ხომ რწმენას უწყვეტი ინფლაციაა, და ბუდი მას არც აქ „ლალატობს“. დარწმუნებული საკუთარ ძალაში და იმაში, რომ თეთრკანიან მოლუაწეებზე უკეთ ესმის თავისი ხალხის კირვარაში, იგი უკვე ცდილობს დამოუკიდებლად იმოქმედოს (კიდევ ერთი ცდა საკუთარი ინდივიდუალობის ძიებისა). მის რწმენაში ჩნდება ბზარი, რომელიც უღითილდე ფართოვდება. იგი უკვე აშკარად ხედავს, რომ „ძმობას“ უნარი არ შესწევს კაპიტაროს რადიკალური ღონისძიებანი, რის გარეშეც ყოველგვარი ლაპარაკი ზანგების მდგომარეობის გაუმჯობესებაზე მხოლოდ სიყალბეა. ამიტომია რომ ძმობას სტოეებს ახალგაზრდა ზანგი ტოდ კლიფტონი, რომელიც შემდეგ პოლიციელის ხელით იღუპება. ელისონის გმირისათვის ნათელი ხდება საკუთარი როლი მარიონეტისა, დაქირავებული თრაქტორისა და არა შეგნებული მებრძოლისა. თვითონ „ძმობის“ შიგნითაც მწიფდება კრიზისი. მოვლენათა განვითარებამ კვლავ მოუსპო გმირს საკუთარი „მე“-ს პოვნის პერსპექტივა. თავის ბუნაგში გამოკეტილი „უჩინარი ადამიანი“, როგორც თვითონ ამბობს, ზამთრის ძილს მისცემს თავს. „ზამთრის ძილის“ პერიოდი ყველაზე მძიმეა მის ცხოვრებაში. ბუნაგში თავის თავთან მარტოდ დარჩენილ გმირს ეწყება ღირებულებათა გადაფასების მტკივნეული პროცესი. ელისონი აქ წყვიტს

<sup>1</sup> R. Ellison. „Harlem is Nowhere“ (1948), „The Art of Fiction“ (1955), „Change the Joke and Slip the Yoke“ (1958) და კრებული „Shadow and Act“-ის (1964) სხვა წერილები.

რომანს, მაგრამ ცხადია, რომ მისი გმირის მსოფლმხედველობაში სწორედ ამ დროს ხდება ძარბადი გარდატეხა. მართალია, იგი ჯერ კიდევ ბუნდოვნად ხედავს მომავალს, მაგრამ მტკიცედ სწამს, რომ მთელ თავის ძალას მოახმარს საკუთარი ხალხის უცუთესი მომავლისათვის ბრძოლას. ჯერ კიდევ ბევრი რამ არ არის მასთვის ნათელი. ერთი რამ ცხადია: სამუდამოდ მოკვდა მასში გულუბრყვილო, მიმადობი ყმაწვილი, რომელსაც უცუთესად სწამდა ავტორიტეტებისა, სკოლაში იწუნებოდა ეს თუ საზოგადოებრივ ასპარეზზე.

ასე მთავრდება „უჩინარი ადამიანი“ გზა კრძობიდან სიმწიფემდე. ასე აღმოაჩენს იგი თავის უჩინარობას — არავის არ სურს ღაინახოს მასში პიროვნება. კოლეჯში, ფაბრიკაში თუ „ქობაში“ — არსად არ სთვლიდნენ მას ადამიანად, არავინ არ ხედავდა მას, ყველა მხოლოდ მისი ლაპარაკისა და მუშაობის უნარს იყენებდა. მას თითქოს ესმის კიდევ თავისი უჩინარობის მიზეზი — „უჩინარობა, რომელიც მე მაქვს მხედველობაში, წარმოიშობა იმ ხალხის რაღაც განსაკუთრებული თვალთახედვის შედეგად, რომლებთანაც ურთიერთობა მიხდება. ეს შედეგია მათი შინაგანი თვალთახედვისა, რომლითაც ისინი ხედავენ რეალობას.“

ელისონის გმირი უჩინარია როგორც თეთრკანიანებისათვის, ისევე იმ ზანგებისთვისაც, რომელნიც მასთან თანამშრომლობენ. მაგრამ ეს ხომ მაინც არ ნიშნავს იმას, რომ იგი სავსებით არ არსებობს. იგი ცხოვრობს ქვეყანაში, რომელიც, ბუნებრივია, სახლია მისი, სხვა სახლი მას არა აქვს და არც უნდა, რომ ჰქონდეს. მაგრამ თუ ამ ქვეყანაში მაინც უსახლკაროდ გრანობს იგი თავს? რა არის საჭირო, რომ ამერიკაში მან, როგორც საკუთარ სახლში, ისე იგრანოს თავი? ამ კითხვებზე პასუხის ძიება მისი არსებობის აზრად იქცევა.

წიგნში „უფრო მიმზიდველი სამყარო“ ი. პოუ ელისონის რომანის უკანასკნელ ნაწილს განიხილავს როგორც გმირის მორჩილებიდან ავტონომიისაკენ ოდისევსისებური მოგზაურობის დასასრულს. <sup>1</sup> გარემო სამყაროსა და ყველა ნაცად საშუალებებში იმედგაცრუებელი „უჩინარი ადამიანი“ განგრძობს ყველას და ყველაფერს, უარყოფს ყოველგვარ ავტორიტეტს. მაგრამ აქ არსებითი იმედგაცრუებული, მერყევი ახალგაზრდის „უღანოში გაჭრა“ როდია. არც სიმარტოვეა მისი განზე განდგონის თვით-

მიზანი; ეს უბრალოდ საშუალებაა მისთვის საკუთარ თავში და მის გარემოშივე პროცესში გარკვევისა. მან თავიდან უნდა გაიაროს ბევრი რამ და ამიტომ განმარტოვდება „სოროში“, როგორც თვითონ უწოდებს თავს, სადაც ცხოვრობს. „უჩინარობა“ მისი პრინციპების ჩამოყალიბებლობაზე და მის სულში დაგროვილი პროტესტის უაზრო გამოვლინებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ თავისი სარდაფი მას უამრავი ნათურით აქვს განათებული (1359 ნათურა). ელექტროენერჯის ფულს არ იხდის და ამით გარკვეულ მონოპოლიებს „ებრძვის“.

რომანის დასასრული კრიტიკოსთა განსაკუთრებული დღვის საგნად იქცა. ბევრმა ელისონში პესიმიტი და ინდივიდუალისტი დაინახა. ელისონის რომანს ადარებდნენ დოსტოევსკის „ჩანაწერებს იატაკქვეშეთიდან“ და რ. რაიტის აშკარად დეკადენტურ ნოველას „ადამიანი იატაკქვეშეთიდან“<sup>1</sup>. სამივე ავტორის შემოქმედებითი ხერხის მსგავსებიდან გამომდინარე ახალოვია საოცრად ზედაპირული და ხელოვნურია. სამივე ავტორის გმირები თავიანთ ავბედით ცხოვრებას იატაკქვეშეთიდან მოგვიოხრობენ (იატაკქვეშეთი აქ სიტყვასიტყვით არ უნდა იქნეს გაგებული). ყველანი სოციალური მიზეზით გამოწვეულმა განსხვავებამ მიიყვანა ნებაყოფლობით თვითიზოლირებამდე, მაგრამ ამავე დროს არ შეიძლება ელისონის, დოსტოევსკისა და რაიტის გმირების ბედთა სხვაობის დავიწყებაც; ელისონის „უჩინარი ადამიანისათვის“ იატაკქვეშეთი ცხოვრებისა და აზროვნების ბოლო ფაზა კი არ არის, არამედ ძიების გრძელი ჯაჭვის ერთი რგოლია. ელისონმა იმიტომ ჩაეტია თავისი გმირი „სოროში“, რომ სწორედ იქ მისულიყო იგი სიმარტოვისა და ცხოვრებიდან განდგომის უარყოფამდე. სწორედ იქ მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას დაუბრუნდეს თავის ხალხს, იცხოვროს და იბრძოლოს მასთან ერთად. თუმცა ბურჟუაზიული კრიტიკა ცდილობს „უჩინარ ადამიანში“ ნიპილიზმის ნიშნები აღმოაჩინოს და ეგზისტენციალურ ნაწარმოებებს დაუახლოვოს, ბევრი კრიტიკოსი იძულებულია აღიაროს რომანის დასასრულის ოპტიმისტური ელერადობა.

„ელისონის გმირის პასუხებში ცხოვრების მიერ დასმულ კითხვებზე ჩანს მისი შეზღუდულობა. მაგრამ შეზღუდულობაზე მეტად — შინაგანი თავისუფლება; ჩანს სიძულელი, მაგრამ

<sup>1</sup> I. Howe, „A world More Attractive“. N. Y., 1963.

<sup>1</sup> R. Wright, „The Man Who Lived Underground“. N. Y., 1944.

საკუთარი სტატუსის წინააღმდეგ. ელისონის ზანგი „პროტესტის რომანის“ ზანგისაგან იმით განსხვავდება, რომ ის ამავე დროს კრიტიკულად უდგება გარემო სამყარო, ეძებს თავისი „განსხვავების“ მიზეზს, მზად არის მასთან საბრძოლველად. იგი არ უვირის ტკივილისაგან და არ ეძებს გულჩვილთა თანაგრძნობას, თუ „პროტესტის რომანი“ ზანგების იმ ტანჯვა-წამების ერთი მთლიანი ეპოპეაა, საიდანაც გამოსავალი არ არსებობს, ელისონმა თავის რომანში ზანგის მდგომარეობის შემადრწუნებელი სურათიც მოგვცა და, რაც მთავარია, ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელ გზათა შიდაგებლად აკურთხა თავის „უჩინარი ადამიანი“.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „უჩინარი ადამიანის“ მხატვრული მხარე იდეურზე გაცილებით ძლიერია, ავტორის სტილი მეტყველებს, რომ იგი ერთნაირი სიძლიერით ფლობს როგორც ტრადიციულ, რეალისტური თხრობის სტილს, (კონკრეტულ შემთხვევაში—გმირის პირით), ასევე არცთუ ისე დიდი ხნის წინ დამკვიდრებულ, ტრადიციულისაგან განსხვავებულ სტილს, როგორც არის დაწერილი რომანის შესავალი და დასკვნითი ნაწილი. ძალზე შთაბეჭდავი, ოდნავ ჯოხისებური, პროლოგი და ეპილოგი, თუშცა განსხვავდებიან რომანის ძირითადი ნაწილის რეალისტური თხრობისაგან, მშვენიერად ეთვისებიან მას. ეს ქმნის თხრობის ისეთ ჩარჩოს, სადაც ზუსტად და ფაქტობრივად გამოცემული გმირის განწყობილება, მისი ძრწოლა და ემოციათა სირთულე, ნაწარმოებია ამ ნაწილებს (პროლოგი და ეპილოგი) ალეგორიული ხასიათი აქვთ; საშინელი სახეები ზანგი ხალხის შიშზე ხედავს ასოციაციას იწვევს, ხოლო დედის ხმა თავისუფალი მომავლის სიმბოლოა.

ნარკვევში „რომანის ხელოვნება“<sup>1</sup> ელისონმა ახსნა, თუ რატომ მოიშველია მან რამდენიმე მეთოდი რომანზე მუშაობისას. პროლოგსა და ძირითად ნაწილს შორის არსებული მკვეთრი განსხვავება ხაზს უსვამს უფსკრულს, რომელიც არსებობს რომანის ძირითად ნაწილში გულუბრყვილო, ხშირად თავგზააბნეულ და პროლოგში ცხოვრების სიმწველევით გამოწრთობილ გმირს შორის. გარდა ამისა, როგორც თვითონ ელისონი ამბობს, ცხოვრების სტილის ცვლილებით ერთად იცვლება ავტორის მეთოდიც. სამხ-

რეთისათვის დამახასიათებელ დაუფარავ ცინიზმსა და ტრადიციულ არაორაზროვნულ პრინციპებს, ელისონის აზრით, ზოგიერთ ნატურალიზმში გადასულ რეალიზმში, მეთოდი უფრო შეესატყვისება გმირის ჩრდილოეთში გადნაცვლებასთან ერთად, ნაცნობი გარემოს წყარებითი სტაბილურობის უცნობი სიტუაციით, დიდი ქალაქისათვის დამახასიათებელი ცხოვრების მსუფოთვარე ტემპით შეცვლასთან ერთად (სადაც ავტობუსში თეთრკანიანი ქალის მეზობლობაც კი ღრმა ემოციებს იწვევს მასში), თხრობის სტილიც უფრო ექსპრესიონისტულ იერს ღებულობს. მოგვიანებით (სცენა საავადმყოფოში, ტოდ კლიფტონის სიკვდილის ეპიზოდი, რასობრივი ჯანყის სცენა და სხვ.) ექსპრესიონიზმი სურეალიზმს უთმობს ადგილს, რაც უკეთესად გადმოგვცემს მდგომარეობის არარეალურობას, რაღაც მოუხელთებელ გრძნობებს, რომლებიც ისევე სწრაფად სტოვებენ გმირს, როგორი მოულოდნელობითაც წარმოიქმნებიან მასში, განწყობილების შეუქმნველ ცვლილებას თუ უეცარი აზრის დაბადებას. ამრიგად, მეთოდთა მრავალფეროვნება, რომლებითაც შექმნილია ნაწარმოების ცალკეული ეპიზოდები, ასახავს გმირის ცნობიერებასა და მისი გარემომცველი საზოგადოების მდგომარეობას.

„უჩინარი ადამიანი“ სავსეა სიმბოლური მომენტებით. სიმბოლურია როგორც ცალკეული ეტაპები გმირის ცხოვრებისა, ასევე ცალკეული მომენტებიც ამ ეტაპებისა. შიშველი მოცეკვავე ქალი, რომელსაც მუცელზე ამერიკის დროშა აქვს მოსვირინგებულო, ამერიკის საზოგადოების ცინიზმისა და ამავე დროს მისი მსხვერპლის სიმბოლოა. ბრმა მოძღვარი ბარბი ზანგების მოძრაობის იმ ბრმა ხელმძღვანელთა სიმბოლოა, რომლებიც ბრძოლის განმანათლებლობით შეცვლას მოითხოვენ და ამ გზით რასის „გაუმჯობესების“ თეზისს ებლაუჭებიან. კოლეჯის პრეზიდენტი ბლედსუ ზანგური რენეგატიზმისა და კოლაბორაციონიზმის განსახიერებაა. მისტერ ნორტონი ჩრდილოეთის არცთუ უანგარო ფილანტროპიის სიმბოლოა. სიმბოლურია გმირის მიერ თავისი ატესტატის დაწვაც (გმირი უარყოფს განათლების ამერიკული სისტემის ღირებულებებს). „ძმობის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელის, ჯეკის შეშის თვალთ სიმბოლურად გამოხატავს ორგანიზაციის უუნარობას დაინახოს და ჩასწვდეს ზანგების ნამდვილ გასაჭირს. გმირის მიერ თოჯინის დაწვა, რომელიც მომღამარე, პირფერ ზანგს გამოსახავს, თეთრების მიერ შექმნილი ზანგური სტერეოტიპის უარყოფაა.

ზოგიერთი კრიტიკოსი აღნიშნავს ელისონის

<sup>1</sup> R. Ellison, „The Art of Fiction“ in coll. „Sadow and Act.“,

„უჩინარი ადამიანისა“ და კაფკას „კოშკის“ დეტალთა მსგავსებას. კოლეჯის პირველდამაარსებელი მართლაც ჩამოკვავს კოშკის მფლობელს, ხოლო უსახელო გმირი კაფკას კ.-ს გეგონებს. აფკას კ. (ვინ არის იგი, თვითონ ავტორი თუ ადამიანი საერთოდ?) ისეთივე გამოცანაა, როგორც ელისონის გმირი, მითუმეტეს, რომ თვითონ ელისონმა უარყო რომანის ავტობიოგრაფიული ხასიათი. ორივე გმირი ერთნაირად უხილაეია გარემომცველთათვის, მაგრამ თუ კაფკას კ. შეგუებულია თავის ხედვას და არაფრის შეცვლას არ ცდილობს, „უჩინარი ადამიანი“ ნებად არის ებრძოლოს თავის უჩინარობასა და მის გამომწვევ მიზეზებს.

მაკ კორმიკი წიგნში „კატასტროფა და წარმოსახვა“ კაფკას ბრმად მიმბაძველებსაგან ცალკე გამოჰყოფს იმ მწერლებს, რომელთაც შემოქმედებითად გადაამუშავეს მისი მეთოდი და „ალეგორიის სადღესო გამოყენების სრულიად ახალი ასპექტი აღმოაჩინეს“. „კაფკა და მისი ბრმად მიმბაძველები—განაგრძობს მაკ კორმიკი—ისტერიული ტონით წერენ, მათი გმირები დამთხვეულები არიან, ყოველი მათგანი თავისებურად ჯვარცმულია. ისეთი მწერლებისთვის კი, როგორნიც რ. უორნერი, ს. გესტონი, მეილერი და რ. ელისონი არიან, ალეგორია სიმამაცის დამამტკიცებელი საშუალებაა“<sup>1</sup>.

„უჩინარ ადამიანში“ აშკარად იგრძნობა ანგლო-ამერიკულ ლიტერატურაში ბოლო ხანებში დამკვიდრებული ტენდენცია XIX და XX საუკუნეთა ლიტერატურული მეთოდების ურთიერთ შერწყმისა. ნაწარმოების გმირი ავტორის alter ego-ს კი არ წარმოადგენს, არამედ დამოუკიდებელი პირია: პროლოგში გმირი თვითონ სახავს ძირითად თემას („მე ვარ უჩინარი ადამიანი“). დიდი ხელოვნებით დაწერილ ეპიზოდებში „უჩინარობის“ თემა კვლავ და და კვლავ წარმოგვიდგება დრამატულ ვითარებაში. ეს ეპიზოდები უდავოდ კაფკასებურნი არიან თავიანთი დრმა სიმბოლიზმით, მაგრამ ფესვები გაცილებით ღრმად აქვთ გამჯდარა რეალურ ნიადაგში.

რომანში მოცემულია მთელი სერია ეპიზოდებისა, რომლებიც გმირის მიერ საკუთარი ინდივიდუალობის ძიებისა და მისი გონების ევოლუციის ცალკეულ ეტაპს წარმოადგენენ. პირველი ეპიზოდი—საზეიმო საღამო, სადაც გმირი თავის სამადლობელი სიტყვით გამოდის, — იმდენად სიმბოლურია და ისეთ ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებს, რომ თითქოს მის ფონზე

მხატვრული ძალი უნდა დაჰკლებოდით მომდევნო სიტუაციებს. მაგრამ ელისონის ოსტატობა სწორედ იმაშია, რომ მთელი ნაწარმოები შეაღმავალი დინამიზმით ვითარდება თანაბრად დახვეწილი გემოვნებითა და დიდი ემოციური ზემოქმედების ძალით კერძო გეგმობული გმირის კოლეჯში სწავლეულ დროსწინა ფათერაკებიცა და ნიუ-იორკის პერიოდის თევზადასაფლებიც.

ნაციონალისტებისაგან დევნილი „უჩინარი ადამიანი“ თავის შენიღბვის მიზნით მტკ სათვალეებს იკეთებს და ტანსაცმელს იცვლის. ახლებურად გამოწყობილს, ხალხი მას ვინმე რაინპარტიად ღებულობს. რაინპარტი რთული სიმბოლური სახეა. დროთაღმდეგად იგი ადამიანის ჯანმრთელობისთვის უფლებელ შინაგან ძალად გვევლინება, და ამ გაგებით იგი დადებითია. ამნაირად წარმოუდგება რაინპარტი გმირს რომელიც მომენტში, მაგრამ რაინპარტი—აშკარად მოთამაშე და სუტენიორი, დამნაშავეთა ბნელ სამყაროში მიღებული ადამიანი, მოძღვარი, რომელიც თავის ქადაგებას ელექტროგიტარის ოანხლებით ყითხულობს—მხოლოდ მრავალსახოვანი ტყუილია. გმირი ითვისებს მის სახელს და მოძღვრებას, რაც ვითარებასთან შეგუებაში მდგომარეობს. კრიტიკოსთა ნაწილმა ამ ადგილას ფაქტიურად დამთავრებულად ჩასთვალა გმირის ძიებათა პერიოდი, მაგრამ „მე ვინდოდა მეთქვა მათთვის (ხალხისათვის—თ. ს.), რომ რაინპარტი — ტყუილია — გვეუბნება „უჩინარი ადამიანი“ და მართლაც მალე ჩამოიხსნის ამ ნიღბს. „... გმირი უარყოფს შესაძლებლობას, რომელსაც რაინპარტი განასახიერებს იმიტომ, რომ რაინპარტი ანტისოციალურია“<sup>1</sup>. — ზუსტად აღნიშნავს მ. კლაინი, ამასთანავე ადამიანის მორჩილება ქაოსისადმი, რასაც რაინპარტი განასახიერებს. შეოთავისებულია ელისონის რწმენასთან, რომ გონება ქაოსის დასამორჩილებლად არის შექმნილი. „უჩინარ ადამიანში“ გატარებული ეს აზრი ამტკიცებს ელისონის პუბლიცისტურ ნაწარმოებებში არაერთხელ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ხელოვნება, და კერძოდ რომანი, მოწოდებულია დაიმორჩილოს ქაოსი და სამყაროში ჰარმონია შექმნას.

რომანში ფართოდ არის ასახული ამერიკის საზოგადოების სხვადასხვა ფენების ცხოვრების სცენები. მ. მილგეიტი აღნიშნავს, რომ „თუმცა ს. ბელოუს „ოგი მარჩის თევზადასაფალი“, რ. ელისონის „უჩინარი ადამიანი“ და ჯ. კერუა-აკის „გზაზე“ სხვადასხვა მანძილით უახლოვდე-

<sup>1</sup> J. McCormick, „Catastrophe and Imagination“, pp. 290-291.

<sup>1</sup> M. Klain, „After Alienation“, N. Y. 1964. p. 124.

ზიან სათაფლადსავლო რომანს, მათ ერთი რამ აერთიანებთ — მათი ავტორები ხედავენ და ნათლად გადმოგვცემენ ამერიკის ცხოვრების სიმდიდრესა და მრავალფეროვნებას<sup>1</sup>.

რალფ ელისონი ბევრს მოგზაურობდა და ცხოვრობდა ამერიკის სხვადასხვა კუთხეში. იგი თვითონ ჩამოთვლის, თუ ვისთან უხდებოდა ურთიერთობა: ჯაზის მსახიობები, ომის ვეტერანები, ყოფილი მონები, ნარკომანები, კახპები, ალფონსები, სასულიერო პირები, მომღერლები, ფერმერები, ავტომძღოლები, რკინიგზელები, ლოთები, მოკრივეები, ახარტული მოთამაშეები და ათასი ჯურის მაწანწალები. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „უკანა კარადან“ შედიოდნენ მის ცხოვრებაში. აქვე შევვიძლია დავეუბნოთ, რომ ელისონი მიღებული იყო აკადემიურ წრეებსა და ხელოვნების სამყაროში, რომ მან, როგორც ამერიკის ხელოვნების აკადემიის სტიპენდიანტმა, ორი წელი გაატარა იტალიაში, შემოიარა მიქსიკა და ამოგზაურა აღმოსავლეთის კარიბებში.

ელისონი კარგად იცნობს ამერიკის სხვადასხვა კუთხის ზანგთა კილოციებს და ოსტრატურად იყენებს მათ. მშვენიერია დასავლეთელი ზანგი ქალის მეტყველება. როდესაც იგი ქმარს ძალადობისადმი წინააღმდეგობისაკენ მოუწოდებს. მაღალი პროფესიონალიზმითა და საოცარი შთაბეჭდავი ძალით არის გადმოცემული სამხრეთელი მოიჯარადრე ზანგის ტრუბლადის მიერ საკუთარი ქალიშვილის გაუბატოვების ამბავი. ბონებრივი და კოლორიტოლია პარლემის მკვირთა დიალიქტი. საინტერესო და დასამახსოვრებელია ზანგი ნაციონალისტის რასის სახე. რომელიც ნაწარმოების ერთ-ერთ ფინალურ სცენაში ეთიოპიელი მეომრის კოსტიუმში გამოწყობილი, ცხენზე ამხედრებული, უშიშრად შეერთაქება პოლიციას. თავისი ხალხის განთავისუფლების იდეით შეპყრობილი შავკანიანი დონ კიბოტი სკადიან ლიმილს იწვიის. ამავე დროს რასი მიმზიდველი ფიგურაც არის; მისი გამოსვლები მჭევრმეტყველურია და გულწრფელი<sup>2</sup>.

<sup>1</sup> M. Milagte, „American Social Fiction“, IV V“ 1964. p. 87.

<sup>2</sup> შავი ნაციონალისტის საჯარო გამოსვლების მჭევრმეტყველებას რეალური საფუძველი აქვს: 1950 წ. ელისონი რამდენიმე ლიბერალს დაუახლოვდა, რომლებმაც ზანგებისადმი თავიანთი კეთილგანწყობილების გამოვლინების საშუალებად გაიხადეს გაუთავებელი ლაპარაკი იმაზე,

კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლებოდა „უჩინარი ადამიანის“ მხატვრულ ღირსებაზე, მაგრამ ამ წერილის მოკულობა და დანიშნულება არ იძლევა ამის საშუალებას. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მხატვრული მხარე რომანისათვის თავისთავადი და განუყოფელია. „ეს არ არის, არამედ ელისონის უნაწარმოებელი მხარეთა თემის — ამერიკის სინამდვილის უარყოფისა და ამ სინამდვილის მიმართ ზანგის პოზიციის ჩამოყალიბების — უფრო ღრმად გახსნის საშუალება.

„ძიებისა“ და „განრიდების“ თემა მარკ ტვენის დროიდან არის ტრადიციული ამერიკულ ლიტერატურაში. ელისონის რომანში თემის ტრადიციულობამ არათუ მიჩქმალა, არამედ უფრო მკაფიოდ გამოაქვინა ამერიკის ცხოვრებაში „ჭეკლებრი ფინის“ შემდგომი სოციალური, მორალური და ფსიქოლოგიური ძვრება. მარკ ტვენის გმირს ერთი დიდი უპირატესობა აქვს „უჩინარ ადამიანთან“ შედარებით: პირველს შეუძლია მოძებნოს თავისუფლება არკანზასის აუთვისებელ ტერიტორიაზე, მაშინ როდესაც ელისონის გმირი XX საუკუნის ადამიანია და მისთვის ველად გაჭრის პერსპექტივა გამორიცხებულია. ზემოთ უკვე ვთქვით, რომ „უჩინარი ადამიანისათვის“ თავისუფლება თვითმიზანს არ წარმოადგენს. საზოგადოება მისთვის მტრული ძალაა იმიტომ, რომ ის არ აძლევს მას საშუალებას იყოს პატიოსანი, გზას უღობავს მას კეთილშობილი, უანგარო შრომისაკენ. რთულსა და ხანგრძლივ ძიებას „უჩინარი ადამიანი“ მაინც ხალხთან მიჰყავს. იგი მტკივნეულად განიცდის ადამიანებისაგან განრიდებას, რადგან ადამიანის ნამდვილი ადგილი საზოგადოებაშია. იგი ცხადად გრძნობს XX საუკუნის კუშმარტებას — „მარტოხელა ადამიანს არაფერი შეუძლია. „უჩინარი ადამიანი“ წმინდა ამერიკული მოვლენაა. მის იდეალებს ალტრუიზმის იერი დაჰკრავს. იძულებითია მისი განრიდებაც და სიმარტოვეც. ამრიგად, ელისონის რომანი პროტესტია როგორც „კონფორმიზმის“, ასევე „განსხვავების“ წინააღმდეგ.

დიდროს როგორღაც უთქვამს: „მორალი და პერსპექტივა — ორი აუცილებელი თვისებაა მხატვრისთვის“. ელისონის რომანის მორალიც

თუ რას ნიშნავს იყო ზანგი. ერთ-ერთი ასეთი ახსნა-განმარტებითი საუბრის დროს ელისონი „აფეთქდა“ (როგორც თვითონ გადმოგვცემს). ძლიერი შთაბეჭდილების ქვეშ მყოფმა, იმავე ღამეს დაწერა ნაციონალისტის გამოსვლები და მათში საკუთარი გულისწყრომა ასახა.

ღრმა არის და ამასთან იგი გარკვეულ პერსპექტივასაც უსახავს ახალგაზრდა ამერიკელ ზანგს — პროტესტი აუცილებლად უნდა შეიცავდეს „ღირსეული შიზნის“ გულმოდგინეობას. მაგრამ „უჩინარი ადამიანის“ პერსპექტივა ინსტროსპექტულია, თუ შეიძლება ასე ითქვას. ავტორის რწმენით, ადამიანი უპირველეს ყოვლისა საკუთარ თავში უნდა დასძლიოს შინაგანი სიცარიელე, ისწავლოს სიყვარული, სწორედ აქეთვე ილტვის ელისონის გმირი. მას ხალხისკენ მიუწევს ვული, გრძნობს მათდამი სიყვარულს მთხოვნილებას. წარსულის გამოცდილებით მან უკვე იცის, თუ „რა არ უნდა გააკეთოს“, ხოლო „რა აკეთოს“, ამას ნომადვალა ასწავლის. „უჩინარი ადამიანის“ შექმნის პერიოდში<sup>1</sup> სიყვარულისა და აქტიური მოქმედებისაკენ მოწოდება, რაც იშვარად ეწინააღმდეგებოდა კონფორმიზმის ურთიერთგაითიშვისა და სხვა პრინციპებს, უპირულ აქტს წარმოადგენდა. მას აქეთ 17 წელი გავიდა. საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაცია ამერიკაში საგრძნობლად შეიცვალა; ახალი სიძლიერით გააშალა მოძრაობა ზანგთა თანასწორუფლებიანობისათვის. გამოცოცხლდა დემოკრატიული ძალების მოძრაობა ნამდვილი ამერიკული იდეალებისათვის.

ჯეფერსონის მიერ ჩამოყალიბებული პრინციპები ამერიკის ყველა მოქალაქის თანასწორუფლებიანობის შესახებ ელისონის იდეალს წარმოადგენს, და იგი იბრძვის მათი ცხოვრებაში დამკვიდრებისათვის. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ელისონი თავისუფალია შავი ნაციონალიზმისაგან: იგი არც ზანგების აფრიკაში გადასახლების იდეას სცნობს და არც ამერიკის შიგნით

<sup>1</sup> გავიხსენოთ, რომ ეს არის „მაკარტაზმის“ პერიოდი, როდესაც ცივი ომის სუსხის გავლენით 30-იანი და 40-იანი წლების ბევრი რადიკალი მწერალი ივიწყებს თავის წარსულს და, რეალიზმისაგან განდგომილი, მხოლოდ კომერციულ წარმატებაზე ზრუნავს. ამავდროს პოლიტიკური რეაქციის შემოტევას, ოკეანეს გადაღმა ეგზისტენციალიზმის ფილოსოფიის პოპულარიზაციას, ამერიკულ ლიტერატურაში ტრადიციის, ცხოვრების აბსურდობის, ადამიანის განწირულობის, საზოგადოებრივი ცხოვრებიდან ნებაყოფლობითი განდგომის თემის გაძლიერება მოჰყვა.

მათ ავტონომიას. ელისონი მკითხველს მოაგონებს, რომ ზანგები ამერიკაში ცხოვრობდნენ შეერთებული შტატების შექმნამდე გაცილებით ადრე. ეს ყველას უნდა ახსოვდეს, ვინც ამერიკელი ზანგების ვინაობასა და მათი სამშობლოს დადგენას შეუდგება. მაგრამ უნდა იქნას, რა სურთ ზანგებს, ელისონი ამას უნდა გვსურს, რომ ქვეყნის ცხოვრება ამერიკელი ხალხის მიერ აღიარებულ პრინციპებს შევეუფარდეთ. ეს ორმაგი მოვალეობაა როგორც ჩვენთვის, ისევე მთელი ქვეყნის წინაშე. ზანგები მოითხოვენ, რომ ხალხი თავის საკუთარი იდეალების შესატყვისად მოქმედებდეს. ისინი ისე იქცევიან, როგორც ვალდებულია მოიქცეს ყველა ნამდვილი ამერიკელი. დანარჩენებმა მათ უნდა მიბამონ.<sup>2</sup> „ისტორია გვიჩვენებს, რომ სოციალური ძვრები არც ამერიკაში, და არც სხვაგან თავისთავად არ ხდება. რაღაცამ უნდა გამოიწვიოს ისინი“<sup>2</sup> — ამბობს ელისონი 1965 წ. პენ უორენთან საუბარში, და მკითხველი ნათლად გრძნობს, თუ რა შორს წასულა ელისონი თავის ძიებაში. როგორც ვხედავთ, ელისონს კარგად ესმის საზოგადოების ისტორიული განვითარების კანონზომიერება, თავისი ხალხის დღევანდელი პრობლემები და მათი გადაჭრის საშუალებანი.

ასეთია ელისონის პასუხი ამ კითხვებზე, რომელთაც იგი 17 წლის წინ ეძებდა თავის გმირთან ერთად.

„უჩინარი ადამიანის“ გამოქვეყნების შემდეგ ელისონმა მხოლოდ ერთი კრებული გამოსცა კრიტიკული და პოლემიკური წერილებისა, რომელსაც „ჩრდილი და მოქმედება“ უწოდა. დროდადრო პერიოდულ პრესაში მისი მოთხრობები და პუბლიცისტური სტატიებიც გამოჩნდება ხოლმე. მკითხველი დიდი ინტერესით ელოდება ელისონის მეორე რომანს, რომელზეც კარგა ხანია მუშაობს ავტორი. მრავლისმოქმედი „უჩინარი ადამიანის“ ავტორის ხანგრძლივი სიჩუმე, შესაძლოა, ელისონი თავის გმირისებურ სულიერ კრიზისს განიცდის, ან იქნებ მწერალს უკანასკნელი ათი წლის შეჯამება და მისი შემოქმედებითი გააზრება ესაჭიროება?

<sup>1</sup> R. P. Warren. Op. cit. p. 339.

<sup>2</sup> Ibid.



გამომცემლობის რედაქტორები  
ლია იმერლიშვილი, შაბუკა ცეცხლაძე  
ტექნიკური რედაქტორი ნათელა ქავთარაძე  
კორექტორები: ლეილა არეშიძე, ელენე ევანია  
გამომწვევები ნოე შიქარაშვილი

ვადაეცა წარმოებას 7/V-70 წ. ხელმოწერილია დასა-  
ბეჭდად 15/XII-70 წ. ქალ. ზომა 70×108<sup>1/16</sup>. პირო-  
ბითი ნაბეჭდი თაბახი 29,25+0,54 ჩაქვრა. სააღრიცხვო  
გამომცემლო თაბახი 24,82, ტირაჟი 30.000.  
შეკვ. № 632.

ფ ა ს ი 1 მანეთი

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“  
თბილისი, მარჯანიშვილის 5

„საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის საბელმწიფო“  
კომიტეტის მთავარპოლიგრაფრეწველობის შექმნითი სიტყვის კომბინატი  
თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Главполиграфпрома  
Государственного комитета Совета Министров  
Грузинской ССР по печати.  
Тбилиси, ул. Марджанишвили № 5.





საგარეო  
კავშირების

**ХОМЛИ № 5**

Альманах иностранной литературы  
(на грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»  
Тбилиси, Марджанишвили, 5.  
1970

2.4/1



ქართული  
ნაციონალური ბიბლიოთეკა

